

114 /
1968 / 3

ՀՀ
ՀԱՅԿԱՅԻՆ
ԵՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ԳՐԱԴԱՐԱՆ

ՁԵՆՈՒԹՅՈՒՆ

114 /
3

9

30

1968

გნათობი

სოციალ-დემოკრატიული ლიბერალ-სოციალისტური
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 45-ე

№ 9

სექტემბერი, 1968 წ.

საქართველოს საბჭოთა მშენებლის კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

სიმონ ჩიქოვანი — ბავშვთა მზრუნველობის ღვაწლისათვის	3
ლევან გომთა — მითრიალბი. რომანი. ვაგრაჟელება	11
ნინო დოლიძე — ჩემი ძმა ვიქტორი. ბიოგრაფიული რომანი	48
ქონსტანტინე პაუსტოვსკი — ოქროს შარდი. ვაგრაჟელება. თარგმანი გუ რაჟ ვოგოიშვილისა	59

10826

1918 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თარგმნაკთი წლისთავი 1968

ს. ჯორჯანაძე — აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის	65
ზორბა ხანთაძე — მასალები თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიისათვის	71
ალექსანდრე აბაღაძე — გულათის აკადემიის ისტორიისათვის	92
დ. ბაგრატიონი — თბილისის უნივერსიტეტი და კართული ლიბერალ-დემოკრატიული	98
მ. კონიანი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაქულტეტის ორგანიზაცია	106
წ. ბარბაქაძე — დასავლეთ კავკასიის ენები და ლიბერალური კართული უნივერსიტეტი	113
პროფ. კეკელიძე — სიმონ ხუნდაძის ბიოგრაფიული მონაწილეობა	119
ივანე ჯავახიშვილის 84 კვირის წინასიტყვაობა კომენტარები და შენიშვნები ვარლამ დონდუასი	134



კრიტიკა და ლიტერატურის მშრომლობა

ელეზარ ჯაველიძე — ალწმინდის ნაშრომის მსოფლმეცნიერების გავრცელების
 გრიგოლ ხაჩაპურიძე — „დავითიანის“ ზოგადი საფუძვლიანი წიგნების შესახებ
 ჯიშო ლომავშილი — რატომ ჰქვია თბილისის ციხეს „ნარიყალას ციხე“?

164

171

175

შეკრები, მოგონებანი

3. გარეგანი — თბილისი, 1943 წელი. გავრცელება 177

წიგნების მიმოხილვა

ზონდო კარტოზია — ხელმწიფისა და რელიგიის ურთიერთობის საკითხი-
 სათვის 186
 გივი ლომიძე — როცა გული მღერის 188
 ჯ. მუხომიძე — საგონათა საჭაბუკოლო ისტორია 190



მთავარი რედაქტორი ელგუჯა შალვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, შ. ლებანიძე, ზ. ჟღენტი,
 ა. ხულაყაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენ-
 გელია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჭაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტექნოლოგიური რ. ჩაყვტაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IX-68 წ.
 ქალაქის ზომა 70x108. ანაწყოების ზომა
 71/4x121/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12.
 პირობათ ფორმათა რაოდენობა 16.
 უე 02498. ტირაჟი 10.600. შეკვ. № 2889.

რედაქციის მისამართი: თბილისი,
 რუბთაველის პროსპექტი № 12.

ბალეონონები: რედაქტორის — 98-55-11,
 პ/მგ. მდივნის — 98-55-13, განყოფილებე-
 ზის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.



გამოუქვეყნებელი ლექსები

• • •

შორს ფლორენციის ჩრდილში შეფერინდი,
სულში ჩაფესვდა წრფელი სიამე,
თურმე ვყოფილვარ დანტეს შვეირდი
და მე ჩამოსვლა დავაგვიანე.

ხელში მიპყრია პურის თაველი,
ბევრჯერ ცხოვრება განველე დუხჭირი,
მე ვარ მელექსე ერთი ფშაველი,
მხარზე მკიდია სავესე ხურჯინი.

დილა მიპყრია და დრო ბებერი,
ფიქრი მოგზავიე მტლე და რიოში,
მეც გავიარე სალხინობელი
და წილი მიღვეს საიქიოში.

ჩამოსული ვარ მწვანე სოფლიდან,
სულში ჩაფესვდა წრფელი სიამე,
ჩემი ოცნება ადრე მოფრინდა,
მე კი ჩამოსვლა დავაგვიანე.

ეზოს მივსებდა შენი იები,
ნაზად დათლილი სპილოს ეშვები,
ავმაღლდი, როგორც შეიდი მთიები,
და დანტესავით შავეთს ვეშვები.

უცნაურია მართლა საწუთრო,
არ უწყვი სული თუ აიფრენდა,
არ მინდა სული წუთით დაესუდრო
და სიხარულის დღე გამითენდა.

ქვაზე ჩუქურთმა, სულზე ნარნარი,
რას ჩურჩულებს და რას მეუბნება,
უხმოდ მღერალი თეთრი მარმარი
წარსულს იგონებს და მეუფლება.



დანტეს სულს თითქო მარმარში სძინავს,
იგონებს ქვის და ურთხმელის სუროს,
ფლორენციაში ფურცელი ფრინავს
და სულს ინახავს თუ საიდუმლოს.

• • •

მოველ და წაველ ადრე რომიდან,
ვერ მოვასწარი თვალის მოვლება,
ქვაზე ჯდომა და ფიჭრი მომინდა,
როგორ მიფრინავს ჩემი ცხოვრება.

ნუთუ მეკლება ფიჭრი მალული,
გულს არ სჯერა და მსურს დავაჯერო,
მიმყვება ღამე და სინანული
და შეჩვენება მიქელანჯელო.

მიფიქვარ, მრჩება რომის სადგური,
დამრჩა ხსოვნაში თლილი ლოდები,
მსურს იჭვიანი ლანდის დასტური
და რომის დილას დაველოდები.

სევდა მაწვება ღრუბელზე შიშვე,
მკერდზე მატყვია ცხოვრების ფრჩხილი,
სჩანს მოციაგე თუ მოციმციმე
ღამე დაჭრილი და მოკენჭილი.

მე სევდა რომის ქვებს დავატოლე,
ქედზე აფრინდა მერთალი ქედანი,
გაპიტოლიის თხემი დავტოვე
და მე მეწვია მიხი მხედარი.

ვინ დასჭრა რომის ეს ბნელი ღამე,
შინდა ლოდებზე დილამდე გაეტბე,
გადმოხტა ცხენით და აწ ხმა გაშეც,
დაჭრილი ღამის ტკივილი დათმე.

მოველ და წაველ მწუნრზე რომიდან,
ვერ მოვასერხე სულის ცხოვნება,
გადაფრენა და სრბოლა მომინდა,
როგორ მიფრინავს ჩემი ცხოვრება.

ნ ე ა პ ო ლ ი

ადრე დამხვდა დარდიმანდი,
მცხეთის ტოლი ნეაპოლი სისხამზე,
მსურს დავლანდო გარიბალდი
და ნაპირზე ფრთებს ოცნებით ვისხამდე.



ვეენიანი, ეშხიანი,
ცხენებია შორს გაფრენილ ვტლების
და მე მესმის ზღვის შრიალი,
ჩემი ლოცვა თუ ზღვის კილო ვედრების.

ცას სხივები ესირმება,
მორვენება უცხოა და მარტივი,
ცხადში ვარ თუ მესიზმრება
ვარძია და ჩემი მცირე მარტივილი.

მეც მტრის სისხლით ზელს ვიბანდი,
სადაც მთიდან მოწხრიალებს ლეზურა,
ნუთუ ვერ მცნობს გარიბალდი,
მისი ქუდი საქართველოს ეზურა.

ჩემ სიცოცხლეს ორად ვყოფდი,
ბევრჯერ შევსძელ სიყვარულში ცილობა,
მის ტკივილებს ტანში ვგრძნობდი,
მკერდზე მაჩნდა გარიბალდის ჭრილობა.

მიმიპყრია გულის ყური,
ნეაპოლი შორეულ დროს მაგონებს
და ეძახის სიყვარულით
ჩემს იისფერ და ატმისფერ მთაგორებს.

ს მ რ ე ნ ბ ლ

შორს ნანგრევებში ირხევა ლანდი,
მთიდან ცისფერი გემები ვთვალე,
მე სორენტოში ლედვის ჩირს ვჭამდი,
ზღვა იყო ლურჯი და გამჭვირვალე.

მთებიდან მშვიდი წვებოდა ბინდი,
ზღვა იყო სუფთა, ლურჯი და მუნჯი,
ჩემი გვარია სორენტოს მკვიდრი,
და ამ მშვენებას ვით გადავურჩი.

როგორ ციმციმებს ნაპირთან ჭავლი,
ეზივარ, ვკითხულობ თბილისის გაზეთს,
მესმის მე უცხო ყივილი მამლის,
ადრე მიმხმარი პომპეის ხმაზე.

ჩემი გვარია სორენტოს მკვიდრი,
მაინც მე მერგო ასეთი ხვედრი,
მეც ზომ ვიყავი ნანგრევი დიდი
და აღმოვცენდი პომპეის გვერდით.



სორენტოს ჩრდილმა ზღვაში ჩამოტოვა,
თვალმა მწყურვალმა წყალი დალია,
ნეტავი ახლა ჩემთან გამყოფა,
ერთად გვანახა ეს იტალია!

შორს მაგნოლიის ტყდება რტოები,
ბზა მიჭირავს და არის ხარება,
პომპეის ნანგრევს არ დავტოვებდი,
მაგრამ რა ვუყო, შინ მეჩქარება.

ზღვის სილამაზე გულზე მომენტო,
შორს შემოდგომის ქვალი ჭორფლია,
რა ლამაზია მართლა სორენტო
და მწვანე კონცხი მაინც სჯობია.

ნეაპოლიდან - კოპპეაზე

შინ მომენატრა მე იტალია,
სორენტოს გზა და კაპრის კუნძული,
მართლა, იქ თვალმა წყალი დალია,
სადაც ვაზია რტო დახუნძული.

მთიდან ზღვის სივრცე ისე ლურჯია,
თითქო თვალია და ცის ცალია,
თუმცა მეტყველებს მაინც მუნჯია,
მუდამ მიყვარდა ეს იტალია.

საით ჩავიდე, რა გზა ვირჩიო,
პერს გარინდულს სუნთქვით ვეხები,
გზაზე მხედებიან მე კაპრიჩიო
და დაბრაწული ღვინით გლუხები.

მთა ნარინჯია და ზღვა ლურჯია,
გზა თურინჯია და ცა ჭაღარა,
ამ ზღვას ეს მთები ვინ შეურჩია
და მთებზე თაფლი ვიღამ დაღვარა.

ზღვა ისე დაცხრა, თითქო მორცხვია,
მართლა, აქ თვალმა წყალი დალია,
სადღაც, მთის ახლო მწვანე კონცხია
და შინ მიმყვება მე იტალია.

ს ა ბ ა

ჩემი გუმანი ამ ზღვას გავანდე,
მერე ლურჯმა ზღვამ თვალი განაბა
და ვით ღრუბელი, ზღვაში დავლანდე
მოჭირნახულე მოხუცი საბა.



დიდი სიყვარული და ოფლის იწურავს,
საბას თეთრი თმა გზებზე ხუნდება,
ორასსამოცი წელი მოსკურავს
და თავის მრევლში ეხლა ბრუნდება.

დღემდე სად იყავ, რომელ დაბაში,
როგორ დასძლიე სოფლის აბრუნდი,
თვალს ატყუებდა ტალღის თამაში
და შინ ამდენხანს ვეღარ დაბრუნდი.

სად დაგეწია უამინდობა,
როგორ ჩაგიქრო ზღვაურმა კვარი,
ხმელთაშუა ზღვაზე შენ რა გინდოდა,
არსად აჩნია ზღვას შენი კვალი.

როგორ გაგიცვდა გზაზე წაღები,
ზღვაში დაგება შენ ტანსაცმელი,
შორს ფიქრებით კრთიან ტალღები
და იალქანი თრთის აღმაცერი.

უბეს აგივებს სიტყვის სურნელი,
ვერ დაგიხვდება ზღვაზე ფირალი,
შენი წვერია ქართლის ღრუბელი,
წვიმით საესე და მუდამ მტირალი.

სულში ჭრილობა დაგიბალდამდა,
გინდა, სატკივარს სიბრძნით აჯობო,
სად გაგიტუნდა, იქ დაგიღამდა
და სხვა ვერ პპოვე მიწა-სამშობლო.

გავს იტალია რუკაზე ჩექმას,
შენი ყაყაჩო არ გადათელოს,
თუმცა ღვთისმშობლის მშვენება შექმნა
და ქალწულს ერგო ხომ საქართველო.

თურმე საწუთრო ვრცელი ყოფილა,
სად დაგეწევა ბედის ბორიო,
სუროს პერანგით შინ აღობილა,
შენ გელოდება ციხე გონიო.

მოდი, მოგვხედე, წმინდა მოხუცო,
პპოვე სამშობლოს მთაში საჩინო,
მსურს დაპურებულ ჯეჯილს მოუსწრო
და შენი სიტყვის მადლით გვარჩინო.

მ ა მ ე რ უ კ ე ბ ი

ტალღას ავლია ფირუზის ქაფი,
ხმელთაშუა ზღვაზე ბაცე ბინდია,
ცაზე კვიდია კოლხური ჭრაქი,
თუ მე ეს ჭრაქი სულში მინთია.

შორს მერვენება ჭრელი ჭადრები,
კაკლის ჩრდილი და ვიწრო შუკვები,
ზღვის მიწურულში თრთიან ლანდები
თუ მე მელიან მამელუკვები.

ნაპერწყლებს ყრიან ცხენთა ნალები,
კლდიან ნაპირზე დაკრუს ბუკვები,
სამშობლოს ვერსად დამალები
და მე მიხმობენ მამელუკვები.

ტყვირში შეზრდილებს ურა ჭაკებზე,
როგორ შეცვლიათ თვალთა გუგები
და მზით მორუჯულ უცხო ვაკვზე
ფუძეს ეძებენ მამელუკვები.

დედებზე ფიქრი მათი ხვედრია,
ადრე მორეკეს, როგორც ნუკრები,
ახლა არაბულ კვიცებს ხედნიან,
ჩელას მღერიან მამელუკვები.

თუ აგონდებათ სოფლის ჭიშკრები,
ლომის ყანა და წნელის ფაცხები,
მეც ჩემი ქვეყნის ბედში ვიჭრები
და ფიქრით ნაპირს მივენარცხები.

ნუთუ სამართადგენ ლანდები,
მთვარის შუქზე სჩანს სოფლის შუკვები,
მე მერვენება შავი ნაბდები
და შავ ცხენებზე მამელუკვები.

ს კ უ ზ ა რ ი

ბავშვობის ჭამს ჩრდილი დაგრჩა,
სად უტიფრად გარინდულა სკუტარი,
სად მამულის ღონე დაიხარჯა,
შენ ცხოვრობდი ლტოლვილი თუ სტუმარი.

ვის ელოდი, არვინ უწყის,
წყვილი თვალი ზღვის ბურუსით გაფისე,
შენს ბავშვობას დავეძებდი უწინ,
აწ მოვეყურდი და არ დამხვდი ნაპირზე.



აღბათ იყავ ერთი ცახე,
ამ მიდამოს წყველა ველარ უთხარი,
ვიბოგინე, მწუხრზე დაგიძახე,
მეჩვენება, პასუხს მაძლევს სკუტარი.

ხმა თუთუნით გამებოლა,
ჩემი ცხენიც თურქს უბია თავლაში,
რას მიგალობს მინარეთზე მოლა,
მწყურვალი ვარ, სად მოვსულვარ გვალვაში.

წყლის მაგიერ შევსვი ყავა,
შენს მაგიერ ვერვინ ვბოვე მაშველი,
ბინდის სიომ თითქო დამიყვავა,
თუ შრიალებს ზეთის ხილის ნაშენი.

ჩრდილი დაგრჩა და სკუტარი,
ჩემს თბილისზე ბევრჯერ დამე ნათევარს,
სად დაკარგე ფიქრი საკუთარი
და ვერ ვბოვებ შენს პატარა ნატერფალს.

ვერ ვიპოვი ზღვაზე ნუთუ,
რა ყოფილა ზღვის ტალღების ლაშქრობა,
ისევ ვწუხვარ და ვწევ თუთუნს,
სკუტარიში არ ჩანს შენი ბავშობა.

ბოსფორი

რა წარმტაცია ბოსფორის სრუტე,
თუმცა დილამდე ვერ დავახანე,
ნუთუ ჩემი გზა გამხდარა მრუდე,
ვერ მივატოვე სტამბოლის დამე.

აქ ჩაქრა ჩემი სიცოცხლის ჭრაქი,
სტამბოლის დამე ჩამქრალ ჭრაქს სინჯავს,
თუ დამრჩა სისხლის სპეტაკი ლაქა,
ახლა მაწვდიან ყაფიან ფინჯანს.

რა წარმტაცია ამაღამ სრუტე,
მაინც ვერ ვენდე ვშხიან ბოსფორს,
რამ გააყუჩა ისლამის ბუდე,
შემიტყუებს და, მეონია, მომსპობს.

ბოსფორს ავლია მთვარის ზონარი,
იჭვი სკუტარის კლდეს დავახალე,
ბევრი რამ დამრჩა მოსაგონარი,
განსაკუთრებით — სტამბოლის დამე.



დიდხანს არ გასტანს ეს შეღამება,
 მალე გაქრება სიბნელის ზღუდე,
 და განშორება არ მენანება,
 თუმცა მე მსიბლავს ბოსფორის სრუტე.

ღაბრუნება საგმობლოში

ცას შექალება თითქო ვადროვე,
 გემის ბაქანზე დიდხანს ვიარე,
 მერმე ბოსფორის სრუტე დავტოვე,
 შავი ზღვის ნისლებს შევეზიარე.

შორს მინარეთმა ღამე გათოფა,
 გამხდარა მთვარის თანამედროვე,
 სრუტის მშვენებამ თუმცა დამთოფა,
 მე მაინც ბოსფორს გამოვეთხოვე.

ვერსად ვიპოვე პაპის საკაცე,
 ვერც ჩრდილის დარი მეფის გამყოლი,
 თაფმოკვეთილი დგას სააკაცე
 და ვერ მატყუებს ჭკუით სტამბოლი.

წყველა და კრულვა ვედარ ვუთხარი,
 ცას შექალება თითქო ვადროვე,
 ღონე არ დამჩა ზღვაზე მუდარის
 და ტურფა სრუტის ხედი დავტოვე.

მე ბოსფორს როგორ დავემდურები,
 თუმცა სხეულზე ვითვლი იარებს,
 ზღვისკენ მიქრიან მებადურები
 და მეც ზღვის ნისლებს შევეზიარე.



მ ი თ რ ი ღ ა ტ ე

რ მ ა ნ ი

როგორც კი გაწინაურდა, მაშინვე ჰკრეს ორი ისარი. ჯაჭვის პერანგმა იხსნა. ახლა ოდნავ უკლო სვლას, წინ ალისტარხო გაუშვა, რამდენიმე სხვანიც და ჯგუფთან ერთად მიიჭრა ტბასთან და შემორკალულ გეზს ვაპყვა. ახლა მარცხნივ ქაობი იყო, მარჯვნივ — მინდორი. ნისლა გაწვართა და ჰხედავდა, როგორ რჩებოდნენ უკან გახვითქული მონაწილენი. მალე ალისტარხო-საც დაეწია, მაგრამ არ გაასწრო, მანაც მოჰხედა უკან, ოქროს ვარსკვლავს დეზები გაჰკრა და გაჰკრა. ანარია ცოტა ადრე გადასჭრა და ქალიანში შეიჭრა. მაგრამ ნისლას ფრთხილი პატრონი არ მიჰყვა, ცხენს კისერი მოუგრინა და ანარიას მარჯვენა ნაბირზე განაგრძო ვზა, არც დათქმულ ადგილზე გაფონა მდინარე. სწრაფი თვალით საეჭუო მოისარნი შენიშნა ზეებზე. უფრო ქვევით ჩასცილდა და უცვალავ ადგილზე გაიტანა სავალი. მერმე აღარც დალიძვა იყო შორს.

აქ, ფონზე კი აბჯროსნები იყვნენ. მანაც ოდნავ თავი დაუჭირა ნისლას და ქალიდან სხვებიც რომ გამოვიდნენ, ერთად, ჯგროდ მოსულეებში გაერია. ალისტარხო კი უკვე წინ იყო.

მერმე ზღვას წაადგნენ. აქ ნისლასაც

გამოაჩნდნენ მოსარჩლენი — „ამირანის“ მეზღვაურები.

ვათბედიამ ისევ ზღვაში, შეაგლოცხენი, მაგრამ ახლა ცხენის მკერდზე მაღალში აღარ გაუშვა, შემოაბრუნა და მუხლი გაუშალა ნისლას. ცხენმაც ხევიანად დატორა ნიადაგი... ისევ რომ დალიძვანზე გავიდა, ყველა უკან იყო მოტოვებულო, ვარდა ალისტარხო-სი. მასაც შუა მდინარეში დაეწია, გვერდით გაუარა. ალისტარხომ სულ ახლოდან შეჰხედა...

— სამორგვის მკრელო, შენ ხარ? მომალორე? ფუი, შენს ვაეკაცობას!

— ჩემს ვაეკაცობას რას ერჩი? ხარის რქებს რომ ვადაგარჩინე? შენ კი-აი, შენი ვაეკაცობა! — და ორი ისარი დაანახვა. — მაშინ მძაღნაფიცი დამიჭერი, ვაბატიე! ახლა კი მიფრთხილდი, გირჩევნია! მარულაში კი, დღე, მჭობმა აჯობოს!

მათი ცხენები სულ თანაბრად მიჰქროდნენ. მდინარის შხეფი და გაფუ გაჰქონდათ. გაჰფონეს, მისი სილიანი ნაბირებიც ვავლეს და ახლო მინდორზე გავიდნენ. ეს არის, რომ ალისტარხო შეუმჩნეველად სულ ამუშავებდა ცალ დეზს. ნისლას კი ეს არ სჭიროდა.

— ვინ ხარ მაინც?

— ვინცა ვარ! — ისრები მესტების ყელში ჩაირჭო, ცხენს კისერზე ცა-

ცია მოუთხოვნა და ალისტარხოს გადასახა. — ახა, მომყვი ახლა!

ნისლა გაწინაურდა. ალისტარხოს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მისი ცხენი, სანაქებო ოქროს ვარსკვლავა, ფეხებს ფშეკავს და კუმშავს, ფშეკავს და კუმშავს. ადგილზე კი არის, ვერ იძვრის. ნისლა კი მიიწევს და სულ შორდება მას!

— მომიცადე! ერთად მივიდეთ, თავს ნუ მოპკრი! — შესძახა ალისტარხომ, — გერ გადამარჩინე, ახლა მღუპავ! ვაეკაცური გული მოიდე!

ნისლოსანს გაეცინა, შეეცოდა კიდეცაც „თავმოძრონე ვაეკაცი“. თვალთ მანძილი მოზომა. ხეებს იქით უკვე ილორ-მინდორი იწყებოდა. ადვირი უნებურად მოიმოკლა და უკან მოიხედა.

ამ დროს ქამანდი მოხვდა, კისერზე მოედო და ვიდრე ყულფი მოიყრებოდა, ხელი შეასწრო და მხარი შეუყენა. ქამანდს სისინა ძახილიც მოჰყვა:

— ახლა სადღა წამიხვალ! — ალისტარხომ ხელზე შებმული ქამანდის ბოლო უფრო მოიმოკლა და მომაგრდა.

ახლა კი საოცარი ვითარება შეიქმნა. მიჭროდა ორი ადვირმიშვებული ცხენი, ხოლო მათი მხედრები ურთიერთგადაბმულები იყვნენ ქამანდით.

— დამარჩი! თორემ კატასავით ვაგვუდავ! — იღრინებოდა ალისტარხო.

— ამიშვი, თორემ გადმოვაგდებ! — სუნთქვამჭეტირებულად უპასუხებდა ნისლას პატრონი. ქამანდის კვანძის უპირატესობა ალისტარხოს მხარეზე იყო, ხელზე და ხელში მოგდებული ბევრად უფრო სახერხო იყო, ვიდრე ყულფი მხარ-კისერზე, მაგრამ მხედრის მოხერხება, საქციელის პატიოსნება და ცხენის სიმარდე ვაჟბედიას ბედი იყო! და ყველაზე დიდი ბედი ის იყო, რომ მოასწრო ხელ-მხრის შეგდება, შეყოლება ყულფში, თორემ მართლაც გაიგუდებოდა. ახლა კი გაუძლო, სული მოიბრუნა და ცხენი განზე გაუშვა. ალისტარხო რომ გაუთანასწორდა და ქამანდი მათ შორის ლარად გაიწვართა, ვა-

ეხედვიამ ილორის მინდვრას წინა ხეებს უპირდაპირა, ხეებში გაძვრა და ხელად მოუხვია. უკანა ცხენისა და მხედრის ხეზე შენარცხება აუცდენელს იყო!

— ახლა შენ დამარჩი! — მიძახა და თოკის ყულფში გამაგრდა.

არც ალისტარხო იყო უხერხო. იაზრა, რომ აქაც დამარცხდა, ფარული სატევარი იშვიშლა და სიმაღ დაქიმული ქამანდი გადაჰყვია.

მოულოდნელ შემსუბუქებისაგან ნისლამ წაიმუხლა, მაგრამ უმაღ შესწორდა, ერთი ქამანდის მანძილით მაინც წაუსწრო თითქმის წამოწეულ ოქროს ვარსკვლავს. აღარც მოუხედავს ვაჟიბედიას, ცხენი ჰაერში მთელი სიფრძით გაწვართა და სულ მალე ილორის ერი აელანდა თვალუბში. ძახილიც მოესმა.

— ნისლა-ილორი! ილორის ნისლა! ალღოთი კი, უკან მოუხედავად, იგრძნო, რომ ახლო-მახლოში აღარცერთი ცხენი არ მოსდევდა ნისლა-ილორს!

კოტაც და, გახელებული ბედაური კუბრა-გალავანს მიაგდო და გასწვრივ სრბოლაში ძლივს დაიოცა.

და რომ დაქვეითდა, მხოლოდ მაშინ-ღა შენიშნა, მიწაზე გრძლად ეთრეოდა მხარ-კისერზე შერჩენილი, ქამანდის გადაჭრილი ნაწილი.

ნისლი ტარიელმა და გედემ უმაღ გალავანში შეიყვანეს. მხედარმა კი ქამანდიცა და ისრებიც მახუნჯავს ჩააბარა და მეფე-უფალს ეახლა, ცალმუხლზე ჩადგა და ხელი ზეცისაკენ აღაყრო.

— ვფიცავ, ძველსა და ახალ ღმერთებს! ილორსა და მამა-შვილობას! ფრთოსან ცხენის სახიან დროშას. მხცოვანთ არულსა და ახალგაზრდათა მარულს, მე და ჩემი ცხენი მოვედით პირველნი არა ღალატითა და ზეანჯებიოლა, არამედ ღმერთების მფარველობითა და გარჯითა! ილორის ერსა და ბჭეებს ვასახელებ მოწმეებულ და მოსარჩლეებად!

გოჯი-მეფე-მოგეს ცრემლი წამოერიო, მაგრამ დამფარა, გადახვია ვაჟიბედის და ყველას ივსავონად თქვა:

— დაე, მუდამ სიყეთისა და ქველუბის იყოს დიდი მარულა! პირველი

ხარ და ჭილდო შენია! შეილო ჩვენი ქვეყნისათ, ძეთ ილორისათ!

— ძეთ ილორისათ! ნისლა ილორი და ძე ილორისა! — სიამით ხმაურობდა ილორის ერი.

ხოლო შემდეგ, როდესაც მოვიდნენ დაგვიანებული ცხენოსნები, საოცარი ამბავი სთქვეს. ალისტარხო შეხეთელს თავისი ხელით ჯერ უწამებია, მერმე დაუკლავს თავისი ცხენი, ოქროს ვარსკვლავა და თავად სადღაც გადახვეწილა.

— სქვამგურ და გვაზავ, მიხვდეთ განძილებულ ცხენოსანს, რა სულწასული ყოფილა? მჯობნის მჯობნი არ დაილევა, ილორობა კიდევ იქნება და არა ერთ გზისა ასე გულის გასატეგი რა სჭირს!? ცხენის დაკლა ილორ-მარულაში ამის მეტი არ ვაგონილა კეთილად მოგვიქციოს ილორმა!

კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ ილორის ბჭენი, მაგრამ სქვამგურ შეხეთელი მათ შორის აღარ იყო, არც აღარავის სჭიროდა.

გოჯი-მეფე-უფალი ისევ წარსდგა ბჭეთა წინაშე, ახლა სრულმეფურ სამოსელ-წამოსასხამში, გვირგვინითა და ღროშიონ-კვერთხიონით.

— თანახმად ჩვენი და ერთობლივი სურვილისა, კეთილვიზრახვით შერჩევაი მემკვიდრე-შვილობილისა და ესე არს—ყოელისა ვაჟკაცობისა და წიგნურობისა მფლობელი. ჯერ ფრიადი ყრმა, მაგრამ უკვე სრულწლოვანს შეტოლებული — ვაჟიბედია სპერელი, ობოლი, დიდგვარიშვილი, ახლო ნათესავი მახუნჯავ ტაოელისა და ბედან ბრძენისა კოლხისა და, სხვა რომ არა ეთქვა რა, მთელი ილორის ერის წინაშე მან ორჯერ ისახელა თავი — ავ განზრახვია

მოშვებულ შავ-ბულას შეებრძოლა, ვაიმარჯვა კიდევაც და ალისტარხო შეხეთელიც გადაარჩინა, მერმე ჯერ შარულაში, მიუხედავად ხელის შემოსისა, ვაიმარჯვა და ილორის ძის სახელი და ჩვენი ჭილდო მოიპოვა!

— მართალ არს, მართალ! ვემოწმებით! — ერთბაშად შესძახეს ბჭეებმა.

— თუ ბჭენი მოითხოვენ დამატებით დასაბუთებას, მომთხოვეთ, არადა ილორის ძე, ჩემ ძეთაც და ტახტის მემკვიდრეც დაშიდასტურეთ! ილორის მადლმა! ყველა დმერთების მადლმა! მულისა და კედარის მადლმა! მამაშვილობის მადლმა!

— წარმოდგეს ბჭეთა წინაშე! გვეჩვენოს გმირი! მემკვიდრედ სახული! ბრძენ-მეფე არჩევანში არ შეცდებოდეს! ჩვენი თვალითაც ვნახეთ! დასტური! დასტური! ილორის ბჭეთა დასტური! — შესძახეს აღელვებულმა ბჭეებმა. და არც შეჩერებულა თანაგრძნობის შეძახილები, ვიდრე მახუნჯავმა და ბედან-კოლხმა მემკვიდრედ სახული, ბჭეებს არ წარუდგინეს. მას კოლხი მეფისწულის ცისფერი, ქობამობეწვილი წამოსასხამი მოეგდო, ხოლო მოყოლილი მცირე ჯიდა დაეღვა. ტანაყრილი, კიდევ უფრო მაღალი ჩანდა, სახესა და თვალეზზე ჯერაც კენებისა და ორთაბრძოლის ხილვა-განცდები შემორჩენოდა.

— ილორის ღეთაება! — ჩუმად აღმოხდათ ბჭეებს, — დიდი დასტური!

— დიდი დასტური! — ძახილი ბჭეშიც გაძვრა და კუბრა-გალავანსაც გადააგორდა.

„დიდი დასტური“ მიგორავდა ილორის ერში.

19. ღოჯის ნიშანი

ფიცის ლოცვა და საპატიოთა სუფრა აქვე, გალავანში გაიშალა. უფლისწული დადიცეს და ილორის ზედაშე აკურეს. თვალცრემლიანმა ბედანმა დი-

დი ეტრატფურცელა წიგნი სასოებით გადასცა.

— „მატიანე სპერისაი“ ამიერთ შენს ხელთაა და ვინძლო დიდებულნი

ფურცლები შემატო მასა და ჩვენს მრავალ ტომს!

აბიო-იბერმა, აქვე, საჯაროდ, იბერთა დიდი მეფის — ადერკის სახელით იწვია კოლხეთის უფლისწული უფლისციხესა და მცხეთას.

ახლა კი ყველამ ინიშნა, რომ აქ ილორ-მარტულა მხოლოდ ერთი მცირე მარტვეალთავანი იყო დიდზე დიდი და ბრძნულად მოფიქრებული ჯაჭვისა. ისიც ინიშნეს, რომ ეს „ჯაჭვი“ ქართველ ტომების სასიკეთოდ იყო მოგვარებული და თვით უფლისწული, ალბათ, ახალ ჰილგამეშად და ახალგაზრდა ალექსანდრე მაკედონელად იყო მოვლენილი ამჟამად ქართულ დედამიწაზე.

გოჯი-მეფე-უფალმა თავად უთავა საზეიმო სუფრას, „ნისლას ქენებასავით“ იჩქარა. გულშეძრულსა და გაბარებულს, სუფრაზე არ ედგომებოდა, თანაც ილორში უსათუოდ აჯის კარზე ჯდებოდა მეფეცა და სახლთუხუცესიც. ხოლო ასეთი ბედნიერი ილორობის დროს, ვინ არ მოვიდოდა აჯით მათთან. ძველთაგანვე გარდმონაწესი იყო — ილორობას მრავალთ შევერდომა, პატიება, სისხლის მაძიებელთა მორიგება, ღარიბთა და ქვრივობოლთა გაკითხვა.

უფლისწულიც თავისი საპატიო ამალით ილორის ერში ვადავდა. გვირგვინი არც მამობილმა და არც შვილობილმა არ გაიტანა. თავისიშელობა, აქ, ილორის ერთბაში, სრულ თანასწორობას გულისხმობდა. იგივე ღამაზე გარდმონაწესი იყო. თუმცა ილორის ერში მონა არ ერია. თუ ფარულად გაერეოდა — დაისჯებოდა, თუ პატრონის ნებით ან ნებაართვით, უნდა გაეთავისუფლებინა პატრონს. აქ მხოლოდ ილორის მონები იყვნენ, მაგრამ ეს უკვე სარწმუნოებისა და სულიერი მორჩილების ამბავი იყო.

გავიბედა ისევ ნისლაზე იქდა, ახლა იგი საუფლისწულოდ იყო შეკაზმული. ალა, რაღა თქმა უნდა, ბედანი, აბიო, მახუნჯავი, ტარიელი და სრულმისიანნი ახლდნენ. მალე ვიდოდნენ, რომ მიანცადამიანც არავის ჩარჩენოდა ახალ-

უფლისწულის საზე. მართალია, მას, ძველთან შედარებით, მოუწოდებდა მხრებამდე ჩამოსულს უკუღმობა ჰქონდა, მგზავრობაში საოცრად შეგავსებულ იყო, ზედა ტუჩზე ღინღლიც მოუჩანდა, კოლხური მზეც ჰქრქალ ბრინჯაოდ დასდებოდა სიხეზე და ფრიად უცვლიდა იერს.

გავიდნენ თუ არა ილორ-მინდორზე, ერი შემოესია. განსაკუთრებით ქალები. უფრო საკუთრივ — ყმაწვილქალები. უღიმოდნენ, უცინოდნენ, აყრიდნენ ფერად-ფერად ყვავილებსა და შერმე დედის კალთებს ეფარებოდნენ.

უფლისწულს თვალი მოსტრა, დააბნია მოყისკისე და თვალუფუნა გოგონებმა, სახეხატულა და ტანწერწეტა ასულებმა, ყელყარყარა გასათხოვებმა, ამდენმა ლულუფამ ერთად! თვალი დახუჭა და გულის ძგერა ძლივს დაიოკა... მაგრამ კისკისი უეცრად გაწყდა ნისლაც შეტოკდა.

წინ დაიხედა და სულ განცვიფრდა. ორი მაღალი შაოსანი დედაცაცი წინ უდგა ნისლას და მის წალურსულ ყურებსა და აქნეულ თავს — არ ეპუებოდა.

ილორის ერი და განსაკუთრებით ყმაწვილქალები ზმაგაკმენდილად იდგნენ.

— რა გიჭირთ, ჩემო ძიძებო? აი, მეც ასეთი მყავდა, თამაით! შენ ხარ? — შერმე მიხედა, რომ აღელვებამ არ სათქმელი ათქმევინა და ვედარ გამოაკეთა, — ყველა ღმერთს ვფიცავ, ორივე მეტად ჰგავხართ!

ცხენს აღვირი მოუწერა. თუმცა ნისლაც საოცარ შემწყნარებლობას იჩენდა. არც მაშინ ვაჯიქებულა, დედებრებმა აქეთ-იქიდან ხელი აღვირში რომ შეავლეს და წინ წარუძღვნენ.

ყველა უსიტყვოდ გაჰყვა. არც თუ შორს, ხის ჩრდილში, ქურქლის გამოსაწევავ თუნთან მივიდნენ. ახლო-მარლოში აბჯროსნები იდგნენ, მაგრამ თუნთან მისვლას, საჭმელისა თუ სასმელის მიტანას არავის არ უშლიდნენ.

— შეილო, აქა ხარ? — თუნის ორმოში ჩასძახა ერთმა შაოსანმა.

— აქ ვარ. — დაგუბული, ჭურის კი-
ლო ამოვიდა ორმოდან.

— შენცა, შეილო? — ახლა მეორემ
ჩასძახა.

— მეცა.

— ვინ არიან? — იკითხა გაკვირვე-
ბულმა უფლისწულმა.

— შენ რომ ისრები გტყორცნეს! —
მოახსენეს აბჯროსნებმა.

— აქ რაღა უნდათ?

— განაჩენს ელიან.

ახლა კი თავი აღმართეს დედაბრებ-
მა, ერთხმად ამეტყველდნენ.

— დედა-შვილობასა, გვიხსენი შენს
ბედს მაგათ უბედურებას ნუ დააბედებ!

— ჩვენი შვილები არაფერ შუაში არ
უნდა იყვნენ!

უფლისწულმა შემომდგარ ერს გა-
დახედა. უგრძობი იგრძნო. ილორო-
ბას ყველა კეთილად განწყობილი იყო.
მისგანაც სიკეთეს მოელოდნენ.

— დამანახეთ!

— ჰეი, ისე დადექით, ზეიდან დაგი-
ნახონ! — თუნის ზახაში ჩასძახა აბჯ-
როსანმა, მერმე გასცილდა.

ბნელ ორმოში მითრიდატემ ისე ჩაპ-
ხედა, როგორც ბნელ მორცეში.

— გერა ვხედავ! ვერც ვცნობი ამო-
იყვანეთ!

აბჯროსნებმა თავი დაჰხარეს, მარტ-
ლას გმირი, ულოდნელად გაუფლისწუ-
ლებული, თქმა არ უნდა, უფლებამო-
სილი იყო. ხელად შუბი ჩააყუდეს
თუნში. ჭერ ერთი ამოსწიეს, მერმე
მეორე. სულ ახალგაზრდები იყვნენ,
ლინლიანები. ახლა იდგნენ „ნისლოს-
ნის“ წინაშე და თვალმოკრილად შეჰ-
ყურებდნენ. მერმე ერთმა თავი დაჰხა-
რა, მეორემ, პირიქით, უფრო ასწია,
ტუჩიც ჩაებინა და ზედ დიდი ღოჯი
გამოუნდა, ასევე ყინაღ დადგა.

უფლისწულმა ჭერ დედებს გადაჰხე-
და, მერმე შებყრობილ ჰაბუჯ მოი-
სართ...

— გაუშვით, ესენი არ არიან! შეგც-
დათ!

— შენ დაველოცოს სიტყვა და მარ-
ჯვენა! — ერთხმად შესძახეს დედებმა.

მოისართავან ერთმა უფრო ჩაღუნა
თავი, მეორემ უფრო აღმართა.

— არა, უფლისწულმა, ასე მოთხარი
მაგლახებ! თუ მბაბტიე, ასე მოთხარი
და სიყვილამდე გემსახურები! თუ
არა და, შენც იცი და მეც ვიცი, რომ
მე ვიყავი! — წამოიძახა ღოჯიანმა.

— ვინ ზარ? — განცვიფრდა, აგრეთ-
ვე. ამაყი და პირამთქმელი მითრიდა-
ტე.

— ოლთავე ლეჩხუმელი ვახლავართ!
— ცხენი გყავს?

— მყავს და არც დამიკლავს. ჩემს
სიგლახავეს სხვას არ ვაბრალებ!

— მიპატიებია! ოლთავე ლეჩხუმელი
ჩემს ამაღაში მომგვარეთ! — თავის
მხლებლებს გადასძახა და ცხენი დასძ-
რა. უკან დალოცვისა და აღფრთოვანე-
ბის ხმა ნიავ-ქარად მოსდევდა.

მაღე ზღვის პირას იყვნენ, საცლავე
უკვე კარგად იყო და ნაპირზე გამოე-
გებათ. მან უკვე თავის „ზღვის მშო-
ბლის“ გამარჯვება და უფლისწულად
გამოცხადება იცოდა, მაგრამ უსეტ მიხ-
ვდა, რომ „ეს მხოლოდ პირველი ნახ-
ტომი იყო ეფეხად დაბადებულისა“
მან უკვე იცოდა, რომ აქ დიდი საი-
ღუმლოება იყო ჩამალული და, ადრე
თუ გვიან, მისთვისაც უნდა ვაგენდოთ
ეს საიღუმლო. და, რაც არ უნდა ვარ-
კვეულოყო, მას უანგაროდ და თავდა-
ღებულად უყვარდა თავისი „ზღვის
ძმობილი“ და ამას აღარაფერი შესცუ-
ლიდა.

პირველ შეყრისთანავე, ჭერ ძმურად
ვადაებვია. გადაჰკოცნა, მიულოცა და
მერმე ზომალდის აშბავი მოახსენა:

— „ამირანზე“ სრული წესრიგია!
სამგზავროდ თუ საბრძოლველად მზად
ვართ! მეზოფენი კი ნისლას პატრონსა
და დაპირებულ „ღმერთების მოხედ-
ვას“ ელიან და შენს ლოცვაში არიან!

— მიიღებენ დანაპირებს, როგორც
კი ზღვაში გავლენ, „თავისუფალ მეზ-
ღვაურთა“ წოდებას მივანიჭებ. ჯაჭვები
ზღვაში გადაჰყარონ!

— მერმე სად არის ასეთი წოდე-
ბა!? — იკითხა გაკვირვებულმა ბედან-
მა, — ან აქ, კოლხეთში, ან იქ. — ხე-

ლი ზღვისაკენ გადაიქნია და სახელი არ სთქვა.

— არსად! — მოსკრა უფლისწულმა, — ამიერთ იწყება, ესენი პირველები იქნებიან! არა, ჯაჭვები არ გადაჰყარონ. აღმებად დიიტოვონ! ტარიელმა დასწეროს საერთო სიგელი, კოლხთა უფლისწულის სახელით, სიგელი ხომალდზე დარჩეს.

ბედანმა იფიქრა, იფიქრა და ბოლოს განცვიფრებით შეეკითხა:

— უჯაჭვოდ გსურს დაბა ხომალდზე? ადრე დაგიწყია ცეცხლთან თამაში!

— ბედან-ბრძენო! ცეცხლთან თამაში მაინც მიწევს. უჯაჭვოდ მე ჩვენს საქმეზე მინდა დავაბა ყველა, არა ხომალდზე! რომს კი ჩვენ თავისუფლებითა და გმირობა-ერთგულებით თუ ვაჯობებთ, თორემ მონობითა და ლაშქართყუობით ისინი მოგვეტყვიან!

ბედანმა ხელები აღაჰყრო:

— გისმინოს ყველა ღმერთმა! შენ თუ შენი ნათქვამის სიბრძნეს ბოლომდე სწვდები, ყოფილხარ ჰილგამეშ, რომელმაც იხილა „სიღრმე სიბრძნისა!“

მითრიდატემ თვალები დახუჭა და „სიღრმეში“ გადაიხედა, მაგრამ თავზრუ დაეხვია და ისევ ნებისყოფასა და მესსაიერებას ამოეფარა.

— მომღვარო ჩემო! „ჰილგამეშინი“ მე ზებირად მახსოვს, მაგრამ ახლა „ამირანის“ ბედი უფრო მამფოთებს, არა ხომალდისა, არამედ ტომთა — ამირანობით ნათესავთა აბა, ვასავზავნი წერილები?

ბედან-კოლხმა გადასცა უფლისწული ტარიელ-უფროსისადმი გასავზავნებრატის კითხვას შეუდგა. აქვე, ზღვის პირას, ხომალდის დასანახავში, მყუდრო ჩეროში მიჯდა და თითქოს პონტოსთან გამართა საუბარი.

წერილი ბერძნული ასოებით დაწერილი ქართული იყო. ტარიელ-უფროსის სახელზე, მაგრამ იმ ვარაუდით, რომ სხვებსაც ქართული ანბანის არ მცოდნე, მაგრამ საიმედო პონტოელთაც თავის თვალთ წაეკითხათ. უფლისწულს ეს ვარაუდობა არ მოეწონა, იმიტომ კი არა, რომ ცუდად იყო

მოთხრობილი მთელი მისი თავგადასავალი, სწორედ იმიტომ, რომ მეტად კარგად და ზუსტად იყო მოყვანილი გზები პონტოს დევნილი მეფისა, მონარქისა, აწ დავაეკაცებულისა და მომავლის ზრახვების გათვალისწინებით კოლხეთის მემკვიდრე-უფლისწულად და შეილობილად შემდგარისა“.

— ამის გავზავნა ასე არ შეიძლება! შენგან მსმენია და ახლა გამოვანერ, რომ კეთილად გისწავლებია. საიდუმლოს კარგად შენახვა, ნახევარი გამარჯვება!

— ახლა იქაც საჭიროა ხალხის გამხნელება! ფრთხილად, მაგრამ აუცილებლად! შენ, ღმერთების მადლით, ადრე დავაეკაცდი! კოლხეთში უკვე დიდი საფუძველი გვაქვს... აწ შორს ნულარ გადავდებთ „ვეფხის ნახტომს“ სინოპეში... იქაც დავიწყით სამზადისი! ყველაფერი ვაცნობოთ!

მაგრამ „მეფე-უფლისწული“ არ დაუთანხმა.

— ან იღუმალ ქართულით მივწეროთ, ან სულ ნუ... კაცი გავგზავნოთ, ზებირად უთხრას, თორემ ამდენი საიდუმლო ერთად, ერთ წერილს არ ენდობის! რომ ჩავარდეს, ყველაფერი გახსნილია! „ვეფხის ნახტომი“ კი ისეთი მოულოდნელი და მომზადებული უნდა იყოს — რომიც შეაჩეროს! გვაზამეგრი და გური ასკანელი გავავზავნოთ! ერთი სხვა დავალებაც მიქნება მათთვის! — მერმე დიდხანს, დიდხანს ჩუმად უმზირა ზღვის შორეთს და ჩუმადვე უთხრა ბედანს, — ჩემი „ადრე დავაეკაცების“ შესახებ კი მე ყველაზე კარგად ვიცი, არასოდეს არ მეგონა თუ ამდენი ბალღობა მქონდა ბუნებაში! ეს კბილებიც უნდა მოვიცვალო! „ვეფხის ნახტომში“ ნუ მაჩქარებთ. მე შეცდომის უფლება არ მაქვს! არც ხელის მოკარვისა, სრულიად ნაღვზე უნდა მივიდე! ამის სიმწიფე კი მყოფნის, სხვაფრივ კი ბევრი სანახავი და შესასწავლი მაქვს, სრულწლოვანებამდე უნდა მოვასწრო!

მაგრამ გვაზამეგრი ჭერაც არ იყო დაბრუნებული. იგი და სკვამურთა ეძებ-

დნენ და ვერ ჰპოულობდნენ. ალისტარხოს კვალი არსად ჩანდა.

„ვეფხისტყაოსნის“ ვითარების მოსამზადებლად, ახალი, უფრო დიდი ვარიანტი, ხომალდის მზადყოფნა და მალე გამგზავრება დაასკვნეს. მხოლოდ ერთს ითხოვდა ახალგაზრდა მენავეთუხუცესი, ვხად აფსაროსში გავლას.

— არა! — მოკლედ მოუჭრა უფლისწულმა და ყურებადღე გაწითლდა. — თუ მამის ნახვა გსურს, აქ დავიბარებ. თუ სხვისა და, არ ვიცი!

— სხვისა? — ახლა სავლაცე გაწითლდა და განცვიფრდა კიდევაც. — მე მამისა და შენს მეტი არავინ მწამს, ღმერთებს თუ არ ვიანგარიშებთ!

უფლისწული უფრო გაწითლდა და ცხენს მოახტა. ნისლამ განზე გაიტაცა და ვიღრე მოდრეკდა, სახეც მოუღვა და ფიქრიც. ცხენიდანვე გადასძახა.

— კვირის სწორს წახვალთ, მამაშენს მე დავიბარებ. სხვათაც. საქმეც მაქვს. თუ მოგისწრეს, შენი ბედი ყოფილა, თუ არადა მე ვიახლებ გოგინას, სტუმრადაც წავიყვან მცხეთას. — ოდნავ დაბნეულად მეტყველებდა, თითქოს სხვას გულისხმობდა. ეს თავად იგრძნო და უფრო დამუყაითდა, — ახლა ტარიელს წაიყვან, ერთი ცხუმს ადით. — ტარიელს კი უფრო ხმადაწეულად მიმართა, — სავლაცეს, მუხამაზარას, გედეს და ზოგს რჩეულთაც ბედანის თანხმობით „ამირანის ფიცი“ მიადებინე, ისე აღარ იქნება დროზე ჩამოდით ფოთს, იქ გვაზასა და გურს დავახვედრებთ და მერმე გავუშვით. მამის განახვით! მეზოფეების სია-ნუსხა შემიღვინე! — მერმე არავის აღარ მოუცადა და ილორისაკენ გაჰქუსლა. ნისლას გამყოლი მანაც არავინ იყო. თან ბედანსა და ამიოს ბეგრი რამ ჰქონდათ საფიქრალი და სათვალისწინო „მეფე-უფლისწულის“ ახალი ვარიანტის შესაბამისად.

უფლისწული კი ილორის რომ მისწვდა, ვაჟკაცობა უკვე ილორ-ნადირბაზე იყო ვასული. ეს „ტყვიან-ღრინი“ არც 2. „მნათობი“, № 9.

თუ შორს იყო, მაგრამ სრულიად უცხური და ილორის ძალით შეუქვალი და გაუქვალი უღრანი იყო. უფლისწულისათვის მუხამაზარე და ამაღაც კი გაჩინა მეფე-მამობილს, მაგრამ ვაჟიბედიამ არავინ არ იახლა. თავის ქერქში ვერ ეტეოდა, ერთი თავდასავიწყარი გალაღება სწადდა. გრძნობდა, რომ ესეც „ბაღლურ ბუნებისა“ იყო, მაგრამ მობეზრდა მუღმივე დაჰქიშლობა და თავთან ბრძოლა. „ბუნება ითხოვს თავის კბილმოსაცულებს!“ გაიფიქრა და კბილიანი კი არა „ლოჯიანი“ მეგზურიც მოულოდნელად აღმოაჩნდა.

— მე და ჩემი ცხენ-იარაღი სიკვდილამდე შენს სამსახურად ვართ!

— ორმოციდან მოსულო, შენ ხარ? ლოჯიანო! — კბილების ჩენით გაუღვიძა ჰაბუქმა.

— ორმოციდან ლეჩხუმიდან მოვედი და არც ძაბუნი, კეთილშობილო!

ეკატორი შეკრთა, რამდენი ხანია ასეთი სახელი, მართალია, ქართულად თარგმნილი, მისთვის არავის არ უწოდებია. ახლოს შეავიკრდა და პირდაპირ ისარივით აძგერა:

— ჩანს შენ ბერძნულიც და ბევრი რამ სხვაც იცი, ლოჯიანო მოისარო!

— ბერძნულია რა მოგახსენო და ქართულ-მეგრულ-სვანური კილოები კი დიახაც კარგად! — თვალგამართულად შემოჰხედა, ლოჯი უფრო გამოაჩინა და მანაც პირდაპირ უთხრა:

— ლოჯი კი ყველასა გვაქვს, ზოგს გვიჩანს და ზოგს არა! და, ვინ იცის, რომელია უმჯობესი და უფრო ვაჟკაცი!

მითრილაცეს კვლავ გაეღვიძა, არა, ასეთი პირდაპირი და მიამიტი არ შეიძლება, რომ ტყუოდეს.

— ეგ რა სიმართლე მითხარი? ჩემს ორმოცი ხომ არ ავღებ კენჭებს?

— წამიყვანე და მეტსაც გიტყვი. გაამეზ ჩემი ლოჯიანად!

— წამოდი! — და ცხენი ტყის ბაღკე გაახტუნა, მაგრამ მალე შედგა. ბილიყები კუდელ-ქვაჩალა მელიებივით ბარდითა და სურათი შეკრულ

ტყეში ძვრებოდნენ. აქ მოსწვდა მის ოლთაყე.

— ნისლას, კეთილშობილო, ისარი ვერ დაეწია... მე და ჩემი ცხენი რას დაეწეოდით, მაგრამ ტყეა ღოჯიანი და რას იზამ? მე გამიშვი მეწინავედი! აქ ვერ გავალთ, ცხენსაც ზედ შევატოვებთ და ტყავსაც!

— აბა, იარე!

ოლთაყემ ბილიკს სულ უგანა და ლე-ლე-ლეუ ააყოლა ცხენი, მერმე მაღალ ტყეში შევიდა. ახოვანი, ბობოწვერიანი წიფლები ცათამდე აშვეტილად იდგნენ და თავის თეთრნაცარა ტანზე, ფოთლების ცხვეტებში ძლივს გაცრილ სხივებს ჭაჭვის პერანგით ალივლივებდნენ.

— სად ვართ?

— სახელი არ ვიცი. ვგრძნობ, მარცხნივ მაღლობია და შვეჩრნალი იქნება, მარჯვნივ — ჭაობი, ლაქაშები და ლია.

— მარცხნივ მაშინ.

სულ მალე შვეჩრის კედელი დახვდათ. თავზე კი წაბლის დიდფოთოლა ვარჯები მწვანე ცად გადმოსდგომოდა ვარემოს.

— ამაში მართალი გამოდექი. მონადირენი სადღა არიან?

— ახლოს არიან. ისევ წიფლნარს გავყვით.

— გრძნობ?

— ცხენი გრძნობს.

მართლაც, ცხენებს ყურები დაღურსული ჰქონდათ. ცოტაც და, ძაღლების შორეული წყაფ-წყაიცი მოისმა.

— ვიჩქაროთ. საფრებში არიან, გაუშვეს მღვერები!

მალე ტყე შემეჩხრა და დადაბლდა. უეცარი დაბალბუჩქნარა, ლოყებბურცულა მინდორი გაიშალა. აქა-იქ გუნდ-გუნდად ცხენოსნები მოფარებულად იდგნენ. მრგვალი, მოკლევარფლიანი, ბოთელილი ქუდები ეხურათ. კაპარჭებ-წინ მოეგდოთ, ფერად-ფერადი ისრების ბოლოები ჩანდა.

— სევანებთან მოვხვდით! — უმაღ იცნო ლეჩხუმელმა.

— სევანებთან! მაგათ, ალბათ, კარგი ნადირობა ეყოდინებთ?!

— ძლიერი!

— ეს ფერადი ისრები რაღად უნდათ?

— თითოს თავისი ვაჟაკური ახვარიში აქვს! მაშ როგორღა ვაარჩიონ — ვისი ნაკრავია ნადირი?

— აქ ვრჩები! — და ცხენი ერთ-ერთ გუნდთან ახლოს მიაგდო. ყველამ მოხედა. ხმა არც ერთს არ დაუძრავს. გაპარჯობაზეც თავი დაუხარეს, მაგრამ ხელით სიჩუმე ანიშნეს. აქ ყველა თანასწორი იყო. ძაღლების წყაფ-წყაიცი ახლოვდებოდა.

ოლთაყე მიეახლა და კაპარჭში ისრები დაუთვალა, თავისი დაუმატა და სათითაოდ ღოჯით დაადა.

დაბალ ბუჩქნარს შორის უკვე მოქჩროდნენ შვლები, ირმები, მგლები, ტახებიც კი გადმობტნენ და გაჯირგალდნენ.

უფლისწული ცხენითურთ მოსხლეტახე იყო, მაგრამ ყველა დაძაბულად იდგა და რაღაცას ელოდა. მერმე სრულიად მოთლოდნულად ერთმა სევანმა დაბალხმინანი სიმღერა-საგალობელი წამოიწყო უფრო შესძახა.

— თია... თიალე!

— თია, თიალე! — ისარმოზიდულმა სევანებმა ჰეპუნმა მისცეს და დაძაბულად დასძრეს ცხენები. არავინ არ ჩქარობდა, თითქოს კვლავ დღეობაზე იყვნენ და არა ნადირობაზე. თუმცა, ვგონებ, ნადირიც შეკრთა და შედგა.

მერმე ძველ საგალობელსა და საფერხულოს, მოძახილი აეკიდა და ცხენებმაც სვლა ააყოლეს.

— თია, სევანებო! სანადროდ გამოსულებო!

თია, სევანებო! მოდგა ტყითრი, მოირეკა!

დავძრათ ცხენ-ფერხული. მშექოთ თია თიალე.

და უფლისწულს თითქოს ახლაც მოედო უხილავი ქამანდი! ცხენ-ფერხულის ხმა და რხევა შეუდგა მასაც და მის ცეცხლა-ნისლასაც.

ყველა ფერხულის კილოსა და სვლას მიჰყვა. გუნდი თანდათან გაიშალა ვრცელ ბუჩქნარეთში, მაგრამ ცხენ-

ფერხული და ომახიანი კილო თითქოს უფრო შეშვიდროვდა და მოგუგუნდა.

„ბედაურ-ფრთიანო, ისრებ-ფხიანო, ოიალე! ვავუგუნოთ გვართ-სანადიროდ თქმული ოიალე! შუმრას და შხარას არწივებო, ოია, ოიალე!“

ნადირთ ტალღა შებრუნდა და უკან მომრევთ მიეტანა სევანთა გუნდი უმატებდა დევნასა და სიმღერას. ჭენებში გავარდნილი ფერხული ძლიერდებოდა, ნადირობისა და ზვავის ცეცხლს ერთად იმატებდა. მითრიკატეს უკვე აღარ ახსოვდა თავისი თავი და სახელი. ზმაც აუწყო და ცხენის სრბოლაც ამ გაუგონარ ფერხულს.

— უტებ ჭალებში, ბოძალებით და ვინაშნავთ ხარ-ირმებს! ჭიქის ტყავსა და ეშვებს ავაკრავთ საომარ ფარებს! ცოცხლად დავირჩენთ ახალმთვარა უმანკო ნუქრებს. მივართმევთ, ვისაც ჩვენი გული ემორჩილება!

ოია, ოიალე... ოია, ოიალე... მერმე ისრებმა იწივლეს. ირმები გადახტნენ და გადაიჩენენ ბუჩქნარების მიღმა. ცხენებმა გაასწრეს ფერხულსა და სიმღერას. ნისლა გაწინაურდა. მის მხედარს შთელი ნადირობის განმავლობაში ყურსა და ძარღვში ესმოდა ცხენ-ფერხულის ეღერა და ძგერა. ასევე „ოია, ოიალეს“ ძახილით სდევდა მრავალ ნადირს. სტყორცნიდა დაღოჯილ ისარს. ხან ტახი იყო, ხან ფოცხვერი, ირმები, შვლები. ყრუ ადგილას დიდ დომბასაც გადაეყარა, აღარც მოსცილდა. მრავალჯერ სცა დიდი ბოძალი და ძლივს დაამაგრა. ნადირი კი სულ ბორიალობდა. ნაირ ფრინველს ხონ ნულარ იტყვიოთ. მაგრამ არავინ არ აფუშებდა ისარს.

ხოხობი კი ამ ტყეში ღმერთების ფრინველად ითვლებოდა და მათი მოკვლა ცოდვა იყო.

გული მაინც ვერ დაიცხრო გახელბულმა მონადირემ. ეს არც ომის დავ-

ლურს ჰგავდა, არც დღეობის არულს. განუმეორებელი რაღაც რეკო სიმღერის ანი ნადირობა ამის მეტი არც ენახა, არც გაეგონა. ერთიღა ჰქონდა სახანულად, „ახალმთვარა უმანკო ნუქრები“ ვერსად ვერ ნახა!

ბოლოს მომრევნიც ნახა. მოდიოდნენ და მოკლულ ნადირებს აგროვებდნენ, ოღონდ ისრებს არ აცლიდნენ. უბან-უბან აქუჩებდნენ.

ცოტნე სახლთუხუცესი იყო მონადირეთუხუცესიც და ნადირობის უფალიც, რადგან მეფე-მოგვი არ ჰქლავდა ნადირს.

ნანადირევი ისრის პატრონის გვართომობით ნაწილდებოდა. ილორისა და გვართომის საკუთრებად ითვლებოდა. ილორი იყო ნადირთბეაჯიანობის მსაპინძელი, ერთ ხარს „იპარავდა“ და მრავალ ხარ-ირემსა, შველსა და სხვა ნადირს უკან უბრუნებდა მლოცველთ.

მითრიკატემ კილევ იბორიალა ერთხანს. მაგრამ „მისართმევი ნუქრები“ ვეღარ მოიპოვა და, ალბათ, კიდევ არ გამობრუნდებოდა, თავისი ლტოლვესათვის უფრო შედინჯებული ყურადღება რომ არ მიექცია...

— ვისთვის მისართმევი? — ხმაძლულად შეეკითხა თავის თავს, — და მერმე ცხენ-ფერხულის ლექსითავე უპასუხა, — ვისაც ჩვენი გული ემორჩილება!

ახლა მოაგონდა, რომ საველაკეს „მამისა და სხვათა“ დაბარებას შეჰპირდა, და ახლაც „მისართმევი საჩუქარს“ ეძებს! — ფიქრი ძალდატანებით გაკვნიტა, ნადირთ კალოს უგანა, ეუბრა-გალაყანს მიაშურა.

სვანებმა თავისი ნანადირევი რომ დასთვალეს და დაამტკიცეს, კარგა დიდი კალო შედგა ნადირთა, მაგრამ ახლა ლეწხუმელი წამოდგა და დომბას დაადო ხელი, სხვა, ჭერ პატრონგამოუჩენი ნადირებიც ვასიწვა.

— ესეც სევანთა გუნდს ეკუთვნის! ბევრი სხვაც! მათი ვალობის წყალობაა! აბა ისარი ვაუსნიწეთ!

ყველა დომბას შემოადგა, ასეთი დი-

დი, კარგა ხანია არ გამოჩენილა ილორის ტყეში. მაინც ყველა გაკვირვებულნი და გახარებულნი დარჩა, როდესაც გამოირკვა, რომ დომბაც შეეწყობა გამოდგა.

— გასამდა! მადლი ილორის — შესძახა ცოტნე სახლთუბუცესმა, — მოახსენეთ მეფე-უფალს! — მაშინვე აფრინა მაცნე, თავად კი ისარი ფერდიდან, ფაშვიდან და პირდაპირ მკერდიდან ძლივს ამოუღო.

— რა ძალით დაურტყამს ასე როგორ გაუბედა წინ ვაღარბენა? ვინ იჩემებს! რა ნიშანია ისარზე!

— კბილი! — ხელი ასწია ოლთაყემ.

— აბა ეს რა ნიშანია? არ ჩავთვლი! კბილი ყველას აქვს! — გაწყრა ცოტნე, — მონადირულ ტყუილს ვერ იტანდა.

— ყველას ასეთი აქვს! — და თავისი ღოჯი აჩვენა ოლთაყემ, — აბა დამაზმანეთ!

სამივე ისარი დააზმანეს და, მართლაც, ზუსტად ღოჯი ისრის ქდელში ჩაჯდა. ახლა ბევრი სხვა ნანადირევიც აღმოჩნდა ოლთაყეს კბილზე დასაზმანებელი.

— ეს სულ შენ ხარ? — განკვივრდა ცოტნეც და სხვანაც, — შენი მცნობო თუ არის აქ ვინმე? ვინ ხარ? შენც სვან ხარ?

სვანები კი სდუმდნენ. არც სხვა ვინმე ჩანდა ღოჯის ქომაგი, მაგრამ ოლთაყე არ შეეპუა არავის:

— მე რა ვიცი, ორმოში ვიჭექე... ის კი აქ არ არის! რა ვიცი, რა ვანზრახვა აქვს!

— რას ბლანდავ? შენი ნაყოფიერია ეს ისრები? — ახლა კი პირდაპირ შეუკითხა ცოტნე.

— ჩემი დანიშნულია. მარჯვენა კი... ოლთაყე კვლავ აქეთ-იქით იხედებოდა, მაგრამ არც ბედღური და არც რისი პატრონი არსად ჩანდნენ.

— ის ალბათ ახალმთვარა უმანკო ნუკრებს ეძებს! — ბოლოს იაზრეს სვანებმა. ახლა კი მათაც გახსნეს ბაგენი, — ნამდვილად აგრე იქნება! ჩვენმა ცხენ-ფერხულმა გაიმარჯვა, უბუცესო!

ის ვაჟკაცი კი ნისლაზე იჯდა და სულ ბოლოს შეგვიერთდა! დაკრძალვამ თავად არ ამქლავნა სახელი, ჯარკიჩვენი გან ითქმის! კეთილი სტუმარი ყოფილა სვანებისა, ფეხბედნიერი!

სახლთუბუცესმა მაშინვე ინიშნა და ნადირთ დანაწილებას ბოლო მოუბა.

— დომბა — ნისლა მონადირეს, ილორის შესაწირავად, დანარჩენი ღოჯისრიანებიც მისია და ღოჯიანმა ეპატრონოს! ილორ-ნადირობის ჭილღო-სიმღერას, ცხენ-ფერხულს და სვანთა გუნდს!

ზედაც დავგიანებული ლაკადელი მონადირეები მოვიდნენ და ორი ნუკრი ცოცხლად მოიყვანეს.

— ნუკრებიც „ნისლა მონადირეს“, ჩვენს უფლისწულს მიჰგვართ!

ნისლა მონადირე კი უკვე მამობილთან იჯდა და იბერიამი სტუმრობისა და მოციქულობის ვარაუდებში იყო. მარტონი იყვნენ. უკვე მამობილ-შვილობილი, ერთი საქმისა და ზრახვისათვის თავდაწერილნი. ჭერ დიდბანს სულ ჩემად შეკუთრებდნენ ურთიერთს და სდუმდნენ. მერმე მსცოვანმა დიდი უშუალობით ხელი დაადო მხარზე და ზურხულით უთხრა:

— შეილო, შენი იმედით ვარ ამიერიით. და შენს ზრახვებში მუდამ გახსოვდეს მეორე მამა, რომელსაც შენთვის პირველ მამაზე ნაკლები სიკეთე როდი სწავდს! ახლა კი საქმე, ქვეყანა, მომავალი!

და პირდაპირ ადერკ მეფესთან შეყრახე გადავიდნენ. უფლისწულმა თავისი ორქოფული, „მკვდარ-ცოცხალი“ მდგომარეობა მოისაბუთა და დიდსა და მდიდრულ ამაღლებულ უფრო განაცხადა, ნამობილიც დიითანხმა. მაგრამ მსცოვანმა შეფემ უფრო დიდი რამ შესთავაზა.

— ადერკს ახლა მტრები აწუხებენ, ჩრდილოეთიდანაც და აღმოსავლეთიდანაც. იბერიამი გაერკვევი ვითარებაში და, თუ საქირო შეიქნება, რჩეულ ლაშქარს მოგცემ, იბერთ ლაშქრის დასახმარებლად! ეს ვარაუდად გქონდეს! ხელდამშვენებულად მიხვალ, ისე რო-

გორც ქუჩის ტახტის მემკვიდრეს შე-
ეფერება!

უფლისწულს ფრიად იამა ასეთი გუ-
ლისხმეობა. ხოლო თავის მხრივ
სთხოვა, აფსაროსის ჯიხასთავის გოგონა
სარფელისა და კიდევ რამოდენიმე კა-
ცის გამოწვევა ციხე-გოჭში ან ფოთში.

— გოგონა, სავლაცეს მამა და მისი
შორს გაგზავნის წინ მინდა ვაჩვენო!!!
ახალგაზრდებს კი ჩემი მიზნებისათვის
„სარგო-კარგოს“ ახლავ ვარჩევ და
ვაჩვენებ, მეც ვერჩევ და, როდესაც ხე-
ლი და ხილი დამიშვიფდება, მებაღე-
ნიც მზად უნდა მყვანდნენ!

მოხიბლული მოხუცი ყველაფერზე
დაჰყვა.

ნაამებმა მითრიდატემ ერთი უამური
ამბავიც გაიგო — ალისტარხო აქამდე
არსად ჩანდა და თითქმის სქვაამგურმაც
არა იცოდა რა. ამჯერად ველარც გვა-
ზა-მეგრის გაუგო რამე. გოჭმა ჩაფიქრე-
ბულად დაასკვნა:

— ან იბერიამი აპირებს წასვლას,
ან ზღვის იქით! ერთადერთი — წყლის
ამღვრევის მიზნით!

— ასე მალე ვერ წავიდოდა. ასევე
ციხეში შეაფარებდა თავს. სქვაამგურს
ნუ ვაუშვებ, უიმისოდ ვერ წავა!

— აზრიანი რჩევას! — მოუწონა მე-
ფემ, — მაგრამ არც აქ მინდა მისი
ყოფნა! მეძებრის ყნოსვა აქვს!

— ვაგლახ, რომ ექმმარიტი ბრძანე-
ბაა, მამად რჩეულს! შეხეთლები წყლის
ასამღვრევედ, ჩანს, ყველგან წავლენ.
მცხეთაშიაც, სინოპეშიაც და რომშიაც.
თუ ხელი მისწვდათ!

— მართლაც ვაგლახ, რომ მტრული
ხელი ჩვენში, მტრის დახმარებით,
თითქმის ყოველთვის უფრო გრძელია,
ვიდრე მოყვრისა, მოყვრების დახმარე-
ბით!

— რთულ-ბატოვანია, მაგრამ იმდე-
ნად სწორი, რომ მაინც გასაგებია!

კიდევ დიდხანს ისხდნენ მარტონა.
სიტყვებითა და აზრებით ეალერსებოდ-
ნენ ურთიერთს. ახალ საქმეთა მამა-
შვილმა, მიუხედავად წელთა ფრიად
დიდ განსხვავებისა, ბევრი საერთო
პოვეს. ასე თავისუფლად, როგორც

უფლისწული ვაჟიბედია გოჭი-მეფეს,
ვგონებ, ჰაბუჯი მეფე მითრიდატე კერ
ესაუბრებოდა თავის მწუქრთხელსა და
პირველ შთამავონებელს — ბედანი-
კოლხსაც!

ილორ-ნადირობის შემდეგ კიდევ ერ-
თხელ დაზავდა სამწვადე ზორცი, სავ-
სხვერპლოზედაც და სუფრაზედაც. ახ-
ლა უკვე პირამბული ნადიმი ჩაება
ილორ-მინდორზე, კუბრა-გალაფანში,
ანარიასა და დალიძვას პირებში... სა-
დაც კი მიწა იღებდა სუფრას, ქარ-
თველ და ქართველურ ტომთა მიწა-
წყალი კი ყველგან იღებდა და იფერებ-
და მსხვერპლსა და სუფრას... და, იქ-
ნებ, ჰარბი სუფრაიანობაც ჰარბი
მსხვერპლიანობით იყო გამოწვეული.
ჰარბი მსხვერპლიანობა კი ისტორიულ
ბედ-უცუღმართობითა და გარემო
მდგომარეობით!

ახლა მეჩანგეთა, მეჩონგურეთა, ლარ-
ქემის დამკვრელთა დრო დადგა. სუფ-
რის თავებში წამოღვნენ, ჯერ უხმოდ
ააქლერეს სიმები, მერმე ხმაც შეაბეს
და შეუკიდეს. ლარქემის ღულუნა კი-
ლო ყველგან გაჩნდა, თითქმის ყოველ
მოსხუცს აღმოაჩნდა ჩოხის უბეში ხუთ
ან ექვსსაღროვანი სოლინარი... ახლა
მთელი საალორო ერთ, მთლიან, მრავ-
ალათასოვან დასტა-გუნდად გამოის-
მოდა.

გოჭი-მეფემ, ეღერა-სიმღერის ხმა-
ურში, ერთხელ კიდევ იწვია სქვაამგური
კოლხურ-მოქნილად და მოიარებით შე-
აგონა. უფლისწულის მიერ ალისტარ-
ხოს შენდობა და პატივბაც თავის პი-
რით აუწყა, „იღბათ, უნებურ, მოუფიქ-
რებელ საქციელის გამო, თავდავიწყ-
ებულ მარტულას დროს“... სიტყვაც
მისცა „შვილის უენებლობისა“ და უფ-
ლისწულის ამალოსნობაც კი შესთავა-
ზა. „დაე, ახალთაობის ხალხმა თავად
გამონახონ კეთილი ურთიერთობის გზე-
ბი, ჩვენ კი ბრძნულად ხელი მოვუშარ-
თოთ!“

სქვაამგურმა მსცოვან მეფესა და
„უეცარ უფლისწულს“ დიდი მადლიე-
რებით სამსახური აღუთქვა და ალის-
ტარხოს პოვნა და მოყვანა „ბოდიშის

მოსახდელად“, პირველ ყოვლისა დაპირდა და დაეთხოვა.

ილორიდან თანდათან წასვლა იწყეს. ჭერ შორი მგზავრები დაიძრნენ სიმღერა-გალობითა და ქრიაშულით. თანაც უსათუოდ ლარქემის კილოგაბმულ დაკრით. ლარქემი ხარიბაჩის საკრავდაც ითვლებოდა და ილორის სულა ყველაზე უფრო სწორედ ლარქემით მიჰყვებოდა მლოცველთ.

მაღე მეფიონიც დაიძრა უკან, თავის უფლისწულითა, საპატიო სტუმრებითა და მოაბჯრებით.

ქეჯის ციხეში მობრუნებისთანავე სწერდა გოგიჩა სარფელს „მკურნალის შეგირდი“.

„სავლაცეს მამას აფსაროსის ციხას-თავს, პატივი და მოწყალება! მოგაგონებ თავს შეგირდი და თქვენი ძის „ზღვის ძმობილი“. მოგიწოდებთ და ამაზე არს ნება მეფე-უფალისა ჩვენისა, გვეწვიოთ ფოთს, წერილის მიღების შემდეგი კვირის სწორის არა უგვიანეს. ძისა და მისი მეგობრების სახილველად.“

მერმე დიდ ხნის გზა გველის, ყველას, აღმა-დაღმა, ზღვასა თუ ხმელთხე!

და თანამოიყვანეთ, რამოდენიც გყავთ ოსტატი — მებომალდე. და თანაიხალეთ ალციანდრე მუსხა-ჭმუსხა და, საერთოდ, ვინც გულით მოინდომოს ნახვა ჩვენი — ერთობლივ, ვშთებით მლოდინად და ღმერთებს ვთხოვთ მფარველობას თქვენსა და ჩვენსა!

მკურნალის შეგირდი და უფლისწული ვაჟიბედია სპერელი“.

და სწერდა ლულუფას ცალკე და ფარულად.

„ლულუფავ, შენთან ერთად შეწირული გწერს. უეცრად შეყრილი და საოცრად გულწაღებული. ყოველ გზაზე შენსკენ მოგაძენებ ბედსა და ბედაურს, მაგრამ გზა ხოკერასა ჰვავს, იკლანება და სხვაგან იხრება! ყოველ ჩრდილში გელი, მაგრამ, აბა, სადა ხარ!? ჩვენ ხომ ჩრდილები მოგვეყვითეს

და დაგვიყარეს აფსირტობისას. ახლა ურთიერთის ჩრდილები თუ ვართ და თუ შენც ასე გრძნობ ლულუფავ, შეწირული ზღვაო და ხმელეთო, ფოთს გამოჰყევ „იმის მამას!“ ან იქნებ სხვა უჩივრბესი გზა გამოიხსოს!? ამის მომტანი კი შეველს მოგვეყვს!

ამ წერილის შესახებ ნურვის ნუ ეტყვი. ეს იყო ჩვენი პირველი საიდუმლო! მაგრამ ჩემთან გამოჰყევ, არა სხვასთან. ან ნუ წამოხვალ და აკვანშა დარჩი, მაგრამ აკვნი ბედი, ბედისწერას ვერ აღუდგება! და თუ მე ავად ვზრახავ, დაე, მაპატიონ ღმერთებმა და სულგრძელმა ადამიანებმა!

— შენთან ერთად შეწირული“.

რომ დასწერა, ჩამივბით ჩაიციტხა. ახრი კი იყო, ფარული ცბიერებაც. გული კი თითქოს არა! „ნუთუ ეს არის ჩემი ღოჯი!? — და ისე ენიშნა და ეწყინა კიდევაც, რომ თავის აღმასკრიალა კბილებზე ხელი უნებურად გადაისვა. მართალია, ღოჯი ვერ ნახა, მაგრამ წერილის გაგზავნა მაინც გადაწყვიტა.“

ჯიუტი კაცი ხომ თავის „ღოჯშია“ უფრო ჯიუტი!

ორივე წერილი ცალ-ცალკე დალუქა. თუმცა გაგზავნის თარიღზე მაინც ბევრი იფიქრა. ახლა კაცის შერჩევაზე. ბოლოს ისევ გედზე შეჩერდა, არა ღოჯიან ოლთავეზე.

გამოიძახა, პირველი წერილი გადასცა და წასვლის დღეც, სავლაცეს დაწერუნებასთან შეთანაბრებულად დაუთქვა. მაგრამ არ გაუშვა. მეორე წერილის გადაცემას კი, საერთოდ, აგვიანებდა. ისევ თავის „ღოჯს“ ებრძოდა. სულ ნათლივ ვერც წარმოედგინა, რა სწაღდა!? თავი ვეღარ გაართვა გრძნობებსა და ფიქრებს და ერთხელ კიდევ „გადახტა ხიდიდან“. თუმცა ეს სულ „ბალღურ“ საქციელად ვეღარ ჩაითვლებოდა.

— ეს წერილიც წაიღე, — მეორე დალუქულიც გადასცა, — ცალკე ჩაიკრე უბეში. თავად მიეცი ხელში. ცალკე არც არავისთან, კრინტი!

გედემ გამოართვა და ხელში დააყო-

ნა. მაგრამ მეტს აღარაფერს არ ეუბნებოდა უფლისწული.

— მერმე ვის გადაეცე?

— ლულუფას. ვახსოვს? — ძლივს ამოთქვა ვაჟმა.

— ლამაზ ლულუფას! სავლავესაგან აკვანში დანიშნულს! — ხელად გაიხსენა გედემ.

— დიახ, ავრე. უნებურად დაუდასტურა დაბნეულმა ტრფიალმა და პირი იბრუნა, — „ნუთუ ასეთი ტყუილებიც უნდა დავიწყო?“ — გაიფიქრა და სიწითლის დასაფარავად გედეს ზურგი შეაქცია.

როდესაც მობრუნდა, აღარც სიწითლე ჰქონდა სახეზე და გედესაც „საკოპმანო“ წერილი უბის იქით გაეფარებინა. ახლა უცნაურდასკვნიანი ფიქრი ამოებოდა ყოველ მხრივ აღრე შემწიფებულ ყმაწვილკაცს.

„პირველი ტყუილი პირველ სიყვარულზე ძნელი ყოფილა!“ და მხოლოდ აქ დაებადა სიტყვა და მიხვედრა სიყვარულისა — „ნუთუ სწორედ ესა მჭირს?“ ეს კი შეატყო, რომ ტყუილის პარკეცა უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე „სიყვარულისა!“ მაგრამ ბედის წილი ყრბილ იყო, წერილი გადაცემული ახლა ზელს მოიჭრიდა და უკან აღარ გამოართმევდა წერილს!

ახლა ისე უნდა მოსულიყო ფოთს „მეორე წერილის მიძღები“, რომ მისი „აკვანში დანიშნული“ უკვე წასული ყოფილიყო ფოთიდან!

„ეს უკვე ტყუილზე მეტია! ეგონებ, სწორედ ამას ჰქვია ვერაგობა?“ — და, მიუხედავად ამ თითქოს და პირუთენელ მსჯელობისა, აზრი სრულიად სხვაგან მიუხსნა, — უეცრად თავს შეეკითხა, — „ასე ჩაძიებით მას რომ ვწერ და ჩემთან მოსვლას ვავალბებ, იქნებ მას სრულიადაც არ მივაჩნივარ და აკვანში დანიშნული სწავს!“

— დღესვე წავიდე? — შეეკითხა გედემ.

ახლა ამ ბუნებრივმა შეკითხვამ სულ არია ისედაც დაბნეული. ბოლოს ესეც სააღალბედოდ გადასწვია.

— არა, ხეალ. ნურც თავს მოივლავ გზაში! წერილში თარიღია, ვუკიჩა საჩუფელთან ერთად. ან ცალკე დაბრუნდები. როგორც საქმე მოითხოვს! გოგიჩა კი ხალხსაც წამოიყვანს, მეზომალდეებს!

გედეს წასვლისთანავე, უფლისწული ტეხურის გვირაბში ჩავიდა, ოლთაკეცა და თოლიგეც კართან დასტოვა. მეკინიბენი კი ცხენების მოსაყვანად გაგზავნა.

თავად სამოსი სასწრაფოდ გაიცილა და გვირაბის ჩრდილშივე ტეხურში ჩაწვა. მისი ტალღები ვრილი, შავი ნაბადივით ტანზე შემოიყენა და პირსახიანად წყალში ჩაეფარა და, ვიდრე სული არ შეეხუთა, არც ამოჰყო თავი. მერმე გაუმშრალებლად ჩაიცივა სამოსი და გვირაბი უკან ამოიარა.

ნისლა უკვე ელოდა. მოახტა და ხილია კართან მიავლო. ოლთაკე და თოლიგე ცხენდაცხენ მოჰყენენ. ერთად გადაეღეს ტეხურის ხიდი და ეკის მთისაკენ ტყე-ტყე გაემურნენ.

— აბა, ოლთაკე, ახლა კი წაგვიძეხ! შხეთის ვიხა ვნახოთ!

ლეჩხუმელი დაწინაურდა. ასე უხმოდ დიდხანს იარეს. უფლისწული ძლივს ამავრებდა ცხენს. ახლა სულ დააგდეს გზა და ბილიკ-ბილიკ გავლეს ტყიანი მთის ფერდი. მერმე აღარც ბილიკი იყო.

ოლთაკე მაინც არკვევდა სავალს. ეკის მთა იყო გეზის მიმცემი. მალე შხეთის ციხეც გამოჩნდა. მხედრები ვაკრიდნენ და ვასწვრივ მთას აეკიდნენ. მაღლა რომ მოექცნენ, უფლისწული დაქვეითდა, მაღალ ხეზე ავიდა და შხეთის ციხე დაზვერა.

კარგა დიდი და მაგარი ციხე ჩანდა, კომემაღალა და ეზოშეკრული.

— იღუმალი სავალი იტის? — შეეკითხა ხეზე ამომძვრალ ოლთაკეს. რომელიც ნამსახური იყო ალისტარხოსთან.

— შიგნიდან ვიცი. ვარეთ, სადღაც, ზეობის ქვედა ნაწილში ვადის.

კარგად რომ დაზვერეს იქაურობა,

ცხენოსანი შენიშნეს. ისიც ტყე-ტყე მოდიოდა. თვალი გააყოლეს და ქვედა ხეობაში ჩაიკარგა.

— წავედით. — ხიდან ჩამოძვრა უფლისწული და ცხენს მოახტა. ცოტა ხანს ცხენებით იარეს.

— ახლა ფეხით აჯობებს. არ შეგვნიშნოს! ან ციხიდან არ დაგვინახონ! მზერაეები ჰყავთ! მეც ვყოფილვარ! — ჩუმად შეჰხედა ოლთაყემ.

— შენ კარგა გამკრიახი ჩანხარ! — ჩაეღიმა ვაჟიბედის და ჩაქვეითდა.

— ერთხელ მივჭარე. ახლა ფერთხილობ! ალისტარხო კი ფრთხილად ვეჩაგია!

ბნელ და ტყიან-ბარდიანით ჩაბუბნულ ხეობაში ჩამი-ჩუმი არ იყო. ოლთაყე ოღნავ გაკვალულ ბილიკს წააწყდა. ზედ ახალი ნაველიც ეტყობოდა. მიპყვნენ და ქვაბს მიაღგნენ. მშვილდ-ისრები მოიძარჯვეს და შეიხედეს.

შიგ რჩეული ცხენ-ბედაური ება, ძვირფასად მოოჭვილ-აღკაზბული. კისერზე ქერით სავსე თოფრა ეკიდა.

— ალისტარხოს მარჭაფა ბედაურია! ცხროლია! — ლოჯში აჩურჩულდა ოლთაყე.

— მამ აქ ყოფილა. საღამომდე არც გავა. ქერს დამიხედე! — მიმოიხედა და მოათვალიერა უფლისწულმა.

ოლთაყემ კი გვირამ-სავალიც მოსინჯა, კარგი მეძებარივით მიყნოს-მოყნოსა იქაურობა.

— ეს არის საიდუმლო სავალი! ცხროლია კი ნამზავარი ჩანს! არც ამ ცხენის ღირსია ალისტარხო. მარტო რომ ვეყო, წავეგრიდი კიდევაც!

— არა! მივიშვებს, ნალზე რომ ნიშანი დაადო?

— მიიშვებს, — ოლთაყე მივიდა, ფაფარზე ხელი გადუქსეა და წინა ფეხი ამოუწია. — რა ნიშანი? შე მკედელი ვარ!

— ჰოდა, ამა, შენ! — უფლისწულმა თავის ისარს რკინის წვერი წასტეხა და გადასცა, — ნალის გულში დაუჭარე, კვალში რომ ნიშანი დარჩეს!

— დიღუ. რა ყოფილა? — ჩუმად შეიცხადა ლოჯინმა და თავის ახალგაზრდა ბატონს უფრო მოწიწებით შეჰხედა, — არა, ვაჟკაცი კი ბრძანდებით, მაგრამ აშდენი მოხერხებაცი? — ისრის წვერი მყარად გაუმაგრა ნალში და ცხენს ისევ მოეფერა, — იარე „ისრის კვლიანო!“ — ფეხი დაადგმევენა და მერმე კვალს დაჰხედა — ათას კვალში გამოვიცნობ!

— ჰოდა, შენ გაბარებ! უკან არ გაქყვე. მოგვიანებით მიპყვე კვალს. მისი ასავალ-დასავალი და კვალის ბლანდვა უნდა ვიცოდეთ! ჯერ აქ უთვალთვალე!

— ბრძანება თქვენი! გოჯის ციხეში დაბრუნდა თუ არა, სასწრაფოდ გვაზა-მეგერი იხმო.

— რას იძახის სქვამგურ შხეთელი? დაბრუნდა ალისტარხო?

— არა, არ დაბრუნებულა!

— როდის იყავი?

— გუშინ, უფლისწულო.

— ახლა ეწვიე შხეთს და ალისტარხო თუ დაბრუნდა, ჩემი პირადი მოწვევა გადაეცი. ასე ჩაუარაკე. „წარსტული ყოველთვის წარსტულია, თუ გულს ეწარსტლება-თქო!“ ესეც უთხარი — ძმადნაფიცს მიკრა ისარი, მერმე მე თავად მაწვდინ ისრებიცა და ქამანდოც. მაღლობა ღმერთებს, ყველა ცოცხლები ვართ. ერთმანეთიც დავცადეთ, ახლა ან დიდი მტრობისა, ან დიდი მეგობრობის სათავესთან ვართ-თქო! თავად აირჩიოს! ვაჟკაცი და გამბედავი კაცია და დიდ საქმეში გამომადგება! თუ გამოგიჩნდეს და გამოგყვეს, თავდებად დაუდექი და მომიყვანე! შენც დიდად დაგიმადლებ და იმასაც არა! ვერჩი!

20. სისხლიანი სპაროუზა

ფოთს ბედან კოლხი აღარ გაჰყოლიათ. შეუძლოდ იყო. უფლისწულს

არც სწყენია ეს გარემოება. თუმცა მსტოვანები მაინც ახლდნენ — აბიო-

იბერი, მახუნჯავი, გური ასკანელი. გვაზა-მეგერი გზაში უნდა დასწვოდათ.

ამჭერად ევაიბედია ღიად მიდიოდა ფოთს, როგორც უფლისწული, ამალითა და გამოჩინებით, არა ფარულად და შემოპარულად, როგორც პირველად. მაგრამ გულსაჩუქმით, ეგონებ, ახლა უფრო მეტი ჰქონდა და ეს უფრო აღელვებდა. თავს შეატყო, რომ შევაქცე-ცობასთან ერთად, საქმის საოცარი მცდელობაცა და აზრთშეუპოვრობაც უმტკიცდებოდა. და ყოველ თავის განსჯილად ნათქვამსა და ნამოქმედარს მერმე შემაკრებულად მიჰყვებოდა.

უკვე გზაზე იყვნენ დამდგარნი, ოლთაკე ლეჩხუმელი რომ დაეწიათ და ევაიბედიას შეეჩუმათა:

— დაღამებისას გამოვიდა. დამე ვე-ღარაფერი გავარკვიე, დილით კი—სულ ისარ-ისარ იყო ბილიკზე!

ევაიბედიას ჩაეღიმა.

— სად წავიდა?

— ქუჯის ციხეს დასტრიალებს. ან კვალს ბლანდავს. მე კი მგონია, ისიც უფლისწულს უთვალთვალებს. ან ვინ-მე ჰყავს ჩემსავით მიჩენილი!

— კარგი, მიჰყევი. მაგას მე გამოვარ-კევე! მალე ამოებრუნდები! თოლიგეს დაგახმარებ?

— მარტო მიჩენენია. — მერმე შე-უმჩნევლად, გზის ბლანდვით, ტებურში გავიდა და „ისრის კვალს“ აევიდა.

უფლისწულისაჲნი უკვე შუა გზაში იყვნენ, გვაზა-მეგერი რომ დაეწიათ.

— არა, არ გამოჩენილა! სქვამგურ ფრიად შეწუხებულია და ეჭვად გამიმ-ხილა, ეგონებ, იბერიასი გადაიხვეწო.

— აღარ გენდობა! აღარ გითხრა! თო-რემ ალისტარხოც შხეთს იყო. დამიანად წავიდა! იბერიასი კი რას წავა, იცის, რომ ჩვენც იქ ვართ წვეულნი! — მერმე კარგა ხანს იფიქრა და ფიქრიანადვე უთხრა, — შენ ხომ არ გამოგყოლია ვინმე?

— გამოყოლით, ეგონებ, არა. და ჩემს წინ კი გავლანდე ცხენოსანი, მერ-მე დამეკარგა. არა, ალისტარხო არ იყო!

— ასეა თუ ისე, მტრობა ირჩია! კე-თილის — თოლიგე იხმრ, ვერ წინ გაუშვა და გზისპირა თხემლნარში ჩაა-საფრა. თავისი „კულის კულობა“ დაავა-ლა.

ამიო-იბერი და მახუნჯავი წინ გაუშ-ვა, თავად კი გვაზა-მეგერი და გური ას-კანელი აქეთ-იქით მოიყენა და წერი-ლი საუბარი გაუბა. მთავარზე ბევრი ლაპარაკი არ დასჭირვებია, რადგან ბე-დან-კოლხს უკვე ყველაფერი წვრილად აეხსნა. ვისთან და რა სიტყვით მისუ-ლიყვნენ, რა ეთქვათ, წერილები ვის-თვის გადაეცათ და ვინ წამოეყვანათ. ერთშიც მკაცრად შეთანხმდნენ, გარდა ხვარა მოგვთა-მოგვისა და ტარიელ უფ-როსისა, მითრიდატეს ცოცხლად ყოფნა და, მით უფრო, მისი კოლხთ უფლისწუ-ლობა არამც და არამც არ უნდა გაემ-ხილათ. კოლხთ მეფის შვილობილი კი მახუნჯავ ტაოელის ობოლ მშისწვილად უნდა თქმულიყო.

— ვისაც დევნიან პონტოში და ჩვე-ნი თვალსაზრისით სანდოა, აქ მომგვა-რეთ კოლხეთში. ჩემს მიწაზე დასახ-ლეთ. რაც მეტი იქნება, მით უმჯობესი!

თუ საჭირო იქნება, შეუთანხმდით და კიდევ გაგზავნით, ხელმეთრედ, სწავ-ლული და ხელოსანი ბერძნებიც ჩა-მოგვიყვანეთ! სწავლულებში საიმედოთ თემესტე მკურნალი შეგირჩევთ! ხე-ლოსნებში ჩემს მეაბჯრეს ოდიო-ხა-ლიბს ენდეთ! იჭაური ხომალდი კი, რომელიც უკან უნდა გაბრუნდეს, არ წამოიყვანოთ!

დანაბარების დაწერილებით ვარაუ-ღებში რიონამდე გზაც ჩაათავდათ. რიონის ფონში ფრთხილად შევიდნენ. მართალია, წყალი დაკლებული იყო, მა-გრამ მაინც ღიდი იყო მდინარე, თავად ფონიც ფრიად ადგილმაცვალი იყო. ჯერ აღმა იყო სავალი, ცხენს მკერ-დამდე სწვდებოდა წყალი, მერმე ოდნავ დაღმა.

შუაგულს გადასცილდნენ და უკან მოტოვებულ ნაპირიდან ისარმა იწიელა. ევაიბედიას მოხვდა ზურგში, მაგრამ

ჯაჭვის პერანგმა იპატია, ისარი წყალში ჩაეარდა და ბოლო ატივტივებულად წაჰყვა წყალს.

— გაგეცლებით! მე ვარ სამიზნე! — თავისიანებს გადასძახა უფლისწულმა და ნისლას დეზი ჰკრა.

ვიღრე ვალმა ნაპირამდე ვაღწევდა, სამი ისარი ვიღრე სტყორცნეს გამოღმიდან, მაგრამ ცხენოსანი უკვე ისარმიუღწევარში იყო.

მერმე ჰარბად ქაობიანი გზა ვაჰკვალეს და მზემ რომ თავი ზღვის წითელ უბეში ჩაჰყო, კოლხეთის უფლისწულმაც მშვიდობით მიადგინა ფოთის ციხეს.

ჯოტო ცალხელა ციხისთავი უკვე ელოდა, ხომალდი მოსულიყო ცხუმინდან. ტარიელიც ციხისთავთან იყო. სუფრაც ციხის თავანზე უკვე გაშლილი დხვდათ. თვალწინ კი სუფრასავით გაშლილი თვალუწვდენელი ზღვაც თითქოს ელოდა თავის შეილსა და მხედარს!

ფიქრების ზღვა გადაეშალა მითრიდატე მონტოელს, მაგრამ ვაჟიბედია ჩამავალ მზეს უმზერდა და სულ-სხვა რამეს თუ ვინმეს ჰხედავდა. და ის „რამე თუ ვინმე“ სილამაზით მზეზე და ზღვაზე ნაკლები სრულიადაც არ იყო!

„ნუთუ მითრიდატე სხვა არის და ვაჟიბედია სხვა! — კმუნვით გაიფიქრა და ზომალდზე წასვლა ხეალისთვის გადასდო. ვაჟიბედიას თუ მითრიდატეს იქნებ დამატებითი „უარსაყოფელი“ მიზეზიც ჰქონდა!

ტარიელმა შეატყო უგუნებობა, მაგრამ კითხვას მოერიდა. ფონის ისრის ამბავი ეგონა.

— მრავალი უთვალისწინო შეხვდებოდა ამიანის ცხოვრებაში!

— უთვალისწინო? — უფრო აცრია ვაჟიბედია. ბოლოს დაიმართხელა და, ტარიელისათვის სრულიად მოულოდნელად, ბირდაბირ შეეკითხა. — რატომ კოლს არ ირთავ?

ტარიელმა ბევრი იცინა, იცინა, ვიღრე წინ არ წამოუდგა „უმცროსი ძმობილი“.

— არც ისე სასაცილოა და შენც არც

ისე გეცინება, როგორც მე მანგენებ კბილებს! რატომ არ ირთავ?

ტარიელი ახლა კი დაიბნა...
— აბა, რა ვქნა... ამ ხეტიალში? საცოლუც სინოპეს დამრჩა.

— გყავდა? რატომ არ მითხარი აქამდე?

— აქამდე? აქამდე... ჰასაკი ხელს არ გიწყობდა, არც ცხოვრების გარემოება, მიზანიც სხვა გეაქვს.

— ახლა?

— მე ვფიქრობ, ახლაც...

— მაშ, იქნებ, დაერჩეთ ასევე! საქმე და მიზანი არ გამოგველევა! — და უეცრად მოუქრა, — მიზანი მიზანია, საცოლუც კი დაიბარე! მამას მისწერე! თუ იქნებ ჩემ გულისათვის არ ირთავთ, შენც, სხვებიც არიან... — ახლა კი თავადაც დაიბნა და სწორედ დროზე მოუსწრო ჯოტო ცალხელამ.

— მაინც გეახლათ, და არც მარტო! დილეგში არიან! საშურთა!

მაშინვე ჩავიდნენ. ეზოში უკვე ბნელოდა. განზე შუბოსნები იდგნენ.

მეჩირაღებებმა ჩასავალი გაუნათეს. თაღოვან სავალში შმორის სუნი იდგა. ხეიფლოვან კედლებზე რკინის ბორკილები იყო მიმაგრებული. თახჩაზე ჰრავი ენთო.

ნაბადზე ხაჯალურდადებული კაცი ეგდო. თოლიგე თავზე ადგა, თვალს არ აშორებდა.

— ვინ არის? — შეეკითხა უფლისწული.

— თქვენნი კვალის მჩხიბავი! ფონზე ისრის მტყორცნელი. ახლა მე ვკარი ხმელეთზე! ზოგნიც მომეხმარნენ და მომავანინეს.

— ამბობს რასმე?

— ვისაც ისარი ვტყორცნე, იმას ვეტყვიო.

ვაჟიბედია უფლისწულმა ხელი აუქნია და ყველა გავიდა.

მარტონი რომ დარჩნენ, უფლისწულმა მოკლე სატეგარი მოიშველია და დაქრილს ხელ-ფეხზე თოკები დაუბაღთა. ისარნაკრავი ოდნავ გაიშალა და სული

ღრმად ამოიღო. ეცადა, მაგრამ წამოჭ-
ლომა ვერ მოახერხა.

ვატიბედიამ ჭრაქი ახლო მიანათა.

— ფილტვში გაქვს მორტყმული მეც
ასე ვიქნებოდლი.. ჯაჭვის პერანგმა მიხს-
ნა. მაინც რას მერჩოდ?

დაჭრილმა ღრმად ამოიხვნეშა. მაგრამ
არა უთქვამს რა.

— ვინც გამოგზავნა, არ გკითხავ. ვი-
ცი ისრის ტყორცნა რამ გაიძულა!
თუ გიმძიმს, ნურც მაგას მეტყვი! წაი-
ლე საიდუმლო, იმ უღირსს ნამუსი მო-
სწმინდე! დაგიფასებს, ცოლ-შვილს შე-
გინახავს!

— ეჰ, მეც დავიდუბე და ჩემი ცოლ-
შვილიც! მაგრამ შენ, მართლაც, რაღას
გერჩოდ. იქ ჰყავს მძევლად ჩემი ცოლი
და ტყუპი!

— შეხეხ?

— ამან მაიძულა! მაგრამ მე შენი ვაე-
კაცობა ვნახე ილორს და გაცალე, ვიდ-
რე შუას იქით არ ვადასციდი მდინარეს.
ისარი-ისრად ჩამეთვლებოდა და შენც
უვნებელი დამრჩებოდლი! მაგრამ, აბა,
ეს მომაკვდავის ზღაპარი, ახლა რაღა
დასაჯერია!?

დაჭრილს სუნთქვა აღარ ეყო.

— მჯერა! თუ მორჩი, შენც ვიპატრო-
ნებ და თუ ვერა და, შენს ცოლ-შვილს,
მეფუერი სიტყვა მითქვამს!

— გისმინონ ღმერთებმა! — ამოიგმი-
ნა დაჭრილმა, — და კიდევ, უფრთხილ-
დი.. მომაკვდავს საშინელი ხველება
აუვარდა..

— ალისტარხოს! — დაამთავრა უფ-
ლისწულმა.

დაჭრილმა თავი აასავსავა და გადაე-
სვენა, მაგრამ გაურკვევლად ააჩურჩუ-
ლა ტუჩები. კიდევ მიხვდა ვატიბედიამ.

— სქვამგურ შეხეთელს!?

და კიდევ.. და.. — მეტი ვერც და-
ჭრილმა სიტყვა, ვერც უფლისწულმა
ინიშნა. ჩანს, სწორედ ის იყო უმთავრე-
სი.

ვატიბედიამ გარეთ გასძახა და ციხის-
თავს მკურნალი ახმობინა. დაჭრილი
მალა დარბაზში გადააყვანინა, წინწა-

ნაქარ არავით ყურის ძირები და ვინ-
ლოები დაუხილა.

გონს მოსული დაჭრილი დაეცა და
დაის შეაჩერდა და უეტრად, შეზზარუ-
ლი ხმით წამოიძახა.

— ახლა გიცანი!

— შენი სურათია, შენი! — მერმე
ენახე იკბინა და გაჩუმდა.

ვატიბედიამ კვლავ გარეთ გაისტუმ-
რა ყველა და სულ ახლოს ჩაჰხედა.

— უფრთხილდი რომაულ სურათს! —
სრულიად მკაფიოდ, მაგრამ ჩურჩუ-
ლით წარმოსთქვა დაჭრილმა, — ასე
თქვეს მამამაც, შვილმაც.. ახლა კი
ჩვენს ხელშიაო, ხედავ, რა ყოფილაო?

ახლა მითრიდატე შეკრთა:

— რა სურათი?

— რომაელებმა ჩამოუტანეს სქვამ-
გურ შეხეთელს. საიდან არის, აბა, რა ვი-
ცი! ძელზე ხატული, შავ ხავერდშია ჩა-
დებული. მე ერთხელ ვნახე. გვირბში
გამოვიტანე და ჩავხედე. თავად წაი-
ლო ალისტარხომ. სადღაც შორს მიდის.
მე შენს სახვერად და სავერაგოდ გა-
მომგზავნა. თითო ნაქრავ ისარში თითო
ხარს შემპირდა. არადა თითო ტყუპის
ცალის დაღუპვას! მე გამომიჭირა, თა-
ვად კი მიდის.

— იქნებ იბერიაში!

— არა, ზღვით. ეს ვიცი. „ზღვაზე
ტაროსი ცვალებადიაო“, ასეთ სიტყვას
ყური შეევასწარ!

მძიმედ დაჭრილის ნათქვამი სიცხი-
ნის ზოდვას უფრო ჰკავდა. სიცხეც მარ-
თლა მაღალი ჰქონდა, მაგრამ სიმართ-
ლის მარცელებმა მოსვენება დაუკარგა
უფლისწულს. ერთი ძელზე დახატული
მისი სურათი მართლაც იყო სინოპეს
სასახლეში. ეს ახსოვდა ორი ტახტის
უფლისწულს.

მკურნალიც მოვიდა. ფოთელი ბერძე-
ნი იყო. არ იამა უფლისწულს, მაგრამ
დაჭრილის გადარჩენა იყო საჭირო.

დაწყნარება იმ ღამესაც არ ეწერათ
ვატიბედიელთ. მცირე ბჭობაც არ ჰქონ-
დათ მოთავებული, რომ შუადამისას,
ფოთის ციხეს ვიდაცა მთადგა და უფ-
ლისწული სასწრაფოდ მოიკითხა.

— ისრის კვალისა და ღოჯის კაცი-
თქო!

ცხენიცა და კაციც ფეხზე ძლივს იდ-
გნენ.

ვაჟიბეღია და ოლთავე განმარტოვ-
დნენ, დანარჩენები კართან ელოდნენ.
ჯაჭვი უფრო იხლართებოდა.

— არიქა, უფლისწულო! ყულევშია
და ზღვით აპირებს წასვლას. ღამიანად
თუ არ წავიდნენ... კარაბა ელოდა უც-
ხოური. ხობის წყალში აფარებდა თავს.
არა, არც ბერძნულია!

— რომაული?

— იქნებ, მთვარის შუქზე მათი ფარე-
ბი გავლანდუ კიჩოზე.

— რამდენი არიან, ისრის კვალთან-
თან?

— იგი თავად და კიდევ ოთხნი. ყვე-
ლა მიდის თუ არა, ვერ გეტყვი.

— შენ ისედაც ბევრი მითხარო. აქ რა
გზით მოხველი?

— სულ ზღვის პირ-პირ. რიონის ერ-
თი დიდი ტოტიც¹ გადმოვცურე ცხენ-
დაცხენ.

გზა ვიცი უგზოდაც ვარკვევ...

— წაიყვან ათ კაცს... შესძლებ?

— მე შევძლებ, ცხენი ვეღარ.

— ჩემ ცხენს მოგცემ, ნისლას!

— ამას რას ვეღირსე! მამლის ყივი-
ლამდე მივალთ!

— ნახეთ. თუ კარაბა გასულია ზღვა-
ში, ცეცხლი დავეინთეთ ზღვის პირას!

ალისტარხოს გამყოლნი, თუ ავად გა-
დაგვეარჩენ, აღარ გაუშვით... თუ შეს-
ძლოთ, თავი არ ამუღავნოთ ჩვენი ზომა-
ლდის მოსვლამდე. მერმე კი ხმელეთით
არავინ წავგივადეთ!

— თუ შიკრიკი გაუშვეს შხეთს? და-
ვიჭერთ, ან მოვკლავთ!

მითრიდატემ იფიქრა, იფიქრა და ხე-
ლი ჩაიჭინა.

— არა, გაუშვით!

სულ მალე ათიოდე რჩეული მეზრძო-
ლი და ცხენკეთილი მიჰქროდა ყულევი-
საკენ. წინ ღამის ცას წეული ღოჯიანი
უფლისწულის ნისლაზე იჯდა და ერთი
უტყევანით ყველას უსწრებდა.

მალე კი ცალხელა ციხისთავმა კიდევ

ათიოდე რჩეული მეზრძოლ-მეზღვეური
აღჭურვა და ზომალდზე მეტგვერდით² თაუ
ვად უფლისწულის, ტარიელის, შერჩე-
ული ამალოსანნიც ზღვის ბრძოლის
წესზე გაეწყვენ და ზომალდზე ავიდ-
ნენ.

მსოვანები ციხეში დარჩნენ, გარდა
მახუნჯავისა, რომელმაც აქვე ნამდვილი
ომი გადაიხადა და ზომალდზე ლუზის
ამწევად მაინც წამოჰყვა.

სრულ სიჩუმესა და სიბნელეში ჩრდი-
ლივით გასრიალდა „ამირანი“ და გეზი
ყულევისაკენ აიღო.

უფლისწულმა მეხოფრები თავად და-
იარა და გაამხნევა.

— აბა, ვინძლო, ჯაჭვები ხვალვე და-
გაყრევინოთ! დღეს კი ნუ აჩხრიალებთ!
ზომალდზე სრული წესრიგი და სი-
სუფთავე იყო. ჩანს, ახალგაზრდა მე-
ნავეთუხუტცესი კარგად უძლოდა თავის
საქმეს.

სავლაკესთან „ზღვის სმობილი“
უხერხულად ვრძნობდა თავს, მაგრამ ის
მაინც შეამჩნია, რომ სავლაკეც, მუხა-
შავრაც და ზოგი სხვაც, განსაკუთრებუ-
ლი მოწიწებითა და თითქმის თაყვანის-
ცემით ექცეოდნენ. ჯერ იუცხოვა და შე-
ფიქრიანდა. ტარიელს შეეკითხა.

— რა უყავი ამ ხალხს ცხუმში, ხომ
არ გამოსცვალე?

— არა, მაგრამ, როგორც დამავალე,
ფიცი მივალდებინე და ზოგი რამ დიდ-
საიდუმლო გავუშხილე! ახლა იციან
შენი ვინაობა და რა გასაკვირია, რომ
მოკრძალება მოემატათ?

— მოკრძალება? ჩვენს შორის თით-
ქოს რაღაც ჩრდილი ჩადგა!

მითრიდატემ სავლაკე და მუხაშავრა
იხმო, ხელის გული გაუსინჯა, მერმე გა-
დაეხვია და გადაჰკოცნა. ისინი კი ხელ-
ზე ემთხვევნენ. ჩრდილი მათ შორის მა-
ინც დარჩა.

ყულევს განთიადისას მიუახლოვდნენ.
ნაპირზე ცეცხლი ენთო.

— სინოპეს გეზი. და, რაც შეიძლება,
სწრაფი — მესაქესთან მდგარ სავლა-
კეს გასძახა უფლისწულმა.

ზომალდი ოდნავ გადაწვა, ფართო

ორიკალი მოხაზა და სწრაფი ხოფი ახლა გაკრულზე გადავიდა.

ზღვას ფართო ჭავლი ურევდა. ცა მოჭედული იყო ვარსკვლავებით. სამწყება ხოფები ერთ სუნთქვაზე აწყობილად ფეთქავდნენ.

უკვე გაშლილ ზღვაში დაათენდათ. მამინ ყველა მოთავე, ერთხელ კიდევ საზვერავ ბანზე ავიდა და ზღვის ირგვლივ არე ჩაძიებით დაზვერა.

„ნუთუ წავიდა ჩემი შედარებული და დადასტურებული სურათი? გაიხსნა ჩემი სიცოცხლის საიდუმლო?“

ეს ფრიალ დიდ სიძნელეებს შექმნიდა ახლაცა და მომავალშიაც.

გაეიბედიამ ურო მოითხოვა და პირველ ქანდარაზე გავიდა. აქ უკვე ვკიდა მის მიერ გაცემული, მაგრამ ჯერ არ შესრულებული „საერთო თავისუფლების სიგელი“.

— აბა, დავიწყოთ! ახლა უკვე ზღვაში ვართ. როგორც სიგელში წერია. ჩვენ წინ რომაული კარაბაა!.. უნდა დავეწიოთ! თავისუფალნი მებზღვაურნი, — და ურო პირველ მებზოფის ჯაჭვის პალოს მოუქნია და გადასტეხა.

ერთი ხმარიხი ხანძარივით შევარდა ხომალდის ქანდარებზე.

როდესაც ქვედა ქანდარის ცხრავე პალო წამოაგდო, უველამ შეატყო, როგორ უსწრაფა სვლა ხომალდმა. უსწრაფა უფლისწულმაც, ახლა შუა ქანდარაზე შევარდა და შესძახა:

— დილა თავისუფლებისა, მებზღვაურნი! — და მოჰყვა ჯაჭვების თავკაუჭების ლეწვას.

თვალგაბრწყინებული მონები გუგუნებდნენ და თავდავიწყებით უსვამდნენ ხოფებს. სისწრაფემ არინახულად იმატა. პირდაპირ ტალღიდან ტალღაზე ხტოდა ხომალდი.

— ზედა ქანდარელებო, მოვდივარ! — ახლა ზევით ასძახა და გარეკიბეს აპყვა. ჰაერში ეკიდა, უროადმართული, კულულებაშლილი, შეჯავშნული.

— გელით სპეროზა! გელით პოსეიდონი! — ლოცვასავით ღაღადებდნენ

ზედა ქანდარის მიჯაჭვულნი, ერთად აჩხრიალებდნენ ჯაჭვებს.

— მზე ამოდის, მზე თავისუფლებს! — ამიერთ სპერის ზღვა თქვენთვის მიჩქენია! მებზღვაურნი! მოუარეთ! სხვას არ დაანებოთ! — და უკვე ხელჩვეულად მილევ-მოლოენა ჯაჭვის თავტაბიკები.

ხომალდი ახლა თითქოს ფრთავალი-ლი სისწრაფით მიჰქროდა, ტალღების ფაფრებზე გადადიოდა და ნაღობარ ცხენივით თრთოდა.

— გაუძლებს? — ეკითხებოდა ტარიელი თვალბაკიაფებულ სავლაკეს.

— გაუძლებს! ჩვენც გავუძლებთ!

ხმელეთის დევს — მახუნჯაგს, ზღვაში უჩვევს, გული არეოდა, თან იცინოდა, თან ღვეურად აზოყინებდა. ჭავლმა და ხომალდის რყევამ კუჭში არაფერი არ შეარჩინა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა და სასაცილოდ არა ჰყოფნიდა.

— ეს რა ვნახე, კაცო ბეე!.. სადაც ხელსა ჰკრავს, ხალხი გულ-ღვიძლიანად იცვლება და რას ერჩით ღმერთკაცს! ბეე! თავბრუ მაგან დამახვია, ვანა ზღვამა ბეე! ხახახა! ეს თავსლაფი დავასხი მაგის მტრებსა, ჩემდა თავად! ბეეე!

მითრიდატე კი საზვერ თავანზე აიჭრა, თვალი გაავლო წყლის სამყაროს. რაღაც გალანდა და რიზიანად ჩამოსძახა.

— საჭე მარცხნივ! კიდევ! მოუქე! ასე! ლარივით! — და მერე უფრო მოლაღებულად გადასძახა ხომალდს, ზღვას, სამყაროს. — „ამირანო!“ ხომ არავინ არის ჩვენთან მონად შთენილი? ფიცი დავდე სპერთა სპეროზას წინაშე!

— არის! — ქვევიდან ამოვიდა ხმაგაზარული ბანი.

— ვინა? — მთელი ტანით შემობრუნდა მითრიდატე..

— მე ვარ — მესაჭე!

— მოვდივარ! — გარეკიბეზე ჩამოსრიალდა მითრიდატე და საჭესთან გაჩნდა.

საზვერავზე ტარიელი შეკვზავნა, თავადა კი მესაჭეს მიუბრუნდა.

შავ-ჭმუხა დაეაყებულნი ახალგაზრდა,

წვერხანჯალა და მკაცრი, ხასიათმკაფიო სახის მესაჭე დიდ მხერვალს ორთავ ხელით ჩასჭიდებოდა და თითქოს მხერვალის ცოცხალი ვაგრძელება იყო.

— ვინ ხარ? სადაურ?

მესაჭეს თავი არც მოუბრუნებია, ღარსა და ზღვის ურანოს უმხერდა.

— კუწუბელი! ეს სახელი, ალბათ, არც გაგივია. ტრაპიზონელი! დედა ბერძენი მყავდა, მამა ლაზი ბერძნულად არქელოსი მქვია, ლაზურ-ქართულად — ორახელა! — ოღნავ ჩაბზარული ბანით უბასუხა, — მეც მორჩილად დავიწყე ცხოვრება, შეწირული ვიყავი — კუწუბის მითრას ტაძარში, მაგრამ ზღვაში გავიქეცი!

— ცოლი გყავს? — შეეკითხა, მერმელა იუცხოვა თავისი კითხვა. რა ყველას ცოლის ყოლა არ ყოლას ეკითხება!

— ცოლი არა, ვერ მოვასწარი! ძმები კი მყავდნენ.. ახლა რა ვიცი! — ჯაჭვს ფეხი გაჰკრა ორახელამ და საჭე შეასწორა, ძელის ჭრიალმა ყური მოსკრა მითრიდატეს.

— მე თუ მიცანი? — ერთიც გამოსცადა ტრაპიზონელი.

ორახელამ შეჰხედა. მას ღრმად ჩასმული, შავქუთუთო, დაკვირვებული თვალები ჰქონდა.

— გიცანი. მორჩილის სამოსი გეცვა პირველად, მერმე ილორის გმირი გახდი, ახლა უფლისწული ხარ კოლხთა. გიცანი, მაგრამ ვერ გამოგიცანი! დიდე ვარსკვლავის ნათელში ჩნდები და იზრდები! აბა, ცას შეხედეთ!

ყველამ ცას შეჰხედა. რიყრაფში გაჩრდილული ღრუბლები ნისლა ცხენბივით მიჰქროდნენ. განთიადის ვარსკვლავი კაშკაშა წითლად ჩანდა.

— ასპიროზ — ცისკრის ვარსკვლავია — იგიც ილორივით ხარიპარიად ითვლება! სპეროზასი — სპერთა ზღვის ღმერთის ძმაა!.. შენ კი, ჩანს, ორივე შეგხარის და გწყალობს! — მხერვალისთვის ხელი არც შეუშვია, ისევე მიაქან-მოაქანა და დილის ტალღებზე სახნისივით გაატარა ხომალდი.

— ურო! — მადლა ასძახა უფლისწულმა, — ამირანის ჯაჭვის წყვეტიდან დავიწყებ ბრძოლას! ის ზღვა, რომელსაც სისხლიანი სპეროზა არ დაჰხედავს, სიმართლის ხომალდს ახრჩობს ხოლმე! მტერს თუ ჰხედავთ, მტერს!

უროს, ზედა ქანდარიდან, ტარიელის ხმამ ჩამოასწრო:

— ვხედავ კარაბას! ოღნავ მარჯვნივ და პირდაპირ!

— თავისუფლება მერმე, ჯერ საჭმე და მტერი! — საჭე მოისწორა ორახელამ და ხომალდი კარაბას გეზზე გაწვართა.

მითრიდატეც, სავლაკეც საზვერავ ბანზე შევარდნენ.

— მივიღეთ პირდაპირ? — შეეკითხა სავლაკე.

— არა, გზა წინ გადავუჭრათ. ახლა ვერსად წაგვივლენ. ბოლომდე ნუ ვაგრძნობინებთ, რომ მათ მივდევთ.

— მარცხნივ... ცოტა! კიდევ, კიდევ, კიდევ, — ჩასძახა სავლაკემ, — ახლა პირდაპირ ასე იყოს! ახლა სპერული ხოფი! — ქანდარებსაც ჩასძახა და სულ გაწვართა თავისუფალი მეზღვაურები.

სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა მხოლოდ მხერვალის ძელის ჭრიალი და ხოფების მოსმის საერთო ჩქამი.

„ამირანი“ ეწეოდა, გზას უჭრიდა კარაბას.

— შეანელებთ! უფრო! ნელმგზავრული! — უკვე ჩურჩულით ჩასძახა ქანდარებს სავლაკემ.

მითრიდატემ ტარიელი ქვევით ჩაგზავნა, შეაბჯრეები შუბებითა და დაშნებით შეამზადებინა, ყოფილ მონებს, იქვე, ნაჯაუვარზე, მშვილდ-ისრები ჩამოუირგეს. ზოგთ, რჩეულთ კაუჭები და საგდებელა თოკები მისცეს. მახუნჯავი ლუხის ქვასთან დადგა. ყველაფერი მზად იყო.

კარაბა უკვე ახლოს, ხომალდის გზაკვეთზე იყო და უშპირად განგრძობდა გზას. ორსართულა ბაქანზე ადამიანის ჭაჭანება არ იყო. მხოლოდ დიდ ფარებზე ბზინავდა მზის პირველი ნასხივი.

— საბრძოლო ხომალდია! ჰყვარებო ჩემო! — აღმოხდა სავლაკეს, — „ამირანი“ არ დაგვიშავონ! ჩვენი პირველი!

— აუცილებელია! უნდა ჩაეიგდოთ! ფიცის კაცო!

— მაშინ გავაფრთხილებ! — სავლაკემ თვალის დახამხამებზე ქანდარები ჩაირბინა და ყველა გააფრთხილა, ხომალდის თადარიგი დაიჭირა. სულ ბოლოს ორახელასთან მიიჭრა.

— აბა, შენ იცი! ძელსახნისი აიცილინე. იქნებ ველარ მოგაწვდინო ხმა. ორივე ხელი და ორივე თვალი გვეჭიროს!

ისევ ზევით რომ ავარდა, კარაბა უკვე აღარც თუ შორს იყო.

— დახვდი! — სავლაკეს წასჩურჩულა მითრიდატემ და ზარადი სახეზე დაუშვა.

— ხოფები აღმა! — ქვევით ჩასძახა და ხელი ასწია.

ყველა ხოფი ჰაერში გაშეშდა და უფრო მალა აიწია. ხომალდი უეცრად ფრთავაშეშებულ არწივს დაემსგავსა.

ეს ზღვის საღამოს ნიშნავდა და შეკითხვასაც.

კარაბზე ჩამიჩუმე არ იყო. თითქოს არც დაუნახავთ საღამო.

— ხმა გაეცი! — წასჩურჩულა უფლისწულმა.

— ვინ ხართ? საიდან, სად მიხვალთ? — ბერძნულად გადასძახა სავლაკემ.

ისევ არავითარი პასუხი. ხომალდმა სწორედ გადაუჭრა გზა კარაბას. ცოტაც და გასცილდებოდა. პასუხი კი არ იყო და არა.

— მოვალთ და გნახავთ! — სკეჟა მითრიდატემ.

— უკუმოსმური! — სავლაკემ ჩასძახა ქანდარებს, — საჭე მარჯვნივ, დიდი ლუთხური! საბრუნე ბოლომდე!

ხომალდი თითქოს ადგილზე შემობრუნდა და პირდაპირ კარაბას გაუსწორდა.

— ახლა პირისპირ!

„ამირანი“ პირდაპირ კარაბაზე წავიდა. ახლა კი მოძრაობა ჩავარდა კარაბაზე და ორივე ბანზე ფარსუქანა აბჯრო-

სნები წამოდგნენ. მალალ ბუნზე კი სამწვერა ალაში აფრიალდა. ზედ დიდი, მრგვალი, ღმერთის თავისი გამოქაჩულე ბა ჩანდა.

— იუპიტერი! რომაული კარაბა! ჩვენც ავუშვათ!

— ალაში არ გვაქვს, არაფერი გიბრძანებია! ჩვენ ვერ გავებდეთ! — ხმადავარდნილად გაუშხილა სავლაკემ.

— ნაბადი, ყაბალახი, მონების ჯაჭვები!

ეს ყველაფერი მოიბოვებოდა ხომალდზე. მითრიდატემ თავად შეკრა და მალალ შუბზე წამოაბა.

— იტეზონ თავი, ვიდრე ჩვენ გავუტეხთ! სავლაკეს ვნიშნავ ბრძოლის თავად, ვიდრე შევიჭრებით კარაბაზე, მერნე ყველა მოთავე ვართ!

უკვე ყველამ იცოდა, რომ აქ ერთადერთი მოთავე ყველაზე უმცროსი და ყველაზე სწრაფმოქმედი ზარადოსანი იყო.

კარაბაზე როდესაც დარწმუნდნენ, რომ „იუპიტერის ალაში“ არ გაერიდა ხომალდი და, პირიქით, შავი დროშა ააფრიალეს, ახლა შუბებზე აიძაგრნენ, ხოფებიც აამუშავეს და ყინაღ წამოვიდნენ „შავალმოსან მეკობრეებზე“.

სულ ახლოს უეცრად, კარაბის ცხვირზე ძელსახნისი გადმოეშვა.

— ფრთხილად, ორახელავ! — მოასწრო სავლაკემ.

მაგრამ ორახელამ იცოდა თავისი საქმე, ათამდე დათვალა და ძელსახნისი სულ ახლო რომ იყო, უეცრად, სწორედ იმდენად უცვალა გეზი, ხომალდის ცხვირს ძელსახნისი რომ ასცდენოდა. მაგრამ ისიც იცოდა, რომ თუ მოასწრებდა, რომაული კარაბა ძელსახნისს შუაგვერდში აძგერებდა.

— დახვდით! აუკარით! აუკარით! — ერთად შესძახეს მითრიდატემ და ორახელამ, მითრიდატეს მოეწონა ორახელას მიმხედურობა, ერთივე იღონა, მონისარნი ჩუმად გააფრთხილა.

აქედანაც და იქედანაც შეემზადნენ და დაიძაბნენ. განსაკუთრებით კარაბაზე, ყველა თოკებს მისწვდა და ძელ-

სახნისი უფრო დაამაგრა. ეს იყო გადამწყვეტი — გვერდის ძელოს გატეხა, ზღვის შეშვება ხომალდში.

კარაპას ვეება ველურ ტახივით დინგი დაეშვა და ბასრი ეშვი შესაძგერებლად მოეჭნია. სრულ დაძაბულობის დროს ხომალდიდან კარაპაზე სეტყვისავით წავიდა ისარი და პირველი ელდა შეიტანა. უეცრად დაფოლხვდა ძელსახნისის მრავალი თოკი.

მარჯვენა მუხოფეებმა ხოფები აპკრეს ზედმოსულ ძელსახნისს და იგიც, სახნისაბზეყილი, შუაქანდარის ძელეებში გაიხირა.

შეიქნა ჯახი და ხმიანი.

— კაკეები! — ყველაფერი დაჭარა მითრიდატეს ხმა.

კაკეებიც მოსდეს და მოსწიეს. ახლა ხომალდი და კარაპა გვერდი-გვერდ იყვნენ, თითქოს ამირანი და იუპიტერი წელში შევარდნილად შესკიდებოდნენ ურთიერთს. კარაპაზე მჭიდრო და მიუგალი დიდფარებისა და შუბების კედელი აღიმართა. რომაულ ორწყობად იდგნენ. პირველ იერიშს ელოდნენ, მერმე გამოპყვებოდნენ უქან დახეულთ.

— ღუზას გზა მიეცით, გზა! — გასძახა მითრიდატემ.

ღუზასთან, ვეება, გახვრეტილ ლოდთან კი გახევებული მახუნჯაგი იდგა. იგი მეტისმეტად ხმელეთის მებრძოლი იყო და თავბრუ ეხვეოდა, ფეხიც ეშლეზოდა. უფლისწულის ძახილმა თითქოს შეაღვიძა, მერმე დასცეცხლა. ვეება ლოდი გულში ჩაქრულად აიტაცა. ახლა აღარც ფეხი ეშლეზოდა და აღარც ხელი უტოკავდა. გზაც მისცეს. მიადგა კიდევაც ხომალდის კიდეს და უფრო დაბალ კარაპას ბაქანზე ღუზა გადააგორა, მერმე ღუზის ჯაჭვი მოსწია და ფაროსნების პირველი წყება კვერთხით გაღწა. კედელი გაირღვა.

მახუნჯაგი ჯერ კიდევ დახრილი იყო, ჯაჭვს ეწეოდა, როდესაც მუზარადიანი ზურგზე გადაახტა, ცალ ხელში დაშნა ეპყრო, ცალში წელანდელი ურო. მას სხვებიც მიჰყვნენ. მერმე ფარზე უროს დარტყმის ზათქზე აეწყო ყველაფერი.

ბოლო როდესაც მახუნჯაგი თავისი ვეება დაშნას მისწვდა და გადაეშვა ხელჩართულში, სულ განციფრდა. წუხუნდელი მონები თავისი ჯაჭვების ცემით ყოველგვარ მხედრულ წინააღმდეგობას სობოდნენ და ჯერ იარაღდაუყრელ რომაელებს ჯაჭვებით გუდავდნენ და ბორკავდნენ.

უფლისწული უკვე კარაპას მძიმედ დაჭრილ მენავეთუხუცესს ეკითხებოდა. ტარიელი და სხვანი კარაპას ჩხრეკდნენ. ჯერჯერობით არც შეესაფრიანი სურათი და არც აღისტარხო არსად ჩანდნენ.

განცალკეეებით, კიჩოს სადგომში, ხის თახჩაზე იწვა მკერდშენგრეული რომაელი.

— ვისთან იყავი კოლხეთს? — განგებ ქართულად შეეკითხა მითრიდატე.

— შე ბარბაროსული ენა არ ვიცი. — უემხვად, ლათინურად უბასუხა.

მითრიდატემ მოუთმინა და იგივე ბერძნულად გაუყოლა.

— არ ვიცი. რომი ვისაც იპყრობს, ყველა ბარბაროსია! მრავალნაირნი არიანი ახლა კი ლათინურად გაესაუბრა:

— არა უშავს რა! სამაგიეროდ ყველა ერთნაირად კვდება! ვისთან იყავი კოლხეთს?

რომაელმა უფრო ყურადღებით შემოძხედა:

— არ ვიცი, ბარბაროსთან!

— რატომ ხართ ასეთი უტიფრები?

— ძლიერები და არა უტიფრები!

— თუ ყველაფერს მეტყვი, გაპატიებ.

— რას მაპატიებ. ევქსინის პონტი, ჩვენი ზღვა!

— მაშ ჩვენი რალაა?

— შენ მეკობრე ხარ, მე რომაელი! ახლა მაცალე! რომ გამიბედე შემობმა, მიკვირს! რომ დამამარცხე, უკვე სიკვდილია ჩემთვის!

— კეთილი, გაცლი! თუ გეჩქარება, მთელი რომი თან წაიღე! — მითრიდატე წამოღდა. რომაელმა თვალები დახუჭა და ერთი გრძელი გმინვა ამოუშვა. მერმე გაჩუმდა. ამ დროს ტარიელი შემო-

ვიდა და შვე ხვერდში ჩადებულ სურათი გადასცა. მეტყველად შეჰხედა.

— ვიბოვნეთ. სურათიც მასთან იყო! საკუქნაოში იყო შეკუპული!

— ცოცხალია?

— ცოცხალი.

— აქ მომგვარეთ! — ტარიელი გაუშვა და სურათს შეასაბურავი გააცალა. ძელზე დახატული თავისი სურათი შერჩა ხელში. ახსოვდა დახატვის დროც. მამის ვერაგულად მოკვლის წინა წელი იყო. სარკე ინატრა. სურათსა და მას შორის სამი წელი თუ იყო სხვაობა, განსხვავებას კი უსარკოდაც ფრიადსა გრძნობდა. ხოლო გადახდენილი ამბავი და თავგადასავალი ერთ მოზრდილ ცხოვრებას აავსებდა.

უეცრად იგრძნო, რომ ვიღაცა უმზერს. მოიხედა, რომაელს თვალები გაეხილა. არა, გაფართოებოდა და ხან მას უმზერდა, უკვე მუზარადმოხდილს, ხან სურათს, საკმაოდ დიდად, წელამდე ხატულს.

— შენ ხარ! ამ სურათის ამბავი ვიცო, შენიც მცოდნია! შენ საშინო კაცი ხარ რომისთვის! მაგრამ მე შემძლია დამშვიდებით მოვკვდე. თუმცა ბარბაროსი ხარ, მაგრამ მეკობრე არ ყოფილხარ! — მერმე ძლივს გადაბრუნდა და იუპიტერის სადიდებელი წამოიწყო. შეღწეული მკერდიდან კი სისხლი სულ სდიოდა და სდიოდა.

სადგომის კარში, გვერდულად და თავის დახრით, ძლივს შემოეტირა მახუნჯავ ტაოელი.

— უფლის შვილო! პირველ ზღვის ომის მოგებას მოგილოცავ! — მერმე დათუჯრად გადაეხვია და ცრემლითაც კი დაუნაშა ჯაჰვის პერანგის გულისპირი.

— შენი ღუზის მადლითა, მახუნჯავ ჩემო! შეხედე! — და მომაკვდავ, მკერდჩალეწილ რომაელისაკენ მიახედა, მაგრამ მახუნჯავს არაფერის გაგონება არ სურდა.

— შენი კვალი ახლაც ზურგზე მაქვს! მაგრამ ასე როგორ იქნება — ყველგან პირველობა არ შეიძლება, არა!

— ჰო, კარგი, კარგი! ახლა სიკვდილს თადარიგი უბრძანეთ! უკან წავალთ, უფლებს! კარაბა მუხაშაერას ჩააბარეთ. დანარჩენ ტყვეებს მერმე ვნახავ.

ამ რომაელს, აცალონ სიკვდილი! მერმე მეზღუაურის წესისაებრ ზღვაში დამარხეთ! ჩვენს დაქირლებსა და დელუბულებს მიხედეთ!

მახუნჯავი მაშინვე გავიდა და სულ მალე რომაელიც გააცალეს სადგომს.

მალე ტარიელი მობრუნდა. ახლა უფრო აღელვებული იყო.

— კარაბას საიდუმლო ყუთს მივაგენით და შევეტხეთ. ლარით სავსეა და თან დალუქული ეტრატები!

მითრიდატემ შესტეხა ლუქი და ჩაახედა. ლათინურად დაწერილი საიდუმლო მოხსენება იყო პერგამში ჩამოსულ რომის კონსულის სახელზე.

მითრიდატემ ნაჩქარევად მთავარი ადგილები ჩაიკითხა.

„ზარიადრე სირიელის ხელით ლაოდიკე პონტოელმა გადმოგვცა, ძელზე ნახატი სურათი მითრიდატე უფლისწულისა, რომელიც დაიკარგა ზღვაში და დაღუპულად გამოცხადდა. თუმცა ბევრს არა სჯერა და მისი ძლევა მოსილი მობრუნების იმედი აქვთ, რაიც ჩვენს საწინააღმდეგო ადგილობრივ ბარბაროს ჯალებს ასულდგამულებს, სურათი დავატარეთ ყოველად საიდუმლოდ, მრავალ ბარბაროს ტომთა შორის. კოლხეთს მივაგენით. ამ სურათზე სახულისა და კოლხეთის ტომის უფალის ახლახანს შეილობილად და შემკვიდრედ მოკიდებული ვაეიბედია სპერელის იგივეობა დაგვიდასტურეს. მაშასადამე, მითრიდატე ცოცხალი ყოფილა და ანდერძითაც და უფლებითაც ორი ტახტის მემკვიდრე არის.“

ჩანს განზრახული აქვთ პონტოსა და კოლხეთის ვაერთიანება, რაიც სრულიად არ შეესაბამება სენატის აზიურ ზრახვებს.

შევთანხმდით „კოლხელ მეგობრებთან“, რათა ვყოთ ესრეთ: ყოველ საშუალებით „იუპითერს მოვაშოროთ“ მითრიდატე, რომელიც ისედაც დაღუ-

პულად არის ცნობილი.

შხეთის მპყრობელი სქვაშვურ და მისი ვაჟი — ალისტარხო, გამოცხადნენ — ჯერ ფარულად — რომის მეგობრებად. გაეწიოთ მათ ყოველგვარი დახმარება, კოლხეთის უფლის ტახტის მისაღწევად. ამის შემდეგ აშენდეს რომაული ციხე პონტოს კოლხურ სანაპიროზე.

სურათის ცოცხალ მოწმედ და მამის მოციქულად წამოვიყვანეთ მისი ძე — ალისტარხო შხეთელი.

მითრიდატეს ცოცხლად ყოფნამ ახლა, საერთოდ, გამოცვალა ვითარება პონტოს სამეფოს ირგვლივ. უკეთუ „მკედრეთით აღმდგარი“ ისევ მკედრეთით ვერ დაეაბრუნეთ, რაიც ფრიად ძნელია მისი სიფრთხილისა და შეფარულობის გამო. საჭიროდ ვრაცხთ პონტოს მიმართ ზრახულის სასწრაფოდ განხორციელებას, პირველ ყოვლისა, ლაოდოკე პონტოელისაგან დაპირებულ ანდერძის მიღება მაინც, ვიდრე მითრიდატე სრულწლოვანი და ტახტის დაბრუნების შემძლე გახდებოდეს. ხოლო ესეც ყურადსაღებია, რომ ადგილობრივი ბარბაროსი, ფრიად მეომარი ტომები, ამ ტანაყრილსა და დაუდევარ ბუნების ორმაგ უფლისწულს, თავის მოზარდ აღექსანდრე მკედონელად სთვლიან. იგი რომისათვის აზიასი უთუოდ საშიში კაცია!

ბრძანებით, ზღვაში ვრჩები, პონტოს სანაპიროს საზვერად. ველი კონსულის სიტყვას და გამოძახებვას პერგამს.

ლუციუს საზენა“.

ჯერ სხვა ეტრატებიც ვერ ენახა, რომ შემოიყვანეს ალისტარხო, ხელემაგაკოპილი, ჯაჭვებით ნაცემი, სახეზე შეშლილი და გაოგნებული.

მან როგორც კი იცნო მღვეარი ზომალდი, რომელიც ჯერ ილორში ნახა, მაშინვე ინიშნა მწარე ბედი და რომაელთ ძლიერებას განუსაზღვრელად მიენდო, თუმცა არც გაამხილა მღვერის ვინაობა. მან მამისაგან უკვე იცოდა, რომ „ამირანი“ ახალ უფლისწულისათვის ეჩუქებინა მეფეს. მაგრამ ეს რომაელებს არ გაანდო, მაინც ეწინოდა,

ვაითუ თავის დასახსნელად შე გამწირონო! რომაელებს ხომ მითრიდატეს დადასტურებული სურათი უფრო სჭიროდათ, ვიდრე ცოცხალი ალისტარხო. ახლა კი ორივე მითრიდატეს ხელთ იყო...

ორმაგი უფლისწული კი სდუმდა. უმზერდა კუთხეში მიჭუპკულ ალისტარხოს და თავს ძლივს იკავებდა. უროთი სწაღდა თავის გაჩეჩქვა „გველ-კაცისა და ქვემძრომელისა“. ქვეწარმავალი გრძნობდა და სისხლი მართლაც უცივდებოდა.

მითრიდატემ ძლივს მოპოვებულ ნებისყოფით თავი დაიოკა:

— ალისტარხო! სიკვდილს ვადაგარჩინე, ძმობა და მეგობრობა შემოგთავაზე — შენ ყველგან მილაღატე, მტრობა დამიდე! ახლა ისევ ჩემს ხელში ხარ! ალისტარხომ ენა დაიქლესა.

— აბა, შე რა ვიცოდი, რომ მითრიდატე პონტოს მეფე ბრძანდებოდი? დავაშავე, რომ დაგიჯერე.

— ამას გააბატებ, მარტო ეს თუ არის შენი დანაშაული?

— მარულას ამბავი სულ აქედან გამოდიოდა! — მუხლებზე წამოიკლაცნა გაკოპილი.

— არც ამას ვიგონებ. — მითრიდატემ სურათს გაჰკრა ხელი.

— მაშინ შენს წინაშე, პონტოს მეფეც, სრულიად მართალი ვარ! ეს სურათი კი რომაელებმა დაატარეს ქართუქვეყნებში, ჩვენთან აღმოჩნდი, თორემ იბერიაში უნდა გავგზავნათ. იქ მაინც დაგხედებოდა!

— ვინ დაადასტურა? ახლა წყდება შენი ყოფნა-არყოფნა!

— მე და მამაჩემმა. — ყრულ აღმოხდა ალისტარხოს.

— ვინ ნახა სურათი?

— საქმის ვითარება კოლხთაგან ჩვენ ორმა ვიცით. რომ არ განხმაურებულიყო, აღარავინ ჩაერით, არც ვის ვაჩვენეთ!

— კიდევ მატყუებ! რას არ აჩვენებდით!? — ისევ ცეცხლმა წამოაგდო მითრიდატე.

— არა, ეს შარავანდედილა აკლდა შენს სახელს!

მითრიდატემ ხელად დაიჭრა და დაცხრა, ოდნავ შეაბრუნა კითხვა:

— რომაელთაგან ვინლა იცის?

— ლუციუს საზენამ, უპირველეს ყოვლისა! მერმე, ყველამ ამ ხომალდზე, სურათიც გასინჯეს და საუბარიც ჰქონდათ. შენი შავცხენით ზღვაში შეცურვაც კი უამბო! დიდ ჭილოსაც მოვლოდნენ!

— ვინ არის ლუციუს საზენა?

— აქ რომ შემომიყვანეს, ის გაჰყავდათ მკერდისხლიანი.

— ისიც ვეღარსად წამივია, თუ სიკვდილს არ შეაფარა თავი! სურათი როგორ მოხვდა რომაელებთან? მე ბევრი რამ ვიცი, შენ გამოწმებ, ერთი ტყუილი და მორჩა, განა ამ სურათში დახატული ბაღლი ვარ? ვინ გადასცა სურათი რომაელებს?

თავისი ბალობის სურათი ისევ შავ საბურავში ჩასდო, თითქოს თავის გაავებასა და შევავაკცებას განზრახ გააბრია, როდესაც შემობრუნდა, ლამაზი კბაბუკი ზარდამცემი შესახედავი იყვნ, გადაცრებილ სახეზე სიკვდილის მთესველის დაღი ედო, ხოლო ფართო შუბლზე დიდ წურბელასავით ძარღვი გამოზბეროდა.

ალისტარხოს ენა ჩაუვარდა. ისევ შიშმა ძლივს ააღულულუდა.

— სინოპედან, შენი სსახლიდან.

— ვინა-მეთქი, ზარიადრემ თუ დედაჩემმა? რა სთქვა საზენამ?

— დედაშენმა. ამან მეც გადაძრია. მაგრამ ასეა, მე მართალი ვთქვა ახლა მომკალი! სულერთია არ დამიჭერებ. არც მე დავიჭერებდი დედაჩემზე!

მითრიდატემ სახეზე ხელები აიფარა. ეს უკვე ბავშვობის სურათის შავით შებურვავზე მეტი იყო.

— გადარჩი. აღარ მოგკლავ. მართალი მითხარი, საოცარი, მაგრამ მართალი!

მითრიდატე პონტოელმა გაბატია, სიციცხლე შეეგინარჩუნა. დედა რომ ამას ჩადის, შენ რალა გაგიმტყუნო? მაგრამ ახლა კოლხეთის უფლისწულს გა-

მეც პასუხი. სად მიჰყვებოდნი ამ რომაელებს?

— სურათის ცოცხლოვ დასამოწმებლად.

— მერმე?

მაგრამ ალისტარხოს რალა ჰქონდა სათქმელი.

— თავს ჰკარგავ. მე ვიცი, რომ მამაშენს კარგა ხანია კავშირი აქვს კოლხეთის მტრებთან. ალბათ, ამიტომ სურათიც თქვენ მოგიტანეს. სხვებიც თუ არიან, მითხარი, და შენცა და მამაშენსაც სიცოცხლეს გპირდები... ახლავე გეტყვი, არა თავისუფლებას, მხოლოდ სიცოცხლეს! ეს პონტოს მეფის სიტყვადაც ჩათვალე და კოლხეთის უფლისწულისაც. არა ეგონებ, რომ გოჭ-მეფე წინააღმდეგი წავიდეს! ესეც ჩემზე იყოს. პირველი ჩემი გამარჯვების მადლი და ღმობიერება სულ შენზე მოდგა, თორემ ამ სურათის მნახველი, კაცი არ დამრჩება ცოცხალი!

ალისტარხო მუხლებზე დაეცა.

— ვიტყვი, ყველაფერს ვიტყვი!

კარს ტარიელი, სავლაკე და მუხაშავრა მოადგნენ. მითრიდატემ უხმო. ტარიელს შავსაბურავიანი სურათი გადასცა.

— ლუქი დაადე და თვალის ჩინივით შემინახე! — ტარიელი რომ გავიდა და სურათი წაიღო, უფრო თავისუფლად ამოისუნთქა, სავლაკესა და მუხაშავრას მიუბრუნდა, — ლარი გაჰყავით, ნახევარი სავლაკემ წაიღოს, „ამირანის“ ახალთავისუფალ მეზღვაურებსა და სხვა მეზრძოლებს დაურიგოს. დიდად მაამეს! ტარიელი წაიყვანე, საქმე ახლავე გაარიგეთ! დაჭრილებსაც მიჰხედეთ. ჩვენს მეზრძოლებს და არა ამ უღირსის შავ სტუმრებს! — ალისტარხოზე მიუთითა.

სავლაკეც გავიდა. ახლა მუხაშავრას, რომაულ კარაპას ახალ ნავთუხუცესს მიუბრუნდა მითრიდატე.

— კარაპაზე ვინ გყავს?

— თუ ამ უხსენებელს არ ვიანგარიშებ, ოცდაათი მონა-მეხოფეა, მიჯაპეულნი, ოცდახუთი რომაელი მკვდარ-

ცოცხალი. ერთიც სულ მოთავე, მაგრამ იგი უკვე მოკვდა.

— დამინაწილე.

— თხუთმეტი მეომარია შეკდარი. ცხრა ცოცხალი, ყველა დაჭრილი.

— ნახე, რა ბრძოლა სცოდნიათ! საშიში მტერია! პატივის ღირსი, მაგრამ არა დანდობისა! ახლა კი მით უფრო! მაგრამ თქვენ ხელებს ნუ გაიჭუჭყიანებთ! — მონები სადაურები არიან?

— ბითვინიელნი. მათ შორის ქარღუბებიც არიან!

— მათ მიეცით, თავად გასაჯონ და დასაჯონ კვლევაც! მერვე ვათავისუფლებთ მონებს, მაგრამ შინ ჯერ არ გავუშვებთ! რომელ მეომართა პირადი ქონება და სამოსი ახლავე ჩამოურიგეთ კარაპას მეხოფრებს, შემოსეთ მონასაჯულები, რომ ღირსეულად ჩანდნენ.

მითრიდატემ თავისი ურო აიტაცა და გასაელისაყენ დაიძრა.

— ამ უსახელოს ხაჯალური დაადეთ და აქვე ჩააგდეთ ბნელში. კაცმა აღარ უნდა გაიგოს მისი პერობა.

ზომალდები ჯერ კიდევ ერთად იდგნენ, თუმცა მახუნჯაგს ნაბრძოლი ღუზა თავის აღვილზე მიეტანა და ახლა ორახელა მესაქეს ესაუბრებოდა.

გამარჯვებულ უფლისწულს ორივენი წამოუდგნენ, არსიანელი ბაბი-დიდგვარნიშვილიცა და ლაზი-მონაც.

— აბა, შენი ჯაჭვი, ორახელაე! მამე! — ჯაჭვი ღუზაზე დაადებინა და ურო დაქრა, მარჯვალე გაუტეხა. — პირველ ცურვიდან რომ დაბრუნდები, ხომალდს ჩაეგებარებ!

ცოტა ხანში ყველაფერი ანაწილებულ-ჩანაწილებული იყო. მილაგ-მოლაგებული, დაჭრილები მოვლილი, კოლხი დახოცილები ცალკე მოათავსეს და საერთო სუდარად მარჯაფა აფრის კალთა გადაათარეს.

მითრიდატემ „ამირანის“ თავანიდან შავი დროშა ჩამოახსნეინა. ახლა კარაპას გაახედა. იქ კიდევ ფრიალებდა ყველას მიერ მივიწყებული, სამწვერიანი დროშა იუპიტერისა. მის ძირში კი,

სახოფეებთან, საოცარი სანახაობა ჩანდა.

ცალი ფეხით მიჯაჭვულ მებრძოლებზე, რამდენადაც შეეძლოთ, მიჯრილიყვნენ, შემადლებულიყვნენ. სახე ეცვალათ, სანახევროდ რომაულად აღეჯახლათ. ზოგ მათგანს ტოვაც კი ჰქონდა მოგდებული თავის მონებზე, ზოგს უსაქურვლოდ რომაულ-მხედრულად ეცვა.

მათ წინაშე ცხრა კაცი თითქმის შიშვლად, ტანდასისხლულად ეგდო და სიცოცხლის ნიშანწყალს აღარ ამქდავებდა.

მონა-მეხოფრები კი გუნდურად ეკითხებოდნენ. მითრიდატეს ესმოდა ხან ბერძნული, ხან ქართული, ხან ბითვინური ენა თუ კილოკავი.

— თქვენ იყავით რომ გვიმონებდით და აღამიანობას გვართმევდით? აგეთ პასუხი!

— თქვენ იყავით საშობლო და ოჯახი რომ წაგვართვით და არარად გაგვხადეთ!

— თქვენ ხართ ჯაჭვებით რომ მიგებორკეთ ზღვასა და ხმელეთზე! იმართლეთ თავი!

— თქვენა ხართ, თქვენა გულ-ზურგი რომ დაგვიწყულულეთ და გაგვამხეცეთ! ესეც თქვენ, რთველი რისხვისა! რთველი რისხვისა! რთველი რისხვისა! პასუხად სრული სიჩუმე იყო.

მითრიდატემ ერთი კი აიტაცა „რთველი რისხვისა!“, ზარადი ჩაიფარა და კარაპაზე ჩავიდა. შეშფოთებული მუხამავრა შემოეყარა. მსაჯულ მეხოფრებთან ერთად მივიდნენ.

ცხრავე რომაელი ნაგვეში და თავხატებილი ეგდო. ზოფები ყველა მეხოფრეს სისხლიანი ჰქონდა, თვალეები დანაკვერცლებული.

ასეთი სისხლიანი რისხვის რთველით შემარწუნებული და განცვიფრებული მითრიდატე მიჯაჭვულ მონებს შეეკითხა:

— ესენი უკვე მოგიკლავთ და ვისლა ასამართლებთ?

— ამათავე! — ერთად შესძახეს მსაჯულებმა და ჯაჭვები ააჩრიალეს.

— როგორ თუ ამათავე!? — უფრო

განცვიფრდა მითრიალაც, — რა გულ-
ქვები ყოფილხართ?

— შენ ფეხებზე გვიდია ჯაჭვები და
ჩვენ კი ფეხებით ვკიდივართ ჯაჭვებზე!
ამან გაგვაბოროტა! — კეთილ-ქართუ-
ლით შემოსძახა ვილაცამ.

— რომელი ხარ? წინ წამოდექი!
ამხსენით. კი არ ვდავობ, ახლა ვსწავ-
ლობ მტერთან ბრძოლას!

— ჯაჭვი აღარ მიშვევს! თქმით კი
ვიტყვი, თუ ტანჯვის მეგობრები მო-
მიდგებიან!

— თქვას! თქვას! ალკიმემ თქვას!
ქარღუ-ალკიმემ! — ყველამ ხმა მისცა
შუაჩივალღისა, ტანჯუნთოვანმა და
შუბღმადალა კაცმა ხოფის ტარი აღ-
მართა.

— რომელი ჯერ უნდა მოჰკლა,
მერმე გაასამართლო სიკვდილის ღირ-
სია ყოველი მათგანი, ჩვენში მპყრობე-
ლად მოსული და საშინელი მონობის
მომტანი!

— ამას ჰქვია რთველი რისხვისა! —

ჩუმად შეეკითხა სახეფარული ჰაბუკი.

— ამას! მაშინ სისხლიანი სპერტოზა,
სპერის ზღვის ლეთაბა!

— რას უსჯით ახლა ამით!

— ჯერ მოველას, მერმე ზღვაში გა-
დაყრას! — ჩამოკვესა ალკიმემ, — რას
იტყვი, შეჯაჭვულნი მსაჯულნი!

არაეინ არაფერი არ სთქვა. ყველამ
სისხლიანი ხოფი მადლა აღმართა.

სულ მალე, უკან, კოლხეთისაკენ
მოცურავდა ორი ზომალდი. საბრძოლო
ალამი ორივეს დაშვებული ჰქონდა. მა-
თი ბრძოლის საიდუმლოება სპერის
ზღვამ შთანთქა. აღარც ცაზე ჩანდა
კაშყაშა ასპიროზი, არც ზღვაზე იგრძ-
ნობოდა სისხლიანი სპეროზა! მაგრამ
მითრიალაცს პირველ სიყვარულივით,
ღრმად გულში ჩარჩა პირველი საზღ-
ვაო ბრძოლა და გამარჯვება. მხოლოდ
ამან შეაძრწუნა და ჩააფიქრა, ნუთუ
სისხლიანი სპეროზას გზა-სარბიელი
იყო მისი ცხოვრების თავი და თავი
და ყოველად აუცდენელი ბედისწერა!

21. „შხრამ-მხრამი“

უფლისწულმა ისევ ყულებს ისურვა
დაბრუნება, თუმცა სავლაც ფოთს, მა-
მის სანახავად ეშურებოდა, მაგრამ ყვე-
ლა ისე იყო აღფრთოვანებული გამარ-
ჯვებითა და სპერელის ალღოთი და გამ-
ჭრიახობით, რომ ხმაც ვეღარ დასძრა.

ოლთაყე თავისი გუნდით ნაპირზევე
შემოეგება ორივე ზომალდი რომ დაი-
ნახა, ღოჯებში ჩაიღიმა და უფლის-
წულს გამარჯვება მიულოცა, თავისიც
მოახსენა:

— თანისთან ოთხი შიკრიკი წავიდა
და ჩვენც გავატარეთ! ვგონებ, ვიპაღ-
ლეთ!

— არა, ასე დაგვაღლეთ! კარგია! ახლა
ფოთს დაბრუნდით... დიდი სამსახური
გამიწიეთ! შენ კი განსაკუთრებით, ლო-
ჯიანო! ჩემს ღოჯსაც მივაგენი! — ვაყი-
ბედია შემადლებულ ხასიათზე იყო.
„მეხმეღეთენი“ გაუშვა და თავად ზღვის

პირას კარგა ხანს იარა, იფიქრა, ერთ-
დროულად იდარდა და იოცნება.

ბოლოს ყველაფერი გამოვიდა ფარ-
ვალში, გარდა ერთისა, იმ ერთს კი თავის
თავსაც უფარავდა და უკვირდა, რომ
ასეთ დიდ ამბებს შორის მაინც ახსოვდა
და თავს აგონებდა. სულ ბოლოს ყვე-
ლაფერი, ამ ერთ გარემოებაში მაინც,
„ბედსა და ბედისწერას“ მიანდო და
ფოთისაკენ წასვლა გადასწყვიტა.

„თუ დამხვდებიან აფსაროსიდან ამო-
სულნი, დამხვდენს! თავად გადასწყვი-
ტოს „არა მამამ“ ვისთან ამოვიდა! და
ამ „არა მამამ“ ყველა დანარჩენი ფიქრი
და სწრაფი სამოქმედო ვერ შეაჩერა,
მაგრამ თავის მსუბუქ დარაიაში გაცრა
და თავისი „ლულუფერი“ დასდო.

მუხამაზერა იბმო, რომაულ ზომალდი-
ანად აქ დასტოვა.

— ხობის წყალში შედი, ფარული

ადგილი ნახე. ამ კარაბას სახე უცვალე, შეაქეთე, კოლხური იერი დასდე. რომაული ყველაფერი მოუშალე. წინ ვერძის თავი დაადგი ერთ კვირაში ფოთს ჩამოდი! შენი უხსენებელი ტყვე მახუნჯავს ჩააბარე. ნაბადი დაახვიე, რომ არავინ დაინახოს! მეხოფრებს ჯაჭვი შესხენი, სრულ თავისუფლებას კი პირველ დიდ ცურვის დროს მიიღებენ!

ყველაფერი რომ მოთავებული იყო, „ამირანი“ ფოთისაკენ გაეშურა.

ზღვაზე გამოსარკული დარი იდგამარჩევებული თვალი ზეიმობდა და ევლარც არჩევდა ზღვის ლაყვარდი როდის და სად გადადიოდა ცის ლაყვარდში. მხოლოდ მზის სხივი იყო ფერგამყოფი. ნაპირისაკენ კი ლაყვარდი ლუშტ მწვანეში გადადიოდა, მწვანეს კი ათასი ელფერი ჰქონდა.

ზღვიდან ფოთი სულ სხვანაირი ეჩვენა მითრიდატეს. თითქოს არც ისე ქალაში ჩაკარგული და არც ისე წყალთან გასწორებული, როგორც პირველი ნახვისას რიონის მხრიდან.

ირველივე მზეარეკლილი ფოთის ციხე-ვალავანიც საკმაოდ მაღალი ჩანდა. ხოლო რიონის გაშლილ ხერთვისის მარცხნივ ღმერთქალ ფაზიანეს ქანდაკება თითქოს სარკეზე აღმართულს ჰგავდა. და მზიან დარში ზღვიდან მოსულს—თვალს უხიბლავდა და სჭრიდა!

— ფაზიანესთან მივიდეთ, მსხვერპლი შევწიროთ!—ყველას ლოცვისა და ხმელეთზე გასვლის თადარიგი უბრძანა და სავლაკეს გეზი ქალღმერთისაკენ მისცა.

— ახლა მიხედა რატომ არის ასე განთქმული ფაზიანეს სახელი, სარკე და ქალღმერთი! მთელ ქვეყანას შეუძლია ჩაიხედოს, მოიხიბლოს და ილოცოს!

ბომალი სულ ახლოს მიადგა ქალღმერთის ნაპირის მიდამოს!—„ხატის ხმელეთს“.

ბომალიდან ლასტიფარები გადაუშვეს.

მითრიდატემ გადაჰხედა, ნაპირზე არავინ იყო. მაშასადამე, ჭერ არავინ არ ჩამოსულა. ბედი იყო თუ ბედისწერა,

მისკენ იყო! არც „მამა და არც არა მამა“ არსად ჩანდნენ! ჩვეული ზუსტმცოდნეობა ხელად აღუდგა.

— მეხოფრებმა ლუზა ჩამომიტანონ, ფაზიანეს უნდა შევწირო! სხვა გამონახეთ!

პირველი, უფლისწული გადავიდა, მერმე მახუნჯავი გადაჰყვა.

— კარგია, იწირავს! მანდ არის კიდევაც! ღმერთების პატივი ტომების პატივი!

— იარაღი წამოიღეთ, იარაღი!—მოხუცმა ბაბამ გააფრთხილა ყველა,—მხოლოდ ჯაჭვები არა!

ახლა დანარჩენებიც გადავიდნენ, მეხოფრებმაც უჯაჭვო ფეხი შესდგეს თავისუფალ მიწაზე! მათ, ეგონებ, ყველაზე ნიშანდობლივ იცოდნენ, რომ თავისუფლება და გამარჯვება უფრო ხშირად ურთიერთგადაბორკილად და შეუღლებულად დადიან! ჩანს ამას გრძნობდა ალღომიერი მითრიდატეც.

— მახუნჯავ-ჩემო, ბაბთ რჩეულო, მსხვერპლი შეგვიწირო! ორმაგად გვმართებს, გამარჯვებისა და ზოგთაც თავისუფლებისა!

— მოიყვით რამე!—წინ წამოდგა მახუნჯავი.

უფლისწულმა აქეთ-იქით გაიხედა. არც თუ შორეულ სახლებიდან და ფაცხების ეზოებიდან ყეფა ისმოდა... მერმე საქონლის ბლავილიც გაისმა.

— მოჰგვარეთ! ორმაგი მიეცით პატრონს!—ფოთიდან წაყვანილ აბჯროსანს ქისა გადაუგდო და გაუშვა. თავად ფაზიანე კარგად შეათვალიერა.

მტკიცე ხელით ნაკვეთი ქანდაკება იყო, ერთ მთლიან ქვაში მოტეხილი. წამოსასხამი ქვის ნაოჭებში იკარგებოდა, სავარძელიცა და წამოწეული სხეულიც ერთად იყო ოსტატურად გამოტეხილი. ხელში წინწილა ეპყრო, ხოლო სავარძლის ძირში, წინ წაწეულად, ქვისავე, პირამქმული ლომები იწვნენ, სულ ქვევით კი ქვის აკვანი იყო, მის მახლობლად. ძველთა-ძველი ღუზები ეყარა, გახვრეტილ ქვებისადა და ერთი-ორი კბილმოტეხილი რკინის ღუზაც

იღო. იქვე დადეს თავისი მოტანილიც.

— ბერძნულ რეას ჰგავს, ზევსის დედას!— მახუნჯავსა და ტარიელს წასჩურჩულა მითრიდატემ.

— ჩვენი დიდი ნანაა!— მახუნჯავმა სიბრტყე პირველმა შემოჰკრა იარაღი მოტანილ ღუზას და ააქლარუნა. სხეებმაც მიჰპაძეს, ჯერ შერეულად, მერმე დაწყობილ-შეწყობილად.

მახუნჯავმა სანთელი გააჩინა. კეთილ ბაძს მუღამ თან ჰქონოდა მარაგი. ასევე აუნთებლად დაამაგრა ქვის აკვანზე და პირველ გამარჯვების ახალთხული ლოცვა აღავლინა.

— ჩვენ გავიმარჯვეთ და ახლა გიგალობთ შენ, ნანა-ღმერთო!

ჩვენი ისრები შენი თვალთა მზერა იყო!

ჩვენი შუბები შენი ლომების კბილები იყო!

შენი წინწილის ხმაზე ქლერდნენ ჩვენი ჯაჭვები!

მშვიდობის დედაე! ჩვენ ვიცავდით შენს სამფარველოს!

ახლა მითრიდატემ შემოჰკრა თავისი დაშნა ღუზას და შესძახა:

— ჩვენი პირველი გამარჯვების ღუზაც მოგვირთმევია! შეიწირე!

— შეიწირე!— შეკლადა ყველამ და იარაღი ააქლარუნა.

— ჩვენი თავისუფლების პირველი ღმერთიც შენ ხარ! გვიმფარველე!

ახლა კი გუნდურად შესძახეს მონადეოფილებმა.

აბჯროსანმა ძროხა მოუყვანა. მაგრამ ახლა ხბო აბღავლდა.

— არა, მეწველია არ იქნების! არ შეიწირავს! ღუზას დავავორებ მტრის ბანაკში, მაგრამ მაგას ხელს ვერ გავაკარებ!— გამოტრიალდა მახუნჯავი.

ძროხა დააბრუნეს და უშობელი გამოიხანეს.

მახუნჯავმა ახლა კი გამოიღო ხელი. ხელად გამოჰკრა დანა და სისხლი ქვის ლომებს დაუსხა. ყველას შეწირულ უშობლის სისხლში გააწმენდინა იარაღი და უკან ხომალდზე გაუშვა.

მითრიდატემ მხოლოდ მახუნჯავი

იახლა, დანარჩენთ გაატანა უშობლის ხორცი და ყველას აუკრძალა ჰმელეთზე ჩამოსვლა, მათ შორის ხაველავსაც და ტარიელსაც.

ჯოტო ციხისთავთანაც ახალი არავინ არ დახვედრია. ჩუმიად კმაყოფილი დარჩა.

ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც სწადდა. მოხუცები კი მეტად ღელავდნენ.

თოლიგეს დაჭრილი მომკვდარიყო. ახლა ბნელი საკანი ალისტარხოს დაუცალეს და ისე გამოიყვანეს ხომალდიდან, კაცს არ დაუნახავს. ვასალები მახუნჯავმა ჩაიბარა.

მართალია, ჯერ აფსაროსიდან არ იყვნენ ჩამოსულნი, მაგრამ მითრიდატე ფრიად ჩქარობდა. იქნებ საჭიროებამე უფრო მეტად!

— ვიდრე არ გავისტუმრებთ, ვერ წავალ. შეთვის ბუნავი კი სასწრაფოდ დასარბევია! ხვალისათვის ყველაფერი მზად იყოს! ახალი, უკვე რკინის ღუზაც ნაშოვარი მაქვს! შუადღემდე ვიცდით. მერმე მიდიხართ!

მეორე დღესაც აღარავინ არ გამოჩენილა.

შუადღისას ყველა წამსვლელი „ამირანზე“ იყო. მუხაშვარას მაგიერობა ახალგანათვისუფლებულ ორახელს დავეალა. ლარი კი გური ასკანელს ჩააბარეს. მრჩევლად და გზის გამკვლევად გვაზამგერი იყო. საიდუმლო დავალება მხოლოდ სამმა იცოდა— გვაზამ, გურმა და სავლაკემ. მათაც თავ-თავისი შესახები.

მითრიდატეს უკანასკნელი დანაბარები იყო:

— ჩემი ძიძა და ძიძის ოჯახი მომ წახეთ და, თუ სდევნიან, საიდუმლოდ და მათთვის უთქმელად წამომიყვანეთ, ტარიელ უფროსის სახელით! ხვარა მოგვთა-მოგვი გამოარიგებს საქმეს!

ხომალდი თვალს მიეფარა თუ არა, მითრიდატემ კვლავ აქვე, ზღვის პირზევე ჩაიმუხლა და კარგა ხანს იფიქრა. ამ ბოლო დროს თავს შეატყო, რომ ზღვის არი-არეზე უფრო ლაღად ეფი-

ქრებოდა და წამოსხლეტილ აზრებისათას ხლართულში საჭირო ფიქრსა და ვარაუდს უფრო აგნებდა.

მისი ანგარიშით სამ დღეზე ადრე არ მოვიდოდნენ აფსაროსიდან წვეულები. საშური საქმე კი შხეთსა და ციხე-გოჯს ჰქონდა. მაშინვე ნისლას მოახტა, რჩეულცხენოსანნი თან იახლა, მათ შორის აბიო-იბერიც. ტარიელიც და ოლთაეც. ხოლო ნაწილი ცხენოსნებისა მახუნჯავს ჩაბაბრა. მასა და თოლიგეს ჩაბაბრა ალისტარხოც. გაკოჭილი შხეთელი ცხენზე შესვეს, ნაბადი მოახურეს, სახეზე ყაბალხი მოახვიეს, ასე რომ, ამ ორის გარდა არცენი იცოდა მისი ვინაობა.

ფოთიდან ერთად გავიდნენ. მერმე უფლისწულის ჯგუფი დაწინაურდა.

ეკის მთასთან კიდევ ერთხელ გაიყარნენ. ოლთაეც და რამდენიმე რჩეულთაგანი შხეთის ციხის სახვერად წავიდნენ.

უფლისწულის დაბრუნებამ მამობილი და წიგნის მამა ფრიად გაახარეს, მით უფრო, როდესაც სრული ვითარება და თავგადასავალი გაიგეს.

სასწრაფო ბჭობაზე უფლისწულმა სქვამგურისა და მისთანანის დაუყოვნებლივი პყრობა ითხოვა, შხეთის ბუნაგის რბევა.

— ჯერ სურათი ვნახოთ!—უეცრად დაწყნარდა ფრიად აღელვებული გოჯიმეფე.

ტარიელმა ლუქი და შავ-საბურავი გააცალა სურათს და ბჭეთ პირველ საბუთად წარმოუდგინა.

მამობილმა დიდხანს უსიტყვოდ უმზირა და ადარა უფლისწული მის სურათს. — რა კარგები ხართ ბაეშეები და ჰბბუეები და, ვაი, როგორ გაწამებთ და გამახინჯებთ მერმე ცხოვრებას!— ხმაჩაკლებულად აღმოხდა და გულჩათხრობილად ჩაფიქრდა გოჯი.

ბედან-კოლხი კი მაშინვე მიემხრო თავის აღზრდილს:

— სქვამგურმა იცის უფლისწულის საიდუმლოება და სხვა რომ არ იყოსრა, ამიტომაც მისი გარეთ დატოვება არ შეიძლება!

— სქვამგურ არ იტყვის ამას! უფლისწულს სახელს კიდევ უფროს ვაუწყებებს! მით უფრო, ვიდრე ექვსზეც არაა, რომ ჩვენ რამე ვიცით!

აბიომ კი სულ სხვაგან გადაიტანა საფრთხის სიმძიმე.

— ვთქვათ, ვენდოთ სქვამგურის ენას და არ ავჩქარდეთ! მაგრამ ალისტარხოს ამბავი რომ გაიგოს? მერმე ხომ რომიც გაიგებს მისი ხომალდის ჩვენს ხელთ ჩაყარდნას! რომი კი ყველგან მიზეზს ეძებს. მიზეზის ვასაბერვალ კი უფლისწულის სახელის გამკლავებაც დიდ მნიშვნელობას იღებს! სქვამგურის პყრობა ყოველი თვალსაზრისით სასწრაფოა!

აბიოს სიტყვამ ყველა დაარწმუნა. პირველ ყოვლისა გოჯ მეფე.

— მაგრამ ისე უნდა ჩავიგდოთ, თავადაც ვერა გაიგოს რა!

— აქ რომ იწვიოთ, არ გეახლებათ? — იკითხა ტარიელმა.

— თავს მოისინეულებს. ეჭვს აიღებს, მით უფრო ახლა, როდესაც ალისტარხო „დაკარგულია“!

— ეს მან ჯერ არ იცის!—სიტყვა მიამშველა უფლისწულმა.

— ის ხომ სულ „დაკარგვამდეც“ „დაკარგული“ იყო?

მრავალი რამ მოზომეს, მაგრამ ზომაში არ მოდიოდა. ბოლოს ისევე უფლისწულმა შესთავაზა.

— მან იცის, რომ მე იბერიაში მივალ, მიწვევით. იქნებ შევეთავაზოთ სახლთუხუცესის მავიერ ხლება?

— კარგი აზრია, — უმაღლესი დავითანხმა მამობილი, — შორს ნახომი!

— მაშინ მე დავწერ წერილს. უარის სათქმელ საშუალებასაც მიცემ. ეჭვი რომ ვერ აიღოს! — ახლა ბედანმა იტვირთა მძიმე საქმე.

— თანახმა ვარ. სალამოს ვავზავნი შიკრიკს!

სალამოს თათბირზე გოჯი და ბედანი რომ შეიყარნენ, ერთმანეთს შესცინეს: — ღმერთებო, გვიმფარველი! ეს ვინ გვეზრდება! როგორ ვაზომა და გამოხსნა ამხელა საქმე!

— წერილიც შემისწორა! თქვენც გასინჯეთ და ისევ გადავწერ.

გოჯ-მეფემ ეტრატი გაშალა.

„ღმერთების სჯა და იმედი ნუ მოგეშალოს, შხეთის მპყრობელო სქვამგურ! ახლა ასეთი საქმე განბჭე—უფლისწული ჩვენი და ტახტის მემკვიდრე, იბერიის დიდ მეფის ადერკის მიერ არს მიწვეული, მალევე გაემგზავრება, ხოლო ჩვენი სახლთუხუცესი ცოტნე დიდ მგზავრობისათვის და საერთოდაც შეუძლოდ არს. იქნებ სქვამგურ შხეთელმა იყისროს უფლისწულის მოციქულთუხუცესობა და მცხეთას თანხლება, სახლთუხუცესობის პატივით“.

— ეს „პატივი“ მან ჩაუმატა? ნუთუ ასე კარგად იცნობს სქვამგურს?—განცვიფრდა მეფე და კითხვა განაგრძო.

„უკეთუ გული და ხასიათი ხელს მოგიმართავს, ხვალვე გვეწვიე არ მეწება მხოლოდ ბედანისა და მახუნჯავის ხელთ დავტოვო, უკვე ჩვენი უფლისწული, სიბრძნითაცა და მჭევრობითაც მათი ტოლფარდი კაცი მწადას უხუცესად.“

თუ მოისურვებთ, შენც და იგიც, აღისტარხოც თან გაიყოლე. უფლისწულმა დიდი ხანია აპატია უნებური შეცდომანი და ახალგაზრდული სიფიცხე ჩემი ნებაც ასეთია და მათ შორის მდურკვას, ჩვენ მამანი, ნუ გავალრმავებთ.

ახლა შენი ნება არს. თუ გადასწყვეტ, მოგვეახლე, თუ არა, თავს ნუ შეიწუხებ. სხვა ციხის მპყრობელს ვიხმობ.

მაფა-უფალი“.

გოჯი მამობილი ახლა უკვე უმცდარად არკვევდა, რომელი ბწყარი იყო ბედანისა და რომელი ვაჟიბედიასი.

—ჩვენი თაობა უფრო პირდაპირი და უეშმაკო იყო.

— უფლისწული სულსკვეთებითა და საქციელით ახალ თაობას ვერ განსაზღვრავთ, ყველაფრამდე უჩვეულოა და, ვგონებ, უსწრებს თავის თაობას!

— უბედური იქნება, თუ უსწრებს! პიროვნებისათვის, ბედან-ჩემო, მძიმე ბედისწერის დასაბამი სწორედ ეგ არის!

— მაგრამ ტომთათვის, ჩვენ ნათესავ-

თათვის იქნებ ბედი შემოაბრუნოს!

— ასეა, მოღვაწე კაცო! მრმაველით ცხოვრობს და თავის გულთმშვენივს კერის ცეცხლიდან აღსადგენ დასკუნჯს! კიდეც დიდხანს ჩურჩულებდნენ გულშეძრული მოხუცები. ბედანმა წერილი გადასწერა. მეფემ ბეჭედი დაასვა და დაალუქინა.

შხეთელმა თავი იტება წერილზე. მუქარა იყო თუ დაყვავება? იცის რამე, თუ ბაიბურშიაც არ არის და, მართლა იწვევს, მოიარებით სახლთუხუცესობასაც სთავაზობს! მაგრამ, რომ იცოდეს, იცის გოჯის „კოლხური სიფიცხე“, უკვე თავს დაესხმოდა. შხეთის ჯიხას ირგვლივ კი სრული სიწყინარეა! ყულევიდან ერთი კი არა, ოთხი ფარული მაცნე მოუვიდა! ერთიმეორის მიყოლებით! „ხომალდს მივადწიეთო!“ „ხოზიდან ზღვისკენ გაეწიეთო!“ „ზღვაზე ვართ და სულ მალე შევეცურდებითო!“ „კეთილად ნახვამდის! ზღვაში „შევეცურდითო!“ მეოთხე მაცნემ კი თავის მხრივ დასძინა: „ნაპირზე შუალამის მამლები ყიოდნენო, ზომალდი ზღვაში გაუჩინარდაო, მეც ავდექი და წავედიო!“

სქვამგურს ისიც მოაგონდა, გვაზამეგარს რომ „ჩაუყენა“ აღისტარხო, ვგონებ, იბერიაში წაჰიდაო! „ამიტომ თუ უფრო მიწვევენია?“

სულ ბოლო საბუთი მაინც ის იყო, რომ წერილის ბოლოში, თითქოს სხვათა შორის „აგდებულად ჩაგდებული“ ბწყარი იწყინა და მრავალჯის ჩაიკითხა—„ახლა შენი ნება არს“. დიახაც ჩემი ნებაა! „თუ გადასწყვეტ, მოგვეახლე“. დიახ, თუ გადასწყვეტ! „თუ არა, თავს ნუ შეიწუხებ, სხვა ციხის მპყრობელს ვიხმობ“. როგორ გაკილვით მწერენ, არ მოხვიდეთ! და კიდეც წკიპურტი „სხვა ციხის მპყრობელსო!“ სხვა შხეთელი სად არის კოლხეთში? მაგრამ უეცრად სიბრახზე დაუცხრა. სულ სხვა რამეც ამოიკითხა ამ ბწყარში, რაინე რომ იცოდნენ, ამას არ მოსწერდნენ! პირიქით, კალთას დაავლევდნენ, იქნებ ხელში ჩაეგდოთ!

საბოლოო გადაწყვეტა მაინც დილისათვის გადასდო. მთელი სერობისა და სეროისკუდის ეკი იფიქრა. აღრევე დაწვა, მაგრამ არ სძინებია. ფიქრში იყო თუ სიზმარში, ამას ვერ გაართვა თავი. ცალი ხელით რომელ ფარს ატრიალებდა და მეორეთი იბერიულ შუბს იმარჯვებდა. მერე ფარის ნაცვლად ოქროს საწმისი გაჩნდა, შუბს კი სახლთუხუცესის კვერთხი დაენაცვლა. როგორი სულისკვეთებაც ჰქონდა, ისევე ენისნა. ახლა პირველადობა და თავ-ბოლო ვერ გაერკვია. წამოხტა და მესაწოლეს სანთელი აანთებინა, მათა-უფალის წერილი კვლავ გადაიკითხა, მერმე პირდაპირ საცვლებზე შინა ლაბადა მოიგდო და საქალებში გავიდა. თავისი უდროო გამოჩენით ცოლი, ხანში შესული გუქა დიოფალი და მოახლეები დააფეთა.

— უიმე, დაგენაცვლე! რა ამბავია ჩვენს თავზე!

— რა შეიცხადეთ! მშვიდობაა, მშვიდობა! მართლა ჭირი არ მოიბედით რამე!— გაწყრა სქვამგური.

— მაშ ამ დავიწყებულ კვალსა და დროზე რამ მოგიყვანა?— უფრო განცვიფრდა გუქა.

— აჰა, წაიკითხე!— და წერილი გადასცა, თავად კი სანთელი აიღო ბუხარის თავიდან და ჭალი აანთებინა. მერმე მესაწოლენი და მკერავ-მოახლეები დაითხოვა.

გუქა წიგნიერი მანდილოსანი იყო ქართულადაც და ბერძნულადაც. მაგრამ მრუდე წიგნოსანის ხელში, უკვე ყოველი ახალი წიგნის ეშინოდა. ლამაზად დამკვნიარი პირისახე მოელუშა, წარბები შეეკრა და ლოგინზე წამოჯდა, მოოქვილ მაღალქოშებში კოპწია ფეხები წამყო და წერილს შორიდან გაჰხედა, თან თავის ოდესდაც, „შტრინგა შხეთელს“ აწუკვე საქმოდ მიმქრალი კექლუცა თავლები გაჰკრა. გამკრიახად და გრძნობა-შეღვიძებულად შეათვალიერა. კარგა ხანია მეუღლე ასე ლაბადამოგდებული, მოსარეცლედ აღარ მოსულა. გუქა მანდილოსანსა და დედას, ვერასგზით ვერ

ეპატიებინა სქვამგურისათვის, რომ თავისი ხეანჯების გადასატანად, ვეღ შეილსაც აბამდა და წილადაც აგდებდა. დიდ თამაშში. მართალია, „მეფისწულად და მემკვიდრედ“, მაგრამ დედის გული ვერასგზით ვერ ურიგდებოდა ერთადერთი შვილის გაშვილებას, ისიც საეკვოდ და ძალა-ძალად! ახლაც კითხულობდა წერილს და შინაგანი დავა ისევ ეძალებოდა.

სქვამგურმა აცალა და, გუქამ კითხვა რომ ჩაათავა, სადგისივით ამგერა:

— წავიდე თუ არა, რას მეტყვი, გულთამხილავო? სიზმრების ამხსნელო!

მაგრამ გუქა-მეუღლე თუ შეგუებულ შორჩილებითა და ჩვეულ ფიქრიანად იყო, გუქა-დედა ჯანყად იდგა!

— შენ ჯერ ის მითხარი, ალისტარხო სად არის? მაშინ გეტყვი!

— ალისტარხო სამშვიდობოს არის.

— სადღა არის ეს სამშვიდობო, შენს ხელში?

— სადაც არის!— ყრუდ აღუდღუღდა სქვამგური. ოჯახში ჩაბერებულ ცოლის გამუდმებულ ყვედრებისათვის არ ეცალა.

— მაშინ რად მკითხავ? ცოცხალ დედამის ერთადერთი ძის ვაძეგებას ფიქრობდი სასახლეში და მაშინ არ მკითხე! შვილი კინალამ შესწირე ხრიკებს! ახლა, როდესაც ვაპატიეს, თავად გიწვევენ, ახლა მკითხავ? ან შვილი არ არის სამშვიდობოს, ან რაიმე ახალ ხეანჯს ბლანდავ! ჩემს დასტურს ვერ მიიღებ, ვერა! სწორედ ეს სულმოუთქმელი საყვედური, გულდაგულ „დასტურად“ მიიღო სქვამგურმა და დაწყნარდა.

— ახლა სიზმარს გეტყვი.

— შენს სიზმრებს ცხადლივ შვილის ერთხელ ხილვა მირჩენია! — აღარ ცხრებოდა გუქა-ქალბატონი. მაგრამ სქვამგურიც კარგად იცნობდა მის მიერ გამწარებული ქალის გულს.

— მაშინ არ გეტყვი!— წერილი გამოსტაცა და კარისკენ გაეშურა.

— კარგი, სთქვი. შენ მუდამ გაჯავ-

რებს, რომ შენი შვილი, შენზე უფრო მიყვარს!

სქვამგური შედგა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ის, რაც მან „ნახა“, მისი სურვილი უფრო იყო, ვიდრე სიზმარი. და ეს მან ახლა მოსაყოლად გამზადებულმა უფრო ნათლევ იგრძნო.

— სოქვი, გისმენ! მე ოჯახის სიყვარული მაგულთმისნებს უგულოვ:— და რადგან სქვამგური ხმას არ იღებდა, განაგრძო,— მაგრამ შენ სიზმარი არ გინახავს. ბოროტები ნაკლებად ხედავენ სიზმრებს!— მკაცრად მოუჭრა და ლოგინში მიწვა.

ბოროტმა თითქმის ყოველთვის იცის, რომ ის ბოროტია. იცოდა სქვამგურმაც, საჯაროდ ამას „მიზნის მცდელობა-სა და მღვერობას“ უწოდებდა ხოლო სხვებისაგან პირამთქმელობას ვერ ითმენდა. მით უფრო ასეთ „სრულ ღია სიტყვას“ არავის არ აბატებდა ამპარტავანი შხეთელი, მაგრამ „ეშმაკის ბუდეს“, როგორც თავად გუნებაში უწოდებდა თავის შხეთს, ერთი „ნეტარი“ მაინც სჭიროდა. სწორედ ასეთ ნეტარად ჰყავდა სახული გუქა მეუღლე, რომელიც კვლავ გაუჯავრდა შვილის გამო, მაგრამ იმ ისევე გადმოუბრუნდა და მაინც ეტყვის რასმე!

— არ მეუბნები, მაგრამ მე მაინც გეტყვი, თუ სახეანჯოდ მიხვალ სასახლეში გირჩევნია არ წახვიდე! თუ გულდიად და სამეგობროდ, პატივი აორკეცე და ალისტარზოც თან წაიყვანე, აქაცა და იბერიამიც! იმ მოშვილებული უფლისწულის საქციელიც მომწონს. ჩანს, მასაც, შშობლებტხონებულს, ზნემაღალი დედა ჰყოლია!

სქვამგური მთელი ტანით შემობრუნდა, შილიფად მოგდებული ლაბადაც მხრებიდან ჩამოუცურდა და საცვლების ამარად შთენილს, ჯერ უბო, ყელში გახიზული, ხოლო შემდეგ ხეიხეინად ამოვარდნილი ხარხარი აუტყდა. თითქმის შუბივით მიიბჯინა გაოგნებულ ქალს.

— შენ, მართლაც ნეტარი! სად ხარი? თვალხილულა სიზმრებში წასულ!

ზნემაღალიო? თუ მიჯავრდები, გამიჯავრდი, სიცილით რაღად მკლავ! ჩემ ზურგს უკან შეფარებულა... მართლაც ზნემაღალი შენმა ქმარმა და შვილმა რამდენი უხრიკ-მახრიკი უნდა ჰკვანძონ და გახსნან, რომ შენ ზნემაღლობა შევინარჩუნონ!

გადაწყვიტე, ხვალ დილას წავალ! რომ მოვბრუნდები, უფლისწულის „ცხოვრებულ დედის ზნემაღლობის ამბავს“ მერმე ვაიძებელ! ღმერთებსაც შევიწიროთ მსხვერპლი. მერე ქედმაღლობა დავთმოთ, ზნემაღლობას მივყოთ ხელი. დამლოცე! სახვლიოდ დამლოცე! შვილი კი სამშვიდობოს არის!

— ღმერთებს ნუ სცოდავ! „უხრიკ-მახრიკ“ გზაზე მე არ დაგლოცავ. შენ ზნემაღლობა საცვლები გგონია, გამოიცვლი და სულის სისუფთავე აღდგენილია! ერთს გვედრები, შვილს ნუ მიღუპავ!— გუქა ჩამოსრიდა ლოგინიდან და ქმრის წინაშე მუხლებზე დაეცა. ახლა იგიც გრძელი პერანგის ამარა იყო.

— კარგი, კარგი, თავი დამანებე! — კილოშერეულად ამეტყველდა სქვამგური და ლაბადა მხრებზე მოიგდო, — რა თეთრი ყვავივით დამჩხავი! სიზმარი ხო არ გინახავს რამე?

— თვალხილულ სიზმარში და ავის წინაგრძობაში ვარ, უხრიკ-მახრიკო მამავ! მე გულუბრყვილობა და ნეტარობა მირჩევნია, ავ გზასა და ბოროტ ჰკუთას! შვილს ზელი უშვი, ვიდრე გვიან არ არის! ვაი თუ, ვაი თუ...

ეს უკვე შვილწავრილი, განრისხებული დედის, მართლაცდა, წინაგრძობა იყო. ამპარტავან სქვამგურს ნირი ეცვალა და ვარეთ, ბებრულ, ჯიუტა, მაგრამ საყრდენდაკარგულ ნაბიჯით გავიდა.

დილას ადრე ადგა, ალისტარზოს ოთხივე ამალოსანი, ნაშვიკიკალი იხმო და ხელახლა ყველაფერი მოაყოლა. მერმე მეხუთე, „ტყუპის მამა“ იკითხა. იგი ჯერაც არ იყო მობრუნებული. მაგრამ მას არც აგვიანდებოდა, იგი ცალკე იყო უფლისწულის კვალის მღვერად გამგებული. ალისტარზოს „ზღვაში წასვლი-

სა" მას არც უნდა სცოდნოდა რამე.

მერმე, ბათყევა ციხისთავი, ძველი მებრძოლი, იხმო.

— ამ ოთხს ჰხედავ? დასაჩუქრე! ახლა გადიო და გარეთ დაელოდე!

და როდესაც ოთხივე ნაშეიკრიკალი გავიდა, კვლავ ბათყევას უბრძანა: — დასაჩუქრე და ოთხივე ორმოში ჩაყარე, ჩემს მოსვლამდე! თუ მოვიდა, ის მეხუთეც. მაგრამ ის ცალკე! ციხეში საეკვო არავინ შემოუშვას! ცხენი და ათი კაცი გამიშვადე. სასახლეში მივალ!

მერმე ფარეში იხმო და ტანთ საზეიმოდ შეიშოსა. სირმეზიანი მათარა ოჭრობალთებიან, საგვარეულო ჭამარზე დაიმგვრა და თიფთივის ყაბალახი მხარზე გადაიგდო.

მათარამ ფიჭვი მისტაცა. იგი არა მართო ნატის კეთილნარეუტი წყლის სასმელი იყო, არამედ კოლხეთის კარის სახლთუხუცესის აუცილებელი სამკაულიც.

საბაჯროში ჩაიარა, მაგრამ იარაღს ხელი არ ახლო. სახლთუხუცესს სასახლეში ეკრძალებოდა და ამის უყოღინარობის გამომკვლავნება შეხეთელს სრულიად არ სწადდა. მათ გვარში სქვამგურის ბაბუის მამა, სახლთუხუცესობა და კოლხთ მათა-უფალის კარზე და მისი ნაქონი კვერთხი დიდი მოლოდინით შეილთაშვილზე გადადიოდა.

ახლა დილის მზე ბრწყინავდა კვერთხის ოჭროზე და სქვამგურს თვალს სჭრიდა.

— რა მტვერი დასდებია აქაურობას?

— უეცრად დასწყვილა შინამსახურთ,

— კვერთხი და ყველაფერი დაფერილი დამხვდეს!

სასახლეში უკვე ელოდნენ. ბქესთანვე საპატიო ყარაული დახვდა. ებგვრა და უფრო ეამა. აკვირებულმა ფიჭვმა საოცარი სიბეცე იცის!

შხეთელი მხლებლები ცალკე ქვედა დარბაზში იწვიეს. თავად სქვამგური კი პირდაპირ დიდი დარბაზისაკენ წაიყვანეს.

იქ არავინ არ დახვედრია. მხოლოდ ეს შეამჩნია, სახლთუხუცესის საჯდომთან

სასახლის კვერთხი იყო მიყუდებული.

მომყოლნი ჩამორჩნენ. განისს დაბრბაზიდან ტარიელი გამოეგება, ვარისკაცული, ზრდილად მოზომილი სალამი სცა და უფლისწულის სახელით დარბაზისაკენ სთხოვა.

სქვამგური მტკიცე, დაჭერებული ნაბიჯით მიჰყვა. იგი სრულიად არ ჰგავდა იმ საცვლების ამარა ბერიკაცს, თავის ცოლთან რჩევის საკითხავად რომ იყო და ჭირვეულობდა. არა, ახლა ნებისყოფიანი, თავისნათქვამა და ამაყი რაინდი იყო, რომელმაც იცის თავის ფასიცა და ქამთათვალავის სიბრძნეც.

უფლისწული ცივად შეხვდა შორიდან თავი დაუხარეს ურთიერთს.

— თქვენი ვაჟი სად არის?

— იბერიასი წასულა.— და თავიდანვე რომ მოესპო ეჭვი, თანაც მოიარებით თანხმობა ეთქვა, დასძინა,— მივალთ და ვნახავთ!

— რომ ვერ ვნახოთ?

— თუ გზაში შევეცილდით, უკან დავიბარებ. ან როგორც ინებებთ!

— ეგეც არ არის მთავარი. სხვაგან რომ აღმოჩნდეს?

— მე ვაგებ პასუხს!— ამაყად განაცხადა შეხეთელმა.

— მეც ასე ვფიქრობ!— უმაღ დაეთანხმა უფლისწული და მიიწვია,— წამობრძანდით, მცირე ბჭობის დარბაზში გელიან!

ახლა ქვედა სართულში ჩავიდნენ. სქვამგურს არ მოეწონა ასე აღმა-დაღმა სიარული, მაგრამ არ შეიფერა. არც მაშინ ვაიტეხა იხტიბარი, როდესაც მცირე ბჭობის დარბაზში შეიყვანეს და კარი ზურგს უკან ხმაურით მოუხურეს.

მთავარ საკარცულში მეფე-უფალი გოჯი იჯდა, მარჯვნივ და მარცხნივ ბქეებად და თითქოს მსაყულებად ბედანკოლხი და აბიო-იბერი. საწერ მერხთან ცოტნე სახლთუხუცესი.

სქვამგურის არც გამარჯობა მიიღეს. არც თავად უსურვეს რამე, არც იწვიეს.

სიჩუმე და გაურკვეველობა ახრჩობდა სქვამგურს. მერმე გოჯ-მეფემ, თითქოს ძველი საუბარი განავრძო:

— თავი იმართლე, სქვამგურ! ვაჟი-
ბედია უფლისწული ვიჩივის.

— აი, რა ყოფილა! — მოამაყდა მხე-
თელი. აუჩქარებლად ჩაახველა.

— წერილიდანაც და ნათქვამიდანაც
ჩანდა, რომ აპატია, მართლაც რომ ვა-
ციბედია, ჩემს უბედო ალისტარხოს,
უნებური შეცოდებანი. ისიც, ვიდრე
ჩვენ ილორი და სხვა ღმერთები, სულ
უცნობს უფლისწულად მოგვივლენდ-
ნენ...—ამაყად, ოდნავ ქირდვით, გაჰკენ-
წლა მხეთელმა.

— პირადსა და ადრეულს არას ვერ-
ჩი, არც ვედავები, შემდეგსა და საერ-
თოს კი ვუჩივი მამასაც და შვილსაც!
სქვამგურს ცოტა შესცივდა წელში,
თითქოს უხილაჲი წყალი შეუდგა.

— ვუჩივი, რომ თრიოდე დღის წი-
ნათ, მხეთელმა კაცმა, მამა-შვილის და-
ვალებით, რიონის ფონზე ისარი
მტყორცნა.

სქვამგურს გულზე მოეშვა. ჩაედმა
კიდევაც. „ის მესხეთე“ თუ ჩაიგდეს კი-
დევაც ხელში, მაშინაც დიდი არაფე-
რია!

— არ არის მართალი ვერც დამიმტ-
კიცებთ ამას. მეისრე სად არის?

— მეისრე კრილობამ გადაიტანა.

სქვამგურს ღიად, ცოტა ხელოვნუ-
რად, ცოტა მეკვილაკად, გაეცინა.

— რად კადრულობთ უფლისწულს?
მკვდარს ვედარ გავაცოცხლებთ! ასეთი
სასწაულები არა ხდება! მკვდარი კი
მოწმედ ვერ ჩაითვლება!

— ხდება! ცოცხალი მოწმეც არის!

სქვამგური მხრებჩაჩხული და ხელბე-
გაშლილი მიუბრუნდა გოჯ-მეფეს.

— შენ უნდა დამიფარო, კოლხთ-უფა-
ლო! შენი თანდასწრებით, რატომ მაკად-
რებთ ასეთ რასმე? ფიცით შეგაჯერებ!

მაგრამ გოჯზე მაინცდამაინც ფიცით
შეჯერებამ ვერ იმოქმედა:

— ტარიელ, მეორე ცოცხალი მოწმე
შემოიყვანე! — ჩვეულებრივზე უფრო
კილოდაკლებულად მიმართა გოჯი
კოლხელმა, მერმე თვალი დადლილად
გააყოლა წასულ ტარიელს და სქვამ-
გურს მიუბრუნდა:—რას უკადრისობ,

მხეთელს! ან რა ფიცით გსურს შეგა-
ჯერო! ცხრაფეხასავით სულსმრუდედ
ლოდავ! ხომ არ გგონია ~~აღმართის~~
ბაზე ხარ? ფიცის კაცთა სამსჯავროა,
უპირველესად ღალატი გედება ბრა-
ლად!

ახლა კი სახე ჩამოუფრქვლდა სქვამ-
გურს.

ზურგს უკან ვილაცა შემოვიდა ჯაჭვის
ჩხრიალით.

„ეს რომელი „მეორე, ცოცხალი მოწ-
მეა?“ ოთხივე ორმოში მიზის!“ ძალა-
ძალა იმედიანი ფიქრი გაუსხლტა შე-
მობრუნებას აპირებდა, მაგრამ უფლის-
წულმა წინ, უეცრად ელვასავით, რო-
მაული, იუპიტერხატული ალამი დაუგ-
დო და კისერი, შელოცვილ გველის წე-
ლივით გაუშეშა.

— იცნობ ამ ალამს?

— პირველად ვხედავ.—მაინც მოა-
ხერხა ელდანაკრავმა სქვამგურმა.

მიტრიალაძემ ახლა ალამს თავისი
შავსაბურავიანი სურათი, ასევე შებუ-
რულად დაადო. ამან სულ ზარი დასცა
სქვამგურს. თითქოს იძროდა და სულში
შუბად მიუძვრებოდა შებურული სუ-
რათი.

— იცანი? ხომ გამკვირვალეა ყვე-
ლაფერი? თუ ჩამოვხსნა შესაბურავი?

— ბეჩა? ეს რაა ჩემს თავს?—მაგრამ
საშინელი მიხვედრა კორიანტლივით
მოვარდა ბარბაცით შემოაბრუნა.

ახლა მის წინაშე შებურული სურათი
კი არა, არამედ ბორკილდადებული შვი-
ლი იდგა. მერმე შვილი მუხლებზე და-
ეცა.

გახვეებულ მამასაც ბორკილი და-
დეს და გვერდში ამოუყენეს. მაგრამ
მუხლებზე ჩადგომა მაინც არ ინება ამ-
აყმა მხეთელმა.

ფიცის მსაჯულნი კი უკვე თავდახრი-
ლად ბჰობდნენ. ყველაფერი ცხადი
იყო.

მაინც უფლისწულს მისცეს სიტყვა.

— თუმცა ღირსნი არ არიან, მაგრამ
ეს ჩემი პირველი გამარჯვება იყო ზღვა-
ზე და შვილს სიცოცხლე შევბირდი.
ვშუამდგომლობ, მამასაც ასეთივე პი-

რობა მიეცეთ, უკეთუ მეტს სისხლს აღარ დაგვადგრვენიებს და ციხეს უბრძოლველად ჩაგვაბარებს!

სახლთუხუცესმა ეტრატ-კალამი გაუწოდა ენაჩავარდნილ სქვამგურს. მან გამოართვა, მაგრამ ვერასგზით ვერ დასწერა. არა, ხელი კი არ უთრთოდა, სახელი დააეწიყდა თავისი, ძველი ციხისთავისა. ბოლოს ხელი ჩაიქნია და ცოლს მისწერა:

„გუქა, ცოცხლად გვიტირე ორივე და ამის მომტანს ციხეც და ყველაფერიც, რაც მოგთხოვოს, ჩააბარე. მშვიდობით. შეგვიწადე, ღმერთებს მსხვერპლი შესწირე.“

სქვამგურ შხეთელი.“

ბეჭედიც ხელჩაქნეულად დაასვა. მან იცოდა, ცოცხალიც რომ დარჩენილიყო, ეს მაინც მისი უქანასკნელი ხელოვნება და ბეჭდის დასამაც იყო. და, მართლაც, ქაშარი შემოაძერეს, მათარაც გააცალეს, ბეჭედიც ჩამოართვეს, მერმე გამოუცხადეს, ორმოში საშუღამოდ მიჯაჭვა, ციხის ახმა, ქონებისა და მამულსაქონლის თავისი შემოსავლით, უფლისწულის გამგებლობაში გადაცემა, ახალ ზომადლიონის დამატებით სახსრად.

გუქა შხეთელმა ერთი შეიცხადა, ტარიელმა ქმრის წერილი რომ გადასცა. მერმე გაქვავდა, ბათაყვა ციხისთავს ბჭენი გააღებინა და ვასაღებიც ტარიელს გადასცა.

სასახლის სპა ციხეში უბრძოლველად შევიდა. ტარიელმა სქვამგურისა და ალისტარხოს სადგომები დაამზრეკინა, რომაული ქრთამიცა და შხამიც, მიმოწერაცა და ხეანჯის ძაფებიც ბლომად ნახა. დედაქალს თავისი ნაშთითვის წილი და სარჩო გაუჩინეს, მაგრამ მან ყველაფერზე უარი სთქვა და „მისარონის“ მონად ფეხშიშველი წავიდა ჭყონდიდს, რომელიც მისი ჭინჯი-ხატიც იყო.

ტარიელმა ციხეში ახალი მეციხოვნენი შეაყენა, ხოლო ციხისთავობა ისევ ბებერ ბათაყვას ჩააბარა. ორმოში მსხდარბ ნაშვიკიკალნი ვაათავისუფლ-

ბინა. „ტყუპის მამის“ ოჯახიც მონახავინა და სარჩო გაუჩინა. შხეთის მეციხოვნენი შეკრიბა, ჯამაგირი დაურთვე და შინ გაუშვა.

უკან გაბრუნებისას, ბათაყვამ კარიბჭემდე ჩააცილა, ქეჩო მოიქექა.

— ძველი პატრონის დროს ყველაფერი საიდუმლოდ ხდებოდა. ახლა ღიად აკეთებ! ან სიკეთით მოგდით, ან ახალგაზრდობით! მე კი ასე გულდაგულ შენდეთ, მე შეიძლება რამეში მოგტყუვდე, მაგრამ ლალტის კაცი რომ არა ვარ, ალბათ, მოგეხსენებათ, შენცა და უფლისწულსაც! ერთს კი მაინც გთხოვთ, ძველი პატრონი მუდამ მიბარებდა, ვინ უნდა შემომეშვა და ვინ არა! ახლა აღარ ვიცი! არც უფლისწულს ვიცნობ...

— მარცხენა ხელის გული გაუსინჯე, დანაწვავი ეტყობა. ის გეტყვის ყველაფერს, ამ დღეებში, ალბათ, გეწვევებიან მეც ვახლდე. სხვა კი—მეფე-უფლის ბრძანების გარეშე—არავინ!

უფლისწული ციხე-გოჯში აღარ დახვედრია. არცინ იცოდა, სად გაქრა ასე უკვალოდ. ბედან-კოლხს ეწვია, მაგრამ მანაც არ იცოდა, გარდა იმისა, რომ გედე მაცნეს მოსვლა გაეგო.

საჯინბოში იკითხა და იქ გაიგო, რომ უფლისწულს, ნისლას ვარდა, ძვირფასად შემეკულ-აღკაზმული, მეფის საჯინბოს ულამაზესი ფაშატი, სინდიოფალაც“ წაუყვანია.

ახლა სულ დაიბნა ტარიელი. გედე დასძებნა და იგიც რომ ვეღარსად ნახა, მიხვდა, ერთად იყვნენ წასულნი და, რაღა თქმა უნდა, ისევ ფოთს.

ბოლოს მახუნჯავ-დევი მონახა. იმის „არცოდნამ“ კი სულ გააკვირვა! განციფრდა მახუნჯავიც, მაგრამ მისი განციფრება სხვა ხასიათისა იყო: — რა დაუღალავია? ჯაჭვივით ერთმანეთს არ აბამს საქმეებს!

ტარიელი კი სხვას ფიქრობდა:

„რა მოუსვენარია ახლავე? მაგრამ, რატომ გამერიდა? რატომ არ გამომიბრაშეთს? ან მაინცდამაინც რატომ იჩქარა ასე? ეს ლამაზი და აღკაზმული ფაშატი ვისთვის სჭირია? თუ გოგია სარფე-

ლი, დაგვიანებით ჩამოვიდა აფსაროსიდან, გახა აქ ვერ დაიბარებდა? ცუდი არაფერი იყოს! — მაგრამ ულამაზესი „სინდიოფალა“ იყო უტყუარი ნუგეში და ნიშანი გულმშვიდობისა!

ისევ მოთმინება მოიხვეჭა, ბედან კოლხთან და აბიო-იბერთან ავიდა, მახუნჯაიცი შალე მოეწვიათ... დასხდნენ და დაწვრილებით განხვეწეს იბერს გამგზავრების ყველა თარიღი და ვარაუდი.

წასვლის წინ, მითრილატესა და გედეს საუბარი ცხენების ჭენებას უფრო ჰგავდა. გედეს მოსვლისთანავე შეეკითხა:

— მოვიდნენ?

— ფოთს არიან!

— ყველანი?

— ყველანი. მაგრამ ცალ-ცალკე, ერთი-მეორის შეუყრელად!

— შეუყრელად?! — უფლისწულმა ერთი სტიდა გამომცდელი თვალი გედეს, — წაუდიდეთ!

დანარჩენი საუბარი მართლა ჭენებაში გაგრძელდა.

— მე მელოდებიან თუ ჩემს სიტყვას?

— ზოგი შენ, ზოგი შენს სიტყვას!

მითრილატემ კიდევ მოჰხედა გედეს და მის გვერდზე კოპწიად მონაგარდო ოქროკანხულ „სინდიოფალას“.

— ნაბაღი ვადაფარა უნაგინს. ზოგმა ხომ არაფერი დაგაბარა?

— ჩამოვედითო, ყველამ და ზოგმაც! უფლისწულმა ააჩქარა ცხენი. მეტი აღარაფერი აღარ შეეკითხა.

ასე იმუნჯეს გზაზე. და უკვე სულ მიწურულში, ისევ გედემ ჰკითხა:

— ჯერ სად მივიდიდეთ?

— სადაც გოგიჩა სარფელია და მეწვე ოსტატები.

ცალხელასთან, ციხის გაღვენში, ასიოდე კაცი იყო. გოგიჩამ დაბალი სალამი სცა, უფრო ახლო ვერ შეჰხედა უფლისწულს. მან კი ხელი მოჰხვია და გადაჰკოცნა. აბა გოგიჩამ რა იცოდა, რომ გულლიაობისა და სიხარულის ვარდა, მიფისწული ამით თავის დახვეწულობასაც ფარავდა.

— დაგავიანდა, ჩემო გეგუნავ! ხომალდთუხუცესი შვილი ვეღარ ნახე! დაგივადკაცდა აქაურ ამბებს ჭოტო გეტყოდა!

— ვიცი, ყველაფერი ვიცი. ვისი მადლიც არის, ისიც!

— ახლა მენავე ოსტატებთან სასაუბროდ არა მცალია, შეკაცრ დავალეზას! კი მოგცემ და შენი იმედი მაჭმენეყს!

— შვიმთა, ბიჭვინთა, გუშისისის, ცხურის ტყე, კოდორი, ანაკლია-ენგური, ხობი-ყულევი, პალიასტომი, აფსაროსი... ცხრა სახომალდეს მოაწყობ! მთხოვე, რაც დაგჭირდება, მაგრამ შეუსრულეზლობას ვერ მოვითმენ! დაიწყებ უშორესიდან. ტყის მჭრელებს მეფე-უფალი, რამდენსაც სთხოვ, მოგცემს. ოსტატები, ნაწილი გყავს, კიდევ მოვივლენ. მუხაშაგრა ერთი ხომალდით შენს ხელთაა, თუ არ ჩამოსულა. დღეს-ხვალ ჩამოვა და მოიხმარე... სავლაკესაც არ დაავიანდება. მერმე ისიც შენთან იქნება! საიდუმლო კარგად შემიწახეთ! მე იბერიაში მივალ, დაშავიანდება, ვიდრე ჩამოებრუნდება, თუ რამ გაგიჭირდათ, ან გოგი-მეფე, ან სახლოთუხუცესი! რომ დაებრუნდება, რამდენიმე ხომალდი დაძახებდრე! მეზღვაურებს შენც შეარჩევ და ჭოტო ციხისთავიც! პირველ ხომალდს — „აფსირტულას“ ვარქმევ. მეორეს „სარფს“, პირველ ცხრას გაკეთების ადგილის სახელს, მერმე ეწახოთ! სულ კი, ხომ იცი, ცხრაჯერ ცხრა უნდა გამოივითოთ და აღმიჭურვით!

ლარსაც შენ ჩაიბარებ და ხალხსაც. პასუხსაც შენ მივებ. შენი და სავლაკეს პატივისცემა ჩემზე იყოს! — ერთი სულის მოთქმით ჩაუწერ-ჩაუმარცვლა და ვაიჩქარა. გოგიჩა ტალღაგატაცებულებით ერთხანს უკან გაჰყვა, მერმე შვილდევით მოიხიდა.

— „უჰ, „მეჭრნალის შეგირდო!“ უფლისწულო! — მაგრამ „ტალღას“ უკვე ფაფარი და ქთელა უჩანდა. — უჰ! რა ჭარბშხალა კაცი იზრდება! ცხრაჯერ ცხრაო! ადგილები კი კარგად შეურჩევიათ ხალხი, ტყის მჭრელები, თორემ ხომალდები ჩემზე იყოს! — მაინც მოაძახა და მერმე მოაგონდა, რომ ალცანდრე „მუხა-გმუხაც“ უფლისწულის თხოვნით წამოიყვანა, მაგრამ თქმა ვეღარ მოასწრო.

„ქარიშხალა კაცი“ კი ნისლა ცხენს მიაქროლებდა და მას გედემ ვეღარ სწვდებოდა ცხენდაცხენ!



ჩემი ქვა ვიქტორი

ბიოგრაფიული რომანი

ოჯახი

1890 წლის შემოდგომის ერთ ქარიან ღამეა ქალაქ თბილისში, ბოძებზე მომადლოდ წამომდგარ სახლში დაიბადა ერთი ციციკა, შეკვრემანი ბიჭი. შავი, შავი თმა ჰქონდა და საუფლავზე თითქო ბუსტებზე ჩამაფეხდა.

„შესხედეთ ერთი, სულ მამაა! — სიამაყით შესძახა ბებია ქალმა და ხელში შეატრიალა ბიჭუნა. ახალგაზრდა დედის ბედნიერებისაგან გაედრია, პირში რომ მიუყვანეს, დედამზე ნაკლებად როდი უხაროდა ბებია კესსი.

— ნელა, არ გააციო, — გაუწყრა დედაპილი, ბავშვი ჩამოართვა და სათუთოდ გაახვია წინასწარ მომზადებულ საგებუმში. — კარგი ბიჭია, კარგი, ღმერთმა გვიცოცხლოს, — ლოცავდა პეხია პირველ შვილად, სულ ისიდორეს თვლები აქვს. მარა, — თითქო ოდნავ სინანულით დაურთო, — სთეთრით მიანიჭ რომ დედის დამსვენებოდა, კი აჯობებდა, არა?

— ეს არ თქვა მამი! — შეიქცადა ბებია ქალმა, — ვაჟი შავი უნდა, გოგო თეთრი. შენ რომ გიყვარს შენი რძალი, იმიტომ ამათ მთავს, თვარა ოქროსითი ბიჭია!

მონუქ კესის მართლაც ძალიან უყვარდა უფროსი რძალი, ყველაფერი მოსწონდა მისი: საონო სახე, თაფლსაფერი თვალების მწველი გამოხედვა კეთილი, დინჯი ხასიათი, საქმიანობა, პეხა და გონება. ახალგაზრდა ქალი პირველი დღიდანვე მხარში ამოუდგა დედაპილის და ამ დღი თვახის მამიქ უღელში შეება.

— ეყო გაუჩნდათ, ვაჟი, დოლიძეებს! — დაიროხა ხმა მებობლებმა.

— ყველაფერში რომ ბედი აქვთ! ქვარ რძალი მოიყვანეს, რა ქალი, რა გამარჯვებ, რა მშრომელი, ავარ ვაჟიშვილიც შეეჭინათ, — ამბობდა ერთი.

— ეითომ ახლა ასე გაიხარებს ბაბუამისი ესე? — ეკვობდა მეორე.

— რატომ არ უნდა გაიხაროს?

— არ იცი მისი უხავეი ხასიათი? თურმე ბურბურებს „გამიანდუნ მოზიარებო“.

მართლაც, როცა ყანიდან მოსულ ესეს ცოლმა ფართო პარზლიდან მიამხა: — ბიჭი ჰყავს, ბიჭი, გაიხარეო, მოხუცმა შავი ცოცხალი თვალები მოუტეა თურმე და ავღლებით ჩაილაპარაკა:

— გაიხარე, გაიხარე! ქვარ ჩემი შვილები არ დამიზრდია, ახლა შვილ-შვილები დამასივ.

— დედა, ღმერთო მომკალი! — შეიცხადა მოხუცმა ქალმა, — ღმერთს სტოდავ? მარგალიტით რძალი შეიყვანე ოჯახში, წლის თავზე ვაჟი გაგიჩინა, კიდო ბურბურებს!

მოხუცი ესე არც ისეთი ავი იყო, როგორც უცნის ეგონებოდა, მაგრამ შრომისაგან წელში გაწყვეტილ ვლესს, მხოლოდ სიბერეში გამოუყვარდა ცხოვრება, როცა უფროსი ვაჟები წამოეზარდნენ და მხარში ამოუდგნენ, ქვარ კედევ არა სყეროდა, რომ ეს მოლონიერებული ოჯახი მინა ოჯახი იყო, და სულ ემინოდა ისევე გაქირვებაში არ ჩავარდნილიყვენ.

ერთ დროს უმინაყლოდ დარჩენილ ობოლ ბიჭს სოჭლიდან სამი-ოთხი ვერსის მოშორებში, ტუქში თავისი ხელით მოწმენდილ მიწაზე ძლივს მოჰყავდა ცოტაოდენი სიმინდი და ამით ჰკევაებდა ქალბას. ვერა და ვერ ამოვიდა სიღარიბიდან, ვერა და ვერ მოიწყო ოჯახი, ცოლი თითქმის ორმოცი წლისამ შეიერთა, დედინაცვლის ხელში გაწამებულა 13-14 წლის ერთი ობოლი გოგო მოიყვანა და გვიან დაწვრილშვილდა, ამიტომ სამოც წელს გადაცილებულ ბერაკაცს უფროსი ვაჟის დაქორწინება ნაადრევად მიჩნდა.

თურმე არც ისიდორე დოლიძე ჩქარობდა ცოლის შერთვას. ოცდახუთი წლის მოხდენილი ვაჟაკიც კმაყოფილი იყო თავისი ცხოვრებით. უკვე დამოუკიდებლად მუშაობდა და მამაზე მეტი შემოქონდა ოჯახში. ბევრ ქალიშვილს მოსწონდა, მასაც ბევრი მოსდიოდა თვალში, როცა ვერა დღეს ვარშინით ვაივლიდა ბაზრობაზე, ან სადმე ქორწილში ომხიანად შემოსწახებად სუფრას. ამ შავთვალ-წარბა, ენა-წყლან, გონებაშივლ ვაჟაკს ქვარჯრობით

გულში ისე არაფერი ჩავარდნობდა, რომ ცოლად შეერათო. მაგრამ დედამისმა გადაწყვიტა რძლის მოყვანა. კესო დღილივე საოცარი დარბაზისლობით თუ ტყბილი სიტყვით იმდენი ქნა, რომ ბოლოს მოადრეკა ქმარი. ვინ იფიქრებდა, რომ ეს წარმოსადგევი ქალი ის გალუტული შეშინებულ გოგო იყო, რდესად ქმრისა და ახალი მეურვის უფრო რომ ეწინააღი, ვიდრე თავისი ავი დედანაცულისა. როცა კესო დღილივე ნაქსოვ გრძელ მოსასხამს მხრებზე მოადგებდა და თავის ტოლ-ქალებთან სადმე ქორწილში წაივდიოდა, საპატიო ადგილს იმას უთმობდნენ.

„ერთი შეხედეთ, რა ქალია,—ისმობა ჩუბჩული, — ახლა რომ ასეთია, ამა ახალგაზრდა რა იქნებოდა“.

მოხუც კესოს კი ეცილებოდა. რამდენჯერ უამბნია შეიღიშელებსათვის, რა შეუხედავი, სწყყალი გოგო იყო. „ჩემი ესე უმწი წერტილთვალას შეძახდაო“. ან რა საჩახავი იქნებოდა თბლობაში გაზრდილი, უქმელ-უსმელი ბავშვი, რომელსაც დედანაცვალმა დაქალებმა არ დააცადია, თავიდან მოიშორა და ხნეილსა და ღარბულატყ უმიწყულო გლეხს გაატანა.

ღიამ, მამე ცხოვრება ჰქონდა კესოს, მაგრამ ვაუძლო, გვერდში ამოუდგა ქმარს. აი, ოჯახი ფეხზე წამოდგა, ვაფიშვილები მოესწრო. მარათლია, კესოს ისევე ძეძუშვიტარა ბავშვიც ეცი-რა ხელში, ნაბოლარა ვგომნა, მაგრამ ამისათვის თავის პირშშოს უცოლოდ ხომ არ დატოვებდა? დატრიილდა კესო, შესძრა ნათესავეუი თუ შეზობლები და კიდევ გამოძებნა საჩალო...

17-18 წლის მელანი ერთი შვიდი, დანჯი გოგონა მხარში ედგა თავის ადრე დაქვრთვებულ დედას, მაკა რუსიევილს და ჯერ არც კი ფიქრობდა გათხოვებაზე. დედასთან ერთად უე-ლიდა და პატრონობდა ოთხ უმცროს და-შშს. ამა წარმოადგენდა, რამდენი საზრუნავი ექნებოდა ამ მოზრდილ გოგონას?

მამა თერქებთან ომში დაიღებდა. ოჯახი პენსიას იღებდა და ეს კარგი დახმარებაც იყო, მაკ-რამ ამა, პენსია რას ეყოფოდა ამდენ წვრილ-ფეხობას? ქვრთვი დღე და დამ შეშობდა, უფ-როსი ქალიშვილიც დიდ ჯალში იყო: პატარა-ბას დაბან-დარეცხვა, საჭმლის მომზადება, ბაღან-ბისტრის მოვლა, ყერვა, ქსოვა...

სიყვარულის დრო ვისა ჰქონდა, გათხოვება-ზე ვინ იფიქრებდა, ამიტომაც შეუგვანადა მა-კას უფროსი ქალის გათხოვება. იმ დროს 15 წლის ქალი უკვე შინაბერად ითვლებოდა. „ღამრჩა გოგო ვაუთხოვარი“,—ოხერით იტყო-და ხოლმე ქვრთვი. მაგრამ თან იქნა და ეყო მოიცალა ამ საქმისთვის. ვინ ასეთი გამჩრქე გოგოს მოშორებაც ენანებოდა. ანე მიდიოდა დღეები ლეკმაპურსათვის ბრძოლაში. მელანომ და მისმა პატარა დამ—კესიკომ შესანიშნავი ხელ-საჭმე იცოდნენ და ამითაც შეელოდნენ ოჯახს: საბნებს ყერავდნენ, ქსოვდნენ, ქარავდნენ. რო-

ცა ვინმე მეზობელი თხოვდებოდა, მთელი შერ-თვეი შეღანოსა და კესოს უნდა შეეკვრათ. შე-ზობლებიც ხან ერთ-ორ ტომარა სწონდნენ შვირ-უტანდნენ, ხან ყანას გაუთოხნიდნენ; მამკა/რუს-სიეშვილის ნადი ხომ განთქმული იყო მთელს იმ კუთხეში. ისეთი შნოიანი, გულუხვი პერმა-რილი გაიშლებოდა ამ შრომისმოყვარე უამბა-კეთს ოჯახში, რომ გულსამოყვებოდა. ისე გუ-ლიანად არსად არ შეშობდნენ, როგორც მათ-თან. და, აი, სწორედ ამ ოჯახს დაადგა თვალ-კესო დღილიც.

გამჩრე გოგო, კარგი შესახედავი, წესიერი, ისეთებს კი არა ჰგავდა თვალი რომ დიდ სტუმ-რად წასვლადევი ევირათ, ღობე-ღობე დაქვრთო-ბდნენ და ღროს ლაზღანდარობაში ატარებდნენ, სახიერი, დარბაზიული... მელანი თეთრი, პირმარ-გვალი გოგო იყო, ალალი თვალები, რბილი, წაბლისფერი თმა ჰქონდა. წუნარი, თავდაქვრი-ლი, ჩემი, შრომელი. ერთ წუთს არ დასვე-ნებდა ხელს, თუ მოსტანს არ უვლიდა, ყერა-ე-და, რეცხავდა, ქსოვდა. შეუღამეულ შრომობდა ქრატის შექმე. ამიტომაც ჰქონდათ სახლი ვა-წყირიალებული, თავიანთი ხელით მოქსოვილი თუ ნაქარგი ფარდებით მორთული და დამშვე-ნებული. ეზოში მოლი შწვანედ ხასხასებდა.

არც უშხითყო იყო მელანი. მაკა რუსიევი-ლი მიიღებდა თუ არა პენსიას ოსურგეთში, მა-შინვე უშუაზე გაუფლდა. ნახეიერს გადასახა-ლისათვის ან სხვა საჭიროებისათვის გადასდებდა, ნახეიერი პენსიით ჩითებს, ტილოს, ბამბას თუ მატყლს იყიდდა. ნავაურს მისი გამჩრე ქალ-შვილები მოუფლადნენ ხოლმე. წეწვადნენ, ქსოვდნენ, ყერავდნენ, ქარავდნენ. არა თუ უფ-როსი ქალიშვილის მელანოს, უმცროსების სამ-ზითოვი სკიერებებიც ნელ-ნელა იცვებოდა.

კესო დღილიც თავისი ტყბილი ენით მალე დიყოლია ქვრთვი და კიდევაც მოიყვანა სა-სურტყელი რძალი. არც უნანებია. უტყბილესი რძალ-ღედამთილობა ჰქონდათ მთელი სიცოცხ-ლის მანძილზე.

პატარა, შავტუბა ბიჭი მეტად ანჩლი აღმო-ჩნდა. მთელი დამეები არც თვითონ ებნა, არც სხვას აწინებდა. აკვანში ვერ ახერებდნენ. იყო ერთი ვაი-უბედურება, დედამეში დაღლილობი-საგან ფეხზე ვეღარ იდგა აქეთ მთელი ოჯახის საქმე, იქით ეს მტირალა ბიჭი. დამამობით ამოიყვანდა აკენიდან, რომ არაფერი შეეწუხე-ბინა მის ტარბილს და მთელი დღის დაღლილი ახლა ბავშვს ატარებდა და უნანავებდა, ისიც ჩემად, რომ არ დანახათ და მეტისმეტი გულ-ჩილომისათვის არ დაეძრახათ. ეს ღამით. დღ-ნით? დღისით ხომ აკვისს წასარწევადაც არ თვა-ლი ამ გამჩრე ქალს.

როგორც ჩვილობაში, ისე შემდგეშიც პატარა ვიქტორი მეტად თავისებური ბავშვი ვყოფილა: ცუდქი, მოუხვენარი, ყვირილით იყლებდა იქა-ურობას. ზოგჯერ კი გაირინდებოდა, გაჩრმე-

ბოლა საათობით საღმე კეთებენი მიზალელი, შეშინებულ დედა ეძებდა ბავშვს—სად არის, ხომ არაფერი დაემართაო. მოძებნიდა და იბრუნებდა საღდაუ კუთხეში ფიჭურებში გაჩაბულს. მერე კი უცებ ახმაურდებოდა. სიბილი, თამაში, სულ აიკლებდა იჭურბას.

დედის უკვე სამი ვიფი ჰყავდა, ახლა დედაშთლი, მამამთლი, მახლები, მულეტი, თვითონ ცოლ-ქმარი, ოჯახის უფროსი რძალს, ბუნებით გამჩრცხ და მშრომელს, ადვილი წარმოსადგენია, რამდენი საქმე ექნებოდა. ბავშვების განებურების თავი სადა ჰქონდა და მინც ახერხებდა დედა ვიქტორისათვის, რომელიც ბავშვობიდან სუსტი იყო და სხეულებზე ხშირად ავადმყოფობდა, მერე ყურადღება მიექცია. თავის დროზე ექვია, ზედმეტი რძე დაეღვინებინა, კვრცხი შეეწეა ღდაარში. ღამე რამდენჯერ დახუდავდა, საბანი არაფადახადოსო. ვიქტორი დაბადებიდან სუსტი იყო. წვიმაში ნარბენ-ნათამაშველი ძმები თუ გაიკვდილობდნენ და ზველა აუტყდებოდათ, ან სიციხე მისცემდა, საცხარისი იყო სულ ცოტა რამ—თბილი ჩაი, ან რძე დაელოთ. ოფლი მოუდინათ, რომ დაღლით უკვე ორგვე უმცროსი ჩიტივით წამოფრინდებოდა, ვიქტორს კი კარგა ხნით ჩააგლებდა ლოკინში. ზველას ვეღარ იშორებდა ბავშვი, ვახდებოდა და დასუსტდებოდა. ამიტომ დედა, რაღა თქმა უნდა, მერე მზრუნველობას იჩენდა მის მიმართ, თითქოს ანებურებად ეკლდე, რამდენდაც შესწყვედა ძალა ახლებს ოჯახში.

და მინც, მიუხედავად ამ მერე ყურადღებებისა და თითქოს მერე სიყვარულისა, დედა თვით ამ ყველაზე სათუთად მოსაყვლელ შვილსადმი ძალიან მკაცრი იყო.

ერთი ამბავი, როგორც ლეგენდა ცოცხლობს ჩვენს ოჯახში.

ერთხელ თურმე დედა შესწრება, რომ პატარა ვიქტორი, ასე შეღიბრება წლის იქნებოდა, თრთოღე ტოლი ამხანაგით ქალღალს თამაშობს, ორი თუ სამი თითო კაბიკანა დღეს ეკლდე „პანკში“ და დიდი ახარებით ურტყამენ ქალღალს. ვინ იცის რასა თამაშობდნენ. იქნებ უბრალო „კონინკას“ ან „ღურასკ“ აცოღვილებდნენ, მაგრამ დედის თვალში ეს ბავშვების გახარების, გახულოვნების, დაღუბვის მომამყავებელი იყო. დედამ იქვე მიუბერტყავს თავისი შვილი, სტუმრები ვაუწყია, ხოლო შეშინებულ ვიქტორი აურბენინება კიბებზე და უკანა ოთახში ჩაუკეტა. „იქვეი მანდ, ერთ ვერის არ ვაგიშვებ ვარეთ, რას ქვია ფულზე თამაშში!“ ეს პატარა ოთახი რაღაც საეუწყნარო მავიფი იყო, ხოლო ზამთრობით, ავღარში მის საშხლისადე ზმარობდნენ. კეთხენი უზარმაზარს, ახლა ჩამჭრალ ზეხარს დაელო პირი. კვლავზე ბავს. წიწვი. იფრის ასხულებუი ეყავა. ტატზე აყცილო ვწყო მთელი ოჯახის ლეიბ-სახენები, ბაღიშები, ველის ბირში ვარ-

ჩიხული თუ გაურჩეველი სიამინდის ტროკები, სინათლე ოდნავ ატინდა ქერში, დატანებულ პატარა სინათურიდან,—საყარობილვე და ეს არას, ამ ცოცხალი, მოსუნგანარი ბავშვისათვის: აქ ჩაკეტება მარტო, რაღა თქმა უნდა, დიდი სასყელი იქნებოდა.

ვიქტორი, რომელსაც ყვერ თავის დანამაშულიც ვერ ვაეგო, მუზობლის ბიჭება რომ გუფყარეს, სხვაენათ ანოვდო გული, მაგრამ როცა მართლა სიკვტეს, სასტიკად ნაწყენი ვიბრტა და ხმას აღარ იღებდა. ისეთი სიჩუმი ჩამოყარდა თურმე, რომ დედა შეწყუბდა, მაგრამ თავი აღზრდის მეთოდს აღარ უღალატა—კარი მინც არ ვაღლო. მარტო ვიქტორის მომდევნო ბიჭი, ვასო აიყოცა ვარედან და საჩემელში ჩაიხიდა, რას აცთებსო. თურმე ზის ბიჭი ჩუშად კუთხეში და ხმას არ იღებს, დედა დაშვილიდა და ახლა ვიქტორის მენახებუის მშობლებთან ვადვიდა, რომ ვამზნა რა საფრთხის წინაშე იცუნენ იმათი შვილები და ახლა მათ გამოსწორებაზე ეთათბირნა. მაგრამ ვიქტორის შეგობრის და მასვდო მოსუნგანარი ბავშვის დედამ, არაფერად ჩავდო ეს ამბავი, „რა მოხდა მერე, ითამაშესო...“ ვაჯრტელა აუტყვე.

— როგორ თუ რა მოხდა?—დელავდა დედა. — ქალღალს თამაშობდნენ, ფულზე! დღეს ითამაშებენ, ხელ მოიპარავენ და მორჩა, ვაიბი-ვირდებიან და დაიღუბებიან, დროზე თუ არ მოვიდეთ ხელის ან სად იმოვეს ფული, რატომ არ ფერობ, ახლავე უნდა დავსყოფო, რომ ვეორედ აღარ ვაიმეორნ. მე აჯრტყარა ოთახში ჩაკეტე ჩემი ვიქტორი, მთელ დღეს არ ვაშეუძვებ, შენც...

— არა, გენაცვალე, მე ჩემს ერთს ასე ვერ ვაგიშვებო— შეურთა თურმე მუზობელმა.— მებვინდა ჩაკეტე, ვინდა მოჰკალი, სამი ვავსე და აღბათ იმბტომ არ გენანება.

დღღარემს სიყვილიამდე არ დავიწყებია ეს მწარე სიტყვა.

— მე ვიქტორი არ მენახებოდა? ვიქტორს ვაგიშვებდი, რომ... ეს კი არა, გული მკვიდობდა, სულ მიღარაფებული ვიყავი, ნამეტრის არ ეწყინოს, არ იღარდოს, ვივად არ ვახდეს, ისედაც სუსტი ბავშვი—მეთქი,—ვაკნებდა, თითქოს თავს იმართლებდა დედა, — იმას კი, იმ უბედურს, რომ არ ვაგიგონა, კიდევაც დაეღუბა ის ერთი შვილი. არ ისწავლა, მართლად ვაგინვარდა, სულს ამოსულამდე ვამწარებელი იყო იმისგან ის საცოდავი. რომ ვვდებოდა, საფულავშიც იმბტი დარდი ჩაყვა—რა ეშველება უჩემოდ, როგორ იცხოვრებსო, არ გეცოდებათ. გული მიკვდებოდა, სხვა ბავშვები რომ ეხონი თამაშობდნენ და ერთი ყრამული ვამტონდათ, ვიქტორი კი მარტო იყო ჩაკეტული...

ამ მწარე იჭურბში იყო დედა, რომ უცებ სასულე ორკესტრის ხმა ვაიამა. ოზურგეთის მისადგომებთან წაზარტები იყო და კარბი საევეღ

ვარჯიშობიდან რომ ბრუნდებოდა, ყოველთვის უკრავდნენ, ან სამხედრო სიმღერებს მღეროდნენ. ვიქტორმა გაიგონა ეს ხმა, ამ პატარა სიმართის ქალაქში მხოლოდ სასულე ორკესტრის მოსმენა შეეძლო. აქამდე თუ ისე ჩემოდ იყო, რომ ემინონდათ კიდევ, ხომ არავინ მოუვიდაო, ახლა აიკლო იჯურობა, ხან კარს ეცა, ხან სარკმელს. სულ ჩამოყარა წითელი წიწკის ასმულები თუ ხახვის ვალები, ყვიროდა, იხევებოდა გამოეშვით, სულ დაანგრია ყველაფერი. დედა დიბნა და აბა იცოდა როგორ მოეცეყოფო. ბავშვის ყვირილმა ყველა შეამშფოთა. განსაკუთრებით კი დეიდაჩემი ეს დეიდა ენსიკო დედაჩემის უმცროსი და, ხშირად მოდიოდა უფროს დასთან ოზურგეთში, ესმარებოდა ბავშვების მოვლაში, ხოლო შემდეგ თბილისშიც გამოჰყვა და ვათხოვებამდე ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა. შევლებით ვუყვარდი ყველა. დედის გარდაცვალების შემდეგ თავისი ოჯახიც კი მიატოვა და ჩვენთან გადმოსახლდა, რომ უღედობა არ გაგვეჩვიებოდა, ჩვენც ისე გვიყვარდა, დედაში არ ვარჩევდი.

— რას ხილდა, — მივარდა თურმე უფროს დას, — განდა გადაირიოს ბავშვი, არ იცო, როგორ უყვარს მესხა? — უმაღლე გამოსწია ურდული და კარს გაუღო.

ტყუიასავით გამოვარდა თურმე ვიქტორი. აიცი არავისათვის შეუხედავს, თვალის დახამხამებაში ჩაიბრინა კიბე, მოავარი ქუჩისკენ გაიქცა, საიდანაც მესხის ხმა ისმოდა. საღამომდე ვერას დასდევდა, მანამ უახარებში არ შევიდნენ და სანატრელი სასულე ორკესტრის კვლავ მოსმენის ყოველი იმედი ვაკჭრა.

შინ რომ დაბრუნდა, ისეთი ბედნიერი სახე მქონდა, ისეთი კმაყოფილებით ღლიწებდა რაღაცას, არავის აზრადეა არ მისვლია, მოეგონებინა მისთვის იმდღეანდელი შფოთი, ან მისი დანაშაული, დაჟა თუ პატარა.

ძალიან მალე ეცლებოდა გუნება: აგერ იკლებდა ყველაფერს, ყვაროდა, დარბოდა, დაბტოდა, უცბე გაიშლებოდა და მიიძინებოდა სადმე.

მემა

მამაჩემმა დიდი გაკვირვებით დაზარდა შევლები. გადამწვეტილი მქონდა, რაღაც არ უნდა დაჰყდომოდა, სულ რომ წიღში გაწყვეტილიყო, ბიჭებისათვის სწავლა-განათლება მიეცა.

— უნდა ვასწავლო, — ციუტად იმეორებდა იგი, — განათლება რომ ექნებათ, შერე თვითონ გაიკვლავენ გზას, თორემ, მე შენ გეტყვი, მამულები გვაქვს და ამ მამულებს შემოსავლია იცხოვრებენ. მე რომ სწავლა დამკლოდა, განა ასე ვიქნებოდა? მარა მარტო ერთი დღე ვუყავი

სკოლაში. ერთი დღე. არა, ჩემს შეილებს ასე არ დავტოვებ, ვასწავლი, რაღაც არ უნდა დამეცდეს.

და მართლა ხელნელა აზოცდებოდა ამ თავის ოცნებას თუ გადამწვეტილებას.

სულ იმის ფიქრში იყო შეძლებდა თუ არა ოჯახის შენახვას გლეხური შრომის, მიწის გარეშე. თვითონ ეს მიწა რომ ძალიან ცოტა ჰქონდათ ჩვენებს. უფრო სწორად, საკუთარი საყენე მიწა სრულებით არ ვაჩნდათ.

გამოებნიდნენ სადმე ტყეში, მდინარის პარალელ ქვლორიდან პატარა ვაკე ადგილს, ასეთ მიწებს „არავისი“ ანუ „უმატრონი“ ეწოდებოდა. ამ მიწებში არავის ახდევინებდნენ, არც ბეგარას თხოვდნენ. ამ ენს მოსკიდებდა ხელს მწირ ადგილს, რომელიც, სხვა რომ არავდარი, ყოველ გაზაფხულს გჭრის მდელი მთებიდან მოვარდნილი ნალექებით წიალევებოდა ხოლმე. ასეთ მიწას მარტო გაჭირვებული, ბოგანო გლეხი თუ მოეკიდებოდა. ბაბუა ესე თვეგადაკლული მუშა იყო. ჯიუტად ასუფთავებდა ამოჩემებულ საყენე მიწას, ანო უიერებდა, წყლის ნაძირებს ამავრებდა, რომ ადრეებულ წყალს ისევ არ მოეტანა ქვლორისი. ხნავდა, თესავდა. ცოტაოდნის მაინც წაგლეჯდა მწირ მიწას. შერე ის იყო და ცოლი შეიროო, ისიც გამრჯე, მუყაითი ქალი გამოდგა, გვერდში ამოუღდა ქმარს.

ბებია ეკოსა ხშირად უამბნა იმდროინდელი მათი ცხოვრება. ერთი წუთი მოსვენება რა იყო, არ ეციოდით, ერთ დღეს ეერ მოცდებოდათ, ეწმინდით, ეთხნიდით, ვაფხვიერებდით, ამ მწირ მიწებს. ზაფხულობით კიდევ რა მიშავდა, წივასამდით შეილებს, თითო ნაწერ მჭიდს მოვუტრებელი და დარბოდნენ ტყე-ღრეში. შავრამ ზამთარში იკითხეთ, საღ შეთრია ეს წვროტყვნობა ამ სოშირეს, ან საღ მჭონდა მათი ტანს საცმელი თუ ფეხსაცმელი — დაიყინებოდნენ სახლში ვტოვებდით და ბუხარში რომ არ დეფუთქულიყვენ, ან გარეთ ქაში არ ჩაკვიენულიყვენ, ტახტის ფეხზე მივაბამდი თოკით, ბუხრიდან მოშორებდით, მოვკიდოდ მივაბამდი, რომ ცოტაოდნის თამში მაინც შეძლებოდათ და წყალს ან ქაღის ნატებს მიწვდომოდნენ. შინ დამე დავბრუნდებოდი. აქეთ-იქით მიყროლან საწყლები, ობლებით მისძინებოდათ უსატროზოდ. ასეთ გაკვირებაში მყავდნენ... შერე შოიზარდნენ ბიჭები და...

მოიზარდნენ ბიჭები, გვერდში ამოუღდნენ მამას. გაათავისუფლეს დედა ყანაში მუშაობიდან — ოჯახი ოჯახს დაემაჯავსა, მოითქვენ სული.

შავრამ ვეღარ იტანდნენ ვაკეებში ამ მწირ მიწასთან ბძროლას ერთი ლუკმა მჭვალისათვის. ამტომ ზოგა ხელისნადა წივებდა, ზოგმა რკინიგზის მიწაშრა, ზოგმა სხვა ნაქმეს მოკიდა ხელი. ნიჭიერი შეილები ჰყავდა ესე დოღაქეს, გამრჯენი, თვითონაც ფეხზე დაღანენ, ოჯახსაც

მივშველენ. უმცროსებს კი, როგორც საკეთიარყოველად, სწავლა-განათლებაც მისცეს.

მამაჩემს ოჯახიდან სამუშაოზე გასვლა ერთ მისთვის დროად სამწუხარო, თან საკმაოდ იუმორისტული ამბავთან არის დაკავშირებული.

გაბატულეს პარას ტყეში მუშაობდნენ, უანაში, ბაბუაჩემს უფროსი ვაჟი, ისიდორე ეხმარებოდა. დანარჩენები ჯერ სულ ჩვილები იყვნენ. პოდა, რაჟი საქმე არ იღებოდა, შინ, სოფელად მობრუნებას ვეღარ ასწრებდნენ. იჭკე, ტუის პარას პატარა წული ჩაჩვავლა დაეღვათ და ღამეც იქ ათევდნენ, რომ დაღლილ-დაქანტულებს ამ სიმორებს არ ევლოთ და გათენებამდე შესვლომოდნენ მუშაობას. ცოტადენი საოჯახო ნივთებიც თან ჰქონდათ. შუაღამებზე დასკიდებელი „ჩარხანა“—თუნუქის მომყარო ქვაში, ღომს რაშიც აკეთებენ, კეცი, ორიოდ თევზი, ცოტადენი სიმინდის ფეცლი. მკლას თეთონ აცხობდნენ, ყველს ბებია ამოუტანდა ხოლმე, მათი სადილიც ეს იყო და ვახშამიც... სასმელ წყალს ამ ჩარხანაში ინახავდნენ, ვერ იქნა, ვერ შეიძინეს ერთი დიდი ქარია, ანუ ჩაფი. თუნუქის ქვაში კი ზაფხულის პანაქებაში აბა რა გემო ეწებოდა წყალს დაფიჭვებდა, რადღაც არ უნდა დაქლომოდათ, ვეღარც ქარია, შოვაროვეს ტყეში ფიჩხი გასაყიდათ, ხარები ვიღაც შეძლებული მეზობლათაგან ითხოვეს, სამაგეროდ სამი დღე იმის ყანაში უნდა ემუშავათ. ესე ბაბუამ მამაჩემს შიანდო ფიჩხის გაყიდვა და ქარიცა შეძენა. კარგა მოზრდილი ბიჭი იყო ისიდორე, თანაც ანარჩინი, ვერ მოატყუებენო. თეთონ ბაბუა მთელი დღით საქმის მოკლენას მოვირბა.

წავიდა ისიდორე გაბატნობილი, რომ ასეთი საქმე მანდღეს. ფიჩხი მიკიტან ისაყს მიჰყიდა. ამ მიკიტანთან წინათაც ხშირად მიჰქონდათ ფიჩხი მამა-შვილს. ფასიც უკვე იყო. მერე ბაბუაში გავიდა, ლამაზი, სესხებილი წითელი, მოზრდილი ქარია აიბრია. ერთ-ორ ფიჩხიანი კამფეტსაც გამოჩინა ამ საქმეს, აქეთობას სოფელში გამოიჩინა, ხარები პატარას მიჰგვარა, პატარა დაიკო გაახარა კამფეტებით. დედამ სამი თავე ქუჩიტი ყველს გამოიტანა. მოდის ისიდორე, მოაქვს ქარია, უხარა—რა ცივი, გემრიელი წყალი გვექნება, დაქანტულები და ლასაცხულები შინ რომ დავბრუნდებით.

მოვიდა. ჩარხანაში გამთბარი წყლით ქაღი მოხილა, კეცზე დააქრა და ახალი ქარიცაო წყალზე გააქვა. მოიტანა, დადგა და... დახუთ უბედურებმა, ქარია დანით დასერილივით არ გაიპო შეაზეო თევზებით ივლავ წყალმა და გაქრა. სიციხისაგან დამსკლარმა მიწამ წყალი სულ შეისრუტა.

გადიარია ბიჭი. რა მოხდა? რამ ვატყვია ქარიცა? ბზარი ჰქონდა და ვერ შეინძნა, როცა ყიღღობდა, თუ წვეტიან ქვას მოახვედრა, წყლით საუსე ქარია რომ ძირს დადგა? რაღა

დროს ამაზე ფიქრი იყო. ქარიაც ვატყვია. „მომკლავს მამა, — გაუღელა ფიქრმა, — მომკლევს რამდენი ხანი ფიჩხი ვაგროვებ, ახლა ნაფიქრად ხარების ფასად სამი დღე უნდა სხვის ყანაში ვიმუშაოთ, ქარია კი... მაინც რამ ვადახსნა ასე უშაბე, თითქოს ვაგერსო“. აიღო, ორივე მხარე ერთი მეორეს მიადო, ჩაფი გამოთვლიდა. არსად ბზარი არ ემჩნეოდა. „ღმერთო მიშველე! ღმერთო, შენი სახელის ქირიმე“—ევედობა: ბიჭი ღმერთს, ისიდორეს სწამდა ღმერთი. სწამდა მისი საკეთე და ყოვლისშემძლეობა, გელსაიამო დათვლიდა. რამდენჯერ უთქვამს მღვდელს, თუ ვწამს და ისე შევედებები შაკხოვარს, მთას დამძარავს ადგილიდან და შენენ წაიოიყვანსო.

„ღმერთო, შენი სახელის ქირიმე!—ლოცულობს თურმე ისიდორე. თან ორივე ხელი უჭირავს ქარია, არ ვაიშნოსო, — მიშველე, შენ ხომ ყველაფერი შეგიძლია. მთები შეგიძლია დამრა ადგილიდან! მე მთების დაქვრა კი არ მინდა, აი შარტო ერთი თიხის ქარია გაანოთელე. ხომ იცი, რომ მე შწამს, შწამს ღმერთი! მიშველე, გადამარჩინე! მომკლავს მამაჩემი, მომკლავს გამომთელე, გამომთელე, რა იქნება. ოლონდ შენ მოინდომე და გამთელდებამე კიდევ მოვასწრებ წყაროზე ჩარხენას. მოვიტან წყალს და მამაჩემი ვერაფერს გაიგებს. მიშველე და მუდამ შენი მონა ვიქნები, მეტს არასოდეს არ შეგაწუხებ, მეტს აღარაფერსა ვთხოვ, ოლონდ ახლა მიშველე!“

ილიცა, ილიცა ისიდორემ და გულს რომ იჭრა, ფრთხილად ვაუშვა ხელი ჩაფს, დარწმუნებულმა, რომ იგი გამოთვლიდა. მართლაც, რა დიდი ჯაფა ჰქონდებოდა ღმერთს? მხოლოდ უნდა მოეწონებინა, ნუთუ ამას არ შეუხარებლეს? შეუხარებლეს, შეუხარებლეს. აი, სულ მთელივით არა დგას ქარია? და ბიჭმა ხელი უშვა ჩაფს. გაეგონია?

„ისე გამოთვლიდა შენი ბერკი და ავის მსურველიო“, — სიცილით იტყობდა ხოლმე მამაჩემი შემდეგ, მაგრამ მაშინ სიცილის თავე სად ჰქონდა. უმცროსი ღმერთმა და მგონი საშუალოდ მაშინ დაიმსხვრა მამაჩემის გულში ეს ყვარბის ყოველთვის დიდი ათეისტო იყო. უნდა გენახოთ, როგორა იუმორით ყვებოდა ამ ამბავს მამაჩემი, — არა, ჩემისთანა საწყალ ბიჭს თუ არ შეიბრალვება, ნეტა ვინ უნდა შეებრალვებინა ის დამოუკლავი? ღმერთი არა, ის არ გინდა ან ჩემისთანა უტოდელი აბა ვინ იქნებოდა. ცხრა-ათი წლის ბიჭმა შრომის მეტი სჭვა რა ვეცოდი. გელსიას გვერდს ისე არ ავუვლოდი, პიტყვარი არ ვადამენახა, ლოცვა არ მეუთქვა. ახლა ზარბება, წირვა-ლოცვა? როცა კი დროს ვიხელთებდი, გელსიასში მეგობოდი, რას ვთავადავობო შექნოლი და გადანახული კაპიციანით სანთელს ვეყიდი, დაეანთებდი, ღმერთს შევე-

ვედრებოდი... არა, როგორ მკეროდა, ხელა რომ გავუშვი იმ უბედურ ქარიას, ეგვი არ შეპარებოდა, რომ გამთელდა. ამა ასეთ უბრალო რამეში რაღა გამაწილებდა, რომ არასდროს არაფრით არ შემეწუხებია. გუებნები, ისე მკეროდა, უცეე მიხაროდა — ახლავე წყაროზე გავიქცევი, ახალ წყალს მოვიტინ და ქარიას გატეხას მაძინეში მისდგეში ვერ გაგაგნა-შეთქი. ერთ წუთს გამიგვირდა კიდეც, რომ ისევე ორად გაიბო ქარიას, არც კი დაეფერე, მეგონა, მომეჩვენა... მერე კი მივხვდი და მას აქეთ...“

იმის შემდეგ ეკლესიაში ქუდს ვერ შეუვადებდით. შეიღებინ ნათლობასაც კი არ დასწრებია თურმე, სასაცილოდ არა ყოფნიდა მიტანი თუ ჯვარი და ზიარება.

მამის კი ეუღლდები ჩავარდა. რა ქანა? მამა საცაა მოვა, სხვა რომ არაფერი, ნაჯფარს, დასიცულს ის თბილი წყალიც აღარ დახვდება ჩარხანაში. ისევე წყაროზე გავარდა, მოარბენინა წყალი და მამაც გამოჩნდა. ძლივს გასწრო კარებში თავქვე დაეშვა, მიამახა: წყალი ჩარხანაშიაო და ექვე. ბევრი ეძებდა მოხუცმა ესემ ტყეში თავისი პირშიო, როცა მიხვდა რამიციყო საქმე, ამოიდ ეძახდა თურმე, — ბიჭო ისილორე, სადა ხარ, არ მოკლავ, ბიჭო, გამოჩნდე, ნადირმა არ შეგამოხოსო ისილორე კი ზეზე ამბე-რალოდა და ხმას არ იღებდა, მომკლავს ცემითო! შორს წასვლა კი ეშინოდა, მართლა არ შემეშა-მოსო ნადირმა.

მხოლოდ გათენებისას ჩამოძვრა ხიდან და გასწია გზაში გადაწყვეტა, მოდი ერთი მიკიტან ისაკასთან მივალო, სწორედ იმ მიკიტანთან, ვისაც გუშინ დილით შემა მიპყდა. დიდი ხანია ისაკაი თვალი ეჭირა მარჯვე ბიჭზე, თავის სამიკიტანში უნდოდა დაეყენებინა. ახლა კი ბიჭი თავის ფეხით მივიდა და დაეჭირავა.

როცა ბოლოს მამამ იპოვა დაკარგული შეილი, შინ აღარ წაყვია, მომბეზრდა იმ ქვებისა და ვარკვების თრევაო. აქედან უფრო გამოვადგებო, შინ კი უმცროსებიც მეფერი გავსო-მიკიტანმაც დაუყვავა ბაბუაჩემს და დითანხმა. მართლაც, თვეში ათი შურვი იქნებოდა თუ მანეთი, ისიც ფული იყო იმ დროს გლეხის ოჯახისათვის.

სხე გვიდა მამაჩემი, რომ იტყვიან, „ხალხში“. ვინ იცის, ეს შემთხვევა რომ არა, სულ სხვაინიარად წარმართულიყო მთელი ჩვენი ოჯახის ცხოვრება, მიკიტანის შემდეგ მომრიგებელ-მოსამართლესთან იყო მზარეტლის თანაშემწედ, შემდეგ თვით შეფ-მზარეტულად, მერე რკინაგზის სადგურზე ბუფეტში შემოიბდა, ბოლოს რომელიღაც მეზღვრებელს მოუწყვედა ჩაქვში, ჯერ ხელქვეითად, შემდეგ წილშიც კი შეუყვანა. ამ დროისათვის მამაჩემი უკვე ოჯახს იყო მოკიდებული და საგულდაგულოდ ისეთ საქმეებს ეძებდა, რომ ცოლ-შვილი წესიერად შეენახა, შეიღებინ ფეხზე დაეყენებინა. მალე კიდევაც

მიანდო მოლით-მარტლისის ხე-ტყისა და სივრცის დანების სამუშაოებს-საკირეს. მიანდო და სიკვდილამდე შერჩა კიდევ ამ საქმესავე...
მამაჩემის ჩაქვში, მეზღვრებელს მოუწყვედა დროსთან არის დაეყენებული ვიქტორის ერთი ოანი.

რუსეთის პირველი რევოლუციის ბოლოქარი დღეები იდგა, მეფის მთავრობა შეამოხვევს, ვისუფლავ კი ეგვის მიიტანდა, სახრთობელზე გზავნიდა.

ვიქტორი თურმე იმ დროს მინათი ნადირობით იყო გატაცებული. სადღირობაზე რა მოგახსენოთ, ასე ვთქვათ, ჯერ ეშინებოდა. იმი-სათვის, რომ მიმინო დაიჭირა, ჯერ პატარა ჩიტა ღაყო უნდა გამოწრთენა. დაიჭრენ ამ ღაყო, ფეხზე ძაღს გამოამაშენ და ძაღის მეორე ბოლოს ჯოხზე დაამაგრებენ. ამ ჯოხზე საყენეს დაუყრიან, ჯოხს სადმე კედელში ან ხეში გაარქობენ. ჯიუტი ჩიტი ჯერ თავდაყირა ჩამოეკიდება იმ მიბმული ფეხით. საყენეს არა სქამს, მაგრამ შემოილით შეწყუხებული ივადრებს და ენკას იწყებს. ბოლოს მთლად მოთინიერდება. ამ ძაღს დაუჭრებლებენ ნელ-ნელა. კიდევ, კიდევ და მერე გრძელი ძაღით ახვევენ დრენას. ასე გამოწრინილი ტყეში ან მინდორში მიპყავთ. მონადირე ბუნქვეში მიიმალება, ამ უხილავ ძაღზე მიბმულ ღაყოს კი მოხერხებულად ანაყარდებს. მიმინო მოტყუვდება, მოფრინდება და...

ვიქტორს მიმინო არასდროს არ დაუჭერია რა მდიდარი თავადშვილების ამ საყვარელ გასართობსაც მოკლებული იყო, მაგრამ, როგორც იცოდა ზოლზე, ახლაც სულთან და გულის მივცა ამ ახალ გატაცებას და საბრალო ღაყოებს დასტა-დასტად წრთენიდა.

ერთ მშვენიერ დღეს თურმე მეფის ეანდარმერიის ვილაც უფროსი მოხელე ეწვია ჩაქვს. უფრო სწორად რკინიგზის ხაზს თვალდევდნენ და გზად ჩაქვიც მოინახულეს. მოდის თურმე ეს უფროსი და მთა-ბარა მოაქვს, უკან მოსდევს ეანდარმერის მთელი ახლა. მოდიან და თვალებს აციკებენ, ვაგბ რამე საუკუო შეეშინითო, იქნებ ეინძეს ექებდნენ?

ბაქანი ცარიელია, რაღა თქმა უნდა, არავის ეკმაშეცება ეანდარმერის სტუმრობა. ბავშვებიც კი მიიმინდენ და შეშინებულები შორიდან იუტრებინ. მოდის უფროსი და თვალებს აბრიალებს.

— ეს რა უმსკავსობაა! — დაიღრიალა უცეე, — რაო, თქვენო აღმატებულბავე?! — დაფრთხნენ ეანდარმები, თან აქეთ-იქით იყურებინ.

თურმე ნუ იტყვი, ვიქტორს დაუჭერია ოანი ღაყო, ოთხ ჯოხზე გამოუბამს და ოთხივე ჩიტი თავდაყირა პყიდა. ჯოხები კი სადგურის ქვის კედელში ერთი მეორის გვერდით გაურქვია.

— რასა ჰგავს ეს! საბრძოლველი მოგიწყვიტა?

— აბა სხვას რას იფიქრებდა ჟანდარმი?

— ატყდა ერთი უბედურება, მაგრად მოხვდა სადგურის ჟანდარმს, მაშინ ხომ ყოველ სადგურზე, თუ დასაზღველ პუნქტზე თითო ჟანდარმი მინდა იყო.

— ეს რასა ჰგავს? რას უყურებთ? ვინ მოაწყო ეს საბრძოლველი? — უყვირის თურმე სადგურის ჟანდარმს უფროსი.

— ის უბედური ძლივსდა ლღლღღებებს. საბრალოს რამდენჯერ უნახავს ვიქტორის ლაყოები, მაგრამ ასეთი რამ არ უფიქრა.

— ეს ჩიტია, „ლაღო, ლაღო“, მიმინო, ნადირობა, — ბურტყუნებს თურმე და ფერა არ ადევს.

— რის ლაღო, რის მიმინო, შე უტყინო, ვერა ზღაღო, დავკინდნე, ზედ ცხვირწინ რა ჩამოვიკლეს. ახლავ გაიგე ვინ არის ამის გამკეთებელი, თორემ შე ვეცი შენი!

— კიდევ კარგი, რომ უფროსი იმდღესვე გაეცალა ჩაქვს და ამ საქმეს აღარ მიაყვია. ალბათ, ამასვე მეტი საზრუნავი გამოუჩნდა.

— ჟანდარმი გადარჩა, მაგრამ ახლა მამაჩემის ჯავრი ჩიღო ვულში. მან ხომ იცოდა, ლაყოებს ვიქტორი წააუნიდა. რამდენჯერ უნახავს ეს ჩიტუნები თავდაყირა ჩამოვლებულნი, რამდენჯერ შეხვედრია პატარა ვიქტორი, როცა ტყეში მიდიოდა გაჭრთვნილი ჩიტუნათი „მიმინოს დასაქურად“, რომელიც ჩაქვის მახლობლად არავის უნახავს... მაგრამ ასეთი რამ არასოდეს არ უფიქრა.

— არა, არა, ისიღორ, — ეშუქრებოდა მამას გაიწმამებული მეფის მსახური, — ამის მე ასე არ ღატოვებს. შენი ვიქტორი... იცი, რა ყოფილა შენი ვიქტორი? განგებ მომიწყოს ეს თინი, განგებ გამოიყვანა ის ლაყოები სადგურზე, თორემ სხვა დროს მაგ წყევლი ჩიტები, სულ იქ, ტყეში, ამ ეზოში მყავდა, ახლა სწორედ ბაქანზე გამოიყვანა, ისიც როდის! უფროსის ჩამოსვლის დროს. რა შეშველებია, რომ ვულში ჩიღოს, ხომ მომსპო და გამანადგურა!

— მამაჩემს, რაღა თქმა უნდა, დიდხანია მოსყიდული ჰყავდა ეს ჟანდარმი. აბა, ისე ვინ გაიხარებდა სადგურის ბუღატს, თუ ჟანდარმის გულს არ მოგებდა.

— აა, ვასპაღინ ჩანდაბა, — მხაბრულად მიუგება თურმე მამაჩემი, ვითომ აქ არაფერი იყო. ის ყოველდღე ასე მიმართავდა ჟანდარმს და იმპასი არა სწყინდა, — მოდი, მოდი როგორი ქაქის არაყი მაქვს! იქნებ საწითლის არაყი გირჩენია! ჰო-ჰო, რა საწითლის არაყია ეს უფრო მოგებდება ნაჩილიკების შეფუტუტუნების შემდეგ. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, იმდენი ჩანდაბა ერთად...

— იცა, ისიღორ, ის გირჩენია მაგ ხუმრობას თავი ღანებო, — ეუბნება ჟანდარმი და თან

არავს ხუხავს, — შენა გგონია, მე არ ვიცი, რას ნიშნავს ეგ შენი „ჩანდაბა“? მეფის მსახური ვარ! ჩემი ღაცივია არ შეიძლება! თანქს სუ-ტუნებ, კარგად იცი, შენი ვიქტორის ქაქის რა დღეში ჩამავდეს! მე არ გვაგამილე, თორემ, იცი მაგისთვის რა მოგივიდოდა!

— მმ, ვასპაღინ ჩანდაბა, ჩვენ ხომ ძველი დოსტები ვართ. მიირთვია, მიირთვია, აი წნილიც მიაყოლე. უკ, რა წნილია, სულ ყველა ჩანდაბის ნახალისე დაგაიწყებს. აბა ესეც გადაქარი იო, ხო, ხო, რა ქაქის არაყია ეს ერთი ბოთლიც შენი საჩუქარი იყოს, შინ უფრო მოსვენებით მიირთმევ, წნილიც ვაგატანო? ბარემ ეს დოზის ნიჭური წაილე... ძალიან უხდება ქაქის არაყს ითვლავდა მამაჩემი. მეფის მსახური კი ვიბეგებს იესებდა და თან თავისას გაიძახოდა:

— არა, ისიღორ, არა, შენ სიტყვას ბანზე ნუ ადებ, თორემ მე ვიცი შენი, დიდი ვშმაკი ვიცი ხარ...

— მოკლედ, კარგად დიუქდა მამაჩემს ვიქტორის „მიმინოებით ნადირობა“. ძლივს მოიშორა გაქირვეულიებული „პატონი ჩანდაბა“.

— ბიჭო, — უთხრა ვიქტორს, საღამო ხანს შინ რომ მოვიდა, — რა ლმერთი გაგიწყრა, რაღა მაინცა და მაინც დღეს გამოფინე ის წყევლი ლაყოები ბაქანზე, მართლა განგებ ხომ არ გააკეთე?

— ვიქტორი ჩუმად იღიმებოდა თურმე, ვინ იცის, იქნებ მართლაც განგებ მოაწყოს ეს თინი.

თხილინი

ბოლოს მოსწყინდა მამაჩემს ეს ბუფტიცა და ამ ჟანდარმებისა თუ უფროსების ლოლიაობაც. — ვითომ ესეც ხელობაა, არაყში და ღვინოში უნდა მოატყუო ხალხი და იმით იცხოვრო, აბა პატიოსანი ვაჭრობით ვის გაუტანია თავი. არა, მე მაგის ვაჭრი არ ვიცი.

— თან ბიჭები წამოეზარდნენ. საქირო ვახდა ერთ ადგილას მაგრად მოკეციდებინა, ფეხი, რომ ბუფტებს გზა-კვალი არ აბნეოდან.

— ისიღორე დოლიქე კარგა ხანია მოლით-მარელისის ხე-ტყის წარმოება შეიგულა. უნდა ითქვას, ამ საქმეს დიდი ზიანი მოჰქონდა საქართველოს ამ რაიონებისათვის: ბოთოლა ვაჭრები უმოწყალოდ ანადგურებდნენ სურამის ელელტეხილის შესანიშნავ ტყეებს, ძვირფასი ასწლოვანი ხეები ხშირად უბრალო საწვევ შემად იყიდებოდა. მაგრამ ვინ ზრუნავდა ამ დროს ხალხის დოღლათზე? ვინც სად მოაგენდა ადგილად გამდიდრების წყაროს, არაფერს დაემტობა. მდიდრდებოდნენ ამ საქმით, და არც მუშის ხელფასზე ძუნწობდნენ, ოღონდ მალე ვაჭრებათ, ვაჭრებათ და გაეყიდათ.

— მამაჩემიც, როგორც სხვა მრავალი მუშა, ვერ ვრკვეოდა რა ხდებოდა, ან საიდან ეცოდინე-

ბოდა, რა ზიანს აყენებდნენ ეს ქორ-ვაჭრები მის მიწა-წყალს.

მეშებს ეტებდნენ, სიჭმე ყარვ შემოსავალს იძლეოდა და მამამაც იქითვედ ვაჭრობა, მერე კიდევ კირის გამოწევის წარმოება გამოიხდა. ვინც ტენის გაანატრედა ეს უფრო მომგებიანი საქმე იყო.

სწორედ ახლა წამოიჭრა საკითხი, სად უკეთესია, სად დაედოთ საბოლოოდ ბინა. მოკლითში ან მარეღისში გადასახლებულაყვენ? იქნებ მერე სხვაგან გაუწია ამ მოუხვენარ კაცს და გადაწყვიტეს ბარზე თბილისში დასახლებულიყვენ.

— ბიჭებმა დედაქალაქში უნდა ისწავლონ, — ამბობდა მამა, — ექტორი კომერსანტი უნდა გამოვიდეს, კომერციულ სასწავლებელში შევიყვანო. მოფიქრებელი ბიჭია. ნახეთ თუ ბანკის დირექტორი არ გახდება.

იი, მამინ ითქვა თურმე პირველად სიტყვა კომერცია. საიდან მოიტანა ეს კომერცია, თუ ბანკის დირექტორობა, არ ვიცი, მაგრამ ერთი კი ცხადია, ეს იყო მამანემის ოცნება. ვექტორი დიდი მოხელე, ბანკის დირექტორი უნდა გამხდარიყო. იმაზე არაფერ ფიქრობდა, რომ ექტორის უკვე ამჟამად ეტყობოდა მუსიკალური ნიჭი, ბავშვი დღენიდაც უკრავდა, გიტარა შეხედებოდა, სალამური თუ შანდოლინა. შესანიშნავი სმენა ჰქონდა. თუკი მამანემმა თვითონ ვაიკულია გზა და თქაბიჯ ფეხზე დააყენა, მისი პირშიშო ხომ უფრო ყარგი კაცი უნდა გამხდარიყო. მამანემის ოცნება კი ბანკის დირექტორაბაზე შორს არ მიდიოდა.

გადაწყდა თბილისში გადასვლა. თუ სხვა ცხოვრობს, ჩვენ რატომ ვერ ვიცხოვრებთ!

სიტყვა და საქმე ერთი იყო. აიკიდეს ბარგობარბინა, რაც გაანხდათ და გადმოსახლდნენ. მამანემი ხომ უკვე არაერთხელ იყო ნაწყობი თბილისში და კარგადაც იცნობდა დედაქალაქს. თბილისში ბინა ჯერ მამანემდ რიყის რაიონში დაიჭირეს. იქ უფრო იაფი იყო.

დაიჭირავეს თუ არა ოთახი, ვიდრე ქალები — დედა და დედაც კესიყო ბარგის გახსნიდნენ და მილაგებდნენ, მამანემი ბახარში წასულა, მოუტანა ხორცი, ბრინჯი და მწვანილი. უშალვე შეუდგამთ დიასახლისის ღუმელზე შინიდან წამოყოლილი ქებაი და პირველი კერძი თბილისში — ბრინჯიანი ხარბო გაუფრთხობათ.

არაგვართა ავეცი არ გაანხდათ. პირდაპირ ოთახის შეუღულში გაუშლიათ დიდამემის მოქარგული სიტყვა, დედგამთ ზედ ეს ბარბოლინი ქებაი და პირველ კერძს ასე შექცევიან. მამანემს გზად ექვსი თუფში და ექვსი კოვზიც უუილია... ბიჭებს ყველაზე უფრო თონის პური მოსწონებოდათ. განსაკუთრებით უყვარდა ვექტორს ჩვენი თონის პური, მერმეც, რუსეთიდან რომ ჩამოვიდოდა და თავის საყვარელ შოთებს

დინახავდა, იტყუოდა, ქართული პურისთანავე რაიელი არაფერია ქვეყანახეო.

დინახავდნენ. მამანემი ისე გაემგზავდა, რომ ორიოდე ტახტი, სკამით თუ მავლიდ მინც მტეძინა ქალები შინ დატრიალდნენ. ბარგი მიილაგ-მოილაგეს, დიასახლისს თუ მეზობლებს ეცნობდნენ, სამხარეულო-სათავსოებს ათვალიერებდნენ. ბიჭებმა დრო იხელთეს და გარეთ გამოვიდნენ, ხომ უნდა გავცნოთ ეს ახალი სამყარო. ქალაქი, მერედა რა ქალაქი, რამოდენა! ბარე ერთი საათი იჩაქჩაბა იაფფისიანმა ეტლმა, სანამ სადგურიდან მათ ახალ სამყოფელოში მოიყვანდა.

შეღამებულყოფა. მეფარხე კიბით დაიქოქებდა და ქუჩის ერთი ფარინიდან მეროვმდე. მიადგამდა კიბეს ზომა, აცოცდებოდა და ანთებდა. ფარხეების მტეხტავი შეუი ოდნავ თუ ანთებდა ქუჩას, მაგრამ ჩაქვიდან ჩამოშულ ბავშვებს ქალაქი გათავაშებული ეჩვენებოდათ. ალბათ იქ დინახა პირველად პატარა ვექტორმა ფართო-შარგლიანი ყარახიხელი თუ კინტო, თავზე უხარმხარი ხილის თაბახით რომ მოდის და კობტად მოიქვს წიჭწიჭა ტანა, თითქოს საცევიად ემხადებო. ეტლში მსხდომი მოქვიფმ თავადიშვილები. იქნებ აქ ნახა პირველად ზოლიან წინდებში, პრელ-პრელ ქოშებში, მჭახე მწვანე თუ წითელი ხავერდის ქელაჯებში გამოწყობილი, თეთრხილბანდებიანი ქალები. ესენი ხომ მისი ბარბალებს, თავადი ლევანის, საქოს და სიყოს პრატოტიბები იყვენ. ასეა თუ ისე, პირველად აქ ნახა ვექტორმა ძველი თბილისი.

როცა ქალებმა ბავშვები მოაკითხეს, ნახეს, რომ უმცროსს, პატარა კოლს იქვე აქცოდ ღებინ-სამანზე მისინებოდა გაუბღულა, უჭროსები კი არსად ჩანდნენ. დაფრთხენ დები, ბავშვები არ დერეფანში იყვენ, არც ფართო, უკანა იფიანზე, რომელიც სხვენში აღიოდა. ყველა ფეხზე დადგა, დიასახლისი, ახალი მეზობლები, ყველანი გარეთ გაცვიდნენ ბავშვების საძებნელად.

ბიჭები სულ ახლოს, იქვე, ეზოს კიშვართან იდგნენ მოვადობებულები და გაფართობული თვალებით გააყურებდნენ თბილისს. „ესაი კიდევ იხედებოდა აქეთ-იქით, — იგონებდა შემდეგ დედაემი, — ექტორი კი გამტერებულეიეთ იყო...“

ვინ იცის, ამ ფართოდ გახელილ თვალებში ისე ძლიერად აღიბეჭდა მამინ ძველი თბილისი, პირველ დღეებში ნახაბი ქალაქის სურათები, რომ საშუამოდ ჩაჩაბა პატარა ბიჭს ვონებამი, ვიდრე ბოლოს არ გაბრწყინდა მისი ცხოვრების შედეგში აქეთი და კობტა“.

მამანემი კი ისეე თავის გადაწყვიტილებახე იტყა, — ვექტორს კომერციულ სასწავლებელში შევიყვანო, უმაღლესსაი კომერციულს დავმთავრებებო.

— კი მაგრამ, ისიღორე, ვექტორი ბუნებით

მუსიკასია, არ ჯობია მუსიკა ასწავლოთ, ვინ იცის, რა სახელოვანი კაცი გამოვიდეს, — ეუბნებოდნენ ახლობლები.

— აჰ! არ მითხრათ მაგი! — უარზე იყო მამა, — მუსიკა რა კაცის ხელობაა. სიმღერა და მოღებენა მეც მიყვარს, მარა თავის დროზე. ის არა სჯობია, უზრუნველი იყო კი ხელფასით, ყველა ბავშვს გეცემდეს და მუსიკა თუ გინდა, წადი თეატრში და იყიდე ბილეთი... სხვა მოვიღებენს, შენ კი მოსვენებული იქეცი საცარბელში. ვიქტორი ჩემი უფროსი ვაჟიშვილია, მაგის იმედი მაქვს. მაშინწინა მუსიკოსი რა ბედენა? მუდამ გაბირებებში უნდა იყოს, მუდამ ლუკმაპურზე ფიქრობდეს! არა და არა! ეგებ ბანკის დირექტორბაში ედისარო. მეორეს — ვასოს იმედიანად გამოვიყვან, სახლებში აშენოს, აი, ავერ გოგო შეზრდება, იმას თუ გინდათ ასწავლიეთ მუსიკა, გოგოს ყოველთვის გამოადგება.

მართლაც, რომ წამოვიზარდე, მასწავლიდნენ მუსიკას. კონსერვატორიაშიც კი შემეყვანეს, მაგრამ რაში გამომაღდა? შოპენის რამდენიმე ნოქტურნს ან პრელუდს თუ დაეუკრავ ხანდახან.

გზასაცდენილმა ვიქტორმა კი მხოლოდ ჰაბუკობისას დაიწყო სერიოზულად მუშაობა მუსიკაში, ისიც მამასაგან ფარულად.

საბარლო მამა, როგორ ამყობდა შემდეგ, რომ ასეთი სახელოვანი პირშიშო სუფთა და როგორ არ უყვარდა, როცა მის ადრინდელ ვიქტორბას შეახსენებდნენ.

ერთ რამეში კი არ ცდებოდა მამაჩემი. ვიქტორს, მიუხედავად მისი დიდი სახელისა, თავისი პირველი ოპერის პირველივე დადგმისთანავე რომ მოიხვეჭა, მატერიალურად მუდამ უპირდა. იმ დროს ოპერის დადგმაში, თვითონ დადგმის უფლებებში არაფერს იძლეოდნენ. კომპოზიტორი მარტო თეატრიდან იღებდა პონორარს. თითო მოქმედებაში ერთ-ნახევარ პროცენტს. აბა რა თანხა უნდა შეედგინა ამ პროცენტებს მხოლოდ თბილისში და ისიც ერთ ოპერაში („ლეილა“ და „ციხანა“ სხვადასხვა მიზეზების გამო მალე მოიხსნა). არც ნოტების დაბეჭდვის საქმე იყო მოწესრიგებული. ვიქტორის სულ რამდენიმე რომანსა და ბეჭედილი. სხვა რომანსები ზელნიწერის სახით ვრცელდებოდა და ამიტომ მრავალი მათგანი დაიკარგა. ეს გადამწერაჲ ხომ ძვირი ყდებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მთავრობა დროდადრო სპეციალურ დადგენილებით პოპულარულ კომპოზიტორებს ერთგვარი ჯილდოს სახით, ხან ავიადყოფობის გამო, ხან კიდევ რამე თარიღთან დაკავშირებით ცირკაოდენ თანხას აძლევდა. აი, მაშინ მოითქვამდა ხოლმე სულს ვიქტორი, თავის საყვარელ ბაბაიროზე, ან აბასთუმანში წავიდოდა დასასვენებლად, ანდა ისევ ნოტების შექმნას, გადაწერას მოანდომებდა მთელ თან-

ხას. თვითონ ფული, სიმღიდრე არაფრად მოიხსნა. მასსოვს, მიიღებდა თუ არა პონორარს, მოიგნებდა, პირდაპირ მაგიდაზე „დამკრინდა“ და დაიძაბებდა: აი, რამდენი ფული შეიძენე, კანტაკტით, ვის რამდენიც უნდაო.

...როგორც უკვე ვთქვი, ვიქტორი ბავშვობიდანვე სუსტი იყო. რამდენჯერმე გადაიტანა ფილტვების ანთება. ადვილად ცივდებოდა. რატომღაც ისე ხდებოდა, რომ ორთავე მძის კრთად ემართებოდა ის წყველი ანთება. ვაივლიდა რამდენიმე დღე და დადგინდებოდა: ვასოს გრიპული ანთება ჰქონდა და მალეც წამოდგებოდა ფეხზე, ხოლო ვიქტორს უსათუოდ კრუპოზული უნდა დამართოდა და კარგა ხნით ჩაივადებდა ლოგინად. მთელი ოჯახი ფეხზე დგებოდა — არიჭა წამლები, ვინწული, მარე გოგლი-მოგლი, კაკაო, ღორის თიბკმელის გადამდნარა ქონით, ამზობდნენ ეს კარაჭე უფრო მსუფე და განსაკუთრებით სსარკებლთა ფილტვებისთვისო.

ერთი დიდი ფინჯანი გვექნა, გააკეთებდნენ შიგ ორნ-სამი კვერცხის გოგლი-მოგლის, დაახამდნენ რძიან კაკაოს, ჩასდებდნენ ორ-სამ კოვზს ამ გადამდნარ ღორის თიბკმელის ქონს, მოურეოდნენ და სვამდა საწყალი ვიქტორი. მახსოვს, ბოლო დროს ცირკაოდენ კონიაკიც უშმატებდნენ, რომ ამდენი ცხიმი „გულზე არ დასდგომოდა“, როგორც დედა იტყობდა ხოლმე.

ასე, რის ვაი-ვაგლახით წამოვაყენებდით ფეხზე და მერე ქალაქიდან უნდა გავიყვანა. თუ ზამთარი იყო ზღვაზე, ხოლო თუ ზაფხული — საღმე შთაში.

მასსოვს, ერთ ზაფხულს (ვიქტორი უკვე ცნობილი კომპოზიტორი იყო) წილვერში, კეხობში ვიყავით. ვიქტორი რომ მამოვიყვანეთ, უკვე მოკეთებული იყო, მაგრამ აქ რატომღაც უფრო დასუსტდა და ისევ აუჯარდა სიცხე, თუ დასცადა პერმა, ძალიან მიძიმედ იყო, აბა, კომპარესები მთელ ტანზე, თივზე ყინული. არიჭა ხელ-ფეხი გუცივდა — სათბურები, დახელებაშით თუ საპირითი, განებადის ბალიში. ერთ წუთს ვერ მოაკილებდი თავს. როგორ მიძიმედ სუნთქავდა, როგორ ხრიალებდა ბრონხებში პაერი. საბარლო ვიქტორი, მაშინ ხომ არ იყო არც სტრეპტოკიდი, არც პენიცილინი. არც სულფიდინი, სიცხის დასაყვეად მარტო მიქსტურებს, კომპარესებს, ყოლოიან ჩიის უწერდნენ, ოფლს ადენინებდნენ.

მასსოვს, ყოველდღე მიდიოდა პროფესორი, ალადაშვილი, ძალიან ყურადღებით და გულთბილად ეცეოდა ვიქტორს. დღეს არ გამოტოვებდა, რომ არ მისსულიყო და დიდხანს რჩებოდა ჩვენიან. იმან ვადაარჩინა მაშინ ვიქტორა.

დღეს არც დღე და არც ღამე არ სცილდებოდა მის საწოლს. მე კი მთელი დღეები დავიბრბოდი ზევით და ქვევით, აფთიაქებში, ექიმებთან. ექთანებთან, წაღერაში თუ ბორჯომში. აბა ერ-

თხელ ფეხით ჩავსულვარ ბორჯომში, რომ შემდეგი მატარებლისათვის არ შეეცადა და დრო მომეცა. წავბადის ბალიშს და კიდევ მრავალ წამალს წაღვევარ სად იშოვებოდა.

რამდენჯერ შემხედვრია ტოლები, „სადა ხარ გოგო, როდის ჩამოხვები, რომ არ ჩანხარ?“— მეტყობდნენ. „განა არ იცით, ვიქტორი ავადა“, „მართლა!“— ყველამ იცოდა, თუ ვიქტორი ავად გავაფლდა, რა დიდი საზარუნავი ჰქონდა ჩვენს ოჯახს.

ძალიან მიყვარდა წაღვერი, მისი დაბინდული პარკი. მაღლა მთაში მკაფე წყაროზე ასვლა დაკლავნილი ბილიკებით, კარგი ალპინისტი უნდა ყოფილიყავი, რომ აქ ფეხი არ დაგედევნოდა, აჩრქვინების ტყე მაღლა აზიდული ნორჩი ფიქვებით, მზით გამთბარი ოქროსფერი ფისის პრიალა წვეთები. მიწა ხმელი, თბილი წიწვებით დაფარული და მთელ ტყეში მაცოცხლებელი, რაღაც მომთენთავი სურნელი...

მაგრამ ვიქტორის ავადმყოფობის დროს რა მაგისი თავი მქონდა. დაგბობი ზევით-ქვევით, რამდენჯერ ცრემლმორეული ავიტბენდი აღმართს, ძლივს ვწვდებოდი ენგბადით ვაბერალ ბალიშს. ცხელა, ოფლი თუ ცრემლები ხეივანად ჩამომდის სახეზე, სული მეხუთება, ჰაერი აღარა მყოფნის, ვტკბობ, მაღლე მოუფსწრებ თუ არა! მივეტან, ვასუნთქებთ, მოვასულიერებთ და ახლა ისე უნდა გაიქციე რამე სხვა წამლისათვის, ან ექიმთან.

ერთხელ თბილისში ჩამოსვლაც კი დამჭირდა. მახსოვს, მარტო მე და დედა ვიყავით მასთან. ვიქტორმა საგრძნობლად მოიკეთა, საწოლში წამოყოფილაც კი შეეძლო. მაგრამ რა დასუსტებული, რა გამხდარი იყო. დედამ ვიქტორის ტოლებს მისჩვენა იცოდა. აბლებდა ორი თითით, საჩვენებელითა და ცერით, თითქოს უნდა უბწყინოსო, და ლოყას მოუსინჯავდა, აქვს თუ არა ხორცი, თუ მარტო ტყავიაო. ბუერს ვესუბრობდით ამაზე. „რომელი ვაშაახოვარი გოგო ვარ, ლოყები დამებრაწოო“,— იცინოდა ვიქტორი. მაგრამ ახლა გასინჯავაც არ იყო საჭირო, ისეთი სუსტი და ვაცრეცილი სახე ჰქონდა, მარტო ფართო შავი თვალები უზრიალებდა. ახლა საჭირო იყო გააღვირებელი კვება. სად არის? ფული გამოგველია. დედა თავს იტყვის რა ექნათ, ვის მისწეროს, სად იშოვოს ფული? შეთანხმდა მამა ვასო ქარშია, მამა მოლით-მარტლისში, მარტო მე და დედა ვართ ავადმყოფთან.

უცებ ვიქტორს მოავიწყდა: „მე ხომ მისაღები მაქვს ხუთი ათასი (მე დროს ხუთი ათასი უდრიდა დაახლოებით ახლანდელ ხუთას მარტო), მთავრობამ რომ დაადგინა, ჩემი საღამოს შემდეგ, მაგრამ სადა? რამდენჯერ მივაჯობებ კომიტეტში და სულ „მერე-მერეს“ ვაძაბინა. ფეხზე რომ ვიყო, წაიდოდა, თვითონ ბუდე მდივანს ენახავდი, ვერცოდი“

— მე წავალ ბუდე მდივანთან, — წამოვიბხე უცებ.

— შენ? რა სისულელეა *არაჩინებულ*!

— რა მიჭირს, ჩავალ თბილისში, ჩავალ მთავრობის კომისიაში და ვერცო... —

— არა, შენ მარტო როგორ წახვალ, ან იქ როგორ მიხვალ, რას მოაგნებ!

— მივალ, მივალ, რატომაც ვერ მივალ, ჩვეულებრივ მატარებელში, როგორც კერ მივაგნებ. არ ვიცი სად არის სახკომსაბჭო თუ? მივალ და უველაფერს ვერცო... —

ჯერ ძალიან შეიცხადეს დედამაც და ვიქტორმაც, მაგრამ სხვა გზა არ იყო. ვიქტორი როდის წამოდგებოდა, ან კიდევ რომ წამომდგარიყო, თბილისში მისი ჩასვლა, ისიც შეა ზახვებდნენ, ამ გავანია სიცხეში, აშკარად დაღუპვა იქნებოდა. დედაჩემიც კერ დატოვებდა ჩემს ანაბარა დასუსტებულს. სხვა გზა არ იყო, გამომიშვეს.

ვიქტორმა დამარიგა, მიღი ზელოვნების კომიტეტში, უთხარი, რომ ავად ვარ, იქნებ იქვე მოვუკნო. სახკომსაბჭოს შენ რას მოაგნებ, უხერხულიც არის, არამც და არამც იქ არ შესვივდიო.

ჩავდი თბილისში, კომიტეტში არაფერი გამომივიდა, ზან ვისთან მიმავზავნეს, ზან ვისთან დაიწყო არის ფული, არ არის, იყო დადგენილება, არ იყო, იმას უნდა მოეწერა ხელი, თუ ამას... მოკლედ, მიგზვდი, აქ არაფერი გამომივიდოდა და როცა წარმოვიდგინე, რომ იქ, წაღვერში დელაუნდნენ, რად ვაგვიანებ, თვალთ დამიბნეულა და ვადავწყვიტო თვითონ ბუდე მდივანთან მივსულიყავი. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდებოდა, ვერცოდი, ავუხსნიდი, როგორც იყო საჭედი.

დღის ბოლოს, ვაეწეე მარდაბარ სახკომსაბჭოში, ავედი კბეებზე, ენახე აწერია: ს. კ. ს. თავმჯდომარე. შევალე კარი. ვიღაც მურღა აღმოსავლური გარეგონაბს შევეკრებანი კაცია დამხვდა, რომელიღაც ასირიელი მეფის მსგავსად ჰქონდა დაყენებული წვერი, თუმცე საბით ახალგაზრდას ჰგავდა.

— ეინ გუნებათ?
— სახკომსაბჭოს თავმჯდომარე უნდა ენახო!
— გამოუვცხადე.
— ამხანაგი მდივანი დაეკვებულია. დღეს კერ მივიღებთ, — მოხზრა ამ „ასირიელმა“. მერე კი ლიმილით დაურთო: — თუმცე ძნელია ასეთი ლამაზი მთხოვნელისათვის უარის თქმა, დაიცადეთ, იქნებ ბედმა გავიღიმოთ, — და სკამი მოამაწოდა.

თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგონა ყოველთვის ლამაზია, მერედა, იქნებ უბრალო ქათინაური იყო, მაგრამ მე ვიუკადრისე და უშაღკე მოუვქვარი:

— მე ლამაზი მთხოვნელი კი არა, ვიქტორ დოლიძის და ვარ და აუცილებლად უნდა ენახა

მზ. მდივანი. ჩემი ძმა ავად არის, სასწრაფო საქმე მაქვს.

ლილია უმაღლეს გაქრა „ასირიელს“ სახეზე. იგი უცებ სერიოზულად შეშეშობს:

— ვიქტორი ავად არის, რა მოუვიდა?

— ფილტვების ანთება ჰქონდა, — ეუბნებოდა მოკლედ, — თუ შეიძლება... მაგრამ თხოვნა აღარ გამაჟორობინა.

— ახლაც, — თქვა და კაბინეტში გაუჩინარდა. მალე გამოვიდა და მეც შეშეშვანა.

მასობს, ბუნდ მდივანის ლამაზი, გახადრული სახე. იგი კეთილი ღიმილით შეშეშდა:

— რა მოხდა, ქალიშვილო?

მე, ცოტა არ იყოს, დავბეზენი.

— იცით, პარტიკომულო, — დავიწყე არ ულად, — მე ვიქტორს დოლიძის და ვარ, — ვიქტორი ავად არის... მალიან... წალვერში გვეყავს და ფული გამოგველია... ახლა მისი აქ ჩამოყვანა სიკვდილი იქნებოდა... თუ შეიძლება ის ხუთი ათასი, თქვენ... საბკომსაბჭოს დადგენილება რომ იყო... რომ მოეცათ...

— როგორ, ვინა ის ფული ჯერ არ მიუღია? — გაოცდა ბუნდ მდივანი და აფუგუნდა მისი სამო, ბოხი ხმა. — რასა ჰგავს ეს! მთავრობა აჩილდობებს ვაცს და სინამდვილეში დაიხრევა გამოდის?

— იცით, პარტიკომულო, კომიტეტში მიიბრებს, ვილაცის ჯერ ხელი არ მოუწერია თურმე და...

— როგორ თუ ხელი არ მოუწერია, ვის არ მოუწერია? — სულ გუფენი გაჰქონდა მის ომანიან ხმას.

„ასირიელი“ დატუქა, სადღაც დატყვეს. მოკლედ, მეორე დღეს უკვე ხუთი ათასი მინებით ჩაველი წალვერში.

რა სიხარული იყო.

— საოცარია, — იმეორებდა ვიქტორი, — მაინც როგორ მოახერხე ასე უცებ? მე რამდენი ხანი მაწვალეს. არა, ეს გოგო არ დაიკარგება...

— ნეტა რა მოხერხება უნდოდა, — ახლა მეც შევიფერე, — მივხვდი, რომ კომიტეტში არა გამოვიდოდა რა და პირდაპირ საბკომსაბჭოში წავედი.

უტრადღებინა მთავრად და ვაძლიერებულმა კვებამ მალე ფეხზე წამოაყენა ვიქტორი, და ისევე ვაისმა ჩვენს აფარაჯზე სიმღერა, სიცილი,

ხუმრობა. უფრო ხშირად კი აიღებდა ვიქტორის თავის ვიოლინოს, შობის წავიდრდს ტყეში ნაძვნარში მარტო, საათობით ტყედავდა.

ახლაც უფრო მიადგას პაგანინის, სარასატეს, თუ სენსანის მომავადობებელი მელოდები მოყურებულ ნაძვნარში. ჩვენ მაინც არა ვტოვებდით ვიქტორს და იქვე ახლო ვტრიალებდით, ან სიკვლეს მივაწვდიდით, ან ფარდავს ამოვუტანდით, რომ მიწაზე არ წამოწოლილიყო და ისევე არ ვაკიებდით.

პოეტი ბოსებ გრიშაშვილი ვიქტორის ახლო მეგობარი იყო. იგი, ისე როგორც ჩვენ, ხშირად ისვენებდა წალვერში. ძალიან უყვარდა სურათების ვადალება. მოხეტიალე ფოტოგრაფები სულ ფეხდაფეხ დასდევდნენ, როდის დაეკირდებოდათ. კარგ შემთხვევასაც აძლევდა ამ ფოტოგრაფებს.

სად და რა უცნაურად არ გადავიღებდით სურათს. პარკში, თეატრთან, სადგურზე, მგავე წყალთან, ჩანჩქერთან, ზან მარტო ჩვენ დაგვემდია, სხვადასხვანაირად დაგვეაფუგუნებდა, ზან თვითონაც ჩაგვეჩვენებოდა შუაში. ერთხელ სემფორზეც კი აგვაცოცა ბეშეშები და იქ გადავიღო სურათი. ძალიან ცოცხალი სურათი გამოვიდა, მაგრამ კინალამ დაგვატუსაღეს ამისათვის, თურმე სემფორის, როგორც რეინივის ობიექტის ვადალება აკრძალული იყო. გრიშაშვილის ინიციატივით მივეპარენით ერთხელ ვიქტორს, როცა ტყეში მარტო უკრავდა, და სწორედ მაშინ ვადავედეთ ის ცნობილი ფოტოსურათი, ნაძვნარში ვიოლინოზე რომ უკრავს.

დღითიდღე უფრო ჯანზე მოვიდა ვიქტორი და მალე ისევე მუშაობას შეუდგა, როგორ უზაროდა დედას, რომ გამოაკეთა მისი სათაყვანებელი პირში.

დღითიდღე ადრე წასული ვიქტორი შეუდგებდა ნაძვნარში რჩებოდა. უკრავდა, მეტე შინ ჩამოვიდოდა, ჩვენს ფართო აივანზე მოეწყობოდა თავისი ნოტებით, ფანქრებით, კალმებით, თან მუშაობდა, თან ხუმრობდა, ვილაცის აქილიყვებდა, მღეროდა.

დედა სულ ვიქტორს შესცქეროდა, ხომ კარგ გუნებაზე, ხომ არაფერს ნაღვლობს.

საბრალო დედა... კიდევ კარგი, რომ არ მოესწრო ვიქტორის სიკვდილს.

მძროს ვარლი

დილიანი გაიერებულ იყო. ვარედან ლაპარაკი ისმოდა. ანდერსენმა ყური მიუგდო. მედილიცნე ქალებს ევაჭრებოდა, არა, მაგ ფასად ვერ წავიფვანთო.

ქალებს ისეთი შემპარავი და წყრილა ხმა ჰქონდათ, რომ მთელი ეს მელოდიური ვაჭრობა რომელიმე ძველი საოპერო რეჟიტატივი გეგონებოდათ.

მედილიცნე უარზე იდგა, შეძლულ ფულს ცოტაობდა. ქალები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, რა იყო, შე კარგო იდამიანო, ორ ნაბიჯზე ვართ წასაყვანი, სამივემ ერთად დაკლეთ რაც ფული გვექონდა, შეტი არა გვაჭვს, თორემ ცოლვე მოგვცემდიო.

— გეყოფა — შეუტია ანდერსენმა მედილიცნეს. — დანარჩენს მე დაგიმატებ, ოღონდ მგზავრებს ეგვრე ნუ ელაპარაკებო და სასილულეს ნუ რომაე.

— კარგი, ლამაზებო, — უთხრა მედილიცნემ ქალებს, — დასხედით. მადლი შენჭირით ლეთისშობელს, რომ ამ უცხოელ პრინცს შეხვდით. მაგას დილიცნის დარდი აჭვს, არ დაიგვიანოსო, თორემ თქვენ ისე უნდინხართ, როგორც შარშანდელი მაყაზონი.

— ო. ქრისტე ღმერთო! — ამოვიგინა მღვდელმა.

— აგერ, ჩემს გვერდით დასხედით. გოგონებო, — თქვა ბანოვანმა — თბილად ეაქნებით.

გოგონებმა ერთმანეთს ლაპარაკ-ლაპარაკით ვადაწოდებენ ბარგი და დილიცნის ავიდნენ, ყველას მიესალმნენ, ანდერსენს მოკრძალებით მადლობა უთხრეს, დასხდნენ და დაწყნარდნენ.

დილიცნის ზეგად ცხვრის ყველისა და პიტნის სუნს დადგა. ანდერსენი ბუნდად არჩევ

და — უბრალო საყურებებში მინა უბრწყინვლად გოგონებს.

დილიცნის დაიძრა. თვლებზევე კვლავ ახრქიალდა ზრუში. გოგონებმა ტუტუნნი დაიწყეს.

— შენი ამბავი უნდათ გაიგონ, — თქვა ბანოვანმა და ანდერსენს მიხვდა, რომ სიბნელეში ქალს ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, — ვინ არიო. მართლა უცხოელი პრინცია თუ ჩვეულებრივი მოგზაურიო.

— ვინა ვარ და გულშისანი ვარ, — არც დადიჭრებულა, ისე უბასუბა ანდერსენმა. — მე შემიძლია გამოვიცნო მომავალი და ყველაფერი დაეინახო სიბნელეში. ოღონდ გაიჭვრა არ გეგონოთ. თუ გნებავთ, თავისებურად მართლაც ერთი ლარიბი პრინცი ვარ, იმ შორი ქვეყნიდან წამოსული, სადაც თდესლაც კამლური ცხოვრობდა.

— აბა, ამ ექნაბერ ლამეში რას დინახავთ? — გაეკირვებით კითხვა ერთ-ერთმა გოგომ.

— აი თუნდაც თქვენ დაგინახავთ, — უბასუბა ანდერსენმა. — მე უკვე ისე თვალნათლივ გხედავთ, რომ ალტაცებული ვარ თქვენი მშვენიერებით.

ამ სიტყვების თქმა იყო და ანდერსენმა იგრბნო, როგორ უცივდებოდა პრინცსაზე. თანდათან ის სულიერი მდგომარეობა იპყრობდა, რასაც მუდამ განიცდიდა, თავის პოემებსა და ზღაპრებს როცა იგონებდა ზოლზე. ამ სულიერ მდგომარეობაში ერთად იყო შერწყმული მსუბუქი მელნეარება, ერთბაშად აჩენილი სიტყვითა წყაროსთვალი, საკუთარი პოეტური ძალისა და სხვათა გულის დაპყრობის უცარი შეგობნება.

თითქოს ერთ-ერთ მის ზღაპარში წყრილით ასძერა სახურავი ძველ ქადონურ ზანდესს, სადაც გამოუთქმელი აზრები და მოვლემარე

გრძობები ელაგა, სადაც ვიდანახული იყო დედამწიხის შთელი მშვენიება — ყველაწიერი უფილი, საღებავი და ხმა, სურნელოვანი ქარები, ზღვათა სიერცეები, ტყის შრიალი, სიყვარულის ტანჯვანი და ბალღური ტიტინი.

ანდერსენმა არ იცოდა, რა ერქვა ამ სულიერ მდგომარეობას. ერთნი შთაგონებას ეძახდნენ, მეორენი — აღმავრებას, მესამენი — იმპროვიზაციის უნარს.

— გამომედიდა და შუალამისას თქვენი ხმა მომესმა, — გულდამჭდარად თქვა ანდერსენმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, — ჩემთვის ესეც კმაროდა, ლამაზო გოგონებო, რომ მეცნიით და უფრო მეტიც — შემყვარებოდით, როგორც ჩემი წუთიერი დები. ყველას კარგად გხედავთ. თმა ღია ფერისა გაქვთ. ვიცი, კისკისა გოგონები ხართ და ისე გაყვართ ყოველი სულდგმული, რომ მსახრებზე შაშვები გასხდებიან, როცა ბოსტანში მუშაობთ ხალხე.

— ერთი, ნიკოლინა! ამას შენზე ამბობს! — გასაკვირი ჩერჩულით თქვა ერთ-ერთმა გოგამ.

— თქვენ, ნიკოლინა, გული ფიცი გაქვთ, — ელაე დინჯად განაგრძობდა ანდერსენი. — თქვენს გულის სწორს სადმე რაიმე უბედურება რომ აღემართოს, ვიცი, ცხრა მთის გადაღვლით, არც თოვლს შეუწინდებით, არც ხორშაყს, სადაც უნდა იყოს, მოსძებნით და იხსნიით. მართლს არ ვამბობ?

— წვეალ, აბა რა დამაყენებს... — გოგონებუღივით წაიდუღუნა ნიკოლინამ. — რახან თქვენც ვერა ფიქრობთ.

— რა გქვიათ, გოგონებო! — იციოხა ანდერსენმა.

— ნიკოლინა, მარიამი და ანა, — ზალისიანად უმასუხა ერთმა ყველას მაგივრად.

— რა ექნა, მარიამ, შეძენლება თქვენს სილამაზეზე ღაპარავი. იტალიურს კარგად ვერ ვხეობრებ. მაგრამ ჭერ კიდევ ჰხანჯობის ემს შეფეციც პოეზიის ღმერთს, სილამაზეს ყველვან შევამკობ, სადაც კი შეხებლები-მეთქი.

— რა ქრისტე ღმერთო! — წყნარად თქვა მღვდელმა.

შეამიანმა ობობამ თუ უკბინა. რაღაც ჰკუთხე არა ზანს.

— ამქვეყნად არიან ქეშმარიტად ხაებრუდამხვევი სილამაზის ქალები. ისინი ბუნებით თოთქმის მუდამ გულწაბრობით გამოდიან. მართონი როცა არიან, ვნების ეციტლი მამინ უკლიათ. სილამაზე თითქოს აღმურვიით ასდით სახეზე. აი თქვენც ასეთი ხართ, მარიამ. თქვენისთანა ქალებს ბედლიც სხეანარო იქვთ. ან ძალზე ნაღვლიანი, ანდა ძალზე კარგი.

— თქვენ როდისმე შეგხედრითაი ვგრეთო ქალები? — ჰკითხა ზანოვანმა.

— დღვის მეტად არა, — უმასუხა ანდერსენ-

მა. — ჩემი სიტყვები მარტო მირიამს ეს არა, თქვენც გეუთენით, ქალბატონო.

— ვფიქრობ, მაგას მარტო უმეტომ ვარა ლაპარაკობთ, რომ ამ გრძელ დამქმეოთავე შეუეციოთ, — მართოლვარე ხმით უთხრა ზანოვანმა. — ეგ მერისმერი სიმკაცრე იქნებოდა ამ მშვენიერი გოგონას მიმართ. ჩემს მიმართაც, — ჩემი ხმით დააყოლა მან.

— მაშ, რა ექნა, რას მერყვით? — შეეკითხა მარიამი. — ბედნიერი ვიქნები თუ უბედური?

— თქვენ ცხოვრებისაგან ძალზე ბევრს მოითხოვთ, თუმცა ერთი უბრალო გლების გოგო ხართ. ამიტომ, ცოტა არ იყოს, ვაგიჭირდებით ბედნიერების პოვნა. მაგრამ ცხოვრებაში მაინც შეხებლებით გულის სწორს, რომელიც თქვენი ღირსი იქნება. ის კაცო, რასაკვირველია, გამოჩრჩეული უნდა იყოს. მხატვარი თუ არა, ვინ იცის, იქნებ პოეტი ან იტალიის თავისუფლებსაივის შემბრალი შეხებლებით... შეიძლება, თქვენი საქმით სულაც უბრალო მწყემსი ან მატროსი იყოს, მაგრამ სულთ მდიდარი ადამიანი იქნება.

— ბატონო ჩემო, — მორცხვად თქვა მარიამმა, — რადგან ვერა გხედავთ, ამიტომ გაუბედაე და ერთს შეგკითხებით. რა ექნა, ეგრეთმა კაცმა თუ უკვე დააპყრო ჩემი გული? ის მხოლოდ ერთი-ორჯერ ვნახე და არც ვიცი, სად არის იხლა.

— მოძებნეთ, — წამოიძახა ანდერსენმა, — მოძებნეთ და უსათუოდ შეიკვცახებით!

— მარიამ! — მხარულად თქვა ანამ. — ეგ ხომ ის ვერონელი მხატვარია...

— ჩუმად იყავი! — დაუტია მარიამმა.

— ვერონა არც ისე დიდი ქალაქია, რომ იქ კაცის პოვნა გაჭირდეს, — თქვა ზანოვანმა. — დახსომეთ ჩემი სახელი. მე ელენე გვიჩიოლის მესძახან. ვერონაში ეცხოვრობ. ყოველი ვერონელი მოვასწავლით ჩემს სახლს. ჩამოდიოთ, მარიამ, ვერონაში. არსად არ ვაგიშვებოთ, სანამ ის ბედნიერი შემთხვევა არ მოხდება, რაც ამ ჩვენმა კეთილმა მგზავრმა ვიწინასწარმეტყველო.

მარიამმა სიბნელეში ელენე გვიჩიოლის ხელი იპოვინა და ცხელ ლოყაზე მიიღო.

ხმს აღაპვიან არ იღებდა. ანდერსენმა შეამჩნია, რომ მწვიან ვასკვლავი ჩაქრა, დედამწიხის კიდეს მიეფარა. ეტყობა, შუალამე გადავიდაო, იფიქრა ანდერსენმა.

— მე რატომ არაფერი მიწინასწარმეტყველებო? — ჰკითხა გოგონებში ყველაზე ენაჭარტლა ანამ.

— თქვენ დიფრილშვილებით, — დარწმუნებულად მიუგო ანდერსენმა. — ყოველ დღით ცა ვაგიწითლებათ, სანამ ყველა ბავშვს რძეს დააღვვიწინებთ, სანამ დავარცხნით და დაბანთ. მაგრამ ქმარი კარგი გულის კაცი გაყოლებით და ის დაგეხმარებათ.

— პიეტროზე ხომ არ მეუბნებით! — ჰქოთხა ანამ. — რა შავ ჰირად მინდა ის დოკლამია პიეტრო!

— იცოდეთ, ბერძენი იმ თქვენი ცეროლენა ბიჭუნებისა და გოგონების ცირიალა თვალების კოცნაში დაგაღამდებათ. კოცნასაც დრო უნდა, გენაცვალე.

— პაისის სამლობლოში ვგრე უგუნურად არ გალაპარაკებდნენ! — გაბრაზებით თქვა მღვდელმა, მაგრამ ურადღებდა არავის არ მიუტყვევია.

გოგონებმა კვლავ გადაუჩურჩულეს ერთმანეთს. ტურუნის წარამბრა სიცილი სცვილია, ბოლოს მარამბრა თქვა:

— ახლა ჩვენც ვინდა ვავიგოთ, თქვენ ვინა პრანდებთ, ბატონო. რა ექნათ, სიბნელეში ვერა გხედავთ.

— მე ერთი მოხეტიალე მგოსანი ვარ, — უპასუხა ანდერსენმა. — ახალგაზრდა კაცი ვარ. სქელი, ხეულო თმა მაქვს და სახეგარეულო ვარ. ცისფერი თვალები სულ მუდამ მიცინის, რადგან სახრუნავი არ ვიცი რა არის და ჭერჭერობით არავეინ არ შემყვარებია. ჩემი ერთადერთი საქმე ის არის, რომ ხალხს პატარ-პატარა საჩუქრებს ვეშაღებ და ცოტა ჭარბდებულად ვიქცევი — მინდა მახლოებლნი გაეამხარულნ.

— მაინც როგორ? — შეეცოთხა ელენე გვიჩიოლი.

— არ ვიცი, რომელი ერთი ვითხრათ. შარშან ზაფხულს ნაცრო მებუყვევითან იყავი იტრანდიაში. ერთხელ ტყე-ტყე ვიარე და უცებ სოკოთი მოგვნილ მინდორს მივაღექი. საღამოთი ხელმეორედ წავედი იმ მინდორში და სოკოების ქვეშ პატარა საჩუქრები დავაწყვი — ვერცხლის ქაღალდში გახვეული კამფეტები, ინდის ხურმა, ცვილის ყვავილების პაწაწინა თაიგული, სათითო და აბრეშუმის ბაბთა, მეორე დილით მეტყვევის პატარა გოგო წავეყვანე და ტყეში წავედი. შვიდი წლასა იყო. რომელ სოკოსთანაც მივიდა, საჩუქარი იპოვნა. მართო ინდის ხურმა აღარა ჩინდა, ყვავილა თუ მოიპარა, ოხერმა. ნეტავი დაგენახათ, როგორ გაიხარა პატარა გოგომ, სიხარულისაგან თვალები უბრწყინავდა. ეგ საჩუქრები ქონდრისკაცებს გადაუნახავთ-მეთოქ, დავარწმუნე.

— უმანკო ქმნილები მოგატყუებიათ! — აღშფოთებით თქვა მღვდელმა. — დიდი ცოდვა ჩავიდინათ!

— არა, ეს მოტუტეა არ იყო. პატარა გოგოს მთელი თავისი სიცოცხლე ეხსომება, რაც იქ ნახა, თანაც, დამარწმუნეთი, უფრო ხალასი გულისა იქნება, ვიდრე ისინი, ვისაც ტყეში სოკოებქვეშ არასოდეს არაფერი არ უპოვნია. გარდა ამისა, ისიც მინდა გიხიბათ, თქვენო უწმინდესობავ, რომ მიჩვეული არა ვარ არამოხე კაცისაგან ჰკულის დარბიგებას. დილაქანი გაჩერდა, გოგონები მოქალაქეებუ-

ლებივით ერთ ადგილას ისხდნენ. ელენე გვიჩიოლიც ჩუმად იჯდა თავჩაწინდრულნი.

— ექვი, ლამაზებო! — შესამბა შეგძლიანქნემ, ვაილით! უკვე მოვედით!

გოგონებმა კვლავ რაღაც გადაუჩურჩულეს ერთმანეთს და წამოხდნენ.

ანდერსენი მთელიდნელად ღონიერმა მკლავებმა დაატყვევეს სიბნელეში და წამით ქალის მხურვალე ბავეთა ცეცხლიც იგრძნო.

— გამაღობო! — აღმოხდათ იმ მხურვალე ბავებზე და ანდერსენმა მარამბის ხმა იცნო.

მადლობის თქმა არც ნიკულისა და ვიწყებია, მან კრძალვით შეახო ტუნები ანდერსენის ღონის, ანამ კი უველას გასაგონად აყოცა. გოგონები ძირს ჩავიდნენ, დილიდან მოიკრწყულად გზას გაუყვა. ანდერსენმა ფანჯარაში ხეობდა. გარეთ არაფერი არა ჩინდა, გარდა ხეობა შავი კენწეროვებისა, ოდნავ სიმწვანეშეპარულ ცახე რომ ილანდებოდნენ. თენდებოდა.

ვერონამ ანდერსენს თვალი მოსჭრა თავისი დიდებული შენობებით. უცხოდ შეშველი ფისადები ერთმანეთს ეჭობებოდნენ — არა მე უფრო ლამაზი ვარ, არა მეო. თანაზომიერ არქიტექტურას თითქოს სულიერად უნდა დაეშვიდებინა, მაგრამ ანდერსენი სულის სიმწვიდეს მაინც არა გრძნობდა.

საღამოთი ანდერსენი გვიჩიოლების მამაპაპურ სახლს მიადგა, ციხე-სიმაგრისაკენ მიმავალი ვიწრო ქუჩით იარა.

კარი თვითონ ელენე გვიჩიოლიმ გაუღო. ტანი მწვანე ხავერდის შემოტმასანილი კაბა იცეცა. ანდერსენს მოეჩვენა, რომ ელენეს თვალბეჭდ მწვანე მქონდა, როგორც ვალკირიებს, და კიდევ უფრო მშვენიერია წარმოიდგო.

ელენემ ორივე ხელი გაწოდა, ცოც თითებში მოიქცია მისი ნიჩაბებით ბრტყელი ხელის გულები, თან უკან-უკან იწვედა და პატარა დარბაზისკენ მიჰყავდა.

— ძალიან მოვიწყინე, ძალიან, — დამნაშავეს ღმილით თქვა ელენემ. — უთქვევობის ვეღარ ვიტან.

ანდერსენს ფერი წაუვიდა. მთელი დღე ყრბ მღვდვარებით იგონებდა ელენეს. იცოდა, რომ ქალის სიყვარულს შეეძლო თავი დაევიწყებინებინა, მაშინ იმ ქალის ყოველი სიტყვა, ყოველი ჩამოვარდნილი წამწამი და კაბის მტვერიც კი ვიცივით შეუფარადებოდა. არა, ამნაირ სიყვარულს ჩემი გული ვერ დაიტევსო, ფიქრობდა ანდერსენი. ის იმდენ ტანყვასა და სიხარულს მომანიტებს, იმდენ ცრემლსა და ღმიბს მანვენებს, ძალა არ მეყოფა, მთელ ამ ორომტრიალს ვერ გაუძლებო.

ანდა, ვინ იცის, იქნებ სიყვარულს სულაც დავფრთხო და აღარასოდეს დაბრუნებულყო

არაკებსა და ზღაპრების ჭრელი გუნდი. მაშინ აბა ჩაღა ფასი ექნებოდა ანდერსენს!

სულ ერთია, სიყვარულში ბედი მინც არ ეწერია. სხვა დროსაც ბევრჯერ დარჩენილა მოტყუებელი. ელენე გვიჩიოლსთთან ქალები ხუმრებრიანები არიან. ვაიფლის ცოტა ხანი და პირში შიასლის, შახინჯი ხარო. სხვისი თქმა რათ უნდოდა, თვითონაც იცოდა, რაც იყო. ხშირად უგარძენია ზურგს უკან იღვენებული დამცინავი მზედა და აწურულა, წაფორბილებულა, ნეტავი მიწა გასკდეს და შიგ ჩამიტანოსო, უნატრია.

„სიყვარულს, — თავს ირწმუნებდა ანდერსენი, — ზოლოდ წარმოდგენაში შეუძლია იყოს მარადიული და მუდამ პოეზიის სიღმომღინძარე შარავანდედით მოხილი. მე შემოძლია უფრო გამოვიგონო სიყვარული, ვიდრე ცხოვრებაში განვიცადო“.

ამიტომ იყო, რომ მტკიცედ აქონდა გადაწყვეტილი ზოლოდ თვალი შეეცვლო ელენე გვიჩიოლსათვის და წასულიყო, რათა მერე აღარასოდეს შეხედროდა.

აბა, ქალს ამას პირდაპირ როგორ ეტყოდა, როცა ქერ ისეთი არაფერი არ იყო მომხდარი. ისინი ვუშინ შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს დილითაში და არც არაფერი უთქვამთ საამისო.

ანდერსენი დარბაზის კარებში ჩადგა და მიიხედ-მიახედდა. კუთხეში თეთრად მოჩანდა შანდლებს შუკით განათებული მარმარილოს თავი დანასი, საკუთარი მშვენიერების წინაშე თითქოს მლელვარებას რომ შეეპყრო. და გაფითრებულიყო.

— ვინ უკვდავყო თქვენი სახე ამ დიანაში? — ჰკითხა ანდერსენმა.

— კანოვამ, — უპასუხა ელენე გვიჩიოლიმ და თვალები დახარა. ჩანდა, ვეღვაფერს ხედვებოდა, რა ცუცხლო ეტრიალებდა სტუმარს გულში.

— გამოსამშვიდობებლად მოვედი, — ყრულ წაღღღუნა ანდერსენმა. — გავრბივარ ვერთინდამ.

— გიცანიოთ, ვინცა ხართ, — თვალებში ჩასცქეროდა, ისე უთხრა ელენე გვიჩიოლიმ. — ქრისტიან ანდერსენი ხართ, სახელგანთქმული მეზღაპრე და მგოსანი, მაგრამ, გეტყობათ, ცხოვრებაში ზღაპრებსა გმინებთათ. ხანმოკლე სიყვარულს თავიე კი არა გაქვთ, გამბედაობა არა გყოფთით.

— შეე სწორედ მინდა ვარ, — ვამოტყუდა ანდერსენი.

— რას იზამ, ჩემო ყარბოთ და სასურველო. მგოსანო, — სველინად თქვა ქალმა და ხელი მხარზე დაადო ანდერსენს, — გაიქცევათ! თავს უშველიო დაე, მუდამ გიციონრდეთ! თვალები, ჩემზე ნუ იფიქრებთ. მაგრამ თუ სიბერემ, სიღარიბემ და სნეულებამ დაგრიით ხელი, მახსენეთ და, ნიკოლინასი არ იყოს, ცხრა შთას გადმოვივლო, არც თოვლს შეევეშინდები, არც ხორშაკს, სადაც უნდა იყოთ, მოგძებნით და განუგებებთ.

ქალი საყარძელში ჩაეშვა და სახეზე ხელები აიფარა. შანდლებში ტკაცატყუცი გააჭონდათ სანთლებს.

ანდერსენმა დაინახა, როგორ გამოეცხა ცრემლმა ელენე გვიჩიოლის ახელ თითებს შუა. ცრემლი წამით გაბრწყინდა, ზაფერდის კანას დაეცა და წელნულა ძიარს ჩამოვარდა.

ანდერსენმა ჩაიხიჯა და სახით მიეყარდო ქალის თბილ, ღონიერ და ნახ ფხეებს. ელენე გვიჩიოლის თვალი არ გაუხელია, ისე გაიწოდა ხელები, თავზე მოახვიდა, დაიხარა და ტუჩებში აკოცა.

მერე ცხელი ცრემლი სახეზე დაეცა ანდერსენს. მან ცხადად ივარძნო ცრემლის შლამე სისველე.

— წადით! — წყნარად თქვა ქალმა. — დაე, პოეზიის ღმერთმა მოგატყუათ ყოველივე.

ანდერსენი წამოდგა, ქული იილო და სწრაფი ნახიჯით გავიდა.

ამის მეტად აღარ შეხვედრიან ერთმანეთს, მაგრამ ფიქრით — მუდამ ფიქრობდნენ ერთმანეთზე.

ალბათ იმიტომ იყო, რომ სიყვდილამდე ცოტა ხნით ადრე ანდერსენმა ერთ ახალგაზრდა მწერალს უთხრა:

— ჩემი ზღაპრები ძალზე დიდ, მე ვერცხოდი, უზომო ფასად დამიქდა. ამ ზღაპრებს გვიჩიოლსათვის უარი ეთქვა საკუთარ ბედნიერებაზე და თვალდათვალ შემომეხარჯა ის დრო, როცა წარმოსახვას, მიუხედავად მთელი თავისი ძალისა და მთელი თავისი ბრწყინვალეებისა, სინამდვილისათვის უნდა დაეთმო ადგილი.

წარმოსახვა ხელიდან არ უნდა გაეშვაოთ, ჩემო შეგობარო, შეიძელით, რომ მოახმაროთ 'ადამიანის ბედნიერებას, საკუთარ ბედნიერებას და არა ნაღველს.

კარგა ხანს გულში ნადები წიგნი

კარგა ხნის წინათ, ათ წელიწადზე მეტია, განვიზრახე დამეწერა, ცოტა არ იყოს, ძნელი, მაგრამ, როგორც მაშინ ვფიქრობდა და ახლაც ვფიქრობ, სინტერესო წიგნი.

ეს წიგნი გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიებისაგან უნდა შემდგარიყო.

ყოველი ბიოგრაფია სხარტად და მხატვრულად უნდა დამეწერა.

ამ წიგნისათვის გამოჩენილ ადამიანთა სიის შედგენაც კი დავიწყებ.

გაღვიწყვიტე წიგნში შემეტანა აგრეთვე რამდენიმე თავგადასავალი ჩვეულებრივი ადამიანებისა, ვისაც ცხოვრებაში შევხვედროდა, — უსახლეო და მიღვიწყებული ადამიანებისა, მაგარამ, მართალი ვითრათ, ბევრით არაფრით რომ არ ჩამოვყარდებოდნენ იმით, ვინც ცნობილი და სახელმწიფოებრივი ვახდა. რა ექნათ, ბედმა არ გავლამათ და ვერ დატოვეს შთამომავლობის სსოფენში თუნდაც მცირეოდენ შესამჩნევი ცვალი. ისინი უმეტესად რაიმე თავდამივიწყებელი ვინთი შეპყრობილი უანგარო მოღვაწენი აყუენენ.

ერთი სწორედ ამნაირი ბედი-იბლის კაცი იყო სამდინარო გემის კაპიტანი ოლენინ-ვოლგარი — ჰემმარიტად ფეკრული ცხოვრების შვილი. ოლენინ-ვოლგარი მუსიკალურ ოჯახში აღზარდა, სამღერას იტალიაში სწავლობდა, მაგრამ ატყდა — მოელი ვეროპა ფეხით უნდა შემოვიართო, სწავლა მიატოვა და, როგორც ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე მომღერალმა, მართლაც სულ შოთარა იტალია, ესპანეთი და საფრანგეთი. დადიოდა ქვეყნიდან ქვეყანაში და გიტარის მომღებლურ ენაზე დადიროდა.

ოლენინ-ვოლგარი 1924 წელს გვიყარა მოსკოვის ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში. ერთ-ბელ სამუშაოს შემდეგ ვიხსოვრ, შენი რეპერტუარიდან რაიმე გვიმღერეო. სადღაც გიტარაც ეიმოვნეთ, და ტანშიორილი, გახმდარი ბერაცაკი, სამდინარო გემის კაპიტნის ტანსაშისი რომ ევცა, უცებ ნამდვილ ვირტუოზად, საკვირველ მხანობად და მომღერლად იქცა. ხმა სრულიად ახალგაზრდული ჰქონდა.

ყველანი ვანაბლნი ვესმენდიო, როგორ ლადად რაყაკებდნენ იტალიური კანტილენები, როგორ ნაწყვიტ-ნაწყვიტ ვრავინესაყოთ ზედებოდნენ ყურის ბასკური სიმღერები, როგორ ეღერდა „მარსელიზო“, მთლად საყვირების ხმურსა და თოფის წაშლის ბოლში ვახვეული.

ვეროპაში ხეტიალის შემდეგ ოლენინ-ვოლგარი სახლგაო გემებზე მუშაობდა მატროსად, მალე შორეული ნაოსნობის შტურმანიც ვახდა, ათასჯერ კიდით-კიდემდე შემოიარა ხმელთაშუა ზღვა, მერე დაბრუნდა რუსეთში და კაპიტანად მხანობრდა ვოლგაზე. იმხანად, როცა მე ვაქციანი, ოლენინ-ვოლგარს სამგზავრო გემები დაჰყავდა მოსკოვიდან ნიენი ნოვეგროდში.

მან საკუთარი შიშისა და რისკის ფსად პირველმა გაიყვანა მდინარე მოსკოვის ვიწრო და დაფხვახებულ კაბებში ვოლგის დიდი სამგზავრო გემი. კაპიტნები და ინჟინერები კი ირწმუნებოდნენ, იქ ვადა შედგებელი რამ არისო.

მან პირველმა წამოაყვანა წინადადება ვაესწორებინათ მდინარე მოსკოვის კალაოტი ცნობილ მარჩუგებთან, სადაც ძალზე მიგრებილი

მოგრებილი იყო ის კი არა, რუქსეც რომ დაგენახა მდინარის ის ადგილი, ალბათ მამონადე თავბრუს დაგხვედა მისახვევ-მოსახვევთა სიმრავლე.

ოლენინ-ვოლგარმა ბევრი ჩინებელი წერილი დაწერა რუსეთის მდინარეებზე. ამჟამად ის წერილები დაკარგული და დავიწყებულია. მან თავისი ხუთი თითივით იყოდა მრავალ მდინარეში სად რა მორევი, ჩქერი და ბოჭოჯი ხე იყო. სამდინარო გემის კაპიტანს თავისი მოულოდნელი და მარტივი გეგმები ჰქონდა, როგორ უნდა გაეუმჯობესებინათ ნაოსნობა ამ მდინარეებზე.

თავისუფალ დროს იგი დანტეს აღფთავებრივ კომედიას თარგმნიდა რუსულად.

ერთი სიტყვიო, მყავდი, კეთილი და დაუღვიგარი კაცი იყო, რომელსაც მიანდა, რომ ყველა ხელობა ერთნაირად საპატიოა, ვინაიდან ჩვენ-ჩვენი ხელობით ყველანი ხალხს ვემსახურებით და ყველა ხელობა გვაძლევს საშუალებას „კარგი ყაის სახელი დაეტოვოთ ამ კარგ დედამიწაზე“.

კიდევ ერთი უბრალო და, როგორც იტყვიან, სულში ჩასაძვრენი ნაცნობი მყავდა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად მუშაობდა შუა რუსეთის ერთ პატარა ქალაქში.

მუზეუმი ძველ სახლში იყო გახსნილი. დირექტორს არავინ დამხმარე არა ჰყავდა, კოლის გარდა. ორნი იყვნენ, მაგრამ თითოთ საჩვენებლად უვლიდნენ მუზეუმს, თუ რაიმე შესაყეთებელი იყო, თავიანთი ზელით აყეთებდნენ, შემდეგ კი თვითონ მოქმედნათ, არავითარ სამეურნეო საქმეს არ ერიდებოდნენ.

ერთბელ მტრად უცნაური ამბის დროს შევესწარი. მუზეუმის ახლოს, ერთი წყნარი და ბალახშიორული პატარა ქუჩა რომ ვადიოდა, ორვენი იქ ტრიალებდნენ და, რაც კი ირგველივ ჰვა და აფუროს ნატეხი ეყარა, საეულდა-გულად აგროვებდნენ.

თორმე ბიჭებს მუზეუმის ფანჯარა ჩამეტყრიათ და „სატყორენი ჰურეები“ ონავრებს ევლავაც ზელთ რომ არ აღმოასწონდათ, დირექტორის ვადაწყვიტა — სადაც ერთი ქვა ევდოქენამი, სულ მოეგროვებინათ და ეზოში შეეზიდათ.

მუზეუმის ყოველი ნივთი — ძველასველი არმოიდან თუ XIV საუკუნის იშვიათი ბრტყელი აფერიდან მოყიდებული ვიდრე ტორდის სხვადასხვა ნიმუშამდე და იმ აკვენტინულ წულის თავის ფიტელამდე, ნეტრისა რომ ემსახინ და სულ ცოტა ხნის წინათ ვაეშვათ ახლომხლო ქაობებში მოსამრავლებლად, — შესწავლილი და გულდასმით იყო აღწერილი.

მაგრამ ამ მოკრძალებულ კაცს, მამადალი-სიტყვა რომ არ იყოდა რა იყო და სიმორცხვისაგან წარამართა ახვეულებდა, სახე ერთიანად ვაეზადრებოდა ზოლზე, როცა მხატვარ ჰეკრებულტი-

კოვის ტილოს გიწვევებდათ. ის სტრათი თვი-
თონ ეპოვნა ერთ გაუქმებულ საუდარში.

მართლაც ჩინებული პეიზაჟი იყო — მხატ-
ვარს ფანჯრის სიოს ზღვრებიდან დაეწერა თვალ-
ლია ჩრდილოეთი საღამო, ჩაბნელებული ჩქოლა
არყის ზეგები და კალისფერწყლიანი პატარა
ტბა.

ძალიან უპირდა მუშაობა მუზეუმის დირექ-
ტორს. ბევრ არაფერ ანგარიშს არ უწყევდნენ.
თავისთვის ფუსფუსებდა, თავს არავის არ აბ-
ეზრებდა. მაგრამ იმ მუზეუმს მინცდაშაინც
დიდი სარგებლობა თუ არ მოჰქონდა, ვანა იქ-
აურ მცხოვრებთათვის და განსაკუთრებით ახ-
ალგაზრდობისათვის ამისთანა კაცის თვით არსე-

ბობა საქმის ერთგულების, თავმდაბლობისა და
სამშობლო მხარის სიყვარულის მაგალითი არ
იყო?

ამასწინათ გამოჩენილ ადამიანთა ის სია ვი-
პოვნე, რომელსაც ამ წიგნისათვის ვადგენდი.
ძალზე დიდი სიაა. მგონი, არა ღირს, მთლია-
ნად არ მოვიყვან. მხოლოდ რამდენიმე მწერ-
ლის სახელს ამოვარჩევ ალაღებედად.

ყოველი სახელის გასწვრივ მოკლე შენიშე-
ნის სახით მიწერია ყველაფერი, რაც რამ ამა
თუ იმ მწერალთან დაკავშირებით მიგრძენია.

აქ რამდენიმე ჩანაწერს მოვიყვან, უფრო გა-
მართულსა და ცოტაოდენ გაფართოებულს.

თარგმანი **გურამ გომიანვილისა**.

□ გაგრძელება იქნება □

აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან

ივანე ბერიტაშვილის — ქართული ფიზიოლოგიის მამამთავრის—მსოფლიო სახელი შეუვალი და უცილობელია. ამ სტატიის მიზანია შევხედოთ მისი როლის მნიშვნელობას დამსახურებას, რაც მრავალი საპატიო წოდებითა და ხარისხითა აღწესდა.

ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიურ შრომების მსოფლიო აღიარებამ ერთგვარად დაზარდულა კიდევ მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ამ წერილში სახელგანთქმული მკვლევარის საზოგადოებრივი მოღვაწეობის მხოლოდ ზოგადი მხარეა წარმოდგენილი, რაც მეცნიერებისადმი თავდადებასა და მგზნებარე მამულიშვილობის ნათელი დადასტურებაა.

ახალგაზრდობიდანვე მწვავედ განიცდიდა ივანე ბერიტაშვილი თავის სამშობლოს ქირ-ვარამს და იღვწოდა სწავლა-განათლების დანერგვისა და გაფართოებისათვის. მეცნიერების სიყვარული მას სამშობლოს დიდებულ გზად წარმოედგინა თავიდანვე. სწორედ ამას შთააგონებდა თავის აღსაზრდელს თელავის სასულიერო სასწავლებლის უსაყვარლესი მასწავლებელი ვასილ ბარნოვი.

პირველი ხარისხის დიპლომით უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პროფ. ნ. ვედენსკიმ იგი დატოვა საპროფესოროდ მოსამზადებლად, ცნობილი რუსი ფიზიოლოგი მრავალმხარე წრთვნიდა თავის უნივერსიტეტში შეგარდს. სამწერ იგი ყაზანში იქნა მივლინებული პროფ. ა. სმილოვითან, ზოლო შემდეგ პოლანდიაში 1914 წელს ქალაქ უტრეხტში პროფ. რ. მაგნუსთან. 1915 წელს იგი ნოვოროსისის (ოდესის) უნივერსიტეტშია, აქ მალე ხდება იგი პრივატ-დოცენტი.

1917 წლამდე მას 26 შრომა ჰქონდა გამოქვეყნებული, კიდევ მერტი-დასაბუქვად მომზადებული.

1917 წელს, ივანე ჯავახიშვილის მეთავეობით, პატრიოტი მოღვაწეები ქართული უნივერსიტეტის გახსნის უშუალო თადარიგს იწყებენ. ივანე ბერიტაშვილი დიდადაა დაინტერესებული ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხით. ნიშანდობლივია მის მიმართ პეტრე მელიქიშვილის, მომავალი რექტორის, დამოკიდებულება.

1917 წლის 9 ოქტომბერს უნივერსიტეტის დამაარსებელ საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის პირველმა შეერთებულმა სხდომამ დაადგინა: ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა მოწვევა და პროფესორთა კოლეგიის შედგენა მიენდოს პ. მელიქიშვილს, ა. რაზმაძესა და ივ. ჯავახიშვილს.

რასაკვირველია, ივანე ბერიტაშვილი, უნივერსიტეტის ახალგაზრდა ფიზიოლოგი, ერთ-ერთი პირველი იქნებოდა მოწვეული. 1917 წლის 3 ნოემბერს პეტრე მელიქიშვილი წერილზე პასუხს უგზავნის ივანე ბერიტაშვილს. ეს პასუხი კარგად წარმოგვიდგენს ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა იმ დროინდელ მიმდებარეობას და პეტრე მელიქიშვილის დიდ პატივისცემას ახალგაზრდა ფიზიოლოგისადმი. (პეტრე მელიქიშვილის ეს წერილი პირველად ქვეყნდება).

„ჩემო ძვირფასო ამხანაგო უფ. ბერიტაშვილო!

დღეს მივიღე თქვენი წერილი და ეშურებოდა დღესვე მოგწეროთ პასუხი. თფილისში ამირბენ არ უნივერსიტეტის გახსნას. ქართული საზოგადოების უნდა თავიანთი უნივერსიტეტი ჰქონდეს, რომელშიც საგნები უნდა ქართულ ენაზე წაითხონ. როცა ქართველთა საზოგადოებამ გადაწყვიტა უკველად შესწიროს ფული, რომ უნივერსიტეტი (ქართული) დაფუძნდეს, მაშინ რუსულ მთავრობამაც მოინდომა

უნივერსიტეტის გახსნა, რასაკვირველია რუსულ ენაზე.

Таким образом предполагается с будущего года открыть два университета. Недавно к Правительству обратились организаторы Высших курсов, чтобы оно приняло Выс. Курсы под свое покровительство и преобразовало их в Университет. Но на это ходатайство не последовало ответа.

Когда в прессу проникло известие, что грузинские просветительные общества желают открыть свой университет, тогда правительство спешно запросило здешнюю думу, чем она может поддержать правительство при открытии Университета и что в данную минуту оно решило открыть филологический факультет, а с будущего года, (осенью 1918 г.) и физ. математ. факультет. Грузины думают тоже сначала филологический факультет, потом физико-математический. Хотят и медицинский, но в последнем вопрос не решен. Если открыть физ-мат, то мы Вас будем иметь в виду в качестве профессора физиологии.

შეიძობით, იმედი მაქვს, რომ კიდევ მივიღებ თქვენგან წერილს და ეს უკანასკნელი არ იქნება.

თქვენი ბ. მელიქიშვილი.

ახლადგახსნულ უნივერსიტეტში, ბუნებრივია, მალე დასვა ივ. ბერიტაშვილის მოწვევის საკითხი. 1919 წლის 20 თებერვალს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო იხილავს ი. ბერიტაშვილის წერილობით მოხსენებას იმის თაობაზე თუ როგორ უნდა მოეწეოს ფიზიოლოგიის კათედრა და რა პირობებით შეუძლია მის იქ მოშობა. საბჭომ მოიწონა მოხსენების დედაბერი და შესაძლებლად მიიჩნია მისი მუხლების პრაქტიკულად განხორციელება, ამასთან პრინციპულად დაეთანხმა ი. ბერიტაშვილის მოწვევას. 1919 წლის 18 მარტის სხდომაზე ერთობლივად: „თორმეტი თეთრი და არც ერთი შავი“ ი. ბერიტაშვილი არჩეული იქნა უნივერსიტეტის პროფესორად.

ნოვოროსისის უნივერსიტეტის საკმაოდ მოწყობილ ლაბორატორიების შემდეგ ივ. ბერიტაშვილს ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდა. პირველად მას ერთი მოსამსახურე (ლაბორანტი) არ ჰყოლია, იგი ჩვეულო დაუოკებელი სწრაფვითა და ენერგიით შეუღდა მოლაშქობას. მან ბევრი რამ შესძინა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, ფიზიოლოგიურ ლაბორატორიას.

1920 წლის შემოდგომისათვის ფიზიოლოგიური ლაბორატორია შეუდგა სტუდენტთა სასწავ-

ლო პროცესის მომსახურებას და სულ მალე, თვით ივანე ბერიტაშვილის სიტყვებით, „უკვე 1922 წლისათვის ფიზიოლოგიის სწავლების შეუქმნინით ისეთივე პირობები, როგორც ეს იყო ბერტრანტის უნივერსიტეტში ჩემი იქ სწავლის დროს“.

ფიზიოლოგიის განვითარება მსოფლიოს მრავალ სამეცნიერო ცენტრებში ხდება და ეს გარემოება მეტად მალა სწევს მის საერთაშორისო დონეს. ივანე ბერიტაშვილს ერთი დღითაც არ წარმოუდგინა ფიზიოლოგიის სწავლება და მეცნიერული კვლევის განვითარება ლოკალურ, მხოლოდ ეროვნული უნივერსიტეტში, სასწავლო-პედაგოგიურ ამოცანად. მან თავიდანვე ეს ამოცანა დაუკეთებინა რუსეთის, ევროპისა და ამერიკის ფიზიოლოგი კვლევის ცენტრებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებას. იგი თავისი კვლევის შედეგებს აცნობებდა სხვადასხვა ქვეყნის ფიზიოლოგებს, მათგან სანაცვლო გამოკვლევებს იღებდა. მალე თბილისი ფიზიოლოგიური კვლევის ერთ-ერთ საერთაშორისო ცენტრად იქცა. ივანე ბერიტაშვილი პირველი იყო, რომელიც 1923 წელს თბილისის უნივერსიტეტის სახელით წართავაზენა სასწავლო-მეცნიერო შეხვედრაზე ინგლისში ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე მონაწილეობის მიხედვად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ივ. ბერიტაშვილი პირველ შესაძლებელ მომენტს იყენებდა იმისთვის, რომ მოეწეათ საერთაშორისო ფიზიოლოგთა შეკრება, სადაც ისინი ერთმანეთს გაუზიარებდნენ თავიანთ კვლევას შედეგებს, იმსჯელებდნენ მომავლის ამოცანებზე. შესანიშნავია ამ თვალსაზრისით მისი წერილი გაგზავნილი აკად. ი. პავლოვის სახელზე 1921 წლის 22 სექტემბერს (ამ წერაღს პირველად ვაქვეყნებთ).

«Многоуважаемый Иван Петрович

От души рад, что в наше тяжелое время Вы поставлены в такие условия, что сможете еще работать научно. Об этом говорят нам приезжие из Петрограда и само Советское правительство.

Я здесь живу совершенно оторванный от всего, что для меня было дороже всего: от общения с моими коллегами по специальности. Положительно я изголодался за эти два года по физиологии, я пытался сноситься с зарубежными и русскими коллегами. Но ничего особенного не вышло. Заграничные не ответили совсем, а русские, хотя и ответили, но так, что меня это не удовлетворило. Поэтому у меня возникло

желание поскорее собраться физиологическому обществу на заседание, т. е. собраться всем изголодавшим, оторванным от центров и разбросанным по окраинам России молодым и старым физиологам, для того, чтобы пожать друг другу руки, посмотреть на седину и худобу изголодавших по хлебу товарищей, выслушать их горе личное и общее, обсудить их кое-какие научные открытия, положить начало новым знакомствам, ознакомиться с новыми открытиями заграничных товарищей по рефератам тех счастливых, которые имели возможность воспользоваться иностранными журналами.

Пора, пора, наконец, перестать ждать чуда возвращения старого положения вещей, по мановению какой то особой силы, когда мы смогли бы приступить к полной нашей деятельности, когда только воспрянуть духом и тогда только подумать о съездах и т. д. Чем раньше мы соберемся и проникнемся свежими идеями и открытиями, чем раньше мы узнаем научные дела наших товарищей, тем скорее наступит эпоха усиленной научной работы среди нас.

Мы изголодались по хорошей работе, не только по своей, но и по чужой! Шутка ли, четвертый год не брал в руки новых журналов!

Я сам лично 3-й год лишен возможности работать: организация университета и физиологической лаборатории, чтение лекции грузинскому и русскому отделениям университета. Многочасовое руководство практических занятий и, наконец, составления учебника физиологии и печатания его!

У меня не было ни силы и времени заняться собственно научной работой, более того у меня не было времени подумать о напечатании тех моих исследований, которые были сделаны еще раньше!

Теперь положение уже изменилось. Лаборатория моя сейчас настолько благоустроена, что можно в ней работать всем разносторонне. Печатание учебника закончено. Я могу приступить к работе, но прежде хотелось бы познакомиться среди своих коллег, ознакомиться с новейшими исследованиями других, а затем еще напечатать произведенные мной исследования...

Вот почему, дорогой Иван Петрович,

считаю для себя и для множества от центра оторванных физиологов чрезвычайно полезным если бы Вы созвали весной новый всероссийский съезд — съезд физиологов и пригласили тоже из соседних республик».

ქართული უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებში ივ. ბერიტაშვილის შემთხვევით აღფრთოვანებული მისი აღრიხდელი მასწავლებელი პროფ. ა. სამოილოვი წერდა ყაზანიდან: „მე დიდ მადლობას ვიძღვნით იმ სტატისის გამოგზავნისათვის, რომელიც შეგობოვეთ და აგრეთვე სხვა სტატეებისათვის. შე აღტაცებული ვარ თქვენი მეცნიერული ნაყოფიერებით და, ასე ვთქვათ, მაღალი ცენზით თქვენი ნაშრომებისა. ისინი ბეჭედიდან წინებულა“.

იმ წლებში ივ. ბერიტაშვილი ქმნის ქართულ ენაზე „ცხოველთა ფიზიოლოგიის“ სახელმძღვანელოს ორ კაპიტალურ ტომს, შვარამ საკუთროვ ფიზიოლოგიური მეცნიერების დაფუძნებისა და ამ დარგში კადრების აღზრდით როლი ამოიწერება ივანე ბერიტაშვილის მოღვაწეობა უნივერსიტეტში. უპირველესად უნდა აღინშნოს ივანე ბერიტაშვილის მიერ ღრმა კომპეტენტობითა და თბილისის უნივერსიტეტის მომავალზე უსაზღვრო ზრუნვით დაწერილი დიდი სტატია „უნივერსიტეტის ძირითადი პრინციპები და ქართული სხელმძღვანელო უნივერსიტეტი“. იგი ივანე ბერიტაშვილმა 1919 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „შვიდი მნათობის“ მეორე ნომერში (გვ. გვ. 337-362). ამ სტატიაში დაყენებული ბევრი საკითხი, მისი ავტორის კრედიტს გამოხატველია საუნივერსიტეტო განათლებაზე საზოგადოდ, კერძოდ კი ქართული უნივერსიტეტის ამოკანებზე, რათა ახალგაზრდული უნივერსიტეტი მომავალშიც დაზღვეული ყოფილიყო ყოველგვარი პროვინციალიზმისაგან.

პოლემიკური სტატია მკითხველში მრავალ საკითხს აძირავდა, რომელთაც უნდა ხელი შეეწყო საუნივერსიტეტო სწავლების სრულყოფისათვის. საუნივერსიტეტო შემთხვევით ახალი პრინციპების შესახებ თავისა შეხედულებები მან მოახსენა 1917 წლის აპრილში მკსიმ გორკის ინიციატივით მოწვეულ აკადემიურ ყრილობაში.

ივანე ბერიტაშვილი მკვეთრად სვამდა უნივერსიტეტის შემდგომი დემოკრატიზაციის საკითხს. იგი აღნიშნავდა, რომ აქამდე ყველა ქვეყნის უნივერსიტეტებში პროლეტარიატისა და გლეხთა დიდი უმრავლესობის შვილებს არა აქვთ დრო და შესაძლებლობა მისაღებად და სამეცნიერო მოღვაწეობა თითქმის მთლიანად ბურჟუაზიის პრივილეგიას შეადგენს. ივანე ბერიტაშვილი სრული რწმენითა და ოპტიმიზმით წერდა იმ დიდ შედეგებზე, რაც უნივერსიტე-

ტის ძირეულ დემოკრატიზაციას მოჰყვებოდა: „დღევანდლამდის მეცნიერების უმსახურებოდა ხალხის უმცირესობა — უმთავრესად შეძლებულ ბერეუბაზე კლასებიდან. მომავალში კი, თუ რომ ფართო სარეალუბა შეეცა ხალხის უმრავლესობას — მიწისა და ქარხნის მფლობელების, მეცნიერების შეთვისებისათვის, — მეცნიერებას დაუწყებს სამსახურს მთელი ერთი მთელი ერთი მისცემს მას თავის ნიჭიერ შეილეს. ამას უფროდ უნდა მოჰყვეს მეცნიერების ისეთი წარადგი განვითარება, როგორც არანაზულა ქერ არცერთ კულტურულ სახელმწიფოში.“

უნივერსიტეტის ვახსნის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, 4-5 წელს გავრძელდა მისი აღმშენებლობის პროცესი. ივანე ბერატაშვილი უნივერსიტეტის აღმშენებლობის უპეტუტესი მონაწილეა.

1920 წლის 14 ოქტომბერს უნივერსიტეტის გამგეობამ ივ. ბერატაშვილს მიანიღო წარმომადგენლობა და იმ ოქმებზე ხელისმწერა, რომელიც დახურული ამიერკავკასიის უნივერსიტეტის ქონების ჩაბარებისა და უფლებების მონაცემების საკითხს წყვეტდა. ივ. ბერატაშვილის აქტიური ჩარევის შედეგად დახურული უმაღლესი სასწავლებლის ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი უნივერსიტეტს გადამოეცა, ხოლო ლაკვიდაიის ხაჩკების შემდგომ განათლების სამინისტრომ იყისრა.

1920 წლის დეკემბერში ბ. უვაროვის ინგლისში წასვლის შემდეგ ივ. ბერატაშვილს დროებით მიანდეს ზოოლოგიის კათედრის ხელმძღვანელობა.

ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით უნივერსიტეტის აღმშენებლობა წარმატებით მიმდინარეობდა. ივანე ბერატაშვილის მოწინააღმდეგეობა და პატივისცემა ივანე ჯავახიშვილისადმი გამოხატულია მის წერილში, რომელსაც პირველად ვაჟაფშაველეს ვხვდებით.

1923 წლის მარტში ჩატარდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის არჩევნები. 27 მარტს პროფესორთა საბჭომ განიხილა რექტორის ხელახალი არჩევის საკითხი. ერთხმად იქნა დასაბუღებული პროფ. ივ. ჯავახიშვილი. მან კენჭის ყრაზე უარი განაცხადა. 28 მარტს ივანე ბერატაშვილი წერილს უგზავნის ივანე ჯავახიშვილს:

პატივისცემულ პატრონო ივანო!

მე საჭიროდ ვიკავებ ვაცნობოთ ჩემი აზრი თქვენ მიერ ისტორიული ნაბაქის გადაღების შესახებ. წუხელ კრებაზე ვერ ვახვებდი ამ აზრის გამოთქმა, რადგან შემეშინდა, რომ კრება ნათლად ვერ გაიგებდა ჩემს აზრს, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა კრების ერთსულოვან წადილს.

ვიღრე თქვენ გამოსთქვამდით თქვენ სურ-

ვილს და თხოვნას რექტორობისაგან ვაპირებ სუფლებს შესახებ, მეც როგორც სხვებს თქვენს გარდა სხვა რექტორი არც კი მქონდა წარმოდგენილი. მიგრამ თქვენს განცხადების შემდეგ ჩემთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ დროებით მიანიღ, თუ საშუალოდ არა, თქვენ უფროდ უნდა მოგვეცეთ თავისუფლება. თქვენი განცხადების შემდეგ მე უკვე არ ვეზიარებდი საერთო წადილს, რომელიც უკვე მიმართული იყო თქვენი წადილს წინააღმდეგ.

მართალია, თქვენ გამოიჩინეთ ამ ოთხ-ხუთ წელთაშორის უნივერსიტეტის დაარსებიდან დიდი ნიჭი უნივერსიტეტის გამგებლობაში. მართალია, თქვენზე ავტორიტეტთან რექტორის ჩვენ ვერ ვიშოვიო, მაგრამ კრება არ იღებდა მხედველობაში იმას, რომ თქვენა ვაქვეთ ავრთვე სხვა ნიჭი, უფრო მეტი ღირსებისა, ნიჭი ისტორიული კვლევა-ძიებისა. ამ ორი ნიჭის ამოქმედება კი ისე რომ, ერთი მეორის ნაკოფიერებას არ ვენებდეს, შეუძლებელია. ჩრდოსაც თქვენ უნივერსიტეტის გამგებლობას ანდომებდით თითქმის თქვენ მთელ ძალ-ღონეს, მთელ დროს და ენერჯიას, ცხადია, მაშინ თქვენი შეცნირებული მოღვაწეობა ფრიალდ გამოეხატებოდა და ხშირად შემდგარიც იყო.

დღეს უნივერსიტეტი ფეხზედ სდგას, ჩემის აზრით, იმდენად მკვიდრად, რომ იგი აღარ საჭიროებს ასეთ დიდ მსხვერპლს, როგორც თქვენი მეცნიერული მოღვაწეობაა. მე მწამს, თქვენ სწორეთ ამიტომ განიზრახეთ მის გამგებლობისათვის თავის მინებება, რომ თქვენც დარწმუნებული ხყავით ამასში.

ბოლოს და ბოლოს, რექტორობას სხვაც გასწევს, თქვენი მაგივრობა კი საქართველოს ისტორიის შესწავლაში არავის შეუძლიან გასწეოს...

მე კიდევ მესმის ისეთი მსხვერპლი, როდესაც თვითონ შეწირული დარწმუნებულია, რომ მისი მსხვერპლად შეწირვა აუცილებელია, რომ სხვა გზა არ არის. ეს ასეც იყო აქნობაშის თქვენს საეთნოში. დღეს თქვენ აღარ თვლით საჭიროდ თავის უმაღლესის ნიჭის მსხვერპლად შეწირვას და ცხადია, დღეს მსხვერპლის გაგრძელება, გინდა უმრავლესობის წადილის თანახმად, უბრალო ძალმოშრობად უნდა ჩითივალოს... თუ ახლა მიუმატებთ მას, რომ თქვენ ხართ განმრთელობას მოკლებული, მასთან ხართ მოქანცული ზამთარ-ზაფხულ განუწყვეტილი მუშაობის გამო, მე არ შემიძლიან გაეიზიარო უმრავლესობის წადილი. პირიქით მე თანაგიგრანობთ თქვენ და ვუსურვებ თქვენს წადილს გამარჯვებას.

პატივისცემით
ივ. ბერატაშვილი.

29 მარტს ივანე ბერიტაშვილი იღებს პასუხს:

ფილალ აბტიმეცეზოლ ბაბრონ ივანი

დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი წერილისა და თანატყობისათვის. მოხარული ვარ, რომ ჩემი მდგომარეობა ასე კარგად ვაგვიფიქსირებთ. ყურით რომ არ დამკლებოდეს და ჩემი მოვალეობის ასრულება პირნათლად შემძლებოდა, მე საბჭოს არ შევამუშებდი, მაგრამ რაკი ასეთი უბედურება შეწვია, მე იმედო მიქვს, რომ საშუალებას მომიცემენ იმ სფეროში ვიმუშაო, რომელიც მე მიყვარს და ჩემს მოწოდებას შეადგენს.

თქვენი მზარდის პატივისცემელი

ივ. ჯავახიშვილი.

1923 წლის 30 მარტს უნივერსიტეტის საბჭომ კვლავ ერთხელ აირჩია ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის რექტორად.

1949-50 წლებში როცა ივანე ბერიტაშვილს არ ჰქონდა საშუალება ფიზიოლოგიაში მუშაობის ნორმალურად გაგრძელებისა, იგი შეუდგა ძველი ძეგლებისა და წყაროების გადმოხას, ხელნაწერთა ჩსრკასა. ამას შედეგად მოჰყვა ფუნდამენტური გამოკვლევის გამოქვეყნებაც „მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში ძველი დროიდან მეთოთხმეტე საუკუნემდე“ (1957 წ.). ეს წიგნი რუსულად გამოვიდა 1961 წელს ლალო გუდიაშვილის შენაწიწავით ილუსტრაციებით. ივანე ბერიტაშვილი ამ წიგნის წინასიტყვაობაში სივანგებოდ აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილის ამბავს. იგი წერს: „საქართველოს კულტურის ისტორიის თითქმის ყველა საკითხი საუცხოოდ აქვს განხილული ვასილენებულ ივ. ჯავახიშვილს. ვასილენები, რომ ამ დიდი ისტორიკოსის შრომებით დავალებული ვარ მეტიმსებედ მრავალი საკითხის გარკვევაში“.

ბუნებრივია ის სიხარული, რაც ქართველ ფილოლოგთა, ისტორიკოსთა და ფილოსოფოსთა შორის გამოიწვია მსოფლიო სახელის მეცნიერ-ფიზიოლოგის მიერ სპეციალური კვლევის ჩატარებამ საქართველოს ისტორიაში მისი უიველესი პერიოდიდან მოკიდებული XIV საუკუნემდე ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის, ადამიანის ბიოლოგიური და სოციალური ბუნების შესახებ. ამისათვის მას უხდებოდა არა მარტო ძველი ქართული, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის, არამედ ფილოსოფიური, ისტორიული და მხატვრული ლიტერატურის ძეგლების გადნობაც. ნიშანდობლივია თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ ნაშრომში სპეციალური თავებია „მოძღვრება ადამიანის ბიოლოგიურ ბუნების შესახებ XI-XIII საუკუნეების ქართულ

პოეტურ ნაწარმოებებში“. „მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ XI-XIII საუკუნეების ქართულ პოეტურ ლიტერატურაში“ (ქვემოთ) შესანიშნავია ივანე ბერიტაშვილის მიერ გაცემული წიგნის რეზიუმე: „საქართველოს კულტურული განვითარება XIV საუკუნემდე იმდენად უმნიშვნელოა, რომ, გარეშე სტიქიურ ძალას რომ არ ემოქმედა, ჩვენ ვაკლებით აღრუ ვიდრე ვეროპაში, მივალწვედით იმ მდგომარეობას, როდესაც ადამიანის ბუნება მისი ანატომია-ფიზიოლოგიით უშუალო კვლევის საგნად გადაიქცეოდა... ჩვენშიც დიოქეობის ექსპერიმენტული შეცნობებთანა მძლავრი განვითარება და მათ შორის ბიოლოგიური მეცნიერებითა განვითარებაც. ამ მოსაზრებას საბუთად უნდა მივიჩნიოთ გველითისა და იუალთის აკადემიების დაარსება, მათში ხმარებული მანლაზარისხოვანი სახელმძღვანელოები, იონა პეტრიწის, შოთა რუსთველისა და სხვა მრავალი იმდროინდელი მოღვაწეთა მსოფლმკვლევლობა, დაგით აღმშენებლისა და თამარ მდგის საზოგადოებრივი წამოწყებანი, ბერძნულ-ლათინურისა და აგრეთვე ირანულ-არაბული მეცნიერული მიღწევების შეთესება და გამოყენება ბიოლოგიისა და მედიცინის დარგებ ქართველ სწავლულთა მიერ“.

მსოფლიო მასშტაბის მეცნიერის მიერ ისტორიული გამოკვლევის დაწერა ბიოლოგია-ფიზიოლოგიის განვითარების ძველსა და უიველეს ხანაზე საქართველოში, უადრესად პატრიოტული საქმეა. ამ ნაშრომზე ივანე ბერიტაშვილი დიდი სიყვარულით, ავტორისიული დიდი კმაყოფილებითა და სიმთვნელე იმუშობდა. ამასთან შემოქმედების მძლავრ მიზნულად იტყა ის განსაკუთრებული მხარდაჭერა და აღმაფრენა, რასაც ყველა ამგვანებდა, ვისაც იგი ივანე ბერიტაშვილი წყაროებისათვის და რჩევისათვის მიმართავდა. ერთ დეტალს შევეხებით: 1952 წლის 11 ოქტომბერს ივანე ბერიტაშვილი წერდა უგზავნის ე. კვეციანს. (ამ წერილს ბირველად ვაქვეყნებთ).

ფილალ აბტიმეცეზოლ კორნელი

თქვენ უკვე არაერთხელ დამეხმარეთ ამ ისტორიული შრომის დამუშავებაში. ესლა ვთხოვთ გულდამსობთ გადაიკითხოთ თვით შრომა და თქვენი ავტორიტეტული აზრი გამოთქვათ უაბრავე კონკრეტულ საკითხებზე, რომელთაც მე ვეხებები. რამდენადაც თემა რთულია და მასთან იგი ჩემთვის სრულიად ახალი იყო, უაქველია მას არა ერთი ნაკლი ექნება. შეიძლება ყველა მისაწვდომი წყაროებით ვერ ეიარგებულე, ან და ესა თუ ის წყარო ვეროვნდაც ვერ მოვიხმარე... მე ვთხოვთ შენიშვნებით ერთი ირი სიტყვით იქვე ხელნაწერის გვერდებზე დამწერი აღნიშნათ. ცხადია, თქვენ შეგძლიათ გამოთ-

ვათ კიოხვის დროს ის ადგილები, რომელიც ანატომიურ-ფიზიოლოგიურ ტენებებს შეიცავენ.

შრომა დამთავრებული არაა. მიუხედავად მე-13 საუკუნემდის, მაგრამ აქაც მნიშვნელოვანი ნაწილი აკლია: მოაღრება ადამიანის ბუნების შესახებ ისტორიულ თხზულებათა მიხედვით, პირველ რიგში „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით.

მაგრამ ამ შრომის გაგრძელებას მე მხოლოდ მაშინ შეუდგები, თუ რომ თქვენი აზრით ასეთი შრომის გაწევა მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ქართული ერის ისტორიისათვის.

აქნაზამდის მე ეს შრომა მინტერესებდა პირადი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისათვის, მაგრამ ერთი წლის მუშაობამ მთლიანად ამ საკითხზე ცოტა არ იყოს დამალა და ენთუზიაზმიც შეასუსტა. ამან გამოაწვია ჩემი ყურადღების გადახრა ისევე ფიზიოლოგიურ თავსატეხს საკითხებისაკენ... ვასაგებია, ამიტომ, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩემთვის თქვენს საერთო აზრს და კონკრეტულ შენიშვნებს.

პატრიისციემით ივანე ბერიტაშვილი.

რასაკვირველია, ქართული ფილოლოგიის დიდი მოამბე უსაზღვრო აღტაცებითა და მხარდაჭერით შეხვდა ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებლის გადაწყვეტილებას — წარმოეჩინა ქართველთა ნააზრვეი ადამიანის ბუნების შესახებ უძველესსა და ძველ საუკუნეებში.

ივანე ბერიტაშვილი ქართველი ხალხის მართო ისტორიით რაღა დაინტერესებულა, მას ძალზე ორიგინალური შეხედულებები აქვს ახალგაზრდობის აღზრდის სრულყოფის თაობაზე.

ახალგაზრდობის, განსაკუთრებით კი უმაღლესი სკოლის ახალგაზრდობის, აღზრდის საქმეს იგი სახელმძღვანელოებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას უკავშირებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ მან 1920 წელს გამოაქვეყნა „ცხოველთა ფიზიოლოგიის“ ფუნდამენტური სახელმძღვანელო, რომლის მსგავსი იმ დროს არ არსებულა არც გერმანულ და არც ინგლისურ ენაზე. ივანე ბერიტაშვილმა პირველად აამერტყველა ფიზიოლოგიის ბევრი ტერმინი ქართულ ენაზე და პირველად შექმნა კლასიკური სახელმძღვანელო ფიზიოლოგიაში. ამ სახელმძღვანელოს 1920 წლის პირველ გამოცემის წინასიტყვაობაში დაბეჭდილია ივანე ბერიტაშვილის მიერ 1920 წლის 25 თებერვალს ქართულ უნივერსიტეტში წაკითხული შესავალი ლექციის სრული ტექსტი.

ლექცია იმ შთავარ იდეას ატარებდა, რომ „უნივერსიტეტის უპირველესი მიზანია უნდა იყოს ახალ თაობაში მეცნიერულ, ინტელექტუალური აზროვნების განვითარება“. ამ მიზნის მიღწევისათვის ივანე ბერიტაშვილი აყენებდა ლექციურ მეცადინეობის ფორმის შეხამებას სწავლების ლაბორატორიულ-პრაქტიკულ მეთოდებთან. მას აქ გამოთქმული აქვს მეტად საყურადღებო დაკვირვებები და მინიშნებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ივანე ბერიტაშვილი თითქმის ერთადერთი ავტორია საქართველოში, რომელიც ინტენსიურად მუშაობს უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის უაღრესად საჭირო პრობლემებზე. მან ჯერ კიდევ 1941 წელს გამოსცა „სტუდენტთა მოვალეობა და მათი მუშაობის ორგანიზაცია“, ხოლო 1955 წელს „სტუდენტთა სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაცია“.

ივანე ბერიტაშვილი ადამიანის ბედნიერების შთაგონებულ შრომაში ხედავს. შთაგონებელი შემოქმედებითი შრომა უწყვეტ ენერჯის ამტყვის მას. სწორედ ამიტომ ასაკი ვერ ახდენს გულწინას მის მძლავრ ინტელექტზე.

1964 წელს ივანე ბერიტაშვილს დაბადების 80 წლისთავი შეუსრულდა. მაგრამ იგი სრულიადაც არ თვლის, რომ დადგა მეშუაების წერის პერიოდს. ისევ ინტენსიური მუშაობა, ისევე ახალი პრობლემები.

1965 წელს 81 წელში ვადამდგარი იგი „გაეროს საუბრებს“ იწვევს და თვითონაა საუბრების უველად აქტიური მონაწილე-მომხსენებელი და მოყამათ. იმავე წლის სექტემბერში ქართული ფიზიოლოგიის პატრიარქი წარსდგა ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე ტაიოში შესანიშნავი მოხსენებით.

1967 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სათბილეო სესია მიუძღვნა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს. ამ სესიაზე ვრცელი მოხსენება წაკითხა ივანე ბერიტაშვილმა, რომელმაც მიმოიხილა მეცნიერების ფიზიოლოგიური მექანიზმების ცვლევის თანამედროვე მიღწევები და ის შედეგები, რომლებიც მან და მისმა თანამშრომლებმა მოიპოვეს ამ პრობლემის ცვლევის დროს.

როცა ეს სტატია იწერება 84 წლის ივანე ბერიტაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებშია და უაქტიურესი მონაწილეა ფიზიოლოგთა საერთაშორისო შეხვედრას.

ივანე ბერიტაშვილი განმორციელებული მხნეობაა.



მასალები თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიისათვის

თეთრი და ღამიანი შენობა, აღმართული თბილისში ვარაზისხვევის მარცხენა მხარეს დილა ხანა იქცა ქართული მეცნიერული აზროვნებისა და უმოდლესი განათლების სიმბოლოდ. ესაა თბილისის საბელშეიფო უნივერსიტეტი, რესპუბლიკის ერთერთი უდიდესი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულება, რომელსაც მიმდინარე წელს არსებობის ორმოცდაათი წელი შეუსრულდა.

ქართული კაცია არ შეიძლება გულგრილი დარჩეს ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი. იშვიათია ისეთი ქართველი ინტელიგენტი, რომლის ცხოვრება ან შემოქმედება ასე თუ ისე არ იყოს დაკავშირებული თბილისის უნივერსიტეტთან.

უნივერსიტეტის შექმნისათვის ბრძოლას ქართველმა ხალხმა დიდძალი ენერჯია შეაღია. და თუკი ამი თუ იმ საზოგადოებრივი მონაპოვრის ფასი და მნიშვნელობა განაზომება იმ მსხვერპლით, რომელიც მისთვის ხალხმა გაიღო, უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის ისტორიამ უნდა გვაგარკნიდინოს თუ რატომღა ეს შესანიშნავი დაწესებულება ესოდენ ძვირფასი ჩვენი ხალხისათვის.



საქართველოში უნივერსიტეტის წარმოქმნა ჩვენი ხალხის მდიდარი კულტურულ-ისტორიული ტრადიციებით იყო შეპირობებული, იგი წარმოადგენდა ძველ საქართველოში მეცნიერული აზროვნებისა და უმოდლესი განათლების საქმის განვითარების ლოკატორ შედეგს. ქართველი ხალხის წინაპრმა ტომებმა უძველეს ხანაშივე შექმნეს მაღალი სამეურნეო და სულიერი კულტურა. უკვე იმ დროში მათ, როგორც ჩანს, დაკრთილი ჰქონდათ დიდძალი ემპირიული ცოდნა. თრიალეთისა და მცხეთის განათხარი მასალები, იარაღები, ქურჭული, სამკაულები, ნაგებობები და სხვანი კარგად ადასტურებენ ამ ცოდნას. რაც უფრო დაწინაურებული* ჩანან ჩვენი წინაპრები ლითონის

დამუშავებაში, მიწათმოქმედებაში, კერამიკულ წარმოებაში, ოქრომკვებლობაში და სხვა დარგში, რაც უფრო მაღალია მათი ოსტატობა, ფაქიზა მათი გემოვნება, მრავალფეროვანია მათი შემოქმედება, მით უფრო მეტი უნდა ყოფილიყო ეს ემპირიული ცოდნა, მით უფრო მეტად უნდა ყოფილიყვნენ ისინი შეჭრილი ბუნების მოვლენების კანონზომიერებებში.

ცხადია ისიც, რომ ეს ემპირიული ცოდნა იმათათვე გადატვირთული უნდა ყოფილიყო მისტიკურ-რელიგიური რწმენებთანა და წარმოდგენებთან, რაც ასე კარგადაა ასახული ძველ ქართულ თქმულებებში და ხალხურ წეს-ჩვეულებებში.

დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ჩვენი წინაპრების ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან, პირველ რიგში, რომაულ-ბერძნულ სამყაროსთან. ამის შედეგი იყო ანტიკური (ბერძნულ-რომაული) განათლების პომპრობოძე ძველ საქართველოში, რასაც კარგად ადასტურებს კოლხეთში არსებული ბერძნული რიტორიული სკოლა (თემისტოქოსის ცნობა) და იბერიელი წარჩინებულის ბაკურის დიდი ფილოსოფიური განსწავლულობა (მეგობრობდა ლიბანიოსთან, იყო სტოიციზმის და პოლითეიზმის მიმდევარი).

ქრისტიანობის გავრცელების დროისათვის (IV საუკუნე) ჩვენი მაღალი საზოგადოებრივი კულტურა არსებობდა (ამის თვით ეს სარწმუნოება საჭიროებდა). ახალმა რელიგიამ ახალი მიმართულება მისცა ქართულ კულტურასა და აზროვნებას, ახალი პრობლემები წამოჭრა მათ წინაშე, ახლებურად მოაწყო განათლების საქმე (საეკლესიო სკოლები ეკლესია-მონასტრებთან და სამღვდელმთავრო კათედრებთან).

ქრისტიანული აზროვნების ასპარეზზე ქართველებმა იმათათვე გამოიჩინეს თავი. დაუსახელებთ პეტრე იბერს (V საუკუნე), რომელსაც მიეწერება არეომაგიტული წიგნების შექმნა. შემდგომი ეპოქის რენესანსულ აზროვნებაში

ნებაში ნეოპლატონიზმის ნაკადი სწორედ არეოპაგიტული წიგნებიდანაა შესტული.

დიდადიალ თარგმნილი ლიტერატურის გვერდით ქართველები ქმნიან ორიგინალური შექრობის ღირსშესანიშნავ ძეგლებს (უმთავრესად პავიოგრაფიულს).

განივთარებული ფეოდალიზმის ხანაში (VIII-XII ს. ს.) ქართველები დიდ კულტურულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას აწარმოებენ. ჩვენში თუ საზღვარგარეთ დაარსებული კულტურის კერები (მსხვილი ქართული ეკლესია-მონასტრები) ამდიდრებენ და აწინაურებენ ქართულ მწერლობას, ქართული აზროვნების ამ კერებთან უკვე ჩნდება უმაღლესი ტიპის სამწიგნობო (სემინარიები, აკადემიები). ასე იყო პეტრიწონში, ათონზე, გელათში, ივანთონში და სხვაგან. ახლა ქართველი ახალგაზრდები არა მარტო უცხოეთის (ევროპა, ბიზანტიის) სასწავლოებში იღებენ უმაღლეს განათლებას, არამედ საქათეს სამშობლოშიც. აღსანიშნავია, რომ დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი სწორედ პეტრიწონის სემინარიაში და გელათის აკადემიაში ქადაგებდა იმ ახალ იდეებს, რომელთაც ჯერ კიდევ ბიზანტიამ, მანგანის აკადემიაში (მიქელ ასკლესიასა და ი. იტალოსის ნააზრევში) მიიწვეს თავი და ეკლესიის ორთოდოქს მსახურთა გულისწირობა დამსახურეს. ამ იდეების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ერთმანეთისგან გასითშეს ღვთისმეტყველება და ფილოსოფია, გააცალკევეს მათი კლდე-ძიების სფერო და მიზანი, მათი მეთოდოლოგია ეს იყო ცდა რაციონალური ცოდნის დამკვიდრებისა, ქრისტიანული დოგმატიკის საფუძვლების შერყევისა. ამის გამო დევნილი იოანე პეტრიწი ბიზანტიიდან ჯერ პეტრიწონში მიდის და იქ ქართულ მონასტერში იც წილებს მტ ხანს სემინარიის ხელმძღვანელობას, შემდეგ კი მეფე დავით აღმაშენებლის მოწვევით გელათის აკადემიაში გადმოდის. გელათი, დიდადრებული დავით აღმაშენებლის მიერ, წარმოადგენდა ქართული განათლების ერთერთ უდიდეს ცენტრს. თანამედროვენი სიტყვით, ეს მონასტერი „აქ შედგებოდა არს ყოვლისა აღმოსავლეთისა და მეორედ იერუსალიმად (ე. ი. სასულიერო ცენტრად — შ. ხ.) სამწველოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულნიხად, სხუად აიონად (ე. ი. მეცნიერული ცოდნის ცენტრად — შ. ხ.), ფრთხილ უადრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დავითანდ ყოვლისა საეკლესიოსა შეუწიერებისად.“ გელათის აკადემიის „მოდგარა-მოდგარის“ (რექტორის) იდეალი იოანე პეტრიწის უნდა სჭეროდა. აქ გაიდურჩქნა საბოლოოდ მისი ფილოსოფიური ნიჭი, პეტრიწის ნააზრევში შექმნილულია და ისტორიკობუნებელია მთელი წინაზე ხანის ქართული ფილოსოფიის განვითარება და აყვანილია იგი ახალ საფეხურზე. პეტრიწი თავისებურად წვევრდა ფილოსოფიის ძირითად საფეხს და

სამყაროს მარადიულობის აღიარებამდე მიდიოდა. მისი აზრით ღმერთი მხოლოდ ლოკუტურადაა სამყაროს ონტოლოგიური „საფუძველი“ და არა ისტორიული. ღმერთი „გაფიციველები უზენაეს აზროვნებასთან და ფაქტურად უზარყოფილია სამყაროს შექმნა მის მიერ. სილოვისში, ლოკუტური აზროვნება (და არა რწმენა) მიხნეული ღმერთის შეცნობის ერთადერთ გზად. ღმერთსა და ამქვეყნიურ სინამდვილეს შორის (სხვადასხვა სამუაღულო საფეხურებთან) დამყარებულია მძიდრო კავშირი, ამქვეყნიური და იმქვეყნიური სამყარო ერთ მთლიან სისტემადა არის წარმოდგენილი, რაც ამ უკანასკნელის ამ ქვეყანაში გადმოტანის საფუძველს ქმნიდა.

გელათში შუა საუკუნეებისათვის ტიპური განათლების სისტემა უნდა არსებულყო. იოანე პეტრიწის ორიგინალური ნაშრომებიდან ჩანს, რომ იქ ასწავლიდნენ იმ შეიღ საგანს, რომელთა სწავლება მიღებული იყო შუა საუკუნეების აკადემიებში: გრამატიკა, ფილოსოფია (დიალექტიკა) და რიტორიკა („ტრივიუმი“), არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია („კვადრადიუმი“).

მეორე მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო დამეცნიერული ცენტრი XII საუკუნის საქართველოში იყო ივანთონ აკადემია, სადაც მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი არსენ ივანთოელი. ამ დროის ქართველ ფილოსოფოსთა შესახებ ნ. შარა წერს: «Грузины в X и XI веках интересовались в области философских тем и же вопросами, какие занимали передовые умы тогдашнего христианского мира как на Востоке, так и на Западе, с тем только отличием от других, напр., от европейцев, что тогда грузины отыскивались раньше других на наиболее новые течения философской мысли и работали во всеоружии образцовой для своего времени текстуральной критики непосредственно над греческими подлинниками».

და არა მარტო ფილოსოფოსები. ქართული ისტორიოგრაფია, მედიცინა, თერაპიკოდენცია, ასტრონომია და სხვა დარგები იძლევიან შეხანინშევი წარმომადგენლებს. იქმნება ერთიან ფეოდალური თვალსაზრისის ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების პროცესზე (ასახა „ქართლის ცხოვრებათა“). იქმნება სამართლის წიგნები (საეკლესიო თუ სამოქალაქო), იწერება სამედიცინო წიგნები, აბუსერობე ტბელის (XIII ს.) ტრაქტატი ქრონოლოგიის საკითხებზე და ა. შ. ჩნდება მაღალდევური საერო ლიტერატურა (შ. რუსთაველი).

ქართველი ხალხის მიღწევები განათლებისა და მეცნიერული აზროვნების დარგში ძვირფას

შენადნად დარჩენენ ჩვენი კულტურის საკან-
მურში.

ამის შემდეგ ქართული განათლებისა და მეც-
ნიერული აზროვნების საკითხებზე ზრუნვის
ვხვდებით XVII-XVIII საუკუნეებში. მტრული,
მაჰმადიანური ქვეყნების გარემოცვაში, მტრის
დაუსრულებელმა შემოსევებმა, განუწყვეტელმა
ფეოდალურმა შინაომებმა XIV-XVII საუკუნე-
ებში საგრძობლად შეაფერხა ქართული მეც-
ნიერებისა და განათლების საქმის განვითარება,
იკარგვეს ჩვენი ხალხის მრავალი შინაპოვარი.
და როგორც კი შეიქმნა შედარებით ხელსაყრე-
ლი პირობები, ჩამოყარდა მშვიდობიანობა და
ქვეყანამ დროებით თავისუფლად ამოისუნთქა,
განახლდა მეცნიერული მუშაობა, შეიქმნა გან-
თლების ახალი კრები. მაგრამ განკლები უზე-
დურებებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ჩვენი ხალ-
ხი საქმიად ჩამორჩა ამ მხრივ დასავლეთს
და ახლა მასთან კავშირუბრუნების აღდ-
გენა იყო ერთერთი გადამწყვეტი პირობა
შემდგომი სოციალ-ეკონომიური და კულტურ-
ული წინსვლისათვის. ეს კავშირუბრუნება კი
რუსეთის გზით შეიძლებოდა აღდგენილიყო.

მე-18 საუკუნეში წინაურდებმა ქართული მეც-
ნიერული აზროვნება (განსაკუთრებით, ისტო-
რიის დარგში), იწყება ქართული წიგნის ბეჭდვა,
ითარებებმა წიგნები რუსული და ევროპული
ენებიდან, იწერება ტრაქტატები დასახელმძღვა-
ნელოები მეცნიერების მრავალ დარგში. ამ ეპო-
ქის ქართული მეცნიერული აზროვნება ენციკ-
ლოპედირების ნიშნითა აღბეჭდილი. ზრუ-
ნავლენ იმანუილ, რომ უბრუნებო (ეკრამპი)
საქართველოზე სწორი წარმოდგენა ქონოდათ.
სტ. პოლინისთან თანამშრომლობდა ნიკ. ჩო-
ლოყაშვილი (ირბახი), ბაქარ ბატონიშვილი
ცნობებს აწვდიდა იოსებ დეგინსა და ე. ნ. ტი-
ტომშევს, არჩილ მეფე — ნიკოლა ვიტკინს, გრ.
ბაღინაშვილი და სტ. ავთანდილაშვილი — კ. ალ-
ტერს, ადლერს და სხვებს. რუსეთში ჩნდება
ქართული ახალწიგნები, რომლებიც დიდ კულ-
ტურულ საქმიანობას ეწყობენ. საქართველოში
არკვედ მეროვ აარსებს ორ სემინარიას: თბი-
ლისში (1755 წ.) და თელავში (1782 წ.). ეს
სემინარიები მაღალი ტიპის საშუალო სას-
წავლებლებს წარმოადგენდნენ და უმაღლესი
სკოლის რიგ ნიშნებს ატარებდნენ (სპეციალის-
ტთა მოზარდები. ლექციების სისტემა, საჭარო
პატიონისი და ა. შ.). მათი წყალობით საქარ-
თელოში, გაიზარტეტორის სტრუქტურით რომ
ვთქვათ — წარმოდგენენ მაღალნი გონებანი.
გამრავლდნენ მეცნიერებებიანი ნათელინი, შე-
იქმნა ქართველ მეცნიერ მოღვაწეთა მრავალ-
რიცხოვანი კადრები.

ასეთი ვითარებაში ვასაკვირიც არაა, რომ
მომწოდდა არი ჩვენი ქვეყანაში უმაღლესი
სასწავლებლების დაარების შესახებ. ამან ასა-
ვა პიოვა თიანე ბატონიშვილის „სკულეღბაში“
(1799), რომლის მიხედვითაც უმაღლესი სკო-

ლები უნდა გახსნილიყო თბილისში, ვორში და
თელავში. მაგრამ ამ ახლს განხორციელება არ
ეწერა. რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართუ-
ლი უმაღლესი სასწავლებლების შექმნის სა-
კითხი დიდი დროით გადაიდო.

აქვე შევნიშნათ, რომ მე-18 საუკუნეში არა-
ერთი ქართველი მოღვაწე ახერხებს განათლე-
ბა მიიღოს რუსეთის უმაღლესი სასწავლებლებ-
ში. ასეთები იყვნენ ვაიხო თავის ძე ბარათაშ-
ვილი, დავით ალექსის ძე ალექსიშვილი, ეო-
ორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონი, ს. ეგნატე-
ვილი, ნ. ნ. ზანდუკელი, ა. ი. ქართველშვილი
(„გურუნიშვილი“) და სხვანი. ამთვან ზოგი დაბ-
რუნდა საქართველოში და ქართული კულტუ-
რის განვითარებას ემსახურებოდა.

• • •

XIX საუკუნის დასაწყისში ჩვენი ქვეყნის
ცხოვრებაში კარდინალური მნიშვნელობის გარ-
დატება მოხდა. საბოლოოდ გადაწყდა ჩვენი
ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი
და იგი რუსეთს დაუკავშირდა. ამით გაიზრდა
ჩვენი ქვეყნის ირვლოვ დიდი ხნის მანძილზე
არსებული ჩამორჩენილი, მაჰმადიანური ქვეყ-
ნების მტრული გარემოცვა და ქართველი ხალ-
ხი სოციალ-პოლიტიკური და კულტურული
განვითარების ახალ გზაზე გამოვიდა. საქარ-
თელომ თავი დააღწია ფეხიკური და ეთნიკური
განადგურების მუდმივ საფრთხეს, რომლის წი-
ანაშიც მისი მანამდე იდგა და თავისი მომავალი
განვითარების პირობები უზრუნველყო. ჩვენი
მა ქვეყანამ თავისი მომავალი ზელი დაუკავში-
რა შედარებით მოწინავე, კაპიტალისტური გან-
ვითარების გზაზე შემდგარ რუსეთის სახელ-
მწიფოს.

რუსეთთან შეერთების შედეგად ჩვენს ქვე-
ყანაში მალე შეწყდა ამოხრებული შემოსევე-
ბი, მოსახლეობის რბევა-აჩიოცება, ტყვედ ვა-
ტაცება და გადაყარება უცხოეთის ქვეყნებში;
ქვეყანა ნანატრ მშვიდობიანობას ეღიბრა და
საქართველომ შესძლო თავი დაეღწია თავისი
სოციალ-ეკონომიური ცხოვრების დარბელო-
ბისათვის, შესძლო აღმოფხვრა სოციალურ-
ურთიერთობათა ჩამორჩენილი ფორმები და
ჩამბულიყო ახალი საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბის ფერხულში. მიუხედავად ცარიზმის მძიმე
კოლონიური რბეიმისა, რუსეთთან შეერთების
შემდეგ ეს პრაგმატული მოვლენები განუზრე-
ლად იკავფვენ გზას ჩვენი ქვეყნის შინაგან
ცხოვრებაში და სახეს უცვლიან მას. თანდათ-
ნობით, დიდი ბრძოლით და ტანჯვით იშვებო-
და ახალი, ბურჟუაზიული საქართველო, რომ-
ლის წიაღშიაც შემდგარ მძლავრი რევოლუცი-
ური მოძრაობა განვითარდა და ძველი საზო-
გადოების დანგრევის პირობები მოამწიფდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას დიდი
მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე თავი რუსეთის
სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისათვის.

გარდა იმისა, რომ რუსეთის სახელმწიფოს მფლობელობაში აღმოჩნდა მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით აღჭურვილი ქვეყნა, ამ ისტორიული აქტით საფუძველი ჩაეყარა რუსეთის პოლიტიკის განმტკიცების მიუხედავად კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთში და, ცოტა გვიან, შუა აზიაშიც კი.

რუსეთთან შეერთებით ერთბაშად შეიცვალა ის გარემოება, რომელშიც მანამდე ჩვენი ქვეყნის კულტურისა და მეცნიერების განვითარება მიმდინარეობდა. თუ აღვჩვენებთ ქვეყანა მძლავრად განიცდიდა მაჰმადიანური ქვეყნების გარემოცვას და მაჰმადიანური კულტურის განვითარებას, მაჰმადიანური კულტურის გავლენას, ახლა, რუსეთთან შეერთების შემდეგ ამ გავლენას თანდათანობით ეცლებოდა საფუძველი. იგი სუსტდებოდა და ქრებოდა. მაჰმადიანური გარემოცვა გარკვეულ დაბრკოლებას უქმნიდა თვითმყოფადი ძველი ქართული კულტურის შეუფერხებელ განვითარებას. ჯერ ტრისტანდელი, ხოლო შემდეგ პუშინსტერ-განმანათლებელი იდეოლოგიით გამსჭვალული და ნაიპირდებით ძველი ქართული კულტურა მტკიცედ აღადგინდა აღმოსავლური, მაჰმადიანური კულტურის გავლენას, შეპირობებულს აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური ძალმომრეობით. თავისი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ხასიათით საქართველო მკვეთრად განსხვავდებოდა მაჰმადიანური აღმოსავლეთისაგან. ამ მხრივ იგი უფრო დასავლეთ ევროპის სამკვირვებო მიეკუთვნებოდა და საუკუნეების მანძილზე ცდილობდა არ შეეწყვიტა, უკეთ, აღედგინა კავშირი და ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან. ჩვენმა ქვეყანამ ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე მიაღწია გარკვეულ შედეგებს ამ მიმართულებით, ხოლო რუსეთთან შეერთების შემდეგ იგი თანდათანობით განთავისუფლდა მაჰმადიანური აღმოსავლეთის გავლენისაგან, ჩადგო სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ბუნებრივი კალაპოტში, ახალ გარემოში წარამართა ჩვენში კულტურისა და მეცნიერების შემდგომი განვითარება. იქმნა ცა ახალ, და ქვეყანა ახალ — ასე ვამოხატა შექმნილი ვითარება იმ ეპოქის ერთ-ერთმა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ და მწიგნობარმა დავით რეპტორმა.

ამდენად, საქართველოს რუსეთთან შეერთება ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიაში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მრავალ სხვა სფეროში, ახალი ეტაპის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ. ახალ პირობებში კულტურა და ევროპული ცოდნა მთელი ძალით იჭრება ქართულ სინამდვილეში. ღრათოდება და ინტენსიური ხდება მისი გავლენა, იგი ხელს უწყობს ქართული კულტურის წინსვლას, მის გამდიდრებას ახალი იდეებით და შეხედულებებით. ამის შესაბამისად წარამართა XIX ს. საქართველოში უმაღლესი განათლების

სათვის ბრძოლის საქმე, მეცნიერული აზროვნების განვითარება და ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებლის შექმნისათვის პირობების მომზადება.

მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან შეერთების ქართული კულტურის, ენის, განათლების და მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით ჰქონდა ერთი მძიმე უარყოფითი შედეგი: ეს იყო ის, რომ მათი ბედი ცარიზმის მოხელეთა ხელში აღმოჩნდა. ცარიზმის კოლონური რეჟიმის მარწმუნებში მოექცა, ცარიზმის პოლიტიკის საღებავებით შეიზღუდა. ცარიზმის უარყოფითი დამოკიდებულება არარუსი ხალხების კულტურის განვითარებისადმი საფრთხილად ცნობილია ცარიზმის მოხელეები არარუსი ხალხების მიმართ, მიზნად ისახავდნენ „ჩაეხშობათ მათში ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ჩანასახი, დესახიჩრებიათ მათი კულტურა, შეევიწროებინათ მათი ენა, უმეტრებაში მყოფადი იმისი და ბოლოს, შეძლებისდაგვარად მოეხდინათ მათი რუსიფიკაცია“¹.

ცარიზმი ხელს უშლიდა ქართული კულტურის განვითარებას. იგი მოქმედებდა იმ დიდი ისტორიული მისიის საწინააღმდეგოდ, რომლის შესრულებაც წილად ხვდა რუსეთს, რუს ხალხს და რუსეთის კულტურას აღმოსავლეთის (მეციზისპირეთისა და კასპიისპირეთის) მიმართ და კიდევ ამიტომ ცარიზმის პოლიტიკა განწირული იყო სრული კრახისათვის.

ამრიგად, XIX საუკუნის გარეგანზე ქართული კულტურის, განათლებისა და მეცნიერული აზროვნების განვითარების თვალსაზრისით ორი, ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობის მოვლენა მოხდა: ერთი მხრივ, რუსეთთან შეერთების გზით ჩვენმა ქვეყანამ თავი გაათავისუფლა მაჰმადიანური ქვეყნების მტრული გარემოცვისაგან და გამოვიდა შემდგომი განვითარების ახალ გზაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მას თავს დაატყდა ცარიზმის მძიმე კოლონური რეჟიმი, რომელიც ყოველნაირად აფერხებდა, ზღუდვდა მის განვითარებას. აი, ამ ორი ფაქტორის მუდმივი უხმობედების პირობებში მიმდინარებდა XIX საუკუნის ბრძოლა ქართული უმაღლესი განათლებისათვის, უნივერსიტეტის დაარსებისათვის.

თავდაპირველად, საუკუნის დასაწყისში თავი იჩინა ცარიზმის პოლიტიკის უარყოფითმა გავლენამ ქართული განათლებისა და მეცნიერული აზროვნების განვითარებაზე. ცარიზმმა იმთავითვე მოსია ქართული განათლების სისტემა, დახურა ქართული სასწავლებლები, შეზღუდა ქართული ენა, თითქმის მთლიანად განდევნა იგი

¹ სკვპ ყრილობების, კონფერენციების და ეკლესიების რეზოლუციები და გადაწყვეტილებები, ნაწ. 1, გვ. 7 გამოცემა, თბილისი, 1954 წ. გვ. 718-719.

სახელმწიფო მართვა-გამგეობისა და კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზიდან. მართველობის სისტემას, განათლებას და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას საფუძვლად დაედო რუსული ენა. ქართული უმადლესი განათლებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობდა — არ იყო ქართული საშუალო სასწავლებლები, რომლებიც საუმაღლესოდ მოამზადებდნენ ახალგაზრდებს, არ იყო არც უმაღლესი სასწავლებლები, დიხუჩა ძველი ქართული სემინარიები.

მთელი XIX საუკუნის მანძილზე საქართველოში დაწყებითი და საშუალო განათლების სისტემაში ქართული ენა ისწავლებოდა, როგორც დამხმარე, ერთო საყვანი, ჯერ, 60-იან წლებამდე, რამდენაღმე მეტი ყურადღებით, შემდეგ კი, 60-იანი წლებიდან, სრულიად უყურადღებოდ. ამერიიდან სუბარო შეიღებულა მხოლოდ რუსულ განათლებაზე საქართველოში, რუსულ უმაღლეს განათლებაზე, ქართველი ახალგაზრდების სწავლაზე რუსულ უმაღლეს სასწავლებლებში.

ამათან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ცარიზმის ლინისძებებში საუკუნის დასაწყისში ერთბაშად დაიხსტა საქართველოს კულტურულ-შემოქმედებითი ძალები. როგორც ცნობილია, მეფის მთავრობამ რუსეთში გადასახლა საქართველოს სამეფო ოჯახის წევრები, რომელთა უმრავლესობა ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები იყვნენ. სამეფო ოჯახის წევრებს რუსეთში გაჰყვა იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის მრავალი ბრწყინვალე წარმომადგენელი. ჩვენი ქვეყანა ეძღვნა ერთბაშად იაილა კულტურულ-შემოქმედებითი ძალები, საგან და მისი კულტურული ცხოვრება მძიმე მცომაირეობაში აღმოჩნდა. რუსეთში გადასახლებულმა ქართველებმა თან წაიღეს დიდძალი წიგნები, ქართული ხელნაწერები, საბუთები, მთელი ბიბლიოთეკები. ისინი არაა ხნით მსწყიდნენ მშობლიურ ნიადაგს და აღვილობრავ ახალ თათბათა აღზრდის საქმეში მონაწილეობას ვერ იღებდნენ. ეს ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე დანაკლისი იყო.

მაგრამ ქართველ მოღვაწეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ საქართველოდან გადასახლების შემდეგაც არ შეუწყვეტათ სასარგებლო საქმიანობა. რუსეთში ისინი შეუერთდნენ მოსკოვსა და პეტერბურგში მყოფ ქართველ მოახალშენებს, გააძლიერეს ამ ქალაქებში არსებული ქართული კულტურის კერები და მოახალშენების მძიმე პირობებში განავრძეს ინტენსიური მოღვაწეობა.

იქ, პეტერბურგსა და მოსკოვში, ქართველ მოახალშენეთა წრეში გრძელდება პაქრობა ჯერ კიდევ საქართველოში აღბრულ პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და ისტორიულ საკითხებზე. იწერება ახალი ტრაქტატები, მამდება და ფასდება ქართული კულტურის, მონაპოვრები,

ერთი სიტყვით, მიმდინარეობს ინტენსიური კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობა. ქართული კულტურის კერები რუსეთში (გაქონაკეთებით პეტერბურგის კერა) XIX საუკუნეში აგრძელებენ ძველ ტრადიციას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეების მეფანზე არბოდ მეოფისა და ვახტანგ მეექვსის ხანაში. იმ დროიდან მოყოლებული რუსეთის ქართველ მოახალშენეთა კულტურულ-პოლიტიკური საქმიანობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაკადს ქმნიდა ქართული კულტურის წიაღში. XIX საუკუნის დასაწყისიდან ამ ახალშენებმა დაყარეს ის პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც მათ ამ დრომდე მქონდათ, მაგრამ კულტურის ცენტრთა მნიშვნელობა შემდეგაც შეინარჩუნეს, რაც განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ქარველ ბატონიშვილთა პეტერბურგში გადასახლების შემდეგ. XIX საუკუნის პირველ ორ-სამ ათწლეულში პეტერბურგის ქართველ მოღვაწეთა საქმიანობის წამყვანი და ტონის მიმცემი მნიშვნელობა იჭეს ქართული კულტურის ისტორიაში, ზოგიერთ დაღვში კი (მაგალითად, ისტორიოგრაფიაში) მათ XIX საუკუნის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე შეინარჩუნეს ეს მნიშვნელობა.

ამასობაში, საქართველოშიც აღორძინდა კულტურული საქმიანობა. ცარიზმის მძიმე რეჟიმის მიუხედავად, 30-იანი წლებისათვის უკვე მომწიფდნენ ახალი მეცნიერულ-ლიტერატურული ძალები, რომლებმაც თანდათანობით მოამზეს უბიბრტესობა და სათავეში ჩაუდგნენ ქართული კულტურის განვითარების საქმეს. როგორც ვნახავთ, სწორედ მათ წრეში ჩაისახა პირველად ალგალობრივი უმაღლესი განათლების მოთხოვნა, თბილისში უმაღლესი სასწავლებლის — უნივერსიტეტის გახსნის იდეა.

• • •

მეცნიერების ამა თუ იმ დარგის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა საქრობებს საქართველოში რუსეთის მთავრობაც გრძნობდა და იძულებული იყო ეზრუნა მათ მომზადებაზე. რუსეთის მმართველობის საქართველოში ესპაირობოდა ექიმები, ეკონომისტები, გეოლოგები, საზაბოლის მკოედნნი, აგრონომები, ტობოგრაფები, ინჟინრები და სხვა სპეციალისტის ხალხი. ეს მოთხოვნილება მზაბის კოლონიური ათვისების ინტერესებში წარმოშევა. მთავრობას სურდა სკოლბოდა საქართველოს ეკონომიური შესაძლებლობანი; მათი გამოყენების გზები და საშუალებები. მთავრობას სურდა გაეუმჯობესებინა მმართველობის სისტემა, მოეწესრიგებინა საზაბოლო მკურნეობა, განეხორციელებინა ქართველი ხალხის რუსიფიკირება, ყოველივე ეს მოთხოვდა კვალიფიკირ მონელებთა დიდ არმისს. საქრეთიდან სპეციალისტების მოწვევამ არ გა-

მოიღო სასურველი შედეგი. ეს იმიტომ, რომ ჯერ ერთი, თვით რუსეთიც არ იყო ამ დროს მდიდარი სათანადო კადრებით, რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა მიერ მომზადებული სპეციალისტები მთლიანად რუსეთის შიდა გუბერნიების მოთხოვნაზე იყვნენ დაკმაყოფილებდნენ, შორეულ კავკასიაში სამხარისხ ბევრად გაუზრდობდა ამ „სამხარისხის ციმბირში“ ნიჭიერი და მომზადებული სპეციალისტები უხალისოდ მოდიოდნენ, განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ მესამედში, როცა მხარე ჯერ კიდევ გახვეწული იყო მძიმე ბრძოლებით ქარცხცხში. კავკასიაში გადმოსახლება მაშინ სასწავლის ზომადაც კი იყო მიჩნეული. ამიტომ იყო, რომ მეფის მთავრობამ კავკასიაში გამოგზავნილ მოსკოლეთათვის სავანეებო პრივილეგიები დააწესა და წლიდან წლამდე ზრდიდა ამ პრივილეგიების. მაგრამ ამან საჭმის ვერ უშველა. კავკასიაში განიდიდა კვალიფიციურ მოხელეთა „შამშოლს“ და მთავარმართებლები სასტიკმეტრად აწუხებდნენ ცენტრალურ მთავრობას თხოვნით, გამოგზავნათ კავკასიაში სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, კავკასიის ადგილობრივი მმართველობა იწყებს ზრუნვას სპეციალისტთა მომზადებაზე.

ჯერ კიდევ 1804 წელს საქართველოს მთავარმართებელი პ. ციციანოვი თხოვდა ნებართვას სახელმწიფო ხარჯზე გაეგზავნა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში 8-12 ადგილობრივი ახალგაზრდა. ეს ბირები ძირითადად მოსკოვის უნივერსიტეტში (მის ბაშაიონაქში) უნდა გაგზავნილიყვნენ. პ. ციციანოვის აზრით, სათანადო კანდიდატურების შერჩევა შესაძლებელი იქნებოდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოსწავლეთაგან. რუსეთში გაგზავნილთა შენახვა ახვევ სასწავლებლის ხარჯით უნდა მოემხდარიყო. ამისათვის მთავარმართებელმა სასწავლებლისათვის წლიურად განკუთვნილი 10.000 მანეთიდან გამოჰყო 2.200 მანეთი. მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

1805 წელს პ. ციციანოვმა მოითხოვა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთება. საამისო ნებართვა დაეკანონებო მოვიდა, 1806 წელს, როცა ციციანოვი ცოცხალი აღარ იყო. კავკასიის ახალმა მთავარმართებელმა გენ. გუდოვიჩმა უყურადღებოდ დატოვა მთავრობის მოწერილობა. კაცმა რომ თქვას, ასეც უნდა მოემხდარიყო. არც პედაგოგთა კადრები, არც მოსწავლეთა კონტინგენტი, არც მატერიალური პირობები არ იყო საიმისოდ, რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთებულიყო. მთავრობას ამ მხრივ არაერთიანი ღონისძიება არ ვაუხორციელებია.

1817 წელს, როგორც ცნობილია, გაიხსნა თბილისის სასწავლებლის სემინარია. სემინარიის კურსდამთავრებულთა უფლება ეძლეოდათ თ-

ვისუფალო მსმენელბად შესულიყვნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ეს უწყვეტად მიმდინებში ბევრს ნიშნავდა. სწორედ ამ უწყვეტობისთაგანგა გამოჩენილმა ქართველმა მოაზროვნემ და საზოგადო მოღვაწემ სოლომონ დოდამ-ვილიამ (1805-1836), რომელმაც მიაღო უმაღლესი განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე და სამოღვაწეო ასპარეზზე ევროპული კონდიტ აღჭურვილი გამოვიდა.

1819 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი ექვეყანაშია გახდა და მისი პროგრამა საგიმნაზიო კურსს დღესდღეობდა, 1830 წელს კი სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა. გიმნაზიის კურსდამთავრებულებს თითქოს გზა გაუხსნათ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში-საყენ, მაგრამ სწორედ ამ მომენტში მეფის მთავრობამ სავანეებო ზომებით შეზღუდა კავკასიელი ახალგაზრდებისათვის უმაღლესში სწავლის ვაგარელების შესაძლებლობა. 1829 წლის სასწავლო დებულება არ თვალისწინებდა საქართველოს სოფალო სასწავლებლებში ახალგაზრდობის მომზადების უნივერსიტეტში სწავლის ვაგარელებლად; თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთებასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებაში სავანეებოდ იყო აღნიშნული, რომ გიმნაზიის მიზანს შეადგენდა ახალგაზრდობის მომზადება სახელმწიფო სამსახურისათვის და არა საუნივერსიტეტოდ.

მთავრობის ასეთი შემორჩალება უმაღლესი კვალიფიციაციის კადრების მომზადების საკითხში დროებითი აღმოჩნდა. ეს ის ხანა იყო, როცა ირანთან და ოსმალეთთან ომების ძლიერმახობილად დამთავრების შემდეგ რუსეთის შიდაგუბერნიებიდან მოხელეები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები თითქოს უფრო მეტი ხალხით მოდიოდნენ ამიერკავკასიაში და მხარის მოთხოვნაზე ამ მხრივ ერთხანს დაკმაყოფილებულ იქნა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ცხოვრება წინ მიდიოდა. 30-იან წლებში ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციული მმართველობის გარდაქმნის ხაზით, მთავრობა აზორციელებს დიდ ღონისძიებებს, რომელთა მიზანი იყო ამ მხარის დაბლოკება და შერწყმა პეტროპოლისთან. მმართველობაში შემოირჩინა ადგილობრივი თავისებურებებს მოსაზრა და საერთო-საიმპერატორი მმართველობის შემოღება. ამ გარდაქმნათა (და ძიებათა) პროცესში კვლავ საგრძნობი ვახდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, რუსეთიდან ჩამოსული მოხელეები ვეღარ აკმაყოფილებდნენ მხარის ვაზრდილ მოთხოვნილებებს და 1835 წელს მთავრობა იძულებული გახდა შეეცავა 1829 წლის სასწავლო დებულება. ახალი დებულებით უკვე გათვალისწინებული იყო ადგილობრივთაგან ახალგაზრდა კურსდამ-

თავრებულების გაგზავნა სახელმწიფო ხარჯზე რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

• • •

XIX საუკუნის 30-იან წლებში ქართველი ახალგაზრდების უმაღლესი განათლების საკითხი დაიყენეს ქართველი ხალხის მოწინავე შვილებმა, ე. წ. ოცდათორმეტაინელებმა. სოლომონ დოდაშვილმა პეტერბურგში, ქართველ მოღვაწეთა წრეში განმანათლებლური და განმთავისუფლებელი იდეები შეითვისა. 1832 წლის შეთქმულებაში მან მოწინავე, დემოკრატიული ფრთა ჩამოაყალიბა და თავის თანამოზარეებთან — სოლომონ რაზმაძესთან, ზაალ ავთანდილაშვილთან, დიმიტრი ყოფიანთან და სხვებთან ერთად ქართული ეროვნულ-განმთავისუფლებელი იდეოლოგიის შემუშავება დაიწყო. მათ ნაზარეში ჩვენ ვხვდებით, როგორც ეროვნულ-დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ეროვნული კულტურის დაცვის იდეებს, ასევე სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის, ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ შეხედულებებს. სოციალური უთანასწორობის მოსპობის, ხალხის ეროვნული თავისუფლების მოპოვების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად ისინი განათლებას მიიჩნევდნენ. ქართველი ოცდათორმეტაინელები (იველისხმება 1832 წლის შეთქმულების ზემოხსენებული მოწინავე, დემოკრატიული ფრთა) განმანათლებლები იყვნენ. განათლების ასეთ, საზოგადოებრივად გამოთანასწოებელ ფუნქციასე მსჯელობას მათ ნაწერებში არაერთგან ვხვდებით. „აწ ზედმოწევნით ჰსენეს მემშაშულთა ჩვენთა — წერდა ს. დოდაშვილი თავის ეტრანალში: „სალიტრატურთონი ნაწილთი ტფილისის უწყებათთან“ — რომელ უკეთეს განათლებულ იყენენ, მიაღწევენ უმაღლესს ხარისხამდე ბედნიერებისა, ამის გამო მიიტყვენ მის საშუალობისადმი, რომელიც (ე. ი. განათლება — შ. ხ.) აწარმოებს აღვავლებას სამშობლოსა ჩვენისა“. განათლების შედეგად, ს. დოდაშვილის სიტყვით: „უოველი წოდება, ყოველი მდგომარეობა უნდა მოელოდეს, რომელ მათ ეყოლებათ კაცობრუკვატენი, სარწმუნონი და ერთგულნი თანამეზროტენი, შემწენი და მფარველნი“. განათლება — წერს შემდეგ იგი — არს უმეტრკაცენი და უსაბამოდო საფუძველი კეთილმოყვარეობისა ყოველისა საზოგადოებისა“, „სწავლასა შინა დიდ კაცსა და მცირესა ერთნი და იგივენი არიან“.

ეს განმანათლებლური თვალსაზრისი ქართველ ოცდათორმეტაინელებს სრული უკავშირებით უკარნახებდა ეფექტით საქართველოში უმაღლესი სწავლების დარჩევასზე, მაღალკვალიფიკაციური სპეციალისტების მომზადებაზე ისინი აღიარებდნენ რუსეთში ქართველი ახალგაზრდების გაგზავნის დიდ მნიშვნელობას, ვინაიდან იქ, მათი სიტყვით, „საყვარელნი მე-

მამულენი ჩვენნი იქიან განათლებასა და მდიდრდებნი ცნობათა მიერ“. შეთქმულებს შორის არა ერთხელ გამოითქვა აზრს შეცვროვნებით ფული და თავისი ხარჯით ვაჭვანავნათნიგირი ქართველი ახალგაზრდები უნივერსიტეტში სასწავლებლად. მაგრამ ეს მათ არ მიაჩნდათ საკმარად და, აი, მათ პირველად XIX საუკუნეში, ცარიზმის ბატონობის მძიმე პირობებში, წამოაყენეს საქართველოში, კერძოდ, თბილისში უნივერსიტეტის გახსნის მოთხოვნა. 1832 წლის ზაფხულის დამდეგს ელიზბარ ერისთავის სახლში ერთ-ერთ შეკრებაზე, ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენებით, შეთქმულთ გამოითქვათ აზრი, რომ აქართველი ახალგაზრდობის წარმატებით და სწრაფად განათლებისათვის მთავრობამ ტფილისში უნდა დააარსოს უნივერსიტეტი (ხაზგამს ზენია — შ. ხ.), სამხედრო კობუსები და სხვა სასწავლებლები“.

ამრიგად, საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების იდეა პირველად XIX საუკუნეში ჩვენმა გამოჩენილმა მოღვაწეებმა — ოცდათორმეტაინელებმა წამოაყენეს და ეს იდეა ეროვნულ-განმანათავისუფლებელი ბრძოლის მიზნებს დაეკავშირეს. ამიტომაც ძვირფასაა მათ საამაოთა ეს იდეა ჩვენი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობაში. სანტერესთა შეწინაშნით, რომ ეს იდეა ჩვენმა განმანათავისუფლებლებმა ისეთ დროს წამოაყენეს, როცა რუსეთის მთავრობამ ხელი აიღო ამ საკითხზე ზრუნვისაკენ, როცა იგი დაადგა უმაღლესი განათლებისადმი ქართველი ახალგაზრდობის მისწრაფების ხელოვნურად შეზღუდვის პოლიტიკას. ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ოცდათორმეტაინელებს ამ ბატონოთულ თათხრობას.

შეიძლება ვეკითხოთ: როგორი უნივერსიტეტის გახსნა სურდათ ოცდათორმეტაინელებს? ქართულს თუ რუსულს? სამწუხაროდ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელია მასალების უქონლობის გამო. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ოცდათორმეტაინელებს ბატონობას, მათ მისწრაფებას „განაღვიძონ (ქართველთა) შორის სურვილი და სიყვარული ბუნებთისა ენისა და სიტყვიერებისა“ (ს. დოდაშვილი), იბრძოდნენ „ენის გამდიდრებისათვის, მამულის დაღებვისათვის და გონების განათლებისათვის“, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი ქართულ უნივერსიტეტის გახსნაზე ოცნებობდნენ.

• • •

როგორც აღნიშნეთ, 1835 წლიდან მთავრობა იძულებული გახდა კვლავ უხსენა თავისი ხარჯით რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მაღალკვალიფიკაციური კადრების მომზადებაზე. ამ დროიდან უოველწლოთრად რამდენიმე კაცსაივლი ახალგაზრდა იგზავნებოდა რუსეთში. არის ცნობა, რომ 1839 წელს

მთავარმართებელ გოლოვინს გამოუთქვამს აზრი კავკასიაში ცალკე უმალესი სასწავლებლის დაარსების მიზანშეწონილებას შესახებ, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია.

იმვე ხანებში მთავრობამ საგანგებოდ დაავალა პეტერბურგში ჩამოყალიბებულ კავკასიის კომიტეტს თვალყური ედევნებინა რუსეთის უმალეს სასწავლებლებში გაზაფხული კავკასიელების სწავლისა და ყოფიქცევისათვის. კომიტეტს მიეცა სპეციალური თანხა კავკასიელი სტუდენტებისათვის სტიპენდიების დასანაშნაად. 1843 წელს კავკასიის კომიტეტმა იმსჯელა ამ საკითხზე და შეიმუშავა სათანადო ღონისძიებები.

ამ სტდომანზე გადაწყდა გეფართოვებინათ კავკასიელ სტიპენდიანტთა რიცხვი, გაეზარდათ მათი საერთო რაოდენობა, 1844 წელს კავკასიელი ახალგაზრდები გაიგზავნენ მოსკოვის უნივერსიტეტში, ლაზარევის ინსტიტუტში, სამაქნაო ინსტიტუტში, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, პეტერბურგის გზათა ინჟინრების ინსტიტუტში, სატყეო და სამიწათა ინსტიტუტში, სააღმშენებლო სასწავლებელში, სამართლისმცოდნეობის სასწავლებელში და სხვა უმალეს სასწავლებლებში. მომდევნო წლებში ახალგაზრდები იგზავნებოდნენ, აგრეთვე, პეტერბურგის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და კოპერნიკულ ინსტიტუტში.

მთავრობის მოხელეთა იმდროინდელ მიწერ-მოწერაში ხშირადაა საუბარი კავკასიელი სტუდენტების სუსტი წარმატების შესახებ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ რუსეთში გასაგზავნი ახალგაზრდების შერჩევა ხდებოდა არა მთლიან ნიჭისა და უნარის მიხედვით, არამედ მათი მალაი წოდებრივი წარმოშობის გათვალისწინებით.

სხვათა შორის, 1845-1848 წლებში, როცა მზიდდებოდა ახალი დებულება კავკასიის სასწავლო ოლქის შესახებ, პროექტში შეტანილი იყო თბილისში უნივერსიტეტის გახსნის მოთხოვნა. მაგრამ შემდეგ მ. ვორონცოვმა, მიიღო რა მოსკოვის სასწავლო ოლქის მზრუნველსაგან ცნობები კავკასიელი სტუდენტების სუსტი მოზადების შესახებ, ეს მოთხოვნა ამოიღო დებულებიდან.

1857 წელს კავკასიის რუსულ მმართველობაში ერთბაშად კიდევ წამოიჭრა იდგილობრივი უმალესი სასწავლებლის შექმნის აზრი. ამჯერად, მეფისმაცალმა ა. ი. ბარათინსკიმ მითითება მოსცა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ბარონ ა. ნიკოლაის შევდგინა იმერკავკასიაში ლიცეუმის გახსნას პროექტი. ასეთი პროექტი შედგა კიდევ და დასამტკიცებლად გაიგზავნა პეტერბურგში.

ლიცეუმები, საერთოდ, საშუალო სასწავლებლებს წარმოადგენდნენ, თუმცა რუსეთში ზოგიერთ უმალესი ტიპის სასწავლებელსაც ლიცე-

უმს უწოდებდნენ (მაგ., იერალიელ ლიცეუმს). თბილისში დაარსებული ლიცეუმი, პროექტის ავტორის აზრით, უმალესნი ტიპის სასწავლებელი უნდა ყოფილიყო, ინაშინაში მისი სიტყვით, ამერკავკასიაში უმალესი განათლებისადმი მისწრაფება ერთობ ძლიერია და „ყოველდღიურად მატულობს იმათი რიცხვი, ვინც ცდილობს მიიღოს უმალესი განათლება უნივერსიტეტში“. მაგრამ ახალგაზრდების საუნივერსიტეტო განათლება (ე. ი. ჰუმანიტარული ზოგადი განათლება) მთავრობას არ აწყობდა და ამით აიხსნება, რომ მან უფრო პრაქტიკული (გამოყენებითი) ხასიათის უმალესი სასწავლებლის (ლიცეუმის) გახსნა დასაბამა მიზნად და არა უნივერსიტეტისა. ეს გამომდინარეობდა მისი სავრთოს-საგანმანათლებლო პოლიტიკიდან, ქვეყნის მართვა-გამკვიდრების პრაქტიკული ინტერესებიდან. ლიცეუმი სრულყოფილი უმალესი სასწავლებელი ვერ იქნებოდა, სწავლების ვიდა იქ სამწლიანი უნდა ყოფილიყო. ლიცეუმის პროექტი ითვალისწინებდა ორი ფაქტორების: იურიდიულ-პოლიტიკურისა და მათემატიკურის და ერთი განყოფილების — სამხედრო განყოფილების — გახსნას. ლიცეუმს უნდა მოეზადებინა იურისტები, ეკონომისტები, აგრონომები, ტექნიკოსები და სხვა ახალგაზრდები დაბალი სპეციალისტები. პროექტის მასწავლებლების მოწვევა ივარაუდებოდა რუსეთიდან. ლიცეუმს ეგნებოდა ექსტერნი განყოფილება და პანსიონი 60 კაცისათვის. სწავლის ქირა წლიურად 25 მანეთს უდრიდა. პანსიონით სარგებლობისათვის 250 მანეთი იყო გადასახდელი.

როგორც ვხედავთ, მთავრობა გვერდს უვლდა ისეთი სპეციალისტების მოზადებას, რომლებიც ყველაზე მეტად სჭირდებოდა იდგილობრივ ხალხებს, ისტორიის, ფილოლოგიის და ლიტერატურის სპეციალისტებისას, რომელთაც შეეძლოთ საკუთარი ქვეყნის წარსული, ენა და ლიტერატურა შეესწავლათ, ხალხის ეროვნული შეგნების გამოყენებულზე ერთნაო, სამსახური გაეწიათ ეროვნულ-გამანათლებულ ფუნქციის მოძრაობის გაძლიერებისათვის.

ლიცეუმის პროექტი არ იქნა მოწონებული, კერძოდ, მიუღებლად სცნეს სამხედრო განყოფილების გახსნა ამ საშუალო დაწესებულებაში და იქ მალაი წოდების ოფიცერთა მოზადება.

პროექტი გადააკეთეს. სამხედრო განყოფილების გახსნაზე უარი თქვეს. იერალიელ-პოლიტიკური ფაქტობრივი შეცვალეს იურიდიული, მათემატიკური ფაქტობრივი ანცველ შეიტანეს — კომერციული (ანუ ადმინისტრაციული ე. ი. ნარევი ადმინისტრაციული სამართლის, ეკონომიური, სტატისტიკური და ფინანსური დარგებისა). პროექტი კიდევ უფრო დასცალდა მხარის ინტერესებასა და პირველი რაგვის მოთხოვნილებებს. ბოლოს უმალესმა

მთავრობამ მაინც უარი სთქვა ლიცენზიის გახსნაზე, მაგრამ სრულიად თავისებური მოტივით: მისი აზრით მხარე ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის. სინამდვილეში კი მიზეზი, რა თქმა უნდა, სულ სხვა იყო.

ამ დროისთვის უმაღლესი სასწავლებლები რუსეთში თანდათანობით იწყებენ გადაქცევას თავისუფალი აზრების, პოლიტიკური აზრის გამოფხზულების და ოპოზიციური გეგმული უფრო განწყობილების კერებად, რაც რუსეთის მმართველი წრეების დიდ შემოფთხებას იწვევდა. იცვლებოდა მთავრობის კურსი უმაღლესი სასწავლებლებთან დამოკიდებულების საკითხში — პროტექციონიზმის პოლიტიკიდან მთავრობა გადადიოდა მეზღუდვასა და დევნის პოლიტიკაზე და ასეთ პირობებში იგი, ცხადია, თავს შეიკავებდა ამოურყავსათაში უმაღლესი სასწავლებლის გახსნისაგან.

ამრიგად, ვასილი სუცუნის 50-იანი წლებს დამლევს კავასიაში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის კიდევ ერთი უდა ამოთავრდა უშედეგოდ.

• • •

XIX საუკუნის 30-იან წლებში პეტერბურგში, მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბებას იწყებს ქართველოლოგიური კვლევა-ძიების კერა. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში ქართველოლოგიური და არმენოლოგიური მუშაობის განვითარების შესახებ საკითხი წამოჭრა განათლების მინისტრმა ვრახმა ს. უჯაროვამ ამ საკითხის დაყენება ნაჯარნაძევი იყო ევროპაში შექმნილი საერთო ვითარებით. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ამ დროისათვის უკვე არსებობდა არმენოლოგიური და ქართველოლოგიური ძიების კერები, ვერძობის ისორიო საზოგადოებები და ბაბლიური საზოგადოებები უკვე აწარმოებდნენ მუშაობას ამ მიმართულებით. რუსეთს კი, როგორც საქართველოსთან და სომხეთთან უფრო ახლოს მყოფ და სახელმწიფოებრივად გაერთიანებულ ქვეყანას, ცხადია, არ შეეძლო გულბელადარეფილი დარჩენილყოფა და ევროპელებისათვის დაეთმო პირველობა კვლევა-ძიებათა ამ ასპარეზზე. მათ უმეტეს, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესები, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების პერსპექტივები და სხვა ამგვარი დროს მიზეზები განუხრავლად მოითხოვდნენ კავასიის ქვეყნებისა და ხალხების ახლო გაცნობას, მათი ენების, ისტორიის და კულტურის მეცნიერულ შესწავლას.

1837 წელს, ს. უჯაროვის მოთხოვნით, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში გაიხსნა ადგილი ქართველოლოგიასა და არმენოლოგიასში. ამ დარგების მეცნიერ-მსოფლიანისტი რუსეთში ეერ აღმოაჩინეს და სამუშაოდ მოიწვიეს გამოჩენილი ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი მარი ფელსინიტი ბროსე, რომელიც

იმავე წელს გადმოსახლდა პეტერბურგში და არჩეულ იქნა აკადემიის შემადგენლობაში.

მარი ბროსეს ქართველოლოგიური მუშაობაში ჯერ კიდევ რუსეთში გადმოსახლებამდე ხელმძღვანელობას უწევდა გამოჩენილი ქართველო მეცნიერი ბატონიშვილი თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846 წ.), თავის შრავალრიცხოვან წერილებში ბროსესადმი თეიმურაზმა გამოუცხადა ქართველოლოგიის არა ერთი კარდინალური საკითხი, აუხსნა და განუმარტა ბროსეს ქართული ქრონოლოგიის, ნუმისმატიკის, სტრავსტიკის, ეპიგრაფიკის, წყაროთმცოდნეობის, ლიტერატურის ისტორიის და ქართული ენის ძირითადი პრობლემები. მანვე მიაწოდა ბროსეს პირველხარისხიანი ისტორიული მასალები, რომელთაც ეს უკანასკნელი ფართოდ იყენებდა ჯერ კიდევ პარიზში ყოფნის დროს დაწერილ ნაშრომებში. თეიმურაზმა დაწერა ნაჩვენებები შუა საუკუნეების, საქართველოს ისტორიის ცალკულ საკითხებზე (ვიორგის სააკისის, ქეთევან დედოფლის, დავით ბატონიშვილის მოღვაწეობაზე), დაწერა საფუძვლიანი გამოკვლევა საქართველოს ისტორიის ძველ პერიოდზე, რომელიც გამოიცა პეტერბურგში მისი გარდაცვალების შემდეგ 1848 წელს სათაურით: „ისტორია დაწვეებითან ივერთიას ე. ი. ვიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველო“ (ნაშრომი გამოვიდა დ. ჩუბინაშვილის რედაქტორობით). ეს ნაშრომი იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მეტად თვალსაჩინო ძეგლია. თეიმურაზმა აქ აღადგინა და განავრცო დიდი ქართული ისტორიკოსის ეახუმბტი ბატონიშვილის მიერ წამოწყებული საქმი: „ქართლის ცხოვრების“ შევსება-შესწორების, სხვა წყაროებით ჩვენი ისტორიის შემოწმების და გამდიდრების საქმი. წყაროების ფართო წრე, მათი კრიტიკული გამოყენება, რიგი საინტერესო დავიკრებები და მოსაზრებები ძველი საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხებზე (საგვარდულო საზოგადოების დახასიათება, ქართველთა ჩამომავლობის საკითხი, წარმართული სარწმუნოების ანალიზი, მნიშვნელოვანი მოვლენების თარიღების გამოწვევა და სხვა) თავისთავად მეტყველებენ თეიმურაზ ბაგრატიონის ამ ნაშრომის მაღალ დონეებზე. ამ ნაშრომით იწყება ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიოგრაფიაში, ეტაპი, რომელიც აგრძელებს ეახუმბტის დაწყებულ საქმეს და, თავის მხრივ, ნიადაგს აწარმოებს კრიტიკული ისტორიოგრაფიის უფრო მაღალი საფეხურისათვის, მარი ბროსეს მოღვაწეობისათვის.

მარი ბროსემ (1802-1880) პეტერბურგის ქართველოლოგიური კერა მსოფლიოში უძლიერესად აქცია. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის პერიოდში მან შექმნა ორნახევარ ასეულზე მეტი ნაშრომი ქართველოლოგიისა და არმენოლოგიის დარგში. მან გამოაქვე-

ნა „ქართლის ცხოვრება“ და ქართული მატინეების კრებული, თარგმნი იზანი ფრანგულად, კრიტიკულად გაიხილა და შეაფასა „ქართლის ცხოვრება“, შვეიცრია და გამოაქვეყნა უამრავი ისტორიული მასალა ქართული მატინეების შესახებ და შესამოწმებლად, დაწერა ნარკვევები ჩვენი ქვეყნის ისტორიის მრავალ საკითხზე. მ. ბროსემ წინ წასწია ფეოდალური ქართული საზოგადოების შინაგანი მდგომარეობის შესწავლის საქმე, მის მადიარ მეცნიერულ მემკვიდრეობას ქართული ისტორიოგრაფია გადაუხვდა ახალი, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის საფეხურზე.

1839-1840 წლებში ბროსემ ჯერ აკადემიაში, ხოლო შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციების კურსი საქართველოს ისტორიაში, ქართული ენისა და კულტურის შესახებ.

ბროსეს მხარდამხარ პეტერბურგში მუშაობდა ცნობილი ქართველი ლექსკოლოგი და ისტორიკოსი დავით ჩუბინაშვილი (1813-1891), რომელმაც, მ. ბროსესთან ერთად, გაიხილა ქართული ისტორიული მატინეების გამოცემის მძიმე ტვირთი და რედაქტორობა გაუწია XVIII საუკუნის ქართულ მატინეთა შემცველ ტომს. შეადგინა და გამოაქვეყნა ქართული ლიტერატურის ორტომიანი ქრესტომათია, შეადგინა ქართული ენის, რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული-ფრანგული და სხვა ლექსიკონები. მასვე ეკუთვნის არაერთი საინტერესო გამოკვლევა ქართული ხალხის უძველესი ისტორიის საკითხებზე.

1845 წელს, როცა პეტერბურგის უნივერსიტეტში გაიხსნა ქართული ენის კათედრა (რომელიც შემდეგ, 60-იან წლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრად გადაკეთდა), მას პირველ ზღვამდგენელად დაინიშნა პროფესორი დავით ჩუბინაშვილი.

პეტერბურგის ქართველოლოგიურ კერას დადი ლაქილი მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე. მარტო იმის აღნიშვნაც კმარა, რომ იქ 1841 წელს დაიბეჭდა უცვლადი შოთა რუსთაველის პოემა „ეფთხისტყაოსანი“, შეიქმნა ქართული ლიტერატურის ქრესტომათიები, გამოქვეყნდა ისტორიული მატინეები.

ქართველმა მეცნიერებმა იმ ხანებში სხვა ღირებვებიც გამოიჩინეს თავი. 40-იან წლებში რუსეთში მოღვაწეობდა გამოჩენილი ფიზიკოსი, ჩვენი თანამემამულე პეტერ როზნანის ძე ბაგრატიონი (1818-1876), რომელმაც დამუშავა ოქროს მოპოვების ახალი მეთოდი (ციანიურების წესი), მიაგნო ახალ გალვანურ ელემენტებს, აღმოაჩინა ახალი მინერალი (ბაგრატიონიტი) და სხვა. იგი თანამშრომლობდა სახელგანთქმულ ფიზიკოს მ. გ. იაკობისთან.

ფრად გაითქვა სახელი გაბრიელ ქიქოძის ფსიქოლოგიურმა ნაშრომმა: «Основания

опытной психологии» (1856 წ.), რომელსაც სპეციალური რეცენზიითა და მოწონებით გამოემართა ნ. ა. დობროლუბოვი. მრეზნედავად იდეალისტური თეალანზრისისა, ვ. ქსქიძის ნაშრომი გამოირჩეოდა ფსიქოლოგიური საკითხების ღრმა მეცნიერული დაყენებით და საფუძვლიანი განხილვით, გადმოცემის ორიგინალური მეთოდით, ფაქტური მასალის სიუბეით.

XIX საუკუნის 20-30-იანი წლებისათვის მეცნიერული მუშაობა გამოცოცლებულია თვით საქართველოშიც აქ, პირველ რიგში, უნდა დაეკასხელოთ ნიკო დადიანის (1780-1830) ერეკლე ისტორიული ნაშრომი „ქართველთა ცხოვრება“. ეს ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიის ღირსესანიშნავი ძეგლია. ნ. დადიანი აგრძელებს ძველ ქართულ მეშტატანეთა საუკეთესო ტრადიციებს, კრიტიკულად გადმოსცემს ჩვენი ქვეყნის ძველ თავგადასავალს (ერთიანობის, შთლიანობის თეალანზრისით), ქუშმარტებისა და უტყუარობის ნიშნით აღწერს მის დროს დასავლეთ საქართველოში მომხდარ მოვლენებს. XIX საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს იტორიისათვის ნ. დადიანის ნაშრომს პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

ნ. დადიანს ეკუთვნის, აგრეთვე, ფრად საინტერესო ორიდოთელ ისტორიული ძეგლი „დასტურება“ (1818 წ.).

1832 წელს პირველ ქართულ ჟურნალში სოლომონ ლოდაშვილი აქვეყნებს უაღრესად საინტერესო წერალებს ჩვენი ქვეყნის ლიტერატურის, ისტორიის და, საერთოდ, კულტურის საკითხებზე. განსაკუთრებით გამოირჩევა „ქართული ლიტერატურის ისტორიის შიშობილება“, რომელიც საკითხის ღრმა ცოდნით, ქართული შერლობისაში სიყვარულითა და პატრიოტული სულისკვეთებითაა გაფლნოლი. ამავე ხანებში იწყებს მოღვაწეობას დიდად განათლებული და ეროდირებული ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი (1809-1875), რომელიც ხელს უკიდებს საქართველოს ისტორიულ ძეგლებს აღწერას და შესწავლას, ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს გამოქვეყნებას, მისი მრავალრიცხოვანი ნაშრომები ამ დარგში დიდად უწყობდნენ ხელს საქართველოს ისტორიის დოკუმენტურ ბაზის გაფართოებასა და განმტკიცებას.

საქართველოს სიძველეთა შესწავლის საქმეში ნაება ნიკოლოზ ჩუბინაშვილი (1790-1847), რომელმაც ერთმა პირველთაგანმა განახორციელა არქეოლოგიური მოგზაურობანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეთში. მანვე დიდად ღვაწი დასდო ქართული ლექსიკონების შექმნა-შემუშავების საქმეს.

40-50-იან წლებში საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირთა წრე განუტრედალ ფა-

როდღედა. საქართველოს სიძველეთა აღწერას და შესწავლას ხელს ჰყიდებენ ქართული დირქის ინტელიგენციის წარმომადგენლები: დ. მელიქიძე, მ. ბერიძე, ა. ჭუბინაძე, გ. ბარბაქაძე, ბარბოლოძე და სხვები.

როგორც ვხედავთ, საქართველოშიც ისევე, როგორც პეტერბურგში, ქართველ მეცნიერთა მუშაობის ასპარეზი ამ პერიოდში უზირატესად ისტორიულ-ლიტერატურულია, ეს იყო ბუნებრივი შედეგი ქართველი ხალხის პოლიტიკური მდგომარეობისა იმ ხანებში. ეს იყო ქართველი ხალხის თავისებური პასუხი ეროვნულ შევიწროებაზე, მისი ეროვნული კულტურის უკუღმობილყოფაზე ცარიზმის მოხელეების მხრივ.

ამრიგად, XIX საუკუნის 60-იან წლებამდე საქართველოში უმადლესი განათლების, მეცნიერული მუშაობის და უმადლესი სასწავლებლის დაარსების საკითხში ორ ტენდენციას ვხედავთ: ერთი მხრივ, რუსეთის მთავრობა დანტრერესებულა საქართველოსათვის მოხელეთა უმადლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადებით, რაც მის სკოლებსა ქვეყნის მმართველობის სისტემის გაუმჯობესებისათვის, ქვეყნის კოლონიურად უკეთ ათვისებისათვის, თავისი მიზნების და ინტერესების უკეთ დაკმაყოფილებისათვის.

მეორე მხრე, ჩვენ ვხედავთ ქართველი ხალხის მოწინავე შეილებების დაუცხრომელ ზრუნვას ქართული მეცნიერული აზროვნების, ქართული კულტურის განვითარებაზე, ზრუნვას კულტურისა და მეცნიერების მუშაობა ახალი კადრების მომზადებასა და აღზრდაზე. ეს მოღვაწეობა იყენებდა საკითხს თბილისის უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობის შესახებ და ამ საკითხს მჭიდროდ უკავშირებენ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლისა და გაძლიერების ამოცანებს. მათი მოღვაწეობა თანდათანობით ამზადებს საფუძველს საქართველოში უმადლესი სასწავლებლის და მეცნიერული კვლევა-ძიების ცენტრის დაარსებისათვის.

ეს ორი ტენდენცია, ორი მიმართულება, კიდევ უფრო მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა საქართველოში ახალ საფეხურზე აღის სოციალ-ეკონომიური ურთიერთობა, ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მწვავედება კლასობრივი და იდეოლოგიური ბრძოლა.

* * *

XIX საუკუნის 60-70-იანი წლები საქართველოს ისტორიაში ბურჟუაზიული გარდაქმნების ხანაა. ბატონყმობის გაუქმებამ და სხვა ბურჟუაზიულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად შეუცვალეს სახე ჩვენ ქვეყანას. ეს ხანა ჩვენს „მნათობი“, 9.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღნიშნა ახალი იდეური მიმართულებების, თერგდალეულთა, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის, ნაშრომობების. ეს იყო ახალი ეტაპი ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ახალი იფიზიში ცარიზმისა და ექსპლოატორული წყობილების წინააღმდეგ. ეს იდეოლოგია აღმოცენდა საქართველოს მშრომელი მოსახლეობის რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების საფუძველზე და სწორედ ამ მშრომელი მოსახლეობის ინტერესებს გამოხატავდა. თერგდალეულები თავიანთი იდეალების განხორციელების იმედებს ხალხის ფართო მასებზე ამყარებდნენ და ყველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველმხრივ დაკარდინებულ გარდაქმნას მოითხოვდნენ. მთელი მათი მოღვაწეობა, მათი ნაზრები და იდეები ჰემანიზმისა და განმანათლებლობის, რევოლუციური დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. თერგდალეულები ქართველი ხალხის ნამდვილი გულშემოკავებები და მისი ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლები იყვნენ.

თერგდალეულთა მოღვაწეობას უნივერსალური ხასითი ჰქონდა. არ არსებობდა არც ერთი საკუთრობრივ საზოგადოებრივი საკითხი, არ იყო ქართველი ხალხის ცხოვრების არც ერთი მხარე — არც ენა და ლიტერატურა, არც მეცნიერება და ხელოვნება, არც განათლების საქმე და არც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური თუ პოლიტიკური ცხოვრება, რომელიც თერგდალეულთა ყურადღებისა და ზრუნვის გარეშე დაჩვენდებოდა. ისინი არც ერთ ასპარეზს არ გაუბრბოდნენ და ყველგან თან მიჰქონდათ ხალხის განთივისუფლებებისათვის ბრძოლის ნაპერწკალი.

განათლების დარგში თერგდალეულებმა ახალი და მოწინავე იდეები წამოყვედნენ, ისინი იბრძოდნენ ხალხის ფართო მასების განათლებისათვის, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის მშობლიურ ნიდაგზე დაფუძნებისათვის. თერგდალეულები ჰდავებდნენ მოზარდი თაობის შრავალმობისა და პარპონიული აღზრდის აუცილებლობას, თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის გამოუმყავებს ქართველ ახალგაზრდობაში, ხალხის, სამშობლოს უანგარო სამსახურისათვის მუდამ მზადყოფნის აღზრდის მთავარი.

თერგდალეულთა იდეოლოგიიდან, მათი ბრძოლის პროგრამიდან ლოგიკურად გამოიძინარეობდა ჩვენს ქვეყანაში უმადლესი სასწავლებლის, უნივერსიტეტის დაარსების მოთხოვნა. როგორც ქვემოთ დავეინახეთ, მათი ეს მოთხოვნა ქართველი ხალხის სოციალური და ერო-

ენული განათვისუფლების ინტერესებს ემსახურებოდა.

60-იან წლებში საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების დაარსების საკითხი საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად იქცა. არსებობს ცნობა, რომ 1861 წელს ქუთაისში ჩასულ იმპერატორ ალექსანდრე მეორეს ქუთაისის გუბერნიის თავდაზნაურობამ სთხოვა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნა, მაგრამ იმპერატორმა ეს თხოვნა უუფრადღებოდ დასტოვა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 60-იან წლებშივე საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების იდეას მხარს უჭერდნენ და თანაუგრძობოდნენ რუსეთის მოწინავე ინტელექტუალებს მთავრობის წინაშე, მაგალითად, ვერთა მთავრობის მისჯილ უნივერსიტეტის პროფესორმა, ცნობილმა ისტორიკოსმა ნ. პ. პოგოდინმა, საქართველოში ყოფნის დროს, 1860 წელს, კავკასიის მთავრობას ა. ი. ბარიატინსკის წარუდგინა მოხსენებათი ბარათი თბილისში უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობის დასაბუთებით. მანვე შეადგინა ამ უნივერსიტეტის პროექტი. ნ. პოგოდინი იმორჩებოდა ქართველებისა და სომხების მდიდარ უმჯუღეს კულტურას, როგორც ამ ხალხებისათვის უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკმაო საფუძველი. მით უმეტეს, რომ, შეინიშნავდა ნ. პოგოდინი, უმაღლესი განათლება დღეს უკვე გადაქცეულია ყველა კულტურული ენის პირველი მოთხოვნილებების საგნად.

ნ. პოგოდინის პროექტი ითვალისწინებდა თავდაპირველად უნივერსიტეტის არასრული სახით შექმნას, მხოლოდ ზოგიერთი კათედრის დაარსებას და შემდეგში, სახსრების მიზეზით, ახალი კათედრების ჩამოყალიბების გზით, მის გაფართოებას. პროექტში დასახელებული იყო ეს კათედრები და ის პირები, რომლებიც, პროექტის ავტორის აზრით, გაუძლეველად კათედრების მუშაობას. ასეთები იყვნენ: პლ. იოსელიანი და დამირტი ბაქრაძე — საქართველოს ისტორიის დარგში, ივანოვი — სომხეთის ისტორიაში, ბარტოლომი — მუსულმანური აღმოსავლეთის ისტორიაში, ფადევი — კავკასიის ომების ისტორიაში, ვრაგორევი — რუსეთის ისტორიაში და ა. შ.

ნ. პოგოდინის ეს პროექტი მთავრობამ უუფრადღებოდ დასტოვა. კიდევ მეტი, რამდენიმე წლის შემდეგ კავკასიის ადგილობრივი მთავრობის ოფიციოზში, გაზეთ „Кавказ“-ში გამოქვეყნდა წერილი, რომელიც შეიცავდა თბილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების მიზანშეუწონლობის მტკიცებას. წერილის ავტორის აზრით, კავკასიაში ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული საფუძველი უნივერსიტეტის გახსნისათვის, არ იყო იმდენი საშუალო სასწავლებელი, რომ უმაღლესებისათვის საჭირო მსხენელი კონტინგენტი მომზადებულიყო. ავტორი

ამტყობდა, რომ საჭიროა ჯერ საშუალო განათლების საქმე მოგვარდეს, ვაჩხარდოს საშუალო სასწავლებელია რაოდენობა და შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნა. ამ მხრივ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დისკუსია უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხით. ეს იყო მთავრობის ოფიციალური თვალსაზრისი, უნივერსიტეტის დაარსებას საკითხითა მთავრობის უარყოფითი დამოკიდებულების თავისებურია დასაბუთება.

«Кавказ»-ის ამ წერილს პრესაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა. თერგდალეულები, ილქავეების მეთაურობით და უწყალოდ დედნენ ქართველი ხალხის ამ ერთ-ერთი სასიკეთესო მოთხოვნის დაცვის პოზიციებზე. გამოჩენილმა თერგდალეულმა გიორგი წერეთელმა რამდენიმე წერილი უძღვნა თბილისში უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის საკითხს და მისთვის ჰყველა სიღრმითა და მრავალმხრივობით გააშტა იგი.

გიორგი წერეთელი საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების საკითხს ფართო ისტორიული თვალსაზრისით უდგებოდა. იგი აღნიშნავდა, რომ რუსეთთან შეერთებამ ჩვენი ქვეყანა ევროპის დანუკვშირა. საუკუნის პირველ ნახევარში, სანამ კავკასიაში ომები მიმდინარებდა, წინა პლანზე სამხედრო-პოლიტიკური ამოცანები იდგა, რეფორმის შემდეგ კი დარბაზ შეიკვალა, ახალი ვითარება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს მოითხოვს. ამას სჭირდება უმაღლესი განათლება, უმაღლესი სასწავლებელი. შემდეგ, აქვე, გ. წერეთელი ქართველი ახალგაზრდებს რუსეთში სწავლის სანდლებზე მიუთითებს და დაეპირობით ამბობს, რომ უმაღლესი სასწავლებელი ადგილობრივ უნდა გაიხსნასო. როგორი უნდა იყოს ეს სასწავლებელი? სვამს კითხვას გიორგი წერეთელი ღია იქვე პასუხობს. ეს უნდა იყოს უნივერსიტეტი. ვერც ერთი ვიწრო-სპეციალური სასწავლებელი (საინჟინრო, ტექნიკური, სამედიცინო და ა. შ.) ვერ დააქაოფილებს ჩვენი მხარის, ჩვენი ხალხის მოთხოვნებს. ვიწრო სპეციალობის პირები, უყუთო მათთვის ადგილობრივ საქმე არ გამოიწიან, ადგილად წავლენ სხვაგან და საყოთარ სამშობლოს მოწყვებდნენ. სულ სხვაა უნივერსიტეტი — განაგრძობს გ. წერეთელი — იგი კაცს საზოგადო განათლებას აძლევს, საქმეს ზედიდან დასურბებს, „უნივერსიტეტი ზრდის ისეთ ახალგაზრდობას, რომელთაც სისხლში აქვს გამჭრადი საზოგადოების საკითხი წოდება. ის რვეულებების გონების საფუძვლიანი ადევნებს საზოგადოების საქმეს თვალს და სადაც ვასაჭირია იქ ეტანება“, კარგი უნივერსიტეტისათვის უმაღლესი კაცს ვერცერთი სასწავლებელი ვერ გაუხსნას გონებას და ვერ გააგებინებს ხალხის საჭიროებას და მოთხოვნილებას“. ამრიგად, შედარებით სპეციალურ უმაღლეს სასწავლებ-

ლებთან, უნივერსიტეტს ამჟამად უპირატესობა ენიჭება და ენიჭება სწორედ საქართველოს იმპერიული მღვდლობრობის შესაბამისად. საეკლესიო კვეყნის ცოდნა, მისი სიმდიდრის გამოყენება, ახალი დროის შესაფერისი საქმიანობა — აი, რა შედეგად მოქცევა ჩვენში უნივერსიტეტის დაარსებას. გ. წერეთელი წერდა: „უნივერსიტეტი გაიხსნა ჩვენში გონებით ცხოვრებას და ქვეყნის მოძრაობას; უნივერსიტეტის შემწეობით ჩვენი მეურნეობა, ჩვენი ვაჭრობა, ჩვენი საზოგადო ცხოვრება წინ წაიწედა; უნივერსიტეტის წყალობით ჩვენ გავიცნობდით ჩვენ თავს, ჩვენ შევიტყობდით — რამდენი სიბედობა, რამდენი სიუხვე მიუტოა ჩვენი ქვეყნისათვის ბუნებას და მისივე შეწევნით ამ სიბედობის გამოყენებას დავისწავლიდით. ერთ სიტყვით, ვერ ჩამოთვლის კაცი იმ სარგებლობას, რომელსაც ჩვენ უნივერსიტეტი მოგვცა — სინტერესთა აღიზნება, რომ გიორგი წერეთლის აზრით უნივერსიტეტი — „უნდა გაიხსნას ჩვენსავე ნიადაგზე“.

როგორც ვხედავთ, უნივერსიტეტის დაარსების მოთხოვნას აქ სადრეულად უდევს ქვეყნისა და ხალხის კონკრეტული სამსახურის იდეა და არა საერთოდ განათლების სურვილი. ქვეყნის ილორინება, ყველაზე და ყველა უბანზე, სადაც მას უჭირს — აი, უნივერსიტეტის მოთხოვნის მთავარი მიზანი. უნდა ვაღიაროთ, რომ უნივერსიტეტის დაარსების, მისი მნიშვნელობის ასეთი დასაბუთება საეკლესიო შეესაბამებოდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ახალ დონეს, თერგდალეულთა სამოქმედო პროგრამის მოთხოვნებებს.

თერგდალეულები კონკრეტულად იხილავდნენ უნივერსიტეტის დაარსების შესაძლებლობას, მისთვის სათანადო პირობების არსებობას — არარსებობის საკითხს, როგორც ვთქვით, მთავრობას არავითმოდ განუცხადებია, რომ მხარე არ არის მიმზადებული უნივერსიტეტის გასასწავლად არ არის სტუდენტთა კონტინგენტი, არ არიან პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ისურვებენ თბილისში იმუშაონ და სხვა. ეს მოსახრება მთავრობის დიდმოხელეებს 60-70-იან წლებშიც არავითმოდ გაუმეორებიათ. სწორედ ამის საპასუხოდ ჩვენი სამოციანელები კონკრეტული მასალის საფუძველზე უჩვენებდნენ, რომ ჩვენში უკვე იყო უნივერსიტეტში შესვლის მსურველთა საჭირო კონტინგენტი, რომ ამირკვეციასი 4 კლასიკური გიმნაზია უკვე იძლეოდა 100 კერსდამთავრებულს და თუ კიდევ 3 პროგიმნაზია გადაკეთებოდა გიმნაზიად, ეს დამატებით 100-მდე კერსდამთავრებულს მოგვცემდა: ამას გარდა, ბევრი შინ ემზადებოდა, და ესეც, ზრდიდა უნივერსიტეტში შესვლის მსურველთა რიცხვს. და ბოლოს, თერგდალეულთა აზრით, რუსეთში მოსწავლე ბევრი ქართველი ახალგაზრდა მოამუ-

რებად სამშობლოს და მოიხსრებდა მშობლიურ უნივერსიტეტში სწავლას. ამრიგად, უნივერსიტეტისათვის საჭირო მოსწავლეთა კონტინგენტი უამრავად უზრუნველყოფილი იქნებოდა.

თერგდალეულთა აზრით, არც პროფესორ-მასწავლებელთა სიმცირეს უნდა გამოეწეოდა შიში. გ. წერეთელი ასაბუთებდა, რომ თბილისში სამუშაოდ სიამოვნებით ჩამოვლენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ვინაიდან აქ ისინი აპოვნებდნენ მათი მეცნიერული დაკვირვებისათვის ახალ ქვეყანას, მათ საშუალება ექნებოდა უშუალოდ შეისწავლონ საქართველოსა და მთელი კავკასიის ჭარ კიდევ სრულად ზღუდლებული მრავალფეროვანი სამყარო, მისი ბუნება, მეცნიერეულთა, ცხოველები, წილიანური სიმდიდრე, ენა, ლიტერატურა, კულტურა და სხვადასხვა თერგდალეულები არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ადგილობრივ ჭრესში გამოვლით, ისინი ამავე საკითხებზე ლაპარაკობდნენ სათავადაზნაურო კრებებზე, საღამოებზე, ყოველგვარი შეკრების დროს. მათ, გ. წერეთლის მოწოდებით, ცალკე უგანაკვიცი კი დაუბეჭდიდით ამ საკითხზე და უფასოდ დაეთრებინათ საზოგადოებაში. დაბოლოს, მათ რუსეთის პრესაშიც გამოაქვეყნეს წერილები.

60-70-იან წლებში უნივერსიტეტის დაარსების საკითხზე ასეთი ფართო კამპანიის გაჩაღება ყარავდა მეოთხთებზე თუ არ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ საკითხს ჩვენი თერგდალეულები, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები. როგორც ვხედავთ, აქაც, ისევე როგორც 30-იან წლებში, უნივერსიტეტის დაარსების იდეა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესებს ესაბუთებდა და შედის თერგდალეულთა საბრძოლო პროგრამაში. ეს არის ერთ-ერთი სამაგო ფერეული ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

ასეთი ფართო კამპანიის გაჩაღება უნივერსიტეტის საკითხზე ზელს უწყობდა მის პოპულარიზაციას. 1871 წელს თბილისში ჩამოსულ იმპერატორ ილექსანდრე მეორეს ქართველი თავადაზნაურობის მოწინავე ნაწილმა, ი. კვაჭავაძის თაოსნობით, განმეორებით წარუდგინა თხოვნა თბილისში უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე, მაგრამ ეს თხოვნა ამყარდაც ყურადღების გარეშე იქნა დატოვებული. უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველი თავადაზნაურობის ეს თხოვნა ამყარდაც ერთსელოვანი არ ყოფილა. თავადაზნაურთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა იმპერატორს თბილისში კადეტთა კორპუსის დაარსება საზოგადო. მთავრობის არც ეს თხოვნა დაუწყაყოფილებია.

70-იან წლებში მთავრობის დამოყოფილებმა უმოდესი სასწავლებლის დაარსებისადმი ისევე უარყოფითი ჩივბოდა და მთავრობის ამ პოზიციის ცვლა იგივე მოსახრებები ედო საფუძვლად რაც ადრე. მთავრობის ოფიციალი გახ-

თი «Кавказ»-ი 1879 წელს კვლავ იმეორებდა იმავე არგუმენტებს უნივერსიტეტის დაარსების მიზანშეწონილობის წინააღმდეგ, რაც აღარც არავითარხდ გამოთქვამს. ქართულ მოღვაწეებს წინ კიდევ დაიბრუნა პრეტორის გზა ევოთ.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ბერძენ-ახიული რეფორმების შემდეგ ჩვენი ქვეყანა მტკიცედ დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. განუზრუნვლად წინ მიდიოდა მრეწველობა, ვითარდებოდა სავაჭრო მიწათმოქმედება, ფართოვდებოდა მხარის (შინაგანი თუ საგარეო), სასაქონლო წარმოება და ა. შ. მრეწველობაში ჩნდებოდა მსხვილი საწარმოები, სადაც ზღლის შრომის თანდათანობით მანქანები ეყლიდნენ, ხორციელდებოდა ტექნიკური გადართობა, საფუძველი ეყრებოდა ქვეყნის კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას. ამ დროს გაქაყნდა რკინიგზები, აღმოცენდებენ გზებს. აწინაგრძელებდნენ ნავსნობის, შავ ზღვაზე და საქართველოს შინაგან გზებზე, სწრაფად აზრდება საქართველოს ქალაქები. საქართველოს სოფლის მეურნეობაში მომრავლდა ე. წ. ფერმერული მეურნეობების რაოდენობა, ზღვება ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ კუთხის სპეციალიზაცია სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების დარგში. მეურნეობის ფეოდალური სისტემა თანდათანობით იცვლებოდა კაპიტალისტურით.

ბერძენი რეფორმები შეეხო ცხოვრების მრავალ მხარეს. საქალაქო თეოკრატიული სისტემა (1874 წ.) საზოგადოებრივ ახარებაზე გზა გაუხსნა ახალი ძალების გამოსვლასა და კაპიტალიზმის, კაპიტალისტური თაოსნობის განვითარებას.

ქვეყნის ეს ძლიერი გარდაქმნის პროცესი არ შეიზღუდებოდა არ შეზღუდვდა განათლებისა და, ეკონომიკა, უმაღლესი განათლების საქმესაც, თავისი კვლად არ დაემჩნია მასზე. და მართლაც კაპიტალიზმის განვითარების პირობებში XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების მოთხოვნას გვერდში ამოუდგა ჩვენი ქვეყანაში პოლიტიკური და აზრების აზრი და უმაღლესი სასწავლებლის ტიპის საკითხზე ჩვენს საზოგადოებრივებაში ცხარე კამათი გაიმართა.

საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხი ამ ხანში ქ. თბილისის თეოკრატიული სისტემა წაიშრა. აქედან აქტიური როლი თერგდალეულია შესანიშნავი წარმომადგენლებმა ითამაშეს. 1880 წელს 8. ნიკოლაძემ, პ. იზმალოვმა და სხვებმა მიიმხრეს ქ. თბილისის გამგეობის ერთი ნაწილი (გ. ევანგულოვი, პ. გამბაროვი, სენდუკიანი და სხვანი) და წამოაყენეს თბილისში უნივერსიტეტის გახსნის მოთხოვნა ქალაქის გამგეობა ამ დროს ემზადებოდა იმერატორს ალექსანდრე II მეფობის 25 წლისთავის აღსანიშნავად და უნივერსიტეტის დაარსების მოთხოვნად სწორედ ამ თარიღს დაუკავშირეს.

ჩვენს იმედოვნებდნენ, რომ იმპერატორი ამ „საზღვრო“ თარიღთან დაკავშირებით მიიღებდა თბილისში უნივერსიტეტის გახსნაზე დათანხმებას.

1880 წლის 16 თებერვალს ქ. თბილისის გამგეობის სხდომაზე, როცა შემოსხენებული საკითხი იხილებოდა, გამგეობის ერთ-ერთი წევრი ლ. კ. ელიმირზოვი გამოვიდა წინადადებით, მოეთხოვათ არა უნივერსიტეტის, არამედ პოლიტიკური გახსნა თბილისში. ლ. ელიმირზოვის აზრით, პოლიტიკური მოთხოვნა უფრო შეეფერებოდა ჩვენი მხარის ინტერესებს, ვიდრე უნივერსიტეტისა. უნივერსიტეტიდან — აცხადებდა ლ. ელიმირზოვი — არაკეთილსამედო ხალხი გამოდის და მთავრობა არ დაგვეთანხმება მის გახსნაზე. ლ. ელიმირზოვის აზრს ქალაქის გამგეობაში საქალაქო ბევრი მომხრე გამოუჩნდა. ვიმართა კამათი და ბოლოს გამგეობამ კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო. უნივერსიტეტი და ან პოლიტიკური.

ქალაქის გამგეობის იმავე სხდომაზე დასაწყისი მიეცა უნივერსიტეტთან დაკავშირებით კიდევ ერთ სისარებლო საქმეს — უნივერსიტეტისათვის საჭირო სახსრების შეკრებას, გამგეობის დადგენილებაში ეწერა: „თუ მთავრობა თბილისში უნივერსიტეტს ან ტექნოლოგიურ ინსტიტუტს გახსნის, ქალაქი თავის შრომით მისცემს იმით სახისათვის ადგილს და ამას გარდა 100.000 მანეთს იმ სახლის ასაშენებლად“. ამით დაიწყო უნივერსიტეტის შენობისათვის საზოგადოებრივი სახსრების გადღება. მალე ქუთაისშიც გადასდო უნივერსიტეტისათვის 40.000 მანეთი. შემდეგ კი ამას მოჰყვა შეწირულებათა მთელი ნაკადი სხვადასხვა ქალაქებიდან, ორგანიზაციებიდან თუ კერძო პირებისაგან.

ქ. თბილისის ქალაქის გამგეობის ამ თაოსნობამ ქართული საზოგადოებრივობის ცხოველ გამომხატურება გამოიწვია. დამიბრთ ყოფიანმა თბილისის ქალაქის თავს ოფიციალურად გუგუზავა მადლობის წერილი და ქება-დიდებათ შეამო ქალაქის გამგეობის ეს გადაწყვეტილება.

უნივერსიტეტის დაარსების საკითხი ისევ დიდ ადგილს იკავებს ქუთაის-გუგუზავების ფურცლებზე. ამ საკითხს ეხმაურებთან სომხეთში და აზერბაიჯანშიც. სომხურ ვაჭრებში „მეღელ ოისტინში“ დაიბეჭდა წერილი, რომელიც საგნებით იწონებდა და მხარს უჭერდა ამიერკავკასიაში უნივერსიტეტის გახსნის მოთხოვნას.

იმავე წელს (1880 წ.) ცნობილი ვახდა, რომ კავკასიის სასწავლო ოქტის მრეწველს ი. იანოვიციის მთავრობის წინაშე აღმართა საკითხი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თბილისში გადმოტანის შესახებ. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ამ საერთო გამოცოცხლებს ეამს, გამოჩინი-

ლმა ქართულმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა წამოჭრა საკითხი უნივერსიტეტის გახსნისათვის ჩვენი ხალხის შიდაყოფის შესახებ. „შეად ვართ?“ — ამ სათაურით მან გამოაქვეყნა წერილი გზით „დროება“. ში და საუბარი აღძრა იმის შესახებ, შეძლებენ თუ არა ქართველი ახალგაზრდები თავიანთი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენონ უნივერსიტეტი, თუ ამ სასწავლებლით სხვა ერის წარმომადგენლები ისარგებლებდნენ. ი. გოგებაშვილს ამ უნივერსიტეტის მსმენელთა ეროვნული შეზღვევნილობის საკითხი აწუხებდა. მისი აზრით, ვინაიდან საშუალო სასწავლებლებში ქართველ მოსწავლეთა რიცხვი შედარებით ცოტა იყო, უნივერსიტეტშიც უპირატესად სხვა ეროვნების ახალგაზრდები მოხვდებოდნენ. „ჩვენმა საზოგადოებამ — წერდა ი. გოგებაშვილი — კარგად უნდა შეიგნოს, რო თუ ამ რაშდენიშე წლის განმავლობაში ქართველთა რიცხვის სასწავლებლებში არ მიიყვანს იმ ნორმამდე, იმ ხარისხამდის, რომელიც შეესაბამება ჩვენი ერის რაოდენობას და იმ ადგილს, რომელიც სჭირია და უნდა ექიროს მის ეკლესიის ხალხთა შორის, მაშინ უნივერსიტეტის გახსნის დროს სრულებით დაეწყეს სწავლებით იმ ახიჩებულ მონადირეს, რომელიც დიდი დანა საღამომდის ერთგულად გაიჭაბოდა ილა-ილასა, შქვერს კი, მისივე ფეცვში დასაქმებულს იჭერდა მისი შეზობელი და ხარობდა“.

დიდი ქართველი პედაგოგისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის ეს გულსიტყვილი საუბრებით გასაგებია.

უნივერსიტეტის დაარსების იდეას ამ დროსაც გამოუვრსნდნენ მოწინააღმდეგეები (მაგალითად, ქ. აბოლიძის კლსიკური გიმნაზიის დირექტორი ლ. შარკოვი), რომელთა აზრითაც, მხარე ჯერ კიდევ არ იყო შიად უმაღლესი სასწავლებლისათვის ჯერ უნდა ეზრუნათ საშუალო სასწავლებლების გამარჯვებაზე, საშუალო სასწავლებლით ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ეფიქრათ უნივერსიტეტზე, უმაღლეს განათლებასზე.

ამ მოსაზრებებმა მძლავრი პრეტესტები გამოიწვია. ქართულ პრესაში გამოქვეყნდა წერილები, რომლებშიც სასტიკად იყო გაკრიტიკებული ეს მოსაზრებები. არსად, არც ერთ ქვეყანაში — ვითხოვლობა გახ. „დროებას“ ერთ-ერთ კორესპონდენციისში — არ მოქცეულან ისე, რომ ჯერ საუბრით დაეკმაყოფილებინათ მოთხოვნილებები საშუალო სასწავლებლებზე და შემდეგ ეზრუნათ უმაღლესი სასწავლებლის გახსნაზე. ამერიკაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში ძალიან კარგად ვრსობდნენ საშუალო სასწავლებლების ნაკლებობას, მაგრამ ამის გამო უნივერსიტეტის დაარსებაზე არსად უარი

არ უთქვამთ. კორესპონდენტი უარყოფს უნივერსიტეტის მოწინააღმდეგეთა მერტყე მოსაზრებასაც — მხარე ჯერ ეკონომიერად უნდა აღორძინდეს, მოლონიერდეს და უმაღლესი სასწავლებელი მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაიხსნასო. ეკონომიერ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება — შენისნაეს ამის საბასტორდ კორესპონდენტი — არასდროს არ მოხდება და ამისი ლოღინი ამათა. ბირიქით, უმაღლესი განათლების დაწერგვაზე ახლაც უნდა ვითქროთ, ვინაიდან ეს თეთონ უკეთ შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიერ აღორძინებას, ხალხის ეკონომიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ერთი კორესპონდენტი (ს. ასკანელი) მოსკოვიდან გულსიტყვილით წერდა: „რა საჭიროა საშუალო სასწავლებლები, რომლებიც აღუძრანენ ყმაწვილ კაცს სწავლა-მეცნიერების სიყვარულს, რა საჭიროა, ვიმეორებ თუ შემდეგ ამ აღძრულ სწავლის წყურვილს არ დაკმაყოფილებენ და განგებ ჩააგდებენ იმისთანა მდგომარეობაში, რომ მეცნიერებას მიჭებელი ხდება რუსეთის უწვეალი მსხვერპლი“, რუსეთის კლემატს ვერ იტანენ და იღუპებიანო.

თბილისში უნივერსიტეტის გახსნის იდეას 80-იან წლებში რუსეთშიც გამოეხამოტრნენ, რუსეთის პროტარესტმა პრესამ მხარი დაუჭირა მის საჭიროებას.



ამისობაში ქართული მეცნიერული აზროვნება იმეალობის ვხით მიდიოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში თერგდალუელთა წყალობით ქართულ მეცნიერულ აზროვნებაში მატერიალიზმი დანიერგა, სუბიექტივისტური და იდეალისტური თვალსაზრისი თანდათანობით იდეგენებოდა მეცნიერულ აზროვნების სფეროდან. ამ ეპოქის საზოგადოებრივ — მეცნიერულ აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენლებიან ი. გ. ჰავეჭაიქსა, ნ. ნიკოლაძესა, ა. წერეთელსა, გ. წერეთელსა და სხვებთან არა მარტო მატერიალისტური შეხედულებებს გზვდებით, არამედ არაიმეოთაოდ დიალექტიკური მეთოდის გამოყენების ცალკეულ შემთხვევებსაც. თერგდალუელთა მოწინავე მატერიალისტურმა და რევოლუციონერმა იდეგებმა ნიყოფიერი გავლენა მოახდინეს მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარებაზე.

ისევე როგორც აღრე, ამ ზანაშიც ძირითადად წინაურდება ჰემანტიარული მეცნიერებები: ისტორიოგრაფია, ფილოლოგია, ლიტერატურული კრიტიკა, სამართლისმეოღნეობა და სხვა.

ისტორიული კვლევა-ძიებების ცენტრმა, მ. ბროსეს შემდეგ, პეტერბურგიდან საქართველოში გადმოიწაცლა. აქ პლ. იოსელიანმა და დ. ბაქრაძის ნყოფიერი მოღვაწეობის შედეგ-

გად უკვე იყო შემზადებული სათანადო პირობები. ისტორიულ კვლევა-ძიებათა აღიარებულ მეთოდურად ითვლებოდა ილია ქავჭავაძის მგვობარია და თანამებრძოლი, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე (1827-1890). დ. ბაქრაძემ ქართული ისტორიოგრაფია განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა: იგი ქართული ბერძენული ისტორიოგრაფიის ტიპური წარმომადგენელი იყო. დ. ბაქრაძემ გადალახა „ქართლის ცხოვრების“ მოძველებული სქემა და ახლებურად დააყენა საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები (ეთნოგენეზისის საკითხი, პარველყოფილ თემური წყობილების საკითხი და სხვა). დ. ბაქრაძემ ფართო ხასიათი მისცა დოკუმენტების მიხედვით ძველი საქართველოს შინაგანი წყობისა და განვითარების საკითხების შესწავლას, მან სცადა სოციალოგიურ საფუძვლებზე დემყარებინა საქართველოს ისტორია (დუქსებაჲ მ. ბოკლის თვალსაზრისს), დაქალაქებში და თეოროლოგია დასაბუთება მოეძებნა ქართველი ხალხის ისტორიული პროგრესისათვის. დიმიტრი ბაქრაძე შრავალმზრავი მიღწევე იყო. თეორიულ კვლევით მუშაობასთან ერთად, იგი დიდ საზოგადოებრივ საქმიანობაზე ეწეოდა. მისი ინციტით დაარსდა კავკასიის არქეოლოგიის მოვეზრულთა საზოგადოება, რომლის შემადგომლობითაც სრულიად რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა მოწვეული იქნა თბილისში (1881 წ.). ყრილობამ დიდი ბაჭი მისცა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-ფილოლოგიურ და არქეოლოგიურ შესწავლას.

70-80-იან წლებში ისტორიულ სიძველეთა შეკრების საქმე ჩვენში საზოგადოებრივ საზრუნავად იქცა. ამ ხანებში არსდება სიძველეთა რამდენიმე საცავი. ერთ-ერთი ეკუთვნოდა დიდ ეროვნულ საზოგადოებას — „ქართველთა შრომის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ (დაარსდა 1879 წ.), რომელიც დაუცხრომლად ზრუნავდა ხალხის ფართო მასების განათლებაზე, საქართველოს წარსულის შესწავლაზე. მეორე სიძველეთსაცავი შეიქმნა 1888 წელს საეკლესიო მუზეუმის სახით, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი ისტორიკოსი თეოდორე ეოზანაია (1854-1916). ამ სიძველეთსაცავებში თავს იყრიდა დიდძალი დოკუმენტური მასალა, ძველი ხელნაწერები, ნივთები.

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან ჩვენი ქვეყნის წარსულის მკვლევარები: მოსკოვი (1855-1934), ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953), ნ. ხიზანაშვილი (1851-1906), ს. გორგაძე (1876-1929) და სხვანი. ფართოდ ვაიშალა ისტორიული მასალების შეკრების, კრიტიკული განხილვისა და გამოცემის სამუშაოები, გროვდებოდა ახალ-ახალი ცნობები, მდიდრდებოდა საქართველოს ისტორიის დო-

კუმენტური ბაზა. მკვლევართა ერთდღობის არეში ექცეოდა არა მარტო პოლიტიკური წარსულის ამსახველი მასალები, არამედ მკვლევარი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ, იურიდიული, და კულტურული ცხოვრების შესახებ არსებული ცნობებიც. ვაფართოვდა კვლევის თემბეტიც, გაუმკობესდა კრიტიკული ანალიზის მეთოდები. დიდ საყურადღებო იყო მრავალრიცხოვანი ეთნოგრაფიული მასალების გამოქვეყნება ამავე ხანაში.

პეტერბურგსა და მოსკოვში ქართველოლოგიურმა კვლევა-ძიებებმა უპირატესად ფილოლოგიურ-ლიტერატურული ხასიათი მიიღო. პეტერბურგში დ. ჩუბინაშვილის საქმის გამგრძელებელმა ალ. ცაგარელმა (1844-1929) შესანიშნავი ნაშრომები შექმნა. მანვე გამოაქვეყნა დიდძალი მასალა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ XVIII საუკუნეში. მოსკოვში ნაყოფიერად იღვწოდა ალ. ხახანაშვილი (1866-1912).

მეცნიერების სხვა დარგთან უნდა აღინიშნოს ქართველი მეცნიერების მიერ ფიზიოლოგიისა და ქიმიის განვითარებაში შეტანილი წვლილი. მატერიალისტური ფიზიოლოგიის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო ი. სენენოვის მოწაფე და მიმდევარი ივ. რ. თარხნიშვილი (1846-1908), რომლის მრავალრიცხოვანმა ნაშრომებმა ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის დარგში მთელი ეტაპი შექმნეს.

ქიმიის დარგში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ოდესის უნივერსიტეტის გამორჩენილი პროფესორები პეტრე მელიქიშვილი (1850-1927) და ვასილ პეტრიაშვილი (1845-1908).

პ. მელიქიშვილმა აბორიგენული და ორგანული ქიმიის დარგში ოთხმოცამდე მეცნიერული ნაშრომი დაწერა. იგი იკვლევდა მეთვრ ნავთობს, მთ ქიმიურ ბუნებას, ატომურ ატონავობასა და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას. კლასიკური გამოკვლევები შექმნა მან ზეინგებისა და ზემბაეების შესახებ. იგი მუშაობდა, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ქიმიური შემადგენლობის დადგენაზე. ამ მიმართულებით მან განსაკუთრებით ინტენსიურად ვაშალა კვლევა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ.

ვასილ პეტრიაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა მეტად მრავალფეროვანია. იგი უპირატესად ფიზიკური და ტექნიკური ქიმიის დარგში მუშაობდა. დიდი მნიშვნელობისა იყო მისი გამოკვლევები ლენინის ტექნოლოგიის დარგში, აგრეთვე, რძის, კარაქის, ყველისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ქიმიური შესწავლის ხაზით. ამ ორი დიდი ქართველი ქიმიკოსის მოღვაწეობა და მეცნიერული ღვაწლი შესანიშნავი ფურცელია ჩვენი მეცნიერული აზროვნების ისტორიაში.

• • •

XIX საუკუნის 90-იან წლებში ორჯერ წამოიჭრა თბილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხი. პირველად 1894 წელს, როცა თბილისში ჩამოვიდა რუსეთის მინისტროქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ა. ს. ერმოლოვი. სპეციალურად შექმნილმა კომისიამ იმსჯელა უმაღლესი სასწავლებლის ტიპის საკითხზე და მინისტრს პოლიტექნიკუმის დაარსება სასოვია. პოლიტექნიკუმს ორი განყოფილება უნდა ჰქონოდა — სასოფლო და სამთო. მინისტრმა ეს თხოვნა უუფრადღებოდ დისტოვა.

ქ. თბილისის გამგეობამ მეორედ 1897 წელს დააყენა პოლიტექნიკუმის გახსნის საკითხი. ამ შემთხვევაში საკითხის წამოჭრა მოჰყვა მთავრობის მიერ ვარშავა და კიევი პოლიტექნიკუმების დაარსებას. თბილისის გამგეობა იმედოვნებდა, რომ მთავრობა ახლა მინც აღარ იტყოდა უარს თბილისში პოლიტექნიკუმის დაარსებაზე. კაბიტალის სწრაფი განვითარება რუსეთში გასული საუკუნის 90-იან წლებში დაბრუნებულ მთიანეთში და მთიანეთის მთიანეთში დაარსება მომზადების გადართობას. ქ. თბილისის გამგეობამ გადაწყვიტა ყოველწლიურად 30.000 მანეთი გაეღო მომავალი პოლიტექნიკუმისათვის. თბილისის გამგეობის გადაწყვეტილებას გამოეგმუნენ სტავ ქალაქებშიც. ჭუთისში და ბათუმში ურეგულურად სამსაში ათასი მანეთი გაღება აკისრეს. ხოლო ბაქოს ნავთისმრეწველთა საბჭომ თანხმობა განაცხადა ყოველწლიურად 17.000 მანეთი გამოეყო პოლიტექნიკუმისათვის. როგორც ხედავთ, უფრადღებო გადატანილი იქნა სპეციალური უმაღლესი სასწავლებლის — პოლიტექნიკუმის დაარსებაზე და ეს იმიტომ, რომ ამ აზრს რუსეთის მთავრობა უფრო ლოიალურად ეყიღებოდა.

საუკუნის დამლევს ჩვენი მოწინავე ინტელეგენცია გ. წერეთლის სახით კიდევ ერთხელ გამოდის უნივერსიტეტის იდეის დაცვადა. ვერნალ «კვალში» გამოქვეყნებულ წერილებში გ. წერეთელი ამტკიცებდა, რომ პოლიტექნიკუმის დაარსებას აუცილებლად წინ უნდა უდლოდნ უნივერსიტეტის გახსნა, ასე იყო ყველგან, ვეროპასა და რუსეთში, ასე უნდა იყოს საქართველოშიც. გ. წერეთელი ამ წერილებში იმეორებდა ძველ არგუმენტებს — ქვეყნის საჭიროებანი, ვიწრო სპეციალისტებისათვის საჭიროებას შოვნის სიმწლე, მრავალმხრივ განათლებული თაობის საჭიროება და თელიდა, რომ საქართველოს ამჟამად საშუალო განათლების ტექნიკურა პერსონალიც დაკმაყოფილებდა.

ჩვენი პრესის ფურცლებზე გრძელდებოდა დავა უმაღლესი სასწავლებლის ტიპის საკითხზე გაზ. «Новое обозрение» პოლიტექნიკუმის საჭიროებას უჭერდა მხარს. ქ. თბი-

ლისის გამგეობაში ერთ აზრსაც ჰყავდა თავისი მომხრეები და მეორესაც. იყვნენ ინტელეგენტ-რომლებიც შერეული ტიპის უმაღლესი სასწავლებლებს მთითხოვდნენ: უნივერსიტეტს, ტექნიკური განყოფილებებით, ან კიდევ პოლიტექნიკუმს, ზოგადასაგანმანათლებლო ფაქულტეტებით.

გრძელდებოდა საჭირო სახსრებს შებრუნებაც. 1898 წ. თბილისის საერდიტო საზოგადოებამ უმაღლესი სასწავლებლისათვის 50.000 მანეთის შეწირვა აკისრა. 1900 წელს თბილისის გამგეობამ ერთდროულად შესაწირავის სახით დამატებით 30.000 მანეთი გამოჰყო ამევე მინისათვის. შემდეგ მებმა მირზოვეებმა აკისრეს 25.000 მანეთის გაღება. კომერციულმა ბანკმა — 30.000 მანეთისა, ხოლო ა. ნ. თამაშვემა უმაღლესი სასწავლებლისათვის 600.000 მანეთის გაღება იცადებულა. ეს თანხა პოლიტექნიკუმის შენობის აგებას უნდა მოხმარებოდა. ამის გარდა, 100.000 მანეთს თამაშვე სტატენდებისათვის იძლეოდა. ერთი სიტყვით, ამ შეწირულებებისაგან საქმით დიდი თანხა უნდა შემდგარიყო, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როცა მთავრობისაგან უმაღლესი სასწავლებლის დაარსების ნებართვას მიიღებდნენ და საქმეს პრაქტიკულად შეუდგებოდნენ. ეს კი, როგორც ვნახეთ, უსაზღვროდ გაკინარდა.

ამრიგად, საუკუნე ისე დასრულდა, რომ ვერც მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ და ვერც ლაბორატორი ზურჯუაზის წარმომადგენლებმა, რომელთადაც პირველი უმატატესად უნივერსიტეტის გახსნას ითხოვდნენ, მეორეში კი — პოლიტექნიკუმისას, სასურველ შედეგს ვერ მიადრეეს. მთავრობა არ თობდა თავის პოზიციებს. უნივერსიტეტის დაარსების საკითხი საბჭოლო მემკვიდრეობად გადმოვიდა XX საუკუნეში, როცა ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურად ამოქმედდა ახალი საზოგადოებრივი ძალა — რევოლუციური სოციალ-დემოკრატია, რომელმაც თავისი ნათელი კვალი უნივერსიტეტისათვის ბრძოლის მსვლელობასაც დაამჩნია.

• • •

მეოცე საუკუნის გარიტრავზე რუსეთში რევოლუციური სიტუაცია მომწიფდა. მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრამ დასავლეთ ევროპიდან რუსეთში გადამოინაცვლა. კაბიტალის განვითარება რუსეთში თანდათანობით შედიოდა მის უმაღლეს ფაზაში — იმპერიალიზმში და უკიდურესად ამწვავებდა ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს. მეფის მთავრობამ ვეღარ მოახერხა მშვიდობიანი გზით დაეღწია თავი რევოლუციური სიტუაციისათვის და იარაღს მიმართა. მთავრობის ძალადობას ხალხმა შეიარაღებული გამოსვლებით უპასუხა. რუსეთში დაიწყო

პროლეტარული რევოლუციების ეპოქა. 1905-1907 წლების რევოლუციამ, მიუხედავად დამარცხებისა, დიდი დარტყმა მიაყენა მეფის თეთომპყრობელობას. მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია და ხალხისათვის დემოკრატიული უფლებები მიენიჭებინა. მართალია, ეს უფლებები ერთობ კუდმოკვეცილი იყო, მაგრამ ისინი მაინც მოასწავებდნენ რუსეთის რევოლუციური, დემოკრატიული ძალების გამართვას. რუსეთის თავდაპირველი, თვითმპყრობელები მონარქია ბურჟუაზიული მონარქიით შეიცვალა. ეს ცვლილება 17 ოქტომბრის მანიფესტით იქნა დადასტურებული. სახელმწიფო სათათბირომ ერთგულად „შეზღუდა“ მეფის თვითმპყრობლობა და ვხა ვაუხსნა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ელემენტებს მთავრობაში. შეიქმნა ქვეყნის პოლიტიკური ერთობა, შეიქმნა მთავრობის დამოკიდებულება სახელმწიფო ცხოვრების ამა თუ იმ საკითხთან. ერთერთი ასეთი საკითხი იყო არარუსი ხალხების უზღვევის განათლება. მთავრობა ახლა იძულებული გახდა ამ საკითხშიც დათმობის გზით წასულიყო. თუმცა ეს არ იყო კარდინალური შემობრუნება. მთავრობა ძველებურად წინააღმდეგე იყო არარუსი ხალხებისათვის ადგილობრივ და შრომობრუნებაზე უმაღლესი სასწავლებლის მოწყობის უფლება მიენიჭებინა, მაგრამ იგი ახლა ამას აშკარად ვეღარ აკეთებდა და შენიღბული ადმინისტრაციული და ორგანიზაციული ღონისძიებებით ცდილობდა საქმის დაბრკოლებას.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში საქართველოს მშრომელები საერთო რუსული რევოლუციური ბრძოლის მოწინავეთა რიგებში იდგნენ. ჩვენში ხაკმაოდ ძლიერი იყო არა მარტო მშრომელი მასების, მუშებისა და გლეხების რევოლუციური გამოსვლები, არამედ წვრილბურჟუაზიული რევოლუციური ელემენტების მოძრაობაც. მოწინავე ქართველი ინტელიგენციაც მხარში ამოუდგა შებრძოლ ხალხს. ქართველი საზოგადოება ცდილობდა ესარგებლა შექმნილი ვითარებით და თავისი ეროვნული ინტერესების მოთხოვნებზე დაემყარებინა. ჭერ რევოლუციამდე, 1901 წელს, საქართველოს რუსეთთან „შერთების“ 100 წლისთავზე, მან კიდევ ერთხელ წამოაყენა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის საკითხი. რევოლუციის პერიოდში უმაღლესი სასწავლებლის საკითხი ცოტა უჩვეულო საბაბით წამოიჭრა.

როგორც ცნობილია, 1906 წელს თბილისში მთავრობის წაქეზებით სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა მოეწყო. მთავრობა იმედოვნებდა, რომ ამ გზით რევოლუციური მასების უფრადლებას ჩამოაშორებდა პოლიტიკური ბრძოლის საკითხებს. მაგრამ მთავრობის იმედები არ გამართლდა. სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტამ დემოკრა-

ტიული ძალების ახალი გამოსვლები გამოიწვია. მთავრობა იძულებული გახდა მიეღო სხვადასხვა დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, პასუხები გაეცა მათი კითხვებზე. თათბირებზე შემუშავდა აზრი, რომ საქართველო ხელი შეწყობოდა ამიერკავკასიის ხალხთა დაახლოების და ამის ერთერთ საშუალებად დასახლებული იქნა თბილისში ამიერკავკასიის ხალხებისათვის უმაღლესი სასწავლებლის დაარსება.

შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში მთავრობა იძულებული იყო ამ საკითხს უფრადლებით მოჰქედნებოდა. მისი განკარგულებით კავკასიის მეფობისადაცლიან ჩამოყალიბდა სპეციალური კომისია — თბილისში უმაღლესი სკოლის მომწყობი მთავარი კომიტეტი“. 1906 წ. 10 მაისს ამ კომიტეტის პირველსავე სხდომაზე წამოიჭრა ძველი საკითხი: რა ტიპის უმაღლესი სასწავლებელი ესაჭიროება ჩვენს მხარეს, უნივერსიტეტი თუ პოლიტექნიკუმი? ატყდა კამათი, რომელიც გაგრძელდა მეორე სხდომაზეც (19 მაისს). კამათის დასასრულს მთავრობა კომიტეტმა მხარი დაუჭირა პოლიტექნიკუმის დაარსებას, მაგრამ მისი ეს გადაწყვეტილება არ იყო საბოლოო.

მიავე წლის სექტემბერ-ოქტომბერში რუსეთში მცხოვრებ კავკასიელთა ინციდენტით პეტერბურგში მოწვეულ იქნა დიდი თათბირი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეებისა და მეცნიერების მონაწილეობით. მათ შორის იყვნენ ფ. ლევისონი-ლესინგი, ა. ბაიკოვი, შ. პავლოვი, ნ. კარეევი, ი. ლამბაროვი და სხვანი. თათბირზე მიწვეული იყვნენ წარმომადგენლები საქართველოდან (თბილისიდან, ბათუმიდან), ამ თათბირზე ასევე დადგა უმაღლესი სასწავლებლის ტიპის საკითხი და ცხარე კამათიც გაიმართა. საბოლოოდ გადაწყდა დეკარსებინათ შეჩვენული ტიპის უმაღლესი სასწავლებელი — უნივერსიტეტი ტექნიკური განყოფილებებით (ისტორიულ-ფილოლოგიური, იურიდიული, ბუნებისმეტყველო და სამედიცინო ფაკულტეტებით). ამ აზრს ბევრი მომხრე გაუჩნდა. მან თანდათანობით მოიპოვა პაპულარობა. მას მხარი დაუჭირა მრავალმა სამეცნიერო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ: რუსეთის საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ, ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, ქ. თბილისის საქალაქო მმართველობამ, კავკასიის სასწავლო ოქტის მესვეურებმა და ა. შ.

აზრი შეიცვალა „თბილისში უმაღლესი სკოლის მომწყობაში სპეციალურმა კომიტეტმა“. მან გადასინჯა თავისი აღრინდელი გადაწყვეტილება და მხარი დაუჭირა უნივერსიტეტს — ტექნიკური განყოფილებებით.

აზრი უნივერსიტეტის (ტექნიკური განყოფილებებით) გახსნის მიზანშეწონილობა შესაბამისყოფილათ, საზოგადოებრივ აზრად იქცა.

კავკასიის მეფისნაცვლი იძულებული გახდა ინგარიში გაეწია ამ მდგომარეობისათვის და 1907 წელს აღბრა შეამდგომლობა მინისტრთა საბჭოს წინაშე კავკასიაში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. მინისტრთა საბჭომ ნებაართვის მიცემაზე კვლავ თავი შეიკავა.

XX საუკუნის 10-იან წლებში რუსეთში იწყება რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა. მუშათა გაფიცებებმა და გლეხთა რევოლუციურმა გამოსვლებმა კვლავ შეაზანზარა იმპერია. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (ბოლშევიკების) სათავეში იდგა შპრო-მელი ხალხის ბრძოლას.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის წინაშე უზარმაზარი ბრძოლები იდგა და ამ ბრძოლებებზე მუშაობა ნათქვამა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელთა ენერჯიასა და უკრადღებას, მათ არ გამოძარგივით კავკასიის ხალხთა ერთერთი მნიშვნელოვანი სატიყარი — კავკასიის უნივერსიტეტის საკითხი. 1912 წლის 26 მაისს ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოში ვაზუო „Правда“-ში გამოქვეყნდა წერილი, რომელიც კავკასიის უნივერსიტეტს ეხებოდა. წერილში მხილებულ იყო მეფის მთავრობის პოლიტიკა, საამკაროზე იყო გამოტანილი მთავრობის მოსაზრებათა სიყალბე და უსუსურობა, ნახვევები იყო ის შიში, რომელსაც განიცდიდა მეფის მთავრობა ხალხის საყოველთაო განათლებისა და პროგრესის წინაშე.

«Больше 30 лет — веколетом ამ წერილში — Кавказское население просит открыть университет в Тифлисе. Собрано уже для этой цели больше 2-х миллионов рублей, и все университета нет.»

В совете министров еще не окончилось обсуждение этого вопроса. Там еще выслушивают возражения директора департамента полиции г. Зуева, который боится, что с открытием Кавказского университета «Крамолა еще больше упрочится на Кавказе».

Правые органы печати поддерживают департамент полиции. Благочестивый «Колокол» во все малые и тяжкие злони, что Кавказский университет это новая крепость революции. «Новое время» пугает, что денег на новый университет не хватит и это как раз тогда говорится, когда собираются уплыть по тугим карманам 500 с лишним миллионов рублей! «Земщина» вопит о недостатке профессоров, и это тогда, когда профессора десятками увольняются...

Страх овладевает охранителями перед всяким лучом света, и они запутываются в доказательствах.

Светобоязнь всегда была и остается отличительным признаком для тех, котрым выгода народная темнота».

ეს ბრწყინვალე დოკუმენტი ნათელი დადასტურება იმისა, რომ ჩვენი პარტია შპრომელი ხალხის ინტერესების სადარჯოზე იდგა. როგორც ვხედავთ, კავკასიის ხალხებისათვის უნივერსიტეტის გახსნის ჩვენი პარტია უკავშირებდა რევოლუციურა მოძრაობის წინსვლას, მის გაძლიერებას. ეს იყო იმ დიდი შემევიღრეობის ერთერთი ელემენტი, რომელიც რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ მიიღო ქართველი ხალხისა და რუსეთის სხვა ხალხების სახელოვანი წინაპრებისაგან. ეს იყო 32-იანულთა მიერ წამოჭრილი იდეა, თერგდაუღულთა მიერ ატაცებული, ვაფართოებულ, დასაბუთებული და ერთგულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სამსახურში ჩაყენებული, იდეა, რომელიც ახლა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ინტერესებს დაუკავშირა.

აი, ასეთი იყო უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის უმათარესი საღებურები, რომლებიც შეესაბამებოდა ჩვენი ხალხის სახელოვან თაობათა განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიულ ეტაპებს.

* * *

XX საუკუნის 10-იან წლებში, როგორც ვნახეთ, ყველაზე ბოპულარული იყო ჩვენში უნივერსიტეტის (ტექნიკური ვანყოფილებებით). გახსნის იდეა. ჩვენი საზოგადოების აზრით, ასეთი დაწესებულება ყველაზე მეტად შეფერებოდა კავკასიის მხარისა და ხალხების ინტერესებს.

მთავრობამ კვლავ არ გაუწია ინგარიში ხალხის მოთხოვნებებს. 1912 წლის 20 ივლისს კავკასიის მეფისნაცვლის შეამდგომლობის საფუძველზე მთავრობამ ნება დართო ვახსნათ მხოლოდ პოლიტექნიკები. ეს იყო საზოგადოებრივი და დემოკრატიული ძალების დიდი გამარჯვება. პარლამენტი დადებითად გადაწყდა ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხი, ადგილობრივი უმაღლესი განათლებისათვის თითქმის საუკუნოვანი ბრძოლა გამარჯვებით დაეკორგინა.

მართალია, ეს გამარჯვება არ იყო სრული, პოლიტექნიკების შექმნის წინ კიდევ მრავალი დაბრკოლება ელოდა, ხოლო უნივერსიტეტის შეცემა პოლიტექნიკებს არ შეეძლო, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ეს გადაწყვეტილება მაინც ჩვენი ხალხის მოწინავე ძალების წარმატებას მოასწავებდა.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე და XX საუკუნის პირველ ორ ათეულ წლებში ქართველოლოგიაში მოღვაწეობენ მსოფლიო სახელის

შეინე მეცნიერები — ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი. მათი შრომების წყალობით ქართველოლოგია ერთბაშად გაუსწორდა ევროპულ მეცნიერებათა დონეს, აღიჭურვა კვლევის უახლესი და ურთულესი მეთოდებით და მსოფლიო ფილოლოგიური და ისტორიული მეცნიერების განუყოფელი ნაწილი გახდა.

5. მარმა (1864-1934) უსაზღვროდ დიდი ღვაწლი დასდო ქართული ენისა და ძველი ქართული წერლობის მეცნიერული შესწავლის საქმეს. მის შიგრი გამოკვლევებელი ძეგლები, მათი ბრწყინვალე მეცნიერულ-ფილოლოგიური ანალიზი, ღრმად გააზრებული შეფასებები და დაცვირებები სამაგალითოდ დარჩა შემდგომი ხანის ქართველოლოგიათათვის. და რაც ჩვენთვის უვალზე უფრო საინტერესოა, ეს არის ის, რომ მის სამაგალით მეცნიერული 1905 წელს ოცნებობდა საქართველოში მეცნიერული ცენტრის შექმნაზე. მას შეუდგენია „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის“ წესდება-პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა აკადემიის სამოქმედო მიზნებს და ამ მიზნების მიღწევის საშუალებებს. აკადემიის მიზანი, პროექტის ავტორის სიტყვით, უნდა ყოფილიყო საქართველოში მეცნიერების ყველა დარგის (ისტორიის, ფილოსოფიის, სამართლის, არქეოლოგიის, ფილოლოგიის, ბუნებისმეტყველების და სხვათა) განვითარება, ქართველოლოგიური კვლევა-ძიების გაშლა, არა მარტო ავტოლობრივი კადრების აღზრდის გზით, არამედ საკითხით დანტერესებული უცხოელი მეცნიერების მოწვევა-წახალისებითაც. აკადემიის უნდა ეზრუნა ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდების მოწაღებზე მეცნიერული მუშაობისათვის, გაეწია მათთვის მატერიალური შემწეობა და მეცნიერულა ხელმძღვანელობა.

6. მარის ამ ოცნებას, რა თქმა უნდა, ზორცი არ შესძნია, საამისო პირობები მაშინ სრულიად არ იყო. მაგრამ თავისთავად გამოჩენილი მეცნიერის მიერ საქართველოში მეცნიერული ცენტრის შექმნის პროექტის შედგენა და მასზე ფაქტი საგულისხმო ფაქტია.

ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) სახელთან მკვდროდა დაიკავშირებულა ახალი ეტაპი ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. ივანე ჯავახიშვილი საოცრად ღრმა და ფართო დიპლომატიის მკვლევარი იყო. ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის შესწავლის იგი დიდი პროგრამით შეუდგა, ქართული ისტორიული მეცნიერება მან წარმოადგინა როგორც მრავალი დარგის ერთობლიობა, მთელი სისტემა (პოლიტიკური, ეკონომიური ისტორიოგრაფიული, ფილოლოგიური, სამართლის და ა. შ.) კვლევა-ძიებისა, რომელთა საერთო მიზანია ქართული კულტურის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ჩვენება. ივანე ჯავახიშვილი მეცნიერული მემკვიდრეობა ქარ-

თული ისტორიული ცოდნის მთელი ენციკლოპედია.

მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საყურადღებოა ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის ნიადაგის მომზადების საქმეში. ამ მხრივ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო პეტერბურგში მის მიერ 1907 წელს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის ჩამოყალიბება. აქ, ამ წრეში ქართულად მსჯელობდნენ ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემაზე, ამუშავებდნენ ქართულ მეცნიერულ ტერმინოლოგიას, ეჩვენდნენ ქართულ მეცნიერულ აზროვნებას. ამ სამეცნიერო წრეში შეიღებნენ ურნალებსა და კრებულებში გამოკვლევებული ქართველოლოგიური წერილების ბიბლიოგრაფია, გამოცეს მეცნიერული შრომების კრებული და რაც მთავარია, დაწყევს გამოკვლევა თუ სად რამდენი ქართველი სწავლობდა და მოღვაწეობდა მეცნიერულ ისპირებზე. ამის გამოკვლევის ივ. ჯავახიშვილი იმათავითვე უკავშირება საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის — უნივერსიტეტის დახანის შესაძლებლობას. სათანადო ანექტების დავგზავნით შეიკრიბა ზუსტი ცნობები და გამოიჩქა, რომ ქართველი ახალგაზრდები დანტერესებული იყვნენ მეცნიერების მრავალი დარგით, რომ მეცნიერების თითქმის ყველა დარგში მოაქვნიებოდა ქართველი მოღვაწე, რომელსაც, საჭირო შემთხვევაში, შეეძლო სამსახური გაეწია მშობლიური უნივერსიტეტისათვის.

ივ. ჯავახიშვილმა თავისი სამეცნიერო წრის საშუალებით და, აგრეთვე, საჯარო ლექციების კიბეზათ პრაქტიკულად მოაზარა ნიადაგი საქართველოში უმაღლესი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრის ჩამოყალიბებისათვის. ამ მხრივ მისა დამსახურება უდიდესია.

ეს ხანა ჩვენში უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის თვალსაზრისით სხვა საყურადღებო მოვლენათაც აღვნიშნა.

1907 წელს დაარსდა „საქართველოს საისტორიო და საეინოგრაფიო საზოგადოება“, რომელმაც მეტად სასარგებლო და მრავალმხრივი საქმიანობა გააჩაღა. საზოგადოებამ მოაწყო სიმედიეოსაცავი („მუზეუმი“), სადაც თავს იყრიდა პირველხარისხოვანი ისტორიული მასალები (ბუნაწერები, წიგნები, მონეტები, ეთნოგრაფიული ნივთები და სხვა). საზოგადოებამ მოაწყო არქეოლოგიური ექსპედიციები, სამეცნიერო სესიები, საჯარო მოხსენებები საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მანვე გამოცხადდა სამეცნიერო შრომების რამდენიმე კრებული და ძველი ქართული დოკუმენტები. ამ საზოგადოების სახით ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერული მუშაობის ერთ-ერთი ცენტრი, რომლის ნაყოფიერმა მუშაობამ კარგად დაადასტურა ჩვენში მეცნიერ-

რული მოღვაწეობისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობა.

შეორე მოელენა, ეს იყო თბილისის გიმნაზიისათვის ახალი შენობის აგება, რომლის გამოყენებას მისი მშენებლობის მესვეურები მომავალი უნივერსიტეტისათვის ვარაუდობდნენ. ეს შენობა საზოგადოების შეწირულობებით აშენდა გამოჩენილი ქართველი არქიტექტორის სიმონ კლდიაშვილის პროექტით და დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ცხვედაძის (1815-1911) უშუალო ხელშეწყობით. მას საფუძველი 1900 წლის შემოდგომაზე ჩაეყარა, ხოლო მშენებლობა ძირითადად 1906 წელს დამთავრდა. პირდაპირ გასაოცარი ენერჯითა და ენთუზიაზმით უძღვებოდა ამ საქმეს ნიკო ცხვედაძე, შთაგონებული იმ მიზნით, რომ აღარც თუ გვიან ამ შენობაში ქართული უნივერსიტეტი მოთავსდებოდა.

ათასი გაჭირვების გადალახვით, მრავალჯერ საშტალების გამოყენებით ახერხებდა რეკონსტრუქციის სახსრების მოპოვებას. მსურველს უჭერდა მას მხარს დიდი ილია ქაჭავაძე, რომელიც, აგრეთვე, კარგად ზედავდა ამ შენობის მომავალი გამოყენების პერსპექტივებს. აბილიის ქართული გიმნაზიის შენობა პირდაპირ პასუხობდა უმაღლესი სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულების მოთხოვნებებს.

თითქმის ყველაფერი მზად იყო — კადრებიცა და შენობაც, საზოგადოებრივი აზრიცა და უნივერსიტეტის შექმნის დიდი სურვილი, რაზებოდა მხოლოდ იმ დიდი დაბრკოლების ჩამოშორება, რომელსაც ძველი რუსეთის მეფის მთავრობა წარმოადგენდა. 1917 წლის რევოლუციურმა ქარიშხალმა ეს დაბრკოლება წააშალა და საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების საქმემ ხორცშესხმა დაიწყო.



გელათის აპარეიის ისტორიიდან

ევროპის ზოგიერთი ქვეყნისაგან განსხვავებით ჩვენში არ არსებობს 800 ან 700 წლის უნივერსიტეტი. მაგრამ საქართველოში უძველესი განათლების ისტორია მე-4 საუკუნიდან იწყება; აქედან მოცილებული სხვადასხვა დროს, როგორც კი ამისათვის ოდნავ მაინც ხელსაყრელი დრო დაგებოდა, ჩვენს მიწა-წყალზე თუ მის ფარგლებს გარეთ უძველესი განათლების რამდენიმე მძლავრა ქართული კერა იქმნებოდა. ამ წერილში შევხვებით მე-12 საუკუნის დამდეგს გელათში დაფუძნებულ „სხუად ათინად“ წოდებულ, აკადემიის ისტორიის ზოგიერთ საკითხს.

დავით აღმაშენებლის ხანგრძლივი, დაუცხრომელი მოღვაწეობა უწინარეს ყოვლისა თურქ-სელჯუკთაგან ახრებელი ქვეყნის კრილოზების მოშუშებისაკენ იყო მიმართული. სხვა მრავალ უბედურებასთან ერთად, რაც „დიდმა თურქობამ“ თავს დაატეხა ჩვენს ქვეყანას, მომთაბარეებმა „დაწუხეს... უღაბნონი კლარჯეთისანი“¹, რომლებიც იმდროინდელ საქართველოს განათლების ვერებს წარმოადგენდნენ. შირთალია, საქართველოს „სინაჲ“-ის ანუ კლარჯეთის „ათორმეტ“ სავანეს და საერთოდ ქართული კულტურის ვერებს ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ვერ კიდევ მე-11 საუკუნის პირველ მეოთხედში, ბიზანტიის კეისრის ბასილ II ზულგარომმძუსერგლის შემოსევის და ქართველთა და ბერძენთა შორის გაჩაღებული დიდი ომიანობის შედეგად ძველი ბრწყინვალეა მოაკლდათ, მაგრამ მათი ძირფესვიანად განადგურება და გადაწვა თურქ-სელჯუკთა „დამსახურებმა“.

დავით მეოთხის აღმშენებლობით საქმიანო-

ბაში ერთ-ერთ საპატრიო ადგილზე დგას სწორედ გადაბუგულ ქვეყანაში დროებით ჩამკვდარი სავანეანათლებლო საქმიანობის განახლება და ეპოქის შესაბამისად მისი თვალსაჩინოდ დაწინაურება.

როდესაც სელჯუკები წინანდებურად უკვე პარპაშს ვეღარ ბედავდნენ საქართველოს მიწა-წყალზე, და ვარდა ამისა, თითქმის ასი წლის განზე დგომის შემდეგ 1105 წელს ერწუხის „ქმა-გასმენილა“ ბრძოლით დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ შემოიერთა პერეთ-კახეთი ერთიან საქართველოს, მან, მისი ისტორიკოსის სიტყვით, იხება „აღმშენება მონასტრისა და დამტკიცა რომელიცა გამოირჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოვლად შეუნიერსა და ყოვლითურთ უნაკლოსა... რომელი ზეშთა მმეტს შეუნიერებასა ყოველთასა“².

ლაპარაკია გელათის ღვთისმშობლის მონასტრის „აღმშენებაზე“, რომელიც 1106 წელს დაწყებულა. ამ მონასტრთან, როგორც ეს დღეს დადგენილია, არსებობდა მძლავრი სასაწყალო-სამეცნიერო კერა, აკადემიის ტიპის უძველესი სასწავლებელი, სადაც დავით აღმაშენებელმა თავი მოუყარა საქართველოსა თუ მის გარეთ მოღვაწე გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს: „მუნვე შემოკრიბნა კაცენ პატროსანანი ცხოვრებითა და შეგუენლი ყოვლითა საინოებითა, აჩა თჳთთა ოღენ სამეფოთა შინა პოვნინლი, არამედ ქუეყანასა კიდეთა სადათცა ესმა ეითმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და კორციელათა სათნობითა აღსაესეობა... მოიყვანნა და დამკვდრნა მას შინა“³.

ღვთისმშობლის მონასტრთან აკადემიის და-

იხებდება თბილისის ხახლამიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის პროფესორ მ. მესხიას რეკომენდაციით.

¹ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, 1, 1955.

¹ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, 1, 1955 წ. გვ. 329-330.

² ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, 1948, გვ. 8-15.

³ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 330.

ფეშენბა მომხდარა 1106-1110 წლებს შორის. სწორედ ამ წლებში „ეკლინსა შინა გენათი-სასა“ დიდმეცოდნე საქართველოში მეორედ ჩამოსული დიდი ქართველი მეცნიერი იოანე პეტრიწი, მრავალჯის დევნილი, ამჯერად დავითის „წყალობისა“ და „თანადგომისა“ მოიმედ.

გელათის მონასტრთან აკადემია რომ დაარსდა, ამაში საკვირველი არაფერია; შუა საუკუნეებში აკადემიები სწორედ სამონასტრო სისტემაში შედიოდნენ; ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე მონომახის მიერ 1044-1047 წლებში დაარსებული აკადემიაც ხომ მანგანის მონღა გიორგის მონასტრის სისტემაში ირიბ-ბეობდა.

გელათის აკადემიაში მისი დაარსების პირველ წლებშივე იოანე პეტრიწს ვაჩაძე, მოღვაწეობს ასევე დიდი მეცნიერი არსენ აყალთოელი, რომელიც იოანე ტარიძის ძესა და თეოდორე ხუციშვილისთან ერთად, 1114 წელს მისულა საქართველოში¹.

იმდროინდელ უძლიერეს, ზოგჯერ განსხვავებულ მსოფლმხედველობათა მქონე (ილიარიებულა, მავალითა, რომ ორი დიდი ფიგურა ამ ეპოქისა იოანე პეტრიწი და არსენ აყალთოელი ერთადერთის იდეურია მოწინააღმდეგეები იყვნენ და მანგანის აკადემიაში ცნობილი აზრთა კიდილი აქ მათს დამარცხებაში პოულობდა გაბრძნობას) ქართველ მეცნიერთა დამყიდრებმა გელათში განსაზღვრა აკადემიის სამეცნიერო მოღვაწეობის ფართო მისწრაფებები: ისევე როგორც მე-12 საუკუნეში გაძლიერებულ ქართულ საზღვარგარეთ აცხადებს პრეტენზიას ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ შეწყვიდრებობაზე (დავითის ისტორიკოსის სიტყვით, დავითმა „სულტანი დასუა მოზარედ თჳსა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახელური თჳსი“), ასევე მე-11 საუკუნის მიწურულში, მანგანის აკადემიის დაცემისა და სელჩუთა მიერ იერუსალიმის შევიწროების შემდეგ, დავითის ისტორიკოსის თანახმად, გელათის აკადემია „მ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულბისად, სხუად ათინად“².

იერუსალიმისა და ათენის შეერთებით ერთი ცნების — გელათის — ქვეშ დავითის ისტორიკოსი ზაზს უსყვამს გელათის აკადემიაში გაზღვი როგორც საღვთისმეტყველო, ისე საფილოსოფიო მუშაობას. „ათენთან შედარებუ, წერს ავად. შ. ნუცუბიძე, რომელსაც ქართვე-

ლი მემბრანე აცითებს, უპირველეს ყოვლისა, იდეოლოგიურ შედარებას ნიშნავს და ყოველ შემთხვევაში, საკვლეო იდეოლოგიიდან დამოუკიდებელი უნდა იყოს. ამდენად, იგი უფრო მეორე—საერთო ნაკადის მომასწავებელია მე-11 საუკუნის იდეოლოგიურ ბრძოლაში“¹.

დავით აღმაშენებელმა მისივე თაოსნობით დაფუძნებული გელათის აკადემია მატერიალურად საესეებით უზრუნველყო. მან მრავალი ძვირფასეულობა შესწირა გელათის ღვთისმშობლის მონასტრსა და, მასთანადავე, მის სისტემაში შემაველ აკადემიას. მონასტრის განმგებლობაში „მრავალთა და სამართლიანთა უსაზრღელ — მიუხეველთა სოფელთა თანა“ დავითმა გადასცა „მამული ლაბარტეთა“, რომელიც „უმკვდროდ დარჩომილ იყო“. როგორც აღნიშნულია, აქ „ლაბარტეთი“ ლიბარტის საკლთარ საგვარეულო მამულს გულისხმობს (გ. დონდია), რომელიც ისტორიულ არგვეთში მდებარეობდა. ერთი სიტყვით, დავით აღმაშენებელმა მონასტრის „უზრუნველი ტრამეზი განუჩინა“².

ამისთანავე ირკვევა, რომ აკადემიისათვის სამონასტრო სისტემაში გამოყოფილი იყო კაპიტალური, გრანდიოზული, საერთო-სამშობაქმო ხასიათის შენობა³.

გელათი, ვითარცა სამეფო მონასტერი, განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა. თავის საქმეებს თვითონ ვაზაგებდა, უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა.

საერთოდ ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი დიდ უურადლებას აქცევდა სამეფო მონასტრების მშენებლობას (ასეთები იყო შიომღვიმე, გელათი, დავითგარეჯი და სხვა), მაგრამ გელათის მონასტრის მნიშვნელობა, როგორც სრამს მასთან არსებული აკადემიის წყალობითაც იმდენად დიდი ყოფილა, რომ მე-14 საუკუნისათვის, „ქელმწიფის კარის გარებების“ დაწერისას, მხოლოდ გელათის შემოტრენია განსაკუთრებული უფლებები; მის გარდა, „გელათისაგან კიდე საუღარ(ნი) და სხუანი მონასტრები და ეკლესიანი, ხუციანი და მონაზონნი“ და რაც საეკლესიონი დასნი არიან, ეველა მკონდიდლის და საწოლის მწიგნობრის საქელოსის(ა)⁴.

ისმის ვითხვა: რატომ მინდინდამინე გელათში დაარსდა სასწავლო-სამეცნიერო კერა, აკადემია? მკვლევართა აზრი, თითქმის დავით აღ-

1 შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 11, 1958 წ., გვ. 12-13.
2 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 330.
3 ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, გვ. 19-32.
4 განრთვება ქელმწიფის კარისა, იგ. ჭავჭავიძის გამოცემა, ქართველი ერის ისტორია, ტ. 4, 1967 წ. გვ. 444.

1 ვ. ჩაქვატაძე, გელათის აკადემია, 1958 წ., გვ. 17.
2 კ. კვეციანი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, ძველი მწერლობა, 1960 წ., გვ. 274.
3 ქართლის ცხოვრება 1, გვ. 330-331.

მაშენებლის არჩევის გელათზე შეჩერების მოთავარი მიზეზი მისი იმდროინდელი სატახტო ქალაქის ქუთაისთან სიახლოვე იყოს (ამ გაჩვენებას, მაგალითად, განსაკუთრებით უსვამს ხახვ. ვ. ჩიკვტიძე თავის ნარკვევში „გელათის აკადემია“ გვ. 16, 49 და სხვა), მთლად დამაჯერებლად ვერ უნდა გამოიყურებოდეს; დავით აღმაშენებელმა ხომ არა თუ მხოლოდ თბილისი შემოურთა საქართველოს და კვლავ სატახტო ქალაქად აქცია იგი, არამედ მისი სპარსანებელი განაერყო „ნიკოფსიტვან და რუბანდისა ზღუადმდე და ოფსეთიდგან... ირევიამდე“¹.

დავით აღმაშენებლის (რომლის სამეფო მე-12 საუკუნის დამდევის, იმჟამად იერუსალიმის მყოფი პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ზეცესა ინსულუსის სიტყვით „მიდიელთ და სპარსთა წინაღმდეგ“ ევროპულ ჭვაროსანთა წინა ბურჯი“ იერუ), გადაღებული ამოცანა იქნებოდა, რა თქმა უნდა, სატახტო ქალაქის აღმოსავლეთ საქართველოში გადმოტანა, რადგან სმხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრებიდან მომთაბარეთა ხშირი შემოსევის საფრთხე აუცილებელს ხდიდა სამეფო ხელი-სუფლების განუწყვეტელ ზრუნვას აღმოსავლეთ საქართველოსადმი. ხომ ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლისაგან დამინებელი თურქ-სელჩუკები მხოლოდ მაშინ ბედადნენ აღმოსავლეთ საქართველოს საოკრების „მონღოურებას“, როდესაც დავითი ლიხთ-იმერეთს ეგულუბოდათ. ისიც ცხადია, რომ დავით აღმაშენებელი თბილისის განათვისუფლებამდე უფრო მეტად ნაპარპაგვილად განაგებდა ქვეყანას, ვიდრე მაშინდელ ოფიციალურ სატახტო ქალაქ ქუთაისიდან.

ჩვენ მივახანია, რომ ქალაქ ქუთაისთან, ვითარცა დასავლეთ საქართველოს უძველეს და უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ცენტრთან, სიახლოვეს გელათში აკადემიის დაფუძნებისათვის ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ ეფიქრობთ, დასავლეთ საქართველოში (ეგრძოდ, გელათში) მძლავრი სასწავლო-სამეცნიერო კერის შექმნის გარდამწყვეტი მიზეზი სულ სხვა უნდა იყოს:

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველო ადმინისტრაციულ-ეკლესიურად მე-9 საუკუნემდე კონსტანტინებოლის საპატრიარქო კათედრას ემეფებებარებოდა. მე-10 საუკუნის დასაწყისიდან კი დასავლეთ საქართველოს სა-

ეკლესიო ოლქები აღარ იხსენიებიან ბიზანტიურ ეკლესიებში.

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ოლქებში, ვიდრე ისინი კონსტანტინებოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში შედიოდნენ, ღვთისმსახურება ბერძნულ ენაზე წარმოებდა; და როდესაც არ უნდა მომხდარიყო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმაცია — მისი კონსტანტინებოლის საპატრიარქოდან ჩამოცილება და მცხეთის საკათალიკოსოსთან დაკავშირება — საქართველოს გავრთიანებისათვის ეს ფრიალ მნიშვნელოვანი მოვლენა მე-9 საუკუნეში თუ მე-10 საუკუნის დამდეგს, რა თქმა უნდა, მისი მთლიანი გაქართულება და ბერძნული ეკლესიის გავლენის აღმოფხვრა არც ისე ადვილი საქმე იქნებოდა. ამიტომე ქართლისაჲ-ის ავტორის სიტყვებში: „ამანვე დიდმან მეფემან (ივლისხმება გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III — ა. ა.) აღაშენა საყდარი ბუდიისა, და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცეალა, მუნ გადაყვასა საეპისკოპოსოჲ. აჲდ. 6. ბერძენიშვილის აზრით, „დაცული უნდა გვეთქვინეს ცნობა იმისა, თუ როგორ აუქმებდნენ აფხაზთ მეფეები ბერძნულ საეპისკოპოსოებს და მათ მაგიერად, ჭმინდნენ ქართულს“².

ჩასაკვირველია, დავით აღმაშენებლის დროს დასავლეთ საქართველოში ბერძნული საეპისკოპოსოების არსებობა წარმოუდგენელია (თუ სადმე ბერძენთა კომპაქტური მისახლეობა, გამოწვევისის სახით, ეს სხვა ამბავიჲ და იმის შესახებაც ახრთა სხვადასხვაობაა, დავითის დროსვე ჩამოყალიბდა გელათში საეპისკოპოსო კათედრა თუ უფრო გვიან, მე-16 საუკუნის 20-იან წლებში, მაგრამ ეფიქრობთ დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესია-მონასტრების გამრავლება ამ ეპოქაშიც, ეგრძოდ გელათში მონასტრისა და მის სხეულშია აკადემიის დაფუძნება მიზნად ისახება ლიხთ-იმერეთში ქართული მწიგნობრობის გავრცელების ტრადიციების კიდევ უფრო მეტად გამძლიერებას.

თუ მართლა იმდროინდელ სატახტო ქალაქ ქუთაისთან სიახლოვე იყო მოთავარი მიზეზი გელათში აკადემიის დაარსებისა, მაშინ სულ მალე, 1122 წლიდან, როცა გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქად თბილისი აქცია დავით აღმაშენებელმა, გელათის აკადემიის დაყენება უნდა ეწყო, ისეც წარმოუდგენია ვ. ჩიკვტიძეს, რომელსაც თავის ნარკვევში აკადემიის არსებობის თავისებური პერიოდისათვის მოუცია, სადაც განვითარების პირ-

1 ანდრეი დავით აღმაშენებლისა, ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა. ტ. 2, 1966 წ., გვ. 19.

2 შ. მესხია, შოთა რუსთაველის ეპოქა, იხ. საიუბილეო კრებულები: „თბილისის უნივერსიტეტის შოთა რუსთაველს“, 1966 წელი; გვ. 26.

1 ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია მე-4 ბ. 1952 წ., გვ. 126-202.

2 ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 281.

3 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საიტებში 111, 1966 წ., გვ. 52.

ველ ეტაბად 1110-1122 წლები დაუსახავს და თორმე „ეს ეტაპი გელათის აკადემიის ბრწყინვალე აღმავლობის, მისი ზენიტში ყოფნის ხანაა“¹. ასეთი მსჯელობა — დაარსების პირველივე წლების განვითარების ზენიტად გამოცხადება — ცოტა არ იყოს, ალოგიკურია.

სინამდვილეში ჭევენის საერთო აღმავლობის წყალობით გელათის აკადემია ბრწყინავს მთელი მეოთხმეტე საუკუნის მანძილზე. სხვათა შორის, აკად. კ. კეკელიძის აზრით, აქ უნდა იყოს თარგმნილი ღმერთებ პირველის დროს (1125-1155 წლები) იოანე ქსიფილინოსის შედარებები, რომელიც ბეჩინულ ენაზე არ შე- მონახულა და ამდენად ქართული თარგმანი ავსებს უდიდეს ხარვეზს სასულიერო შერ- ლობის ისტორიაში. ამ კამბალური შრომის თარგმანი კორნელი კეკელიძის თქმით, ეკუთვნის იოანე პეტრიწის ერთ-ერთ მახლობელ შე- გარამს².

გელათში უფრო და უფრო მეტი რაოდენო- ბით შემოკრბნენ ფილოსოფოსნი, მთარგმნე- ლები, შერლები, პოეტები და სხვანი; გელა- თის აკადემია, აკად. შ. ნუცუბიძის სიტყვით რომ ვთქვათ, „ქართული რენესანსის იდეო- ლოგიურ ცენტრად“ გადაიქცა³.

გელათის აკადემია ხდება ხოტბის საგანი სა- ხელოვანი იოანე შავთელისა, თამარის თანა- მედროვისა, რომელსაც თავისი ოდა 1210-1212 წლებში, გელათის აკადემიის არსებობის მეო- რე საუკუნის დისაწყისს, დაუწერია: „ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა“ და შემდეგ: „ენატი ელადას, თვით მას გელათსა“⁴.

გელათის აკადემიის ზელმძღვანელო, რექტო- რი, შამინდელი ტერმინოლოგიით მოძღვართ- მოძღვარი ფრად პატრიკვემელი პიროვნებაა სამეფო კარზე, სადაც მას დროდარო იწვე- ვენ ხოლმე და სადაც იგი თავისი მოწადებების თანხლებით მობრძანდება. კარის გარიგების მიხედვით „მოძღვართ-მოძღვარს უფრო მეტი პატივი აქვს, წერს აკად. ე. თაყაიშვილი, ვიდრე ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსებს. პატივი მისი სწორია ჭყონდიდლის პატივისა, მაგრამ ზოგჯერ ამასაც მეტობს, უფე მას ეპყ- რობა განსაკუთრებულის ურადღებით და გან- საკუთრებულის პატივის მინიჭებით როდესაც მოძღვართ-მოძღვარს დაბაზს მიიწვევენ, მას უნდა ახლონ დაბაზის ერნი... კარის გარიგე- ბაში ასე სწერია: „მოძღვართ-მოძღვარი დარ- ბაზს აწვიონ, და შინაური დაბაზის ერა უნდა და ერთი კარი და სამი ცხენი მოძღვართ-

მოძღვარისათჳს და ორნი მისთა მოწოდებულნი (სტრიქონი 302-304). კარის გარიგებაში, სადაც სამი წარწინებული ზაბაზისნი ბერნი წესდებენ, ე. ი. ჭყონდიდელი, ქართლის კათალიკოსი და აფხაზეთის კათალიკოსი, პირველი ადგი- ლი ყოველთვის მოძღვართ-მოძღვარს უჭირავს, პირველად ყოველთვის მოძღვართ-მოძღვარი მოსხებულთა“¹.

მართლაც, კარის გარიგების მიხედვით, დაბ- ბაზს მიწვეულ მოძღვართ-მოძღვარს „მეფე ნოთა პირსა მოეგებვის“, მაშინ როდესაც კა- თალიკოსთათვის, ჭყონდიდელისა და სამთა ვეზირთათვის: „თაბავსა, ამირსპასალარის თუ მანდატურთ-უხევესისათვის მეფემ „ნოხსა ზედა მესამედი წამოიაროს“².

უქრობენ, რომ გელათის აკადემიის პირვე- ლი მოძღვართ-მოძღვარი, რექტორი, იოანე პეტრიწი იყო.

როგორც ზემოთ აღნიშნულია, გელათის აკა- დემია წარმოადგენდა არა მარტო სამეცნიერო, არამედ სასწავლო ცენტრსაც უმაღლეს სასწაე- ლებებს; პროფ. ს. ყაუხჩიშვილის თანახმად, გელათის აკადემიაში „დისციპლინათა სწავლე- ბა აგებული უნდა ყოფილიყო ცნობად სისტე- მაზე trivium-quadrivium, ე. ი. ისწავლებო- და შეიდი დისციპლინა: გეომეტრია, არითმე- ტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილო- სოფია, ასტრონომია“⁴, რადგან ბიზანტიის ბევრ უმაღლეს სკოლაში სწორედ სწავლების ასეთი სისტემა არსებობდა. ამას აფორმბო- ნებს პატრიკვემულ მეცნიერს აგრეთვე იოანე პეტრიწის ორიგინალური ნაშრომის „განმარ- ტების“ ბოლოსიტყვაობაში დაცული ცნობები, თქმაც, როგორც თვითონვე შენიშნავს, ეს ბოლოსიტყვაობა საქმოდ არეული და დამა- ზინებელი სახითა ჩვენად მოღწეული და აღნიშნული საკითხი საბოლოოდ დადგენილად ვერ ჩიითფლება.

ქვე კიდევ პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილმა ივა- რაუნდა და სხვა მკვლევარები უაქველად ცნო- ბენ, რომ გელათის აკადემიაში ისწავლებოდა მედიცინაც. ღვათი აღმაშენებლის ისტორი- კოს გელათში მონასტრისა და აკადემიის და- არსების შემდეგ, უშუალოდ მოთხრობილი ქვეს დავითს შიგრ ქსენონის, საავადმყოფოს, „აღშენების“ შესახებ: „ამან უზემთავსმან და ღმართი-განბრინობლმან შეფებან ღვათი“⁵ „ყოლად სხუა შოიგონა საქმე, შემსგავსებუ- ლი მოწყალისა და ტბილისა ღმრთისა სახისა, კაცთმოყუარებნისა თვისის: აღაშენა ქსენონი

¹ ე. ჩავეტაძე, გელათის აკადემია, გვ. 43.
² კორნელი კეკელიძე, დასახელებული ნაშ- რომი, გვ. 506.
³ ჭელი ქართული ლიტერატურის ქრესტო- მათია, სოლომონ ყუბანეიშვილის შედგენილი, 2, 1949 წ., გვ. 209.

¹ ექვთიმე თაყაიშვილი, ტელმწიფის კარის გარიგება, 1920, გვ. XXIX.
² ქართველი ერის ისტორია, წიგნი 4, გვ. 454-455.
³ ე. ჩავეტაძე, გელათის აკადემია, გვ. 41.
⁴ ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, გვ. 15.

ადგილს შემსრავლებულა და შეეწინააღმდეგება, რომელსაც შინა შეკრებიან მშანი, თუთოსახითა სენითა განდებულნი და მოეშადა ყოველი საქმითი მათი¹.

პროფ. ს. ყუბნიშვილი იმ მოსახრებით, რომ ბიზანტიაში ცნობილია სისტემა დიპლომატიის: მონასტერი, უმაღლესი სკოლა, ქსენონი², ვარაუდობს დავითის მიერ ქსენონის აგრეთვე გელოში აგებას.

ქართული მედიცინის ისტორიის ერთ-ერთ მკვლევარს მიხედვით შენგელის უმეტესად მიანიჭა გელათში ქსენონის არსებობა და ავადმჯობინაში მედიცინის სწავლებაც. მისი აზრით, „გელათის საეპიმო საქმიანობასთან და უმაღლესი სამედიცინო განათლების არსებობასთან უნდა იყოს დაკავშირებული არსენ იყალთოელის მიერ ფიანე დამასკელის „ვარდამოცემას“ მკორედ ვადმოლება ქართულ ენაზე (აღრე ის თარგმანი იყო ეფრემ მცირის მიერ) და იოანე პეტრიწის მიერ ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისას“ ვადმოლება ბერძნულად; ორივე ეს დიდმნიშვნელოვანი საშუალო გელათში მათი მოღვაწეობის პერიოდს ეკუთვნის³. რაც შეეხება „ბუნებისათვის კაცისას“, მ. შენგელის აზრით, „მისი თარგმანი გელათის ავადმჯობინების სამსახურად საკურობებით იყო გამოყენებული“⁴, ასევე ავად. ივ. ბერტიანელიც თავის ნაშრომში „მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში“ მიუთითებს, რომ გელათის ავადმჯობინი ისწავლებოდა მედიცინა და „ბუნებისათვის კაცისას“ სახელმძღვანელო იყო განკუთვნილი⁵.

ვარაუდობენ აგრეთვე, რომ გელათის ავადმჯობინაში აშუალებდა მხატვრებს, ფერწერის ოსტატებს, რომ მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული თეატრული ხელოვნების წინსვლის საქმეშიც.

ფიქრობთ, გელათის ავადმჯობინი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე საერთოდ მსოფლიო ისტორიისა და განსაკუთრებით საქართველოსა და ავგასიის წარსულის შესწავლას. როგორც აღნიშნავენ მანგანის ავადმჯობინი ისწავლებოდა ისტორია (როგორც საერთო, ისე რელიგიის) და ლიტერატურა (საბერძნეთის, რომელიც)

მისი; მკვრამ რაც მოეგარია, ჩვენ ამას გვეფიქრებინება მაშინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის ხასიათი, იმ ენაქმის სწავლის გათვალისწინება, როდესაც გელათის ავადმჯობინა დაარსდა.

აღსანიშნავია, რომ იოანე პეტრიწის გელათში უთარგმნია საისტორიო თხზულება ცნობილი ენბარე ისტორიკოსის იოსებ ფლავიოსის (I საუკუნე წ. ერ.) „იოსამოსის წიგნი პერიკლესა“, — რომელსაც ეწოდება „მოთხრობანი იუდაებრივისა სიტყუადასამობისაჲ“ ან დასაბამისტყუებისაჲ⁶. ისიც საყურადღებოა, რომ სწორედ მე-12 საუკუნის დამდეგს უთარგმნია არსენ იყალთოელს მიეცხრე სუფიანის ბიზანტიელი ისტორიკოსის ვიორგი ამარტოლის ქრონოგრაფი, რომელიც მსოფლიოსა და ბიზანტიის ისტორიის ფართოდ ვარაუდებულ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა; მასში მსოფლიო ისტორია მოცემულია ადამიდან ეფრემ კეისარ თეოფილეს ვარდამოცემამდე (842 წ.), თუმცა ქართულ თარგმანი თვალისა დიდის (379-395 წლები) მეფობის აღწერაზე წყდება. ფიქრობთ, აღნიშნულ თხზულებების მიანიჭა დამნიჭე XII საუკუნის დამდეგს ვადმოლება ქართულ ენაზე პრაქტიკული საკურობებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

მკვრე მხრე მე-12 საუკუნეში ეხედვით პეტრიწის სალიტერატურო-საფილოსოფიო სკოლის წარმოადგენლებს, რომლებიც ფრიად საინტერესო საისტორიო თხზულებებს ვერცხვებენ: ასე მაგალითად, „ისტორიან“ და აზმანი შარავანდელისაინის“ ავტორის სიტყუით, დავით აღმაშენებლის ძის, დემეტრე პარეელის (1125-1155 წლები) „დიდებითა სიმშინთა და გუართთა ცხოვრებასა ალმარენს იოანე ფილოსოფოსისა კიმშიმლისა შესხმა-მოთხრობა“⁷. სამწუხაროდ ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. შემოწახულა პეტრიწის სკოლის ტრადიციების მიმდევარის კათალიკოს ნიკოლოზ გულბერისის (ზეობის წლები დაახლოებით 1150-1178) ერთი თხზულება „სახეობანი სუეტისა ცხოველისა, კუართისა სოფლომასა და კათალიკე ეკლესიისაჲ“, რომელიც ავად. ქ. კეკელიძის სიტყუით, „მეტად საყურადღებო ისტორიულ ცნობებს შეიცავს ქართველთა ვაქრისტიანების ისტორიიდან და დიდ ინტერესს წარმოადგენს იდეური მხრით“

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 334.
² სიმონ ყუბნიშვილი, გელათის ავადმჯობინა, გვ. 34.
³ მ. შენგელია, მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში, 1961 წ., გვ. 120.
⁴ იქვე, გვ. 122.
⁵ მ. შენგელია, დასაბულებული ნაშრომი, გვ. 123, შენიშვნა 3.
⁶ ვ. ჩაკვატაძე, გელათის ავადმჯობინა;

¹ გ. თაყიშვილი, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, 1938 წ., გვ. 6-7.
² ქ. კეკელიძე; დასაბულებული ნაშრომი, გვ. 286.
³ იქვე, გვ. 277; მისივე, ერთეულები ჯელო ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, 1956 წ., გვ. 250-265.
⁴ ქართლის ცხოვრება, ტ. 2, 1959 წ., გვ. 3.

თავ¹. სხვათა შორის, პირველად ნიკოლოზმა დასვა საკითხი, თუ რატომ მიიწოდებოდნენ ქალმა, წმინდა ნინოს სახით განიანთლა აერო იგი საზღაპრო² და ამოცანა თავისებურადვე გადაიჭრა³. ისიც გამოკვლეულია, რომ თამარის პირველი ისტორიკოსი, ავტორი „ისტორიანი და აზნანი შარავანდედთანი“⁴-სა უხვად სარგებლობს პეტრიწის როგორც ლექსებით, ისე მისი აზრებით... იგი, წერს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, „პეტრიწისაგან ნასესხები აზრების საფუძველზე აგებს ზოგჯერ თავის მსჯელობას“⁵. ამასვე დროს, როგორც მრავალჯერის არის აღნიშნული, ავტორი „ისტორიანი და აზნანი შარავანდედთანი“⁶ ფრადე განათლებული ისტორიკოსია, იცნობს როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ისტორიასა და ლიტერატურას, ზედმიწევნითაა გარკვეული არა თუ თავისი დროის საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ყოფაში, არამედ მის წარსულშიც. მის შრომაში, მაგალითად, დავით აღმაშენებლის ეპოქის შესახებ მრავალი ისეთი ფაქტია აღნიშნული, რომელსაც დავითის ისტორიკოსის თხზულებაში ვერ ვპოულობთ; ცხადია, ამის შესახებ მან სხვა წყაროებიდან, როგორც ფიქრობდა, თვით უცხოური არხებიდანაც კი უნდა იცოდეს.

დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ მე-12 საუკუნის დამდეგისათვის, გელათის აკადემიის დაფუძნების მომენტისათვის, ქართული საზოგადოებრივი აზრი მრავალ საკვირბოროტ საკითხს დასტრიალებს თავს; მოვიგონოთ, მაგალითად, ქართული ეკლესიის დარსტუმრის დასაქველ მე-11 საუკუნეში გიორგი მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის მოღვაწეობა, ლეონტი მროველის კონცეფცია კავკასიელი ხალხების საერთო წარმოშავლობის შესახებ და ამით თავისებური შეზღადება ნიადაგის საერთო კავსაიურა სახელმწიფოს შექმნისათვის, ბოლომოუღებელი საწმენოებრივი დავა ქართველთა და სომეხთა შორის, რთულსაც საფუძვლად რასაკვირველია პოლიტიკური სარჩული ედვა; დაპირისპირება ყოველგვარი ბერძნული სამი ქართლისა და სმირად ქართლისადმი უპირატესობის მიწიქება.

საერთოდ, საკვირბოროტო საკითხთა წრე, რომელსაც იმდროინდელი ქართველი საზოგა-

დობა დაუფიქრებია, საქმაოდ ფართოა და ქართველ მეცნიერთა მიერ ამ საკითხების გადასაჭრელად, ვფიქრობთ, ბელსასტრელი პირობები უნდა შექმნილიყო სწორედ იმდროინდელი ქართული მეცნიერების ტაძარში — გელათის აკადემიაში.

ნაშინდობლივია ის გარემოებაც, რომ აკად. ე. თაყაიშვილის აზრით, ქართული სახელმწიფოებრიობის შესასწავლად ესოდენ მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორც კელმწიფის კარის გარეგნება⁷, გელათში უნდა იყოს დაწერილი.

გელათის აკადემიის ძლიერების ხანა მე-12 საუკუნე და მე-13 საუკუნის დამდეგია; საერთოდ კი იგი არსებობას განიგრძობს მე-16 საუკუნის დასაწყისამდე. ამის შემდეგაც არ წყდება გელათში კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობა, რაიც უპირატესად იხსნება კათოლიკოსებზე ევდომენ პირველი ჩხეტიძისა (1557-1578) და ევდომე პირველი საყვარელიძის (1578-1616) მიერ სხვადასხვა ძვირფას ხელნაწერის გამარჯვებინებაში გამოიხატა. იმდენად ცოცხალადაა შემონახული ხსოვნა გელათის ოდინდელი ძლიერების შესახებ, რომ ბაგრატ იმერთა მეფის მიერ გელათისადმი ბოძებულ 1545 წლის შეწირულების სიგელშიც კი „გვიანის საყდარს“ მდგრატება სახელწოდება „დილისა“, „ხესთა-აღმატებულისა“, „ახლასა იერუსალიმისა“⁸. მაგრამ სინამდვილეში იმდროინდელი აქ გამოალი კულტურული მოღვაწეობა მხოლოდ არაღილს თუ წარმოადგენს მეცნიერების მძლავრი ტაძრის — გელათის აკადემიის წარსული დიდებისა; ისევე როგორც გელათის იმდროინდელი მფარველი იმერეთის სამეფო ერთი უმწეო ნაშეერთაგანია ოდინდელი ძლიერი ქართული სახელმწიფოსი.

საერთოდ უნდა დავსძინოთ: იმდენად ძლიერ საფუძველზე იყო შექმნილი გელათის აკადემია, რომ იგი საოცრად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. როგორც აღვნიშნეთ, ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად საბოლოოდ დაშლის შემდგომაც კი იგი ერთხანს კვლავ ფუნქციონირებდა; ამიტომაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ არა ეპოქა სამწიფო ევბედობა მოკიდებულ მე-13 საუკუნიდან, რომ არა „ეთისი რისხვა მოწვეული ქართველთა ზედა“, დღეს უხუცესი ტაძარი ქართული მეცნიერებებისათვის არსებობდა არა თუ ორმოცდაათს, უნაშნად 850 წელს მოითვლიდა.

1 ე. თაყაიშვილი, კელმწიფის კარის გარეგნება, გვ. IX-X.

2 ქართული სამართლის ძეგლები, ო. დოლიძის გამოცემა, ტ. II, გვ. 189;

1 კ. კეკელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 310.

2 იქვე.

3 ს. ყაუხჩიშვილი, „ისტორიანი და აზნანი“ და ორანე პეტრიწი. ქართლის ცხოვრება 2, 1959 წ., შესავალი ნარკვევი, გვ. 013.

რ. ბაგვაჩაძე

თბილისის უნივერსიტეტი და ქართული ლიტერატურისმცოდნეობა

ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა, რომელსაც საბატიო ადგილი უჭირავს მსოფლიო კულტურის საგანძურში. დიდი კულტურულ-ისტორიული და მხატვრული ღირებულება აქვს ძველ ქართულ ლიტერატურას (V-XVII სს.) იგი გვაცნობს ქართული ხალხის ისტორიული ცხოვრების გზას, მის პოლიტიკურსა და ეკონომიკურ მდგომარეობას, სოციალურ წყობას, ეთნოგრაფიას, სახელმწიფოებრივ მშენებლობას, საეკლესიო ორგანიზაციას. მას კარგად შევინახავს და დაუცავს ქართული ლიტერატურული ენა, შეუქმნა და განუვითარებია სინტერესო მხატვრულ-ლიტერატურული ტრადიციები.

ძველი ქართული ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა დღეს საყოველთაოდ აღიარებულია. მის შესწავლას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ცალკეული საკითხების შესწავლაზე მუშაობდნენ ჯერ კიდევ თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846) და ს. დოდაშვილი (1805-1836). მნიშვნელოვანი და საყურადღებო გამოკვლევები დაწერეს მ. ბროსემ (1802-1880), პ. იოსელიანმა (1809-1875), დ. ჩუბინაშვილმა (1814-1891), ალ. ცაგარელმა (1844-1929), ალ. ხახანაშვილმა (1866-1912), ნ. შარმა (1864-1934) და სხვებმა, მაგრამ მეფის რუსეთის სამეცნიერო ცენტრებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ძალიან მცირე ადგილი ეთმობოდა. საქართველოში ენერგიულად შრომობდნენ ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობით დაინტერესებული მეცნიერები: თ. ყორღანი (1852-1916), მ. ჯანაშვილი (1855-1934), ე. თაყაიშვილი (1863-1953), დ. კარიჭაშვილი (1860-1927) და სხვ., მაგრამ არ იყო მატერიალური ბაზა მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობის სისტემატური შესწავლისათვის.

ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერე-

ლი კვლევისათვის საჭირო პირობები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან შეიქმნა. დიდი ინტენსივობით გაიშალა მუშაობა ამ მიმართულებით თბილისის უნივერსიტეტში, სადაც ჩაყარა საფუძველი ძველ ქართულ ლიტერატურის ისტორიას, როგორც გარკვეულ სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინას. უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებში აქ თანამშრომლობდა ძველი ქართული ლიტერატურის რამდენიმე ცნობილი მეცნიერი (ალ. ცაგარელი, მ. ჯანაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ს. გოჩაძე, ე. კეკელიძე). მაგრამ სასწავლო-პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმართვა დაეკისრა პროფ. ე. კეკელიძეს, რომელმაც ღირსეულად შეასრულა ეს რთული, მაგრამ უაღრესად საბატიო მოვალეობა. ხანგრძლივი და დაუცხრომელი კვლევა-ძიების შედეგად ე. კეკელიძემ შექმნა ფუნდამენტური გამოკვლევები ძველი ქართული ლიტერატურის საკვანძო პრობლემებზე და გამოაქვეყნა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემატური კურსი ორ ტომად.

შემდგომი ე. კეკელიძის მხარში ამოუდგნენ მისი მოწაფეები, მათ შორის დღეს უკვე ცნობილი მეცნიერი ალ. ბარამიძე, რომელიც წარმატებით აგრძელებს ამ მუშაობას.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების დამუშავება ინტენსიურად წარმოება და და წარმოებს რესპუბლიკის რამდენსამე სამეცნიერო-კვლევით თუ სასწავლო-პედაგოგიურ დაწესებულებაში, მაგრამ ვადაუტარებლად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის ცენტრს წარმოადგენდა და წარმოადგენს თბილისის უნივერსიტეტი.

ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის აქტიულებელი წინაპირობა იყო

ხელნაწერების კლასიფიკაცია, სისტემატიზაცია. უნივერსიტეტმა თავის დროზე მიიღო ქართული ხელნაწერების ორი უმდიდრესი კოლექცია (საეკლესიო მუზეუმისა და ქართული შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა), რომელთა დაცვა, მოვლა და შესწავლა დაევა უნივერსიტეტის შეცნობილ ძალებს.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა დიდ ყურადღებას აქცევდა ხელნაწერთა კოლექციებს, გულდასმით ეკიდებოდა მათ პუბლიკაციასა და მეცნიერულ აღწერილობას (ე. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი). მართალია, არსებობდა ზოგიერთი ძველის პირველხარისხოვანი გამოცემა, მაგრამ ძველი ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკულ-აღმერთვით გამოცემის საქმე მისი ჩამორჩეობდა. ამ გარემოებამ განაპირობა ლიტერატურული ძეგლების კრიტიკულ-აღმერთვით გამოცემის წამოწყება. უნივერსიტეტის მეცნიერმა თანამშრომლებმა ენერგიულად მოაკიდეს ხელი ძეგლების პუბლიკაციას და გამოაქვეყნეს რამდენიმე ათეული თხზულების ტექსტი: „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ“ (ე. კეკელიძე, 1920 წ.), „შეშანიის მარტილოზა“ (ილ. აბულაძე, 1938 წ.), „ეგესტათი მცხეთელის მარტილოზა“ (ს. ყუბანეიშვილი, 1947 წ.), „აბო თბილელის მარტილოზა“ (ე. კეკელიძე, 1935 წ.), „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ (ე. კეკელიძე, 1935 წ.), „იოანე და ეკვიმე ათონელთა ცხოვრება“ (ი. ჯავახიშვილი, 1946 წ.) „ბლაგოარანი“ (ილ. აბულაძე, 1937 წ.), „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რუკები“ (ილ. აბულაძე, 1935 წ.), ირანე პეტრაფის შრომები (ს. ჯავახიშვილი და შ. ნუცუბიძე, 1937-1940 წწ.) და სხვ.

ყურადღება აქცეოდა ძველი ქართული საერო მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების გამოკვლევებისაც. კრიტიკულად იქნა გამოცემული „ვისსამიანი“ (ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა და ე. კეკელიძე, 1938 წ.), „აბირანდარეგანიანი“ (ს. ყუბანეიშვილი, 1949 წ.), „შაბ-ნამეს“ მეორე ტომი (ი. აბულაძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ე. კეკელიძე და ა. შანიძე, 1934 წ.), „ბარამგურიანი“ (ე. კეკელიძე, 1930 წ.), „ნარვიზოვანი“ (ალ. ბარამიძე, 1936 წ.), „ვახტანგვიანი“ (ს. ყუბანეიშვილი, 1948 წ.), „ქლილა და დამანა“ (ალ. ბარამიძე და პ. ინგოროყვა, 1949 წ.; ალ. ბარამიძე და ე. პეტრეველი, 1962 წ.) და სხვ. შეიკრიბა და გამოიცა თხზულებანი თეიმურაზ პირველისა (ალ. ბარამიძე და გ. ჯაფარიძე, 1934 წ.), არჩილისა (ალ. ბარამიძე და ნ. ბერძენიშვილი, 1936-1938 წწ.), ვახტანგ მეექვსისა (ალ. ბარამიძე, 1947 წ.), სულხან-საბა ორბელიანსა (ს. იორდანიშვილი,

1938-1949 წწ.), დ. გურამიშვილისა (ალ. ბარამიძე, 1931-1955 წწ.), ბესიკისა (ალ. ბარამიძე და ე. თოფჩია, 1932-1962 წწ.); ირანე პირანდელისა (ალ. ბარამიძე და ე. კეკელიძე, 1936-1948 წწ.) და ა. შ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი მუშაობა, რომელიც ჩატარდა „ეფთხისტყაოსნის“ ტექსტის დასადგენად. რუსთაველის პირველი იუბილეისათვის მზადების პერიოდში პოემის ტექსტის დადგენა დაევა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტს, რომელიც უნივერსიტეტთან არსებობდა. ტექსტის დამდგენ კომისიაში შედიოდნენ ე. კეკელიძე, ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, გ. ბერიძე, ი. აბულაძე, ს. ჯავახიძე, პ. ინგოროყვა, ე. კვიციანი, ს. იორდანიშვილი, კომისიის ხანგრძლივ მუშაობის შედეგად რუსთაველის პოემა, შესაძლებლობის ფარგლებში, გვიწმინდა გვიანი ხანის დამატება-დამახინჯებასაგან. იგი დაბეჭდა უნივერსიტეტის გამომცემლობამ 1937 წელს. შემდგომ წლებში ეფთხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეო კვლავ ინტენსიურად გრძელდებოდა. ამის შედეგად მომზადდა რუსთაველის პოემის ის ტექსტი, რომელიც ალ. ბარამიძისა და ა. შანიძის რედაქციით დაიბეჭდა 1966 წელს. ცალკე უნდა აღინიშნოს ა. შანიძის მიერ რესტავირებული ვახტანგისეული „ეფთხისტყაოსანი“ (editio princeps), რომელიც 1937 წელს გამოაქვეყნა უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

უნივერსიტეტში შეიქმნა საყურადღებო ნაშრომები სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ძველი კრებების ისტორიის გასაშუქებლად (ე. კეკელიძე, ლ. შენაბე).

წლებს მინიმალურ წარმოებას სასულიერო-საეკლესიო მწერლობის სტადანსტავა დარგის შესწავლა. სპეციალისტები თვითონ შრომებში სავანეებოდ სწავლობდნენ ბიბლიოლოგიის, ასკეტიკისა და მისტიკის, ეგზეგეტიკის, ჰომილეტიკის ცალკეულ პრობლემებს (ე. კეკელიძე, ა. შანიძე, ე. ხინობიძე). ასევე ნაყოფიერად მიმდინარეობდა მეცნიერული კვლევები ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის შესასწავლად (ე. კეკელიძე, ს. გორგაძე, შ. ნუცუბიძე, ს. ჯავახიშვილი). სავანეებო ყურადღება დაეთმო უნივერსიტეტში ქართული აგიოგრაფიის კვლევას, ის მითითებულებით ქართული ლიტერატურის ისტორიის ფსელაულებელი ამაგი დასლო ე. კეკელიძემ, რომელმაც ხანგრძლივი კვლევით მიღებული შედეგები განაზოგადა თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომში. მასში ღრმად და საფუძვლად არის გათხილული ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის თეოლოგია დარგი (ბიბლიოლოგია, აპოკრიფები, ეგზეგეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა, აგიოგრაფია, ასკეტიკა, მისტიკა, ჰომილეტიკა, კანონიკა, ლიტურგიკა, სასულიერო პოეზია). ეს წიგნი დაე-

ვირჯინება ავტორის მიერ წლების განმავლობაში წარმოებული დამატული და დაუცხრომელი კვლევა-ძიებისა.

ახვე უნდა აღვნიშნოთ ის დიდი მუშაობა, რომელიც ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ძეგლების შესისწავლად გასწია ო. ჯავახიშვილმა.

ქართველს ცხოველი კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელ ხალხებთან. ამიტომაც უნივერსიტეტის მეცნიერ-თა თანამშრომლები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას სწავლობდნენ და განიხილავდნენ სხვა კულტურულ ხალხებთან ლიტერატურული ურთიერთობის ასპექტში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქართული ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს. როგორც ცნობილია, დროთა განმავლობაში ბევრი ბიზანტიელი მწერლის თხზულება დაიკარგა, ზოლო მათი ქართული თარგმანი ვადარჩა. ამის გამო ისინი გაორკე-ვებულ ინტერესს იწვევდა. კ. კეკელიძემ ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოაქვეყნა მთელი წყუ-ბა ასეთი ძეგლების. ამ მიმართულებით განაგრ-ძობდა იგი მუშაობას უკანასკნელ დრომდე და გამოაქვეყნა რამდენიმე ათეული ასეთი ძეგლი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „იკონის“ ორი ტომი (1918-1946 წწ).

თავის გამოკვლევებითა და პუბლიკაციებით კ. კეკელიძემ მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია ქრისტიანული ლიტერატურის ყველა დარგს. მისი ხანგრძლივი მუშაობის შედეგების სიღრმე-ველზე ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობა ასე წარმოგვიდგება: „1. ქართულ ენაზე შემონახულია ისეთი თხზულებები ბი-ზანტიური ლიტერატურისა, რომელთა ბერძენ-ული ღვინები დაკარგულია და მათი აღდგენა მხოლოდ ქართული თარგმანითაა შესაძლებე-ლი; 2. ქართულ ლიტერატურაში შემონახულია ისეთი ცნობები ზოგიერთი ბიზანტიელი მწერ-ლის შესახებ, რომელნიც ავსებენ და ახალი ასპექტით აშუქებენ ამ მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებას; 3. ქართულ ლიტერატურას შემოუნახავს ცნობები ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში სრულად უცნობი მწერლების შესახებ; 4. ზოგიერთი ნაწარმოები ბიზანტიური ლიტერატურისა ქართულში შემოსულა ისეთი გაჩინებით, რომელიც სხვა აზრსა და მნიშე-ნელობას აქლევს ამ ნაწარმოებთ“. კ. კეკელი-ძის ძიებით ცხადი ვახდა, რომ ქართული წელი-ბი ბიზანტიურ ლიტერატურაში ამით არ ამო-წურება; ქართველებს საკუთარი შემოქმედებით გაჩვეული რელი შეურთლებიათ ბიზანტიური ლიტერატურის შევსება-გამდიდრებაში.

დიდად საყურადღებოა ძველი ქართული ლი-ტერატურის ისტორიის კათედრაზე შესრულე-ბული კამბალური ისტორიულ-ბიბლიოგრა-ფიული ხასიათის შრომები, რომლებშიც სის-

ტემატიზებულია ბიზანტიელ მწერალითა ინტე-ლებების ქართული თარგმანები (კ. კეკელიძე), 1941 წელს დაიბეჭდა „იკონის“ რედაქციის ავთოგრაფისა, სადაც შევაქმებულია ქართუ-ლად ნათარგმნი ავთოგრაფი უძველესი რე-დაქციისა (V-XI სს.), 1947 წელს — „Bibliot-lica Metaphrasica Georgica, რომლებშიც მეტაფრასული ავთოგრაფია გავეულია ფარ-თოდ; მხედველობაში მიღებულია არა მხოლოდ შარტილობა-ცხოვრებათ, არამედ კომპლექტი-ური თხზულებანიც. ამ საძიებლების წყალო-ბით შეიგნო მეცნიერებაში არსებული ვარკვე-ული ხარკევი.

სასულიერო-საეკლესიო მწერლობის შესწავ-ლით ნათლად ვარკვეა, რომ საერო მხატვრე-ლი ლიტერატურის აღმოცენებისათვის ნიადი-გი სწორედ მის წიაღში მომხადდა. საერო მხატვრულმა ლიტერატურამ სასულიერო-საეკ-ლესიო მწერლობიდან შემკვიდრებობით მიიღო სავენი და მამუშავეული ლიტერატურული ენა; განავითარა მისი მთავარი ენარკები (ეპო-სი, ლირიკა) და კომპოზიციური ზერხები, ავთო-გრაფიული და აპოკრიფული ბელეტრისტიკი-დან ააღო სატრფილო-სამეწერო და საეჭირო-სარიანდო მოტივები. ამ საკითხების შესწავლას მიეძღვნა ბევრი საინტერესო შრომა (კ. კეკე-ლიძე, ა. ბარამიძე).

უნივერსიტეტის მეცნიერი მუშაკები ყურად-ღებით ეკიდებოდნენ კლასიკური ხანის ქარ-თული ლიტერატურის ძეგლების („მხირანდა-რიქანიანისა“ და „ელსარამიანის“, „თამარიანი-სა“ და „აბდულმესიანის“) მეცნიერული შეს-წავლის საქმეს. ვარკვე მრავალი საცილობე-ლი საკითხი, დაზუსტდა არა ერთი სადავო ფაქტი (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ა. აბულა-ძე).

განსაკუთრებით სიყვარულითა და დიდი ინ-ტენსივობით წარმოებდა ჩვენი მდიდარი და ღრმამინაარსიანი ქართული სიტყვაკაშმული მწერლობის უკვეთი ჯეირგვისნი — „ვეფხის-ტყაოსნის“ შესწავლა. არ დაჩენილა თითქმის არც ერთი საკითხი რუსთველოლოგიიდან, რო-მელსაც არ შეხებოდნენ ძველი ქართული ლი-ტერატურის მკვლევრები. მათ აინტერესებდათ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა, მსოფლ-მხედველობა, პოემის სტრუქტურული შედგენილო-ბა, ჩანართი და დანართი, დაბოლოების საკითხი, ვარკველება-დამატებანი, სოციალური ვა-რემო, ტიპები, მხატვრული მხარე და ა. შ. ყურადღებას იქცევდა მომდევნო ხანის ქარ-თულ ლიტერატურაზე „ვეფხისტყაოსნის“ გავ-ლენის საკითხი და სხვ. (კ. კეკელიძე, ა. შინი-ძე, შ. ნუცუბიძე, ე. ბერიძე, ალ. ბარამიძე, ი. აბულაძე, ს. იორდანიშვილი, პ. ბერაძე, გ. ჯა-ბლაძე, ტ. რუხაძე, ლ. შენაბეძე, ე. ხინთიბიძე, ვ. აბაშაძე).

რუსთველისა და მისი უკვდავი პოემის მრავალწლოვანი შესწავლის შედეგებზე შეჯამებულ სახითა მოცემულია. ბარამიძის წიგნში „შოთა რუსთველი და მისი პოემა“.

ცხოველ ინტერესს იწვევდა XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა. ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარები სისტემატურად მუშაობდნენ ამ ხანის მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ეს მონაკვეთი საფუძვლიანად შეისწავლა კ. კეკელიძემ და სათანადო ადგილი მიუჩინა მას თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში, რომელშიც განხილულია აღორძინების ხანის ეპოსი (საგმირო, რომანტიკული, საზღაბრო, დიდებულებ-მოჩაღბრო, საისტორიო), ლირიკა (თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ვარსკვლავი ჩოლოყაშვილი, შამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი, ბესიკი, სათანოვას) და დრამა.

აღორძინების ხანის ქართული ძეგლების შესწავლის მიზნით ნაყოფიერი კვლევა-ძიება ჩატარა ალ. ბარამიძემ. უაღრესად მნიშვნელოვანია მისი ნარკვევები თეიმურაზ პირველის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ მეექვსის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, სათანოვასა და სხვა მწერალთა შესახებ. მასვე ეკუთვნის საინტერესო დოკუმენტები „რუსთველიანზე“, „ალექსანდრიანზე“, „ნარგიზოვანზე“ და ა. შ. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ავტორის „ნარკვევების“ ოთხტომეულში. აღორძინების პერიოდის მწერალთა შესწავლას მიეძღვნა ბევრი სხვა მონოგრაფიაც (ლ. შენაძე, გ. მიქაძე და სხვ.).

აღორძინების ხანის ლიტერატურის შესწავლისას დიდი ყურადღება ეთმობოდა ლიტერატურულ ურთიერთობათა გარკვევას. საგანგებოდ ისწავლებოდა ქართულ-სომხური და ქართულ-სპარსულ-ტაჯიკურ-აზერბაიჯანულ-უზბეკური ლიტერატურული ურთიერთობანი (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ა. აბულაძე, გ. ჯაფარიძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ილ. აბულაძე, დ. კობიძე, ილ. გეაბრია).

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ე. წ. გარდამავალი ხანის ლიტერატურის შესასწავლად. ამ ხანის ქართული ლიტერატურის შესწავლას მიეძღვნა ტ. რუხაძის შრომები: „ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში“, „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“, „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან“.

საყოველთაოდ ცნობილია, რა ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა რუსულმა ლიტერატურამ მუშობელ ხალხთა ლიტერატურის განვითარებაზე. სათანადო გამოკვლევებით ცხადი შეიქმნა, რომ რუსულ ლიტერატურას კარგად იცნობდნენ და მის ნიმუშებს თარგმნიდნენ

ძველი ქართული ლიტერატურის წარმომადგენლებიც.

ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლისას ყურადღება გამოიხატებოდა იყო შემდეგ საკითხებზე: 1. ცნობები რუსეთის შესახებ ქართულ წყაროებში და საქართველოს შესახებ რუსულ წყაროებში; 2. რუსეთში მცხოვრებ ქართველ მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება; 3. ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერები რუსეთში; 4. რუსული კულტურის გავლენა ქართულ ლიტერატურაზე; 5. რუსულად თარგმნილი ქართული თხზულებანი; 6. ქართული თემატიკის შეტრა რუსულ ლიტერატურაში. აღნიშნულ საკითხებს მიეძღვნა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის წევრთა (კ. კეკელიძე, ილ. ბარამიძე, ს. ყუბანეიშვილი, ლ. შენაძე, გ. მიქაძე, ლ. ჭოჭენიძე) რამდენიმე შრომა. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ტ. რუხაძის „ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“ (XV-XVIII სს), რომელშიც გამოკვლინებულია როგორც ძველი და XVIII საუკუნის რუსული ლიტერატურის ქართული ფოლკლორულ-ლიტერატურული წყაროები, ისე XVI-XVIII საუკუნეებში რუსულად თარგმნილი თარგმნილი ორიგინალური და უცხოური წარმოშობის თხზულებანი.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლის შედეგად მიღებული მასალა საკითხებდა სისტემაში მოყვანასა და განზოგადებას, სათანადო ეტრსად ჩამოყალიბებას. ალ. ხახანაშვილის ოთხტომიანი „ნარკვევების“ სამი წიგნი ქართული ხალხური სიტყვიერებისა და ძველი ქართული ლიტერატურის მასალებს განიხილავდა, მაგრამ ის საშეზოოდ მოძველებული იყო და შეესებას, შესწორებას, დაუსტებსა და განახლებას მოითხოვდა არსებითად ახლად უნდა დაწიქებულიყო ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული ეტრის ჩამოყალიბება. ეს საქმე ითავა და დაიფორცინა კ. კეკელიძემ, რომლის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ოთხჯერ დაიბეჭდა (1923-1960 წწ.). ავტორმა მასში ჩააქსოვა თავისი ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგები და შესანიშნავად გამოიყვინა დიდი ელტურის მქონე ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის მეცნიერული ისტორია.

აქვე უნდა დავასახელოთ კ. კეკელიძისა და ილ. ბარამიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (1954 წ.), სადაც ნათლად არის ასახული ძველი ქართული ლიტერატურის განვითარების გზა.

• • •

ახალი (XIX ს.) ქართული ლიტერატურა მრავალსაუკუნოვანი ძველი ქართული მწერლობის ბუნებრივი და კანონზომიერი გაგრძე-

ლება. მაგრამ იგი არის არა უბრალო გავრცელება, არამედ განვითარების ახალი და დიდი ეტაპი ქართული მხატვრული აზროვნების ევოლუციამ.

იმ დღეში გარდატეხამ, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს მოხდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შესაფერისად განაზოგადა შვედეთის თემატიკა და მისი იდეური მიმართულება. ქართული ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნის მთელ მანძილზე იყო ქართული ზალხის სანუკვარი იდეალებისა და მისი სულიერი ცხოვრების ერთადერთი ჭეშმარიტი გამოხატველი. ამიტომ მისი როლი ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური და კულტურის განვითარების ისტორიაში დიდი და უაღრესად თავისებურია.

მეცხრამეტე საუკუნეს ქართული ლიტერატურის ისტორიაში შეიძლება ვუწოდოთ კლასიკოსთა ეპოქა, როდესაც არა მხოლოდ შემოქმედებითად განვითარდა მდიდარი მხატვრული ტრადიციები, არამედ შეიქმნა საიმედო საფუძველი მისი შემდგომი განვითარებისა და გაღრმავებისათვის. ცხადია, ინტერესიც მისი მეცნიერული შესწავლისადმი გასულ საუკუნეშივე გაძლიერდა. გამოჩენილმა სამოციანელებმა საფუძვლიანად გაითვალისწინეს უახლოეს წინამორბედთა დამსახურება და ბევრი სახელმძღვანელო შეხედულება გამოთქვეს მათი შემოქმედების ღირსებათა და მნიშვნელობის შესახებ. საინტერესოა მათი მოსაზრება თანამედროვე ლიტერატურული პროცესების შესახებაც. მაგრამ ახალი ქართული მწერლობის ისტორიულ-ლიტერატურული პოზიციებიდან მეცნიერულ შესწავლას ქვეშაირიტი საფუძველი მხოლოდ ოთხმოციანი წლებიდან ეყრება. ამ მხრივ ყველაზე დიდი დამსახურება გამოჩენილ მეცნიერს ალ. ხახანაშვილსა და ნიქიტარ კრიტიკოსს ეკავა აბაშიძეს მიუძღვით. პირველმა შექმნა ახალი ქართული მწერლობის ისტორიის სისტემატური ეტაპი, მეორემ კი — თავისი მასწავლებლის ბრიუნტეტიერის ევოლუციური მეთოდებიდან გამომდინარე — დაწერა საინტერესო კრიტიკული ეტიუდები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ კლასიკოსთა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მათი ნაშრომები, რომლებიც მეტწილად მთლიანად იწარმოებენ თავიანთ მნიშვნელობას, გარკვეულად განაპირობებდა ახალი ქართული ლიტერატურის შესწავლის ხასიათს რევოლუციამდე.

როგორც საერთოდ, ასევე კერძოდ მე-19 ს. ქართულ ლიტერატურის მეცნიერულ შესწავლაში ახალი ეტაპი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იწყება და იგი, პირველ ყოვლისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთანა დაკავშირებული. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტების განყოფილებაზე სასწავლო-საშენიარო მუშაობის სათანადო დონეზე და-

ვენება გასული საუკუნის მდიდარი ქართული მწერლობის ისტორიის გათვალისწინების გარეშე, ცხადია, შეუძლებელი იყო ამიტომ, ქართული ლიტერატურის კათედრა (კავთაძე, კეკელიძე) ქმედით ღონისძიებებს იღებდა მისი სათანადო შესწავლისა და წარმოდგენისათვის. თავდაპირველად ამ უბანს, მართალია, არ ხელმძღვანელობდნენ უშუალოდ სპეციალისტები, მაგრამ მათზე დაყრდნობულ მოვალეობას კარგად ართმევდნენ თავს პროფ. ალ. ცვახარელი, დ. კარიჭაშვილი და ს. გორგაძე; 1925 წელს კი კათედრამ ახალი ქართული ლიტერატურის ეტაპის წასაქობად მიიწვია მიხ. ზანდუკელი; 1926 წელს უნივერსიტეტში მუშაობის იწყებას ვ. კობეტიშვილი, შემდეგ კი — კ. კაპანელი და ს. ზუნდაძე. ამგვარად, უკვე შეიქმნა ის ბირთვი, რომელიც შემდგომი წარმართავდა ახალი ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლის საქმეს.

1932 წელს უნივერსიტეტში დაარსდა ახალი ქართული ლიტერატურის კათედრა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროფ. ს. ზუნდაძე (შემდეგში მას ხელმძღვანელობდნენ პროფ. მ. ზანდუკელი, პროფ. შ. რაღანი, პროფ. დ. ზამხარაშვილი, პროფ. პ. კეკელიძე).

პირველი სამუთონი მეცნიერი, რომელმაც ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია დაწერა პროფ. ვ. კობეტიშვილი იყო. 1925-1927 წწ. მან სამ ტომად გამოცა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია, რომელშიც დიდი გემოვნებითა და ღრმა ცოდნითაა წარმოდგენილი გასული საუკუნის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

მომდევნო წლებში ქართული ლიტერატურისმკვლევობას შეემატა პროფ. კ. კაპანელის ნაშრომები („ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“, „ქართული ლიტერატურის ვენეზოსი“), რომლებშიც თავისებური კეთხიბითაა განხილული მე-19 ს. ქართული მწერლობის მხატვრული მემკვიდრეობა. 1932-1935 წლებში კი მკითხველმა მიიღო პროფ. მ. ზანდუკელის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის სამტომეული, რომელზეც სტუდენტთა თაობები აღიზარდა.

ოცდაათიანი წლებიდან დაწყებულ უკვე მალე დონეზე დიდმა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის როგორც სწავლება, ასევე მისი მეცნიერული შესწავლის საქმესისტემატური ეტაპების შექმნის შემდეგ, დღის წესრიგში დაიგია ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის ცალკეულ პრობლემათა მონოგრაფიული შესწავლა და იმ საარტიკო-სამეცნიერეურო მასალის გამოშვებება, რომელსაც შეეძლო ახლებურად გაეშუქებინა ზენი მდიდარი წარსული. თანდათან გაძლიერდა ლიტერატურის მარქსისტული მეთოდოლოგიის საერთო პრობლემებისა და პოეტიკის კონკრე-

ტული საკითხების შესწავლა-დამუშავებისადმი ინტერესიც. დღეისათვის ყველა ამ უბანზე მიღწეულია ისეთი ძლიერი შედეგები, რომ მათი მოკლედ აღწერაზე თითქმის შეუძლებელია.

გაფიქრებულად შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში მომუშავე მეცნიერებმა (ა. შანიძე, ს. გორგაძე, ს. ზუნდაძე, ვ. კოტეიშვილი, მ. ზანდუკელი, შ. რაღიანი, ვ. ჯიბლაძე, ს. ჭილაია, გ. აბზიანიძე, მ. დუღუბაძე, ს. ყუბანეიშვილი, პ. კეკელიძე, ჯ. ჭუმბურიძე, ს. ხეციშვილი და სხვ.) უდიდესი წვლილი შეიტანეს გასული საუკუნის ქართულ მწერალთა თხზულებების გამოცემის საქმეში. მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარებული მანამდე უცნობ ხელნაწერთა თუ სხვა ხასიათის ლიტერატურულ დოკუმენტთა და საინტერესო მიწერ-მოწერის გამოყვანისა და მათი მეცნიერული შესწავლის მხრივაც.

40-იანი წლებიდან თბილისის უნივერსიტეტში საგრძობლად გაძლიერდა გასული საუკუნის მწერალთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის მონოგრაფიული შესწავლა. ამგვარი შესწავლის მიზანია უფრო სრულად და ღრმად გააშუქოს ცალკეულ მწერალთა დამახარებელი და ადგილი ლიტერატურის ისტორიაში, ვინემ იგი წარმოდგენილია ლიტერატურის ისტორიების სისტემატურ კერსში. ამ მიმართულებით გაშლილი მუშაობის შედეგად დაიწერა და გამოქვეყნდა ბევრი საინტერესო მონოგრაფიები (შ. რაღიანი — „ნ. ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი“, გ. ჯიბლაძე — „ილია ჭავჭავაძე“, გრ. კიკნაძე — „ვაჟა-ფშაველა“, ა. ჭილაია — „გიორგი წერეთელი“, ჯ. ჭუმბურიძე — „გრიგოლშვილი“, აბ. მახარაძე — „გრ. ორბელიანი“, ს. ჭილაია — „ვ. ორბელიანი“, დ. გამეზარდაშვილი — „ალ. ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი“, „გ. ერისთავი“ და სხვ.), რომლებშიც ბევრი ახალი საკითხია დასმული და გაშუქებული.

ცალკეულ მწერალთა მონოგრაფიულმა შესწავლამ თითქმის აუცილებელი გახდა ვადასინჯულიყო ზოგიერთი ის შეხედულება, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში ლიტერატურულ მიმართულებათა (სენტიმენტალიზმი, რომანტიზმი, კრიტიკული რეალიზმი, ე. წ. შეუფერავი რეალიზმი) წარმოშობისა და განვითარების საკითხებს ეხებოდა (ს. ჭილაია, „გრ. რჩეულიშვილი და ქართული სენტიმენტალიზმი“, ჯ. ჭუმბურიძე — „სენტიმენტალიზმის შესახებ ქართულ ლიტერატურაში“, დ. გამეზარდაშვილი — „ალ. ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი“, „ქართული კრიტიკული რეალიზმი“). დაიწყო აგრეთვე, ცალკეული თანრების განვითარების კანონზომიერებისა (გრ. კიკნაძე — „ქართული იუმორისა და სატირის განვითარების ისტორიისათვის“) და მხატვრული ოსტატობის კონკრეტული საკით-

ხების შესწავლა (მ. ზანდუკელი — „ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა“, გრ. კიკნაძე — „აქაის პროზაულ თხზულებათა პოეტურობის საკითხი“, ბ. ბარდაველიძე — „პერსონაჟის ასახვის პრინციპები ქართულ რეალისტურ პროზაში“, ა. ჭილაია — „ალ. ყაზბეგის შემოქმედების მხატვრული თავისებურებანი“ და სხვ.).

ამავე წლებიდან დაიწყო გამოქვეყნება ისეთი გამოკვლევებისა, რომლებშიც ფართო მკითხველისათვის მისაწვდომი და ვახშილყოფილი საუკუნის ქართული ლიტერატურა, თუ მისი ცალკეული მონაკვეთები (შ. რაღიანი — „ახალი ქართული ლიტერატურა“, ტ. I და II; აბ. მახარაძე — „ქართული რომანტიზმი“, „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. I და II).

ავტორთა კოლექტივის მიერ (დ. გამეზარდაშვილი, აბ. მახარაძე, ჯ. ჭუმბურიძე, გრ. კიკნაძე, ს. ხეციშვილი, შ. რაღიანი) შეიქმნა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოც (ნაწილი პირველი).

უნივერსიტეტში მომუშავე ლიტერატურისმცოდნეებმა დიდი წვლილი შეიტანეს ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის პრობლემების მეცნიერული გაშუქების საქმეშიც. ჯერ კიდევ 1929 წელს გამოვიდა პროფ. შ. ნუცუბიძის „ხელოვნების თეორია, მონისტური ესთეტიკის საფუძვლები“, რომელშიც ორიგინალურად და გაშუქებული ესთეტიკის ცალკეული პრობლემები. შეშდეგში ვი მკითხველმა მიიღო ისევე გამოკვლევები, რა გორაკია ვ. კაბანელის «Страдание и творчество», ვ. ჯიბლაძის „პრობლემები ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა“, „ხელოვნება და სინამდვილე“, „ესთეტიკური თეორიის საფუძვლები“, „შოთა რუსთაველის ესთეტიკა“, მ. დუღუბაძის — „მხატვრული სტილის თეორიის საკითხები“, ს. ვაჩნილას „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“ და სხვ.

უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრამ სერიალური მუშაობა გასწია ლიტერატურის სწავლების მეთოდის საკითხების დასაზუსტებლადაც. ქართულმა მკითხველმა მიიღო მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებისა და საბჭოთა პედაგოგიური აზრის მიღწევების საფუძველზე დაწერილი მ. ზანდუკელის „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა“ და ა. თოფურას „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელო“. ამავე კათედრის წევრთა (პ. კეკელიძე, შ. რაღიანი, ს. ჭილაია, ბ. ვლენტი, ა. ჭილაია, გ. კიკნაძე, დ. გამეზარდაშვილი და სხვ.) ავტორობითა და თანავტორობით დაიწე-

რა სიშუალო სკოლების სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები.

უკანასკნელ წლებში საგანგებო მუშაობა მიმდინარეობს ტექსტოლოგიის პრინციპების შესწავლისა და გამუქებისათვის (პ. კეკელიძე), რამაც თავისი შედეგი გამოიღო.

ახალი ქართული ლიტერატურის შესწავლის მალემა დონემ გარკვეულად განაპირობა უახლოესი ქართული მწერლობის შესწავლა.

ქართული საბჭოთა მწერლობის მეცნიერულ შესწავლას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაუვარა საფუძველი. საბჭოთა მწერლობის ისტორიის საღვთაო კურსიც პირველად აქ ჩამოყალიბდა; მისი კითხვა 1929 წლიდან დაიწყო.

ქართული საბჭოთა მწერლობა მრავალსაფეხროვანი ქართული მწერლობის ბუნებრივი, მაგრამ ახლებური განვითარებაა. კლასიკური ქართული მწერლობის მიერ დამკვიდრებული პემანისის, დემოკრატიზმის, ხალხურობის, ხალხთა შობისა და მეგობრობის თუ სხვა მოწინავე იდეები შემოქმედებთადა მიიღო და განავითარა საბჭოთა მწერლობამ. საბჭოთა ლიტერატურის უპირველეს თვისებად იქცა ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის ბრძოლა. მისი მთავარი თემაა ეგოისტური ინტერესებისაგან თავისუფალი, ფართო ინტერნაციონალური და პატრიოტული გრძობების მქონე ახალი ადამიანის დახატვა. ქართული საბჭოთა მწერლობა ამ იმპერებს ძალასა და ენერჯიას იმ დიდი გზის ასახვისათვის, რომელიც ჩვენმა ხალხმა და სახელმწიფომ განვლეს; იგი ისწრაფდა აღეზარდა ჩვენი ადამიანები სამშობლოს სიყვარულით, ეჩვენებდა საბჭოთა ადამიანი მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით, შრომის რომანტიკით, ფიჭრებითა და განცლებით. სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირები, გმირული ხუთწუდეების რომანტიკული ადამიანები, დიდი სამამულო ომის მგზნებარე პატრიოტები განზოგადებულად და ამოღებულად ასახა საბჭოთა მწერლობამ. და ამ ფონზე შექმნილი ლიტერატურა ვახდა ზვენი ადამიანების შრომითი და იდეური აღზრდის იარაღი. ქართული საბჭოთა მწერლობა ნოვატორულია არა მარტო შინაარსით, არამედ ფორმითაც, ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ახალი ფერებითა და საღებავებით, ახალი მხატვრული საშუალებებით გაამდიდრა ქართული მწერლობა. მან გამოიმუშავა საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მხატვრული პოზიცია და ფორმები, რომლებიც იქმნებოდა, ერთი მხრით, ანტირეალისტურ სკოლებთან, დეკადენტურ ჯგუფებსა და მიმართულებებთან, მეორე მხრით, ვულგარულ „მემარცხენელ“, რაულ შეცდომათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელშიც პარტია დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა მწერლობას.

საბჭოთა ლიტერატურის საუნივერსიტეტო კურსის წამოთხვეულები არა მხოლოდ შესაფერ ნაშრომებს ქმნიდნენ, არამედ სუშუალოდ მონაწილეობდნენ საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბების პროცესში. ისინი თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ყოველთვის დაკავშირებული იყვნენ ქართულ მწერლობასთან. საქმარისა დაგასახლოდ უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებს — კორნელი კეკელიძის, სიმონ ზუნდაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გეორგი ქვიციანი, მიხეილ ზანდუკელის, ბენიკო ბუაჩიძის, შალვა რადიანის, ბესარიონ ქვცილის, ალექსანდრე ბარამიძის, გიორგი ვიზლადის, სერგი ქვიციანის და სხვთა მოღვაწეობა.

პირველი გადაუდებელი საკითხები, რომელთა დამუშავებას დღის წესრიგში აყენებდა უახლესი ქართული მწერლობის კურსის წამოთხვე, იყო ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების გზასთან დაკავშირებული პრობლემები, უახლესი ქართული მწერლობის პერიოდისათვის საკითხი.

პირველი წიგნი, რომელიც ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების გზის გარკვევას მიეძღვნა, იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის ბენიკო ბუაჩიძის „თანამედროვე ქართული მწერლობის გზები“ (1934 წ.). რაც დრო გადიოდა, მით უფრო აზრდებოდა და მტკიცდებოდა ქართული საბჭოთა მწერლობა, ახალი სახელები ემატებოდა უახლესი ქართული მწერლობის პროგრამის უნივერსიტეტში. უკვე მწერალთა პირველ სკავშირთ ურილობაზე, კლასიკურ მწერლობასთან ერთად, მალე შეფასება პოვა ქართულმა საბჭოთა მწერლობამ. განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ქართული საბჭოთა მწერლობის აღორძინება ოცდაათიან და ორმოცდაათ წლებში. ამის მიხედვით კვლავ შეიცვალა და გამდიდრდა თბილისის უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის პროგრამა. ახლა უკვე დღის წესრიგში დაისვა სტუდენტებისათვის უახლესი ქართული მწერლობის სახელმძღვანელოს დაწერის საკითხი, რასაც დიდი პასუხისმგებლობით მოჰქვიდეს ხელი უნივერსიტეტში მომუშავე ლიტერატურის მკვლევრებმა (შ. რადიანი, ბ. ქვიციანი, ს. ქვიციანი, ვ. ვიზლადი) და შექმნეს სათანადო დამხმარე სახელმძღვანელოები.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოები დაიწერა რუსულ ენაზეც (იხ. ალ. ბარამიძის, შ. რადიანისა და ბ. ქვიციანის «История грузинской литературы», ს. ქვიციანის «Очерки по истории грузинской советской литературы»

და სხვ.), რომელთა მიხედვით რამდენიმე სადღილოში შრომა დაიწერა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის უნივერსიტეტების სტუდენტების მიერ).

ორმოცდაათიან და სამოციან წლებში ქართულმა საბჭოთა მწერლობამ განვითარების ისეთ მაღალ დონეს მიაღწია, რომ ღღის წესროგში დაისვა ქართული საბჭოთა მწერლობის გამოჩენილ წარმომადგენლებზე მონოგრაფიული გამოკვლევების შექმნა. დაიწერა მონოგრაფიები გ. ტაბიძეზე (ს. კილაია), ვ. ვამსახურდიაზე (ბ. ელენტი), ი. გრიშაშვილზე (გ. ვიბლაძე), შიხ. ჭავჭავაძეზე (ტ. კვანჭილაშვილი), გ. ლეონიძეზე (შ. რადიანი), ლ. ქიაჩელზე (ა. თოფურია) და სხვ. ქართული საბჭოთა მწერლობა

მტკიცე იდეურ პოზიციებზე დგას, ერთი მხატვრული მეთოდის დამცველი და გამომხატველია. მაგრამ იგი როდია უბრალო მეტანეტროსკოპი ცალკეულ მწერალთა შემოქმედებისა. ყოველ მათგანს განსხვავებული, საერთო სტილი და წერის მანერა აქვს. სწორედ ეს არის სპეციალური შესწავლის საგანი. ამიტომ მის გარკვევას მიუძღვნეს საინტერესო ნაშრომები ქართული საბჭოთა ლიტერატურის მკვლევარებმა ბ. ბუაჩიძემ, შ. რადიანმა, ბ. ელენტიმ, გ. ვიბლაძემ, ს. კილაიამ და სხვ. საბჭოთა ლიტერატურის ცალკეულ პრობლემებს, ქართული საბჭოთა მწერლობის ცალკეული ეპიზოდების შესწავლას მიეძღვნა გ. შერკვილასის, ა. თოფურიას, ვ. ცისკარიძის, ნ. ჩხეიძის, ტ. კვანჭილაშვილის და სხვათა გამოკვლევები.



მ. კოხნიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ორბანიზაციი

დღეს ქართული მშრომელი ხალხი განსაკუთრებული აღფრთოვანებით აღნიშნავს დიდ ისტორიულ თარიღს 50 წლის წინათ. ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. ნახევარი საუკუნის მანძილზე თვალნათლად გამოვლინდა ქართული ხალხის დაუშრეტელი ენერჯია, სულიერა, გონებრივი შემოქმედების უძლიერეობა და ნებისყოფა. დღეს ჩვენ ვერ დავახახელებთ ჩვენი ცხოვრების ვერც ერთ მხარეს, სადაც თბილისის უნივერსიტეტის გავლენა და სიკეთე არ გამოსჭვავიდეს. უნივერსიტეტი და მის ნიადაგზე აღმოცენებული ყველა სამეცნიერო და პედაგოგიური კერა ქმნის მყარ საფუძველს ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მომავლისა. უნივერსიტეტს ერის კულტურის საქმეში ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. დღითიდღე ჩვენს წინაშე იშლება ბუნების მოვლენების საიდუმლოება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელ კაცობრიობის კეთილდღეობისათვის. ქართველ მეცნიერთა დაგროვილი ცოდნა ვრცელდება საქართველოს ფარგლებს გარეთ და დიდ ფასდება განათლებული ერების მიერ.

სამკურნალო ფაკულტეტის შექმნა თბილისის უნივერსიტეტის წიაღში ერთბაშად არ მომხდარა. მისი ორგანიზაცია დაკავშირებული იყო უნივერსიტეტის შექმნის იდეასთან. სამკურნალო ფაკულტეტის შესაქმნელად ორგანიზაციულ ღონისძიებებს ახორციელებდნენ იმ დროის ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების აქტიური წევრები. უნივერსიტეტის გახსნის მოსამზადებელი პერიოდის ერთერთ მნიშვნელოვან აქტს წარმოადგენდა 1914 წელს ოდესაში მყოფ ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა მიერ სამეცნიერო კრებულის „ცხოვრება და მეცნიერება“ გამოცემა ქართულ ენაზე. კრებულის რედაქციაში შედიოდნენ: ბ. ჭავჭავაძე, კ. რაჭველიშვილი,

მ. ცეცხლაძე, ი. ასლანიშვილი. კრებულის მიზანი იყო თავის ვარშემო შემოეკრიბა რუსეთსა და საზღვარგარეთ მყოფი ქართველ მეცნიერთა ძალები. „ცხოვრება და მეცნიერების“ პირველ გვერდზე მოთავსებული იყო პ. მელიქიშვილის სურათი დევიზით: „ერთგულუბას, სიყვარულს, პატივისცემას — აი რას მოითხოვს მეცნიერება“. ამ კრებულში მოთავსებული იყო საბუნებისმეტყველო და სამედიცინო ხასიათის წერილები. საქმარისია აღინიშნოს, რომ მარტო სამედიცინო ხასიათის წერილებს ეჭირა 149 გვერდი. სამედიცინო ხასიათის სტატიებიდან შეიძლება დავისახელოთ ს. ყიფშიძის „ტენის ბუნების ფუნქციების შესახებ“, ნ. კახიანის და სტუდენტ პ. ჭავჭავაძის „უჩრედი და ქსოვილი“, მ. ცეცხლაძის „ალამიანის სქესობრივი ცხოვრება“ და სხვა.

იმპერიალისტური ომის დაწყებასთან დაკავშირებით შეწყდა კრებულის გამოცემა. რამდენიმე წლის შემდეგ გადაწყდა სამეცნიერო ჟურნალ „ექიმის“ გამოცემა. ჟურნალის გამოცემა იყისრა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ. ამ მიზნით საზოგადოებმა მიერ გამოყოფილი იყო სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ს. ვირსალაძე, ვ. მოსველი, გ. მუხაძე, ა. ნათიშვილი, შ. მიქელაძე. ჟურნალის პასუხისმგებელ რედაქტორებად არჩეული იყვნენ ს. ვირსალაძე და შ. მიქელაძე. რედაქციის მდივანად ზ. მასსურაძე. ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წელს. მოწინავე სტატიაში ჩამოყალიბებულია ჟურნალის მიზნება: „გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად ჩვენ დავისახეთ სამება: მეცნიერება, საქართველოს მტკვარებთანა გაჯანსაღება და ამ დიად იდეათა სამსახურისათვის საქართველოს ექიმთა ვაერთიანება.

მეცნიერების ზაუჭობელმა ლამპარმა იწყო ციმციმი, დაარსდა ქართული უნივერსიტეტი

და სხვა ფაქტორებთან შორის ჩამოყალიბდა საბუნებისმეტყველო და საექიმო ფაქტორებში. ამ ორი ფაქტორების შემთხვევაში უტყუარი საბაზაა, რომ ჩვენი ქურნალი მომავალში უზრუნველყოფილია სამეცნიერო მასალის მხრით. აცნობებდა ქურნალი თავის მკითხველებს.

გარდა აღნიშნულისა გამოდიოდა კიდევ „უნივერსიტეტის მოამბე“ და „ქანმოკლეობის კომისიის მოამბე“, სადაც იბეჭდებოდა საექიმო წერილები.

გ. მუხაძის უშუალო ინიციატივით ს. ვირსალაძის, ი. თაყაიძის და მ. წინამძღვრიშვილის მონაწილეობით 1915 წელს საქართველოში დაარსდა ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება, რომელიც შემდგომი შეივსო ცნობილი ქართველი ექიმებითა და ბუნებისმეტყველებით, როგორც იყვნენ: ა. წულუკიძე, მ. კლასონიძე, შ. მიქელაძე, პ. მელიქიშვილი, ვ. მუსხელიშვილი, დ. ახვლედიანი, ნ. ორლოვსკი, ი. ელიაშვილი, მ. გეღევაშიშვილი, მ. მგალობლიშვილი, ნ. მელიქიშვილი, ს. კანდელიანი, მ. ლაშაშვილი, ა. ჯავახიშვილი, ვ. ღამბაშიძე, ი. გომართელი, ს. გოგიტიძე, ნ. გამრჯელი, ნ. ყოფშიძე, თ. ციციშვილი, ე. ზედგინიძე, შ. უგრელიძე, ა. ხარაძე, ზ. მაისურაძე, ე. მახვილაძე და სხვ.

გ. მუხაძე დაუღალავად ზრუნავდა არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე ექიმთა და ბუნებისმეტყველთა ამ საზოგადოებაში ჩაბმაზე, არამედ სისტემატურად აყენებდა გამგეობაში საკითხს საქართველოს ტერიტორიიდან გასულ სხვა ქართველ მეცნიერთა მოწყვეის თაობაზეც. ასე, მაგალითად, მისი უშუალო ინიციატივით საზოგადოების გამგეობის წევრად არჩეულ იქნა მამის მოსკოვის უნივერსიტეტის პრიატ-დოცენტი ა. ჯავახიშვილი.

აქვე მოგვეყვას აკადემიკოს ალ. ჯავახიშვილის შარათი გ. მუხაძისადმი ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების გამგეობის წევრად მისი არჩევის გამო: „დიდად პატივცემულ მო ბატონო გრატულ! მოსკოვში ყოფნის დროს გავიგე, რომ ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ შე ამირჩია თავის გამგეობის წევრად. დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენ როგორც საზოგადოების ოფიციალურ წარმომადგენელს და გთხოვთ ჩემი მადლობა გადასცეთ პატივცემულ გამგეობასაც, იმ დაუმსახურებელ ყურადღებისათვის, რამლითაც საზოგადოებამ დამაჩილდოვა. მარად მორტიფილუე საქართველოს განვითარებისა მხად ვარ მადლობით მივდივით თქვენს ყურადღება და ვეშასხურო ძვირფას საზოგადოებას ჩოთაც კი შემძლიან. თქვენნი მარად პატივისმცემელი და უმორჩილესი ალ. ჯავახიშვილი“.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, 1917 წელს ქართული უნივერსიტეტის ორგანიზაციის საქმეს ხელი მძკეძენს მოწინავე ქართველი საზოგადოებებს, საბუნებისმეტყველო მომადგენლებმა იგივე ჯავახიშვილის მეთაურობით. უდიდესი შრომის, ენერჯის, თავანაწირვისა და ზრუნვის ფასად მათ შესძლეს ამ მიზნისათვის მიეღწიათ. ქართველი ინტელიგენციის ამ მოწინავე ჯგუფში ერთ-ერთი საპატიო, ადგილი უქირავევ ე მუხაძეს, ი. თაყაიძეს, ს. ვირსალაძეს, ა. ნათიშვილს და სხვ.

აკადემიკოსი ა. ნათიშვილი წერს: „პირველი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი ჯგუფის ერთერთი მონაწილე. ამავე დროს იგი იყო ქართველ ექიმთა საზოგადოების დაარსების მთავარი ინიციატორი. განსვენებულ სპირიტონ ვირსალაძესა და ივანე თაყაიძესთან ერთად, იგი თბილისის სწავლულთა ძალებს შორის პირველი იყო მოწვეული წევრად საექიმო ფაქტორების საბჭოს შემადგენლობაში, მან უშუალო მონაწილეობა მიიღო ამ ფაქტორების ორგანიზაციის საქმეში“.

მაგრამ მთელი ეს მუშაობა ძირითადად კერძო ინიციატივის ან ვიწრო საზოგადოებრივ ხალხთს ატარებდა და ისიც, როგორც აღვნიშნეთ, ცარიზმის მხრივ მკაცრ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ უდიდესი ყურადღება მიექცა კლასიკოსთა თხზულებების მეცნიერული და პოპულარული გამოცემის საქმეს, მხატვრული მემკვიდრეობის ღრმა მეცნიერულ შესწავლას, ქართული ლიტერატურის მდიდარი მემკვიდრეობის ხალხში ფართო პოპულარიზაციას. ტექსტოლოგიაში მოპოვებული წარმატებების საფუძველზე დაძლეულ იქნა რევოლუციამდელ პერიოდში გაბატონებული ფაქტოგრაფიზმი და ფორმალიზმი, ტექსტოლოგიური მუშაობის საფუძველი გახდა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპტისების შემდეგ ფართოდ განვითარდა ტექსტოლოგიური ძიებანი, ახალ საფეხურზე ავიდა ფილოლოგიური და ტექსტოლოგიური კვლევა-ძიება, დაიწყო ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა მხატვრული მემკვიდრეობის მეცნიერულ-აქადემიური გამოცემა. ამ საქმეში კი დიდი ღვაწლი შეიტანეს პროფ. ს. მ. მ. ხუნდაძე. მან პირველმა დაიწყო შეგნება საბჭოთა ტექსტოლოგიის მიღწევათა საფუძველზე, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეიარაღებული ტექსტოლოგიური ძიებანი და ახალი ქართული ლიტერატურის მწერალთა თხზულებების შედარებით მაღალ მეცნიერული გამოცემა. სიმონ ხუნდაძემ კარგად იცოდა, რომ კლასიკოსთა მეცნიერული გამოცემის გარეშე საერთოდ შეუძლებელი იყო ნამ-

დელი ლიტერატურათმცოდნეობითი მუშაობის გამლა და მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ღრმა მეცნიერული შესწავლა; ის წერდა: „იღეს, როდესაც ვაცხოველდა ისტორიის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლისადმი, როდესაც ქართული კლასიკოსების შესწავლა წმინდა მარქსისტულ სოციოლოგიის თვალსაზრისით მოიბოძა ამოცანად გადაიქცა ჩვენი კულტურული ბრძოლის ფრონტზე — ბუნებრივად დაბადა ჩვენში ინტერესი გიორგი წერეთლის ნაწერების და მისი მოღვაწეობის შესწავლისა“¹.

განსვენებული მეცნიერი ხედავდა, რომ საქართველოში იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ მოწაზადებული ნიადაგი ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა აქადემიური გამოცემისათვის. არ იყო გამოვლენიებული, სისტემაში მოყვანილი, გამოქვეყნებული და შესწავლილი კლასიკოსთა მეცნიერული გამოცემისათვის საჭირო მასალები და წყაროები. არ იყო სათანადოდ დამუშავებული საარქივო და სამუზეუმო ფონდები და სხვ. „ქერ ხნობით, — წერდა ს. ხუნდაძე, — ჩვენში ძალანძნენ არის ქართველი კლასიკოსების შესაფერისად გამოცემა, აქადემიურ გამოცემაზე რომ არ ვილაპარაკოთ. როგორც ცნობილია, ჩვენში ჯერჯერობით თითქმის არც ერთი მწერალი არ არის სათანადოდ შესწავლილი და მეცნიერულად გამოკვლეული. ეს კი მეტად აშინებებს ცალკე მწერლების შესაფერისად გამოცემის საქმესაც, — მათი ფსევდონიმების გამორკვევის, ნაწერების დადგენას, ტექსტის აღდგენასა და მოიარებად მათი ნაწერების მეცნიერულ შესწავლას“². განსვენებული მეცნიერი ამასთანავე აღნიშნავდა, რომ „რუსეთის მწერლობაში ათეული წლების განმავლობაში აწარმოებდნენ ამ მიმართულებით მუშაობას და თითოეული მწერალი შესწავლილია ათეული მეკლეგარისა და პროფესორის მიერ. ჩვენში მხოლოდ ანგამად ვყრება მტკიცე საფუძველი ამ მიმართულებით მუშაობას“³. გამოჩენილი მეცნიერი იმათეთვე მიუთითებდა, რომ „მასალებისა და დოკუმენტების შესწავლის გარეშე შეუძლებელი არის მე-19 საუკუნის ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობისა და ისტორიის სათანადოდ გაშუქება“⁴. ახალმა ეპოქამ პროფ. სიმონ ხუნდაძეს დააყენა ამ უდიდესი საქმის

1 გიორგი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, ტფილისი, 1931 წ., ტომი პირველი, გვ. X.
2 იქვე, გვ. XI.
3 იქვე.
4 დიმიტრი ყიფიანი, შემუშავები, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით, თბ., 1930 წ. გვ. III.

განხორციელებისათვის მრავალი დაბრკოლების გადალახვა და, როგორც თვითონვე აღნიშნავს, დიდი მუშაობის ჩატარება. მან კუმპარტილ „მტკიცე და პატიოსანი ხელით დაიწყო საძიარკელის ამოყვანა იმ დიდი და საჭირო შენობისა“ (პროფ. მ. ზანდუელი), რომელსაც ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა აკადემიური გამოცემა ეწოდება.

სიმონ ხუნდაძეს კლასიკოსთა ნაწერების მეცნიერული გამოცემის აუცილებელ პირობად მიაჩნდა თხზულებათა ტექსტის მეცნიერული დადგენა და ამის მიხედვით მათი ბეჭედა ყველა გამოცემაში. მკვლევარი სამართლიანად გმობდა ისეთ პრაქტიკას, როდესაც ერთი და იგივე მხატვრული ნაწარმოები სხვადასხვა ტექსტით იბეჭდებოდა სხვადასხვა გამოცემაში. ის მოთხოვდა თხზულების კანონიერი ტექსტის მიხედვით გამართვას და ბეჭედს.

საგულისხმოა, რომ თხზულებათა ტექსტისადმი ამავე დამოკიდებულების შესახებ მ. გორკი 1920 წელს ვ. ი. ლინენს სწერდა: „გთხოვთ დაურეკოთ ვიროვსკის და მისკეთ მითითება, რათა რუსული ლიტერატურის კლასიკოსთა შემოკლებული გამოცემები აუცილებლად უნდა იყოს იდენტური სახელმწიფო გამოცემლობის მიერ გამოშვებული სრული გამოცემისა. თქვენ, რა თქმა უნდა, გვისმით, რომ ეს აუცილებელია“¹.

სიმონ ხუნდაძე იმდროინდელი მეცნიერული ტექსტოლოგიური ძიების მოთხოვნათა სიმართლედ იდგა და, რაც შეაჯარა, მას სრულყოფილიად ჰქონდა წარმოდგენილი ის ფაქტობრივი და უსაზღვროდ მძიმე მუშაობა, როგორც უნდა ჩატარებინა მეცნიერ-ფილოლოგს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გამოვლინებული, სისტემაში მოყვანილი, აღრიცხული, აღწერილი და გამოქვეყნებული ის მასალები და წყაროები, რომლებიც აუცილებელია კანონიერი ტექსტის დადგენისა და საერთოდ თხზულებათა აკადემიური გამოცემისათვის. გასწავნილი მეცნიერის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან მტკიცედ მოაკიდა ხელი ამ ერთობის და უმძიმეს საქმეს, თვითონვე ბიბლიოთეკის შეარჩევნა არსებული წყაროები, დამუშავა იგი და მოხდენილად გამოიყენა თავის ფართო ტექსტოლოგიურ ძიებებში. დიდი მეცნიერული ერთეული, კვლევა-ძიების იშვიათი აღრიცხვა, ფართო განათლება და მდიდარი ლიტერატურული გეგმავრება და გამოცდილება განსვენებულ პროფესორს სამუშაოებს აძლევდა ახალი ცხოვრების მოთხოვნების შეფარდებით, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების იმდროინდელი დონის შესაფერისად,

მაღალმეცნიერული ხასიათის გამოცემები განხორციელებინა.

ს. ხუნდაძის დაუცხრომელი „მეცნიერულ“ შემოქმედებით შრომის შედეგად, მისი რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოცემა გ. წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის პირველი ტომი. ამ გამოცემის დართულ გამოკვლევაში ს. ხუნდაძემ მრავალი, მეტად საყურადღებო და საინტერესო, მანამდე ფართო საზოგადოებისათვის უცნობი მასალა გამოაქვეყნა, რითაც დიდი ამაგი დასდო ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსის გ. წერეთლის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მეცნიერულად შესწავლის საქმეს.

ს. ხუნდაძეს განსახლებული ჰქონდა გ. წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა 15 ტომად. მაგრამ მან მხოლოდ პირველი ტომის გამოცემა მოასწრო. აღნიშნულ ტომში წარმოდგენილია მწერლის მიერ 1862-1868 წლებში გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილები. გამოცემას დართული აქვს გრცელი მონოგრაფია გამოჩენილი ბელეტრისტის მოღვაწეობის, აზროვნებისა და შემოქმედების შესახებ. იქვე მოცემულია რედაქტორის მეთად საინტერესო შენიშვნები, კომენტარები და მიზლოგრაფიული ცნობები.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ს. ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოცემული ნ. ნიკოლაძის რჩეული ხაწერების ორი ტომი.

ცნობილია, რომ ნ. ნიკოლაძე ხანგრძლივ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა. მის კალამს ეკუთვნის მრავალწეროვანი, მეთად საყურადღებო, მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. იგი ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა ქართულ, რუსულ და უცხოურ პრესაში, მისი შრომები ცალკე ბროშურებისა და წიგნების სახითაც იბეჭდებოდა.

ნ. ნიკოლაძის ნაწერები ვაზნული იყო ევროპულ-გაზეთებსა და ცალკე გამოცემებში. ს. ხუნდაძემ გადაწყვიტა ამ დიდი მოაზროვნის ნაწერები გამოეცა ექვს ტომად. მაგრამ, საშუაბროდ, უძროოდ ვარდაცვალების გამო ვინც-მხორციელებული დაჩაბა ეს დიდი და მეტად მნიშვნელოვანი წამოწყება.

ს. ხუნდაძის მიერ გამოცემული ნ. ნიკოლაძის წერალებიდან ბევრი თითქმის სრულიად უცნობი იყო ქართული მკითხველისათვის. გამოცემაში წარმოდგენილია ნ. ნიკოლაძის ისეთი წერილები, რომლებიც ამახიანებს ამ დიდი მოაზროვნის ენობას, ახშუქებს იმდროინათვის წამოყენებულ მწვავე პრობლემებს და ნათლად გამოხატავს ავტორის მსოფლმხედველობას, უჩვენებს ვასული საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების მოძრაობას, მის მავსიყვანს, გარკვეული ჩვეულის ინტელიგენციის შეხედულებებს, მის მისწრაფებას, ვნებას და მოქმედებს.

¹ მ. გორკი, თხზულებათა კრებული ოცდაათ ტომად, ტ. 29, 1955 წ., გვ. 391. (რუსული გამოცემა).

მეცნიერი ტექსტოლოგი მიზნად ისახავდა საზოგადოებისათვის ენგენებთან ნ. ნიკოლაძის „იზოგრაფიებისა და მსოფლმხედველობის ევოლუცია“ და შეითხვევლისათვის გაეცნო იმ საკითხების თანამიმდევრობას, რომლებიც „ამა თუ იმ ეპოქაში წამოიჭრებოდა“. გამოცემულ ტომებს დართული აქვს წინასიტყვაობა, ვრცელი გამოკლევა ნ. ნიკოლაძის აზროვნებისა და მსოფლმხედველობის შესახებ, აგრეთვე რედაქტორის შენიშვნები.

განსაკუთრებით საყურადღებოა ს. ხუნდაძის მიერ გამოცემული ევ. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებული სამ ტომად. მესამე ტომი გამოვიდა მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ. ევ. ნინოშვილის თხზულებათა კრებულში ტექსტები დამახინჩებული სახით იბეჭდებოდა. არ იყო გამოყენებული ავტოგრაფები და ხელნაწერი ნუსხები. გამოცემულს არ უცდიათ კანონიკური ტექსტის დადგენა, არ უწარმოებიათ მეცნიერულ-ტექსტოლოგიური შეშაობა. მეფის ცენზურის მიერ დამახინჩებული ტექსტები დეფაქტური სახით იბეჭდებოდა წლების განმავლობაში. ამასთანავე, ზევს არ მოკვებოდა არც ერთი გამოცემა, რომელშიც მთლიანად სახით ყოფილიყო წარმოდგენილი ავტორის თხზულებები. ძველ გამოცემებს არ ჰქონდა დართული საჭირო კომენტარები, შენიშვნები, ბიბლიოგრაფიული და სხვა ხასიათის ცნობები. არ იყო წარმოდგენილი სათანადო შათიებები და ცნობები იმის შესახებ, თუ როდის, რა მასალაზე და რა პირობებში იწერებოდა ე. ნინოშვილის თხზულებები. ერთი სიტყვით, ეგნატე ნინოშვილის ნაწერების აღწოდელი გამოცემები არ იყო დაფუძნებული მეცნიერულ პრინციპებზე. ძველი გამოცემები ზშიად საკუთარი გეგმონების მიხედვით ასწორებდნენ მწერლის ენასა და სტილს, ზოგჯერ კი ტექსტსაც. ს. ხუნდაძემ იყისა ევ. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებულის ავტორიერი გამოცემა. მან შეაგროვა ავტორის, იმ დროისათვის ხელმისაწვდომი ნაწარმოებები, კერძო წერილები და დოკუმენტები, გაარკვია ეგნატე ნინოშვილის ფსევდონიმები, შეისწავლა საცენზურა კომიტეტის არქივი, შეხეურების ფონდები, პრესა, ცალკე პირთა და მოღვაწეთა არქივები, გამოაძია წყაროები და საჭირო ცნობები, ე. ნინოშვილის ნაცნობ-მეგობრებსა და მწერლის მომსრუე პირთაგან და, ამრიგად, დაგროვილი დიდძალი მასალა საფუძვლად დაუდო თავის გამოცემას.

ს. ხუნდაძის გამოცემაში დაბეჭდილია ე. ნინოშვილის ახალდმოჩენილი ნაწერები. ამ საფუძვლიან გამოცემაში ძირითადად დადგენილია ავტორის თხზულებათა ტექსტები. გამოცემის დართული აქვს ვრცელი, მეტად მდიდარი და ფაქიზად შესრულებული შენიშვნები, რომელშიც წარმოდგენილია სათანადო

ცნობები ნაწარმოების დაწერის თარიღის, მისი წყაროების, ტექსტის დადგენის დაბეჭდვის ადგილის, დროსა და სხვა სინტერესო მოვლენათა შესახებ. აქვე დაბეჭდილია ზოგიერთი ვარიანტი და ავტოგრაფების ფოტოპირები. ტომებს დართული აქვს თ. კიკეაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი. პირველი ორი ტომი შეიცავს ავტორის მხატვრულ ნაწარმოებებს, მესამეში კი მოცემულია ევ. ნინოშვილის პუბლიცისტური წერილები, დოკუმენტები, მასალები, ეპისტოლარული შეწყვიდრობა და სხვ.

ს. ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებითა და წინასიტყვაობით 1930 წელს გამოიცა დიმიტრი ყიფიანის მეშუარები. ვასული საყურენის ცნობილი მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის მოგონებებს დასალაღებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ვასათვალისწინებლად. გამოცემას დართული აქვს რედაქტორის ვრცელი ნარკვევი დ. ყიფიანის აზროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ს. ხუნდაძე, როგორც აღენიშნეთ, მეცნიერული ტექსტოლოგიის კერძში იყო. მის ღრმად ჰქონდა შესწავლილი ტექსტოლოგიური ძიების პროგრესული მეცნიერობა და მისი გამოყენების მდიდარი პრაქტიკა. გამოჩენილი მეცნიერის ტექსტოლოგიური კვლევას კონცეფცია ევალაზე უფრო მკაფიოდაა წარმოდგენილი ევ. ნინოშვილის თხზულებათა კრიტიკულ გამოცემაზე დართულ შეხედულებებსა, შენიშვნებსა და კომენტარებში, აგრეთვე მის მიერ შესრულებულ გამოცემათა პრაქტიკულ განხორციელებაში და მეცნიერის არქივში დატულ ერთ რეცენზიაში.

ცნობილია, რომ ევ. ნინოშვილის თხზულებათა კრებულები, ს. ხუნდაძის ხელმძღვანელობით განხორციელებულ გამოცემაზე, ოთხჯერ დაიბეჭდა: პირველი კრებული „ამდენიმე მოთხრობა“ გამოიცა ოზურგეთში (ახლანდელ — მსახაბეში) კ. თავართქილაძის მიერ. ეს გამოცემა დაიბეჭდა ავტორის — ევ. ნინოშვილის ხელმძღვანელობით, მისი რედაქციითა და მეთ-

1 დაწერილებით იხილეთ: რუსუდან კუსრაშვილი, ს. ხუნდაძე, როგორც რედაქტორი გამოცემაში, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XIII, 1961 წ., გვ. 397-399; შდრ. პ. კიკელიძე, ლ. მენაბდე, ქართული ლიტერატურის ისტორია (საიბიბლიო კრებული. მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი, 1957, გვ. 77-80. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა).

2 აღნიშნული რეცენზია თითქმის მთლიანად სახით გამოაქვეყნა რუსუდან კუსრაშვილი (იხ. „ლიტერატურული ძიებანი“, 1961 წ., გვ. 390-391).

ვალყურებით. ამ გამოცემაში შესულია: „გოგია უიშვილი“, „უცნაური სენი“, „პალისტრამის ტანა“, „არშიენი“ და „სიმონა“. მეორე — უფრო სრული გამოცემა იმავე კ. თავართქილაძის მიერ განზორციელდა 1904 წელს, მესამე — 1920 წელს, ხოლო მეოთხე — 1925 წელს. არც ერთი დსახელბუღალი გამოცემა არ აკმაყოფილებდა კრიტიკული გამოცემის მოთხოვნებს. ეგ. ნინოშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემა დეკლარა ს. ხუნდაძეს. სწორედ ამ დღი მისიის შეჩერულებისას მეცნიერმა გამოთქვა თავისი ძირითადი საყურადღებო შეხედულებები თხზულებათა აკადემიური გამოცემის შესახებ.

მეცნიერული ტექსტოლოგია თხზულებათა აკადემიური გამოცემის, როგორც კრიტიკული გამოცემის უმაღლესი ფორმის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად აღიარებს ნაწარმოებთა კანონიერი, ავტორის უკანასკნელ ნებას¹ გამომატველი ტექსტის დადგენას. აკადემიური გამოცემისათვის, ისე როგორც ყოველგვარი კრიტიკული გამოცემისათვის, აუცილებელი პირობაა, რომ იგი უნდა შეიცავდეს ავტორის ნაშედეგ ტექსტს, ე. ი. ისეთ ტექსტს, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი დამახინჯებისაგან; აკადემიურმა გამოცემამ შეიძლება უნდა მიაწოდოს მწერლის ნაწარმოებთა მეცნიერულად უმაღლესი კანონიერი ტექსტი.

ს. ხუნდაძე ტექსტოლოგიის ამ მოთხოვნათა კერძოა იყო. იგი კარგად იცნობდა ტექსტოლოგიურ ძიებათა მოწინავე ტრადიციებსა და მისდროინდელ პრინციპებს. განსვენებული მეცნიერის შეხედულებანი ბევრ შემთხვევაში თანამედროვე ტექსტოლოგიის მოთხოვნას სიმართლედ დგას. ს. ხუნდაძე კატეგორიულად მოითხოვს მწერლის თხზულებათა ტექსტების მეცნიერული სიზუსტით დადგენის აუცილებლობას, ცენზურული და სხვა სახის დამახინჯებათა გამოვლინებას და დადგენილი ტექსტის გამოცემას ავტორის მიერ წარმოქმნილი საბოლოო ტექსტის შესაბამისად, ან, როგორც თვითონ გარკვევით აცხადებდა: მკითხველისათვის ეგნ. ნინოშვილის ნაწერების იმ სახით მიწოდება, როგორათაც ეს „ავტორის ხელიდან გამოსულა“ და დაუწერია². ამ დებულებას მეცნიერი ტექსტოლოგი ხშირად იმეორებდა, მაგ. „ქანუი გურიამში“-ს შენიშვნებში იგი წერდა: „ჩვენი მიზანი იყო ტექსტი აღგვედგინა

იმ სახით, როგორათაც ეს ავტორის ხელიდან იყო გამოსული, ხოლო სხვა შემთხვევაში, უფრო ადრე, იგი წერდა: „ტექსტი ჩვენიველი კლასიციონი-მწერალი საზოგადოებამ იმ სახით უნდა გაიცნოს, როგორათაც იგი ისტორიულად იყო მოცემული“³. ამ პრინციპული პრინციპის შესაბამისად ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა „ტექსტის სისწორით აღდგენას“, ტექსტების დადგენის საქმეს⁴ და ყოველთვის მიუთითებდა: „აკადემიურ გამოცემაში ტექსტი უნდა იყოს მოცემული იმ სახით, როგორითაც ავტორს დაუწერია“⁵. მის აკადემიური გამოცემისათვის აუცილებელ პირობად მიაჩნდა „ტექსტის მეცნიერულად დამუშავება“⁶.

აღნიშნული სახელმძღვანელო დებულების საფუძველზე ს. ხუნდაძემ განიხილა ეგ. ნინოშვილის თხზულებათა კრებულის აღრიხილი სამი (1904, 1920, 1925 წ.) გამოცემა და ერთ-ერთ ძირითად ნაკად მიაჩნდა მათში თხზულებათა ტექსტების დამახინჯებულად დაბეჭდვა, მისილების შექანიკურად გადმოხტვდა ხელნაწერებისა და ეურნალ-გაზეთებიდან, ტექსტის მეცნიერული, კრიტიკული შესწავლის გარეშე გამოცემა. იგი წერდა: „1904 წლის კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული „სრული თხზულება ეგ. ნინოშვილისა“ მრავალი საგრძობი დეფექტებით და შეცდომებით არის გამოცემული. როგორც ცნობილია კ. თავართქილაძე უბრალო საბაზო გამოცემული იყო და მის ტექსტის მეცნიერულად დამუშავება და ნაწერების აკადემიურად გამოცემა არ შეეძლო (ხაზი ჩემია, პ. კ.).

...გამომცემელს ეგნატეს ნაწერები მექანიკურად გადმოუხტებია ეურნალ-გაზეთებში მოთავსებულ ნაბეჭდ ტექსტებიდან მთელი თავისი შეცდომებით, გამომცემლობა არც ილა ტექსტი დადგინა მეცნიერულად... 1904 წლის გამოცემაში ბევრს შემთხვევაში ნინოშვილის ნაწერები დამახინჯებით არის გადმოხტული⁷. მეცნიერ-რედაქტორის აზრით ტექსტის დამახინჯებული სახით გამოცემა „შედეგი იყო იმ მექანიკური მეთოდისა; რომლითაც „მუშავებოდა“ ეგნ. ნინოშვილის ტექსტები“⁷. ასეთვე „მექანიკური მეთოდითა“ დამუშავებული 1925 წლის გამოცემა. ამ

1 იქვე, გვ. 284.

2 გიორგი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, ქართული წიგნი, თბილისი, 1931 წ., გვ. XII.

3 ეგ. ნინოშვილი, ტ. I, გვ. XII, XIII.

4 იქვე, გვ. XIV.

5 იქვე, გვ. VIII.

6 იქვე.

7 იქვე, გვ. VIII.

1 აღნიშნული დებულება გაზიარებულია თანამედროვე მეცნიერ-ტექსტოლოგთა მიერ.

2 ეგნატე ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, მეთხვე გამოცემა, სიმონ ხუნდაძის რედაქციით და შენიშვნებით, ფედერაცია, თბილისი, 1932 წ., ტ. I, გვ. XIV (ამ გამოცემას ქვემოთ დავიხიწებთ შემოკლებით: ეგ. ნინოშვილი, ტ...).

გამოცემამაც, მიუხედავად საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯისა, ტექსტები... შექმნიურად არის გადამბეჭდილი მთელი თავისი შეცდომებით 1904 წლის და 1920 წლის გამოცემებში და ამიტომ დღემდე ბევრ შემთხვევაში დამახინჯებული დარჩა I. ს. ზუნდაძე აღნიშნავდა რა 1904 წლის გამოცემის ნაკლოვან მხარეებს, ამასთანავე დიდად აფასებდა კ. თავართქილაძის ლაშქრს ეგ. ნინოშვილის თხზულებათა გამოცემისა და დაცვის საქმეში. იგი წერდა: „მიუხედავად ამ დიდი შეცდომებისა, ზუნდაძის თუნდა აღნიშნის, რომ კ. თავართქილაძის დიდი ღვაწლი მიუძღვის ნინოშვილის ნაწერების შეკრებისა და ვაგრეცლების საქმეში, უკვე 1892 წლიდან იგი ხანგამოშვებით ბეჭდავდა ნინოშვილის ნაწერებს და აგრეცლებდა ხალხში... კ. თქმ მოთხერხა ცენზორის მიერ აკრძალული ზუნდაძის, ჯანყი გურიამი“ შექმნა და დაბეჭდა. ამით მან გადააჩინა ეს შესანიშნავი რომანი დაღუპვისაგან“ (ეგ. ნინოშვილი, თხზ., ტომი პირველი, 1931 წ. გვ. X).

ს. ზუნდაძე აკადემიური გამოცემის „კანონიერი“ ტექსტის დადგენის აუცილებელ მეთოდად თვლიდა თხზულების ძირითადი ტექსტის გამოყოფას და მის ნადავგზე ნამდვილი, მიეწინურულად დამუშავებული ტექსტის დადგენას. მას, როგორც აღვნიშნეთ, ყოვლად დაუშვებლად და სრულიად შეუწყნარებლად მიიხანდა ტექსტების ბეჭდვა „შექმნიერის მეთოდით“. იგი, როგორც აღვინახეთ, სასტიკად გმობდა ამგვარა გზით თხზულებათა გამოცემის პრაქტიკას.

მეცნიერი-ტექსტოლოგი კანონიერი ტექსტის დადგენისათვის საჭიროდ თვლიდა თხზულების ზუნდაძისა და ბეჭდური ტექსტების კრიტიკულ შესწავლას, ძირითადი ტექსტის გამოყოფას და საბოლოოდ საჭირო წყაროების შედარებისა და ანალიზის საფუძველზე კანონიერი ტექსტის დადგენას. გამოჩენილმა მეცნიერმა კარგად იცოდა, რომ ამგვარი მუშაობისათვის საჭირო იყო სათანადო წყაროები: ზუნდაძის, ბეჭდური მასალები, მემორანდოები, ეპისტოლარული ლიტერატურა, რეცენზიები, დღიურები, ბეჭდვის პროცესში შეტანილი შესწორებანი, ცენზურული მასალები, რედაქტორის ან სხვა პირთა შენიშვნები, მათ შორის ტექსტში შეტანილი ცვლილებები და სხვ.

ეგნატე ნინოშვილის თხზულებათა გამოცემის წინასიტყვაობაში ს. ზუნდაძე წერდა: „პირველ რიგში ჩვენს წინ იდგა ნინოშვილის ყველა ნაწერების, კერძოდ წერილებისა და დოკუმენტების შეგროვების აუცილებლობა. ეს ერთობ რთული და ძნელი საქმეც არის. მან

ხანგრძლივი მუშაობა მოითხოვა... ეგნატეს ყველა ნაწერებისა და კერძოდ წერილების შესწავრების მიზნით ჩვენ ხელმძღვანელმა მუშაკეთებელს მიხმინი წლებიდან მოყოლებული ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი; საცენზურო კომიტეტის არქივი, სეპარატი. მუშუემის სათანადო ფონდები; ქუთაისის მუზეუმი, ცალკე მოღვაწეთა და პირთა არქივები... სპეციალურად გაიგზავნა კაცო გურიამი ნაყნობ-შეგობრებსა და ოქაბებში მასალების შესაკრებად... ასეთი კვლევა-ძიებით, ჩვენ საინტერესო შედეგებში მივიღეთ“¹.

განსვენებული მეცნიერი ზუნდაძის წყალობა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ავტორგრაფებს ანუ დედნებს, რასაც ის ხშირად ავტორგრაფის მნიშვნელობით ხშირობდა. იგი გარკვევით აცხადებდა: „ავტორგრაფის უქონლობა, რასაკვირველია, ამ საქმეს (ავტორის ტექსტის აღდგენას — პ. კ.) ძლიერ აფერხებს“². ზუნდაძისთვის და მათ შორის ავტორგრაფების, ან ავტორიზებული ნუსხების უქონლობის შემთხვევაში, მკვლევარი უპირატესობას ანიჭებდა პირველ ნაბეჭდს, თვით ავტორის ზედამხედველობათა და მისი მეთვალყურეობით გამოცემულ ტექსტს. ზუნდაძისთვის უქონლობის გამო, წერდა მეცნიერი, ტექსტის სისწორით აღდგენის მიზნით ჩვენ... პირველ წყაროდ მივიღეთ პირველი ნაბეჭდი, ან თვით ავტორის ზედამხედველობით გამოცემული ტექსტი“³. ამ მიზნით ს. ზუნდაძის, სავსებით საპრობლემად, პირველ წყაროდ აურჩევია კ. თავართქილაძის მიერ ეგ. ნინოშვილის მოთხრობების 1892 წლის გამოცემა: „რამდენიმე მოთხრობა“, რომელიც ავტორის „რედაქციით“ არის დაბეჭდილი“⁴. „თვით ავტორის უშუალო ხელმძღვანელობით გამოცემა და ამიტომ მას დედნის მთავრობაც შეუძლია გასწიოს“⁵.

ამ თვალსაზრისით მეცნიერ რედაქტორს აღნიშნულ გამოცემაში მოთვალისწინებული მოთხრობების ტექსტები, სხვა უფრო სიმძლავრე წყაროების უქონლობის გამო, თხზულებათა ძირითად ტექსტად მიიღნენ. „ჩვენ ძირითად ტექსტად, წერდა იგი, მივიღეთ „რამდენიმე მოთხრობის“ ტექსტები. მკითხველმა უკვე იცის, რომ „რამდენიმე მოთხრობა“ თვით ავტორს, ეგ. ნინოშვილის მიერ გადახედულ გაზეთში დაბეჭდილ გამოქვეყნებულ ტექსტის მიხედვით დაბეჭდა, და ამიტომ იგი უფრო ახლოს დგას ავტორის დედნთან“⁶. ზოგჯერ რედაქტორი, ძი-

¹ ეგნატე ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 1931 წ. ტომი პირველი, გვ. XII.

² იქვე, გვ. 284.

³ იქვე, გვ. XIV.

⁴ იქვე, გვ. VII.

⁵ იქვე, გვ. 325.

⁶ იქვე, გვ. 356.

რითად ტექსტად თვლის მწერლის მიერ შესწორებული დედნიდან „კეალში“ დაბეჭდილ ან ცალკე გამოცემულ ტექსტებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ტექსტოლოგის განკარგულებაში არც ერთი ზემოთდასახელებული წყარო არ აღმოჩნდება: არც ხელნაწერები და არც ავტორიზებული ნაბეჭდი ტექსტები, მაშინ ის მიმართავს მწერლის სივრცულში ან მისი გარდაცვალების შემდეგ, ავტორის ზედამხედველობის გარეშე გამოცემულ ტექსტებსაც და პირველ რიგში ხელნაწერიდან უშუალოდ გადაბეჭდილს. ეგ. ნინოშვილის რომანის „ჭაიყ გურიამი“ — (სამწუხარო შედეგი) ტექსტის დადგენის შემთხვევაში ს. ხუნდაძე წერდა: „სამწუხარო შედეგი“ — („ჭაიყ გურიამი“) ბეჭდვის „კეალში“ შედეგად 1902 წლის დასაწყისიდან... მაგრამ ეურხალში დიბუქდა მხოლოდ ზუთი პირველი თავი... როგორც ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობებიდან გამოიკვება, რომანის ბეჭდვა სასტიკად აუკრძალავს ცენზორს... მთლიანად ეს რომანი გამოქვეყნდა 1904 წელს ყ. თაგვარაძის მიერ გამოცემულ ენაბე ნინოშვილის სრულ ნაწერებში-1. კ. თავართქილაძეს ხელთ ჰქონია ამ რომანის ხელნაწერი, რომლიდანაც მას ვადაუბეჭდია ტექსტი თავის გამოცემაში. ს. ხუნდაძე განაცხადობს: „სამწუხაროდ ამ თხზულების დედანი არ შენახულა, როგორც პირადად ვადაშვილმა ამკამდ საეპოლ მოხერხებულმა კ. თავართქილაძემ, — დედანი დაღუპულა 1905 წელში, როდესაც დამწერა გრ. ნ. დიასმიძის ელემტრონის საბეჭდო სტამბა... ხელნაწერი დამწერილი იყო ფანქრით წერილად და სრულიად უძველესად, სიტყვა-სიტყვით ვადაშვილმა (კ. თავართქილაძემ — ბ. კ.) ეს რომანი ამ ხელნაწერიდან თავის გამოცემაში დედნის უქონლობის გამო, ზეენი გამოცემის ძირითად ტექსტად აიღო 1904 წლის თავართქილაძის გამოცემის ტექსტი“ — დაძის შემინიერი. სამწუხაროდ, რედაქტორის განკარგულებაში ეგ. ნინოშვილის თხზულებათა მეტად უმნიშვნელო რაოდენობის ავტოგრაფი აღმოჩნდა. სახელდობრ: „სახალწლო პურღვანო“-ს პირველი ნაწილი, „პარტახი“, პუბლიცისტური წერილი „საბასო“ 2 და სხვ. დედნების დიდი უბეჭდობა დაიკარგა. ამითხველმა უნდა იცოდეს, რომ წერდა ს. ხუნდაძე, თვით ევწატეს პირადი არქივი სამწუხაროდ სამუდამოდ დაღუპულია. როგორც ირევეა, ეგნატეს დიდალი მასალები და დოკუმენტები ჰქონია შენახული, მას ჰქონდა მიწერ-მოწერა სხვადასხვა ცნობილ პირებთან, დარჩენილი დიდალი ავტოგრაფები, დაუმკარგებელი მოთხოვნები, სურათები, ვა-

ჩანატები, ხელნაწერის შაეები, და სხვ. ყველა ეს და მრავალი სხვა ხელნაწერი მასალა დაღუპულა და განადგურებულა. **პირველი**
 ამ მიმე პირობებში ს. ხუნდაძე გუტყვამით სწავლობს თხზულებათა ტექსტის ისტორიას, ნაწარმოებთა წყაროებს, ახდენს მათ კლასიფიკაციას, სათანადო ანალიზს და მთელი შეცნაერული აკრიბიით ცდილობს „კანონიკური“, ან კრიტიკული ტექსტის დადგენას. შემადგინული პრინციპის საფუძველზე ძირითადი ტექსტის შერჩევის შემდეგ, მეცნიერი რედაქტორი მიმართავს თხზულების ხელნაწერ, ავტოგრაფულ ტექსტებს, სადაც ამის შესაძლებლობა არის, პრესასა და გამოცემებში დაბეჭდილი ტექსტთან შედარების მეოთხს და ამ გზით იღობს „ტექსტის სისწორით იღვენას“, მის ვაწმენდას დამახინჩებისა და აშკარა უნებლიე შეცდომებისაგან. ს. ხუნდაძემ კარგად იცოდა, რომ ძირითადი ტექსტი, ან ავტორის სივრცულში და მისი გარდაცვალების შემდეგ შესრულებული გამოცემები ყოველთვის არ წარმოადგენს კანონიერ ტექსტს. ამიტომ ის გულდასმით სწავლობდა ხელნაწერ და ბეჭდურ მასალებს გარკვეული ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, ავლენდა სხვადასხვა სახის დამახინჩებებს და ამზადებდა საფუძველს კანონიკური ტექსტის დასადგენად. მეცნიერ-ტექსტოლოგის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შედეგები ძვირფასი მონათვარია თანამედროვე ტექსტოლოგიური ძიების საგანძურში.
 ხელნაწერების უქონლობის შემთხვევაში ს. ხუნდაძე ერთმანეთს ადარებდა მწერლის ნაწარმოებთა ყველა გამოცემის ტექსტებს, ძირითად ტექსტად გამოყოფდა პირველ ნაბეჭდს და ამ პრინციპით განხორციელებული შედარების შეთოდით, ტექსტისადმი მეცნიერული, კრიტიკული დამოკიდებულების გზით, როგორც თითონვე აღნიშნავს, სავრძინა შედეგებს აღწევდა. ტექსტის დადგენის აღნიშნულ მეოთხს მეცნიერი რედაქტორი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა და საესეზით საპროლოანად უარყოფდა გამოცემული პრაქტიკაში ვაბატონებულ „მეკანიკურ მეოთხს“. ამიტომ უსაყვედურებდა ის ადრინდელ გამოცემებს, რომ ისინი არ ცდილან შევარებთა ეგნატეს ხელნაწერები და შეედარებინათ ერთმანეთისათვის; ტექსტები არც ერთი არ არის შედარებული პირველ ნაბეჭდთან ან ხელნაწერთან არ არის გამოვლინებული ბეჭდვის პროცესში და შევებულ დამახინჩებანი, ან გამოცემულია მიერ შეტანილი ცვლილებები და ხელნაწერში არსებული უნებლიე შეცდომები, რის გამოც აღედანი ბევრს შემთხვევაში დამახინჩებელი დარ-

1 იქვე, გვ. 281.

2 იქვე, გვ. 282.

3 იქვე, გვ. XII.

1 იქვე, გვ. XII-XIII.

2 იქვე, გვ. XIV.

ჩა 1. მეცნიერი რედაქტორი მიუთითებდა, რომ აღნიშნული პრინციპისა და მეთოდის გამოყენების გამო „პუბლიცისტური წერილი“ ძველი დავა ახალ ქურქში¹, 1904 წლ. გამოცემაში გადმობეჭდილია სამი გვერდის გამოტოვებით. ეს წერილი „კვალში“ დაიბეჭდა არეულად; და 1904 წელს გამოცემელმა შექანირვად გადმობეჭდა ეს წერილი „კვალშიდან“ მთელი მეთოხე გვერდის გამოტოვებით. ამასთანავე სიმონ ხუნდაძე პრინციპულად წინააღმდეგა დეფინიტური ტექსტის სუბიექტური თვალსაზრისით რესტავრაციისა და ამ გზით ინტერპოლირებული ტექსტის შექანირვით შექმნილა. იგი წერდა: „მაგრამ იქ, სადაც „კვალში“ მესამე გვერდისა და მეხუთე გვერდის ტექსტები ერთმანეთს არ მიუღდა (ლაპარაკია წერილის „ძველი დავა-ახალ ქურქში“ ზემოაღნიშნულ შემთხვევაზე -- 3. კ.) — გამოცემლის კალამი ამტავრდა და ამრიგად „დაადგინა“ ჩვენი შწერლის პირველი სერიოზული პუბლიცისტური წერილის ტექსტი. ამრიგად ეს წერილი დამაბინჯებელი იბეჭდებოდა მთელი ორმოც წლის განმავლობაში ყველა გამოცემაში“². თხულებათა ტექსტის სისწორით აღდგენისა და ავტორის ხელიდან გამოსული ნაწარმოების დადგენისათვის ს. ხუნდაძეს შეუწყნარებლად მიანიჭა ძირითადი ტექსტის „გასწორება“. იგი აღიარებდა ავტორის ტექსტის შეცნობურულ-ტექსტოლოგიურ ძებნას, გარედან ჩაურევლობის პრინციპს.

ცნობილია, რომ ტექსტოლოგიაში ერთ დროს გარკვეული დავის საგანი იყო საკითხი „ავტორის ნების“ გამოხატველ ტექსტში, „შწერლის ხელიდან გაოსვლი“ ნაწარმოების კანონიერი ტექსტის დადგენისას ტექსტოლოგის მიერ საგანგებო, ძირეული ხასიათის ცვლილებების შეტანის შესახებ, მით უფრო თუ ეს ცვლილებები არ გამოიძინარეობს უშუალოდ ავტორის ნებართვით და არ ატარებს ავტორიზებულ ხასიათს, შესარქვებულა ავტორის თანხმობის გარეშე ან მისი გარდაცვალების შემდეგ.

როგორც ვიცით, ავტორის გარდა ტექსტში ცვლილებები შეჭმუნდათ სხვადასხვა დიპტირესებულ ორგანიზაციებსა და ყერძო პირებს. ტექსტის ცნობრული ვიესტეციისა, გადამწესებულებისა და სტამბის მუშაკთა მიერ დამწებულ შეცდომებთან ერთად ხშირად გვხვდება რედაქტორის მიერ შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გამოწვეულა ოფიციალური რედაქტორული მდგომარეობით ან ავტორისაღმე მეგობრული დამოკიდებულებით, ე. ი. კეთილი განზრახვით: „დაეხმარონ“, „გაუსწო-

რონ“ ავტორის შეცდომები, ხელი შეუწყონ არსებულ „ნაყოს“ თავიდან აცილებას და სავითოდ თხულებთა „გაუმჯობესებას“.

თხულებათა გამოცემის ისტორიაში ისინი ცნობილია, რომ ზოგჯერ რედაქტორი ტექსტს „ასწორებს“ გარკვეული იდეურ-მხატვრული შეხედულების შესაბამისად, ან კლასიკოსის თხულებებს „უფარდებს“ და „უსადგებს“ ეპოქის ახალ მოთხოვნებსა და მსოფლმხედველობას. საერთოდ რედაქტორთა მიერ ტექსტისაღმე დამოკიდებულებისა და მასში ცვლილებების შეტანის შემთხვევები მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ტექსტოლოგიაში ცნობილია ისეთი შემთხვევები, როდესაც ავტორი არ ეთანხმება რედაქტორის და თავის პოზიციებს იცავს და ზოგჯერ აღწევს კიდევ მისანს. მაგრამ ამასთანავე ისიც ცნობილია, რომ ავტორი ეთანხმება რედაქტორის მიერ ჩატარებულ ცვლილებებს. ერთ დროს მლიერ გაერკელებული იყო, და ზოგჯერ ამა თუ იმ სახით დღესაც გვხვდება შემთხვევა გარდაცვალებული კლასიკოსის თხულებათა ტექსტში ცვლილებების შეტანისა და ა. შ. ასეთ შემთხვევებში დიფერენცირებული მეცნიერული მიდგომაა საჭირო, და ამჟამად ეს პრობლემა ტექსტოლოგიაში გადაწყვეტილია. როგორც ვიცით, დენის დაელოვის თხულებათა ტექსტში კარდინალური ცვლილებები შეიტანა გამოცემაშია შწერლის შეიღმა; მან „შეასწორა“ თხულებების არა მარტო ენობრივი მხარე არამედ ამოლო ტექსტიდან გარკვეული ადგილები და საკუთარი ფართო მსჯელობანი ჩაურთო. ანალოგიური ბედი ეწია ფერის თხულებათა აღრინდელ გამოცემაშიც. მაგალითების მოყვანა შორის წაგვიყვანდა. შწერალთა თხულებებისაღმე ამგვარი დამოკიდებულება საესებით კანონიერად იქნა დაგმობილი. ამჟამად ეს პრობლემა გადაწყვეტილია: ტექსტში მეცნიერულად დაუსაბუთებელი ცვლილებების შეტანა დადგმვლად არის მიჩნეული. მით უფრო მიუღებელია ავტორის გარდაცვალების შემდეგ ტექსტში საკუთარი თვალსაზრისით ნაყარანხები ცვლილებების შეტანა. ს. ხუნდაძე აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაშიც საესებით მართებულ პოზიციებზე იდგა: „არავითარი შესწორება“ — აცხადებს ის, — გარდა ტექნიკურ-კორექტორული ხასიათისა, აქ დასაშვები არ არის“³. ამ დებულების თანახმად საესებით სწორად მოიქცა განსვენებული მეცნიერი, როდესაც მან მოთხრობა „პარტახის“ ტექსტი გაათავისუფლა გ. წერეთლის მიერ ხელნაწერსა და შემდეგ გამოცემაში შეტანილი ცვლილებებისაგან და, როგორც თვითონვე აცხადებს, აღადგინა, თვით

1 იქვე, გვ. XIY.

2 იქვე, გვ. VIII-IX.

3 იქვე, გვ. IX.

1 იქვე, გვ. XIY.

ე. ნინოშვილის ხელნაწერების მიხედვით. მეცნიერ რედაქტორის დაყვარებით გ. წერეთელს არსებითი ხასიათის ცვლილებები შეუტანია „პარტახის“ ტექსტში, როგორც ენობრივი, ისე ტექსტუალური და კომპოზიციური ხასიათისა.

როგორც ვიცი, გ. წერეთელმა „პარტახი“ დაბეჭდა ე. ნინოშვილის გარდაცვალების შემდეგ 1894-1895 წლებს ეურნალ „კვალში“. მას ხელთ ჰქონდა მოთხრობის ავტორგრაფი, რომლის ტექსტშიც მან შეიტანა მრავალი „შესწორება“ და ამ ცვლილებით გამოაქვეყნა იგი. ს. ხუნდაძემ აღნიშნული ავტორგრაფი შიკველია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, სადაც იგი დაცული ყოფილა 5-4908 ნომრით. ამჟამად აღნიშნული ავტორგრაფი შესულია ე. ნინოშვილის არქივში (აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, № 3)2. ავტორგრაფის ტექსტში მრავალი შესწორებაა შეტანილი ავტორის მიერ, მაგრამ რად „უსწორება“ ავტორზე გამოცემულ რედაქტორს გ. წერეთელს შავი მელნით, ხოლო ფანქრით შეინიშნებოდა გაუკეთებია და ზოგიერთი ცვლილებაც მოუხდენია ცნობილ მოღვაწეს რადან კალაქს. მეცნიერ ტექსტოლოგს დაყვარებით შეუსწავლია ავტორგრაფის ტექსტი და გამოუვლენია გ. წერეთლის მიერ შეტანილი ცვლილებები. ს. ხუნდაძემ, როგორც აღნიშნეთ, საკვებით სამართლიანად გაათავისუფლა თხზულების ძირითადი ტექსტი გ. წერეთლის მიერ შეტანილი ცვლილებებისაგან და „ავტორის ნამდვილი“ ტექსტი გამართა ავტორგრაფის საფუძველზე. „კანონიერი“ ტექსტის ამჯერად დადგენის პრაქტიკა საკვებით შეესაბამება თანამედროვე ტექსტოლოგიური ძიებას მეცნიერულ მოთხოვნებს, და ს. ხუნდაძის დამსახურება ამ მხრითაც დიდად საგულისხმო და საყურადღებოა.

• • •

აქედმეორი გამოცემისათვის კანონიერი ტექსტის დადგენისას, სხვა საკითხებთან ერთად, საინგებო ყურადღებას იქცევს თხზულების ენობრივი და ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური

თავისებურებების გათვალისწინების პრობლემა. ტექსტოლოგიაში დიდხანს მიმდინარეობდა გაცხოველებული პაექტობა კანონიერი ტექსტის დადგენისას თხზულების ავტორის ენობრივ-ორთოგრაფიული და პუნქტუაციური სპეციფიკის დაყვასა, თუ მისი თანამედროვე ლიტერატურული ენის ნორმების მიხედვით გასწორების შესახებ. ეს საკითხი განსაკუთრებით სიმწვაიო იყო დაყენებული ახალი ლიტერატურის თხზულებათა აკადემიური გამოცემის შემთხვევაში. უძველესი და ძველი ლიტერატურული ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემაში კი უკვე დიდი ხანია ძირითადად დაცულია ის ენობრივ-ორთოგრაფიული ნორმები, რომლებიც დამახასიათებელია ნაწარმოებისათვის, სპეციფიკობა ავტორის ენობრივ-სტილებრივ ინდივიდუალობის და მისი მხატვრულ-ემოციური თავისებურებისათვის. და თუ რომელიმე მხატვრული თხზულება ამ მიმართულებით დამახინჯებულია, შეცნაურტექსტოლოგები ყოველთვის ცდილობენ ავტორისეული ენობრივი ფორმების აღდგენას. ისინი, სრულიად სამართლიანად, არ ერიდებიან აკადემიურ გამოცემაში კანონიერი ტექსტის ენობრივ-გრაფიკული მოვლენების ძირითადი და პარალელური ფორმების უცვლელად დატოვებასაც. ეს რომ ამ იყოს და ძველი ლიტერატურის ძეგლები მომდევნო ან თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმითა, ან საკუთარი სტილის მიხედვით ვასწორრო და გამოვეყო, ეს ფაქტორი ვითარების შეუწყნარებელი დამახინჯება, სტორიული ფაქტების უგაღებლად, ნაწარმოების შეკვრა და ისტორიის პრინციპის უარყოფა იქნებოდა. ამ მხრით ზოგიერთი გამოჩენისა დასაშვებია და მისაღებია მხოლოდ გარკვეულ ვითარებაში: უნდა გასწორდეს მხოლოდ ლექსები, ამკაა უნებლიე შეცდომები „შეუქმებელი ფორმები, როგორცაა ასოთა დაკლება, ზედმეტად დაწერა და სხვა ხასიათის უსწორ-მასწორებანი“ (ა. შანიძე), გამოცემისას გაპარული შეუსაბამობანი, სასვენ ნიშნითა მხარების ამკარა შეცდომები და სხვ. ამასთანავე სადაღებულად უნდა მივიჩნიოთ ყველა სახის შესწორების ზუსტად მითითება. სათანადო შენიშვნებსა და კომენტარებში, სამწუხაროდ, განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ახალი და უახლესი მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა აკადემიური გამოცემის საქმეში. ამ ხშირად გასაქანი ეძლეოდა რედაქტორის სუბიექტურ შეხედულებებსა და გამოცემისადმი საკუთარ სუბიექტურ დამოკიდებულებას. ამიტომ ხშირია შემთხვევა, როდესაც რედაქტორი ავტორის ტექსტს, მის ენობრივ-ორთოგრაფულ ფორმებს „ასწორებს“, ცვლის საკუთარი, ან თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, ეს უსამართლობა ზოგჯერ მიჩნეუ-

1 ე. ნინოშვილი, თხზ., ტომი მეორე, გვ. 303. სამწუხაროდ „პარტახი“ სრული აკადემიური გამოცემის სახით ბოლომდე მიიწვ არ არის გამართული ავტორგრაფის ტექსტის მიხედვით, მაგრამ ამის შესახებ ცალკე გვიქნება მსჯელობა.

2 1935 წელს „პარტახის“ ავტორგრაფი გამოცემაში პრ. შანიძის რედაქციით და ქეთ. ლომთათიძის შენიშვნებითა და ვრცელი ლექსიკონით.

ლია სახსებით კანონიერ, უდავო მოვლენად. ცნობილი ფაქტია, რომ ისეთი დიდი მწერალი, როგორც ა. ს. ტურგენევიცა, საგრძნობლად ცვლიდა მის რედაქტორობით გამოცემულ ტიუტჩევის თხზულებებს არა მარტო მხატვრული, არამედ ენობრივ-სტილისტიკური თვალსაზრისით. ანალოგიური ხასიათის შემთხვევა ჩაატარეს ნეკრასოვიც, კრავსკიმ, ნიკიტენკომ და სხვებმა, რომელთაც თვითონი „შესწორებებით“ ავტორის ტექსტში ჩარევით დაამახინჯეს მათ მიერ რედაქტირებული ტექსტები. ასეთივე მიუღებელი პრინციპით არის გამოცემული აკაცი წერეთლის რჩეული ნაწერები ისეთი ცნობილი რედაქტორების მიერ, როგორც იყენენ ს. გოჩაძე და ს. აბაშელი. ავტორის ენობრივ-ორთოგრაფიულ თავისებურებებთან ერთად „გასწორების“, ტექსტის თანამედროვე ენობრივი ნორმების მიხედვით გამართვის, მის მოდერნიზებას არ ეტოვებოდნენ აღნიშნული რედაქტორები აკაცის თხზულებებთან გამოცემის დროს. ამგვარი შემთხვევები ძალიან ხშირია თანამედროვე ტექსტოლოგიას სრულად შეუწყნარებლად მიაჩნია მხატვრული ლიტერატურული ტექსტის ამგვარი კრიტიკული გამოცემის პრაქტიკა. კანონიერი ტექსტის ენობრივ-სტილისტიკური და ორთოგრაფიული მხარის მოდერნიზება, მისი თანამედროვე ენის ნორმებისა ან საკუთარი, სტილიტიკური სტილის მიხედვით „გასწორება“ დაგმობილი და მიუღებელია. სხვას რომ თავი დავანებოთ რედაქტორთა მიერ შეცვლილი და გადმოცემული ტექსტები ანალოგიურად მწერლის სტილის სპეციფიკის, მისი ინდივიდუალობის გამოვლინებისა და შესწავლის, ენის ვანდობის კანონზომიერების კვლევის, მისი სტილის თვალსაზრისისა და საერთოდ ავტორის შემოქმედების ანალიზისათვის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მწერლის თხზულებაში ხშირად ვახვედბა დიალექტური, ნეოლოგიზმები, რომელთა გერ არ მოუპოვებიათ სალიტერატურო ენაში დამკვიდრების უფლება, არქაიზმები, ზოგიერთი გადარბები მიღებული ნორმებისა და ფორმებისაგან, გრამატიკული, ორთოგრაფიული და სინტაქსური უზუსტობანი და სხვ. ამგვარი შემთხვევა ხშირად ემსახურება თხზულების მხატვრულ-ემოციური, იდეურ-მინიარსობრივი და საზოგადოებრივი მხარის უფრო გამოხატვის ამოკანებს, მწერლის ჩანაფიქრის უფრო სრულყოფილ განსახიერებას, ყოველ შემთხვევაში მისდამი ღრმად მისწრაფების განხორციელებას, ან წარმოადგენს პეჭსონაფის მერყეულებას: თავისებურებას და აბსაიათებს მწერლის ენის ინდივიდუალობას. ამგვარი ეთარება ნორმიდან უბრალო „გადახვედვები“ კი არაა, არამედ ავტორის მხატვრული აზროვნების, მისი წერის მანერის, შემოქმედებითი ცხოვრების, მისი საკუთარი ინდივიდუალური, ორიგინალური ოსტატობის გა-

მოვლინება, მისი მხატვრული სპეციფიკის მნიშვნელოვანი წყაროა. იგი ხშირად ნაწარმოების იდეურ-მხატვრული, ინტონაციურ-ემოციური ასპექტთა მხატვრული მოვლენების სტრუქტურის მატარებელია და თხზულების სტილებრივ თავისებურებებთან გამოხატუვლია. ამიტომ მისი შეცვლა, თვითნებური „შესწორება“ ყოველად დაუშვებელია. რაგინდ მიმე შეცდომად არ უნდა ეჩვენოს რედაქტორის თხზულებაში წარმოადგენილი გრამატიკული, ლექსიკური და ორთოგრაფიული მოვლენები, იგი მაინც არ უნდა „გასწორდეს“.

ცნობილია, რომ ზოგჯერ მწერლის ენაში მართლაც ხვდებოდა შეცდომებს, ნორმიდან გადახვევის შემთხვევებს, სალიტერატურო ენის გრამატიკული წესებიდან ვარკვეულ გადახას, უჩვეულო სინტაქსურ კონსტრუქციებს და სხვ. მაგრამ ტექსტოლოგიური პეციფიკება დაუშვებლად თვლის რედაქტორის მიერ მათ შეცვლას და „გასწორებას“. ცნობილია, რომ, სხვათაშორის, ჩვენი უდიდესი ბელეტრისტის ალ. ყაზბეგის შესანიშნავ თხზულებებში არც თუ ისე იშვიათად ხვდებოდა გრამატიკული ნორმიდან გადახვევებს, განსაკუთრებით კი ერთგვარ „დარღვევებს“ სინტაქსურ კონსტრუქციებში და სხვ. მაგრამ ალ. ყაზბეგის ნაწარმოებთა ენა, მთლიანად აღებული, ხასიათდება საოცარი მამულელობით, იშვიათი ცხოვრებითა და უპეციფიკობით, გულში ჩაშვდენი მხატვრულობით, მოშხილავი სინარჩაით, მომეალოებელი სინტაქსით, წარმტაცი გამოშახველობით, ძალით, ფრაზის არანვეულობრივი მოწინდობით, სიმსუბუქითა და გამპევირებალობით, ამიტომ მისი მორფოლოგიური და სინტაქსური უსწორობანი დიდი მწერლის საერთო სტილში სრულიად არ იგრძნობა, როგორც ნაკლებნა მხარე; პირიქით, იგი უჩვეულო ოსტატობითაა შერწყმული მწერლის მხატვრული სტილის ულამაზეს მდინარებში. ალ. ყაზბეგის ენა წარმოადგენს ახალი ქართული სალიტერატურო ენის დიდი სავანების ძვირფას ფონებს. სხვა მაგალითების გახსენებაც შეიძლებოდა. მაგრამ, ვეფიქრობ, ოქმულიც საკმარისია.

ანალოგიური მოვლენის შესახებ დიდი რეკლამიონიერ-დემოკრატი ბ. ბელენსკიწერდა: პეჩისტიბი: გრამატიკოსები და კონსტრუქციები თავს ესხმიან გოგოლის ენას, და, თუ ენებთან, არც თუ სრულად უსაფუძვლოდ: მისი ენა მართლაც უსწორია, ხშირად ცოდავს გრამატიკის წინაშე... მაგრამ ყოველივე ამისთან ერთად ის ისეთი მხატვრული, ისეთი ნათელი და რელიეფური, ისეთი ვარკვეული და ზუსტია, რომ მისი ნაკლი... უფრო-მეტად წარმოადგენს მის მშვენებას, ვიდრე წუნს... აიღეთ გოგოლის ყველაზე მოქმენილი მხატვრული პეჩილი, იგი ადელი გასასწორებელია, და მის

გაეყოფას შესძლებს შეათე რიგის უველა წერაეიხვის მყოფენ; მაგრამ ეს იქნებოდა მხატვრული პერიოდის გაფუჭება, მისთვის ორგანიზაციისა და სილოცხლის წართმევით. რედაქტორ-გამომცემლებმა რომ დაიწყონ კლასიკოსთა თხზულებების ენის გასწორება, ცხადია, ეს მიგვიყვანდა შეუწყნარებელ დამახინჯებამდე.

ამასთანავე ვასათფლისწინებელია ისიც, რომ თხზულების აკადემიურ გამოცემაში ავტოგრაფის მით უფრო, არასაბოლოო ტექსტის ენის აბსოლუტურად უცვლელად გამომცემისადმი მისწრაფებაც მიუღებელია. თუ ავტორის ახასიათებს გრამატიკულ ფორმათა სხვადასხვაობა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა მწერლის ამ ენობრივ თავისებურებათა გვერდის ავლა. ზოგჯერ ავტორი განსხვავებული ფორმით წარმოგიდგენს ერთსა და იმავე სიტყვას, გარკვეული მოსაზრების გამო ნიარსახოვანი ფორმით ხმარობს მას. ეს მოვლენა ზოგჯერ დაკავშირებულია ნაწარმოების კომპოზიციური ქსოვილის კონკრეტულ სიტუაციასთან, მის მიღწერ-მხატვრულ შინაარსთან. ამგვარი მიდგომა ხშირად სტილებრივი ხერხია, თხზულების სტილის დამახასიათებელი თავისებურებებია, ამ თავისებურების გამოხატვის საშუალებებია და მისაღწი ავტორის გარკვეული დამოკიდებულების მანიფესტაცია. კანონიერი ტექსტის გამოცემისას ამგვარი ფორმების ერთგობაობამდე დაყვანა მართებული არ იქნება. თხზულების აკადემიურ გამოცემაში, როგორც ეთქვით, უნდა დავიცვათ ავტორისეული ენის, გრამატიკული ფორმებისა და მართლწერის დამახასიათებელი სიტყვები, ამ თავისებურების ხარისხი და ხასიათი, მისი სიმტკიცე და შერეობაც. მაგრამ, აქვე უნდა გავიზიაროთ ის ცნობილი დებულებაც, რომ დასადგენი ტექსტის დედნის უზრალო გადაბეჭდვა, მისი აკადემიურ ტექსტად გამოცხადების მიზნით, არ იქნებოდა მართებული, როგორც აღვნიშნეთ, დაფესულები, ამგვარ უნებლო შეცდომები და დამახინჯებანი, კორექტორული შეცოდებანი და სხვ. უნდა განწირდეს, მაგრამ იმ უდავო პირობის დაცვით, რომ რედაქციის მიერ შეტანილი ყოველი ცვლილება გარკვეულ იქნას სათანადო აპარატურის მომარჩევით.

ს. ხუნდაძემ აქაც სავესებით სამართლიანი შეხედულება დაიცვა და მის გამოცემებში აუცილებელ პრინციპად მიიჩნია ავტორის ენობრივ-სტილისტურ თავისებურებათა უცვლელად დატოვება. ამის შესახებ ის ვ. წერეთლის თხზულებათა გამოცემისას წერდა: „ყოველ ტომში წარმოდგენილი მასალები იმეჭვება უცვლელად — ვ. წერეთლის სტილის, მართლწე-

რისა და გამოთქმების დაცვით“¹. იგივე მისწრაფება უფრო მეტობად აქვს გადმოცემული მეცნიერის ეგ. ნინოშვილის თხზულებათა სრულ კრებულში. აქ ვკითხულობთ: „ტექსტებისა და დედნის დროს ჩვენ... ძირითადი სახელმძღვანელო აზრით ვხელმძღვანელობდით... რამდენადაც შესაძლებელი იყო, დაგვეცა თვით ნინოშვილის სტილი და მართლწერა“².

განსვენებული მეცნიერი სავესებით სამართლიანად მითითებდა, რომ აკადემიურ გამოცემაში აუცილებელია თხზულების ადრინდელი და მომდევნო დროის ენობრივი მხარის თავისებურებათა დაცვა, აგრეთვე ნაწარმოებში არსებული პარალელური ენობრივი ფორმების უცვლელად დატოვება. იგი წერს: „ეგნატეს პირველი ხანის ნაწერები სტილისა და მართლწერის მიხედვითაც დიდად განსხვავდება მისი უკანასკნელი დროის ნაწერებისაგან. მათი შეცვლა და ერთნაირი სტილისა და მართლწერის მიხედვით დადგენა აკადემიური გამოცემისათვის ჩვენ შეუძლებლად დაგინახებოდა... აქ უნდა სწინდეს ავტორის თანდათან ზრდა და განვითარება, ზოლოც ეს ზრდა და განვითარება არა ნაკლებად ისახებოდა ნინოშვილის სტილისა და მართლწერაში... ყოველი ნაწარმოები თავისი ეპოქის შინაარსს ასახავს და ამ სახით უნდა იქნეს იგი განხილული. ვარადა ამისა, — განვითარების მეცნიერია, — ეგნატეს გვირგები ხშირად ხმარობენ სიტყვებს: რეიზი, რეზი, რატომ. კითხვა იმაღლება: რატომ უნდა დადგენილ იქნეს აქედან ერთ-ერთი მითვანი, როდესაც, გურულები უველა ამ სიტყვებს ხმარობენ? ამ მოსაზრებათა გამო, ეგნატეს ნაწერებში სტილი და მართლწერა დაფესულები იმ სახით, როგორითაც ეს მოცემული იყო თვით ავტორის დედნებში და პირველ წყაროებში“³.

ს. ხუნდაძის დაუშვებლად მიიჩნია თხზულებათა სტილის შესწორება. იგი ეგ. ნინოშვილის ნაწარმოებთა 1925 წლის გამოცემაში დიდ ნაკლად ეთვლიდა იმას, რომ „გამოცემაში მოცემულია დაუსახველებელ რედაქტორის მიერ ნაწარმოები დედანი, რომელიც ზოგ შემთხვევაში საგრძნობლად სცილდება ნინოშვილის სტილსა და დედანსაც“⁴. აღნიშნულ მოწინავე მეცნიერულ შეხედულებათა

¹ გიორგი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტომი პირველი, 1931 წ., გვ. XII.

² ეგნატე ნინოშვილი, ტომი პირველი, 1932 წ., გვ. XIV.

³ იქვე, XIV-XV; დაწერილებით იხილეთ: რუსუდან კესრაშვილი, ს. ხუნდაძე, როგორც რედაქტორ-გამომცემელი, „ლიტერატურული მივანი“, ტ. XIII, 1960 წ.; გვ. 393-97.

⁴ ეგ. ნინოშვილი, თხზ., ტ. პირველი, გვ. XI.

¹ В. Г. Веллисий. Поли. собр. соч. В 13-ти томах, Т. 9. стр. 229.

საფუძველზეა ძირითადად შესრულებული გამოჩენილი მეცნიერის დიდი, მრავალფეროვანი და ფრიალ ნაყოფიერი ტექსტოლოგიური ძიებანი¹.

აკადემიურ გამოცემაში ეგ. ნინოშვილის სტილის, მართლწერის, პერსონაჟთა და ავტორის შეტყველებაში გერული დიალექტის იმ სახით შენარჩუნება, როგორც იგი წარმოადგენილია თხზულებებში, თავისთავად დიდად მნიშვნელოვანია, არა მარტო ლიტერატურათმცოდნეობის, არამედ ლინგვისტური და სხვა თვალსაზრისითაც. გერული კილო, შეიძლება ითქვას, შეიცავს სამ ძირითად განსტოებას; თანამედროვე დაზიანების მიხედვით: მახარაის რაიონის, რომელიც მეზობლობაშია აჭარულთან, ჩოხატურის — იმერულთან, ნაწილობრივ, აჭარულთანაც და ლანჩხუთის — მგერულ-აჭარულ-იმერულთან. ამ გარემოებათა მიხედვით და ისტორიული წინამძღვრებისა და განვითარების შესაბამისად ვარკვეული გამოთქმები, ლექსიკური მასალა და ზოგიერთი ფორმა ამეამად თვითფუნქციონირების ცალკე და საერთოდ ყველა რაიონისათვის ერთგვარად სპეციფიურია. ამიტომ ნინოშვილისდროინდელი გერული დიალექტის წარმოდგენისათვის ეგ. ნინოშვილის ნაწერებს, მის ზუსტად გამოცემას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამის შესახებ 1935 წელს პრ. ფ. ა. შანიძე წერდა: „ეგ. ნინოშვილის ნაწერებში მომქმედი პირები (ზოგიერთ შემთხვევაში ავტორიც, — პ. კ.) გერულ კილოზედ ლაპარაკობენ. ნიჭიერი მწერალი კარგად იცნობს გერულ კილოს, რომლის წიაღში იგი დამაღებულა და აღზრდილია და საზოგადოდ სასწრაფო შახეებს ამ კილოს უთარგმნებს 90-იან წლებში, რადგანაც ყოველი კილო და მათ შორის გერულიც მუდამ ცვალებადობას განიცდის და დღევანდელი მისი სახე უკვე ის აღარ არის, რაც უნდა ყოფილიყო ორმოციოდე წლის წინათ, ამიტომ ეგ. ნინოშვილის ნაწერებს... უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული დიალექტოლოგიური თვალსაზრისითაც“².

ეგ. ნინოშვილის თხზულებებს, როგორც ე-

ით, „ასწორებდნენ“ რეცენზენტები. რედქტორები, ეურნალ-გაზეთების ხელმძღვანელ-გამომცემლები, სტამბის მუშაეები და სხვ. ს. ხუნდაძემ მიზნად დაისახა ამ დამახინჯებისაგან ტექსტის გაწმენდა და ტექსტუალურ შინაარსთან ერთად მისი ენობრივ-სტილებრივი თავისებურებების აღდგენა. მაგრამ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანის სრული სახით გადაწყვეტა განსვენებულ მეცნიერს არ შეეძლო სათანადო ხელნაწერი წყაროების, „მწერლის ხელიდან გამოსული“ ავტორგრაფებისა და სხვა სახადო მასალების უქონლობის გამო. ზოგჯერ კი ავტორგრაფის არსებობის პირობებშიც, სამწუხაროდ, ვერ არის მთელი აკრბიით დადგენილი ტექსტი, განსაკუთრებით მისი ენობრივ-ორთოგრაფიული მხარე. მეცნიერმა ტექსტოლოგმა ვერ შეძლო ბოლომდე და სრული სახით გაემართა „პარტახის“ კანონიერი — ტექსტი ავტორგრაფის საფუძველზე და იმ სწორი ტექსტოლოგიური პრინციპების შესაბამისად, რომელსაც განსვენებულ მეცნიერი აღიარებდა.

აღნიშნულის მიუხედავად, ტექსტოლოგიური ძიების მეთოდუბისა და პრინციპების მარჯვე გამოყენებითა და დიდი შემოქმედებითი მუშაობის ჩატარების შედეგად, ს. ხუნდაძემ ძირითადად შესძლო ეგ. ნინოშვილის თხზულებათა ვარკვეული კანონიერია ტექსტების აღდგენა. საერთოდ კი ცხადია, რომ იმ პირობებში, რომელშიც მუშაობა უხდებოდა მეცნიერს (ავტორგრაფების, ავტორიზებული ხელნაწერების, ავტორის ხელმძღვანელობით გამოცემულ თხზულებათა სრული კრებული! მწერლის მიერ ნასწორები კორექტურის ანაბეჭდებისა და ტექსტოლოგიათვის სხვა საჭირო თეცილებული ავთენტური მასალებთანა და წყაროების უქონლობა) მეტად ძველი იყო ნამდვილად აკრბიული, ყოველმხრივ მასალები კანონიერი ტექსტის აღდგენა. ს. ხუნდაძის საზახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ მხრივ ნამდვილად საგმირო საქმე გააკეთა და მნიშვნელოვან მეცნიერულ შედეგებს მიაღწია. მომავალში თუ ახალი ხელნაწერი წყაროები აღმოჩნდება და თანამედროვე ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების მიღწევათა საფუძველზე ჩატარდება შემდგომი მეცნიერული მუშაობა, ცხადია, მოპოვებული იქნება სათანადო ახალი წარმატება, რის შედეგადაც დადგენილ ტექსტში შეიძლება შეტანილ იქნას გარკვეული კორექტივები.

ენობილია, რომ აკადემიურ გამოცემაში კანონიერი ტექსტთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ტექსტის წყაროებში (მაგი, თეთრი

¹ ავტორის ხელმძღვანელობით, როგორც ენობილია, დაიბეჭდა მხოლოდ ნაწილი.

¹ მართალია, როგორც მეკლავარი რ. კუსრაშვილი აღნიშნავს, ზოგჯერ ს. ხუნდაძე ვე-ლარ ახერხებს თავისი თეორიული შეხედულებებს პრაქტიკულ გამოპრტივლებას, მაგრამ ეს ძირითადად გამოწვეულია ტექსტოლოგიური ძიებისა და სათანადო წყაროების შეგროვების უკმარის მდგომარეობით.

² ეგ. ნინოშვილი, „პარტახი“, ავტორგრაფის მიხედვით გამოცემული შენიშვნებითა და ლექსიკონითურთ პრ. ფ. ა. შანიძის რედქციით, შენიშვნები და ლექსიკონი ქეთო ლომთათიძისა, თბილისი, 1935 წ., გვ. III.

ხელნაწერების, გამოცემების და სხვ.) შემჩნეული სხვაობანი. ამასთანავე აუცილებლად საჭიროა ამ სხვაობათა არა უბრალო მითითება, არამედ მათი მეცნიერული კლასიფიკაცია, წარმოშედობისა და ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მათი ფილაციის დადგენა, მათი ხასიათისა და მნიშვნელობის, წარმოშობის ფაქტორებისა და სპეციფიკის მეცნიერული ანალიზი, კანონიერი ტექსტის დადგენაში მათი ადგილის გათვალისწინება და დასაბუთება.

აღნიშნული მიმართულებით, ცვლადობების საფუძველზე, უნდა გაირკვეს არსებული სხვაობების, რედაქციების, ვარიანტების და სხვიდურ-მხატვრული და ენობრივ-სტილური თვისებებებიანი აღნიშნული მასალების ანალიზი საფუძველს აწვდის აგრეთვე ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის, ტექსტის ევოლუციის, მწერლის შემოქმედებითი „ლობორატორიის“ შესწავლისა და მისი სპეციფიკის გარკვევისა და გათვალისწინებისათვის. ავტორისეული ვარიანტები ზშიად გვიჩვენებს მწერლის იდურ-მხატვრულ ტენდენციებს, ენობრივ-გრაფიკულ ნორმებისა და სტილისადმი ავტორის დამოკიდებულების ხასიათს და სხვ. ხოლო, საერთოდ, ყველა სხვაობის შესწავლა აუცილებელია თხზულების კანონიერი ტექსტის დასადგენად და სხვ. მთელი მასალა ვადმოკლებული უნდა იყოს გარკვეული შიფრის, საერთოდ მიღებული „ტექსტოლოგიური ენის“, პირობითი ნიშნების გამოყენებით.

საშუალოდ, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა ზშიად უგებლბეუყოფილია როგორც ძველ, ისე ახალ აკადემიურ გამოცემებში.

ს. ხუნდაძის გამოცემებშიც სისრულითა და სათანადოდ ვაფორმებით არ არის წარმოდგენილი აღნიშნული სახის მასალები. აქ მითითებულია უმთავრესად ზხოლოდ ავტორის გარეშე წარმოქმნილი ცვლილებებისა, დამახინჯებებისა და კორექტორული ხასიათის შეცდომებზე. მეცნიერ-რედაქტორი არც ძახავს მიზნად ყველა ვარიანტისა და დამახინჯებათა ჩვენებას. ის მოთხოვნა „სიმონა“-ს კომენტარებში წერს: „მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ამ შენიშვნაში არ აღნიშნულია ცალკე სიტყვებს, სხვადასხვა გამოცემაში გამოტოვებულს“¹. ამიტომ, ცხადია, გამოცემაში არაა წარმოდგენილი სათანადო მასალები, არც მათი ანალიზი და ვადმოკების ტექნიკა. ეს ვითარება ზვეწში იმდროინდელი გამოცემების საერთო ნაკლი იყო და ამდენად იგი ს. ხუნდაძისათვის სპეციფიკურ მოვლენად არ ჩაითვლება.

ტექსტოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა აკადემიურ გამოცემებში მასალის განლაგების პრინციპის დადგენა. ზვეწი სწავლული გამოცემელი აღიარებდა მასალის თვითმართვით ანუ სისტემატური განლაგების პრინციპს, ზოგი ენობრივად, ზოგიც ქრონოლოგიურად ან ისტორიულად. ცნობილია, რომ ქრონოლოგიური პრინციპი, სხვებთან ერთად ენობრივად დაიცვეს ბელინსკიმ და ჩერნიშევსკიმ. მაშინ ამ პრინციპის დაცვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, არა მარტო მასალის განლაგების პრობლემათა ვადამწვეტისათვის, არამედ გამოცემის კომპოზიციის საერთო ხასიათის დადგენისათვისაც. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მხატვრულ-თხზულებათა გამოცემების კომპოზიციას უდიდესი ახდენდა ვაგელენს მ. ლომონოსოვის „შტილის“ თეორია: ამ თეორიის მიხედვით მ. ლომონოსოვის ნაწარმოებთა გამოცემებში მასალა დალაგებული იყო „ხელოვნური ერთეულთა სტუმის მიხედვით“, ე. ი. ჰერ დაბეკვა „სასულიერო ოცნება“, შედეგ — სხედეფი და შესხმითი ოცნებები, რომლებიც მიმართული იყო სამეფო კარისადმი, ზოლო ბოლოს სხვა ენარის თხზულებები. ე. წ. „დაბალი ენარის“ ლექსები, ეპიგრამები და ამ ენარის სხვა თხზულებები ლომონოსოვის ამ მიზნად თავის ნაწარმოებთა გამოცემაში შეტარის ღირსად². ამგვარი და სხვა სახის შეხედულებების ამოლოგათა წინააღმდეგ ბრძოლაში, სხვებთან ერთად, დიდი როლი შეასრულა ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მოთხოვნებმა ქრონოლოგიური პრინციპის ვადტარების შესახებ. მაგრამ მას შემდეგ, რაც მ. კ. ლემკემ შესანიჭ უკიდურესობამდე მივიდა ქრონოლოგიური წესით თხზულებათა განლაგების პრინციპი გერციენის თხზულებათა ვადმოცემაში, სწავლულ რედაქტორთა და მოწინავე საზოგადოებრიობისათვის სავესებით გასაკვეთი ვახდა, რომ ქრონოლოგიური პრინციპის ვადმიწვეტისათვის ვადმოუსადეგარია მწერლის შრავალენაროვან თხზულებათა აკადემიური ვადმოცემისათვის. ახალი ქართული ლიტერატურის თხზულებათა ვადმოცემაში სავესად იყო ვადრეკლემული თემატური და ენობრივი პრინციპი. სიმონ ხუნდაძემ, ტექსტოლოგიის იმდროინდელ მიწვევათა საფუძველზე, თხზულებათა მეცნიერულ ვადმოცემაში უბირატესობა მისცა მასალის განლაგების სინთეტურ

¹ А. А. Гришунин. Очерки истории текстологии новой русской литературы Основы текстологии, под ред. В. С. Нечаевой, М., 1962 г. стр. 12.

² В. В. Томашевский. Писатель и книга, М., 1959 г. стр. 204. შტრ. გრიშუნინის დასახ. შრომა, გვ. 77.

პრინციპს, ე. ი. ენობრივ-ქრონოლოგიურს. თავისი ტექსტოლოგიური მიზნის ობიექტის შესაბამისად ის ძირითადად იცავდა აღნიშნულ პრინციპს, ე. ი. ამ შემთხვევაში, როდესაც მწერლის შემოქმედებით შექცეულიყო პოლიგრაფიული ხასიათისა. საინტერესოა განსვენებული მეცნიერის შეხედულება ერთი ცრუ-თვარითანი ენობის მასალის გამოყენებაში განლაგების ქრონოლოგიური პრინციპის შესახებ: „პირველ ტომში იმპლედება მხოლოდ მოთხრობების დალაგების დროს უმთავრესად გამოვიყენეთ ქრონოლოგიური პრინციპი; დაწერის დრო“¹. ანალოგიურ შეხედულებას იცავდა ის ნიკო ნიკოლაძის ნაწერების გამოცემის შემთხვევაშიც: „რედაქტორის მიერ, — აცხადებს ს. ხუნდაძე, — უარყოფილია პრინციპი ტომების თანაბრად დალაგებისა. ამ შემთხვევაში იგი ფიქრობდა, რომ პუბლიცისტური ნაწერების გამოცემა უფრო მიზანშეწონილი და სასარგებლოა ქრონოლოგიური წესით. ეს წესი, ერთი მხრივ, საშუალებას იძლევა მკითხველს ნათლად უჩვენოს, თვით მწერლის თანდათანობით, მისი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ევოლუცია (ხაზი ავტორისა. — პ. კ.), მეორე — მხრივ, ვაცნოს ისტორიული თანრიგობის მიხედვით ის საკითხები, რომელიც ამა თუ იმ ეპოქაში წამოიჭრებოდა. ამრიგად, — განაგრძობს ს. ხუნდაძე, — ქრონოლოგიური წესით მკითხველი უფრო ღრმად და სრულად ეცნობა, როგორც ეპოქის (ან ეპოქების) შინაარსს, ისე თვით მწერლის თანდათანობით განვითარებას. ვარდა ამისა პუბლიცისტურ მწერლის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ ძლიერ ხშირად იგი ერთ და ამავე წერიალში მრავალ სხვა და სხვა თემას ეხება და ამიტომ — ტექნიკურადაც ხშირად შეუძლებელი ხდება მათი თემატიკურად დალაგება. სწორედ ამ მოსაზრებით ნიკო ნიკოლაძის ექსტრემიზან რბევლი ნაწერები ჩვენ დავადავთებთ უმთავრესად ქრონოლოგიური წესით და მხოლოდ ცალკე ტომებში შევეცადეთ — რამდენადაც ეს შეუძლებელი იყო — თემატიკური წესიც გამოვიყენებოთ“².

¹ ევ. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტომი პირველი, 1932 წ., გვ. XV. ევ. ნინოშვილის პირველი ტომის გამოცემასთან შეკრებილი ამასთანავე გაითვალისწინა ისტორიული პრინციპიც. იგი წერს: „განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ იმასაც, თუ როგორ დაიწყო თავის მოთხრობები თვით ავტორმა 1892 წ. მისი ხელმძღვანელობით გამოცემულ „რამდენიმე მოთხრობაში“ (იქვე).

ყენებია“¹. ასევე პრინციპულად იცავს იგი ქრონოლოგიურ წესს გ. წერეთლის ნაწერების გამოცემისას. გ. წერეთლის „ნაწერების დალაგებისას ჩვენ უმთავრესად ქრონოლოგიური წესით ვხელმძღვანელობდით“. წერს მეცნიერი². ამასთანავე საუბრადღებოა, რომ ევნატე ნინოშვილის ნაწარმოებთა განლაგებისას რედაქტორი პირველ და მეორე ტომში ათავსებს მოთხრობებს, ხოლო ავტობიოგრაფიას, პუბლიცისტურ წერილებს და კერძო მიწერ-მოწერას მესამე ტომში. ორივე შემთხვევაში მასალა დალაგებულია ქრონოლოგიურ პრინციპზე. ამრიგად, ს. ხუნდაძე საკითხის დიფერენცირებულად უდგება და იცავს მასალის განლაგების სინთეტიკურ პრინციპს. ხოლო, როდესაც მხოლოდ ერთი ენობის თხზულებებით აქვს საქმე, მაშინაც უარყოფს მასალის თემატიკურად განლაგებას და მხარს უჭერს ქრონოლოგიურ პრინციპს. როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერი უფურადღებოდ არ ტოვებს ისტორიულ პრინციპსაც და სადაც იგი გამოსადგე და მოხატუბულია მოხდენილად იყენებს მას.

* * *

აქედმეორე გამოცემის მაქსიმალური სისრულის უზრუნველყოფისა და საერთოდ მწერლის ყველა ნაწარმოების გამოვლინებისა და გამოყენებისათვის ტექსტოლოგიური მეცნიერება მოითხოვს ატრიბუციის პრობლემათა გადაწყვეტას. ცნობილია, რომ მრავალი გამოქვეყნებული თუ ხელნაწერი საბით ვაერცელებული თხზულება ხელმოწერადაა, ანონიმურია ან ფსევდონიმური და ზოგჯერ კრატონიმურიც. ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოების განზრახ ან შეცდომით სხვას მიაწერენ. საქართველოში ავტორის დადგენა ამის გარეშე შეუძლებელია ნაწარმოებთა მეცნიერული ანალიზი, მისი ადგილისა და დროის განსაზღვრა, მისი ფუნქციისა და დარგობების შეფასება. ამავე დროს მეცნიერული ატრიბუციის გარეშე შეუძლებელი გახდება მწერლის ნაწარმოებთა სრულყოფილი აქადემიური გამოცემის მომზადება, ან, როგორც იტყვიან, მწერლის თხზულებათა ზუსტად, მთლიანად სახის კომპლექსის დადგენა. ს. ხუნდაძემ თავის გამოცემაში საგანგებო ყურადღება მიაქცია ტექსტოლოგიის ამ მოთხოვნებს და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. სხვათა შორის, მან გამოარკვია, მრავალი წერილი, რომელთაც ევ. ნინოშვილს მიაწერდნენ, სინამდვილეში სხვა

¹ ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტომი პირველი, 1931 წ., გვ. IX—X.

² გიორგი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, 1931 წ., გვ. XII.

მწერლებს გუთვნოდა. მეცნიერ-რედაქტორმა გულდასმით შეისწავლა თავის გამოცემებში მოსათავსებელი თხზულებების დათარიღების მდგომარეობა. ნაწარმოებისადმი დართულ შენიშვნებში უჭრადღება გამახვილებულია: „როდის დაიწერა ნაწარმოები, როდის დაიბეჭდა“ და სხვა.

ცნობილია, რომ ნაწარმოებთა შესაბამისი თარიღების დადგენის გარეშე შეუძლებელია მისი და საერთოდ მწერლის შემოქმედებითი შემეცნიერების ნამდვილი მეცნიერული შესწავლა, თხზულებათა იდეურ-მხატვრული ანალიზი, მწერლის ეპოქასთან დამოკიდებულების თავისებურებათა ახსნა, მწვავე პრობლემებისადმი გამოხმარებების ხასიათი, მისი ხარისხი, პრიორიტეტი, სპეციფიკა და მნიშვნელობა საზოგადოებრივი აზრის განვითარებასა და პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ს. ზუნდაემ მრავალი მასალის: ავტორის წერილობითი ცნობების, თხზულებათა ხელნაწერის, მიმოწერების, მოგონებების და სხვათა ანალიზის საფუძველზე სწორად დაათარიღა გარკვეული რაოდენობის თხზულებები. აქვე არ შეიძლება უჭრადღება არ გამახვილოთ ერთ ფრიალ საინტერესო ფაქტზე. როგორც ვიცით, თანამედროვე ტექსტოლოგია მიათხოვს, რამდენადაც შესაძლებელია, გარკვეული მოცულობის თხზულებათა ზუსტ დათარიღებას, ე. ი. დაწერის წლის, თვის, დღის და საათის დადგენას. ზოგიერთი ტექსტოლოგი სპორად თვლის დათარიღების სასტიკში შეტანილ იქნას ჩანაფიქრის წარმოშობის, წყაროების ძიების, გვერდის შედგენის, თხზულებაზე მუშაობის დამწეების, ნაწარმოების პირველი მონახაზის წარმოქმნის, გარკვეული ვარიანტებისა და რედაქციების წარმოშობის, მისი დამთარგმნის და საერთოდ თხზულების მთელი შემოქმედებითი პროცესების დათარიღების დადგენას.

აღნიშნულ დათარიღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის, მისი ევოლუციის, სტრუქტურულ-გარკვევის, თხზულების ტექსტის დამკვიდრების, მისი ისტორიის დადგენის, და საერთოდ მწერლის შემოქმედებითა პროცესის, მისი მხატვრული აზროვნების გათვალისწინების, მისი მხატვრული „ლაბორატორიის“ წედომის, მთელი შემოქმედებითი შემეცნიერების ღრმა მეცნიერულად შესწავლისა და თხზულების კანონიერი ტექსტის დადგენისათვის. ს. ზუნდაის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სცადა აღნიშნული სახის ზოგიერთი თარიღის დადგენა. მართალია, იგი თანამედროვე ტექსტოლოგიური მოთხოვნების შესაბამის ვერ უბასუხებს, მაგრამ თავისი დროსათვის უეჭველად მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა.



როდესაც წარმოიდგენ ამ დაუღალავი დიდი საციკლისტის მეცნიერულ-შემოქმედებითს შემეცნიერებას, განცვიფრებული ფიქრობ: როგორ შეძლო ერთმა ადამიანმა ესოდენ მდიდარი, მრავალმხრივი, მძიმე და ნაყოფიერი მუშაობის შესრულება რაღაც შეიძლიაო წლის განმავლობაში, როცა ანალოგიურ სამუშაოს ზოგჯერ მთელი მრავალციხოვანი საციკლისტების კოლექტივიც კი ვერ აუღის.

პროფ. ს. ზუნდაის მეცნიერული გამოცემები თხზულებათა სისრულით, კომპოზიციით, მასალის განლაგების, კანონიერი ტექსტის დადგენის ძირითადი პრინციპებით, მეთოდოლოგიით, მეთოდებითა და საერთოდ ტექსტოლოგიური ძიების კულტურით იმდროის მაღალ დონეს განსახიერებს და ახალ ქართულ ლიტერატურაში შემდგომი ტექსტოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ ბრწყინვალე, სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენს.



ივანე ჯავახიშვილის 34 პირობა წერილი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა უთუოდ არ ისაჭიროებს მისი პუბლიკატორისგან განსაკუთრებულ რეკომენდაციებს ამ მემკვიდრეობისადმი მკითხველის საქმიანი ინტერესის გასაზრუნველად. ასეთი ინტერესის სიციხოველე ყველა შემთხვევაში თავისთავად სავარაუდოდებელია. ეს ვარაუდი გვაბედვინებს — ქვემოთ დალაგებული და ჩვენ (მოკრძალებული აღრესატის) მიერვე კომენტირებული კერძო წერილები ივ. ჯავახიშვილისა, რიცხვით ოცდაათობმეტი, ბოლოს და ბოლოს გამოვაქვეყნოთ.

საერთოდ, მწერლის ეპისტოლეთა შენაერთის ძალა და ღირებულება უწინასიტყვაობოდაც ნათელია, თუ რაში შეიძლება მდგომარეობდეს ეს ძალა და ეს ღირებულება. ამის შესაბამისად ჩვენი დიდი მეცნიერის წერილებსაც, რა თქმა უნდა, თან ახლავს „მომხმარებელისათვის“ სასიკეთო თვისებები. გარდა იმისა, რომ ჯავახიშვილის წერილებში, ამ თავისებურად უნიკალურ ძეგლში, მკვეთრად და მთელი თავისი უშუალობით გამოხატულა დაუვიწყარი მეცნიერისა და მამულიშვილის უღრმესად ინტიმური სულიერი განწყობილება, აღაშინური გულისთქმანი, ყოველდღიური ზრუნვა და დარდი, ყველა ამას გარდა, შიგ. ეპისტოლეებში, ფართოდ გაშლილია მისი აკადემიური, სამეცნიერო-საზოგადოებრივი, საქვეყნო-სამამულიშვილო და რომელი მათთანა საქმენი და ინტერესები.

მშვენიერი და მრავალმხრივი მასალაა. რამდენ რამეს სწვდება! თითქოს იმთავითვე მიღებული გადაწყვეტილებით, აფიქსირებდეს ავტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროტორისტორიის უფიცხლეს მომენტებს, შლიდეს უნივერსიტეტის მღელვარე თავგადასავლის პირველ სცენებს, რომელთა სიღრმით შემფასებელი დღევანდელი მკითხველი სამართლიანად დაასკვნის, რომ — მართლაც! რაკი ეროვნული მეცნიერების ტაძარს დრო დადგომოდა, ქართველი ხალხის საარსებო ინტერესების შესაბამისად, მოეგვარებინა თავისი საუნივერსიტეტო გადაუდებელი საკითხები — თეორეტიული და ორგანიზაციული, მიელო ქვეყნისათვის გასაზიარებელი სახელმძღვანელო პრინციპები სწავლა-აღზრდის სფეროში, დაედგინა საქართველოს ისტორიისა და სხვა მეცნიერებათა კვლევა-ძიების ფილოსოფიური და ზოგად მეთოდოლოგიური საფუძვლები, ასეთ ვითარებაში წარსული ცდების კრიტიკას, მეცნიერულ ძიებათა ძველი გზების გასუფთავების მცდელობას სქოლასტიკის ქვა-ლორდიდან არ იქნებოდა არ მისცემოდა მჭაფრი ხასიათი. შეუძლებელი იყო — კამათში, ახლის ძიებაში, ძველის კრიტიკაში თავი არ ეჩინა ვნებათა ღელვას და ამის შედეგად — სამართლიანობის საზღვრების გადალახვის უსიამოვნო ფაქტებსაც. წერილების ავტო-

* კომენტარები და შენიშვნები ეკუთვნის წერილების აღრესატს პროფესორ ვარლამ დონდუას.

რი ამ ფაქტებს სიმწრით განიცდის, როგორც „დაუნდობელ ბრძოლას“ და ჭეშმარიტად, მკითხველი გაიკვირვებს კიდევაც, რაოდენი ძალადობით, საბაკევიჩური უხეშობით, ნაზღრიოვისებური თავდაჯერებულობით იყო ჩვეულებრივ მწიგნობრული ბევრი იმდროინდელი მოღვაწის კრიტიკული ცდები. მაინც და მაინც მოწინააღმდეგისაგან გადაულახავი რჩებოდა მთავარი — ბედუქუდმართი წარსულის საზღვრების მთელ სიგრძეზე ფართოდ გახსნილი, მანამდე არნახული „საისტორიო ფრონტი“: დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება, აღმშენებლობითი მუშაობის გეგმების განხორციელება, რომელნიც დასახულებიყვნენ მაშინ კიდევ ახალგაზრდა სოციალისტური საქართველოს წინაშე, ჭვეყნის ჭირისუფალთაგან უკომპრომისო თავდადებას მოელოდა, საქმიან ბრძოლაში შეუპოვრობას საქიროებდა („არა შემეშინოს, რაა მიყოს მე კაცმან“) ¹. საერთო საქმისათვის სისარგებლო იყო, რომ ივ. ჯავახიშვილს ხელმძღვანელ წრეებშიც შეეშველნენ (როგორც ამას ადასტურებს წერილები), თანაგრძნობის ძალამ თითქოს საბოლოოდ დაუყუჩა დიდი ხნიდან შეუწელებელი, მორალურთან ერთად, ფიზიკური ტკივილები (უკუტრნებელი სენი), მისთვის უღვევი, „ზეციით მონაბერი“ მხნეობით განაგრძობდა საოცრად დაუღალავ („ღღეღაღამ“, როგორც იკითხება მის წერილებში) შრომას, ტიტანურ შემოქმედებით მუშაობას, მაგრამ რა და როგორ — ამაზე ცხოვლად პასუხობს თვით წერილები. იქნებ ბევრმა ამ წერილებიდან პირველად შეიტკოს — რას ნიშნავს თურმე მეცნიერის შრომის ინტენსივობა, რამდენი შეძლება, ცოდნის გვერდით, ხალხის სამსახურის ტრფიალს.

ივ. ჯავახიშვილი ასწრებს და ყოველდღიურ ხელმძღვანელობას უწევს საორგანიზაციო და აკადემიურ საქმიანობას ჯერ — მისი თაოსნობით დაფუძნებულ უნივერსიტეტში, მერმე — ინსტიტუტებში, მუზეუმებში (მისივე დაარსებული იყო შ. რუსთაველის მუზეუმი), არქეოლოგიურ ექსპედიციებში. მსგავსი მოღვაწეობა იმლებოდა დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ფონზე. მრავალი ფუძემდებლური სამეცნიერო შრომის უწყვეტელ მზადება-ბეჭდვაში, სახელმძღვანელოთა ახალ პრინციპებზე დამუშავება-შედგენაში. წერილებში მკაფიოდ ჩანს გზაკვლევითი სურათი, თუ როგორი მზრუნველობით ქმნიდა თავის წიგნებს ავტორი, რა რუღუნებაში ავებდა იგი საიმისო სამეცნიერო აპარატს. წამქეზებელ მაგალითად გამოიღვებათ მომავალ თაობებს ყოველივე ეს, სამარადისო საბსოვარად დარჩებათ წერილებში ძალდაუტანებლად გამოსახული შრომითი სიგმირე ჩვენი დიდი მოღვაწისა.

მომავალ თაობებსო, — ვაძბობთ, და თითქოს მათთვისვე განახლებული ძალით იწყებდეს ეღერას ცნობილი იესე ბარათაშვილის ანდერძის (XVIII ს.) სადა სიტყვით გამონათქვამი ჩაგონება შეილთა: „ერთი მცირე ბარათი არ დამიგღია, რომ გამოსაყენებელი არ იყოს“-ო.

ვარლამ ლონღა

¹ შენიშვნა: აქ წარმოდგენილი წერილები (ისინი ნაწერი არიან 1935—1940 წწ.) აღრესატი ჯავახიშვილმა ქ. ლენინგრადის მისამართით, სადაც აღრესატი ეწეოდა სამსახურებრივ საქმიანობას.

ტფილისი
1985, 5. X.

I

დიდად პატივცემული ბატონო ვარლამ!

უდიდესად გმადლობთ კონდაკოვის წიგნი-სათვის! მწუხრებს მხოლოდ, რომ თქვენ წიგნ-სთსაკვებს ჩემი გულისათვის ასეთი ზიანი მო-უვიდა. მას შემდეგ, რაც თქვენი ცნობა მო-მივიდა, რომ კოსტანიანცის „ვიმაინ ტარე-ვირ“ ტფილისში გინახავთ, დავეძებ ყველა მალაჩიეში, მაგრამ აღარსად აღმოჩნდა. თი-თო ცალი ჰქონიათ და გაუყვირიათ. ამიტომ ისევ მანდეთგან თუ გამოვიგზავნით. ბოდის ეხბი, მაგრამ კიდევ ერთი თხოვნით უნდა შეგაწუხოთ. ალ. სვანიძეს მეგობ. გრამატიკა და ლექსიკონი სჭირდება, როგორც მან შემარ-ყობინა. ტფილისში ვერ ვუთხვე: იოს. უიფში-ძის ქტორისაგან ზედმეტად ცალი არ აღმოჩნდა. რათგან ალ. სვანიძისაგან ძალიან დავალებული ვარ იმით, რომ გერმანიითგან 6-ტომიანი წიგ-ნისათვის გამოსაწერად ვალტის მიღება მო-მხერხა სასტრუქოთი ბანკში, ამიტომ მინდა სამაგრიტო ვადავუხადო როგორმე. ვთხოვთ ჩემი ფულით შეიძინოთ ავადმის საწყობში იოს. უიფშიძის Грам. Мингр. №3, და ჩემ მა-ვიერ ვადავუგზავნოთ მოსკოვში ამ მისამარ-თით: Москва, Госбанк СССР, Иностран-ный отдел, директору Александру Се-меновичу Сванидзе. დიდ ბოდის ეხბი ამ შეწუხებისათვის. ჩემი ნაშრომი „სომხ. საისტ. მწერლობა“ თუმცა დაბეჭდა, მაგ-რამ აქამდის ვერ დაეხმეს და ამიტო-მაც ვერ მიიღია, რომ თქვენთვის ვა-მოვუგზავნა. დასასრულ უნდა ვთხოვოთ, რომ ჩემი გვარის კონვერტზე ისევე იწერებოდეს რუსულად, როგორც ქართულად. წინათ ჩვენ ყველანი იძულებული ვიყავით ისე გვეწერა ჩვენი ვარი. როგორც ოფიც. [ილერ] საბუთებ-ში იყო შეტანილი. რამდენჯერ ვეცადე მამან ქართულის აღდგენას, მაგრამ ნებართვა ვერ მივიღე. ეხლა საბედნიეროდ საბუთებშიც აღ-დგენილია ქართული მართლწერა, და წინანდ-ლის გახსენება-ც ჩემთვის უსამოვნო გა-რემოებაა. ამიტომ შემდეგში ვთხოვთ თქვენე ქართულად და რუსულად ერთნაირად მომ-წეროთ ხოლმე.

თქვენი პატივისმცემელი და ბედნიერების მონატრული ივ. ჯაპახიშვილი.

ტფილისი
1985, 19. X.

11

დიდად პატივცემული ბ-ნო ვარლამ!

თქვენი მეორე წერილი და ბატიაჩი-ნამე! მივიღე და ორივესთვის გულითად მადლობას მოგახსენებთ. მხოლოდ ბურტელს რომ ფსი არ ატლია, უხერხულად ვგრძნობ თავს ერთ-

გვარი ზარალის მიყენების გნობ. მარცხდა-მაინც მადლობის მოხსენება მმართებს. მე კი მისი მამის სახელი არ ვიცნობ (მინა სახელი წიგნზე სპარსულად სწერია, და ცეცხლს მტკიე-ვია), რომ წერილობით მადლობა შევეუთვალო, არც მისამართი მაქვს. ბოდის ეხბი ამოდენა შეწუხებისათვის, მაგრამ მაინც უნდა ვთხო-ვოთ, ორადე დია წერილით მაცნობოთ. ბ-ნო ვარლამ! ეწუხვარ, რომ ამოდენა საქმე გა-გინდათ ჩემი გულისათვის, მეტადრე ის წარ-მომება მიფიჭრება, რომ ჩემთვის წიგნების შესაძენად ფული ცოტა ვაგატანო. ის თანხ-ტოლსტოის წიგნს შესაძენად ცოტა არ იქ-ნება საქმარის! ამიტომ, როგორც წასული წი-ნაც ვთხოვდით, მაცნობეთ, მგ წიგნების შე-საძენად რამდენი დავჭირდებოთ, და მე მიშინ-ვე ტელეგრაფით ფულს მოგართმევთ. ან იქ-ნებ, თქვენ რომ გადმოგზავნით არ შესწუხდეთ ხოლმე, მაცნობეთ, რომელი მისამართით გად-მოვუგზავნო ფული სამეც. ავადმის წიგნე-ბის საწყობს ანუ ევების ფსდადებთ გად-მოგზავნა ირჩიონ. ალ. სვანიძეს ჩემ მავიერ თუ მეგობ. გრამატიკას ვადავუგზავნით, დიდად დამაყალებთ. მისი ფსაც მაცნობეთ, რომ მო-გართვათ. ჩემი წიგნის ბეჭდვა დამთავრდა, მაგრამ აქამდის ვერ დაუკანმავთ და ამიტომ ვერ ვახსენებ.

თქვენი პატივისმცემელი
ივ. ჯაპახიშვილი

ტფილისი

111

1985, 22. X.

დიდად პატივცემული ბ-ნო ვარლამ!

გუშინ საღამოს მომივიდა თქვენი გამოგზავ-ნილი წიგნები: 1. ნ. მარასი კანური გრამატი-კა 1, 2, 3. უიფშიძის დამატ. ცნობები ქანურ-ზე 2 და 3. კოსტანიანცის ქსნაქან სარსეჩი, რისთვისაც გულითად მადლობას მოგახსენებთ.

თქვენი პატივისმცემელი
ივ. ჯაპახიშვილი

ტფილისი

1985, 12. XII
კალინინის, 68
(უ. ნიკოლოზის)

1V

დიდად პატივცემული ბ-ნო ვარლამ!

ტფილისში გადამდები ავადმყოფობა ქნ-თრწმა, რომელსაც ძველად ვარდოხა ეწოდე-ბოდა, და დიფტერიატი მთარულად იქცა, და მძინვარებს. უფროსი შეილიმელი, ვოგონა დალი, გავეხიდა ჩვენე ქუნთარუშით ავად. ეხლა დასრულდა კარანტინის ხანა, და დე-

ინფექცია მოვალდინეთ. სამუხაროდ ქუთათურის შედეგად თირკმელების გაღიზიანებაც აქვს და მოძრაობის დროსაც თითქმის ფეხების დახეთქლობა ემჩნევა. ექიმო ამბობს, რომ ზანგრაძლივი წოლის შედეგით, მაგრამ საქმით საბუთი მაქვს ექიმების სიტყვას არ ვენდო... შემოვივინადა ყველა ამის გამო მადლობის მოხსენება ჩემთვის შექმნილი წიგნების ვადმოგზავნისათვის. იმეღა მამატებზე ამ უნებლიეთს მღუპარებას. მე მეტადვე ის მაწუხებდა, რომ გატანებული ფული ამოდენა შენადენს არ ეყოფოდა და თქვენს წიხანზე დავალიანებული უნდა ვყოფილიყავი. მაგრამ თქვენ მწერს, რომ თქვენ ამოღენა წიგნებზე მხოლოდ 44 მან. და 80 კ. დავხარჯვით და კიდევაც ვადარჩენათ შესაძენად. სწორედ მოკახსენოთ, ვერ გამიგია, თუ როგორ მოხდა ეს, როდესაც, მარტო ტოლსტოის წიგნი თითო თემნად რომ ვიანგაროშოთ, უკვე 9 თუმანი გამოდის. ამას თუ იოს. ყოდშიმისა, ონიანისა და ნ. მარჩისა, დისანბულ, კოსტანინკისა წიგნების ფასსაც მივათვლით, ვადმოსავლენ ზარქსაც მიუფრატებთ, სულ სხვაანაირად წარმოვიდგება თქვენი დანახარჯის ოდენობა. ვფიქრობდი და ვერ გამიგია, ნუთუ ტოლსტოის 9 წიგნის ფასად მთლიანად 10 მან. პეულისამობადია? ეს ძნელი დასაჯერებელია, რათავან გამოცემის დროსაც მას ასეთი მცირე ფასი არ ჰქონია. ამიტომ ბოდინს ვიხდი ამოდენი შეწუხებისათვის, მაგრამ მაინც ვთხოვთ მადლობით, რამდენი დახარჯეთ სულ ყველა წიგნების შექმნაზე და ვადმოგზავნაზე, რომ ჩემს ზე ვალი არ იყოს. თქვენი წერილის შიღებისთანავე, ტელეგრაფით ვახსლებთ. — როგორც იყო გამოვიდა ჩემი ნაშრომი „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“, 17, რომელსაც ამასთანავე ფოსტით მოვართმევთ. — თქვენ გეხსენებთ, რომ ამ ზაფხულს მთელ საქართველოში 23 კაცი* მკვდარ წარუღენილი „საქართველოს შინამრეველობისა და წერილი ზელოსნობის ისტორიისათვის ზებირგადმოცემითი მასალები“¹ შესაგროვებულად. წარვლინებულემა საინტერესო ჩანახტი და ფოტო სურათები (ნივთიერი ნაშთებისა) წარმოადგენს, და ვერ ავიწყო, რა უხვი, მრავალმხრივი, საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა შეგროვდა: წარსული კულტურის უკანასკნელი ანარქელის მთელი ენციკლოპედიაში მრავალი ახალი ტერმინი და ვა² მონათქვამებია ჩაწერილი, უროზლოდაც ქართ. სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა სრულეებით შეუძლებელი იქნება. მოხარული ვარ, რომ ჩემი მუდმივი ნატერა და ოცენა შეგისრულდა და აღბეჭდილია უკვე ის, რასაც ადამიანი მალე ვეღარც ვაფორებს და ვეღარც ვაივებს, რათავან საქონისკენ მიდის უკანასკნელი თაობა, რომელსაც წარსულისა კიდევ რამე ახსოვს და გაეგება, რომელსაც იმდროინდელი კულტურის

ნივთიერი ნაშთიც კიდევ საკმაოდ შენახული ჰქონია ისე, რომ სამუხუროდ შესაძენიც გვერი რამე ყოფილა. დღე-ღამეც ამ ნაშთებზელი მასალების გამოსაკემალ დანახებისათვის ვმუშაობ, ისედაც საყოთარი კვლევა-ძიებით მოქმედებმა დიდი ზედმეტი და დამსულელო ტვირთი ავიციდე, მაგრამ ასეთი მშენებერი ცნობებია, რომ დაქანტულობასაც უერთდებას არ ვაქცივ და ვატაცებთ ემუშაობ. რომ დანიბეულებამ, მაშინ ყველა დარწმუნდებამ, რამდენად დიდი და საშვილიშვილო საქმე ვაკეთდა. — ვაგებული გექმნებათ საწყილი იური (ფრილო) მართის გარდაცვალების ამბავი. სამწუხაროა, რომ ასეთი ნივთი ჰმუხვი ასე უდროით დავღმედა და ვერ მოასწროთ თვისი ზრახვებისა და დწეუბული მთავარი ნაშრომების გამოქვეყნებამ. უბედური მისი დედას, რომელსაც ამ სიბერის დროს ამოდენი მწუხარება არფრნა უღწობელმა ბედმა. გული მიცვდება, რომ მე, რამდენი თავის დროზე! ასე დაახლოვებული ვიყავი, მას შემდგომ მომხდარი ამბების² გამო, ჩემი, გულში ჩაქლული თანაგრძობის გარდა, არაფერი დამჩენია!

ვახეთებში³ გუშინ აღწიწული იყო, რომ ტყე უნივერსიტეტს შეიპარებაში ჯიღლო მიუღლია. არ ვიცი, რა დეწულისათვის? — თუ ჰყენი აბლანდელი უტი* ჯიღლოს დირსი აღმოჩენილა, რანი ყოფილან სხვები! ვგონებ, რომ წერილი ძალზე გამიგზმელდა. და დროა, რომ დავამთავრო. კვლავ გულითად მადლობას მოგხსენებთ წიგნებისათვის და ეწუხვარ, რომ ამდენი საზარუნავი გაფინიეთ.

მარად თქვენი პატავისმცემელი
 ივ. ჯავახიშვილი

1936. 10. 11
 V ტფილისს

ა-დ პატივცემულო ბ-ნო მარლავ!

დიდ ბოდინს ვიხდი, რომ წერილის მოწერა ამდენ ხანს შემოვივინადა და აქამდის გულწრფელი მადლობა ვერ მოგახსენეთ ჩემთვის შექმნილი და ვადმოგზავნილი წიგნებისათვის. ისედაც უადრესად დატვირთულს კიდევ ორი სახალი დიდი სამუშაო დამაწეა კისარზე და დღედაღამ ემუშაობ, მაგრამ მაინც ვერ ვერევი. საქართველოს შინამრეველობის და ზელოსნობის ისტორიისათვის მასალებს რომ ჰკრებდნენ ამ ზაფხულს* მთელ საქართველოში, სავსებო ცნობები, დამალვი ტერმინები ყოველი დარგისათვის და სურათები და ჩანახტები შეგროვდა! ჩემი დაბეჭდილი გეგმა² 26 კაცმა მთლიანად შესასრულა, და არამცთუ იმეღი არ

* შტრ. წერ. V.

* უნივერსიტეტი.
 ** 1935 წლის ზაფხულს.

ვამტყუნებია, მოლოდინსაც ვადაპირბა. თავმოყრილია ისეთი მასალა, ურთმლისოდაც მომავალში ვერც კლტურის ისტორიკოსი, ვერც ენათმეცნიერი და ვერც ქართ. სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მომუშავე ვერას ვააყეთებს. მოხარული ვარ, რომ ის სამეილიშვილო საქმე, რომელიც უნდა გაეთებუთა და რომელზეც ვაყველეთის ვოცნებობდი, ბოლოს მაინც განხორციელდა. 6000-მდე გვერდისა ზეპირგაღმოცემითა და ცნობებით დაწერილი. ამოღენა მასალის ვადაყითხვას, რედაქციასა და დისაბეკლად დამზადებას დიდი მუშაობა სჭირდებოდა. ეხლა კიდევ მოსკოვითგან მოსული შთაგონებით, ქართლელ ისტორიკოსთა თხზულებების ვაბოცემა უნდა დაიწყოს, და ამ ბასუსგაგები კრიტიკული გამოცემის ტერთაი მწყევა. დიდ და აუცილებლად საჭირო საქმეა, უარის თქმა არ შეწყლო. მაგრამ ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მოვერიო ამოდენა მოვალეობას. — ბ-ნი ვარლამ! მტყვენიან, რომ ამდენს ვაწუბებთ, მაგრამ ისევ ვიგზავნით ფულს შესაძენად: Mat. Arch. Kav. 5 სავან მაქეს მხოლოდ მაღიშის სხაბებან და ე. თაყაიშვილის აქწ. მოგზაურობა, დანარჩენი*, თუ იშოვება, შემიძინეთ. Зап. Арх. Общ., გამოცემათგან მჭირდება ლატოშევის¹⁰ და ბელიაევის¹⁰ ნაშრომები, რაშიდ-ელ-დინის ისტორია¹¹ და ინოსტრანცევის Торжеств. выезд фатимидских халифов¹², აგრეთვე მელიორანსკის Араб-филолог о турском языке¹³ და Араб-филолог о монгольском языке¹⁴ სავითოდ სადაც** ბარტოლდის¹⁵ და მარჩის¹⁶ ნაშრომები, მაგრამ ცალკეულად ვამოცემული გამოცემები. ნ. მარჩის ამონაბეკლები მაქეა,*** ბარტოლდისა-ც აღარდერი შემარჩა. იშოვება თუ არა მაგ საზოგადოების¹⁷ გამოცემითა სრული კომპლექტი და რა ღირს? როგორც ტფილისში ყოფნის დროს მოგახსენეთ, მინდოდა კონდაკოვის Иконография-ს ორივე წიგნის¹⁸, აღონცის Армения в эпоху Юстиниана-ს¹⁹ და Дионисий Фракийский-ს²⁰, აგრეთვე Зимин-ის გამოცემული სპარს. ტექსტის Походы Тимура в Индию²¹, და ეუკოვსკის აბუ-საიდ ბენ-აბულ ხაირის სპარს. ცხოვრებისა და გამოკლევების²² და ბარტოლდის Туркестан в эпоху монгольск. нашествия²³-ს შეძენა. უაქველია, ზემგან აწ ვაღმგზავნელი ფული ამასათვის საჩუფი არ იქნება. მაგრამ, თუ ვამოიკრევა, რომ მათი შოვნა შეიძლება, მაკნობეთ ღირებულება და ფულს დამატებით ვაღმგზავნებთ. — შეშხანინოვის ხელმოწერილი მომართვა მომივიდა ვამსვენებული ნ. მარჩის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში²⁴ მონაწილეობის მიღების შესახებ. მოუც-

ვლემისდა მიუხედავად, რასაც ველო, მონაწილეობის მიღება მინდა, მაგრამ მინდოდა თქვენგან ვამეკო, ვინ იღებენ ამ კრებულში მონაწილეობას და რა ზასათი ექნება ამ კრებულს. დიდად დამავალბო, თუ ამაზე მალე მიპასუხებთ. კვლავ დიდ მადლობას მოგახსენებთ ყველაფრისათვის.

თქვენი პატივისმცემელი

ივ. ჯანაშიანი

1926. 14. 111

VI

დიდად პატივისმცემელი ბატონო პარლამი

აბუ-საიდის ცა* და ოთხმხულეთა ვანმარტება ისევე, როგორც ЗВО² მივიღე, რასათვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. რამსევენიან წეში მადლობა ვადაცით ხსოვნისათვის და, თუ მას აბუ-საიდის ცის მოკლე რედაქცია აქე შეიძინეთ ჩემთვის, რათგან წიგნსაცავის დეკარგეის ვამო, აღარც ისლა მაქეს. თუ Mat. po Arch. Kavnaaz⁶ გერ არ შეგიძინით, ნუ შეიძინეთ, რათგან აქ ტფილისში აღმოიხდა. თუ შეძენილი გაქეთ, მალე მაეცნობეთ. დანარჩენი წიგნების შესახებ ამ დღეებში კიდევ ვაღმგზავნებთ ფულს. ნ. მარჩის სახსოვარი კრებულისათვის 7 წერილის წარდგენის უქანსაქნელი ვადა მაეცნობეთ.

ზომ არსად იშოვება მანდ ბრაუნის Разыскания в области гото-слав. отншений⁸ თუ შეგებდეთ, დიდად დამავალბო, თუ შემიძინეთ. მანდაც ბქნებოდა გრიაბა, თქვენ პონხადეთ ეს მოარული, თუ არა? აქ მაღიან იყო მოღებული და ყველანი ავად ვიყავით. როგორ მიმდინარეობს მანდ სამეცნიერო კვლევები და თქვენ რაზე მუშაობთ? კვლავ მადლობას მოგახსენებთ ყველაფრისათვის.

მარად თქვენი ბედნიერების მოსურნე

ივ. ჯანაშიანი

ტფილისს

1926. 25. IV

VII

დიდად პატივისმცემელი ბატონო პარლამი

აბუ საიდის ცა და ლემის Iberica² მივიღე, რასათვისაც ვულოთად მადლობას მოგახსენებთ. კარგი იქნებოდა, თუ ლემისავე იბერიის მოქცევის შესახებ ნაშრომიც მანდ ეისმე აღმოაჩნდებოდა. ბროსეს ქ-ის** ქართლ ტექსტი არ მჭირდება, სამაგიეროდ მის ფრანგულად გამოქვეყნებულ ნაშრომებს³ სიხარულით შევიძინდი. ამათგან მაქეს მხოლოდ Histoire de la Georgie, trad., I-re Partie და

* ნაკვეთები.

** ე. ი. რომელ სერაბებშიც, კრებულებშიც.

*** უნდა: „ზოგი მაქეს“.

* ცა — ცხოვრება.

** „ქართლის ცხოვრებას“.

II-e Partie, Histoire moderne, II-e livraison. მისი პირველი წიგნი* - კი არა მკვს, არც Additions et éclaircissements. ერთი სიტყვით, ზემოაღნიშნულსა და Voyage en Transcaucasie-ს გარდა, რომლის სამივე წიგნი ზემ წიგნთსაცავითგან შემთხვევით შემჩნა, ყველაფერს შევიძენდი. იქნებ მისი შეიღის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიულ იშოვებოდეს მანდ სადმე? ეგების დორის „Beiträge zur Geschichte der Kaucaischen Länder und Völker aus morgenländischen Quellen-ი“⁷ იყოს კიდევ გადარჩენილი? მინდოდა კიდევ გამეგო, ხომ არ შეგვხვდრიათ ბუკინისტებთან ბერძნული დაბადება, სასურველია ინგლისური, კემბრიჯის გამაიცემა The old Testament in Greek, სამ წიგნად არის, და ლათინური დაბადებში მე-II წიგნი. ეს ტექსტში უოველთვის მქიჩდება, აქამდის უნივერსიტეტის წიგნთსაცავითგან გამოტანილით ესარგებლობდი, ეხლა-კი, წინა წერილში აღნიშნული გარემოების გამო, უნდა დაეუბრუნო და ამის გამო საქმე გამოიწვლდება და, თუ მანდ იშოვება, შევიძენდი. მცხევიან, რომ აზღვის გაწუხებთ, და დიდ ბოდიშს ვიხდი ასეთი დაუსრულებელი თხოვნით თქვენი დატვირთვის გამო.

მზარდ თქვენი პატივისცემელი
ივ. ჯავახიშვილი

ტფილისს

VIII

1886. 7. V.

დიდად პატივისცემულ ბატონო მარტა!

ლიას-ად-დინ ალი მეზდის „თემურის დღიური“-ს, მელორანსკის „არაბი ფილოლოგიის თურქული ენის შესახებ“-ს და აღონცას „სომხეთი იუსტინიანეს ხანაში“-ს მივიღე და გულთაღ მადლობას მოვასხენებთ ამისთვისაცა და წერილთთვისაც. ავად ვიყავი და ორიოდე დღეა, რაც ავდემი. ეხლაც ძალიან სუსტად ვგრძნობ თვის და მეზობა, წერაც მიძნელდება. რიგორც მოსალოდნელიც იყო, ამ დაუსრულებელი მღელვარებისაგან (წლელს სწორედ ათი წელიწადი შესრულდა, რაც რეპტორბის თვის დეანებე⁸ და ეს დაუნდობელი ბროზოლ⁹ სწარმოებს) ვუღის ავადმყოფობას უძლიერესი შემოტევა მქონდა საშინელი თავბრუსხვევით და სისუსტით. ამჟამად-კი ვადაურჩი სიკვდილს, მაგრამ თუ კიდევ გამიმორჩადა, საეჭვოა, რომ მისი ატანა შეეძლო. ასეთ მღვთმარტობაში მყოფი ადამიანისთვის იქმნებ უცნაური იყოს კიდევაც წიგნების შექმნაზე ზრუნვა, მაგრამ მანც კვლავ შევაწუხეთ და ფული 1500 გადმოვიგზავნეთ ტელეგრაფით.

თუ ჩემი საქმე ისე წავიდა, რომ მათი ვიშოვებნება აღარ დამცალდა, ზემ შეიღს გამოადგება, თუ სამეცნიერო კვლევა-ძიებნა შეუძლებია. მელორანსკისა⁷ და აღონცას⁸ ნაშრომებზე მწერო, რომ გაცვლის წესით შევიძენიოთ, რა უნდა ვაუგუზავნოთ სამეცნიეროდ და რა მისამართით, ვთხოვოთ ეს მადლობით. ამას გარდა ბროსის H. de la G. Histoire moderne, livr. 19 აქ-ვიშოვე, და თუ ჩერკ არ შევიძენიოთ, მისი შეძენით უნდა შესრულებიოთ. დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ასე მოუბრძობლად ესარგებლობთ თქვენი თავაზიანობით, და უღრმეს მადლობას მოვასხენებ.

თქვენი მზარდ პატივისცემელი
ივ. ჯავახიშვილი

P. S. თქვენს მხას ბ-ნ კარგებს ზემ საღამო მოახსენეთ.

ივ. ჯ.

ტფილისს

1886. 29. V

IX

დ-დ პატივისცემულ ბ-ნო მარტა!

წიგნებისა და წერილებისათვის გულითად მადლობას მოვასხენებთ. არ ვიცო, მიიღეთ თუ არა ზემი წერილი, რომელშიაც ვაყენობდით, რომ ბროსის ნაშრომთაგან ბლომად აქაც ვიშოვე შემთხვევით და მხოლოდ Add. 1-ილა მქიჩდება. რიგორც ხანს, ან იმ წერილმა დაიგვიანა, ანდა დაიკარგა. ამგვარად H. de la G-ს ეხლა ორ ცალად მკვს, მაგრამ ამას მსურველი ბერიია. თქვენი შეუთხვის თანხმად, ტელეგრაფით ვაყენებთ, რომ მელორანსკის Архив Филолог о Монг. языке-ს არ მიმიღია, თანაც ბელიავეის⁴ სახელიც დაეუბნა. ამის მიზეზი ის ვახლათ, რომ წინა წერილის შემდგომ ზემი მღვთმარტობა და რემდამი დამოკიდებულება¹¹ ძირითადად შეიცვალა, რაზედაც დაწვრილებით მოვასხენებთ, როცა ტფილისში ვნახეთ. ამ ცვლილებასთან დაკავშირებით, შ. რუსთაველის დღესასწაულისათვის მოსაწეობი გამოკვლიებნა ზოგად ხელმძღვანელობაზე დათანხმება მომიხდა. თუცა ექიმები მუშაობს მიერსოლავენ და იმ ავადმყოფობის შემდგომ¹⁰ ვერცა კარგად ვერ ვგრძნობ [თავს], მაგრამ რაკი საქართველოს ყოფაცხოვრებისა და ნივთიერი კულტურის ისტორიაზე ჩემს გარდა არავინ მუშაობს, ამიტომ უნებლიეთ ამ მძიმე ტვირთის აღება მომიხდა და მასუსხავები საქმის („ქართ. კულტურა XI-XIII სს.“) მოწყობის ხელმძღვანელობა დამაწევა. დიდხანს უარს ვუუბნებოდი, მაგრამ დათანხმება მომიხდა: სხვა გზა არ იყო. რამაყვირველია ხელმძღვანელობის გავწევა⁹, რაკი ამ დარჯში მომზადებულ პირები არ ვყავან, უმეტესად მე მომიხდება, და ეს

* დედანში ამ სიტყვის ადგილზე იყობება: „მაგიერ“!

* livraison.

გარემოება მადიერებს და მადღეებს. მართალია, ბევრი რამე გამოირკვევილი და დაწერილი მაქვს, მაგრამ ბევრი კიდევ გამოსაკვევია და ამისთვის წიგნები მჭარდება, ამიტომ იყო, რომ ბელაიევის სახელიც შევიტანე (Обзор главных частей Больш. Дворца Визант. царей. ЗРАОВ, Новая серия, т. V, 1891⁸ და Выход виз. госуд.⁹). ვგონებ ასე ეწოდებოდა. დაბეჭდილი იყო არქ. საზ. კლასიკ. განყოფილების უწყებებში, მკონდა ორივე წიგნი, მაგრამ დამეყარა და სათაური ზედმიწევნით აღარ მახსოვს. მჭირდება აგრეთვე ნ. კონდაკოვის Памятники христ. искусс. на Афоне¹⁰, მერს Македония¹¹, Спиря¹² მისივე ამის გარდა, აქ არ მოსულა ნ. მარჩის Аши¹³ და იქნებ მანდ როგორმე მიმოვთ.

დიდი მადლობელი ვაქნებოდი, თუ მოაკეთებთ **Ленин-ის Восточное оружие**¹⁴, რომელიც დიდი ხანია აღარ იშოვებია. ეგებრს მანდ რამე ახალი გამოვიდა მეც დარგში? — დაიწყეს ჩემი „ქართ. და კავკ. ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის“¹⁵ იწყობა.

მჭირდება **Браун-ის «Раз. в области гото-слав. отн.»**¹⁶ და **ლათინევიცი**¹⁷. მარცხენიან, რომ ამდენს ვაწუხებთ, თანაც ვეშინობ, რომ უკვე დავვიანებულნი იქნება, რათგან თქვენ შესაძლებელია გამოამზავებელი იყოთ, ანდა წამოსასულად ემზადებოდეთ, და მე კიდევ ჩემი დავალებით მოსვენებას არ ვაძლევდეთ. ამ უკანასკნელი გარემოების გამოცევა, რომ ფულის გამოგზავნა ვერ გამიბედნია, ვაი თუ მანდ აღარ იყოთ. — თქვენი სამუშაო გეგმის შეტყობაზე მწერდით, რომ ისტორიათა და აზმთა¹⁸ რუს. (ულად) ვადათარგმნა ვაფიქრებთ ტექსტის სავალალო მდგომარეობის გამო. მართალია, ძალზეა დამახინჯებული მის ილდგენიზე ვმუშაობდი და ბევრი რამე უკვე გაუთმებული მაქვს, მაგრამ მოუტყულლობის გამო მუშაობის შეწყვეტა მომიხდა. სამადიეროდ ბასილი ეზოსმოდერის თამარის ისტორიის გამოცემას ეპირებ¹⁹ პირველად, როგორც ვერ გამოუტყვევებელს, შემოდგომას, იქნებ ეს ძველი ავტორიათ ვადათარგმნულად²⁰ კარგათ და მშვენიერი ენით არის დაწერილი და იმავე ხანას ეხება. საფიქრებელია, რომ მანდაც ამის წინააღმდეგ არა ექმნებათ რა. ამა ეხლა კი ვერ არს ნათესაუდელსა დღმონისასა მისლვად. ბოდიშს ეიხდი დაუსრულბელი შეწყუხებისათვის და თქვენცა და ბ-ნ კარპეხსაც მზურფაულ სალამს მოგახსენებთ.

თქვენგან უაღრესად დავალებული ივ. ჯავახიშვილი

ტფილისი
1886. 26. IX
კალინინის ქ. № 66

X

დიდად ააბივივიშულო ბატონო მარალა!
ავადმყოფობამ კელავ მომიკიობა: სხვილ ნაწლავში წყლული გაიქსნა და სისხლის მღონარება მკონდა. დასტკებული ვარ და ყოველ დღე ტკივილი მაქვს. საქმე-კი აუარებელია და დასვენება ვერ მომიხერხებია. გასაკვირველიც არაფერია, რომ თავს ცუდად ვგრძნობდი. შ. რუსთაველის გამოთენისი მოწყობა მძიმე ტვირთად მაწევს ისედაც უაღრესად დატვირთულს. ამის გამო თქვენი შეწუხებაც მიხდება ამ პირველსავე წერილში: მუხუქმასათვის საბიბლიოთეკო ტარტაკები ვკვირდებო ტერმინების წყაროებისაგან ამოსაწერად. აქ სტანდარტული სიდიდის ოდნავ გამოსაღვე 300 ცალზე მეტი ვერცხლად ვიშოვეთ, მანდა-კი ასბ. შ. ხიდაშელის სიტყვით, ბლომად მოიპოვება მალაზიებში. დიდ ბოდიშს-კი ეიხდი შეწყუხებისათვის და ვთხოვთ მიცნობით, ესლავ იშოვება, თუ არა, და ათაიცი ცალი რა ღირს. მალიან სასწრაფოდ გვეჩირდება, რათგან ამის გამო მუშაობა ფერხდება. ვერ-ვერობით 40.000 ცალი უნდა შევიკიბინოთ. ამ წერილს საპაერო ფოსტით გიგზავნი და ვთხოვთ ამავე გზით მიმასულთ. უმაღ ტრევიკარფით ფულს ვახსლებთ და ვთხოვთ ეს ამანათი საპაერო ფოსტითვე გამოვიგზავნოთ. მაღაზიამ ანგარიში დასწეროს **Музею имени Ш. Руставели.** — მანათი²¹ც ასე დააწერეთ. საქ. მუხ. (ყემის) შენობაში მოთავსებული. ველავ ბოდიშს ეიხდი შეწყუხებისათვის.

თქვენი პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი
1886. 19. X
ტფილისი,

XI

კალინინის, 66.

დიდად ააბივივიშულო ბ-ნო მარალა!
მივიღე ორივე თქვენი წერილი და მუხუქმში ამანათიც მოგვივიდა. ორივესთვის გულბოთად მადლობას მოგახსენებთ. მერიდებდა მხოლოდ, რომ ამდენი შეწყუხება მიხდება თქვენი. ტარტაკები საუცხოვოა. სამწუხაროდ საქმეთა მმართველს დავიწყებია ამანათის ვადმოგზავნისათვისაც ხარჭის აუცილებლობა და თქვენ საკუთარი ფული დავივიდათ. ამისთვის დიდ ბოდიშს ეიხდი და ვთხოვთ, რომ იმ ათი თემნითგან, რომელიც პირადად გამოვიგზავნეთ ტრევიკარფით, მთელი დანახარჯი ინიშნულროთ. რაც დარჩება, ვთხოვთ იგი ჩემთვის წიგნების შესაძენად გამოიყენოთ (ეს თანხა მთლიანად ჩემი საკუთარია). თქვენ უკვე გიშოვიათ ჩემთვის ბელაიევის წიგნი, რამაც დიდად გამახარა. ამ დღეებში კიდევ ვაღმ-

ვიკზაწრით ფუღსაც და წიგნებმაც გასაცულ-
ლად, დიდი ხნია ეს წიგნები გადღებულნი
მაქს, მაგრამ აურებელი საქმეების გამო გა-
მოგზავნა ვერ მომიხერხებია. მუხუდებისა და კა-
მოფენის მოწყობაზე, არქეოლოგიურ კვლ-
ვა-ძიებაზე შორეულვლამ უმძიმეს ტვირთად
დამაწევა ისედაც უღირსად დატვირთულსა და
დაქანულს. ყველაზე მეტად ამ ამაღ კონდა-
კოვის Иконография Спаси და ლენკის
აღმ. იარაღის შესახებ მონოგრაფიები მკირ-
დება. თუ უკანასკნელს ვეღარსად იშოვის
აღმთიანი, იქნებ მანდ ახალი საფუძვლანა წიგ-
ნი იყოს იარაღის ისტორიის შესახებ გამოსუ-
ლი. დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ლატ-
შევის SC-16 და ზერაზინის რამდღღღღღღღღღღღღ
წიგნმაც¹⁰ მიმოვით, მოაბოვება, თუ არა მანდ
Mat. по Арх(еологии) Кавказа-ს
ის წიგნი, რომელიც სვანეთს ეხება.

შემდეგს წერილში, როდესაც წიგნებსაც
და ფუღსაც გაახლებთ, ვაკნობებთ, რა უფრო
მჭირდება.

პროფ. ე. ბენეშევიცს ჩემ მაგიერ მოვითხო-
ვთ მოახსენეთ და სთხოვეთ, რომ მაკნობოს, რა
მოცულობის გამოვა გამოსაცემი წიგნი¹⁰ და
რა პირობით მოისურვებს მის გამოცემას. ამას
გარდა, გონიავილის ქალბ¹¹ სიტყუებრად მ-
ამბო, რომ ბენეშევიცს სურდა დიდი შფულის
კანონის საერო ნაწილის¹² ტექსტის გამოცემა,
თუ რომ მის ძველი ქართლთა თარგმანის¹³
გამოცემას მე ვივსრულებდი. ეს ძალიან ყარვი
საქმე იქნებოდა, მაგრამ მე პირაღად ისე ვარ
დატვირთული და თანაც ჩემი ჩამორთულობა
ისეთ მდგომარეობაშია, რომ მე მაგაზე ფიქრაც
არ შემიძლია. ეგების თქვენ გვესრათ ეს საქ-
მე. დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ მაგ
ფუღლს გამოცემას ვლირებოდათ. ამის შესახებ
ჭკობხეთ და დარწმუნებით მაკნობეთ. ცნობუ-
ბის მიღებისთანავე გამოუარყვევ ყველაფერს
და შეგატყობინებთ. თქვენს გეგმას ყალმასო-
ბიას¹⁴ ეიზარებ და, რაც უფრო მალე გუ-
ნარბრცივლებთ, მით უფრო უკეთესი იქნება.
ჩემი ქ-ი* ვრის ისტორიის შეაჯაღლს¹⁵ ბეკ-
ღვა ვერ-ვერბოთ ნელი ნაბოვით მიმდინარე-
ობს. დაქარებას მპირღებთან, მაგრამ აქამდის
6 თაბახზე მეტი არა აქვთ აწყობილი. საქმეს
დამატებითი ნიშნების შრიღტი აფერხებს, რომ-
ლის შექენა ვერ მოუხერხებიათ. — დმანისი¹⁶
ძალიან სანდერესო აღმოჩნდა, მაგრამ ამაზე
შემდეგში, როდესაც იქიდან დავბრუნდები
(24-ს მივდივარ კვლავ დასათვლიერებლად).
კვლავ მადლობას მოგახსენებთ.

XII ტფილის 1938. 14. XI.
ძვირფასო ბ-ნი ვარლამ!

გულითად მადლობას მოგახსენებთ ლატშე-
ვის SC-ს მე-11 წიგნის ორი ნაკვეთისათვის.
თქვენ მეკითხებით, ნ. შარბის Крещение¹⁷ მი-
ღებულნი მაქს თქვენგან, თუ არა? ვახაფხულ-
ზე მივეღ. კონდაკოვის „მატოკობის ხატის“¹⁸
სრული ცალი თუ აღმოჩნდება, დიდი მადლო-
ბელი ვიქნები. ეს წიგნი უმთავრესად იქ თავ-
მოყრილი სურათებით არის ამჟამად ჩემთვის
მნიშვნელოვანი, რათგან რეალიტების (ავეყის და
სტე.) შესასწავლად მჭირდება. ამიტომ ყოველი
სურათის დაწყალის საწუხარია. თქვენგან მი-
ღებულ ბელოავეის Ежеднев. приема-ს
გარდა, ძალიან მჭირდება ამავე ავტორის
Byzantina¹⁹, რომელშიც მოთავსებულია «Обзор
главных частей Большого Дворца». საქართველოს მეფეთა დარბაზის გეგმის აღ-
საღვრნად შედარებითი მიზნით შესაჭირდება.
მკონდა ყველა ეს წიგნები, მაგრამ მოუღ წიგნი
საკეთთან ერთად დამეკარგა. იქნება იშოვებო-
ღდეს ეგების მანდ Материалы по археологии
Кавказа-ს ის წიგნიც იყოს, რომელიც უკა-
როვის ცოლის სვანეთისადმი მიძღვნილია²⁰ ხომ
არაფერი გამოსულა მანდ, რუსეთში, ტანის-
მოსისა, ავეჯისა და იარაღის ისტორიის შესა-
ხებ, რომ შექენა ღირღდეს? შ. რუსთაველის გა-
მოფენისათვის შრავალი საკითხებია გამოსარყ-
ვევი, მაგრამ საწუხაროდ ამისთვის აუცილებ-
ლად საჭირო წიგნებია არა გვაქვს. საწუხაროა
რეალიტთან გამოუწერე ზოგი რამე, მაგრამ ვერ
არაფერი მიმიღია და არც ისმის რამე. აუ-
რბეღელი საქმე და საწუხარო დამაწევა, დროც
მეტად ცოტაა და მომზადებული ამ დარწმუ-
ხალს არ მოგვებოვება, ამიტომ თითქმის ყვე-
ლაფერის გამოარყვევა მევე მიხდება. ასეთ პი-
რობებში სრულებით შეუძლებელია, რომ გა-
მოსარყვევი საკითხები შესაფერისი საფუძელი-
ანობით იყოს შესწავლილი. მე-ქი ანჭარბული,
ზერელე მუშაობა არ შემიძლიან და ამიტომ,
რომ საქმე ცოტად მაინც პირნათლად გაკე-
ღვა, დღღღღღღღღღღღღ მიხდება. ამიტომვე,
ჩემდა საწუხაროდ, თქვენი დატვირთვა მა-
ღება სხვადასხვა თხოვნა-დავებებით, ამ
ღღღღღღღღ წიგნებსაც ვადმოგზავნი და ფუღ-
საც გაახლებთ. კვლავ დიდ ბოდიშს ეიხდი და-
უსრულებელი შეწუხებისათვის.

შარად თქვენი მოსიყვარულე და ბედნიერ-
ბის მონატრული ივ. ჭავჭავიძელი

XIII ტფილის 1937. 4. I.
ძვირფასო ბ-ნი ვარლამ!

შარად თქვენი მოსიყვარულე
ივ. ჭავჭავიძელი

* ქ-ი-ქართული.

თქვენი გამოგზავნილი წიგნისათვის მით უფ-
რო მხურვალე მადლობას მოგახსენებთ, რომ აქ
სწორედ ის ცნობები ეიბოვე, რომელსაც ვერ

ძებდა. მე ძალიან დამინაშევე ვარ თქვენს წინა-
შე, რომ აქამდის გასაცემული წიგნები ვერ
გახებოდა. დღეიდან განაგრძებ, მაგრამ მათი
გამოგზავნისათვის ვერ მოვიცალა. ამ დღეებ-
ში მოგახსენებ, ვახოვან ნ. მარჩის **Избр. ра-
боты**-ს მე-111 და V წიგნები და ი. მემშინიო-
ვის **Халд. язык**² (ვგონებ ასე ეწოდება) შეი-
ძინით ჩემთვის. ბნო ვარლამ, მანდ ყოფიან
დროს საზოგადოებრივ რომ ბროსისაგან და-
რჩენილ მასალებზე³ ვმუშაობდი, ხელთაწერი
კატალოგის მოხდევით ვიპოვე მცხეთის სვეტი-
ცხოველის ტაძრის ფერადებით გადმოღებული
ისტორიული პირების კედლის მხატვრობის გარ-
დმონახატები. თუ არ ვცდები, ბროსისეც დაეღუ-
ბათ პლატ. იოსელიანმა ერთ იტალიელ მხატ-
ვარს⁴ გადმოაღებინა ეს პირები. ამ გარდმონა-
ხატვა შორახ ზოგიერთი უკვე აღარ არსებობს.
მართალია, გადარჩენილია ამ იტალიელი მხატ-
ვრის ნამუშევართან შედარებამ დამარწმუნა,
რომ მის სახეების ხატვა არ სცოდნია და მისი
გარდმონახატები დედანს არ მოეგვან, მაგრამ
ამ მხრივ რაღა ეშველება, მე ეს პირები ქარ-
თული ტანისამოსის, თავსაბურავისა და ფეხ-
საცმელის ისტორიისათვის მჭირდება. ამ მხრივ
ის სადღაა. ამ ემად მინტერესებს ერთი გარ-
დმონახატი, რომელზედაც მეფე გიორგი და მე
მისი ბავარტია კათალიკოზთან ერთად⁵ გამოუვა-
ნილი. ამ პირის ფოტოგრაფიული გარდმონა-
ღები ხელთა მატეს, მაგრამ ფერადები არც
ჩაწერილი მქონია და არც მავონდება (30 წლის
წინათ მატეს ნანახი). მიწაა შ. რუსთაველის
მუზეუმისათვის მაგისი პირი ფერადებითვე სან-
ო მხატვარს გადმოვადებინო. დიდ ბოდიშს
ვიხდ მუზეუმისათვის და ვთხოვე ეს სურათი
მონახოთ (ქვევით ქართ. წარწერაც აქვს და
ბროსისეც ხელით ფრანგულად იმავე შინაარ-
სისა). და მკაცრბოთ, შექმედებისამებრ მალე, თუ
რა დაქდებოდა მისი გადმოხატვა, რომ უმალ
ფული გადმოვგზავნა. გამოფენისათვისაც მინდა
გამოვუყვანო და აქ იმ ზომამდე გაავადიდებინებ.
რა ზომისაც დანარჩენი კედლის მხატვრობაა 10.
კვლავ ბოდიშს ვიხდ ამდენი დაუსრულებელი
მუშუბებისათვის. მარად თქვენი მოსალეაქრულე.

ივ. ჯავახიშვილი

1907. 8. 11

წიგნი დაეუბრუნო. ბედმა ბევრი უსამარგებმა
მარჯუნა მეტადრე უკანასკნელ ათეულში და
ერთადერთი ნუგეში ჩემთვის, სამეცნიერო
კვლევა-ძიება იყო, ყოველთვის ასეთ შემთხვე-
ვებში თანდათანობით მულეჯარება მიმშვიდღე-
ბოდა და მოყენებული უსამართლობის სიმწა-
რეს მაიწყებდა ზოლზე. ესლაც მეშობა არ
შემიწყებტა, იმისდა მიუხედავად, რომ ასე-
თვის საზოგადოებრივ შეურაცხყოფამ ჩემი მოღვაწე-
ობისათვის ჭერ არავის მოუყენებია. სწორედ
ესლა იმეძლება ჩემი „ჭი“ ერის ისტორიის შე-
სავალი“-ს მეორე წიგნი, რომელზედაც 12 წე-
ლიწაღზე მებრა რომ გამოქვეყნებაზე ვოცნე-
ბობდი. 6 თაბახი უკვე დაბეჭდილია და 14
თაბახი კიდევ იცვრება და ამ ორ დღეში მი-
ვღებ. კიდევ ათი თაბახია ასაწყობი. იქნე-
ბროგარზე ამ ორ თვეში, აბრისის განმავლობა-
ში მაინც დამთავრდეს მისი ბეჭედა, და მაშინ
გახალებთ ამ ნაშრომს. ბევრი ძირითადი საკი-
თხია აქ განხილული და ქი ენისაცა და კავ-
[სისის] ენების თავდაპირველ აგებულების გა-
მორკვევის ცდაცაა. თუ ჩემი მოსაზრებანი და
დებულებები შეცნობებამ შეუძლებლარც სცნო,
მაშინ სრულებით უნდა შეიცვალოს შრავალი
დებულება და ჩვენი უძველესი კულტურის ის-
ტორიის გამოსაჩვენებლად და აღსადგენად
მტყიეც და სანდო ნადაგი გავეჩინდება. აქ-
ურა ჩვენი ენათმეცნიერები ამ დებულებათა
სისწორეს იზიარებენ, ენახოთ, როგორი მსჯე-
რი დაედება ამ ჩემს შრავალწოდებულ ნაფიქრ-
სა და ნაშრომს, რომელიც ყველა ჩემ გამოკ-
ლევათაგან ყველაზე უფრო მასუსხაგებად
მიმანია. თუ ჩემი იმედი გამართლდა, მაშინ
ამას მოჰყვება პირველი და მესამე წიგნი. მ.
პირველი საქართველოს, კავკასიისა და მხ-
ლობელ ალმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლო-
გიური პრობლემებია განხილული, მესამეში
უძველესი კულტურის აღდგენის ცდაა ლინ-
გვისტიკური და არქეოლოგიური ანალიზის
გზით. ასეთი რთული და მასუსხაგები ამოცა-
ნების გადაჭრისათვის დამშვიდებელი მეშობაა
საჭირო, მაგრამ მოსვენება არ მეღირსა! ბო-
დიშს ვიხდ ამ აშლილად ** დამწერილი წერი-
ლისათვის.

თქვენი მარად ივ. ჯავახიშვილი.

XIV ტფილისი.
ქვირფასო ბნო მარლამ!

XV ტფილისი
1907. 7. 111.
ქვირფასო ბნო მარლამ!

უგულითადეს მადლობას მოგახსენებთ თქვე-
ნი წერილისა და იმ სამი წიგნისათვის, რომელ-
შიც ასეთი ძნელი სამოყვნელი ლატარების ნა-
წარმოები აღმოჩნდა. რაც ეს მომთხერხეთ,
ესლა უნივერსიტეტის წიგნსაცავს შემოდლიან ეს
ყველა ჩვენთაგანისათვის (მეტადრე ჩემთვის).
მთელ წიგნსაცავის დაქარგვის გამო) საჭირო

ყველა თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნებ-
წერალები და ტელეგრაფები მივიღე და ყველა-
* უქარაგმოდ: ქართული, ქართული.
** წერილის ბოლო გადატანილია კიდებზე.

ამისთვის გულითად მადლობას მოვახსენებთ. მეშინინოვანს Халдоведение-ს ნუ გამოვიგნებთ. დიდი ხანი მჭირდება მხოლოდ მისი უკანასკნელი დიდგვარიანი ნაშრომი, რომელშიც ფილიპისა და წერეთელს ეკამათებამ, მაგრამ მანც იძულებულია აღიაროს, რომ მათი გამოკვლევების შემდეგმ მათ თავისი წინანდელი დებულებების შეცვლა უნებარე. ეს ჩვენს აქ ვერ ვიშოვო. — ვენკოს წერალი? და ჩვენს შესახებ ნახშირანი გამონათქვამები, მრისხანე შეფასებაც წავეითებო. მას შემდეგმ, რაც * ჩემ მოღვაწეობაზე მოსმენილი თუ არა, ვალონლი და წაიხილული მანც მაქვს იმ დაწესებულებაში მყოფ პირთაგან, რომელსაც მთელი ჩემი სუსტი ძალონე და ქანბრთვლობა შევადგო, რაღა უნდა გამოვიკრდოს იმ გადათხილისაგან, რომელსაც ჩემისთანა ადამიანის სულისკვეთების გაგება-ც არ შეუძლიან, რომლისთვისაც, რუსულის გარდა, სხვა ერთგული კულტურისა და მეცნიერებისათვის ზრუნვა საძლეულია. იმას მაინც ვერაფერს დამწამებს და მისაყვედურებს, რომ მედიდურობის სენით შეზღუდული ვარ! მაგ ბრძენს ის მაინც ეთქვა, თუ რაში განსკვრიბა იც. ჭავჭავიძის, „ქართულთა ისტორიკოსის“ წყაროთმყოფნობის საბაზანი უცილობამ, რომ ამ საბრალის ელა მაინც ვსწავლა ასეთი მკოლნი და უმარავ ნაშრომებით დატვირთული მეცნიერისაგან, როგორც ვენკო ბრძანებულა. თუ მრისხანება იმით აიხსნება, რომ კრატქუტკისმ მისი კაცისიმყოფნობის წარმომადგენელ აქადემიკოსად ვაყვანა სურს¹⁰ და მას, თუ მათ, იც. ჭავჭავიძის მეტოქეობა აფიჭრებს, ორივენი სრულებით დამწვინებულნი ბრძანებდნენ: აქადემიკოსობაზე მე არც მიფიჭრა და არც მსურგებია: ჩემ საშრობლოთგან სხვაგან გადასახლება¹¹ ჩემი მოღვაწეობის არც გეხსა და არც გეგმას არ შეეფერება. არამეთუ აქადემიკოსობა, პროფესორობის მაძიებელი-ც არ ეყოფილვარ არას დროს: ნ. მარჩა¹² რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის: გადმოთარგმნეთ ერთ-ერთი თქვენი ქართული გამოკვლევა და სადოქტორო დისერტაციად წარმოადგინეთ, რომ ეს ფორმლობა თავითგან მოიშორით. მაგრამ რაკი ეს ჩემთვის ზედმეტ დროს დაჯარგვას უღრიდა, სამაგისტრო დისერტაციის შემდგომ¹³ სადოქტორო დისერტაცია არ წარმიდგენია და არას დროს პირადად მე არამეთუ პროფესორის, არამედ პრივატ-დოცენტის წოდებულებითაც არ მისარგებლია: ჩემს ნაშრომებს არაერთი ნაკლი აქვს, ეს მე თითონ სხვებზე უკეთესად ვიცი. მაგრამ მე ისეუ პირობებში მარტუნა ბედმა მოღვაწეობის დაწვევა, როდესაც საქ. ისტორიის არც ერთი სამეცნიერო დარგი არ არსებობდა, მ. ბროსეს, დ. შაქრაძის, თ. ცორდა-

ნიას, ექ. თაყაიშვილისა და მ. ჯანაშვილის თითო-ორიოლა ნაშრომს გარდა, საქ. ისტორიის თითქმის არაფერი იყო¹⁴, და ყველგნებურს უნდა ერბოს დაამიანს და შექმნებრამებრ¹⁵ მალე გაეკეთებინა. გზის გაყაფვა ადვილი საქმე არ არის და თვით გამოკვლევისათვის უმადურს სამუშაოს წარმოადგენს. ასეთ გარემოებაში, რაც არ უნდა გვიდლიყავ, ჩემი გაკეთებელი უნებლიეთ ჰახელად¹⁶ დაწერილის მსგავს უნდა გამოსულიყო, მაგრამ თუ ვისმე ჩემზე უკეთესად შეეძლო მთელი ეს სამუშაო აესრულებინა, რატომ არ გააკეთა, მე ხომ არავისთვის დამიშლია?! განა ჩემთვის-ც უკეთესი არ იყო, რომ მე დამწვინებელი, აუჩქარებელი კვლევა-ძიების საშუალება მქონოდა. მაგრამ ჩემად საუბედუროდ შრომისა და მშინე ტვირთის გამწაწილებელი არავინ მყოლია და მოუცულობის გამო ისეთ მდგომარეობაში ვიყავე ჩავარდნილი, რომ ერთხელ დაწერილის შემოწმებისათვის-ც დრო არ მქონდა, და ეხლაც მაინც არავინ მოსვენებას არ მძლეეს და ყველას მე უნდა დავუსხიელო წყაროებიც და ცნობებიც მზამზარებულად გადმოვულაგო.. წინა თქვეს წერილში ნათქვამი იყო, რომ ვენკოს საბახუბო წერილი ძეგრებაო. მე ვთხოვთ ამის თავი დაანებოთ, თუ თქვენა სწერთ, და თუ სხვა ვინმე სწერთ ქართული, ჩემ მთავრად ვაღიკეთო, რომ თავი დაანებოს. რაც არ უნდა დაიწეროს, მაინც იტყვიან: ქართული ქართველს გამოეკომავაო. თქვენც შესაძლებელია ამან საქმე გაიფუტოთ. იმაზე მეტი ეელარაფერი ვაღამედება, რაც მინახავ, და ოდესმე სიმართლე მაინც გამოჩვენებს. ვენკოსთან კალმოსნის კლანქსაც ავიტან¹⁷. ამას რომ ვწერთ გული მწუხარებით სამზე მაქვს პირადი უსი-მოვნების გამო კი არა, არამედ იმატომ, რომ ხელთგან ვეცლება ისეთი პატრონანი მუშაკი, როგორც მხიელი შევარდნაძეა¹⁸. ტრამაიმ ფების თითვე მოსწვეტა, ამას სისხლის მოწამლევა მოჰყვა, ამ სამი დღის წინათ მუხლის ზე-ეთი მოსტრეს უკვე ფები, მაგრამ ვერც ამან, უშველა და უკოდერეს განსაცდელშია. — ვწუხვარ, რომ ამ წერილში ამდენი უსიამოვნო რამის მოწერა მომიხდა. ბრძანდებოდეთ ბედნიერად და ქანბრთვლად. მარად თქვენი მოსიყვარულე იც. ჭავჭავიძისო.

ტფილისს

XVI

1907. 27. III.

ძვირფასო გ-ნო მარჩა!

ამ წერილს ვატან ჩემს დისწულს ხუროთმოძღვარს ლეო რჩეულიშვილს, გ. ჩუბინაშვილის ასისტენტს „მეტეხის“ მუზეუმის ხუროთმოძღვრების განყოფილებაში. მანდ ამ დარგის სპეციალისტებისათვის ობთვანი კურსები უყოფ-

* რაც-რა სიტყვებიც (შეფასებები).

ლა, და ამ მიზნით იგზავნება აქეთგან. თქვენა დავალბით გამომხატულს ველი მოუთმუნლადნ. რაკი ორბელმამ გირჩით, კარგი იქნება, ის მაყარი მსაყულა. უკვე აბრილი დგება და ჭერ ბეერი რამე მაქვს დასამზადებელი გამოფენისათვის, 7 მაგრამ არაერთი საინტერესო ექსპონატი მაინც უკვე დამზადებულა. აუარებელი საქმე და სამუშაო დამაწევა და უკიდურესად დაქანცული ვარ, მაგრამ შერამ შედრო უფრო მეტო კამაწყვეტა მოგვიხდება და არ ვიცი, როგორ ავიტან ასეთ ტვირთს. უკანასკნელმა თქვენმა წერილმა გენყოს გამოლაშქრების გულისხმადებს მიამხედრა. ორბელის განზრახვის შესახებ კიდლის მოწერილის ცნობით, უტრმოკრული ამბავის მსვავსად მოაღწია ჩემამდე, მაგრამ დანამდვილებით არაფერი ვიცი. სწორე მოახსენიოდა დ. კანდელაკის დროს, 10 შემომთავახეს წარგადგენით, მაგრამ მისგან მოგზავნილის პირით მადლობა შევეთვალე, მაგრამ განმრთლებლის გამოცა და სხვა მოსაზრებითაც თავიოფან ავირადე. მის შემდგომ მიმდევარი წლებში 11 ჩემდამი დამოკიდებულება ისე შეიცვალა, რომ მით უმეტეს ასეთა შესაძლებლობა ჩემთვის წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო. მართალია, ამ უკანასკნელ წლებში 12 ჩემდამი დამოკიდებულება საგრძობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ორავველითის საქციელი 13 მაინც დამახასიათებელია: მტრულად განწყობილი მაინც არ გამოლულარ, გენყოს საქციელიცა 14 და მის მფარველია განზრახვაც მადიქრების, რომ მანდაც ზოგიერთ ავადმყოფოსთა მხრავაც ჩემდამი მაინცდამაინც კეთილმოსურნეობით გამსქველული დამოკიდებულება არ უნდა იყოს. ასეთ პირობებში კანდიდატურის წამოყენება სახიფათო იყო და ადვილად შესაძლებელია მარცხთაც დამთარდეს, რაც ორავველითს მავაგვად განწყობილი პირობისათვის ფრიად სასიამოვნო იქნებოდა მით უმეტეს, რომ კურაიის დააჭერებთ, რომ ავადმყოფოსობის პრეტენზიები არ გქონია და წარდგენას შესახვაც არა გყოღნია რა. — მაგრამ ამაზე საუბრით აღარ შეგაწუხებთ. — ჩემი წიგნისს აწყობა წინ არ წაჩეულა. მე-18 თაბახს არ ვაპლტობია. მე-7 თაბახი დაიბეჭდა ამ დღეებში ისე, რომ მაისის დამლევისათვის თუ გამოყოდა, კარგი იქნება. აუარებელი სამუშაო მაქვს და უფარესად დაქანცული ვარ. ესლაკი შეწყვეტის დროცა არის, ველი სურათს.

მარად თქვენი მოსიყვარულე
ფ. ჯაპახიშვილი.

ტფლისს
XVII 1907. 26. IV.

ძვირფასო ბონო მადლამ:

უკიდურესი მოუცლელობის გამო წერილი შემომიგვინდა, რასაც ამდგია მბატბებთ. დიდ

9 ე. ბ. ბენევიჯი (1874-1943) — საბჭ. ბიზანტიისტი, კანონიკური სამართლის სპეციალისტი. ე. „Христианский Восток“*-ის ფურცლებზე თანამშრომლობდა ნ. მარტოან, კ. კეკელიძესთან, ი. ჯავახიშვილთან, გ. ჩუბინაშვილთან და სხვ. ინტერესებდა, საეციალობისა და გვარად, ქართული სიძველენი. ობ. მისი „Грузинск. велик. номоканон по спискам Тифлисс. церк. музея, XV, тт. II и III. მასვე ეკუთვნის ძველი სლავური ნომოკანონის

* შემდგომში ითარგმნა კ. კეკელიძის მიერვე: „История и восхваление венценосцев“, Тб., 1964.

* სვანეთის აღწერა იყუება 26-ე გვერდზე.

** ტ. I-VI (1912-1922), რედ. ნ. მარტო.

წიგნი: В. Н. Венешевич, Древне-славянская Кормчая XIV титулов без толкований. Т. I. СПб., 1907.

10 გ. ბენეშევიჩის განზრახვა იყო თბილისში დაბეჭდა იუსტინიანეს (VI ს.) კანონთა წიგნიდან (Digestae) ექსცერპტები, რომლებსაც იგი აფასებდა, როგორც ეკონომიური ისტორიისათვის საჭირო მასალის შემცველ წყაროს.

11 თ. გონიაშვილი, სსრ მეცნ. აკადემიის ენის ინსტიტუტის უფ. მეცნ. თანაშრ.

12 „შუღლის კანონი“ (ბერძ. „ნომოკანონი“) შეიცავს ეკლესიის „მამათა“, მოციქულთა, საეკლ. კრებათა მიერ დადებულ კანონებს მორწმუნე ქრისტიანთა „დასამწყსავად“, აგრეთვე საერო საწარს — სამოქალაქოდ (მეფისა და სხვა საერო ხელისუფალითაგან) დადგენილ წესებს ისევე ეკლესიის თაობაზე.

13 დიდი შუღლისკანონი (ბიზანტიაში ყალიბდებოდა VI ს-დან) აკად. კ. კეკელიძის მიერ მიჩნეულია ქართულზე არსნე იულიანოელის (X-XI ს.) მიერ თარგმნილად.

14 თანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი), კლ. მასობა. ტ. 1-2, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. ტფ., 1936-1948. — რაც შეეხება „კალმასობის“ გამოცემას ჩვენის გვემით (სრულ ტ-ტი, კომენტ., გამოკვლა თარგმ.), ამ წიგნწებებზე მუშაობა გრძელდება.

15 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. 11: ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ., 1937*.

16 იხ. შენ. XI, 3.

XII

1 იხ. შენ. V, 9.

2 Н. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием (Арабская версия): Записки Восточн. отд. русск. археол. общ., т. XVI, СПб., 1905), Отд. отг., стр. 63—211.

3 იხ. შენ. V, 18.

4 იხ. შენ. V, 10 (2).

5 Д. Ф. Веллев, Byzantina, кн. I—III, СПб., 1891—1907. Очерки, мат-лы и заметки по византийским древностям.

6 იხ. შენ. XI, 8.

XIII

1 Н. Я. Марр, Избранные работы, т. 1—5, М.-Л., 1933 — 1937. დიდი მეცნიერის ნ. მარის ნაშრომთა გამოცემის საქმე

* აღნიშნული „შესავლის“ წ. 1: საქ-ოს, კეკე-ისა და მახლობ. აღმოსავლეთის ისტ.-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.

** წერილის ავტორს უშუალოდ სქიარდებოდა წ. 1 (იხ. შენ. IX, 8).

ჯერჯერობით, სამწუხაროდ, აქ აღნიშნული ხელტოშეულის პებლიაკიით განისახლებრა (ეს 5-ტომეული ძირითადად საენათმეცნიერბრ ჰოგისაა). ამოგან ტ. 3: Язык и общество (1934 г.), ტ. 5: Этно- и глоттогония Восточной Европы (1955 г.).

2 И. И. Мещанинов, Халдоведение. Баку, 1927.

3 სააზო მუზეუმი (დაარს. 1818 წ. პეტერბურგს), შემდგომში სსრ აღმოსავლეთმცოდნეობის (აქ აზიის ხალხთა) ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილება, შეადგენს აღმოსავლურ ხელნაწერთა (აგრეთვე ნაბეჭდი წიგნების ევროპულ და სხვ. ენებზე) უმდიდრეს კოლექციას ქართულის ჩათვლით. ქართველმცოდნე აკად. მ. ბროსე (ტომით ფრანგზე; რუსეთში მოღვაწეობდა 1837-1880 წწ. *) იყო შემქმნელი და მეურვე, კერძოდ, ქართულისა და სომხური ფონდებისა. აქვე დაცულია ბროსეს შიდარი არქივიც.

4 იხ. წინა შენიშვნა.

5 პლ. ეგნატ. იოსელიანი (1809-1875) — ცნობილი ისტორიკოსი, არქეოლოგი.

6 ეს იყო მხატვარი როსსი, რომელსაც, მართლაც, შეუძრებუბია ფრესელი მინიატურები XIX ს. 30-იან წწ.; ბერსონალიზებში, როგორც ამას უჩვენებს ივ. ჯ-ს წერილიც, ჩანან პატრიარქი (კათალიკოზი) ნიკოლოზ (XV ს.), მეფე ვიორგი VIII (XV ს.) და მე მისი ბაგრატი. მინიატურებს ახლავს ქართული განმარტებები (პლ. იოსელიანისა) და ფრანგული (ბროსესი). დაწერილებით იხ. P. P. Orbeli, Грузинские рукописи и-та востоковедения АН СССР, вып. I, Л., 1956, 87 (стр. 93-94).

7 ასეთი კვლევის შედეგი, კერძოდ, იხ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. III-IV, თ., 1962, რედ. ჯ. ჩიტიია.

8 იხ. აქვე, შენ. 6.

9 ივ. ჯ. პეტერბურგს (პეტროგრადს) ცხოვრობდა 1895-1917 წწ.

10 იგულისხმე: სათუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი მხატვრობა.

XIV

1 იხ. შენ. V, 9.

2 იხ. წერ. VIII.

3 იხ. უ-ტის „შრომები“, V (1936), გვ. 1—65.

4 იხ. შენ. XI, 15.

5 Проф. А. Чикобава, И. А. Джавахишвили, Первоначальный строй и родство грузинского и кавказского языков*;

* მის შესახებ მონოგრაფ. ნაშრომი იხ. ხანთაძე, მარი ბროსე, თ., 1966; რუს. დოდაშვილი, მარი ბროსე — ქართ. მწერლობის მეკლავარი, თ., 1966.

გაზ. «Заря Востока», 1939 г., II, № 29.

H. Vogt „La parenté des langues caucasiennes“—Norsk Tidsskrift for Sprogvidenskab, Bind XII, Oslo 1942, p. p. 242—257, სპეც. გვ. 251-257.

6 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი 1: საქართველოსა, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეტიმოლოგიური პრობლემები, თბ., 1960, რედ. გ. ჩიტაია.—არ დაბეჭდილა წ. 111.

XV

1 ივ. შენ. XIII, 2.

2 И. И. Мещанинов, Язык Ванской клинописи (Die Van-Sprache), т. II*, Структура речи, Л., 1935.

3 J. Friedrich, Beiträge zu Grammatik und Lexicon des Chaldischen. Caucasiaka, VIII, 1951.

4 M. Tseretheli, Die neuen haldischen Inschriften König Sardurs von Urartu: დაწვრილებით ივ. Г. А. Меликишвили, Урартские клинообразн. надписи, стр. 27, примеч. 6 и 7. М., 1960

5 Мещанинов, Язык etc (შენ. XV, 2), Предисл., 18 и прим. 71, 75 и друг (აქ მეშხ. ეკამათება ფრიდრიხს); იკივე, Предисл., 17, и прим. 68. (აქ მეშხ. ეკამათება მ. წიკიფაშვილს).

6 მეშხ. აღიარება სახელდობრ: «...приходится при всех сделанных выше оговорках все же признать, что вновь выдвинутые М. Церетели, А. Гётце и J. Friedrich положения не оставляют никакого сомнения в необходимости кардинального пересмотра раньше намечавшихся структурных определений халдской речи» (Предисл., 17-34).

7 Н. Генко, Задача этнографического изучения Кавказа: ж. «Советская этнография», № 4—5, М.-Л., 1936.

8 შტრ. გენკოს დასახ. წერილი (ივ. აქვე, წიგნი 7), გვ. 19 და 14.

9 აკად. ევან. ივლ. კრაჩოვსკი (1883-1951)—ცნობილი არაბისტი.

10 მართლაც, ეს, როგორც იტყვიან ხოლმე, „უკვლადრიდან ჩანდა“.

11 რევოლუციამდე აკადემიის წესდება მართლაც მოითხოვდა მის წევრად არჩეული პირი სათანადო ქალაქის ბინადარი გამხდარიყო.

12 აკად. ნ. იაკობის ძე შარტი (1864-1934), სტრუქტურტი ივ. ჯავახიშვილის პროფესორი, შთა-

ვარი ხელმძღვანელი ივ. ჯ-ისა „სამბრატორის მინილზე და ბოლოს (1917 წ.შდე) თანამშრომელი სპ-პეკადის უ-ტში. **სამბრატორი**

13 სამაგისტრო დისერტაცია („Государственный строй древней Грузии и древней Армении“, т. 1*) ივ. ჯ-ის მეორე დაცულ იქნა 1907 წ. 13 მაისს.

14 ივ. ჯ-ის „ეტიმოლოგიკური“—დან: პრივატ-დოცენტის წოდებულება მიენიჭა (ს. პნ. უ-ტში) 1903 წ., დოცენტისა — 1917, პროფესორისა, თბილისს, — 1918 წ.

15 მართლაც, როდესაც ივ. ჯ. შეუდგა საშემოდგომო მუშაობას (სამცხენიერო ორგანიზმი პირველად დაიბეჭდა მისი ნაშრომი 1899 წ.**), ქართ. სისტ. ლიტერატურა შიოციყვია (დაახლოებით) შემდგეს: ბროსეს „საქართველოს ისტორიას“ (დედანი — რუსულია), ნიწ. 1-2, ტფ., 1895-1900; დ. ბაქრაძის ნაშრომს — „ისტორია საქართველოსი (უძველესი X ს-ის დასასრულამდე)“, ტფ., 1889; ჯანაშვილის „საქართველოს ისტორიას“ (გამოც. 2, თბ., 1894). რაც შეეხება წერილში დასახელებულ ყორდანიას და თაყაიშვილს, ივ. ჯ-ს უნდა ეგველისმნა უმთავრესად პირველის „ქრონიკები და სხვა მასალა საქმის ისტორიას“, წწ. 1-2, ტფ., 1892-1897, და თაყაიშვილის „სახი ისტორიული ქრონიკა“ (ტფ., 1890) და ზოგი სხვა მისთანა.

16 სიტყვა ნასესხებია პალეოგრაფიაში დადგენილი ტერმინოლოგიიდან, ნიშნავს ხელგაერთიანად, შავად, ნაუბათეად დაწერილს. ივ. ჯ-ის ამ გამოთქმებში შეიძლება კარგად გაიარჩევს შორიღებული ავტორის სტილი, თორემ რა სჭირდა სასინანულო მის რაკინდარა ნაბეჭდს!

17 სწორად რომ ითქვას, მსგავსი დამოძისობებაც, თუნდაც ასე ირონიულ ტონებში გამოხატული, თავისთვის დიდ პატივად შეეღობო მიეთვალა დასახელებულ „კალმოსანს“, — მთელი მისი აქტიურობა და ინიციატივა ქართველოლოგიის სფეროში არა იყო რა, თუ არა ვაუტეპრობა, თუ არ უმასხუსმგებლობა, იმდენად პირობითი იყო მისი განწყვეულობა ამ სფეროში!

17 მის. შევარდნაძე (1884-1937) — დაიბ. ქ. ოზურგეთს (ქ. შახარაძე). დირექტორი საქმის მუზეუმის ბიბლიოთეკისა, ერთ ხანს ქუთ. ქართ. ვიშნაზიის გერმან. ენის მასწავლებელიც (1913-1918 წწ.). დარჩა სახელმძღვან. 13 მარტს გადაწყვეა ფეხის ამბრტაციას.

* დაიბეჭდა ნ. შარტის სერიაში: „Тексты и разыскания по грузинской филологии“, кн VIII, СПб., 1905

** „ბალავარიანის“ რუს. თარგმ.: „Мудрость Балавара“: ж. «Записки восточ. отд-я русск. археол. о-ва», т. XI, СПб., 1899.

* т. 1, „Труды Ин-та языка и мышления“, I, 1932.

XVI

1 ლ. რჩელიშვილი — ხელოვნების შეცნობა კანდიდატი.

2 აკად. გ. ჩუბინაშვილი (1885) — ხელოვნებათმცოდნე, ავტორი ფუძემდებლური შრომებისა, კერძოდ, საქართველოს და სომხეთის ხელოვნობათმცოდნეობის დარგში. უახლესი კაპიტალური ნაშრომები: *Чеканное искусство в Грузии; Разыскания по армянской архитектуре*, და სხვ.

3 მეტეხის მეზემი — ქართ. ხელოვნების მეზემი (იმ ხანად მეტეხის ციხეში მოთავსებული), რომლის საფუძველზე შეიქმნა აწინდელი ხელოვნების სახელმწიფო მეზემი.

4 იგი არსებობდა ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიასთან.

5 აკად. ი. ორბელის რეკომენდაციით, ქართული მხატვრობის ლენინგრადში დატული რიგი ნიმუშების პირები ვადმოღებულ იქნა სპეციალისტი ქალის ქალბატონი ალაქალოვას ხელით. შტრ. წერ. XIII.

6 აკად. ი. ა. ორბელი (1887-1961), ირანული და კავკასიური ხელოვნების მცოდნე, სახელმწიფო მემკვიდრეობის დირექტორი (1934-1951).

7 იხ. შენ. X, 1.

8 ამ წერილში (1937 წ. მარტის თორმეტს) აღნიშნული მქონდა, რომ აკად. ი. ორბელისგან ამ სტრუქტურის ავტორს დაეველა — მის (ივ. ჟ-ის) ნაშრომთა სია გაეშუადებინა. საქმე ეხებოდა ივ. ჟ-ის კანდიდატურის წარდგენას აკადემიასთან არჩევნებთან დაკავშირებით.

9 უფოდ იგულისხმება ი. ორბელის განზრახვა — ივ. ჟავახიშვილის კანდიდატად დასახელებისა (იხ. წინა შენიშვნა).

10 დღე კანდელავი იყო საბჭოთა საქართველოს სახალხო განათლების კომისიის 1923-1928 წწ.

11 ავტორი აღბათ გულისხმობს 1926-სა (როდესაც გათავისუფლებულ იქნა რეპტორის თანამდებობიდან) და მომდევნო წლებს.

12 დაბლობები 1936 წლიდან იხ. წერ. IX).

13 იხ. უტის „შრომები“, V (1936), გვ. 1-65.

14 იხ. წერ. XV.

15 იხ. შენ. XI, 15.

XVII

1 იხ. წერ. XIII.

2 იველისხმე მხატვარი ქალი — ალაქალოვა. იხ. შენ. XVI, 5.

3 იხ. წერ. IX.

4 იხ. შენ. XI, 15.

5 დაიბეჭდა მოგვიანებით ს. ი. ბასილი უბოს-მოდელი, ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისი, ბენიშინის შოამზე, ტ. XIV, თბ., 1944, გვ. 317-357 და ცალკე ანაბეჭდი.

6 საქმის დაჩქარებისათვის, რათა ამ სტრუქტურის

წების ავტორს თამარის ისტორიის ტექსტის თარგმნისას გამოდგომოდა (იხ. შენ. IX, 19, 20).

XVIII

1 იხ. წერ. XIII.

2 აქ იველისხმე: Гос. Публичн. биб-ка им Салтыкова-Щедрина (მისი ბიბლიოთეკის ვაშლი).

3 შეიცავს ქართულს და ბერძნულ ტექსტებს (ოთხთვიანად, დაბადებიდან), მინოლოგს და ა. შ. წმინდათა და საეკლ. დღესასწაულთა ანაბეჭდილი საეკლესიო მინიატურებისა. იხ. Н. Окуев, О грузино-греческой рукописи с миниатюрами, Христианск. Восток, т. I, вып. I, с. 43—44. СПб., 1912.

4 იხ. შენ. XIII, 3.

5 იხ. შენ. XVI, 5.

6 საქმე. აკად. ალაქალოვის სახელის რეკომენდაცია.

7 Н. Толстой и Н. Кондаков, Русские древности в памятниках искусства, вып. I—VI, СПб., 1889—1899.

8 იხ. შენ. VII, 8.

9 იხ. შენ. XI, 15.

XIX

1 მოხსენება წაკითხული იყო 1937 წ. 21 მაისს ილ. ჭ-ის დაბადების 100 წლისთავზე ენის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (—ბენიშინი), რომელიც მაშინ წარმოადგენდა სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალს.

2 დაიბეჭდა იმავე სათაურით, ტფილისი, 1938 წ.

3 „სპარსულ-ქართული ცდანი“ 1 (ლგდ. 1926), რომელიც მოიცავს იური (იგივე ფრიდონ, გიორგი) მარისსა და კარპეზ ღონღუას ნარკვევებს, ვახტანგ VI-ის ასტრონომიული ნაშრომებისადმი მიძღვნილს.

4 Христианский Восток. Серия посвящ. изуч. христ. культуры народов Азии и Африки. тт. I-VI, 1912-1922 (СПб. Пгд.). რედ. ნ. მარი. სერია ვიცხსნა ივ. ჟ-ის გამოკვლევით.

5 ე. „Язык и Мышление“ იყო საქმე. მეცნ. აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ორგანო.

6 Ананий Ширакец (XII в.). Вопросы и решения. Пгд., 1918. перев. И. А. Орбели.

7 პრეკოლოგი ეპ. პორფირი უსპენსკის (1804-1885) ფონდი დატულია საქმე. მეცნ. აკად-ის არქივში.

8 В. Бенешевич, Изображение груз. царя Давида Строителя на иконе Синай.

ского мон-ря. Хрис. Восток, т. I, вып. 1, с. 62—68, СПб., 1912. (იხ. აქვე, შენ. 4).

9 იხ. შენ. XVIII, 2.

10 კრებულს ზედ წარწერილი აქვს: „Разнояз. [ычные мат-лы]. 0. 1, № 56“

11 იხ. აღნიშნ. კრებულის თ. 43.

12 იხ. აღნიშნ. კრებ-ის თ. 30.

13 იხ. შენ. XVIII, 7.

14 А. Н. Кубе, История фаянса, Берлин 1923; მისივე: История фарфора. შტრ. შენ. XXI, 6

15 И. А. Орбели, К. В. Тревер, Сасанидский металл. Художеств. предметы из зол., серебра и бронзы, М.-Л., 1935.

16 Н. Н. Соболев, Очерк по истории украшения тканей, М.-Л., 1934.

17 იხ. შენ. IX, 14.

XX

1 იხ. შენ. IX, 14.

2 იხ. შენ. XIX, 14.

3 Академия истории материальной культуры (ГАНМК), 1919 — 1937; 1937 წ. გარდაიქმნა იმავე პროფილის ინსტიტუტად.

XXI

1 იხ. წერ. XIX.

2 იხ. შენ. XI, 9, 10.

3 Г. Г. Гагарин, Собрание византийских, грузинских и древнерусских орнаментов и памятников архитектуры. Серия 1—3, СПб., 1897—1903.

4 П. К. Степанов, История русск. одежды, вып. I, Пгд. (S. d.).

5 Galerie des peintres célèbres, I-II. Paris, 1844

6 Русский художественный фарфор. Сб. статей о государственном фарфоровом заводе, Лгд., 1924.

7 С. Н. Тройницкий, Английское серебро, Пгд., 1923.

8 იხ. შენ. XIX, 14.

9 ღმინისის გათხრების განახლებას ვიფერებებს... — I ოქტობლ კამპანია წარმოებდა 1936 წ. აგვისტოს 22-დან ოქტომბრის 29-მდე. განახლდა დაგვიანებით: 1937 წ. აგვისტოს 26-დან (და დასრულდა ოქტომბრის ორს თუ სამს). გათხრების შედეგები იხ. ლ. მუსხელიშვილი, ღმინისი. ქალაქის ისტორია და ნაპალაქების აღწერა: კრებ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1938, გვ. 317-448. რუს.: Л. Мусхелишвили, Раскопки в Дманиси; ж. „Советская археология“, VI, 1940, стр. 258-288.

XXII

1 იხ. შენ. XX, 9.

2 ვახტანგ წარმოებდა 1937 წ. ხატულში. გათხრების შესახებ იხ. შ. ხიდაშელის ანგარიში ზემოთ დასახელებულ კრებულში (ნახე ზემოთ, შენ. XXI, 9).

3 ქუქჩანკოვა: „...თუთიო შეილი მათი ქუქჩანკად ვაისწავლებოდის და ჰკახშიდენ მის წყაროსა“ (1202 წ. სიგელი; ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტ., წ. 2, ნაკვ. I, გვ. 76).

4 იხ. შენ. XXI, 9.

5 ეს სინანული მასხუბობს ცნობას (ჩემი წერილი 1937. 15. VIII-ისა), რომ ამით იყო პროფ. ვ. ბენეშევიჩის ცდა — ეპოვნა დავით აღმაშენებლის სტრათი. იხ. შენ. XXI, 1.

6 იხ. შენ. XIX, 11.

7 იხ. შენ. XVII, 5.

8 იხ. შენ. XI, 15.

9 იხ. შენ. XVII, 5.

XXIII

1 ამ სიტყვების მოქმელი 61-ე წ-ში იყო გადამღვარი.

2 Н. Н. Соболев, Очерки, etc. М.-Л., 1934.

3 «Агркультура» etc, под ред. О. А. Добняш-Рождественской и М. И. Бурского М.-Л., 1936.

4 იხ. შენ. IX, 11.

5 Труды V археологического съезда в Тифлисе, 1881, М., 1887.

6 ასეთ მასალას (დაქსიმოლეები, ნახატები) შეიცავს „Труды“-ც (იხ. შენ. 5) და ცალკე კიდევ: Протоколы подготовительного комитета V археологического съезда в Тифлисе, М., 1882.

XXIV

1 საფოსტო მისამართით: თბილისი, კალინინის ქ., № 66.

2 იგულისხმება კრებ.: „Памятники эпохи Руставели“, Лгд., 1938.

3 Башиа, Историк царицы Тамары. Памятники (იხ. წინა შენ.), გვ. 33-76. დედანი: ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება (იხ. ზემოთ, შენ. XVII, 5).

4 იგულისხმებ: საიუბ. კრებ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“. პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. თბ., 1938, 1-VIII+467 გვ.

5 იხ. ვახ. „Правда“, 1938 წ. 22. III, № 80.

6 ეპიგრაფის დირექტორი 1934-1951 წწ. იყო აკად. ი. ორბელი.

7 იხ. შენ. IX, 15.

8 ივლისსებებიან ხელისუფლებისგან რეპრესირებული პირები.

9 იხ. შენ. VII, 8.

XXV

1 В. Греков и А. Якубовский, Золотая Орда, Л., 1937.

2 ვერძო, დასახელებულ „З. Орда“-ში (იხ. წინა შენიშვნა) შესავალში ზოგადად განხილულია XI-XIII სს. „დემტ-ი-ყიუჩაი“ (გვ. 11-24).

3 იასე ცინკაძე, ცნობები რუსეთის შესახებ ქართულ წყაროებში და საქართველოს შესახებ რუსულ წყაროებში XI, XII, XIII სს. 250830-ის მოამბე, IV ტ. 1938, გვ. 73-100. იხ. იხ. მისივე „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.)“, გვ. 190 და შდგ, თ., 1956.

4 იხ. შენ. XVII, 5.

5 იხ. შენ. XI, 15.

6 ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თ., 1938.

7 იხ. შენ. XVIII, 1-2.

8 იხ. შენ. XXII, 4.

9 იხ. შენ. XXII, 2.

10 ЗВО, XX (1910) და XXX (sic). სულ გამოვიდა 25 ტომი (ტრანსკრიბირებული 1921 წ.).

11 Н. Марр, Сборники притч Вардана. Материалы для истории средневековой армянской литературы, ч. I. Исследование, СПб., 1899, ч. II. Текст, СПб., 1894, ч. III. Приложения, СПб., 1894. ნაწ. III შეიცავს 10 სათანადო (ენზაიმონის) ხელნაწერის აღწერას საძიებლოთ, არაბულსა და სხვა ტექსტებს და ა. შ. (ნაშრომმა 1899 წ. 23 მისს საჭაროდ დაეძღვა, ავტორს მოუპოვა მაგისტრის ხარისხი).

12 Iosephus Flavius, Sämtliche werke, von Johann Friedrich Cotta, Tübingen, 1785.

XXVI

1 Ф. И. Успенский, История византийской империи, т. I, СПб., 1913; т. II, ч. I, Л., 1927; т. III, М.-Л., 1948.

2 Северн. морской путь. Сан-ოსნო მაგისტრალი, მიდის ჩრ. ყინულოვანი ოკეანის გასწვრივ ახალი მიწიდან ბერინგის სრუტემდე. აწარმოებდა საფოსტო ოპერაციებსაც.

3 იგივე აღქმანდრე ჯავახიშვილი, აწ ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

4 აქ ნაგარაუდგეი წერილი ავტორს, ივან-მყოფობის გამო, ვეღარ დაუწერია. მის ნაცვლად დაწერილი ჩანს 1938 წ. 2. VIII-ით დათარიღებული ბარათი, რომელშიც მართლაც ერთი

ცნობა ეგება „კოლექტიური სამეშაოს ვეგმას“ (იხ. ქვემოთ).

XXVII

1 ივლისსებები 1938 წ. 18. VII-ით დათარიღებული წერილი.

2 იხ. შენ. XXVI, 1.

3 В. В. Бартольд, Улутбек и его время, Пгд., 1918, см. В. В. Бартольд, Сочинения, т. II, ч. 2 (М., 1964), стр. 25—196.

4 Станли Лэн-Пуль, Мусульманские династии. Хронологич. и генеалогические таблицы с историческими введениями. Перевел с англ. В. Бартольд, СПб., 1899.

5 დღემდე ცნობილია ერთადერთი, 1899 წ. გამოცემა.

6 ავტორის კაბიტალური ნაშრომი „ქართველი ერის ისტ.“ (წ. 1-5). მაშინ სწორედ XIII ს. მდე იყო მიყვანილი. იხ. წ. II, ტფ., 1914.

7 აკად. ნ. ა. ბერძენიშვილი (1895-1965), საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი.

XXVIII

1 იხ. წერ. XXVII.

2 В. И. Сергеевич, Русские юридические древности, 3 тт, СПб., 1890—1903.

3 В. И. Сергеевич, Ленция и исследования по истории русского права, СПб., 1883.

4 იხ. შენ. XI, 15.

5 იხ. შენ. XXV, 6.

XXIX

1 იხ. წერ. XXVII.

2 აკად. ს. ჯანაშია (1900-1947) — სახელოვანი ქართველმცოდნე, ისტორიკოსი.

3 დასახელებული სამი ავტორის მუშაობის უშუალო შედეგი (მაკეტის სახით) იხ. „საქართველოს ისტორია უძველ. ბანიდან ჩვენს დრომდე“. თბ., 1940.

4 იხ. შენ. XXV, 6.

5 იხ. შენ. XI, 15.

XXX

1 იხ. წინა წერილი.

2 იხ. შენ. VII, 8.

3 იხ. ქვემოთ, შენ. XXXIII, 4.

4 გადაწერალია ოშკის ლავრაში (თორთუმის ტბასთან) მე-X ს. ახლა იხ. წიგნი ძეგლისა აღთქმისანი. 978 წლის ხელნაწერის (ოშკის დაბადება) მიხედვით. ტ. I, ნაკვ. I: დაბადებისა. გამოსულთაა. გამოსცა აკაკი შანიძემ. თ., 1947. იმავე ტომის ნაკვეთი 2: ლეტიტონი.

* ნაწ. 2 არ დაბეჭდილია. შდგ. ტ. III, წინასიტყვიობა, გვ. 7.

11. „მნათობი“, № 9.

თა. მსაქელთა. რუმისი, იობისი. ესაიაჲსი. გამოსცა აკაი შანიძემ. თ., 1948.

5 შეიძლება აქ გვევლინებოდნენ ლექციების კითხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მაგრამ ივ. გ.-ს ლექციები ჩატარებია საქართველოს მუზეუმის მუშაკთათვისაც (1939 წ.). საქართველოს ნოეთური ელტურის დარგში ჩვენი შეცნობის შემთხვევაში წარმოადგენს მისი წიგნები: „მასალები ქართული ერის პატრიარქული ელტურის ისტორიისათვის. I. შეიქმმობის ხელოვნება ძველ საქართველოში. თ., 1946. (ოლი აბულაძის წინასიტყვიანობით). III-IV. ტანისმოსო, ქსოვილები, etc., თ., 1962. (გ. ჩიტაიას რედაქციით).

6 იბ. შენ. VII, 8.

7 В. Г. Васильевский, Труды, т. т. 1-4, СПб., 1908—1930.

8 А. Н. Веселовский, Собрание сочинений, т. 1-6, 8, 16, II., 1908—1938.

XXXI

1 Та biblia, ed. de Москва [მოსკოვს], 1821.

2 იბ. შენ. VII, 8.

3 იბ. ქვემოთ, წერ. XXXIII.

4 Худуд ал-алем*. Рукопись Туманского. С введением и указателем В. Бартольда, Л., 1930. (თარგმნილია და კომენტარებული ვ. შინარსის მიერ, ლონდონი, 1937).

5 იბ. შენ. XXVII, 3.

6 იბ. შენ. XXX, 8.

XXXII

1 В. В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана, СПб., 1903.

2 იბ. შენ. V, 23.

3 Армянская география VII века, издал К. П. Патканов, СПб., 1877.

4 М. Д. Приселков, История русского летописания XI—XV вв., Л., 1940.

5 ი. ტყეშელაშვილი, სიტყვის-კონა, СПб., 1910.

6 გ. ბერძენი, სიტყვის-კონა იმერ. და რაჭულ თქმათა. СПб., 1912.

XXXIII

1 Путешествие** ибн-Фадлана на Волгу, перев. и комментарии, под ред. Н. Ю. Крачковского, 1939.

2 Иранское искусство и археология.

III Междунар. конгресс. 1935, М., 1939.

3 იბ. შენ. V, 4.

4 აქად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიები (დადგინდა სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის შედგენილობაში, განავრცობდა ირანის სახელობის მეცნ. აკადემიის სისტემაში).

5 ევანგელისტური ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება. XVIII ს. დამდეგი. I: ტექსტი. ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვიანობით და რედაქციით. თ., 1940. (სურათი: ქართ. საისტორიო ძეგლები).

6 იბ. შენ. IX, 19. — ივ. ჯავახიშვილის მიზანშეწონილი გეგმით, აქ ჩამოთვლილი ბასილი ეზოს-მოძღვრის ნაშრომი, დავით აღმაშენებლის ისტორია (XII ს.), „მატიანე ქართლისაჲ“ (XI ს.) და „ამთაბაღმწერელი“ (XIV ს.), ისტორიკულ დანართებს საისტორიო ძეგლები, რომელთაც ჩვენს დრომდე მოუღწევიათ „ქართლის ცხოვრების“ ძველ კრებულში, დაცვის მიზნით ერთად ჩაყრებულებს, უნდა გამოცემულ იქნენ ცალ-ცალკე.

7 ეს ძველი მოიცავს ისტორიულ ხანას დაახლოებით 1072-დან 1125 წლამდე.

8 დასახლებული ძეგლი მოიცავს ხანას დაახლოებით 730-დან 1072 წლამდე.

9 ეამთა აღმწერელი (ბერძნ. შესატყვისით: ხრონოგრაფი)—მონოლოთა საქართველოში პატრიარქის ხანის (XIII-XIV სს.) ჩინებული მეისტორი.

10 ვიორგი მოაწმიდელი. ცხოვრება იოვანესი და ელთქმესი. გამოსაცემად დაგეგმილია ივ. ჯავახიშვილმა. ა. შინის რედაქციით და ზედდართული გამოკვლევით: „ვიორგი მოაწმიდელის ენა“ etc., თბ., 1946.

11 ვიორგი ზუცეს-მონაზონი (XI ს.), ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ვიორგი მოაწმიდელისაჲ.

12 „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (VIII ს.)—მოიცავს საერო ისტორიის ელემენტებს (კერძოდ, წარმართული ხანის მეფეთა გენეალოგიის) და ქართველი ხალხის ქრისტიანობისადმი მობრუნება-მოქცევის ამბავს.

13 ამ ძეგლის ძველ გამოცემათა შესახებ საორიენტაციო ცნობები იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო მწერლობა, სპეც. გვ. 102; თბ., 1945.

14 იბ. შენ. XXIV, 2.

XXXIV

1 შტრ. წერ. XXVIII, კაცეთში დაწერილი.

2 ერთი კრება: აქად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიების შიამბე, წ. V-VI, თ., 1940. 1899-1939. აკადემიკოსის ივანე ჯავახიშვილის საშეცნობით მოღვაწეობის 40 წლის თავზე. მეორე კრება: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შიამბე, ტ. X, თ., 1940.

* შეიძლება ასე ითარგმნოს: „ქვეყნიერების მხარეები“.

** ეს მოგზაურობა (X ს.-ის დამდეგი) არაბულიდან თარგმნა, კომენტარების დართით, А. П. Ковалевский-მ (სმ. Крачковский, Избран. соч., IV, стр. 185 и примеч. М.-Л., 1957).

3 История СССР. С древнейших времен до образования древнерусского государства. Чт. I—II, М.-Л., 1939; Чт. III—IV, М.-Л., 1939. Академия наук СССР. Институт истории материальной культуры им Н. Я. Марра. На правах рукописи.

4 შდრ. იგივე ნაშრომი, ნაწ. III, გვ. 166 (და 107). — ცნობილია, რომ მესროპ-მასტოცს (IV-V ს.) ზოგან მიაწერენ სომეხთა, ალბანთა და ქართველთათვის ანბანის შემუშავების ღვაწლს. ამის შესახებ, კერძოდ, იხ. ცნობილი არმენისტის მანუა აბელიანის წიგნი История древнеармянской литературы, Ереван, 1948, გვ. 72 და 73. ამ ვერსიის უარყოფელი დებულება იმის შესახებ, რომ მესროპის გამოგონებლობის ამბავი ქართველთა და ალბანთა მიმართ პირველწყაროში არ ჩანს და იგი მხოლოდ მერმინდელ მწიგნობართაგან შექმნილი ვერსიაა, წამოაყენა და დეტალურად გამოიკვლია ივ. ჯავახიშვილმა ნაშრომში „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“, წ. I, სტვ. გვ. 158-159 და სხვაგან. თბ., 1935.

5 ტრადიციული, მეცნიერულ კრიტიკას არიდებული დათარიღება V საუკუნით სომეხთა ისტორიკოსის მოსე ხორენელის ნაშრომისა („სომხეთის ისტორია“) დიდი ხანია სპეციალისტების მიერ ეკვიტანიალია, აბლებური დათარიღების მიჯნები მერყეობს VI-VII-სა და VIII-IX საუკუნეებს შორის (ნ. შარაი, ს. ჯანაშია, ლ. მელიქსეთ-შევი და სხვ.).

6 საქმე ეხება თამარის ეპოქის (XIII-XIII სს.) საქართველოს მთავრობის — საეპიროს წევრების, მშები მშარგძელების, ისე ვთქვათ, ვინაობას. ცნობილია, რომ უფროსი მშა ზაქარია იყო საქართველოს ამირსპასალარი, უმცროსი, ივანე — ათაბაგი. არმენისტიკულ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულია ფეჰი დებულება,

თითქოს ზაქარია და მისი შთამომავალი საქართველოში გამოდიოდნენ არა მხოლოდ როგორც ხელისუფალთაგანნი, ვეზირები, არამედ როგორც საქართველოს ფარგლებში (ომების შედეგად) გაერთიანებული ადრინდელი სომხური სამეფო-სამფლობელოების უმეტესი ნაწილის ავტონომიური მმართველები, ქართველთა მფვის „ესალეზი“. ამ თვალსაზრისის გამტარებლები ზაქარიას შთამომავალი ბევრთად აერთიანებენ გრეციზირებული ფორმით შემოსილი ბელოვური გვარსახელით — „ზაქარიდები“ (ნამდვილი გვარსახელის — „მშარგძელები“-ს უვლუბელოფით), ამ საშუალებით ხაზს უსვამენ რა მშარგძელთა ერთმ დინასტიურ ძალაუფლებას. შდრ. „სომეხი ხალხის ისტორია“, ნაწ. I, ბ. ნ. არაქელიანის და ა. რ. იოანსიანის რედაქციით (რუს. ენაზე), გვ. 164-165; ერევანი, 1951.

7 См. Рец.: С. Н. Джанашиа, «История СССР» и история народов Кавказа. О неудовлетворительном освещении истории кавказских народов в учебнике для ВУЗ-ов, т. I—II, газ. «Известия», 1940, 11, VII. Он же. «Письмо в редакцию», ж. «Историк-марксист», 1940, № 12, стр. 141-149.

ეს რეცენზია უშუალოდ ეხმაურება არა შემოთ (იხ. შენ. 3) აღნიშნულ გამოცემას (მატერ. კულტურის აკად-ის ინ-ტისას), არამედ მეცნ. აკად-ის ისტორიის ინსტიტუტის ორ-ტომეულს: Учебник для ВУЗ-ов, 1939-1940. შდრ. ჯანაშიას შრომების ბიბლიოგრაფია, №№ 73-74 და 89-90.

8 საკავშირო აკადემიის პრეზიდენტის პოსტი 1936-1945 წწ. ეკირა აკად. ვ. ლ. კომაროვს.

9 აკად. ბ. დ. გრეკოვი (1882-1955), საბჭ. რუსეთის ისტორიკოსი.

აღიზარა ჯაპონიძე

ალიშერ ნავოის მსოფლმხედველობის გაგებისათვის

აღმოსავლური პოეზიის რჩეულ თანავარსკვლავედს ამშვენებს საოცრად კოლორიტული და შთამბეჭდავი ფიგურა — ალიშერ ნავოი, (1441-1501), რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო უზბეკურ და საერთოდ, თურქულენოვან ლიტერატურაზე, არამედ მთელ აღმოსავლურ პოეტურ აზროვნებაზეც. გამჭრიახი და მარჯვე პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე და ემირი-ემირი, აღზვევებული ფერადი და განკიდევანებული სუფი-დერვიში, ზეგარდ-ში ნიჭით ცხებული პოეტი და დახვეწილი გემოვნებით აღჭურვილი ლიტერატურათმცოდნე, პოეტიკის დაუღალავი შეკვლევარი და საქმიან დინჯი ენათმეცნიერი, მთელგომელი ისტორიკოსი და გონიერი ფილოსოფოსი, ფერწერისა და მუსიკის მოტრფიალე და კარგი მცოდნე — ასეთად გვესახება საუკუნეთა მიღმა ალიშერ ნავოის ისტორიული სახე.

როცა ალიშერ ნავოი შემოქმედებით სარბიელზე გამოვიდა, მთელ მახლობელ აღმოსავლეთში სპარსული პოეტური სიტყვა ბატონობდა. იმდროინდელი ლიტერატურული ტრადიციები უგულვებელყოფდა ამ პოეტს, ვისაც სპარსულად ლექსის წერა არ ზღუდუნიდებოდა. ალიშერ ნავომაც ხარკი გაუღო თავის ეპოქას. მან ფაინს დასწავლია მთელი დიდი დივანი საემაოდ დახვეწილი და გამართული სპარსული ყაზალბისა. მაგრამ ალიშერ ნავოის დიდი დამსახურება თურქულენოვანი ლიტერატურისა და უზბეკი ხალხის წინაშე სწორედ ის არის, რომ მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა ზალთაიურ ენაზე (ძველ უზბეკურზე) სრულყოფილად ააღწერა კლასიკური ლექსი. პოეტმა თავისი სადა პოეტური ფერწერით და მუსიკალური ინტონაციით დაამტკიცა, რომ უზბეკურ ენაზეც შეიძლება ისევე თამამად პოეტიკის თვალსაზრისით სრულქმნილი ლექსების შექმნა, როგორც სპარსულზე. ყოველგვარი გადაჭარბების გარე-

შე შეიძლება ითქვას, რომ არ დაჩენილა შუა საუკუნეების არცერთი თურქულენოვანი პოეტი, რომელიც ალიშერ ნავოის შემოქმედების მეტნაკლებ გავლენას არ განიცდიდეს. ამიტომ სავსებით ბუნებრივად ეძიებს პოეტის ამჟამ განცხადება: „შე თვალსაზრისთ ვყავ სინატიფე და სამშეინიერე, სრულყოფილება და სიდიადე თურქული ენისა... შე ვგონებ, თურქულენოვანი სიტყვის ოსტატებს დავემტკიცე უღაღესი კემ-შარტება, რამაც მათ შეაცნობინა თავისი შრომ-ლიური ენის ნამდვილი ღირსება და ლექსიერი საგანძური და ამით თავი დააღწიეს სპარსულ ენაზე მოღვაწე პოეტების დამამცირებელ საუველურებს, რომელიც თურქული ენისადმი იყო მიმართული. თუკი მათთვის ესადა გახდა ეს შეუცნობელი სინამდვილე, რომელიც მე ჩემი შრომითა და მცდელობით აღმოვაჩინე, მაშინ საფიქრებელია, რომ ისინი კეთილად მომიგონებენ და დამლოცავენ, რათა მე სულს გაახარებენ...“

ალიშერ ნავოიმ მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მას ეკუთვნის ოცდაათამდე პოეტური თუ პრთხადული დიდტანიანი ნაწარმოები. ცხადია, ამ მცირე სტატიაში ზერეულადც ვერ შევჩერდებით ყოველ მათგანზე. ამიტომ დავკმაყოფილდებით პოეტის შემოქმედების ზოგიერთი ძირითადი მომენტის გადმოცემით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ პოეტის მდიდარ ლირიკულ მემკვიდრეობას, რომელიც წარმოადგენილია ზუსტი დივანის (ლექსების კრებულის) სახით, ამ კრებულთაგან ერთი სპარსულ, დანარჩენი ოთხი თურქულ (ძველ უზბეკურ) ენაზეა დაწერილი.

ძველთაგანვე ალიშერ ნავოის ლირიკის მკვლევარნი გაუთავებლად დიხავენ ერთი საკითხის ვარწმუნო. პოეტის ლირიკა რეალურია თუ მასტიკური, მასში ისახული სიყვარული

ადამიანურია თუ ღვთიური? მკვლევართა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ ნავთის პოვნაში რეალური სიყვარული წარმოიწილი და მის არავითარი კავშირი არა აქვს მისტიკურთან. მეორენი კი პირიქით — პოეტის სიყვარულს მთლიანად მისტიკური საბურველში ახვევენ. რაც აღნიშნულ საკითხს გეხებით, უპირველეს ყოვლისა, არ უნდა დაგვაიწყუდეს, რომ ალიშერ ნავთი თავისი ეპოქის შვილია და მისი შემოქმედებით რავაჯარობა ძირითადად განმარტებულია ამდროინდელი ლიტერატურული ტრადიციებით. ამიტომაც, პოეტის ლირიკაში დახატული ამჟღავნა და გრძნობათა ასპექტში მათა ურთიერთდამოკიდებულება სავსებით ექვემდებარება აღმოსავლეთში არსებულ სიყვარულს საზოგადოებრივ ინსტიტუტში უკვე დამკვიდრებულ წესებს და ინდივიდუალურ ხედვას მოყვლებულა. პოეტის ლირიკული განცდანი წინასწარ განსაზღვრული ყალიბით და ფორმით წარმოგვიდგება და თითქმის სავსებით დატყუილი სუბიექტური აღქმისაგან. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ძნელია ვეცხოვროთ მის პოეზიაში რაიმე ინდივიდუალური, რეალურ მომენტთან დაკავშირებული და ცხოვრებისეული სინამდვილით განპირობებული განცდათა პროექციული წარმოსახვა. საერთოდ, აღმოსავლურ პოეზიაში პოეტის საკუთარი მე და ინდივიდუალურია შტრიხები უნდა შევიფიქროთ პოეტურ ფერთა სპექტრსა და ფიგურებში, განცდის ამა თუ იმ მომენტის შეთხველთან დაყვანის თავისებურებაში და არა მის (განცდის) ლირიკულ მისაზრებაში. ხოლო რაც შეეხება ალიშერ ნავთის სიყვარულს პრობლემის ქველტერულ მხარეს, როგორც ქვემოთაღ დაინახავთ, იგი პოეტურად ორივე მომენტს მოიცავს: მისტიკურსაც და რეალურსაც, რომელთა პოზიტიური ხორცშესხმა სავსებით ერთნაირ ტონსა და ფერებში ხდება. ზედა აზრით, ზემოთ წამოჭრილი საკითხის დასა საერთოდ არ არის მართებული. ჯერ ერთი ამიტომ, რომ ალიშერ ნავთის პოეტური ხილით წარმოიწილი ლირიკული განცდა თავისთავად არ არის რეალური, ადამიანური გრძნობის ბუნებრივობას მოყვლებულია, ხელოვნების რანგშია აყვანილი და ინდივიდუალური ხედვა და მისი პროექციული წარმოსახვა არ ახასიათებს, რაც უკვე დასაბამიდანვე საკითხის ასე დაყვანებს იგნორირებს. მეორეც, მისტიკური სიყვარული თავის განვითარებაში რეალურ მომენტსა შეიცავს და მისი (მისტიკური სიყვარულის) ამა თუ იმ პოეტის მსოფლმხედველობაში წარმოდგენა როდი ნიშნავს იმას, რომ ამ მწერლის სიყვარულის არსის გააზრებას რეალურ განცდასთან და ქვემარტივად იამიანურ გრძნობასთან არავითარი კავშირი არა აქვს! უფრო მეტიც შეიძლება ითქვას, მისტიკური სიყვარული მიწიერ სიყვარულს არ გამოირჩევა და მის თავისი განვითარების პირველ საფეხურად იაზრებს,

რაც აგრეთვე მისტიკური და რეალური სიყვარულის საწინააღმდეგო და სამიზნისპირა სფეროში განხილვის უგულებელყოფს. და, მართლმ, ლირიკული წარმოსახვის ერთგვარობება არავითარი საშუალებას არ გვაძლევს ამ გრძნობის გააზრების ორ სამიზნისპირა ფაზაზე ვილაპარაკოთ, მართალია, ნავთის ზოგიერთ ეპიკურსა და ყითაში გამოქვეყნის ინდივიდუალურ-სუბიექტური პოეტური აღქმა და წარმოსახვა, მაგრამ ეს ზღვაში წყეთია და საერთო სურათს ვერ ცვლის. ალიშერ ნავთის აღქმის ობიექტი ამდროინდელი ესთეტიკური პრინციპებით გამოქმნილი ლამაზის ზოგადი სახეა, რომელიც არ განსხვავდება სხვა იდოსავლელ პოეტთა ტრფობის ობიექტისაგან და მისი აღქმა ზღვა მტკიცედ განსაზღვრული კანონითა, რაც განაპირობა შუა საუკუნეების აღმოსავლურმა ლიტერატურულმა ტრადიციამ. პოეტის შემოქმედებაში წარმოსახული ლირიკული ხატოვანი სახე ზოგადად უფრო ესთეტიკის ობიექტია, ვიდრე გრძნობის აღმკვეთი მიზეზი და მასთან დაკავშირებული განცდა უფრო ესთეტიკურ სფეროში განიხილება, ვიდრე ესთეტიკურ-გრძნობად ასპექტში.

საერთოდ სიყვარულის პრობლემის მოაზრების ალიშერ ნავთის შემოქმედებაში ცენტრალური იდვილი უქირავს. იგი არის პოეტის მსოფლმხედველობის, საძირკური, რომელზედაც აგებულია მისი ინტელექტუალური კვრეტის ქონჯურები. ნავთის რწმენით, სიყვარული არის მიზეზი ხილვადი სამყაროს განსხვულებისა, სხეულქმნის საგანთა და არსებთა პარმონაში მოყვანისა, კოსმითრ მოძრათათა გარდაქმნა-გარდასახვისა.

სიყვარულის დიდი გვარის ამჟამად ჩვენთვის საინტერესო სახეობის განხილვის დროს ალიშერ ნავთი პლატონის მსგავსად მისი (სიყვარულის) საფეხურებრივ განვითარების სურათს გვაძლევს.

პირველი სახეობა ან საფეხური არის ჩვეულებრივი მიწიერი სიყვარული, რომლითაც შეგურობილი კაცი, „სხეულს უფრო ეტრფის, ვიდრე სულს“. იგი მდაბალთა ხედაია. ნავთი წერს: „ეს სიყვარული ცნობლია და არსებობს უბრალო ხალხს შორის. ამბობენ რომ ამა და იმ კაცს შეუყვარდა ესა და ესაო. ბუნებრივად დაუფალობის გამო მის მოსდევს ხორციელი ვენება და სქესობრივი კავშირის სურვილი. ერთნი აღწევენ მას, მეორენი — ვერა. თუ ეს სიყვარული კეთილშობილურია და ქანმითელია, მაშინ შეყვარებულნი უნდა შეერთდნენ და ხალხში ეს მიღებულია და დაშვებული. თუ ას ქანმითელი არ არის, იგი დაკავშირებულია ვახრწმისა, უსიამოვნებასა და მწუხარებასთან და ისეთ ცუდ შედეგს ვამოიღებს, რომ მათი აღნიშნავი უხეობელია და არ ღირს.“

მეორე სახეობა, ანდა საფეხური სიყვარულის გააზრების, უფრო დაკავშირებულია, „საო-

ნობელისთან“ ვიდრე „ბიწთან“, ასეთი სიყვარული ამაღლებულია მიწიერზე, მის საფუძვლად არ უდევს ბრმა ფიზიკური გრძნობა და სქესობრივი ენებანი. მის ნაყოი „ჩრეულთა სიყვარული“ სახელით ნათლავს: „ეს ნიშნავს: წმინდა თვლით — წმინდა მტკა მიიპყრო წმინდა სახეს. ვანიცადო წმინდა გულის აღეღება ამ წმინდა სახის მწუხარებით და წმინდა გულით რეალური ობიექტის წმინდა სიყვარულით დატყბე“.

და, ბოლოს, მესამე სახეობა სიყვარულისა არის ზევე საფეხებით სრულყოფილი და ამაღლებული: აბსოლუტური მშვენიერების ჭკრება და მისი ხილვით ადამიანური „მე“-ს კოსმიური „მე“-დ ვარდამქცევა და თავის უსასრულობაში განფენა და გააზრება. ნათი ასე ვიფიქრებს სიყვარულის ან ვერას: „მე შენ ვიწოდებ მტრად ნათელი სარკე, რომელიც ასახავს სამყაროს... შენ ხარ მზე, მანათობელი სამყაროსი და სარკე, ასახველი ჭვეწისა. ვინც შენ განაქვტრებს, ის ნათლად შეიცივებს ცისა და დედამიწის არსს. როცა ადამიანი მოისურვებს შენ მოვგიბოლოს, მაშინ ის ყველგან და ყველადურში აღიქვამს თავის შეყვარებულს (დემონს)“. ხოლო ის, ვინც ამ სტადიამდე ამაღლებულია... „განსჭერებს მშვენიერების ყოველ საფეხურს, იზიარებს ზღაგას მიღწეული ანახლებულად იზიარებს გასაოცარ მშვენიერებას“. და „შეყვარებულის სიღამაზის უყვარი ხილვის ძალით მათი გრძნობა უტყვია, მათი აღფრთოვანება უსაზღვროა, დაწყებული წინაწარმეტყველი მოციქულებიდან და დამთავრებული რბიული ანგელოზებით არავის არ აქცევენ ისინი ყურადღებას, ვარდა თავისი მისწრაფების ობიექტისა და მთლიანად შეყვარებულის ჭკრებით აირიან შეგვირბობილი. მასთან შერწყმის ვაგლენით — მათი გულები მიიმინებულა. დაოკებულა და მთვრალა... საოცარი მშვენიერებით სასურველი ობიექტის თანმიმდევრობით გამოინებინს გამო — განციფრება მათ ორგანიზმში დაბუდებულია და შვერთების ღვინის გარდა, არავითარი სულიერი დამყაფილება არ არსებობს მისთვის ვარდა ჭეშმარიტების ჭკრებისა, არავითარი დამამშვიდებელი არ არის მათთვის და მათი გულებისათვის... მათ მიაღწიეს სიყვარულში შერწყმას, მათ მოაღოვეს დიდებულ გამოკვეთილ მყოფდრო სიყვარულს. მშველიდა ჰქონდეთ მათ!..“ ასეთ სიყვარულს ნათი უწოდებს „ერთგული ადამიანების სიყვარულს“. ის არის ჭეშმარიტი სიყვარული და უპიარისპირდება სხვა სახეობას სიყვარულისას, რომელიც „ალეგორიული“ ხასიათს ატარებს.

ამგვარად აღიშნარ ნათის მოსაზრებით, სიყვარულის რავგარობა სამ საფეხურად არის დიფერენცირებული. პირველი სახეობა, რომელსაც ბუნებრივი ადამიანური სიყვარული უდევს

საფუძვლად, როგორც აღვნიშნეთ, პოეტს უბრალო ხალხის ხედვად აქვს მიჩნეული მართალია, ნათი ასეთი სიყვარულიც მომხრე არ არის, მაგრამ იგი მის იაზრებს, როგორც ეკონომიკის ფიზიკური არსებობის აუცილებელ პირობას, პლატონის სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი ლტოლვა არის „ღვთაებრივი ატრი... როგორც უყვადვი საწყისის გამოვლენისა მოკვდავ არსებებაში“.

მაგრამ, რადგანაც სიყვარული არის „სურვილი სიციეთის მარადიული ფლობისა“, ხოლო „მარადიული სიციეთ“ მოკვდავ სხეულს ვერ ეგუება და იგი ეპიფორენტურია უყვადვი სეულის სისპეტაკისა, ადამიანი მშვენიერი სხეულს ჭკრებიდან, რომელიც ეინს აღძრავს მასში, უნდა ამაღლდეს პარმონიაში მოსულ სპეტაკ სულთა აღმშენი გამოწვეულ ემოციამდე, სხვათაგანა რომ ვთქვათ, ეს არის მშვენიერების ჭკრება მარადიულ ასპექტში წარმოდგენილი, კონკრეტულ აღქმიდან ზოგად იდეალში გადახარდილი, ნათის სიყვარულის ევოლუციური განვითარების მეორე საფეხური ე. წ. „ჩრეულთა სიყვარული“, დაახლოებით შეგვცნების ამ სტადიამზეა მოაზრებულნი: პოეტი ეტრფის და აღიქვამს წმინდა ობიექტს, რომელიც მასში აღძრავს წმინდა ემოციურ განცდებს, ყოველგვარ ბრმა ფიზიკურ გრძნობათა და ვნებათაგან განწმენილს. ეს არის დანტესებური ამაღლება და ვამიგვნა მიწიერ-ხორციელი სიყვარულსაგან, მაგრამ იგი მთლად არ არის მოკლებული რეალურად არსებულ ობიექტს, რომელიც ამ ეთიარებაში კონკრეტულ გაგებას კარგავს და ზოგად რეალებში წარმოსახული ესთეტიკური განცდის მიზნად გვევლინება.

პოეტი, არ უგულვებელყოფს მიწიერ ადამიანურ სიყვარულს, რომელიც მის მიიჩნია სიყვარულის განვითარების ერთერთ უცილობელ ეტაპად. ნათი წერს: „შეყვარებული მიწიერი სიყვარულის საშუალებით პოელომს გზას ჭეშმარიტი სიყვარულსაყენ, რომელიც სასარგებლო არის სწორედ მისი (მიწიერი სიყვარულის) წვალობით. შეყვარებული უნდა ორივე სიყვარულს ჩაწედე და ორივეთი ალიცხოს (განმისქვალოს)“.

ბუნებრივია, სიყვარულის ეს სამივე სახეობა თავისებურ გამოხატულებას და ასახავს პოეებდა ნათის ლირიკაში. მაგრამ პოეტისავე განცხადებით, იგი თავის პოეტურ ხილვებში მართადად წარმოიჩენს სიყვარულის მეორე სახეობას, ე. ი. „ჩრეულთა სიყვარულს“, რომელიც შინაგანად ესიტყვება მის პოეტურ ბუნებას და ეთიყურ-მოჩალურ მრწამსს, აღიშნარ ნათის ეს განცხადება, მის პოეტურ ხილვათა პოზიტიური მხარე და, თუ გნებავთ, ქვეთი-ტური ანალიზი ვკადლებს უფლებას, რომ სორათოდ მისი ლირიკული ნახტვეი, უმეტეს შემთხვევაში მაინც, ესთეტიკურ სიბრტყეზე განვიხილოთ.

ასეთ ვითარებაში ჩვენ გვანტერესებს და გვხებლავს არა ნავთის ლირიკაში არსებული სიუვერალის ადამიანური მზარებები და ბუნებრივობა, როგორც ეს არა მართებულად და არა ობიექტურად წინა პლანზე წარმოაჩინა ზოგიერთმა მკვლევარმა, არამედ მისი (ლირიკის) ემოციური დატვირთვის მავნებელი ძალა, რასაც ასახრავებს უაღრესად დახვეწილი პოეტური გემოვნება, მდიდარი, რაფინირებული მეტყველობა ახარონება, პოეტურ სახეთა შეხამებული დეკორატიულობა და ზშირად განცდის ამა თუ იმ მომენტის გადმოცემის უშეღობა, რომელსაც აპირობებს, აღბათ, ის გარემოება, რომ ნავთის აღქმის ობიექტი ძირითადად არის ადამიანი, ღმერთად შექცეული, ანდა, პირიქით, — ღმერთი ანთროპომორფული.

ალიშერ ნავთად დამაჯერებელი სიტყვა თქვა მუსნევის სფეროშიც. მან ზალათარ ენაზე შექმნა ხამსე (ხუთეული) და ამით სათავე დაუდო ამ სახის ნაწარმოებს თურქულენოვან ლიტერატურაში, პოეტის ეს ხუთი პოემა ცნობილი აღმოსავლელი პოეტების ნიხამისა და ამირ ხოსროის ხამსეს ნახიზეს (მეზაბეს, მასლხის გაცემას) წარმოადგენს. ეს უზარმაზარი ნაწარმოები — ხამსე, ხუთ პოემას აგრეთიანებს: 1) წმინდანთა შეძრწუნება, 2) ლეილ მაქნუნინანი, 3) ფარხადი და შირინი, 4) შეიდი შთიები, 5) ისკანდრის ზღუდე. ამ პოემების ამავეი თემა და ლექსის ზომა წინაწარ განსაზღვრული იყო. ლიტერატურული ტრადიციით ნავთი ყოველზე ამას თავის წინამორბედს უნდა დასესხებოდა. მაგრამ ეს როდი გვაძლევს იმის უფლებას, რომ პოეტის ხამსე თარგმანად მივიჩნიოთ. დღეს უკვე იდარჯის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ალიშერ ნავთის ზეითული საესებით ორიგინალური ნაწარმოებია, ძირითად საეთობთა მოსახრებით და გადაწყვეტით, სუბიექტური ხედვითა და შეშეცნებით, პოეტური წარმოსახვით და განსხეულებით — მას თითქმის არავითარი საერთო არა აქვს თავის წინამორბედთან. ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში საქმალად დამაჯერებლად ითქვა და აქ აღარ შეგნარდებთ. ალიშერ ნავთის ეს ზეითეული ამ სფეროში შექმნილ საუკეთესო ქმნილებათა შორის საუკეთესოა. ის დღესაც გვხებლავს მდიდარი პოეტური ანექტეპტორიკით, წამოჭრილ საეთობთა საინტერესო ხედვით, მოქმედებათა განეთარებების დინამიკობით, და, რაც მთავარია, უაღრესად პროგრესულ და ჰუმანურ აზრთა სიმდიდრით, ალბათ, ამიტომაც აღმოსავლური პოეზიის საუკეთესო მკლდე და დიდი პოეტი აბდოარ რამ-მან ჯამი თავისი მოწაფის ამ ნახელებად ასეთ შეფასებას აძლევდა: „ეს ლექსები რომ სპარსულ ენაზე იყოს დაწერილი, შეუძლებელი იქნებოდა კიდევ ლექსის შეთხზვა. ამ სათქარი პოეტური ქმნილების გვერდით, ვინ არის ნიხამი, რა სახსენებელია ზოსროეი...“

ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ ნავთას

მრავალწახანავთანი შემოქმედების ცალკეულ მხარეზე და შევედებით მოკლედ წარმოვადგინოთ მისი ფილოსოფიური განაწიის ჩრტიგრის კონტური. მაგრამ ვიდრე ძირითად საეთობს შევხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა ორიენტალისტების უმეტესობა ან საესებთ უკულომეცლეთის ნავთის მსოფლმხედველობაში სუფობის ნიშანს, ან არადა ღმობილთ უვლას ამ საეთობს გვერდს. ჩვენი აზრით, პოეტის მსოფლმხედველობის ქვეთობედს სუფიური იდეოლოგია უღვეს საფუძვლად, დავიწყოთ თუნდაც იმ ფაქტის აღნიშვნით, რომ 1476 წელს ნავთი ოფიციალურად შევიდა სუფიურ ორდენში „ნაიშენდში“ და თავის სულიერ წინამდგრად აბდოარ რამ-მან ჯამი აღიარა. შემდეგ კი წარმოვადგინოთ ის დებულებანი, რომლებიც ზოგიერთი მკვლევარის აზრით უარყოფენ პოეტის სუფიობას, სინამდვილეში კი აწკარად მოწმობდ მის სუფიურ მსოფლმხედველობაზე.

ალიშერ ნავთის ფილოსოფიური მოაზრებით, სამუაროს შემოქმედი არის ერთადერთი ჰუმორიად არსებული, დამბოლოებელი, ღმერთი, რომელიც ყოველთვის საფუძვლად დებულა, ყოველთვის თავის თავში მომცეული და ყოველზე ქმედების მიხზუთა მიხზუთა.

„შენ ხარ — საწყისი, შეა და დასასრული; ყოველივეს შემოქმედი შენ ხარ, ყოველივეში შენ ხარ ფენილი.“

ღმერთი არსებობს სივრცისა და დროის ყოველგვარი ჩარჩობის მიღმა. ის უვამო ევამო და ზეშუა არსებია, რომელიც „მნელსა შინა-უფლობს. მას არა აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული. ღმერთი ერთადერთია სრულყოფილი და აბსოლუტური ჰუმორიტება, რომელიც თავის არსში შოიციავს თავისსავე სრულქმნილ სილამაზეს და ეს ჰუმორიტი სიმშვენიერი გამბლარა მისივე ჰვარტისა და აღქმის ობიექტად, აბსოლუტური მშვენიერება თავისსავე მშვენიერებას ჰვარტდა და ის იყო ერთი მთლიანი და ერთადერთობა. „შენ (ღმერთო) არ გქონდა დასაწყისი და არ გქმნება დასასრულიც — წერს ნავთი — ეს სამუარო შთენილი იყო შენში და გაუჩინარებულ... არსობას ზღვა მშვიდად და უშფოთველად განისვენებდა, არსებობდი მხოლოდ შენ ერთადერთი და არსებობდა სხვა. შენი სილამაზე განფენილი იყო შენავე, ციური სარკე იყო შენი სილამაზის მიხედვითი ფონი, სადაც წარმოსახვად ციური ხარედი. შენ იყავი მშვილელი და შენვე მშენი მოთხილავდი შენს მშვენიერებას და არ იყო მრავალი სხვა ერთის ვარეშე.“

მაგრამ „თავით თვისით თავსა შინა“ სრული არის მარადიული ქმნადობა, რომელიც არის ამოუწურავ შესაძლებლობათა ზღვა, საიდანაც იღრება და განედინება ღეთიური სხევი ის,

რომ არც რაი აკლდება მას „უზმთავის“ ერთი მთლიანია, რომელსაც შესწევს უნარი თავისი თავის მხარდ გამოჩინებისა კონკრეტულსა და ცალკეულში, რომელიც ამავე დროს ერთი მთლიანისაგან განუყოფელია. ერთადერთ კემ-მარიტად არსებულს აღეჭრა სურვილი თავის ამოღწერას მშვენიერებათა უწყვეტ ნაქადლ ვანუფრისა და განსხვებისა, რათა შექმნა სარკე, სადაც თავის მშვენიერებას აღიქვამდა. დაუბოლოებელი თავისივე ნებით ქმნის მისი მშვენიერების „გარე“ თბიერებას — „თავისივე სხვა“, რომელიც ერთდამავე დროს არის აგრეთვე მჭვრეტელი სტრუქტურა და აღმქმელი მისი (აბსოლუტური მშვენიერებისა). პირველშივე იწყებს თავისი მშვენიერების ემანაციას „რად-გან შენს სილამაზის გამოჩინებას არა აქვს ზღვარი, მას დასჭირდა ურთიბევი რაოდენობა სარკისა...“ იქმნება განათებულ სამყარო, რომელშიც მრავალი ცალკეული ნივთიერული და ინდივიდუალური გამოჩინებული არის. მაგრამ რას წარმოადგენს ეს კონკრეტული, სხეულქმნილი ფენომენი? ის არის ერთადერთი კემ-მარიტად არსებულის პოზიტიური „სხვა“, რომელიც მტკავრისკურ სიღრმეში მისი იგვეგობრივია და მისთან რელატიური ერთობით არის გასხვიონებელი. მამასადავ, განვითარებულ სამყარო ღმერთის გამოსხივება, მისი „წინა-გამომავლობა“. ამ შიზანობამ ლოგიკურად განამართა ცნობილი თეზა: თვითსრული „ყოველთა შორის ყოველ არსს“ და ყოველივეს „ადაცვებს თავისისა სრულებისაგან“. პლატონისმისა და სუფიზმის ამ ცნობილ პანთეისტურ დებულებას არაერთხელ ვხვდებით ნავთის ნაზრევში, „არსებობ მხოლოდ შენ (ღმერთო), შენს გარდა არაფერი არ არსებობს. თუკი რა-მე არსებობს, ის მხოლოდ შენ ხარ...“ ანუ ვერად, ნავთის რწმენით, განვითარებული სამყარო არის აბსოლუტური მშვენიერების იგვეგობრივი „სხვა“, აბსოლუტური კემ-მარიტება თავის სრულყოფილ მშვენიერებას განაფენს ნალო-ვანში (კონკრეტულში), რომელიც, მართალია, აბსოლუტურთან შედარებით დაღმავალი ხარისხით არის წარმოდგენილი, მაგრამ მაინც იგი საფუძვალდებულის „განუყოფელი ნაწილი“ და მათთან რელატიურ კავშირს ამყარებს. ამდენად სრულქმნილი სამყარო აბსოლუტური მშვენიერების წილნაყარია და თავად ასე მშვენიერი და კეთილია. ერთი სიტყვით, სუფიური გაგებით ხელუფლი სამყარო აბსოლუტური მშვენიერების „საჩინო ხატია“. აღნიშნული ნავთის შემეცნებაჲ ამ გზით ვითარდება, რადგან სამყაროში ჩაენილი ცალკეული თვითსრულის მშვენიერებით არის აღესილი, უპირველეს ყოვლისა, ესთეტურობისა და მშვენიერების აღქმის ობიექტი სწორედ ეს განვითარებული, ხელუფლი სამყარო გახლავთ: „ვისაც კი ხედვის უნარი აქვს, როცა აღიქვამს კემ-მარიტებას — წერს ნავთი — შეიკნობს, რომ ამ ყოფიერებაში — ყვე-

ვილნარში ყოველი აყვავებული ბაღ გულს სიცოცხლესა და სიხარულს ანიჭებს... ამ ხელუფლში კემ-მარიტებამ გამაღა და ურცხლო ჰყო თავისი სიდიადე და თავისი სილამაზე განფინა და წარმოაჩინა ზღვარუღებელ სამყაროს ფირგლებში...

ღმერთი არის შემოქმედით და ამავე დროს მთავარიც და მხეც. არა მხოლოდ მთავარად და მხეც, იგი არის მთელი სამყარო, ამგვარად, ზღვა გაუჩინარდა ყოველ წვეთში. უსასრულო სიერ-ცემი წარმოდგინდა დედამიწა... ეინც ისწრაფვის იბილოს სრულყოფილი მშვენიერება, განა იმოვის მასზე (ქვეყანაზე) მშვენიერა? ვისაც სურს მოიპოვოს მშვენიერა და საუცხოო, უნდა იცოდეს, რომ მიზანი თვითონ მასშია გახფენილი და რასაც ეძებს, თავისივე თავში იხილავს...

ამ საკითხის შიზანობაში ნავთი ამყარებს რამერიტო კავშირს ნეოპლატონისტობთან (შეადარეთ პლოტინი, ენეიდ: 11, 9, 8). თავის დროისათვის უიღრესად პროგრესულ პოზიციანზე დგება და საყოველთაოდ აღიარებს განვითარებული სამყაროს სიმშვენიერეს და მას თავისა შემეცნების ძირითად ობიექტად მიიჩნევს, რადგან ბუნების მშვენიერება აბსოლუტური მშვენიერების წილნაყარია, იგი წარმოგვიდგება „ზეშთავადარეული სიდიადითა“ და პირველ-პირებიდან „სხუთობაში მოქცეული“, მაინც მისი (პირველშივე) დაბა. ამიტომ, ამაღი-ანს თუ შესწევს უნარი, კემ-მარიტ სიერულ-ლამდე ამსლენისა, ის ყველაფერსა და ყოველივეში ღმერთის სიდიადეს დაინახავს: „სათიაც არ უნდა გაიხედოს კაცმა, ყველგან შეიცნობს, თუ როგორ ბრწყინავს მეგობრის (ღმერთის) სილამაზე, როცა იგი ირგვლივ მოიპოილავს — ყველგან აღიქვამს თავის სილამაზეს...“

სამყაროს ასეთ ესთეტიკურ კატეგორიან წარმოდგენამ განამართა ის, რომ პოეტისათვის ამქვეყნიური სიცოცხლე როდეს წარმოადგენს მხოლოდ „ყველსათვის და ყოველთვის ერთადერთსა და უცვლელ აუცილებლობას“, როგორც ეს პლატონის „ფედონში“ აზრსხმული, ანდა ამქვეყნიად არსებობა კი არ არის გე-მართლებული ცნობილი მისტიკური მოძღვრებით, რომელიც ასე ელერს: „მართალია ამ ქვეყნიად თვითული ჩვეთაგანი დღღეშმა გემოკეტლი, არ უნდა გეცადოთ ამ დღღევიდინ გაქცევისა და თავის დაღწევისა“, არაჲდ ის (ამქვეყნიური სიცოცხლე) არის უიღრესად დიდი ესთეტიკური ტრფობის და სიამოვნების განცდის მიზეზი. ადამიანის არსებობის ძირითადი მიზანი და არსია... ამ თეზის ნავთის შემოქმედებაში არა ერთხელ ვხვდებით:

„მშვენიერია სამყაროს ბაღის ვარდი,
მაგრამ უფრო მშვენიერია სიცოცხლის
ვარდი.“

„ყოველგვარი სიყვარული, ვისდამაც არ უნდა იყოს მიმართული, არ შეიძლება უფრო ფასეული იყოს ვიდრე შენი.
ამიტომაც მე უფრო მეტად მიყვარხარ, რა, ძვირფასო სიცოცხლე, შენ და სხვ.“

ალმშერ ნავთის ეს დებულება, რომელიც ძირითადად მის პანთეისტურ ხედვაზე არის აგებული, რა თქმა უნდა, ადამიანის საზოგადოებრივი ყოფით, პირად ცხოვრებითელ მომენტთა გადაპარებით და ყოველდღიური ადამიანური თვალთახედვითაც არის აღმოცენებული და მთარბებული, რასაც უპირისპირად დიდი მნიშვნელობა ქმნიდა თავის დროისათვის.

ადამიანი არის მთავარი მიზეზი და მიზანი სამყაროს შექმნისა. მხოლოდ მას შესწევს უნარი მოიხილოს და განსჭვრიტოს პირველმიზეზი და ევოლუციური განვითარებით აშლდეს კემშიარტი სიყვარულის სტიდიამდე, რაც მას საშუალებას მისცემს აღიქვას თავისი პირველადი და კემშიარტად ერთადერთი არსობა. ნავთის წერს:

„თავის მოწყალეობით შექმნა მან (ღმერთმა) სამყარო, სამყაროს ქმნილებათაგან ყველაზე სასურველი იყო ადამიანი, კემშიარტად ძირითადი მიზანი — ადამიანი, სამყარო კი ფარდობითაა, ყველაფერი ის, რაც არ არის სამყარო — ისიც. ფარდობითია.“

პოეტის ამ თეზას მის შემოქმედებაში არა ერთგვის ვხვდებით: „ცა და ყოველივე, რაც ქვეყანაზე არს, მჭწა და ყველაფერი, რაც დედამიწაზე არს, ყველა ქვეყანა და მათში არსებული ყოველივე... ყოველგვ საუკეთესო შექმნილია ადამიანის გამო, ადამიანისათვის და ადამიანის კეთილდღეობის საწინდრად...“
ალიშერ ნავთის აზრით, სამყარო და სამყაროში გამოჩინებული უსულო საგნები თუ სულერი არსებანი ზორსხმული არიან ელემენტებისაგან, რომლებიც უძირფსესი და მალალი ღირსებული აღტრებიან მატერიალურ-მოადგენენ. მაგრამ ღმერთმა „მზივი ადამიანი შექმნა ყველაზე ღირსეულად“. უფრო მეტიც, ნავთის უკიდურესი პანთეიზმი გვაძლევს უფლებას, ვილაპარაკოთ ღმერთისა და ადამიანის რელატურ ერთობასა და იგივეობაზე. პოეტი-სათვის აბსოლუტური იდეა კონკრეტულში ცნაობდება. ხდება ადამიანის გაღმერთება, თუ, პირიქით, ღმერთის გაადამიანება. „ნუ ეძებთ სრულყოფილ ღმერთს კონკრეტული სამყაროს მიღმა — მსუალობს იგი — თუ თქვენ კემშიარტად გიყვართ ღმერთი და გსურთ მის მოწყობას ეწიოთ, დაფასეთ და გიყვარდეთ ადამიანი, რადგან ის არის გამოჩინება, ამავე

ღრის სრული და უნაკლო გამოჩინება ღმერთისა“.

1944 წლის 2 აგვისტოს, ესე იგი ჩრდილო საფარვანში მეორე ფრონტის გახსნიდან თითქმის ორი თვის შემდეგ, თურქეთის მთავრობამ განაცხადა გერმანიისთან დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. საინტერესოა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში, ინგლისელები და ამერიკელები, მიუხედავად თეირანში ჩერჩილის მიერ მოცემული ვალდებულებისა შეეწყვიტათ ყოველგვარი საქმეები თურქეთთან. თქვი იგი უარს იტყოდა ომში ჩაბმულ, განავრცობდნენ მის მომხრეებს იარაღით, თუმცა თურქეთის არმია უმოქმედოდ იყო და ანკარას არაფერი არ გაუკეთებია, რათა ერთი დღით შინაც დაეახლოვებინა პიტერული გერმანიის გამარჯვება. ამ პირობებში იყო სადუმებელი გვეფიქრა, რომ ჩერჩილი, რომელსაც შინაც ჰქონდა იმედი, დაესწრო წითელი არმიისათვის ბალკანეთში, სინამდვილეში არც ისე დანიტრესებული იყო ომში თურქეთის „ნადრეველ“ ჩაბმულსა. იგი ვარაუდობდა, ჩემი მილონიანი ზეწოლებებით არმია შესაძლოა, გამოძაღვეს მოგვიანებით, ბალკანეთის ოპერაციებისათვისო. მაგრამ ეს გეგმები არ განხორციელდა. საბ-

ჭოთა ჯარები სწრაფად მოაწვედნენ დასავლეთისაკენ და თურქეთის პოლიტიკოსებზე შეშინდნენ, ვაითუ დავიგვიანოთ, ვერაფერს მოვუძღვროთ და პირში ჩაღა გამოვლებული დავრჩეთო.

1945 წლის 23 თებერვალს თურქეთში, ბოლოს და ბოლოს, გამოუცხადა ომი გერმანიას და იაპონიას. ამ დროისათვის უკვე განთავისუფლებული იყო ბულგარეთი, რუმინეთი, იუგოსლავია და ფრონტმა თურქეთის საზღვრებიდან ათასი კილომეტრით გადაინაცვლა თურქეთის არმიის უკვე აღარსად შექმლო მტრთან ბრძოლა ევროპის ასპარეზზე. მითუმეტეს, არაფრად უღიარდა თურქეთს ომი გამოიკვებებინა იაპონიისათვის, რომელიც მისგან კიდევ უფრო შორს იყო, ვიდრე გერმანია.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პასან საიბი, რომელიც მექლისში თავისი მთავრობის გადაწყვეტილებას ასახულებდა ომში ჩაბმის თაობაზე, გულახდილად განაცხადა, რომ როგორც მას აცნობა ინგლისის ელჩმა, 1945 წლის 1 მარტამდე თურქეთის მიერ ომის გამოცხადება, თურქეთის მთავრობის ნებას მიესცემდა მონაწილეობა მიეღო გაერთიანებული ერების პირველ კონფერენციაზე სან-ფრანცისკოში.

სადღიობო ღვეზილი

საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე, რომელიც მოაწყო 30 ნოემბერს ინგლისის საელჩოში ჩერჩილის დახადების დღის გამო (მას 69 წელი შეუსრულდა), სტუმრებმა საღამოს რვა საათის შემდეგ იწყეს შეკრება. სტალინს მარშლის საპარადო ფორმა ეცვა. მასთან ერთად მოვიდნენ: მოლოტოვი, ვოროშილოვი და თარჯიმნები. სტალინი მიესალმა ჩერჩილს და შიაროვა კრაველის ქუდი და ფაფურის დიდი სეულტურული ჯვარი, რუსული ზღაპრების თემაზე. რუსულს ფრაზი ეცვა: ხელში გვირა თავისი სადღიობო საჩუქრები: უძველესი სპარსული ფილა და ისპანანის ხალიჩა.

სტუმრები შემოდინდნენ საღამოსო კართი, რომლის ორსავე მხარეს უსიტყვოდ გაშვებულყვენ უზარმაზარი დოღბანდიანი წვეროსანი ინდოელი ქარისკაცები.

ცხელი დღე იყო, მაგრამ საღამოს უძველესი პარკიდან სასიამოვნო წიავე დაღებრა. სასტუმრო ოთახში შეიკრბა ბრწყინვალე საზოგადოება: სამხედროები კობტად იყვნენ გამოწყობილნი ოქრომკვდილ ნაქარგ მუნღირებში, დიპლომატებს ეცვით ფრაკები, გაქაოტებულა ველისპირებით კონკურენციას უწყიდნენ სამხედროებს. ამ კომპანიამ ერთადერთი ქალი იყო, ჩერჩილის ქალიშვილი სარა

ჩერჩილი-ოლივერი. იგი იღვა სახეგაბარწყინებული იუბილარის გვერდით და მასთან ერთად თავს უჯრავდა ყოველ მისალმებასა და მოლოცვაზე.

თავად მიზგი ამ დღესასწაულისა მზიარულად იღიმებოდა და ორთქლმავალივით ამოულედა სიგარას.

მალე ვველანი სასტუმრო ოთახიდან სასადილო ოთახში გავიდნენ, სადაც იღვა ყოველგვარი სანოვაგიო გაწყობილი გრძელი მაგიდები, მთავარ მაგიდაზე აღმართულიყო უზარმაზარი სადღიობო ღვეზელი 69 ანთიბელი სანთლით.

პირველი სადღეგრძელო სტალინმა წარმოთქვა:

— გაუმარჯოს ჩემს მეტბოლ მეგობარს ჩერჩილს!

მივიდა იუბილართან, ჰქვი ჰქვის მიუკახუნა, მხარზე ხელი მოხვია და ხელი ჩამოართვა. როდესაც ყველამ შესვა სადღეგრძელო, სტალინმა იმავე სიტყვებით მიმართა შეერთებულ შტატების პრეზიდენტს:

— გაუმარჯოს ჩემს მეტბოლ მეგობარს რუზველტს!

განვიორდა ჰქიების მიჯახუნებისა და ხელისამართამევის იგივე პროცედურა. ჩერ-

ჩილმა გადაწყვიტა არ ჩამორჩენილყო, მაგრამ რამდენადმე განასხვავა თავისი მიმართება მან წარმოთქვა:

— გაუმარჯოს ძლიერაშინს სტალინს! გაუმარჯოს ჩემს მეგობარს პრეზიდენტ რუზველტს!

ამის შემდეგ რუზველტმა მიმართა ჩერჩილს და სტალინს და თქვა:

— გაუმარჯოს ჩვენი ერთობას ბრძოლასა და მშვიდობაში...

ჩერჩილს მოეწონა რუსული ჩვეულება სადღეგრძელოების წარმოთქმისა, ამერიკელებმაც მხარი დაუჭირეს. ასე რომ სტუტგერტში უმოთვრესად დრო ფეხზე დგომში გაიტარეს, რადგან სადღეგრძელოები ერთმეთორეს მოსდევდა, ყოველი სიტყვის მერე კი თავიანთ აზრებს მიხედვით დაგვიხდნენ. ამასთანავე ჩერჩილმა გადაიღო სტალინის მანერა, მისულიყო ყველასთან, ვისი სადღეგრძელოც შესემოდა. პიქით ხელში, აუჩქარებლად მიმოდიოდნენ ოთახში. ყველანი კარგ გუნებაზე იყვნენ. დარბაზში დაცხა და ხმაური გაძლიერდა.

სადღეგრძელოებში, როგორი უფერულიც არ უნდა ყოფილიყო იგი, თეირანის შეხვედრის ყოველი მონაწილე თითქმის ცდლობდა გამოეთქვა თავისი განსაკუთრებული აზრი.

ესე როგორც კონფერენციის სამუშაო დარბაზში, რუზველტმა აქაც საჭიროდ ჩათვალა მოეგონებინა ომისმეზღვრში მშვიდობის შესახებ; დიდი სახელმწიფოების მიერ უპრობისა და თანამშრომლობის შენარჩუნების მნიშვნელობის შესახებ, არა მარტო ომში, არამედ მომავალშიც. აქ, ჩერჩილის სადღეობო მაგიდასთან, გვეჩვენებოდა, რომ საერთო მტერზე ბრძოლისა და გამარჯვების ამოცანებში, რომლებშიც ეს ადამიანები ამ გამძვინვარებული ომის დროს ირანის დედაქალაქში მიიყვანა, როგორღაც ახალი ატმოსფერო შექმნეს რთვორც ერთმანეთის, ისე მათ სახელმწიფოებს შორის. გვეჩვენებოდა, რომ აქ, ამ დარბაზში, შეიკრიბა ერთი დიდი ოჯახი, რომელიც არასოდეს დაიშლებოდა. მაგრამ ეს შეგარძნება დიდხანს არ გაგრძელდებოდა. იგი მალე დაარღვრა ინგლისის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა ილან ბაკემ.

გვიანში, სადღეგრძელოს წარმოთქმა მინდაო,—ჩვეულებრივ ყოველი მათგანი ასეთ შემთხვევაში დანით ქიპაზე აკეცივნიდა—ბრუკი

წამოდგა და დიწყო მსჯელობა იმის შესახებ, თუ მოკავშირეთაგან რომელი უფრო დასაჩაღდა ამ ომში. იგი ამტკიცებდა უფროდსი მსხვერპლი ვანიცადეს ინგლისელებმა, შერი დანაჯარე უფრო მეტია, ვიდრე რომელიმე სხვა ხალხისაო და ინგლისი სხვაზე მეტხანს აბრძოდა და ყველაზე მეტი ვაჟეთა გამარჯვებისათვისო.

დარბაზში უხერხული დემილი გამეფდა. ბერმა, ჩასაკვირველია, იგრანო გენერალ ბრუკის უტაბტო გამოსვლა, განსაკუთრებით ამ მომენტში, როდესაც როგორც ყველამ იცოდა, პიტლერელთა ჯარების ძირითადი მასა მიჯაჭვული იყო სამკოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, როდესაც წითელი არმია უდიდესი მსხვერპლისა და ძალ-ღონის ფასად ნაბიჯ-ნაბიჯ ათავისუფლებდა ოკუპანტებისაგან სამკოთა ტერიტორიას, პიტლერელმა მთლიანად ნაყარ-ტრტად რომ აქციეს. სტალინი მოილუშა. იმწამვე წამოდგა და შაკერი შერა მოავლო ყველას. გვეგონებოდათ, სადაცაა ქარბუქი ამოვარდებო. მაგრამ მან შეძლო თავის შეკვება და წყნარად წარმოთქვა:

— მინდა მოგახსენოთ იმის შესახებ, თუ სამკოთა მხარის აზრით, რა ვაჟეთა გამარჯვებისათვის პრეზიდენტმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ამ ომში მთავარია—მანქანები. შეერთებულმა შტატებმა დაგვიმტკიცა, რომ მათ შეუძლიათ დაამზადონ თვეში მ-დან 10 ათასამდე თვითმფრინავი. ინგლისი ამზადებს ყოველთვიურად 3 ათას თვითმფრინავს, უმოთვრესად, მძიმე ბომბდაპშენებს, მანოსადამე, შეერთებული შტატები მანქანების ქვეყანაა. უნდ-ღონით მიღებული ეს მანქანები გვეხმარება ჩვენ ომის მოკვებაში. სწორედ ამის სადღეგრძელო მინდა შევსვა!

რუზველტმა იმწამვე უბასუხა:

— მე დიდად ვაფასებ წითელი არმიის სიძლიერეს... სამკოთა ჯარები არა მარტო ამერიკისა და ინგლისის, არამედ ბრწყინვალე სამკოთა სამხედრო ტექნიკასაც იყენებენ. ახლა, როდესაც ჩვენ აქ ვლენსასწაულობთ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის დახადების დღეს, წითელი არმია განაგრძობს ნაციისტური ურდოების განადგურებას. წარმატებებისათვის მიეღწიოს სამკოთა იარაღს!

ინციდენტი ამოიწურა, მაგრამ საღამოს დასაწყისში გამეფებული ბუნებრიობის ატმოსფერო ვაქრა.

პოლონეთი და მისი საზღვრები

პოლონეთის პრობლემა დიწვრილებით იქნა განხილული კონფერენციის უკანასკნელ პლენარულ სესიონზე 1 დეკემბერს. ამ თემის პირველად რუზველტი შეეხო. მან იმედი გა-

მოთქვა, სამკოთა მთავრობა შეძლებს დიწყოს მოლაპარაკება და აღადგინოს თავისი ურთიერთობა ლონდონში მყოფ პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობასთან.

იმ დროს საბჭოთა კავშირს ჰქონდა ყოველგვარი საფუძველი, რათა უნდობლად მოკედლებოდა ამ ემიგრანტულ მთავრობას, რამდენადაც მათი რიგი წლების მანძილზე იგი ეწეოდა ალფირანსად ანტისაბჭოთა კამპანიას. სახელდობრ, პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის მტრობამ აიძულა მოსკოვი გაეწყვიტა მასთან ურთიერთობა, რაც მალე აღდგენილი იქნა ჩვენს ქვეყანაზე პიტლერული გერმანიის თავდასხმის შემდეგ. ტენებრიცია, რომ სტალინმა რუხველების საპასუხოდ, უპირველესად ყოვლისა, ყურადღება მიაქცია მას, რომ პოლონეთში მყოფი ემიგრანტები მთავრობის აგენტები, გერმანელებთან არიან დიკავშირებულნი.

— ისინი ზოციან პარტიზანებს, — პირქვემად წარმოთქვა სტალინმა. — თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რას აკეთებენ ისინი იქ.

— ეს დიდი საყიხია, — ჩაერია ჩერჩილი. — ჩვენ ომი ვამოუცხადეთ გერმანიას იმისათვის, რომ იგი თავს დაესხა პოლონეთს. თავის დროზე გამოიკა იმან, რომ ჩემბერლენმა არ იბოძალა ჩუხუხისათვის მიუხეხნი, 1939 წლის აპრილში კი მოულოდნელად მისცა გარანტია პოლონეთს. მაგრამ მე ვგაბრებულდი ვეყავი ამით. პოლონეთის გამო ვამოუცხადეთ ომი გერმანიას, თუმცა არ ვიყავით მოშაზდებული, ჩვენი სამხედრო-საზღვაო ძალების გამოყვებით და დიდ როლი ვითამაშებთ, რათა გვებიძგებინა საფრანგეთისათვის და ომში ჩაგვები. საფრანგეთმა მარცხი განიცადა, მაგრამ ჩვენ ჩვენი კენძელის წყალობით აქტიური მებრძოლები აღმოჩნდით. დიდ შემწეულობას ვანიჭებთ იმ მიზნებს, რომლის გამოც ჩვენებით ომში. მე შეგნებულა მაქვს ისტორიული განსხვავება ჩვენსა და რუსების თვალსაზრისს შორის პოლონეთის მიმართ. მაგრამ ჩვენ პოლონეთს დიდ ყურადღებას ვუთმობთ, რამდენადაც პოლონეთზე თავდასხმამ გვაიძულა გადამწვეტილი ნაბიჯის გადადგმა. მე, აგრეთვე, ძალიან კარგად ვესმის რუსეთის მდგომარეობა ომის დაწყებისას და, ვლბულობთ რა მზედველობაში თქვენს სისუსტეს ომის დაწყებისას და იმ ფაქტს, რომ საფრანგეთმა უღალატა მიუხეხნი მიცემულ გარანტიებს, მესმის, რომ საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო მაშინ რისიკი გაეწია ამ ბრძოლაში. მაგრამ ახლა სხვა მდგომარეობაა და ვიმედოვნებ, რომ თუ შეგვეკითხებიან, რატომ ჩაებთ ომში, ვუპასუხებთ, ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ მივეციტ გარანტია პოლონეთს. მე მიიღა შეშინარო სანაი ასანთის პლაკატის, რომელთაგან ერთი წარმოადგენს გერმანიას, მეორე — პოლონეთს, მესამე კი საბჭოთა კავშირს. ყველა ეს სამი ასანთი გადაწეული უნდა იქნეს დასაუღეთით, რათა გადაწეულს ერთი მთავარი საკითხთაგანი, რომელიც მოკავშირეების წინაშე დგას, —

რუხველვით საბჭოთა კავშირის დასაცავად სახლერების უმისრობა.

— უნდა მოგახსენოთ, — უპასუხა საბჭოთა დელეგატმა, — რომ რუსეთი სხვა სახელმწიფოზე არა ნაყუბადა დიანტრესტული პოლონეთთან კარგ ურთიერთობაში, რადგანაც პოლონეთი რუსეთის მეზობელია. ჩვენ პოლონეთის აღდგენისა და გაძლიერების მომხარენი ვართ. მაგრამ ჩვენ ვაცალკევებთ პოლონეთს ლონდონში მყოფი მისი ემიგრანტული მთავრობისაგან. ჩვენ მათთან ვაეწვევით ურთიერთობა არა რაიმე ჩვენი კიარეულობის გამო, არამედ იმისათვის, რომ პოლონეთის მთავრობა შეუერთდა პიტლერს და მის ცილისწამებას საბჭოთა კავშირის მიმართ. ყოველთავე ეს გამოქვეყნებული იყო გაზეთებში. სანამ ითარგმნებოდა მისი გამოცემის ბოლო ფრაგები, სტალინმა ვაშლა წინ მდებარე მუქ-ყავისფერი ტარსაციონის საქაღალდე და ამოიღო ფურცლი. ეს იყო საკმაოდ სქელი, გაუვითლებული ქაღალდის ნაჭერი, მრავალთა ხელში გამოვლილი და საკმაოდ გაცუთილი ქაღალდზე გამოსახული იყო თავი ორსახოგინი, ღმერთის იანუსის მსგავსად. ერთ მხარეზე იყო გამოსახული პიტლერის პროფილი, მეორე მხარეს კი — სტალინისა.

ყველას რომ კარგად დაენახა, სტალინმა ქაღალდი მალა ასწია.

— აი, რას აკრელებენ პოლონეთში ემიგრანტული მთავრობის აგენტები. ვნებავთ ახლოს დანახვა?

ამ სიტყუებით სტალინმა ფურცელი გადაუბღო ჩერჩილს, რომელმაც ორი თითით ზიზლით აიღო იგი, შეიჭმუნა და სიტყვის უთქმელიად რუხველს გადასცა. რუხველმა მხრები აიხეჩა, თავი გადააქნია და ფურცელს სტალინს დაუბრუნა. სტალინმა ცოტახანს შეიყიდა და შემდეგ განაგრძო:

— რა გარანტია გვაქვს იმისა, რომ პოლონეთის ემიგრანტული მთავრობა კვლავაც არ გაავრცელებს ასეთ საზოლარ საქმეებს? ჩვენ ვესურდა გვექონოდა გარანტია იმისა, რომ პოლონეთის მთავრობის აგენტებმა აღარ გაეღოტონ პარტიზანები, რომ პოლონეთის ემიგრანტულმა მთავრობამ ნამდვილად მოუწყულოს გერმანელების წინააღმდეგ საბრძოლველად, და არა რაღაც მაქინაციების მოწყობას მიპყოს ზელი. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვექნება იმ მთავრობასთან, რომელიც მოუწყობებს გერმანელების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ. მაგრამ, მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ახლანდელი ემიგრანტული მთავრობა ლონდონში ისეთია, როგორიც უნდა იყოს. თუკი იგი სოლიდარობას გამოუცხადებს პარტიზანებს და ჩვენ მივიღებთ გარანტიას, რომ მის აგენტებს არ ექნებათ კავშირი გერმანელებთან პოლონეთში, მაშინ თანახმა ვიქნებით

დაეწყოთ მასთან მოლაპარაკება. რაც შეეხება შეინშენას, სამი ასანთის შესახებ, მსერდა დაწერილებით გამეგო, რას ნიშნავს ეს.

ჩერჩილმა ახსნა, მხედველობაში მჭონდა საზღვრების პრაზბლემა და კარგი იქნებოდა აქ, მრავალ მაგიდასთან, გვეცნით რუსების აზრს პოლონეთის მომავალ საზღვრებთან დაკავშირებით. შემდეგ მას, ჩერჩილს, ანდა იდენს, შეეძლოთ ეს მოსაზრება გადაეცათ პოლონელებსათვის.

— ჩვენ ვფიქრობთ,— განაგრძო ჩერჩილმა, — რომ საჭიროა პოლონეთი უეჭველად დაემყოფილდეს გერმანიის ხარკზე. ჩვენ შიად ვიქნებოდით გვეთქვა პოლონეთისათვის რომ ეს კარგი გეგმაა და უკეთეს გეგმას ისინი ვერ მიიღებენ რის შემდეგაც შეგვეძლო დაგვეყენებინა ურთიერთობის აღდგენის საკითხი. მაგრამ მინდოდა ხაზი გამესვა, რომ ჩვენ ვსურვს არსებობა რუსეთის მიმართ მეგობრული, ძლიერი, დამოუკიდებელი პოლონეთისა.

სტალინი თავის მხრივ გააცნო საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

— ლაპარაკია იმის შესახებ, — თქვა მან, — რომ უკრაინის მიწები უნდა დაუბრუნდეს უკრაინის, ბელარუსიისა კი — ბელარუსიას. სხვა საიტყებთან რომ ვეჭოთ, ჩვენსა და პოლონეთს შორის უნდა არსებობდეს 1939 წლის საზღვარი, რომელიც დადგენილია ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციით. საბჭოთა მთავრობა იცნებს ასეთ საზღვრებს და ეს სწორად შიანია.

პოლოტოვმა განმარტა, რომ ჩვეულებრივ ამ ხაზს კერზონის ხაზს უწოდებენო.

— არა, — შეეკამათა იდენი, — იქ შეტანილი იყო არსებითი ცვლილებები.

პოლოტოვმა ვინაცხადა, იდენს არასწორი ცნობები აქვსო.

მაშინ ჩერჩილმა ამოიღო რუკა, რომელზედაც როგორც მან თქვა, გავლებულია კერზონის ხაზი და 1939 წლის ხაზი. იქვე იყო მითითებული ოდერის ხაზი. იდენმა, რომელიც თითს აყოლებდა რუკას, დაიწყო ახსნა-განმარტება, კერზონის ხაზის საშრეთ ნაწილი არა-ლოდეს არ იყო ზუსტად განსაზღვრული, და დაუმტა, როგორც ვარაუდობდნენ, კერზონის ხაზი, ლოვის აღმოსავლეთით უნდა გასულიყო.

სტალინი შეეკამათა, ჩერჩილის რუკაზე ხაზი გველებულია არასწორადო. ლოვი უნდა დარჩეს საბჭოთა კავშირის საზღვრებში, საზღვრის ხაზი კი დასავლეთისაკენ უნდა წავი-

დესო. სტალინი დაუმტა, პოლოტოვს აქვს კერზონის ხაზიანი ზუსტი რუკა, მისი დაწერილებითი აღწერილობითი. ამასთანვე მან ზიზგისმით აღნიშნა, პოლონეთი ნამდვილად უნდა იყოს დიდი, მრეწველობით განვითარებული სახელმწიფო და საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობა უნდა ჰქონდესო.

ამასთანავე პოლოტოვმა გასცა ვანკარგულეზა მოეტანათ მისთვის რუკა, რომლის შესახებაც იყო ლაპარაკი. რამდენიმე წუთის შემდეგ მოიტანეს დიდი, შავი საქალაღე. პოლოტოვმა გახსნა იგი, რუკა მაგიდაზე გაშალა და მიუთითა იქ გატარებულ კერზონის ხაზზე. პოლოტოვმა წაიკითხა, აგრეთვე, ლორდ კერზონის მიერ ხელმოწერილი რადიოგრაფის ტექსტი, რომელიც შეიცავდა იმ პუნქტთა ზუსტ მითითებას, სადაც გადიოდა ეს ხაზი. რუკაზე ამ პუნქტების დაზუსტების შემდეგ საკითხი უდიდურესად ნათელი გახდა. ჩერჩილმა ვერ შეძლო შეკამათება, სტალინს მთებრუნდა და უთხრა:

— ეტყობა, კონფერენციის მონაწილეებს არა აქვთ არსებითი შეუთანხმებლობა საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრების საკითხის გამო, ლოვის პრაზბლემის ჩიოვლით.

რუხველტმა იკითხა, შესაძლოა თუ არა განხორციელდეს პოლონური ეროვნების პირთა პოლონეთში გადისახლება მათი სურვილით. სტალინი დადებითად უპასუხა. ამის შემდეგ ჩერჩილმა თქვა, ვურჩევ პოლონელებს მიიღონ იქ შემეშვებელი წინადადებაო. და დაუმტა, მოვამზადე სპეციალური დოკუმენტი პოლონეთის საკითხის შესახებ, რომლის წაკითხვაც მსურს აქვე, ხოლო წინასწარ დაეძენ, რომ არ მოვიტობ ამ წინადადებაზე თანხმობას იმ სახით, როგორადაცაა იგი წარმოდგენილი, რამდენადაც თვითონ მე ვერ კიდევ არ მიმიღია საბოლოო გადაწყვეტილებაო.

ჩერჩილმა წაიკითხა შემდეგი ტექსტი: „ძირითად მდებულო იქნა, რომ პოლონეთის სახელმწიფოსა და ხალხის ყერა უნდა იქნეს განლაგებული ევრთწოდებული კერზონის ხაზსა და მდინარე ოდერის ხაზს შორის. პოლონეთის შემადგენლობაში უნდა შევიდეს, აგრეთვე, აღმოსავლეთ პრუსია და ობელნის პროვინცია. მაგრამ საზღვრის საბოლოო დადგენა მოიხორცს ძირითეკიანად შესწავლას და სხვა ზოგჯერ პუნქტებში მოსახლეობის შესაძლებელ დაბინავებას“.

სტალინი ძირითადად დაეთანხმა ჩერჩილის მიერ შემოთავაზებულ ფორმულას.

ხელოვნებისა და რელიგიის ურთიერთობის საკითხისათვის

საზოგადოების არსებობისა და განვითარების საფუძველია მატერიალური დოვლათის წარმოება, შრომა. შრომის პროცესში ადამიანი ზემოქმედებას ახდენს ბუნებაზე, გარდაქმნის მას, ამოვე ღროს იგი სულერ მოღვაწეობასაც უწევია, ადამიანი უნდა იბნა აზრები, იდეები, შეხედულებანი გარემომცველი ბუნებას შესახებ. საზოგადოების სულიერი ცხოვრება მისი მატერიალური ცხოვრების ასახვაა. საზოგადოებრივი ცხოვრების რთული და მრავალმხრივი პროცესი განაპირობებს საზოგადოებრივი ცნობიერების სირთულეს და მისი ფორმების მრავალფეროვნებას. საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებია: მორალი, ხელოვნება, რელიგია, ფილოსოფია და სხვ. მათ შორის არსებობს განსხვავება და კავშირებიც. გ. რუსიას წიგნი „ხელოვნება და რელიგია“, რომელიც ეხება საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების — ხელოვნებისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. ავტორი შინადა ისახავს მარქსისტული ფილოსოფიის საფუძველზე გარკვევის რელიგიისა და ხელოვნების არსის, წარმოშობისა და ურთიერთობის საკითხს, უარყოფს იდეალისტური შეხედულება, რომლის მიხედვით ხელოვნების წარმოშობას და განვითარებას განსაზღვრავს რელიგია, ღვთაებრივი შთაგონება. ამ თეზისაზრის იცავენ თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის წარმომადგენლები — მაღრო, რინარდის, ბრედლი, შენდორფერი და სხვ. ხელოვნება და რელიგია, როგორც აღენიშნეთ, საზოგადოებრივი ცნობიერებას ფორმებია. ისინი ასახევენ სინამდვილეს, ორივე ზედნაშენური მოვლენაა. ამ საერთო ნიშნთან ერთად, მათ შორის განსხვავებაც არსებობს. „რელიგისტური ხელოვნება, რომელიც სინამდვილეს მხატვრულ სახეებში ასახავს, საგნების, მოვლენების და მათი მიმართებების მართალ სურათებს გვაძლევს. ხელოვნების უკუშარბი ნაწარმოები, რომელიც ცხოვრებას სიმართლით ასახავს, შემცენების ფუნქციასაც ასორციელებს. რაც შეეხება რელიგიას, აგი სამყაროს უფრომართ ცნობიერებაა“, ობიექ-

ტური სინამდვილის დამახინჯებელი, ფანტასტიკური, ყალბი ასახვა. მისი წარმოდგენები, დოკუმები, და პრინციპები არაკუშმარტიბა და საგანთა და მოვლენათა ობიექტურ ვითარებას არ შეესაბამებიანი“ (გვ. 10). ხელოვნების სპეციფიკას ესთეტიკური მხარე შეადგენს. ამასთან მას დიდი შემეცნებითი ღირებულებაც გააჩნია. რელიგია, პირიქით, ზელს უშლის ადამიანებს სამყაროს შემეცნებაში, აბნელებს მათ გონებას.

ხელოვნება წინააღმდეგობაშია რელიგიასთან თავისი საზოგადოებრივი ფუნქციების მიხედვითაც. იგი ემსახურება ადამიანის სხეულისა და სულიერი სამყაროს სრულყოფას, მიწიერი არსებობის გაუმჯობესებას, ადამიანთა ურთიერთობის მოწესრიგებას. რელიგიის სოციალური ფუნქცია კი უარესად რეაქციულია. ანტიგონისტური საზოგადოებაში იგი იცავს ვაბატონებულ კლასის ინტერესებს, რელიგიისათვის დამახასიათებელია კონსერვატიზმი, ამ მხრივაც შეიძლება დავინახოთ განსხვავება რელიგიასა და ხელოვნებას შორის. საზოგადოების პროგრესი იწვევს ხელოვნების განვითარებას. რელიგიაც განიცდის ცვლილებას, მაგრამ არსებითად იგივე რჩება, ამიტომ მას არ შეუძლია ხელოვნების განვითარება განსაზღვროს, რელიგია უარყოფით გავლენას ახდენს ხელოვნებაზე. ამის მიხედვებელია შუა საუკუნეების ხელოვნება.

ხელოვნების წარმოშობის საკითხი დიდი კამათის საგანი შეცნირებაში. მარქსისტულმა ფილოსოფიამ დაასაბუთა, რომ ხელოვნების წარმოშობის ძირითადი მიზეზი ადამიანთა შრომითი საქმიანობაა. ყოველი ხალხის ხელოვნება მჭიდრო კავშირშია მის ცხოვრებასთან. უძველესი ხალხური სიმღერები და ცეკვები, გამოქვაბულების კედლებზე შემორჩენილი ცხოველთა გამოსახულებანი შრომის პროცესითა განსაზღვრული. თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკა მკეთრად ეწინააღმდეგება ამ შეხედულებას და ედილობს დასაბუთოს რომ ხელოვნება გაპირობებულა რელიგიით, მისი წარმოშობის მიზეზია ღვთაებრივი შთაგონება. ხელოვნების ფუნქციები, უ. შენდორფერის აზრით, რელიგიურ გრძნობებში უნდა ვიქებოთ. ხელოვნება თანამედროვე ადამიანის

გ. რუსია. „ხელოვნება და რელიგია“, „სხამკითხა საქართველო“, 1967.

რელიგია. ინგლისელი ესთეტიკოსი ანდრე სესლი ბრედლის აზრით, „ხელოვნება სრულადაც არ წარმოადგენს ცხოვრების გამოხატვას. იგი არის ღრობის, სივრცის და მატერიალის საზღვრებს ვაჭრე არსებული მოქმედებების შინაგანი გამოხატვა“ (გვ. 4).

ხელოვნების წარმოშობის ფაქტი ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს. ცნობილია, რომ ადამიანებმა თავიანთი ისტორია ურელიგიოდ დაიწყეს. ხელოვნების ჩანსახები, რომლებიც მათ პრაქტიკულ საქმიანობას ეტყობოდა, უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე რელიგიური წარმოდგენები. რელიგია არ შეიძლება ხელოვნების წარმოშობის მიზეზი ყოფილიყო. საფულისხმოს ის ფაქტიც, რომ კლასობრივი ანტიგონიზმის მოსაზრებით რელიგიაც მოიპოვა, ხოლო ხელოვნება კვლავაც იარსებებს, უფრო აყვავდება.

ხელოვნებასა და რელიგიას შორის არსებული განსხვავება არ გამოირჩევა მათ ურთიერთმომქმედებას. ფაქტებით დამტკიცებულია, რომ იქ, სადაც რელიგიამ ვაბატონებულ იმდგომარეობა მოიპოვა, ხელოვნება დაეცა. ამის მაგალითს ძველი ეგვიპტე წარმოადგენს. ხოლო საბერძნეთში ხელოვნებამ განვითარების მაღალ საფეხურს მიიღწია იმის გამო, რომ რელიგია იქ არ ყოფილა მთავარი იდეოლოგიური ფორმა. ბერძნული მითოლოგია ხელს უწყობდა ხელოვნების განვითარებას. საშუალო საუკუნეებში, როდესაც რელიგია ვაბატონებულ იდეოლოგიად იქცა, ხელოვნების განვითარება შედგებოდა, ხელოვნება რელიგიის მსახური გახდა. ხოლო აღორძინების ეპოქაში, როდესაც რევოლუციურმა ბურჟუაზიამ ბრძოლა გამოუცხადა ფეოდალურ წყობილებას, რელიგიის ბატონობა შეირყა და დაიწყო ხელოვნების აყვავება. უურადლების ცენტრში დადგა ადამიანი, მისი მიწიერი მისწრაფებანი. ხელოვნების დაუფლა ჰუმანიზმის იდეებზე, მისი მთავარი ამოცანა ადამიანის ღირსებისა და სილაშხის ჩვენება გახდა. აღორძინების ხანის ხელოვნებამ თავისებურად გამოიყენა ანტიკური ხელოვნება. იტალიის ხელოვნებამ, აღნიშნა და ფ. ენგელსი, არჩახელა აყვავებას მაღალა. იგი მოგვევლინა როგორც კლასიკური ანტიკურობის ანარეკლი, საფრანგეთსა და გერმანიაში წარმოიშვა ახალი ლიტერატურა, ასევე მოხდა ესპანეთისა და ინგლისში, ეს იყო ღრობი, რომელსაც ბუმბერაზები ევაჭიროებოდა და რომელსაც მართლაც წარმოიშვა იპიანი აზრის სიმღერით, გზებით და ხასიათით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით (ფ. ენგელსი „ბუნების დიალექტიკა“, 1952, გვ. 7-8) ესენი აყენენ ლენინარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი, ტიციანი და სხვ.

აღორძინების ეპოქის დინამიკის ღრობის გ. რუსია ჩერდება აგრეთვე ლიტერატურაზე. პირველ ყოვლისა იგი ეხება რუსთაველის

პოემას, გვიჩვენებს მის ჰუმანიტურ იდეებს, შემდეგ არჩევს დანტეს, პეტრარკას, ბოკაჩოს და სხვა გამოჩენილი აწერლებს შემოქმედებს. ადამიანის მიწიერი ცხოვრება, კაცობრიობის ბედი იყო მათი შემოქმედების ძირითადი იდეა, რომლის გამოხატავად მათ შექმნეს განუყოფელი მხატვრული სახეები. აღორძინების ეპოქა რელიგიის მიწვევად ვაღწინააგან ხელოვნების განთავისუფლების ისტორიული აუცილებლობის დადასტურებაა. ხელოვნების რელიგიით განსაზღვრულობის იდეას უარყოფს აგრეთვე ის ანტირელიგიური მოტივები, რაც მძლავრ ნაკადად არის შექმნილი მსოფლიო ლიტერატურაში.

ყურადღებამ იქცეს წიგნის უკანასკნელი თავი „თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნება და რელიგია“. ავტორის აზრით, კოსმოსის ათვისების ეპოქაში რელიგიის დანერგვა ბიბლიური ზღაპრებით შეუძლებელია, ამიტომ იდეალისტი ესთეტიკოსები და რელიგიის მსახურნი ამ მიზნისათვის ქარბად იყენებენ ხელოვნებას. ხელოვნების მოწოდება ისინი თვლიან არა ცხოვრებას აახავს, არამედ მის გაუნდობლებას, მისგან დამორჩებას. ავტორი საფუძვლიანად აკრიტიკებს თანამედროვე მოდერნისტულ ხელოვნების ძირითად მიმართულებებს — აბსოლუტიზმს, სურრეალიზმს და აბსტრაქციონიზმს.

სიმბოლიზმი ანტირელიგიური და დეკლარირებული მიმდინარეობაა თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნებაში, მას არაჩინულად აქვს შეთვისებული რელიგიური იდეები. ხელოვნების ამოცანაა ჩაწვდეს რელიგიის სინამდვილის იდეალურ აზრს, გამოხატოს იგი სიმბოლიზმით. სიმბოლიზმის თეორიული საფუძველია იდეალიზმი. უფრო შორს მიდის სურრეალიზმი. ამ მიმართულების მიხედვით, ცხოვრებას ირი მზარე აქვს რელიგიური და ბერძნული, ერთია ხალხი, მეორეა უხილავი, მისტიკური, ძნელად მისაწვდომი. ხელოვნებამ ირთვე უნდა გამოხატოს, მაგრამ აქცენტი უნდა გადაიტანოს მეორეზე. ზეარეალური სფეროა, ხელოვნების ძირითადი საგანი. გონება და ცდა აქ არ გამოდგება, აქ სპირიტუა ქვეცნობიერების მოქმედებას, პალეონიაკობი, სიზმრები და ა. შ. „სურრეალიზტები, — წერს ემ. ლანგი, — განიხილვენ თავიანთ თავს, როგორც ქვეცნობიერი ხმების მარევისტირებულ აპარატებს“ (სარეც. წიგნი. გვ. 115) მდღარ სობიციანზე დგას აგრეთვე აბსტრაქციონიზმი. აბსტრაქციონიზმს განეკუთვნება, მეცნიერული აბსტრაქციონიზმი და მოვლენათა ღრმად შესწავლის საშუალებაა, მაგრამ აბსტრაქციონიზმისათვის იგი სინამდვილისაგან აბსოლუტურად მოწყვეტა და დამოუკიდებელი სახეობრივი მიმართებების დამყარებაა. არავითარი მსგავსება ხელოვნების ნაწარმოებებსა და ცხოვრების მოვლენებს შორის — ასეთია მისი დევიზი. აბ-

სტრუქციონიზმის კრედო გადმოცემულია ამერიკელი ესთეტიკოსის ბ. პოლერის სიტყვებში: „თავისი თავისაგან განდგომა არის თვითნებლობის საშუალება და აუცილებელი პირობა საინტერესო პრობლემების კვლევისათვის დამოუკიდებლად მათი ღირებულებისა და საზოგადოებასათვის ზარკვებლობისა. აი, თანამედროვე ფერწერის ერთ-ერთი უმაღლესი მიღწევათაგანა... მხატვარს შეუძლია თავისი სურვილის მახდევით დაამახინჯოს სინამდვილე; უფრო მეტიც, ჩვენ მისგან მოველით და მოვიტხოვო ამას“ (გვ. 121). ბურჟუაზიული ესთეტიკის წარმომადგენლები — კანდინსკი, ლანგი, მონდრიანი და სხვ. აბსტრაქციონიზმს თვლიან ანდელ რეალისტურ მიმდინარეობად და თორიულად ასაბუთებენ მას. საარტყენობა წიგნში მოცემულია ამ შეხედულების კრიტიკა და აღნიშნულია, რომ იგი რეაქციული ძალების ინტერესებს ემსახურება და მიმართულია საზოგადოებრივი პროგრესის წინააღმდეგ.

გ. რუსისა წიგნი — „რელიგია და ხელოვნება“ იწვევს ესთეტიკის საკმაოდ საკითხებისადმი ინტერესს. გვიქვს რამდენიმე შენიშვნა:

1. ჩეროვან დასაბუთებებს მოითხოვს ავტორის დებულება, რომ ხელოვნება რელიგიით არაა განსაზღვრული, რომ იგი დამოუკიდებელია რელიგიისაგან. ამისათვის უფრო მეტი და სხვა ხასიათის არგუმენტები საჭირო, ვიდრე ეს საარტყენობი წიგნშია.

2. წიგნში არაა წინ წამოყვანილი ხელოვნების სპეციფიკური მხარე. ავტორი არ სჯამს საკითხის იმის განსარკვევად, თუ რა შედეგებს ხელოვნების, როგორც საზოგადოებრივი ცნობიკების განსაზღვრული ფორმის სპეციფი-

კას. იგი უფრო ხშირად ლაპარაკობს მის შეხედულებით ღირებულებაზე, რაც ხელოვნებისათვის ძირითადი არაა.

3. არ არის სწორი ავტორის აზრი, რომ მიუხედავად საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა, „შოფლით რელიგიები სრულიად არ შეცვლილან“ (გვ. 23). სხვაგან ამის საწინააღმდეგო შეხედულებაა გამოთქმული. უცვლელი ამ ქვეყნად არაფერია, მათ შორის რელიგიაც.

4. ძველი ქვეყნების ხელოვნებისა და რელიგიის ურთიერთობის დახასიათების დროს ავტორი ხშირად წინააღმდეგობაში ვარდება. იგი ჯერ ამბობს, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში ხელოვნება დაბლა იდგა რელიგიის განუყოფელი ბატონობის გამო, ხოლო საბერძნეთში მაღალ დონეს მიაღწია, ხან კი პირიქით, ასევე აღმანიშნებისადმი ინტერესს პირველად ხან აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნებას მიაწერს, ხან კი ბერძნულს (იხ. გვ. 33-34; 38-39).

5. ავტორის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელი იყო თანამედროვე ეპოქის უფრო ღრმა და ყოველმხრივი დახასიათება. ბურჟუაზიული ხელოვნების კრიზისის მიზეზები ამით უფრო ნათელი გახდებოდა მეოთხეულისათვის.

6. ნაყოფანება მივაჩნია იმეც, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკური თეორიების და ხელოვნებაში არსებული მიმართულებების განხილვის დროს, ავტორი არ მიუთითებს ამ უშუალო წყაროებს, რომლებითაც იგი სარგებლობს.

ზონდო კარბოზია

როცა გული მღერის

უშუალოა ლექსის დარსების ერთ-ერთი სახეობა. სწორედ ამ თვისებით გამოირჩევა ოთარ მიმფორიას ლექსების წიგნი, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა დროს შექმნილი ლექსები. ავტორმა ვიარა შემოქმედებითი წრთობის გარკვეული გზა. მისი პოეტური ხმა დაიხვეწა, პოეტი დაეფულა თავისი ლირიკული გახსნის საიდუმლოებს.

პოეტური შთავონება არ არსებობს საგნის, ობიექტის გარეშე, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ობიექტი შეიძლება სხვადასხვა იყოს მაგრამ მასთან, შთავონებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს მთავარი მამოძრავებელი საწყისი, რომელიც ბიძგს აძლევს ოცნებას, სიტყვას, სიმღერას, ფრთებს ასხამს პოეტურ აღმადურნას. ო. მიმფორიას შთავონების პირველ წყაროს

სამშობლო წარმოადგენს. მის ლირიკაში ძალუძლად იჭრება საქართველოს წარსულისა და აწმულის დიდებულა, დაუსრულებელი ასოციაციების აღმძვრელი და გამომწვევი სურათები. აი, როგორ აქვს პოეტს განსხვავებული თემატიკის შემოქმედების არსი:

დაცემული ლოდები ვარ ვარძიის,
მინვარიდან აფრენილი არწივი,
წინამარების საფლავების მკოცნელი,
ვათანგული სიმღერით და ოცნებით
და ლერწმებთან ბუღბუღივით გაზრდილი.
რუსთაველის სტრიქონი ვარ ართქმული,
მახვილავით მტარზე წამოშართული,
დაბიალზე მოხვეული ნისლი ვარ,
სააკაძის ურთობებზე სისხლი ვარ.
და კრწანისთან გაყვასილი ფრანგული.

მშობელი მიწის სიყვარული არის დაუშრეტე-

ლი ცეცხლი, რომელიც პოეტს სასამღეროდ განაწყო. მის მხატვრულ ფერადოვან სიტყვაში ცოცხლები ჩვენი ქვეყნის დიდი და სახელოვანი ისტორია, მქეფარე, თანადროულობა, ხალხის გმირული სული. ზოგჯერ იგი გვიხატავს მოგზაურის თვლით დანახულ საქართველოს ზღაპრულ მშვენიერებას და ქმნის ფერად სურათს. ეს კარგად ჩანს მრავალკერძ ნახულ, ქაღარა, მაგრამ მუდამ ახალგაზრდა თბილისისა, თუ საეარდო და სამაისო ქუთაისისადმი მიძღვნილ საგალობლებში; პოეტი ამღერებულა კახეთის ზეგნებისა და ქართლის ბალეონების ზილვით. მას ახარებს გაზაფხულის სასიცოცხლო ძალა, რომელიც მოიქნის ფერები და სურნელებს, ჩანჩქერებდა ჩამოღობილი თეთრი ამბილი და პეპლებივით აფრინილი ალუჩისა და ატმის ყვავილები:

ოცნებით ცხრა მთას გადავევლები
და ქართლში აპრილს წამოვიწვი,
იქ რომ გაზაფხულს მოაქვს ფერები
და დასწერი ჩემი ლექსებმა.
მე უნდა დავტყებ თერთა აბრილით,
მთებს ჩანჩქერებდა როცა ეღვრება,
ალუჩისა და ატმის ყვავილინი
შემომადინდეს მზგრზზე პეპლებდა.

პოეტი დიდი სიყვარულით ძერწავს წინაპართა სახეებს, მათ გმირულ თავდადებას საშობლოსათვის („ციხის ნაამბობი“, „სააკაის ძაბალი“, „წიწამურა“, „ერეკლეს სურათთან“, „მეციხოვნის ანდერძი“ და სხვ.), მაგრამ წარსლის იდეალიზაციას როდი ახდენს. ზოგჯერ მუქ ფერებში წარმოდგენს საქართველოს მწარე ისტორიულ ხედვებს, ძნელბედობის ხანას. ბრძოლებში მკლავოთულულ ვეჯაკთა აჩრდილება, მთებზე წამოშორებული ციხის ნანგრევები, როგორც საშინელ დღეთა ეტყვი მოწმენი, თოქქოს ზელებს აწვდიან და იმ მწუხარე დღეთა აზებზე დალადებენ. წარსულისა და აწმოს კონტრასტებში კიდევ უფრო უკეთ იკვეთება თანამედროვეობის სიდიადე. მამულისათვის ბრძოლაში დაცემული მეციხოვნე ნაღვლიანად მიმართავს შორეულ შთამომავალს:

ბედნიერი ხარ, ბედნიერი ხარ,
მზე და ლავარდი თავზე გველება...
შენთვის იწითა ქართლის ველები,
მთები გიცავენ უდრეკ მღვრებდა,
წიხვალ, პატარებს მოფერები,
სხვა რაღა არის ბედნიერება!

პოეტი გრძნობს გადაუსხდელ ველს საშობლოს წინაშე:

მსურს ავიალოო მეშვიდე ცაზე
ჩემი მამული გადადუნული,
მაგრამ რა ვადრო წინანდლის ვაზებს,
რით გამოვხატო თერგის დგაფენი?

რით განვიდილო, აბა, კრწანისი,
სიდაც წინაპართ დიდი გული სცემს,
ანდა რა ვუთხრა მე საკადრისი
დაცხრილულ ცხრა ძმა ხერხეულძმებს
რა გვეუბნოდო ბავრატის ტაძარს,
სიმღერა რა ხმით ამოვიქეყო?
ვერა, ვერ გავწვდი თბილისის კალთას
და ნარიყალას კედლების ეხოს!

პოეტი ყურადღებით აკვირდება ჩვენი ცხოვრების განვითარებას. ყოველ დღეს მისთვის მოიჭებს ახალი აღმადრენა, სიმღერის ახალი თემა, რაც ლექსში პოელობს მხატვრულ ზორცმესხმას:

გაკვილებივარ სხივებს დილისას,
ჩიხვტებულეარ ფერებს ალურით,
და ვერეფ ამ დღეებს — ძვირფას ყვავილებს,
ეკინძაე ისე, ვით ფერცლებს წიგნისას.

ამბობენ, დრო ყველაფერს აქვლებსო, მაგრამ სამამულო ომის თემა არ ძველებდა, როგორც არ იქერნება შინთოუსეული შეილის მწუხარებით დაყოდილი გული დედისა. განა შეიძლება დაიწყება ადამიანებისა, რომლებიც განსაცდელის წაშს უმწირად დადგნენ სიკვდილის პირისპირ და მერდით დაიციეს მამული? ბევრა მათგანი ვერ შეესწრო გამარჯვების სიხარულს, უცხო მიწაში ჩალბა მათი მარჯენი, უღროოდ დაიშორდა მრავალი აუხდენელი ოცნება, მაგრამ იმ გმირთა სახელოვანი საქმეები კმლავ გვეხშიანებება და დადაფენის მოითხოვენ. პოეტი ნაღვლიანად იკონებს თანატოლებს, რომლებიც ომის შორეულ გზებზე უმოწყალოდ დაიფანტნენ და თან გაყოფულს დიდი სიყვარული („გახსოვს?“, „წიგნები თოვლში“, „დღეს მარტის სუხსით ეწოდა ლოყა“ და სხვ.) პოეტის ფიქრი თავს დასტრიალებს დაუტკრებელ სამშო საფლავებს:

... და მწუხარება გულს დაეხლება.
იგი შორს დარჩა განაწვალები...
და სულში ფერფლი გადაგყვრება
ისე უღროოდ ჩამქრალ თვალები.

წარმავლობის მეაცრ კანონს პოეტი უპირისპირებს ადამიანის აქტიური საზოგადოებრივ მოღვაწეობის ცხოველმყოფელ ძალას და სწორედ აქ ხედავს უკვდავების წინაპირობას. ამ ასპექტში განიხილავს იგი სიყვარულის გრძნობის მარადიულობასა და ხელოვნების მაღალ დანიშნულებას.

პოეტის აზრით, როცა გაფრინდება ყრმობის დღეები, „მხოლოდ ის წუთი ქვეყნად არ ქრება, ოდეს პირველი ტრფობა მოგასწრებს და ის დღე რჩება მუდამ კალენდარს ჩვენი სიცოცხლის შემოღკომბეც“. ქეშმარტი საყვარულის ცეცხლი მარად ვიხეხებებს, იგი დროისა და სივრცის ფარგლებით არ იზღუდება. ამიტომ

არის, რომ „სიყვარულს ძველმა ბერძენებმა ვერ დაუწერეს თარაღი“... ასევე, „რომ სიმღერა არ იყოს ჭვენიად, ჩამობნეულდება ყველა ვარსკვლავი“. მას პოეზია მიაჩნია ადამიანის სულის განუყოფელ ნაწილად, სიცოცხლის უკუდაცემის სიმბოლოდ. „უღესოდ რაა სიცოცხლის ფასი?“ — კითხულობს იგი და ასკვნის:

სიკვდილს მოძებნის თვითონ სიკვდილი,

საგმერთა საქართველოს ისტორია

ქართული ისტორიკოსების ძველმა და ახალმა თაობამ, მართალია, არა ერთი საყურადღებო მონოგრაფია, კოლექტიური გამოკვლევა ან სახელმძღვანელო შექმნეს საქართველოს ისტორიის რევოლუციამდელ პერიოდზე, მაგრამ საბჭოთა საქართველოს ისტორიის განმარტავადგელი ნაშრომი ჯერ კიდევ ცოტაა. რევოლუციის შემდგომი საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებით მტკივნეულად იგრძნობა უმადლესი სასწავლებლების ისტორიის ფაქტობრივად დასწავლა პროგრამის მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელოს უქონლობა.

სწორედ ამიტომაც ქართული სტუდენტთა ახალგაზრდობა და დანტერესებულა მკითხველი ფართო საზოგადოება დიდი მოწონებითა შეხვდა პროფ. აბელ კიციძის — „საქართველოს ისტორიის“ მესამე ტომის გამოცემას. ამ წიგნში გადმოცემულია ისტორიული მოვლენების ანალიზი დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის გამარჯვებიდან ვიდრე 1961 წლამდე. მასში სათაბლო ადგილი აქვს დათმობილი მენშევიკების ბატონობის პერიოდში საქართველოში სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვების ისტორიის.

რუსეთში სოციალისტური რევოლუციის კონომიტიკების ზოგადი დახასიათების შემდეგ, ნაშრომში თანმიმდევრულადაა განხილული 1917-1921 წლებში საქართველოში მომხდარი მოვლენები. მითხრობილია საქართველოში უცხოელი ინტერვენტების თარეშზე, წარმოდგენილია საქართველოს რაიონებში მომხდარი სახალხო იანყებების შეუღამაზებელი სურათი. დამატებებშია ახსნილი მენშევიკების საშინაო და საგარეო პოლიტიკის კრახის მიზეზები. ყოველივე ამის შედეგად გაკეთებულია ლოგიკურად სავსებით მართებული დასკვნა იმის შესახებ, რომ მენშევიკთა დიქტატორის დამხობა და სოციალისტური რევოლუციის გაამარჯვება გარედან თანამოხვეულ აქტს კი არ წარმოადგენდა, როგორც მენშევიკი ემიგრანტები და მათი საზღვარგარეთელი პატრონები ამ-

ღეკს რზება ეამი და უკუდაცემა!
ოთარ მანფორიას ლეკსები გამოირჩევა ღრმა შინაგანი დინამიკით, მისი პოეტურმა სახეებმა ნათელი და მკვეთრია. აქვე უნდა შეგინწონთ, რომ ზოგიერთ ლექსში მაინც იგრძნობა ვიწრო სტუიქტური ემოციები, კამერულობა, ზოგჯერ ერთფეროვნება.

გივი ლომიძე

ტიკიებდნენ, არამედ თვით საქართველოში შექმნილი ობიექტური ვითარებით ნაჯარახვევი კანონზომიერი მოვლენა იყო.

წიგნში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს ახალგაზრდა საბჭოთა მოავრობის მიერ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის 1921-1925 წლებში გატარებულა ღონისძიებების ანალიზს.

ავტორის სიტყვით საქართველოში სოციალისმის მშენებლობაში მოზოვებულმა პირეულმა წარმატებებმა კლასობრივი შტრების გააფთრება გამოიწიეს. პოლიტიკურად გაკოტრებულია და სერათაშობის იმპერიალიზმის იგენტებად გალაქეულმა შენშევიკებმა სცადეს 1924 წლის აგვისტოს აჯანტრობის დროს მოეხდინათ კონტრრევოლუციური გადატრიალება. მაგრამ ქართველი მშრომელებმა არ გააკყენენ მენშევიკებს და მათი ზრახვებიც სამარცხინოდ ჩაიფრმა.

წიგნში მოთხრობილია ინდუსტრიალიზაციისა და საკოლმურინეო მშენებლობის წლებში რესპუბლიკაში არსებულ სირთულეებზე. კლასობრივი შტრების გააფთრებასა და მათ წინაღმდეგ პარტიისა და ხალხის დაუნდობელ ბრძოლაზე. სათანადო ფაქტობრივ მასალეზე დაყრდნობით წიგნში ნახევენება, რომ კულაკური ელემენტები აწკარა ტერორის იმპერატორებად საქოლმურინეო აქტივის მიმართ. ხოლო როდესაც ტერორით არაფერი გამოვიდა, მათ ტაქტიკა შეცვალეს — სხვადასხვა ხრიკებით იწყეს კოლმურინეობებში გადრომა, რათა შეგინდნ მარგამომხრელი მეშაობით ჩაეშალათ საკოლმურინეო მშენებლობა (გვ. 94-95).

წიგნში გადმოცემულია ომისწინა ხუთწლედების შესტრულებისათვის რესპუბლიკის მშრომელთა ვმირული ბრძოლის სურათი. მთელს რესპუბლიკაში გაიშალა დამკერულობა და სტახანოვიური მოძრაობა. ახსნილია ამ მოძრაობათა უდღესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა.

რესპუბლიკის მშრომელთა სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა

იყო მეცნიერებათა აკადემიის ვახსნა. 1941 წლის თებერვლიდან — დღიდან დაიარსებისა მას უკვე აღადგინდა უფასო სათავეში მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერი აკად. ნ. მუსხელი-შვილი.

წიგნში ნახვევებია, რომ ქართული კულტურის მძლავრ დემონსტრაციას წარმოადგენდა 1937 წლის იანვარში მოსკოვში გამართული ხელოვნების დღეები, რომელშიც მთელი მსოფლიოს წინაშე გადაშალა ქართული კულტურის ბრწყინვალე ფურცელი (გვ. 181-185).

წიგნში დასაბუთებულია, რომ რუსებლგავში სოციალიზმის გამარჯვება მოასწავებდა ქართველი ხალხის სოციალისტურ ერად ჩამოყალიბებას. ძირეულად შეიკვალა ქალაქისა და სოფლის საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა და შინაარსი. საზოგადოებრივ ცხოვრებას საფუძვლად დაედო ორი შეგობრულ კლასი — მუშათა და გლეხთა კლასების ძმური თანამშრომლობა.

რუსებლგავის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ძირეულმა გარდაქმნებმა მოითხოვეს სათანადო ცვლილებების შეტანა პოლიტიკურ წყობილებაში. სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია აღარ შეესაბამებოდა ახალ სოციალისტურ საზოგადოებას. სეციალურმა კომისიამ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით შეიმუშავა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ 1936 წლის 5 დეკემბერს დაამტკიცა საქართველოს საბჭოების მეორე საგანგებო ყრილობამ. სსრკ ახალი კონსტიტუცია კი საფუძვლად დაედო საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციას, რომელიც 1937 წლის 13 თებერვალს დაამტკიცა საქართველოს საბჭოების მეორე საგანგებო ყრილობამ. ახალმა კონსტიტუციამ ასახა 1937 წლამდე რუსებლგავში მომხდარი ცვლილებები.

წიგნში კარგადაა ნახვევები დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოს მშრომელთა გმირულ ბრძოლისა და შრომის სურათი.

საინტერესოაა მოთხრობილი საქართველოს მშრომელთა გმირულ მიღწევებზე 1945-1961 წლებში. რუსებლგავის მეშვეთა კლასის ანახული შრომითი გამარჯვება იყო ის, რომ შრეწველობის საერთო პროდუქტია 1960 წლისათვის 40-ჯერ გაიზარდა 1913 წლის დონისთან შედარებით.

სარეცენზიო წიგნი მეოთხედილოგოიერად სწორადაა გამართული დაწერილია ისტორიული მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების შექმნა, გაელუნათილა ინტერნაციონალიზმისა და ბოლშევიკური პატრიოტიზმის სულსკვეთებით.

მიუხედავად შრავალი დადებითი მხარეებისა წიგნს გააჩნია ისეთი ნაკლოვანებანიც, რომელ-

თა გათვალისწინება ახალი გამოცემის დროს ვეჭვობთ საჭირო იქნება.

1. წიგნში წამოჭრილია არა მარტო საკითხი, მაგრამ ავტორი მათი ირგვლივ მხოლოდ საკუთარ თვალსაზრასს გეთავაზობს. ჩვენი აზრით კი აჯობებდა სხვა მკვლევართა შეხედულებების გაცნობაც. ამიტომ ნაშრომი მოთხოვია, რომ მის ავტორს დაეკუთვნოთ თვებისათვის წამძღვარებინა მათში განხილული საკითხების მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვა. ამით შესაძლებლობა ექნებოდა საკუთარ თვალსაზრისთან ერთად შეთხველისათვის გაეცნო სხვა ავტორთა შეხედულებანიც (მაგ. ობზელისუღუენიანობის, რეკომენებისა და სხვ. შესახებ).

2. სარეცენზიო ნაშრომის რიგ გვერდებზე (115, 116, 122, 108, 110, 111 და სხვ.) მართალია, სავსებით მართებულადაა ლაპარაკი 30-40-იანი წლებში დაშვებულ შეცდომებზე, მაგრამ შეცდომათა სურათი სურათის სწორი წარმოდგენისათვის ასევე აუცილებელი იყო ვოლენტიარისტულ დამახინჯებებზე შეჩერებაც. როგორც ცნობილია, ამ შეცდომებმა პიროვნების კულტზე არანაყლები ზიანი მიაყენეს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და პარტიულ ცხოვრებას. სწორედ ვოლენტიარისტიკულ და მახინჯებათა მხილებასა და მათი გამოსწორების ღონისძიებათა დასახეში მდგომარეობს ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმების (1964 წ.) ისტორიული მნიშვნელობა. რაც ავტორს აუცილებლად უნდა აღენიშნა.

3. წიგნში ზოგჯერ გვცვლდაა საუბარი საერთო საქვეშაო მნიშვნელობის ისეთ ზოგად საკითხებზე, რომლებზე შეჩერებაც სარეცენზიო ნაშრომს როგორც სახელმძღვანელოს ახალს ვერაფერს მატებს, ზედმეტად გამოიყურება ავტორის მსჯელობა რუსეთში სოციალისტური რევოლუციის კანონზომიერების ირგვლივ (გვ. 3-5), სსრ კავშირის გადასვლაზე სოციალიზმის რუსებზე (81-83), მასობრივ საკოლმეურნეო მოძრაობაზე სსრ კავშირში (102-104), საერთაშორისო ურთიერთობაზე (147-150 და 264-269 გვერდებზე), სოციალისტურ კულტურაზე (282-283) და რიგ სხვა საკითხებზე.

4. ნაშრომში ზოგჯერ მსჯელობა ისტორიული მოვლენის ირგვლივ, მაგრამ პიროვნებები, რომლებიც მოკმეულ ვითარებაში თვალსაჩინო მსჯევეან როლს ასრულებდნენ დასახლებული არ არიან (იხ. გვ. 75, 77, 122, 165 და ა. შ.).

5. წიგნის მეორე თავის ბოლო პარაგრაფში ლაპარაკია ქართული საბჭოთა თეატრის პირველ ნაბიჯებზე. ამასთან დაკავშირებით ავტორის მსჯელობა შემოთავაზულია თბილისში სახელმწიფო თეატრის შექმნით, რაც ვერ გამოხატავს საქართველოში საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების სრულ სუ-

რათს. საქმე იმაშია, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, როგორც ქართველი ინტელიგენციის ერთ ნაწილში ვერ კიდევ ძლიერი იყო მენშევიერ-ნაციონალისტური რევოლუციები, სახელმწიფო თეატრის ფორმალურად შექმნის მიუხედავად, ობიექტურად შეუძლებელი იყო მისი სცენიკად პროლეტარულ რეპრეტარულ პირდაპირ გადართვა. ახალმა ცხოვრებამ წამოჭრა ახალი ესთეტიკური მოთხოვნები, ახალი საკითხები; მათი გადაჭრის გზაზე კი პირველი ნაბიჯების გადადგმა მოუხდა რევოლუციურ-შახტურულ თეატრს, რომელიც რესპუბლიკის მთავარმა პოლიტიკოსებმა შექმნეს საქართველოს ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიარსა თბილისში ქართული, რუსული და სომხური დასები. თბილისის რევოლუციურმა თეატრმა, როგორც განდამავალმა საფეხურმა დიდი როლი შეასრულა გამარჯვებულ რევოლუციის მონაპოვართა შესაბამისად თეატრალური ხელოვნების გარდაქმნის თვალსაზრისით. ამიტომ იყო, რომ რსფსრ განათლების პირველი მინისტრი ა. ლენინისკი საქართველოს მთავარი პოლიტიკოსებმა შექმნილ რევოლუციურ თეატრის განხორციელების მიზნით დაიწყო მისი მხარდაჭერა. ლენინისკის მიერ დაწესებული პირველი მინისტრი ა. ლენინისკის საქართველოს მთავარი პოლიტიკოსებმა შექმნილ რევოლუციურ თეატრის განხორციელების მიზნით დაიწყო მისი მხარდაჭერა. ლენინისკის მიერ დაწესებული პირველი მინისტრი ა. ლენინისკის საქართველოს მთავარი პოლიტიკოსებმა შექმნილ რევოლუციურ თეატრის განხორციელების მიზნით დაიწყო მისი მხარდაჭერა.

საჩუქრებით წიგნში კი სამწუხაროდ არაფერია ნათქვამი რევოლუციური მხატვრული თეატრის საქმიანობაზე.

6. ვერ დავეთანხმებით ავტორის მოსაზრებას, თითქმის 30-იანი წლების პირველ ნახევარში ქართულ ისტორიოგრაფიაში მომხდარი ე. წ. შემობრუნება, რომელსაც მოჰყვა XIX საუკუნის 70-80-იანი წლების ქართული პროგრესული აზრის განვითარებაში ხალხისთვის („ნაორონიკობის“) წამოყვანილი როლის უგულვებელყოფა. „პარკინგ-ლენინისკის სიწმინდის დღესაც“ ვაწვევთ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება ყოფილიყოს (გვ. 144), პირიქით სწორედ ხსენებული ღარიდან დაიწყო „მემკვიდრეობის“ საკითხის გამართლება (იხ. ე. ა. ლენინი, ობზ., ტ. 18, გვ. 19; საბჭოთა ისტორიული მემკვიდრეობა XX-დან XXII ყრბობამდე. მოსკოვი, 1962, გვ. 258-275; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, ტ. 1 მოსკოვი, 1964, გვ. 22-69; ჟურნ. „კომუნისტური“, 1966, № 16, გვ. 82-91; ჟურნ. „ისტორია სსრ“, 1967, № 1, გვ. 166-168; ჟურნ. „ციციაკო“, 1966, № 1 გვ. 72-76 და სხვ)

7. წიგნის 50-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ „1923 წლის 6 ივლისს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტმა „მეგრე სესიამ მიიღო და დაამტკიცა „სსრ კავშირის კონსტიტუცია“. რაც სათანადო დაზუსტებას და განმარტებას მოითხოვს. აღნიშნულ სესიას სსრ კავშირის კონსტიტუცია კი არ დაუმტკიცებია, არამედ მხოლოდ განიხილა კონსტიტუციის პროექტი. საბოლოოდ კი იგი მიიღო და დაამტკიცა სსრ კავშირის საბჭოების II ყრბობაზე.

8. საჩუქრებით წიგნის იმ გვერდებზე, რომლებზეც ლაპარაკია საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაზე, დამოწმებულ მასალა ეხება ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის შესწავლის მდგომარეობას (გვ. 182, 222 და სხვ.) რაც შეეხება ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფიის შექმნა-განვითარებას, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ნახსენებიც კი არაა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფუძემდებლის პროფ. გ. ხაქაპურიძის, პროფ. ს. ხუნდაძის, ფ. მახარაძის სახელები.

9. წიგნში ასევე არაა მოხსენიებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისთან შექმნილი სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი კომისია, რომელმაც პროფ. გ. ხაქაპურიძის უშუალო ხელმძღვანელობით უდიდესი შრომატევადი და ზემოპირადად პატრიოტული საქმე გააყვით სამამულო ომის ფრონტებზე ქართველი მეომრების საბრძოლო დამსახურებათა ირგვლივ მასალების შეგროვება-სისტემატიზაციის თვალსაზრისით.

10. ჩვენ ვთვლით, რომ მიგვიჩნია ავტორის მიერ წიგნის დამთავრება 1961 წლით. ნაშრომს უფრო სრულყოფილი სახე ექნებოდა, რომ მასში საქართველოს ისტორიის გადმოცემულ იყოს 1966 წლამდე — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 45 წლის იუბილემდე. ამის გაკეთება საყვებით შესაძლებელი იყო 1967 წელს გამოცემულ ნაშრომში. ყველა აღნიშნული შენიშვნა ძირითადად კერძო ხასიათისაა; ჩვენ შეიძლება მხოლოდ იმით გავამახვილებ ყურადღება, რომ მათი გათვალისწინება გარკვეულად გააუმჯობესებს წიგნის ახალ გამოცემას. ამ წიგნის გამოცემაზე ნებით თბილისის უნივერსიტეტის გამოცემალობამ კარგი საჩუქარი მიუძღვნა მშობლიურა უნივერსიტეტის 50 წლის იუბილეს, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა მიმდინარე წლის ოქტომბერში სათანადო ზემოქმედებით და პატრიოტული აღნიშნავს.

8 25/126

3360 80 333.


ИНДЕКС
76128

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»